

გიორგი ნაცროშვილი

წინაპარნი  
და  
თანამედროვენი



სახელმწიფო გამომცემლობა  
„საბჭოთა საქართველო“  
თბილისი  
1961

## მარად ცოცხალი სულხან-საბა

სულხან-საბა ორბელიანი, XVII საუკუნის დასასრულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის ბრძენი ქართველი, სიტყვის უბადლო ოსტატი და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე მუდამ მოიხსენება იმ დიდებულ სახელთა შორის, რომლებიც ამშვენებენ ჩვენი კულტურის ისტორიას. მისი ნოველები აღბეჭდილნი არიან იმ ნიშნებით, რომლებიც განაპირობებენ საერთოდ მხატვრული ქმნილების უკვდავებას. წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“ მწერალმა ისე ღრმად, ისე მკაფიოდ გამოხატა ადამიანთა ხასიათების თავისებურებანი, რომ ეს პერსონაჟები დარჩნენ როგორც ცოცხალი ძეგლები არა მარტო თავისი დროისა, არამედ როგორც მანიშნებელნი იმ ზოგად ადამიანურისა, რომლის მიწვდომა ხელოვნებაში ჰარტოოდენ რჩეულთა ხედრია; ამ მარად უკვდავი ადამიანური თვისებებით არიან აღბეჭდილნი საბას ნოველების პერსონაჟები — მისი მეზურე და მემარნე. ფეიქარი და მკერვალი, ქვისმთლელი და მჭედელი, მწყემსი და მეთევზე.

სულხან-საბა მუდმივ ცოცხლობს და მოქმედებს არა მარტო ჩვენს ლიტერატურაში, არამედ ცხოვრებაშიც. ასე იყო ეს მეცხრამეტე საუკუნეშიც. გაიხსენეთ დიდი ილია ჭავჭავაძე; სულხან-საბა მისი დახასიათებით იყო ბრძენი და სათნოებით სავსე კაცი, ხოლო „სიბრძნე სიცრუისა“ „მადლიანი წიგნი“, „აზრის ამხსნელი, მაუწყებელი, გაგების გზა და ხიდი, ცოცხალი ხატი, ხელთქმნილი დიდის გრძნეულებით“. და აი ეს მადლიანი წიგნი, მთელი სიბრძნე საბასი გზას უშუქებდა ილიას. თვითონ გზის გამშუქებელსა და გამკაფავს, ერის ბელადსა და წინამძღოლს. საბა ცოცხალივით ედგა ილიას გვერდში. მასთან ერთად იცავდა საქართველოს, მის ენას, მის კულტურას, მის ისტორიას. საბას იგავი. ბრძნული გამონათქვამი თუ ლექსი „ქილილა და დამანადან“, ილიასათვის, მტრებთან ბრძოლაში,

გააფთრებული პოლემიკის დროს, ამოღებული ხმალიც იყო და მარჯვედ ნახმარი ფარიც. მაგრამ მარტო ამ ბრძოლების დროს კი არ მიმართავდა ხოლმე ილია სულხან-საბას, არამედ მაშინაც, როცა საქვეყნოდ დათესილი მადლის საზღაურს მიუწყავდა ერთგულ მამულიშვილებს: „ფეხი მთებრ ედგა ქვეყანად, ტინურად განმტკიცებულიო“, გაიხსენა ილიამ „ქილილა და დამანადან“, როცა დიმიტრი ყიფიანის ცხედარს დასტიროდა; ეს ღრმა, შვილური სიყვარული ბრძენი საბასადმი ნათელ ზოლად გასდევს ილიას მთელ ცხოვრებას, დაწყებული სიჭაბუკის წლებში დაწერილი ლექსიდან, „ალაზნიდან“, რომელსაც ეპიგრაფად სულხან-საბას სიტყვები აქვს წამძღვარებული, და დამთავრებული იმ დღეებით, როცა პოეტი გულგანგმირული დაეცა წიწამურის ტყეში.

აღტაცებით ეთაყვანებოდა სულხან-საბას სახელს აკაკი წერეთელი — მეორე დედაბოძი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოსი; 1898 წელს თავის პერიოდულ „კრებულში“ გამოქვეყნებულ შენიშვნაში აკაკიმ ხაზგასმით აღნიშნა სულხან-საბას რგავეების საკაცობრიო მწმუშენელობა, ეს წიგნი ქართულ სიბრძნის უშრეტ საუნჯედ აღიარა. უფრო მეტიც, თავის მოთხრობაში „სიკვდილი“, აკაკიმ საბა მოიხსენია ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალის, იოანე პეტრიწის გვერდით, როგორც მათთვის მზრის დამმშვენებელი, შემწე და მფარველი სამშობლოსი. საბა ხომ მარტო მწერალი და ფილოსოფოსი არ იყო, ის იყო, იმავე დროს, შორსმჭვრეტელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, დაუღალავი მზრუნველი ქვეყნის გაერთიანებისათვის, აღდგენისა და აღორძინებისათვის. ის მარტო „სიბრძნე სიცრუის“ იგავით კი არ ქადაგებდა, რომ ძალა ერთობაშიაო — გახსოვთ, მეფემ „ოცდაათი ისარი რომ მოაღებინა“, „შეკრა მაგრა ერთად და მოზიდა, რათა ვატეხოს და ვერ ვატეხა“. მერე „თითო-თითო მოზიდა და ყოველივე დაღეწა“, მიუბრუნდა თავის შვილებს და უთხრა — თუ ერთად იქნებით, „მტერი ეგრე ვერ ვატეხთ, ვითა მე წელან შეკრული ისარი ვერ ვატეხეო“. დიახ, საბა ამას მარტო იგავით კი არ ქადაგებდა, არამედ საქმითაც, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, იბრძოდა მთლიანი საქართველოს აღსადგენად, ფეოდალური პარტიკულარიზმის დასათრგუნავად, სამეფო აბსოლუტიზმის განსამტკიცებლად, რომელიც მაშინ ერთადერთი გზა იყო ქვეყნის სახსნელად. რა განსაცდელი არ გადაიტანა საბამ ამ ბრძოლაში, რა ჭირ-სახნდელი არ გამოსცადა, რა შორეულ გზებზე არ იარა! ვინ მოსთვლის მის ღვაწლს, მის ამაგს, მის გაუთავებელ ზრუნვას!

აი ყოველივე ამან მისცა საბუთი და საფუძველი აკაკის დაეყ-

ნებიან სულხან-საბა ყველაზე დიდ ქართველთა გვერდით; მწერალ-მა ეს აზრი მოთხრობაში თავისებური მხატვრული ფორმით გამოხატა.

ასე შეაფასეს სულხან-საბა მეცხრამეტე საუკუნის ქართული აზრის მესვეურებმა; ჩვენს თანამედროვეობას მათ ანდერძად გადმოსცეს ეს სიყვარული საბასადმი და, მართლაც, საოცრად ცოცხლად არის შესული სულხან-საბას მეგვიდროება ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. რაღა შორს წავიდეთ — ისე არ გაივლის დღე ჩვენს რედაქციებში, გამომცემლობებში, მწერალთა პლენუმებზე თუ ყრილობებზე, რომ სულხან-საბას დიდი სახელი არ ახსენონ და მისი „სიტყვის კონა“ არ გადაფურცლონ. აქ ყველა დაეა რომელიმე სიტყვაზე, ენის რთულ საკითხზე საბას წიგნმა უნდა გადასკრას. „საბას ასე აქვს“, — იტყვიან და კამათიც დამთავრებულია, მაშასადამე, სადავო სიტყვა უკვე კანონიერია, უკვე ქართულია, საბას ავტორიტეტს წინ ვერავინ აღუდგება. „მთელ საქართველოს მამად მიაჩნიაო“, წერდა სულხან-საბაზე ფრანგი მისიონერი რიშარი 1713 წელს; და ახლაც იგი მამად მიაჩნია ყველა ქართველ მწერალს, საერთოდ ყველას, ვისაც უყვარს ქართული სიტყვა, ვისაც უყვარს საქართველოს მიწა და ცა. ეს სიყვარული შთამომავლობისა დიდი წინაპრისადმი განსაკუთრებით ნათლად გამოხატა კ. გამსახურდიამ თავის წერილებსა და გამოსვლებში, ს. ჩიქოვანმა, გრ. აბაშიძემ და მ. მაჭავარიანმა იმ ლექსებში, რომლებიც მათ სულხან-საბას მიუძღვნეს.

1959 წელს, გაზაფხულზე, საქართველოს ხელოვნების მუზეუმში რერიხის სურათების გამოფენა იყო მოწყობილი. ამ სურათებიდან ყველაზე მეტად ერთი ფართო ტილო მომეწონა, მას „ბერი მკურნალი“ ეწოდებოდა. მხატვარს გამოესახა ვეება, ზურმუხტისფრად აღლანებული მინდორი, ათასფერად აჭრელებული ულამაზესი ყვავილებით; რაღაც საოცრად ნაზი, მყუდრო და იდუმალი იყო ეს საგაზაფხულო მდელი; ამ მინდორზე წანდა მარტო ერთი ფიგურა — ეს იყო მოხუცი, რაღაც ნეტარი და შუქმოსილი სახით, ის მიმოდიოდა ამ მწვანე ზღვაში და ჰკრეფდა სამკურნალო ბალახებს. ის ყვავილებიც ისე თვალმიმტაცად იცქირებოდნენ ტილოდან, ისე გამომწვევად ჩანდნენ მდელიზე, თითქოს იმ მოხუცს, როგორც მინდიას, ყელგადაგდებით მისძახიანო: „მე ვარო ამის წამალი, სხვა გაიძახის „იმი-სა“, მინდიაც მოსწყვეტს, თან მიაქვს, ჯერ ზედ ნამი აქვს დილისა“. რერიხის ეს სურათი რომ ვნახე, მაშინვე გიორგი ლეონიძის სტრიქონები გამახსენდა, სულხან-საბას რომ მიმართავს: „შენ სამკურნალო ბალახებივით მოგიკრეფია სიტყვა ქართული“.

თუ გავიხსენებთ სულხან-საბას დროინდელ საქართველოს, ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ რაოდენ ღრმა, განმაზოგადებელი და ისტორიული მნიშვნელობა აქვს პოეტის ამ მხატვრულ შედარებას — „სიტყვა ქართულის“ შეთანაბრებას „სამკურნალო ბალახთან“. საბას დიდებული წიგნი მართლაც ნამდვილი მალამო იყო დაფლეთილი და ათასგზის ნაჭრილობევი, შინაური და გარეშე მტრების მიერ აკლებული ქვეყნისათვის, ეს გაერთიანების დროშა იყო, მალა აწვდილი მოხუცის მოუღლეელი მკლავით, რადგან ენა, თუ შეიძლება ასე ითქვას, სულია ერისა; ბრძენმა საბამ ეს ყველაზე კარგად იცოდა. 1942 წელს ფრანსუა მორიაკი წერდა, რომ ტრაგიკულ პარიზში, იმ დღეებში, როცა გერმანელებმა დაფლითეს საფრანგეთი, როცა საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს რომენ როლანი, დახვრიტეს მრავალი ათასი ყველაზე საუკეთესო ფრანგი და მთელ ქვეყანაში სისხლის გუბეები დააყენეს, აი სწორედ ამ დღეებში დედაქალაქში დარჩენილი აკადემიკოსები თურქე ყოველ ხუთშაბათობით იკრიბებოდნენ და აწყობდნენ სხდომებს ფრანგული ენის ლექსიკონის განსახილველად: „თვითეულ სიტყვაზე მთელი საათობით მსჯელობენ და არავის აზრად არ მოსდის დასცინოს მათ, — ამბობს მორიაკი, — რადგან ისინი ამას სჩადიან იმისათვის, რომ „მთელ ქვეყანას დაანახვონ — საფრანგეთი განაგრძობს არსებობასო, რომ გული განაგრძობს ძგერასო. ხანგრძლივი ავადმყოფობა გულის გამოცდაა; მთავარი ის არის, გადაიტანს თუ არა გული! — ამბობენ ხოლმე ექიმები. საფრანგეთის გულმა გადაიტანა და გადაიტანს. ჩვენ დავარიგეთ ჩვენი დიდი ლიტერატურული პრემიები, როგორც ამას ვჩადიოდით ყოველწლიურად. პარიზში არაფერი არ შეწყვეტილა. პარიზი არა მარტო ჰქმნის სიცოცხლის ილუზიას, არამედ ცოცხლობს, იგი განაგრძობს არსებობას. განვაგრძოთ — ეს არის დღეს ყველაფერი“.

ამ დღეში იყო საბას დროის საქართველოც. და როგორც ფრანგი ლექსიკოგრაფები არ უშინდებოდნენ არც შემოსეულ უცხოელებს და არც საზიზღარ კოლაბორაციონისტებს — „მოთანამშრომლებს“, ისე ქართველი ლექსიკოგრაფიც წარბს არ უხრიდა არც ყიზილბაშთა ურდოებს და არც მათი ყაენის როჰიკზე დახარბებულ შინაურ გამყიდველებს; განდგომილ ფეოდალებს, რომელნიც ვახუშტის სიტყვით რომ ვთქვათ, „მცირედითა ნიჭითა გამაჰმადიანდებოდნენ და ჰქონდათ როჰი (ჯამაგირი) ყაენისაგან“. ეს იმ დროის ქართველი კოლაბორაციონისტები მართლაც იკლებდნენ ქვეყანას; ჯერ იყო და სიცოცხლე გაუმწარეს ვახტანგ მეხუთეს, რომელიც საბას ნათესავი იყო (საბას მამიდა ჰყავდა ცოლად), იქამდე მიიყვანეს, რომ

შაკმა პასუხისსაგებლად გაიწვია ისპაჰანში; კარგი დღე არც მის მემკვიდრეს გიორგი XI დაადგა. სწორად მისი შეფობის დროს იკლებდა ქვეყანას გამაჰმადიანებული ერეკლე ბატონიშვილი, ხაზარალიხანად წოდებული; ეს მან მიუსია საქართველოს მეციხოვნე ყიზილბაშები, რომლებიც „ჰკვიდნენ და წარუსხმიდნენ კაცთა ცოლ-შვილთა, სხვათა ჰყიდდნენ და სხვათა მოჰმედიან ჰყოფდნენ“. თვითონ ერეკლე ბატონიშვილი „მრავალგზის წარუვლინებდა ყაენსა ტყვეთა“. მისი წახედულობით მოქმედებდნენ განდგომილი ქართველი ფეოდალებიც; როცა გიორგის ისპაჰანში გაწვევის შემდეგ, 1703 წელს ვახტანგ მეექვსე ქართლის ჯანიშინად გაამწესეს — მან პირველ რიგში ტყვეებით ვაჭრობა აკრძალა. მაგრამ უაღრესად ტრაგიკული იყო ვახტანგის ბედიც — ბოლოს და ბოლოს ვეღარც ის გაუმკლავდა მოზღვაებულ ყიზილბაშისა და ოსმალოს ჯარებს.

და აი ასეთ დროს, ასეთ ჯოჯოხეთში ადგენდა სულხან-საბა თავის ლექსიკონს, წერდა თავის გენიალურ წიგნებს. თავისი „სიბრძნე სიკრუის“ დასაწყისში საბას აღწერილი ჰყავს ბრძენი ვაზირი, რომელიც „სიბრძნითა თვისითა ცად აღწეენილი იყო, ჰკუთთ ხმელეთის სიგრძე და განი სრულად განეზომა, მეცნიერებითა ზღვათა უფსკრულთა მიწევილი იყო, ჰაერთა და ვარსკვლავთა საქმენი გულის ფიცარზე გადმოეწერა. ესეთი სიტყვის სიტკბო ჰქონდა, მხეცთა კაცთა მსგავსად მოაქცევდის, ტინთა ცვილებრ დაადნობდის და მფრინველთა კაცურებ აუბნებდის“. ასეთი „ბრძენი ვაზირი“ იყო ვახტანგისათვის სულხან-საბა ორბელიანი, ეს იყო მარჯვენა ხელი მეფისა, მისი აღმზრდელი, ინტელექტუალური და მორალური მებაირახტრე მეთვრამეტე საუკუნის საქართველოსი. ამ პატარა წერილში ძნელია ჩამოთვალო ყველა კეთილი წამოწყება სულხან-საბასი, და ეს იტყვის არა მარტო კულტურის, არამედ პოლიტიკის სფეროზეც, აქ თუნდაც მარტო თარიღები გავიხსენოთ: 1710 წლის 1 დეკემბერს სულხან-საბა დიპლომატიური დავალებით მიემგზავრება სპარსეთში, საიდანაც იგი ბრუნდება 1711 წლის 20 თებერვალს. 1712 წლის 23 აპრილს ის მიჰყვება ირანში ვახტანგ მეექვსეს, ბრუნდება იმავე წლის ბოლოს. 1713 წლის 17 აგვისტოს, მეფე ვახტანგ მეექვსის დავალებით, საბა მიემგზავრება დასავლეთ ევროპაში — საფრანგეთსა და იტალიაში. სამშობლოში იგი ბრუნდება 1716 წლის ზაფხულში. ამ მოგზაურობის შემდეგ დაწერა მან თავისი შესანიშნავი წიგნი „მოგზაურობა ევროპაში“. ევროპაში წაღებული ჰქონდა თავისი ლექსიკონიც, მასზე კვლავ განაგრძობდა მუშაობას, და როცა უკან დაბრუნების დროს ოსმალო მძარცველებმა

„ზანდუკები დაუმტვრიეს“, ლექსიკონი და უბის წიგნი ძლივს გადაარჩინა.

პირდაპირ გულისდამწველია ეს ბოლო ფურცლები „ევროპაში მოგზაურობისა“, სადაც აღწერილია, თუ როგორ აწვალებენ ოსმალთა ყაჩაღები მოხუც საბას. ჯერ ცხენები წაართვეს და ქვეითად აღმართს შეუყენეს. „სულს იქით გზა აღარა მქონდა, ბერიკაცი ვიყავ, სნეული და მაცხლებლადო“, — ამბობს საბა. მერე ფული წაართვეს და მოკვლაც დაუპირეს. სწორედ ბედზე მოუსწრო სტამბოლელმა ნეგოციანტმა აივაზა ჩელებმა, ოთხასი მარჩილის მიცემას შეჰპირდა ყაჩაღებს, ოღონდ მოხუცებულს თავი დაანებეთო. აივაზა გაბრუნდა ფულის მოსატანად, მაგრამ შეაგვიანდა. გაბრაზებულმა მძარცველებმა უმწეო ტყვეს ხელები შეუკრეს და ბნელი ღამით გონიოს ციხისაკენ წაიყვანეს.

„წვიმა და ნისლი იყო. ღამე და ავი დაღმართი. ეშმაკისაგან თუ გაივლებოდა. რას ჰირით ჩავიარეთ, ენით არ იოქმის“. იმ საშინელ ავდარში საბას ენგიჩარმა საწვიმარიც წაართვა, ამასობაში აივაზა ჩელებიც დაბრუნდა და საბა გამოიხსნა.

ევროპიდან საქართველოში დაბრუნებული საბა კვლავ საშინელ დღეში ჩავარდა. კლერიკალებმა სასტიკი დევნა დაუწყეს, მოხუცმა ის მოვალეებიც კი ვეღარ გაისტუმრა, რომლებმაც მოგზაურობის დროს მის გამოსახსნელად ფული დახარჯეს. „სამღვდელონი... გამიმტერდნენ, ასე შეკრეს ყოველნი ჩემი ნათესავი და მოყვარე, მეფე და დარბაისელი, ვერავინ შემომეწიაო“. მერე ერთი დავრდომილი ნათლიდელა მიეშველა, ნაცნობებში ფული მოაგროვა და უცხოელი მოვალეები ისე გაისტუმრეს.

ვახტანგ მეფემ მალე შესძლო საბასთვის მფარველობა აღმოეჩინა. მაგრამ ქვეყნის მდგომარეობა კვლავ გაუარესდა. 1723 წელს თბილისი და მთელი ქართლი აიღეს და დაარბიეს ოსმალთა ჯარებმა. მომდევნო წლის გაზაფხულის დასაწყისში სულხან-საბა და ვახტანგიც იძულებულნი გახდნენ გასცლოდნენ სამშობლოს.

ათასგვარი განსაცდელით, მსოფლიოს გზებზე გაუთავებელი სიარულით, მძიმე დარდით და წუხილით მოქანცული სულხან-საბა გარდაიცვალა მოსკოვში, ვსესვიატსკოეში, 1725 წლის 26 იანვარს (ძველი სტილით).

## დავით გურამიშვილი

### შესავალი

დავით გურამიშვილი ეკუთვნის ისეთი პოეტების რიცხვს, რომელთა თავზე ისტორიის ყველა ქარიშხალს, ყველა წყალდიდობას გადაუვლია. ასეთ პოეტებს ბედი არგუნებთ ხოლმე ყველა იმ ქირსახდელს, რაც მათმა ერებმა უნდა იხადონ და გამოიარონ.

და ბუნებრივია, რომ სწორედ ასეთი ბედის შემოქმედნი ეპოქებსა ჰქმნიან ლიტერატურის ისტორიაში.

ძნელბედობის ეპოქებში დაბადებულნი, ისინი პირველნი დაინახვენ ნათელი იმედის შორეულ სხივს, მერე პირველნი გაიტანენ კვალს ახალ ყამირში და ახალ პორიზონტებსა ხსნიან.

პოეტი თუმცა სიკაბუჯის წლებიდან განშორებული იყო სამშობლოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეთვრამეტე საუკუნის საქართველო და გურამიშვილი განუყრელი არიან.

ვერც ფიზიკურად სამუდამოდ შორს ყოფნამ, ვერც იობის ტანჯვამ, რომელიც მან თავის თავზე გადაიტანა, — ვერ მოსწყვიტა ის ქართული მიწის ფესვებს, ვერ მოაშორა საქართველოს, ვერ დაშრიტა მისი დაუცხრომელი სულის დუდილი, ვერ გაანელა მისი გულის ცეცხლი.

ამავე დროს, გურამიშვილი პოეტური სიმბოლოა რუსი, ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობისა. თავისი ცხოვრებით, თავისი შემოქმედებით მან ქართული პოეზია აზიარა რუსეთისა და უკრაინის კულტურის წყაროებს.

ის, როგორც პოეტი, ათავსებდა დიდ იდეურ საწყისებს, რომელთაც, თვალი რომ გავადევნოთ, მსოფლიო ლიტერატურის ფართო შარაგზებზე ვაგვიყვანენ.

ამ მონოგრაფიაში ჩვენ ვცადეთ მოგვეცა სურათი მისი ცხოვრებისა, ბრძოლისა და შემოქმედებისა. ჩვენ დავაყენეთ საკითხი



პოეტის განათლებისა და მსოფლმხედველობის წყაროების შესახებ, ვცადეთ გაგვეჩვენოთ გურამიშვილის ისტორიული კონცეფცია და მისი დამოკიდებულება ქრისტიანულ მსოფლიოსთან.

\* \* \*

ღრთა მსელელობაში, რაც არ უნდა დიდ განსაცდელში ყოფილიყო საქართველო, რაოდენ ურიცხვი ურდოები არ უნდა დასხმოდნენ მას თავს, მთელი ქვეყანა რომ წაელეკათ, სადღაც ტყეებში, მიუვალ ხეობებში მაინც ირაზმებოდნენ ჩვენი ჯარები, მაინც ფხიზლობდნენ მხედრები და მტრისათვის ანგარიშის გასასწორებლად ემზადებოდნენ.

ამ მხედრებთან ერთად მუდამ ფხიზლობდა ორი გუშაგი ერისა — პოეტი და მემატიანე.

XVIII საუკუნის საქართველოსაც ჰყავდა თავისი შესანიშნავი მემატიანეები, რომელთაც აღწერეს არა მარტო თავისი დრო, არამედ გარდასული ეპოქების გაცოცხლებაც სცადეს. ამ მემატიანეთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ისტორიკოს ვახუშტი ბატონიშვილს. მან ძველი ქართველი მემატიანის გულმოდგინებით აღბეჭდა ქართლისათვის ავბედითი დასაწყისი XVIII საუკუნისა.

მაგრამ ამ მათიანეთა ფურცლებზე დავით გურამიშვილის სახელს ვერ შევხვდებით.

ეს გასაგებიც არის: მემატიანე არ არის ვალდებული ლიტერატურის ისტორიკოსიც იყოს.

ბუნებრივია, რომ ძველ ქართულ ანალებში სრული სახით ჩანან თეიმურაზ პირველი (1589—1663), არჩილი (1647—1713) და ვახტანგ მეექვსე (1675—1737), მაგრამ ისინი მათიანეში მოხვდნენ არა როგორც პოეტები, არამედ როგორც მეფეები და რაინდები.

იმ მათიანეებში პოეზიაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ ციხეების შელევწაზე, იერიშებზე, მეფისა და გლეხის თავგანწირვაზე, იქ ბრძოლის ველებიდან წამოსული გუგუნის ხმა ისმის.

მაგრამ განა გურამიშვილიც მხედარი არ იყო!

არა, ვერც მისი მხედრული ცხოვრების შესახებ გვეტყვის რამეს ქართლის მათიანე — ბრძოლები ბალტიის ზღვის სანაპიროებზე, ყირიმისა და ბესარაბიის მიდამოებში, შვიდწლიანი ომი ტევტონების მიწაზე, სადაც გურამიშვილი მამაცურად იბრძოდა, ვერ გახდებოდნენ ჩვენი მათიანის თემად.

ამიტომ სდუმს ქართლის მათიანე გურამიშვილის სახელზე.

სდუმს იმ ბრძოლების შესახებ, რომლებშიც პოეტი მონაწი-

ლეობას იღებდა ჯერ როგორც ჯარისკაცი, მერე კი როგორც ოფიცერი.

მაგრამ დავითმა თითქოს თვითონ იკისრა როლი თავისი ცხოვრების მემკვიდრისა.

არც თეიმურაზს, არც ვახტანგს იმდენი არ უწერიათ თავის ცხოვრებაზე, რამდენიც გურამიშვილმა დაწერა.

დავითიანი, — გურამიშვილის თხზულებათა სრული კრებული, — მონუმენტური ქმნილებაა, სადაც გადაშლილია პოეტის მთელი ცხოვრება, დაწყებული მისი დაბადებით, ყრმობის პირველ დღეთა შთაბეჭდილებებით და დამთავრებული ანდერძით, ეპიტაფიით, რომელსაც დამწერი თავისი მომავალი საფლავის ქვისათვის აწვადებს.

ასეთი წიგნები ცოტაა ლიტერატურის ისტორიაში (ეგულისხმობთ ჩვენს ლიტერატურასაც და უცხოსაც). გურამიშვილის მთელი წიგნი ვეებერთელა მონოლოგია იმ ადამიანისა, რომლის ბედიც ნათლად გამოხატავს XVIII საუკუნის ქართლის სინამდვილის ტრაგედიას.

უფრო მეტიც: ამ წიგნში მოჩანს მთელი ძველი საქართველოს ტრაგედია.

დევნისა და განდევნილობის გოდებით სავსეა ეს წიგნი.

მისი ფურცლებიდან ისმის კვნესა და მოთქმა მთელი თაობებისა, ისმის მგლოვიარე ხმები სამშობლოდან სამუდამოდ წასულებისა, განდევნილებისა, რომელნიც აღარ დაბრუნებულან, ტყვეებისა, რომელთაც აღარ ღირსებით მშობლიური ცის ნახვა, ადამიანებისა, რომელთათვისაც ცხოვრება ავი დედინაცვალი იყო. დარდასა და ბოლმას, საუკუნეებით რომ გროვდებოდნენ, აქ, ამ წიგნში გადმოუხეთქავს; ამიტომ უთვალავ სვე-გამწარებულთა დანაბარებით გაისმის ეს ლექსები.

თვალმიუწვდომელი და ვრცელია მარშრუტი გურამიშვილის ცხოვრებისა.

სად არ ატარა იგი ბედმა, სად არ წაიყვანა! ამიტომ ძნელია სრულყოფილად მოთხრობა მისი ცხოვრებისა.

უკანასკნელ ხანებში უკრაინისა და მოსკოვ-ლენინგრადის არქივებში აღმოჩნდა მრავალი ახალი დოკუმენტი, რომელთაც შუქი მოჰქვინეს პოეტის ცხოვრების იმ პერიოდს, როცა ის რუსეთსა და უკრაინაში ცხოვრობდა.

მაგრამ მისი ქართლში ყოფნის, დაღესტანში ტყვეობის დღეებიდან ბევრი რამ ჯერ კიდევ ბურუსით არის მოცული.

ამ დღეებიდან ვიცით მხოლოდ უმნიშვნელო წერილმანები, ვი-

ცით, რომ ტყვეობიდან გაქცეულმა გზაში შვიდი ტყემალი იპოვნა, რომ გზაში მან ყვავიფრჩხილას ბალახი დაკრიფა და შიმშილი ამით მოიკლა, მაგრამ ზუსტად არ ვიცით, რამდენ ხანს იყო დაღესტანში, რა პირობებში მოახერხა ორჯერ გაქცევა.

აქ მხოლოდ ვარაუდებია შესაძლებელი.

მაგრამ ამ ვარაუდებზე ქვემოთ, მით უპეტეს, რომ პოეტის ცხოვრების ამ პერიოდის შესახებ ქართულ პრესაში ღიდი კამათი იყო ატეხილი და საბოლოო სიტყვა ჯერ ნათქვამი არ არის.

### აომახის საფლავის ეპიტაფია

დავიწყეთ პოეტის წინაპრებიდან, — მით უფრო, რომ გურამი-შვილის გენეალოგია საქართველოს ისტორიის ერთ მეტად საინტერესო გადმოცემასთან არის დაკავშირებული.

“ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ გურამიშვილები ზედგინიძეთა შთამომავალნი არიან, „რომელთა გამოაჩენს სასაფლაო მათი ღღესაცა მღვიმეს“.

როცა გურამიშვილი კვდებოდა უკრაინაში, სწორედ ეს სასაფლაო მოაგონდა მას. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში გურამიშვილმა დაწერა თავისი საფლავის ეპიტაფია — სათაურით „საფლავის ქვაზედ დასაწერი“, რომელშიაც ნათქვამია:

წმინდა იონე კახეთს ზედაქენს,  
სასწაულობით ქვიტიკის ცრემლთ აღენს;  
ქართლს წმინდა შიო მღვიმეს ძვლებს ავლენს,—  
ორნივე შერებიან სასწაულს ამდენს.  
ამ ორს მონასტერს მაქენდა ალაგი,  
სასაფლაო და ძვალთ შასალაგი,  
ორივე ქვიტიკით აღშენებული,  
სახლ-გალოაენებით დაშენებულნი.  
ახლა მობრძანდი, მნახელო, მნახე,  
მისდა სანუფქოდ სად დავიძარხე,  
ზორციტ აქ ვლპები, აწ ჩემი სული,  
არა ვიცი რა, სად არს მიხული  
ვით მე არ მინდო ცერუვმან საწუთრომ,  
ეგრეთვე ვგონებ არცა შენ გინდოს,  
შენ მე მიბრძანე ცოდვილს შენდობა,  
ღმერთმან შენ შენი ცოდვა შეგინდოს!

რამდენი დარდი და ნაღველია აქ იმის გამო, რომ კაცი სადაცაა გამოეთხოვება წუთისოფელს ისე, რომ ველარ ემთხვევა და მუხლს

ველარ მოუყრის წინაპართა სასაფლაოს და ძვალთშესალაგს, ქვიტკირით აღშენებულნი და სახლ-გალაენებით დამშვენებულნი რომ ყოფილან.

ეს დიდი სევდა და გახსენება საგვარეულო სასაფლაოსი — უკანასკნელი გამოთხოვებაჲ სამშობლოსთან და იმ მიწასთან, სადაც მისი წინაპრები იყვნენ დამარხულნი. ამ სასაფლაოზე იწვნენ გურამიანთა ყველა თაობანი, იმათ გარდა, ვინც უცხოეთში მოხვდა, ვინც ტყვედ წაიყვანეს, ვინც დაჰკარგა და ნაფოტივით გადაისროლა საქართველოს ისტორიის ავბედითობამ. ამ დაკარგულთა შორის, ცხადია, დავითი პირველი არ იქნებოდა.

საინტერესოა, რომ ვახუშტისაც ზუსტად ასე აღწერია ეს ორი ადგილი, რომლებსაც გურამიშვილი იხსენებს.

შიო მღვიმეზე გამოჩენილ ისტორიკოსს ნათქვამი აქვს, რომ იქ „არიან ქვაბნი, გამოკვეთილნი კლდისაგან, მრავალნი, და კლდე ესე არს, ვითარცა ნაშენი ქვიტკირისა. აქა არს მონასტერი დიდი, გუმბათიანი და მღვიმე მას შინა“... ვახუშტისავე ცნობით ის მონასტერი ნადირ-შაჰის ჯარისკაცებს შეუშუსრაეთ და ახლა იმ ღელეღრანტოიან, უწყლო ადგილებში კეთილნაშენს ველარას ნახავთო.

ასევე აღწერილი აქვს ვახუშტის დავითის მიერ ნახსენები მეორე მონასტერიც ზედაზენის მთაზე, იმ მთაზე, რომელიც არის „მკვრეტელი არაგვისა, მუხრანისა, ხერკისა, მცხეთისა და თბილისისა“. ვახუშტი იმ ლეგენდასაც ახსენებს, რომელიც გურამიშვილის ლექსში გვხვდება: „ამ ეკლესიის კამარიდან აწვეთს წყალი და უდგას ქვემოთ ავაზანი ქვისა, და შეიკრბის მას შინა, არა გარდმოედინების და არცა აღმოვსებით მოაკლდების, უკეთუ აღმოიღო რითიმე“.

დამოუყიდებლად ამ ლეგენდებისაგან, ჩვენ აქ საქმის ფაქტიური მხარე გვაინტერესებს: გურამიშვილი თავის საგვარეულო სასაფლაოდ ასახელებს არა მარტო იოანეს მონასტერს ზედაზენის მთაზე, არამედ შიო მღვიმესაც; ეს კი ბევრს ამბობს მისი, გენეალოგიური შტოს გასათვალისწინებლად, მის წინაპართა ჰოსაძებნად საქართველოს ისტორიის გრძელ გზებზე.

ჩვენ აქ მხოლოდ ორიოდ ცნობის მოტანით დაკმაყოფილდებით.

მეთხუთმეტე საუკუნეში ერთი წინაპარი პოეტისა — თაყა ზედგინიძე — იმავე სასაფლაოს აღწერს, მონასტრის იმავე სასწაულს იხსენებს, რომელსაც პოეტი, და ამბობს: „რომელ პირველ ჩვენნი მამანი დასაფლავებული იქნეს, მათთანა დასაფლავებად ვერ მკადრე ვიქნენო“.

გურამიშვილების წინაპრებს — ზედგინიძეებს ეს სასაფლაო საკუთარი სისხლის ფასად, საჩუქრად ჰქონიათ მიღებული.

ეს ამბავი მეთხუთმეტე საუკუნეში მომხდარა. იმ დროს საქართველოს სამეფო ტახტზე მეფე გიორგი მერვე იჯდა. მთელი საქართველოს მიწა-წყალზე შინაური ბრძოლის ხანძარი ენთო. სამცხელი ჯაყულები, ვინ მოსთვლის, რა ხრიკებს არ მიმართავდნენ, რათა სამცხე-საათაბაგო, ვეებერთელა ტერიტორია ბორჯომის ხეობიდან ვიდრე ჭოროხის ხეობამდე და ერზერუმის მხარემდე, საქართველოსაგან მოეწყვიტათ; ლიხს გადაღმიდან გიორგის დავით ნარინის შთამომავალი ბაგრატი უტევდა, რათა საქართველოსაგან იმერეთი ჩამოეშორებინა. ყოველივე ამას ზედ ემატებოდა ირანის მბრძანებლის უზუნ-პასანის შემოსევა, რომელიც ჯაყულებს გიორგი მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში ეშველებოდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ჯაყელმა მეფეს სძლია და ერთ ხანს ტყვედაც კი წაიყვანა.

ამ შფოთიან და აწეწილ-დაწეწილ დროს გიორგი მეფეს, ფარავნის ტბასთან ბანაკად რომ იდგა, შეთქმულება მოუწყვეს, „გამოარჩიეს ერთი უშვილო კაცი... მეფე ხელთა შევიპყრათ და ქართლი ჩვენ დაგვრჩიებისო... ჭუქას გუარის კაცმან ჩემსა გუარის კაცს გაანდო — მოგვითხრობს ერთი ზედგინიძე თავის საჩივრის წიგნში, რომელიც დარბაზის ერისათვის მიუერთმეგია, — იპან მეფეს ზრ დაუმალა, უთხრა მეფესა, დასტურად გვიღალატებენო“. მეფეს ეს ამბავი რატომღაც არ დაუჯერებია და „რომ მოსალოდნელი ხიფათი მეფის თავისაგან აეცდინა, იმ ზედგინიძემ, რომელმაც შეთქმულება გამოამკლავნა, თავის განწირვა გადასწყვიტა“, მეფის საგებელში თვითონ დაწვა. იმ დამეს შეთქმულები მართლაც მივიდნენ, „ზედგინიძე დაიჩუნეს და მწოვედ დაკოდეს, სიკვდილსა ულამოდეს და როგორცა ეს შეიტყეს ზედგინიძე არისო, აღარ მოკლეს“.

ამ თავგანწირულებისათვის ზედგინიძეს „მეფემან ნასისხლად მღუიმე მისცა სასაფლაოდ, ახალციხე (სოფელია არაგვის ხეობაში), სადაც სამოცი კუამლი კაცი ესახლა და ხუთი დახატული ჩარდახი მოწყობილი უბოძა სისხლად“.

შეიძლება გურამიშვილის გვარისათვის სახელის მიმცემი იყოს ის გურამ ზედგინიძე, რომელიც მოხსენებულია მეთხუთმეტე საუკუნის დასაწყისის მცხეთის გუჯარში და რომელიც წიწამურის მფლობელი ყოფილა.

გურამიშვილები ხშირად იხსენიებიან მეჩვიდმეტე საუკუნის ისტორიულ სიგელებშიც. 1627 წელს თეიმურაზ პირველს გივი გუ-

რამიშვილისათვის ერთგული სამსახურის გამო სოფელი ლერწამი უჩუქებია.

ასეთი ხანგრძლივი ისტორია აქვს ამ გვარს, რომელიც, როგორც ჩანს, მუდამ ახლოს იდგა სამეფო სახლთან.

ამ ოჯახიდან იყო მამა პოეტისა — კახელი თავადი გიორგი გურამიშვილი. პატარა დავითი იზრდებოდა ტრადიციულ ფეოდალურ ოჯახში, რომელიც საკმაოდ ხალხმრავალი ყოფილა. „ჯვარობას ჩვენი ქალ-რძალნი, — ამბობს პოეტი, — იცვამდნენ არ ავს ჯუბასა“. ეს ორი სტრიქონი ბევრს რამეს ამბობს ოჯახის დასახასიათებლად. როგორც ვთქვით, ის ხალხმრავალია, ბევრი ქალ-რძალი ჰყავს, მდიდარია, კარგად აცვიათ. და დროც თითქოს მშვიდობიანია, რაკილა ჯვარობაზე მორთულ-მოკაზმულნი მიემგზავრებიან. ცხადია, ეს მშვიდობა მეტად ხანმოკლე იქნებოდა.

გურამიშვილის ერთი ძმა შემდეგში შეგვხვდება. ამჯერად კი მასზე არაფერს ვიტყვით. აქ ჩვენ მარტო პოეტის გენეალოგია გვაინტერესებდა.

#### კვანანას ვარ უცხოა, ღაპარგული ბჰჰჰ...

ღვ  
ავარიის მთებში, ხუნძახის მხარეს არის ერთი დიდი სოფელი — უნსუქული, რომელსაც ძველად ქართველები ოსოქოლას ეძახდნენ.

დალესტნის ეს აული განთქმული იყო იმით, რომ იქ აკეთებდნენ მთელ კავკასიაში ყველაზე უკეთეს ყალიონებს. ხეზე კვეთილობის აქაურმა ოსტატებმა მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი.

ამ მიდამოებში, ოსოქოლას მახლობელ აულებში, დაიბადნენ და აღიზარდნენ დალესტნის სახელგანთქმული იმამები — ყაზი მულა და შამილი, რომელთაც მეცხრამეტე საუკუნეში ჰაზვატის მწვანე დროშა აღმართეს.

მაშინ მათ მართლაც შესძრეს მთელი მსოფლიო და თავის ვაჟ-კაცობაზე ალაპარაკეს.

მაგრამ მარტო თავისი ყალიონებით და ნაიბებით როდია ოსოქოლა ცნობილი. ამ სოფლის სახელი დარჩა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რადგან გურამიშვილმა თავისი პირველი ტყვეობის მძიმე დღეები იქ გაატარა. ეს იყო მისი ახალგაზრდობის წლებში.

მან ადრეულ სიჭაბუკეშივე გაიზიარა ბედი ტყვისა, ბედი, რომელიც ხალხმა თავის ნაღვლიან ლექსებსა და სიმღერებში არაერთგზის გამოიტერა.

ეს ლექსები აღადგენენ ისტორიას, როცა ტყვედ წაყვანილ ვაჟ-

კაცებსა და ლამაზ ქალებს დასტირიან. ისინი გვახედებენ სამშობლოს მიწას მოწყვეტილ ადამიანთა სულში, რომელთაც გურამიშვილივით საკუთარ თავზე გამოსცადეს ეპოქის ავბედითობა.

აი, როგორ ტირის ერთი ქართველი ქალი, ტყვედ წაყვანილი და თავის ტოლ-მეგობრებს მონატრებული:

მანდ რომ ქალი დავიკარგე,  
განჯას თათარსა ვყვეარო,  
დღისით მიყრია ბორკილი,  
ღამე შუაში ვწევარო.  
ტალიკ-ტალიკო ბიჭებო,  
მისადეე-მოსადეეარო,  
მოკრიფეთ თითო შაური,  
მიხსენით, თქვენი ტყვე ვარო.

ვინ მოსთვლის, რამდენი ასეთი ქალი და ვაჟი ტიროდა საუკუნეთა მანძილზე სამარყანდსა და ისპაჰანში, სტამბოლსა და ალექოში, მთელ ახლო აღმოსავლეთში.

ყველა ისინი მსხვერპლნი იყვნენ იმ გაუთავებელი ომებისა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში საქართველოს თავს ატყდებოდნენ.

მაგრამ ტყვეები მიჰყავდათ არა მარტო ომების დროს. ავაზაკები, რომლებიც ქართველ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს იტაცებდნენ — არ ცხრებოდნენ მაშინაც, როცა შედარებით მშვიდობიანი დღეები დადგებოდა ხოლმე. ისინი დაძრწოდნენ ხეობებსა და ტყეებში, შეიპარებოდნენ სოფლებში და ვისაც ხელთ მოიგდებდნენ, უმალ ტყვეთა ბაზრისაკენ გააქანებდნენ.

ირანისა და თურქეთის ხანები და ბეგებრ არა მარტო თვითონ არბევდნენ საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს, არამედ აქეზებდნენ დაღესტნელ ბეგებს და ნაიბებს, რათა ისინიც თავს დასხმოდნენ ქართველებს, აეოხრებიათ მათი სახლ-კარი, გაეწყვიტათ და ტყვედ წაეყვანათ ხალხი.

შემოსეული მტერი ცდილობდა გადაეკეტნა ხალხისათვის მთებში გასაქცევი გზაც კი და ყოველი მხრიდან სიკვდილისა და განადგურების რკალში მოემწყვდია იგი.

ვახუშტის ცნობით შაჰ-აბასმა შეუთვალა ლეკებს:

„რამეთუ ნებაგს მოწყვეტა კახეთისა და რომელნი შემოვიდნენ თქვენ კერძთა მთასა შინა, თქვენ მოსრენით და ტყვე-ყვენით იგინი და აღგავსნენ მეცა ნიჭითა“.

ეს მარტო ერთი შემთხვევაა კი არა, მათი ჩვეული ხერხი იყო, ეს იყო, ასე ვთქვათ, მათი სტრატეგია: როცა დარბეული ხალხი ბარი-

დან აიყრებოდა, ის მთას და ტყეს საიმედო თავშესაფრად ვეღარ იგულებდა. აქაც, ყოველი ხის ძირას, ყოველი ბეჭობის გადაღმა მტერი იყო ჩასაფრებული და შაჰ-აბასის ურდოს გადარჩენილი — მოთარეშე დაღესტნელის წერა ხდებოდა.

ასე იყო მე-17 საუკუნეში, როცა შაჰ-აბასმა ქართლ-კახეთი აიკლო.

მე-18 საუკუნის დასაწყისში კვლავ აივსო ჩვენი ქვეყანა ავაზაკთა ბრბოებით. საქმე უფრო ცუდად წავიდა მას შემდეგ, რაც ვახტანგ მეექვსე რუსეთში გადაიხვეწა და ქართლში თურქები დამკვიდრდნენ. უნუგეშო და შემადრწუნებელი იყო სურათი იმდროინდელი საქართველოსი. თურქის ჯარი აოხრებდა მას. ყველა ამას ზედ ემატებოდა დაღესტნელთა თარეში, რომელნიც აწიოკებდნენ არა მარტო ქართველ მოსახლეობას, არამედ ზოგჯერ თავზარსაცემდნენ საქართველოში შემოსულ თურქებსაც.

როგორც ვახუშტი და სეხნია ჩხეიძე გადმოგვცემენ, დაღესტნელებმა არაერთხელ ამოწყვიტეს ქართლში თურქები და არაერთხელ გაფანტეს მათი ლაშქარი ქართლის მინდვრებსა და ტყეებში. აქედან ჩანს, თუ რა მომძლავრებული უნდა ყოფილიყო ლეკების თარეში, როცა ისინი ნადავლის გატაცებაში თურქებსაც ეცილებოდნენ. ქართლი ისე დააცარიელესო, — გადმოგვცემს ვახუშტი, — რომ ტყვედ წასაყვანი აღარავინ იყო, თუ სადმე ვინმე გადარჩა, ისიც სიმაგრეში იყო შეფარებულიო. ასე უმწეოდ და უპატრონოდ იყო დარჩენილი ქვეყანა.

სეტიცხოველი ავაზაკთა და წარმართთა ბუნაგად იქცაო, — შესჩიოდა თავის წერილში რუსებს იმერეთის დედოფალი, — ქალსა და რძალს საღვთო ტაძარშიც კი იტაცებენ, დედებს აუპატიურებენ, ჭაბუკებსა ხოცავენ, ძუძუმწოვარნი ეროდეს სასჯელით მოსრნეს, წალკოტნი აღარ ჰყვავიან, ყანებსა და ვენახებში გლეხკაცი აღარ ჩანს; სიმღერას ვინ ჩივის, ტირილიც აღარსად ისმის, ისე გაწყვიტეს მთელი ქვეყანა. „თუ ვინმე სიკვდილისა და საფლავის ღირსნი იქნებიან, ივინიც მხეცთა მიერ ბოროტთაგან შეიკმებიანო“.\*

ამავე საშინელ სურათს ხატავს გურამიშვილიც:

მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამალად  
სულ წარიტაცეს, თუ ვინმე შამბში მოუჩაჩთ წამლად.

საგურამო მტრისთვის ყველაზე ხელმისაწვდომი იყო სათარეშოდ. სოფელს ყველა მხარეს ტყე არტყია და ისე შეუმჩნევლად შეიძლება მიეპარო, კაცი ვერაფერს მისვდება.

\* Переписка грузинских царей с российскими государями, 1861 г.  
გვ. 202.



საგურამოში, გორისუბანში ცხოვრობდა ის ოჯახი, სადაც 1705 წელს ჩვენი პოეტი დაბადებულა.

როგორც ფეოდალურ ოჯახში დამკვიდრებული ტრადიცია მოითხოვდა, ბავშვი გასაზრდელად ძიძისთვის მიუბარებიათ. ილიასა და აკაკისავით, დავითსაც გლეხის დედაკაცის ძუძუ უწოვნია. ალბათ დიდხანს დარჩენილა ძიძასთან, და სწორედ ამ პერიოდში მიუღია მას ყველაზე ღრმა შთაბეჭდილებანი; ეს ნათლად ემჩნევა მისი აზროვნების სისტემას, მის ლექსიკას. ის ერთადერთი პოეტია, რომელიც მთელი XVIII საუკუნის პოეტთა შორის ხალხის ენით წერს და გლეხკაცური ყოფის ცნებებით აზროვნებს (უფრო ვრცლად ამაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ).

ძიძისაგან დაბრუნებული, იგი თავის ოჯახში იზრდებოდა.

გურამიშვილი ცხრამეტი წლის ჭაბუკი იყო, როცა ზედაველას ბრძოლა გაიმართა, ბრძოლა, როცა ქართველებმა სცადეს წაერთმიათ თურქებისათვის გორისციხე; პოეტი მოხაწილეობას იღებდა ამ ბრძოლაში, როგორც თვითონ გადმოგვცემს. პირველი იერიში ქართველებმა წარმატებით განავითარეს, მაგრამ ბოლოს შაინც დამარცხდნენ.

საგურამოში პოეტი, როგორც ჩანს, აღარ დაბრუნებულა. ზედაველადან წამოსულს მას თავი შეუფარებია მოყვრების ოჯახში, ქსნის ხეობაში, სოფელ ლამისყანაში.

ან რალად დაბრუნდებოდა საგურამოში, როცა ახალგაზრდა ცოლი აქ, ლამისყანაში ელოდა ბრძოლის ველზე წასულ ჭაბუკს.

სწორედ აქედან, ზაფხულში, ყანების მკის დროს, ის ტყვედ წაიყვანეს ლეკებმა.

ამ ამბავს პოეტი შემდეგნაირად გადმოგვცემს:

დლით, მომკელებზე ადრე წასულა დავითი ყანაში. მომკელები შორიდან ყოფილან მოსასვლელი. ჯერ თურმე არსად ჩანდნენ. მას აუხსნია იარალი, მუხის ძირას მიუყუდებია და ხშირ ტყეში ჩასულა წყაროზე პირის დასაბანად.

რა იცოდა, რომ ამ ტყეში იყვნენ ჩასაფრებული ხუნძახელები, რომელთაც იგი ირტოზის გორიდან დაუნახავთ და შემდეგ ტყეში ჩასულან. პირის დაბანის დროს თავს დაესხნენ: დაატყვევეს, ხელები შეუკრეს და წაიყვანეს.

ამ დღიდან იწყება მისი დაუსრულებელი ხეტიალი. გზა, რომლითაც იგი ქართლიდან წაიყვანეს, ხან უღრან ტყეებს მისდევდა, ხან ციცაბოდან ჩამონგრეულ კლდეების თავზე გადადიოდა. ძალამიხდილი და სასოწარკვეთილი მიჰყვებოდა პოეტი იმ ბილიკებს უცხო ქვეყნისაკენ.

ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ ის უნსუქულში მიიყვანეს.

პოეტის ლექსებიდან ჩანს, რომ მას საშინელ პირობებში უცხოვრია. ეს ისედაც ცხადია: ახლა ის ჩვეულებრივი მონა ბუკო, რომლის არც საკმელზე და არც სასმელზე არაფერია არ იზრუნებდა.

მისი ტყვეობა მართლაც საშინელი უნდა ყოფილიყო არა მარტო იმიტომ, რომ მას ცუდად ეპყრობოდნენ, არამედ იმიტომაც, რომ თვითონ ლეკები ძალზე ლატაკები და გაპარტახებულნი იყვნენ.

უნსუქულზე უფრო ლატაკი სოფელი ძნელად შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა. მთის ქვიანი ნიადაგი, ცხადია, მათ არაფერს აძლევდა, და სოფლელებს შორი ადგილებიდან კალათებით მოჰქონდათ მიწა, რათა ნიადაგი ხელოვნურად შეექმნათ და ორიოდე მარცვალი ქერი დაეთესათ.

ლეკები ტყვეს თავის დასახსნელს სთხოვდნენ და როცა გამომხსნელი აღარავინ აღმოჩნდებოდა, მიჰყავდათ იგი ახლო აღმოსავლეთში, რომ გაეყიდათ ან კიდევ მისირის ხმალზე თუ მოზარნიშულ თეთრკონდახიან სტამბულზე გადაეცვალათ.

გურამიშვილს მახლობლებისათვის ხმის მიწოდენა არ შეეძლო, არ შეეძლო თავისიანებისათვის გაეგებინებინა თავისი ტყვეობისა და ოსოქოლაში ყოფნის ამბავი. მაშ, ცხადია, მას გამომხსნელიც არავინ აღმოუჩნდებოდა.

როგორც კი გაყიდვა დაუპირეს, გაექცათ, დაიპირეს, სცემეს და ბნელ ორმოში ჩააგდეს.

ასეთი ორმოები დაღესტანში საპყრობილეების მაგივრობას ეწეოდნენ. სინათლისა და ჰაერისათვის მათ ზემოთ პატარა ამოჭრილი ჰქონდა. ამ თავისებური საპყრობილის სურათი დახატა ლევ ტოლსტოიმ თავის „ჰაჯი-მურატში“, როცა აღწერა იუსუფის, ჰაჯი-მურატის შვილის პატიმრობა.

ბუნებრივია, რომ ის დრო, რომელმაც დავითისა და იუსუფის ტყვეობას შორის გაიარა, დაახლოებით საუკუნეზე მეტი, არაფერს შესცვლიდა ამ ორმოების მოწყობილობაში; ამიტომ ჩვენ მოვიყვანთ სათანადო ადგილებს ტოლსტოის მოთხრობიდან. მეცხრამეტე თავში ტოლსტოი აღნიშნავს, რომ აულ ვედენოში „თვრამეტი წლის ჰაბუკი იუსუფი იჯდა ბნელ, საყენზე მეტი სიღრმის ორმოში, ოთხ დამნაშავესთან ერთად“... „იჯდა მყრალ ორმოში და შესცქეროდა რა უბედურ, ჰუჭუიან, ქანცვაწყვეტილ პატიმრებს, ხშირ შემთხვევაში ერთი-მეორის მოძულე ადამიანებს, ეხარბებოდა მათი, ვინც ახლა სუნთქავდა სუფთა ჰაერით, ნეტარებდა შექვით, თავისუფლებით“... ტოლსტოი, ხატავს რა ჰაბუკის პორტრეტს, ამბობს, რომ ორმოში გდებისაგან ის „გამხდარი იყო, ფერმკრთალი, ჩამოგლე-

ჯილ-ჩამოწეწილი, მაგრამ ისევ ღამაში თავისი სხეულითა და სახით“.

იუსუფი ოთხ ღამნაშავესთან ერთად ზის, დავითი კი, როგორც მისი ლექსებიდან ჩანს, მარტო იჯდა ორმოში.

როგორ ექცეოდნენ ტყვეებს დაღესტანში — ამაზე სხვა წყაროებიც მოგვითხრობენ. გ. ლეონიძეს თავის გამოკვლევაში — „ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო“, გამოქვეყნებული აქვს ილია ორბელიანის მემუარები, რომელსაც თვითონ მკვლევარი „დავით გურამიშვილისებურ ეპოპეას“ უწოდებს. მართლაც, ეს მემუარები ნათელსა ჰფენენ ტყვის ცხოვრებას. საპყრობილის შესახებ ილია ორბელიანი წერს: „ხარო, რომელიც ბნელ დილეგად გადაგვეშალა — სიღრმით ერთი საყენი იქნებოდა... ჰაერი მხოლოდ მადლიდან ჩამოდიოდა. თვითონ ხაროს თავი გადახურული იყო ფარდულით, უკეთ საყარაულოთი, რის გამო ჰაერი უფრო გვეხუთებოდა. დღე და ღამეში ჩვენ გვაძლევდნენ სამ-სამ ხინკალს. ეს იყო მოხარშული სიმინდის ცომი, წონით ნახევარ გირვანქამდე, ყოვლად უგემური... ჩვენ არც დილა გაგვაჩნდა, არც საღამო, მხოლოდ მოლას ხმაზე ვიგებდით, რომ გათენდა, ახალი დღე იწყებოდა“.

სხვათა შორის, ილია ორბელიანმაც, დავითის მსგავსად, მოახერხა გაქცევა. ისიც ისევ დაიჭირეს. „კვლავ ძველ ხაროში მომათავსესო, — მოგვითხრობს იგი, — იმავე უზარმაზარი ჯაჭვებით კინალამ სული ამომხადეს. სხეულის ტკივილებს დაერთო სულის საშინელი შფოთვა, ნაღველი“.

საერთოდ ილია ორბელიანის ტყვეობაც, გაქცევაც და დაჭერაც ძლიერ ჰგავს გურამიშვილის თავგადასავალს. ეს, მართალია, არაპირდაპირი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი წყარო გვიადვილებს წარმოდგინოთ გურამიშვილის ტყვეობისა და გამოქცევის ისტორია.

გურამიშვილი ყოველივე ამან მაინც ვერ გასტეხა, ის მწარე ბედს არ მიწებდა და მტკიცედ გადასწყვიტა ხელმეორედ გაქცეულიყო, თუმცა ეს ადვილი საქმე არ იყო.

როგორც თვითონ გადმოგვცემს, გაქცევა სიზმარმა გააბედვინა:

ხმა მესმის ძილსა შინაო:  
„რას ხვრინავ, რასა ფშვინაო!  
აქ რას უწევხარ საძილოდ,  
რატომ არ წახვალ შინაო!“  
ფეხი წამოძვრა წყნარადა.  
ჯოხითა დამაშინაო:  
„რატომ ვერ ბედავ წასვლასა,  
აგრე რამ შეგაშინაო?“

დამაწვენელმან აქ შენმან,  
აქ აღარ დაგაწეინაო;  
მასთან გიბრძანა დაწოლა,  
ვისთანაც გაქორწინაო,  
აღექ, იარე, წაეიდეთ,  
მე წაგიძღვები წინაო.

ძნელი სათქმელია, სიზმარია ეს თუ პალუცინაცია. დიდმა დაღლილობამ, შიმშილმა იცის პალუცინაციების გამოწვევა, როცა ადამიანის თვალში წაიშლება ხოლმე საზღვარი ფანტასტიურსა და ნამდვილს შორის. ასეთი წუთები განუცდია პოეტსაც. მას ეს სიზმარი ცხადი ჰგონებია და სიზმარში ნახული ჩვენებაც რომელიღაც პატიმრად მიუღია. მაგრამ როცა მოჩვენება აფრთხილებს და ეუბნება, რომ ის მწყემსმა კეთილმა გამოგზავნა და დააბარა — ნულარ დააყოვნებ, წადი, გზას მოყვასის, დისა და ძმის ცრემლი გაგინათებს და გაგიკვალავსო, მაშინ პოეტს ეს სიზმარი რაღაც განგების ჩვენებად მიუღია და შორეული მგზავრობისათვის მზადებაც დაუწყია.

ზაფხულის დამლევს მან, როგორც იყო, კვლავ მოატყუა ლეკების სიტხიზლე და ახლა ჩრდილოეთისაკენ გაიქცა.

ლეკებს როდი ეცალათ თვალი სჭეროდათ ერთ საცოდავ ტყვეზე, — ისინი განუწყვეტელი ბრძოლით იყვნენ გართულნი.

გაქცეულ ტყვეს, ძველი სიმღერის სიტყვებით რომ ვთქვათ, მწვანე გზებით უნდა ევლო, უგზო-უკვლოდ უნდა ეხეტიალა, მისი მეგზური დღისით მზე იყო და ღამით ვარსკვლავები.

შვიდი ვარსკვლავი, რომელსაც პოეტი ახსენებს, აჩვენებდა მას გზას და უადვილებდა პოლარული ვარსკვლავის გამოცნობას.

ამ ჩრდილოეთის ვარსკვლავს, რომელიც ყველაზე უფრო მეტად ბრწყინავს ვარსკვლავთა შორის, მიანდო პოეტმა თავისი მომავალი და გეზიც მისკენ აიღო.

შუა დაღესტანში, ხრიოკ მთებში, ღამით საშინელი ავდარი წამოესწრო, ქარიშხალსა და ჭექა-ქუხილს სეტყვა მოჰყვა.

ამ დამაყრუებელ ჭექა-ქუხილს, უზარმაზარ ხანძარს, რომელიც ცაზე ინთებოდა და ყოველ წუთში მიწაზე გადმოშვებას ღამობდა, პოეტის გული უსაზღვრო შფოთვით და განგაშით აუვისია. მარტოდ-მარტო დარჩენილს ბუნების პირქუში და საზარელი მრისხანების წუთებში სეტყვის შიშით თავი სარტყელით შეუხვევია და განაბულა. უცებ ელვის შუქზე გამოქვაბული შეუნიშნავს და თავი შეუფარებია.

მორწმუნე პოეტმა აქაც ღვთის მფარველი, მადლიანი ხელი დაინახა და მოგვიანებით ლექსით მადლობა გადაუხადა განგებას გადარჩენის გამო.

ცა რომ გადაიწმინდა, გამოქვამულიდან გამოვიდა.

დალესტნის უდაბურ და უკაცურ მთებში ხეტიალმა ის საშინლად მოქანცა. მღევრის შიშით იძულებული იყო, სამი დღე შამბში წოლილიყო. გაქცევისას როგორღაც ნარმის ახალი პერანგი გაკყოლია, მუხლ-ქვევით კი დედიშობილა ყოფილა. მშიერ-მწყურვალნი, ხან ყვავისფრჩხილას სკამდა, ხანაც მკვახე კოწახურითა და ტყემლით იკვებებოდა.

მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად თუ ვისმეს ასე ცხარე ცრემლით უტირია შიმშილზე, როგორც გურამიშვილი ტირიდა.

იგი ევედრებოდა ცისკარს, მზის ნათელ შარავანდელს და ღვთისმშობელს:

პური არა მაქვს, მიბოძე,  
მშიან, მაკამეო!  
ჩენი შენგნით მოცემული  
რად დამიბალეო?  
დღეს სადილად არა მაქვს-რა,  
გამომიჩინეო;  
დავიკრიფე ყოვისფრჩხილა  
და ისი ვკამეო.

და შემდეგ:

ვიქცევი, ქვესკნელს ვარდები,  
მისვეტ-მიბოძეო...  
...მოდი, გამმართე წელ-გულში,  
სულ დავიბლუნძეო...  
...კიდევ შემოსე, სიცივით  
სულ ვკრკი ამ ღამეო,  
ბალა-ჩალაში დავსძერები,  
ვითა ღალღა მეო.

ასე იარა მან თერთმეტი დღე, ხოლო მეთორმეტე დღეს უკუალო მდინარის პირს მიაღწა.

შიშით და იმედით დადგა ფეხი დავითმა ჩრდილო კავკასიის მიწაზე.

მდინარის გაღმა ხალხი დაინახა, მაგრამ ვერ გაბედა შეძრახებოდა მათ, ვერ გაბედა ხალხში გამოჩენა. ეს დღეც ისე დააღამა, რომ ჩალიანიდან არ გამოსულა.

უძილოდ გატარებული ღამის შემდეგ დილით ბაღნარს წააწყდა. ბარაქით სავსე შემოდგომა უხვად გაუმასპინძლდა დაქანცულ, შიმშილით ღონეგამოლეულ ტყვეს.

ამ წუთებში გურამიშვილმა, პირველად ქართლიდან ტყვედ წამოყვანის შემდეგ, მუეძინთა გაბმული ძახილის ნაცვლად გაიგონა ეკლესიის ზარების რეკვა.

მიხვდა, რომ უკვე გადაარჩენილია, უკვე სამშვიდობოსაა გასული. მაგრამ გამახვილებულმა და გაზვიადებულმა ეკვიანობამ ერთხელ კიდევ მოაგონა, რომ სიფრთხილე იყო საჭირო, ერთი წუთით გაურბინა ფიქრმა, შეიძლება ეს ყველაფერი მოჩვენება იყოსო. მით უმეტეს შეაშინა ხალხის ჩაცმულობამ, რომელიც შორიდან რაღაც ფანტასტიკურად ეჩვენებოდა. ქალების თავის მოსართავი და სამკაული თითქოს დევის რქებსაც მიაშგავსა, მაგრამ ახლა არჩევანისა და ყოყმანის დრო აღარ იყო. გავიდა ბაღებიდან და მიუახლოვდა ადამიანებს, რომელნიც კალსა ლეწავდნენ.

კალოზე მომუშავეებს გრძელი პერანგები ეცვათ, ყელზე ჯვრები ეკიდათ. დავითი მიუახლოვდა ერთ მათგანს, ჯვარზე ემთხვია და პირჯვრის წერა დაიწყო. ხანგრძლივი ხეტიალისა და შიმშილის შემდეგ, ალბათ, საშინელი გამომეტყველება უნდა ჰქონოდა, რომ რუსებმა სიტყვის თქმაც აღარ დააცალეს და მაშინვე პური მიაწოდეს.

«— Лазарь, дай-ка парню хлеба», ეს რომ გაიგონა დავითმა, მიხვდა, რუსებში იყო. სიხარულით მუხლებმა კანკალი დაუწყო:

„ხლება“ რა მესმა, დამეცა  
მე სიხარულით თავზარი,  
მუხლებმა რყევა დამიწყეს,  
ზე ტანმა შექმნა ზანზარი,  
ველარ დაიგნეს სვეტებმა  
და ვარდაიქა ტაძარი.

რუსულად „ხლება“ პურს ერქვა,  
უწინვე გამეგონაო;  
სანამდე ის არ ახსენეს,  
მე რუსი არ მეგონაო,  
რა რომ თქვეს პურის სახელი,  
მე იმან მომიფონაო;  
ამ სიხარულმა დამშალა  
ჯავრით შეკრული კონაო.

სიხარულმა დაშალა კაცი; მანამდე ის ჯავრისაგან შეკრული იყო და გაკაყებულის, ჯოჯოხეთი გამოიარა და ყველაფერი დასძლია; აქ კი ერთმა სიტყვამ წააქცია. აბა ერთი დაუკვირდით ადამიანური სიკეთის რა მაღლი ტრიალებს გურამიშვილის ამ სტრიქონებში! ტყვიას გამოქცეულს პური მიაწოდეს და ადამიანმა უცებ იგრძნო, რომ

კვლავ არის ქვეყნად სიკეთე, სათნოება, ისევ კრთის მათი მადლის შუქი, „რამეთუ მშობდა და მეციით მე ჰამადი; მწყუროდა და მასვიით მე; უცხო ვიყავ და შემინახეთ მე; შიშველ ვიყავ და შემმოსეთ მე; სნეული ვიყავ და მომხედეთ მე; საპყრობელესა ვიყავ და მოხვედით ჩემდა“.

დავით გურამიშვილს ეს სათნოება გულის ფიცარზე ეწერა და მომავალსაც ეს დაუგლო ანდერძად:

ეეო, მეო, აქეთ მომხედო,  
მცან, მე ვარ შენი მოყვარე, მე შენ გიყვარდო.  
ნურასოდეს დამივიწყებ, მუდამ გახსოვდო.  
მაგ ჩემს წერილსა წიგნებსა, წაიკითხავდო,  
რაც რომ ანდერძად დამეგდოს, აღასრულებდო.  
ღარიბს აკმევედ, მშვიერსა, მწყურვალს ასმევედო,  
შიშველს შემოსდე, უძლურსა, სნეულს ნახევედო,  
საპყრობილეში მქუნვარსა ნუგეშსა სცემდო,  
პატიმარს, ტყვესა უცხოსა, შეიწყნარებდო,  
ასეთი სახით მეჩვენე, განახო, მამწონდო.

ჩვენ ხშირად ვაზვიადებთ ხოლმე-ძველი და ახალი აღთქმის წიგნების გავლენას გურამიშვილის პოეზიაზე. სინამდვილეში კი, როგორც ახლა ვნახეთ, ის თავისი გულით განცდილსა წერს და ამიტომ ასე ძლიერად შესძრავს ხოლმე ადამიანის სულს. ის ქვეშაირტირეალისტია. ასეთია ის ამ სიენაშიც, როცა რუსების კალოზე მიდის და მეკალოენი მას პურს გაუწვდიან. რომელი ადამიანის გული არ აუთრთოლებია ამ სურათს, მაგრამ ყველაზე კარგად გრძნობა, რომელსაც ეს ეპიზოდი იწვევს, გამოხატა რუსმა მწერალმა ანატოლი ტარასენკოვმა, როცა შემდეგი სტრიქონები დაწერა:

„ახლა, დავით გურამიშვილის მიერ აღწერილი მოვლენებიდან ორ საუკუნეზე მეტი ხნის გავლის შემდეგ, როდესაც ვკითხულობ სიტყვა „ხლებს“, რომელიც გატანჯულმა, მშვიერმა, ღონემიხდილმა გურამიშვილმა გაიგონა რუსულად, რუსულ სოფელში, სადაც იგი მოხვდა ტყვეობიდან გაქცევის შემდეგ, სიხარულის ცრემლები მებჯინება ყელში. და ეს ცრემლები გასაგებს ხდიან, აახლოვებენ ჩემთან სხვა ეროვნების, სხვა კულტურის, სხვა და ასე შორეული საუკუნის ადამიანის ბედსა და განცდას. ხომ ამაში არის ხელოვნების მეტად ხანგრძლივი სიციოცხლის საიდუმლოებაც, ხელოვნებისა, რომელიც მიდის წინ, „საუკუნეთა ქედებზე“ და „პოეტებისა და მთავრობების“ თავებზე გადაბიჯებით“.

მაგრამ გავყვეთ ისევ პოეტის ბიოგრაფიას.

კალოზე მისული პოეტი რომელიდაც ყაზახმა შვილივით გადაჰ-

კოცნა და, მისი საცოდაობით დამწვარმა, ცხარე ცრემლით იტირა. დავითს სასწრაფოდ თარჯიმანიც უშოვეს, ერთი გადაკარგული ფხოველი, სახელად იანვარა, რომელიც, ალბათ, თვითონაც ტყვეობიდან იყო გაქცეული.

ტყვე-ყოფილი ჯერ ეკლესიაში წაიყვანეს, მერე სამდივნოში მიიხმეს და თავგადასავალი აამბობინეს.

თერგის მიდამოებიდან დავითი სოლალისაკენ წავიდა, იქიდან ასტრახანში. ამ ადგილებში ის, ალბათ, მრავალ ქართველს შეხვდა და მათი შემწეობით გაიგებდა, სად იყო იმჟამად ვახტანგ მეექვსე და რა ბედი ეწვია მასთან ერთად წასულ ქართველებს, რომელთა შორის მრავალი მისი ნაცნობი და მახლობელი ერი.

ასე იხსნა მან თავი ტყვეობიდან. ამიერიდან მას სტამბოლსა თუ ალექსანდრეში უსახელოდ და სამუდამოდ დაკარგვა აღარ ეწერა.

#### რამდენ ხანს იმყოფებოდა კონატი აპარიის მთავარში\*

ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევართა შორის რატომღაც განმტკიცებულია შეხედულება, თითქოს დავით გურამიშვილის ტყვეობა დაღესტანში საკმაოდ ხანგრძლივი იყო და პოეტმა აულ უნსუქულში გაატარა ორი ან ერთი წელიწადი მაინც. უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში საბჭოთა მკვლევარებმა არქივებში აღმოაჩინეს მრავალი ახალი მასალა, რომლებიც ასახვენ დავით გურამიშვილის ბიოგრაფიის სხვადასხვა ეტაპებს და უუქსა ჰფენენ მრავალ ბნელით მოცულ საკითხს. ამ მხრივ გურამიშვილის ცხოვრების შესწავლის საქმე დიდად წავიდა წინ.

მიუხედავად ამისა, ლამისყანაში პოეტის დატყვევების თარიღი და ლეკებთან ტყვეობაში ყოფნის დრო ჯერაც არ არის დადგენილი. ამასთანავე, ძნელი წარმოსადგენია, რომ დავით გურამიშვილის დაღესტანში ყოფნის შესახებ რაიმე ახალი ისტორიული საბუთი

---

\* მონოგრაფიის ეს თავი, რომელიც მიზნად ისახავს გაარკვიოს დავით გურამიშვილის პირველი დატყვევების და ტყვეობიდან გამოქცევის თარიღები — დაწერილია სიმონ ჩიქოვანთან ერთად. ამ წერილის პირველი ვარიანტი გამოქვეყნებული იყო „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე (1955 წ. № 25). მას შემდეგ საკმაო ხანი გავიდა, გურამიშვილის იუბილეს დღეებში ზოგი ახალი დოკუმენტი გამოქვეყნდა და ჩვენც ამის საფუძველზე ზოგი რამის გადასინჯვა მოვიხსნა, უცვლელად დავტოვეთ რა ჩვენი იმდროინდელი წერილის ძირითადი დებულება იმის შესახებ, რომ გურამიშვილი დაღესტნელთა ტყვეობაში ერთ ზაფხულზე მეტხანს არ ღარჩენილა. გ. ნ.



აღმოჩნდეს და იქაური მისი ცხოვრება ახალი მასალების მიხედვით ნათლად იქნეს გაშუქებული. მტაცებლები ტყვედ წაყვანილთა სიებს არ ადგენდნენ და მოტაცებულ ადამიანთა რეგისტრაციაც არ ხდებოდა. მაშინდელ საქართველოში ლეკების მიერ ქალებისა და ვაჟების გატაცება თითქმის ყოველდღიური უბედურება იყო. ლეკთაგან დავით გურამიშვილის დატყვევება რაღაც უჩვეულო უბედურ შემთხვევას არ წარმოადგენდა.

გასაგებია, რომ სოფლიდან, სადაც მრავალი ხალხი ირევა, ადამიანის გატაცება ძნელია. ამიტომ მოთარეშენი ტყვეს მაშინ წაიყვანდნენ, როცა მინდვრად, სამუშაოზე მყოფს დაიმარტოხელებდნენ ხოლმე. ზაფხულის დღეებში სამუშაოდ გამოსული მრავალი ქართველი გაუტაციათ ლეკებს და შემდეგ ისინი ყირიმსა და ოსმალეთში გაუყიდიათ. იმდროინდელ ხალხურ ლექსში ნათქვამია: „ლეკებმა რომ დამიჭირეს, დამდეგ იყო მკათათვისაო“. ეს ლექსი დავით გურამიშვილის ბედში მყოფ ადამიანს შეუთხზავს ტყვეობაში, შემდეგ გამოქცეულა და თავის საშობლოს წიაღში დაბრუნებულა. საერთოდ ხალხური ლექსები დატყვევების ზოგად სურათს გადმოგვცემენ და ხსენებულ უბედურებას ყოველდღიურობის ელფერს აძლევენ.

ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია, რომ დავით გურამიშვილის მოტაცებისა და მისი ტყვეობიდან გამოპარვის თარიღი საარქივო მასალებში არსად არ იქნება აღნიშნული; თვით დავით გურამიშვილმაც ეს თარიღი თავის პოემაში მკაფიოდ არ აღნიშნა, ხოლო შეიღწლიან ომში პრუსიელებმა კიუსტრინთან ტყვედ რომ წაიყვანეს, ამ ამბის აღწერასთან ერთად დატყვევების თარიღიც ზუსტად დაასახელა: „ორმოც-თვრამეტს ბრუსმან დაგვეკრა, თავსა დაგვახვივა რეტი, მე ჩემს ძმებსა დამაშორა, ლუწისაგან დავრჩი კენტი, მალდებურხის ციხეშიგან დამსვა კარებ დანაკლეთი“.

გურამიშვილს ასე ზუსტად რომ არ დაესახელებინა მეორედ მისი დატყვევების თარიღი, ჰუსართა ქართული პოლკის არქივებში აღმოჩენილი მასალების მიხედვით მაინც შეიძლებოდა გაგვერკვია შეიღწლიან ომში მონაწილე პოეტის დატყვევების დრო და ადგილი. ხოლო, როგორც ვთქვით, ლეკთაგან დატყვევების თარიღი არც „დავითიანშია“ აღნიშნული და ამ საკითხზე ზუსტი საარქივო მასალების მოპოვების შესაძლებლობაც გამორიცხებულია. თუ რამდენი ხანი დაჰყო დავით გურამიშვილმა ლეკებთან ტყვეობაში, როდის მოხდა ზუსტად მისი დატყვევება, ისტორიული საბუთების უქონლობის გამო, დღემდე გაურკვეველია.

ამ საკითხის გასარკვევად ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ პოემა

„ქართლის ჭირში“ გაბნეული ავტობიოგრაფიული ცნობები და ის პირადული ხასიათის ლირიკული საგალობლები, რომელიც „ქართლის ჭირში“ სწორედ ამ ადგილასაა ჩართული და რომლებსაც პირობითად შეიძლება „დაღესტნური ციკლი“ ვუწოდოთ. ამ ციკლში შედის ლექსები „დავით გურამისშვილის ლექთაგან დატყობა“, „ოდეს დატყობულმან უსჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ვეღარა ნახა, იმისი მოთქმა დავითისაგან“, „ოდეს დავითს ტყვეობასა შინა სციოდა და მზე ღრუბლის გამო თვალით არა ჩნდა, იმაზე თქმული“, „მზეთა-მზის ვედრება დავითისაგან“, „სვინიდიის მხილება დავითისა, ოდეს დატყობულმან გამოპარვა გაივლო გულში“, „სწავლა თავის გაფრთხილებისა და შორს წასვლაზე მზადყოფნისა“, „ლოცვა, ოდეს დავითს ტყვეობასა შინა მოშივდა და ღმერთს პური სთხოვა“, „სამების ვედრება: გზის წარმართვის თხოვნა დავითისაგან“, „სიზმარი დავით გურამისშვილისა ტყვეობასა შინა“, „ტყვეობითგან გაპარვა დავითისა“ და სხვ.

ზემოხსენებული საკითხების დაახლოებით გარკვევა მხოლოდ და მხოლოდ დავით გურამისშვილის ამ ნაწერებზე ღრმა დაკვირვებით და მათი ანალიზის შედეგად შეიძლება. დავით გურამისშვილი უაღრესად რეალისტი პოეტია. იმდროინდელი საქართველოს „ბედის ტრიალი“ და თავისი ცხოვრება მან დიდი დრამატიზმითა და პოეტური გაქანებით დაგვიხატა. ეს დრამატული სიმძაფრე და ლირიკული დაღადისი მას ხელს არ უშლიდა ისტორიული სინამდვილე ზემომიწვევით სიზუსტით აესახა და პირად ცხოვრებაში გამოვლილი დრამატული ეპიზოდები ორგანულად ჩაექსოვა ქართველი ხალხის ცხოვრების მაჩვენებელ პოეტურ სურათებში. გურამისშვილის ეპიკურ თუ ლირიკულ აღსარებებში გაბნეულია ჩვენი ხალხის მაშინდელი ყოფაცხოვრების ამსახველი ისეთი დეტალები, რომ მათი მიხედვით შესაძლებელია იმდროინდელი საქართველოს საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების დამახასიათებელი თვისებების გარკვევა და დადგენა.

ამიტომაც „დავითიანში“ გაბნეულ მასალებზე დაკვირვებით შეიძლება ჩვენი საყვარელი პოეტის დაღესტანში ყოფნის დროც უფრო ზუსტად იქნეს განსაზღვრული და მისი დატყვევების წელიც დადგენილი.

როგორც დავითი პოემა „ქართლის ჭირში“ გვატყობინებს, მისი დატყვევება მომხდარა იმ დღეს, როდესაც „მკას უპირებდით ყანასა“. პოეტი მოგვითხრობს: „დილაზე ავდექ, წინაწინ წაველ კაცითა ორითა... არ შეყრილიყო ჯერ მუშა, იყვნენ მოსასვლელ შორითა, ჩვენ თურმე გვნახეს. მოგვმართეს ლექთა ირტოზის გორითა“. შემ-

დევ, როგორც ცნობილია, ქსნის ჭალაში რომ დავითი თავის მხლებლებს (ზემოთ ხსენებულ ორ კაცს) დაშორდა, ხმალი და თოფი მუხის ძირას მიაჭუდა და წყაროზე პირის ბანა დაიწყო, ჩასაფრებული ლეკები გამოცვიდნენ, უიარაღო დავითი შეიპყრეს და გააქანეს დაღესტნისაკენ. ლეკებმა ნადავლით ალბათ გზად ჩაუარეს დუშეთს, იქიდან გადავიდნენ კახეთში, გადასჭრეს იგი და მესამე ღღესვე, ყოველ შემთხვევაში, არაუგვიანეს მეოთხე დღისა, დაღესტანში იყვნენ.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ დავითი დაუტყვევებით იმ დროს, როცა ქართლში ყანები გაიჭრება ხოლმე, ე. ი. ივლისის პირველ რიცხვებში. ამ დროს დავით გურამიშვილი ოცდასამი წლის მოწიფული ვაჟკაცი ყოფილა, კარგი მეომარი და მტკიცე ნებისყოფის მხედარი. ტყვეობაში ბევრჯერ უნატრია „საჭურველი სამხედრონი“, რადგან იმ ხანებში თურმე „მტერს ხმალსა სცემდა უშიშრად“. ამ დროს მას თოფისწამლის სუნიც ნაყნოსი ჰქონდა და მძაფრი იერიშების, ხელჩართული ბრძოლების განსაცდელიც გამოეწო. საბრძოლო ნათლობა მან ხომ ჯერ ისევ ცხრამეტი წლის ჰაბუტემა მიიღო ზედაველასთან, ატენსა და ხიდისთავს შუა, როცა ქართველებმა სცადეს თურქები გორის მიდამოებიდან გაედევნათ. უდავოდ სწორია ალ. ბარამიძის ვარაუდი, როცა იგი დავითს ამ ბრძოლის მონაწილედ აღიარებს; და საერთოდ დაკვირვება მთელ მის ცხოვრებაზე ნათელყოფს, რომ დავითი საოცრად მამაცი მხედარი ყოფილა. ამას ჰუსართა პოლკის ახლახან გამოქვეყნებული არქივის მასალებიც ადასტურებენ.

მსგავსად გრ. ორბელიანისა, მან არ იცოდა, რა იყო შიში და უკანდახვევა საფრთხის წინაშე. ასეთი სულის კაცი, გასაგებია, რამ ბედს იოლად არ შეუირიდებოდა. აკი ამიტომაც დაღესტნის ტყვეობაშიც ის გამოთქვამდა სინანულს, რომ ხმალი და თოფი მუხის ძირას მიყუდებული დარჩა და საშუალება არ მიეცა მარტო შებრძოლებოდა თხუთმეტ ავაზაკს. ბედს იგი არც ტყვეობაში დამორჩილება და იქიდან მაშინვე გაპარულა, მაგრამ დაუჭერიათ, და როგორც თვითონ გვატყობინებს, გაუპაღურებიათ („რად წახველო, დამპაღურეს“). დავითის პირველი გაპარვა დაღესტანში ჩასვლისთანავე მომხდარა, რადგან, როგორც პოეტი ამბობს, გამტაცებლებმა „უსასყიდლოდ მიღებული გასასყიდად დამაშურესო“, ე. ი. გამტაცებლებს გადაუწყვეტიათ დავითის მაშინვე გაყიდვა და კარგი ფასის აღება. დავითი მიმხვდარა მათ განზრახვას და მაშინვე გაპარულა, მაგრამ ეს პირველი ცდა, როგორც ვთქვით, მარცხით დამთავრებულა. დავითი ამ პირველი მარცხის გამო თავის უბედურებას არ შე-

ჩივებოა და რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ გაპარულა. როგორც ვიცით, ეს მეორე ცდა გამარჯვებით დამთავრდა და იგი გავიდა „საჩუქეთოში“.

ზემოთმოყვანილ ცნობებში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გურამიშვილის ცნობა, რომ „გასასყიდად დამაშურესო“. აქედან ჩანს, რომ გამტაცებლები დავით გურამიშვილს თავისთან მონად დატოვებას კი არ უპირებდნენ, არამედ მისი საჩქაროდ გაყიდვა განეზრახათ. დავითის მეორე გაპარვაც ალბათ იმან დააჩქარა, რომ გამტაცებლებს დავით გურამიშვილი ხელმეორედ უნდა წაეყვანათ გასასყიდად. ეტყობა, მათ ტყვის შენახვა დიდხანს არ უნდოდათ, ეს მათთვის ხელსაყრელიც არ უნდა ყოფილიყო. თვითონვე ნახეს, რომ ტყვემ ერთხელ უკვე სცადა მათი კლანჭებიდან თავის დაღწევა და ხაროში უსაქმოდ მისი შენახვა გამტაცებლებისათვის სასარგებლო არ უნდა ყოფილიყო. როგორ შეიძლებოდა ასეთი ტყვე ერთ ან ორ წელიწადს ხაროში შეენახათ და მერე, გამოლასლასებული, გასასყიდად გაეყვანათ?! გამტაცებლების ანგარიში ამგვარი ვერ იქნებოდა. მათი სურვილი იყო ფული აეღოთ და ტყვე თავიდან მოეშორებინათ. გამტაცებლებისათვის მატერიალურად არ იქნებოდა ხელსაყრელი ყოველ წუთს გასაქცევად გამზადებული ტყვისათვის ერთი თუ ორი წლის განმავლობაში თვალყურის დევნება და ყარაულობა.

ამრიგად, წარმოუდგენელია მთელ ერთ წელიწადს და, მით უმეტეს, ორ წელიწადს დავით გურამიშვილი ლეკებს გაეჩერებინათ თავიანთ სამყოფელოში, ან ხაროში ჰყოლოდათ. უფრო საფიქრებელია, რომ ლეკებმა ვერ მოასწრეს დავით გურამიშვილის მეორედ გაყვანა გასასყიდად. პირველად თუ გასასყიდად დამაშურეს, ე. ი. საჩქაროდ გაყიდვა მოუნდომეს, როგორც დავითი გვატყობინებს თავის აღსარებაში, მეორედ დავითმა მათი განზრახვის სისრულეში მოყვანას არ დაუცადა, ჩვენი დაკვირვებით, იგი იმავე წლის აგვისტოში ტყვეობიდან გაიქცა.

დავით გურამიშვილის აღწერით, როგორც დატყვევება, ისე ტყვეობიდან ეს მეორე გაპარვაც, რომელიც გამარჯვებით დავიკვირვებინდა, მომხდარა ზაფხულში. მას, ჩრდილოეთის ვარსკვლავს მინდობილს, თერგის მიმართულებით გეზი აუღია და უგზო-უკვლოდ უვლია ცამეტ დღეს. „წინ გზის შეკვრის შიშითა“ პოეტს დღისით წასვლა ვერ გაუბედავს, ჯაგებში და შამბნარში, „როგორც ნიბლია ძვრებოდა“ და ტყე-ღრეში, მალულად მგზავრობით ნიულწევია კაზაკების სოფლამდე. ტანისამოსი შემოფლეთია და „ფეხები მქონდა შიშველი“, მოგვითხრობს ავტორი. გზაში შვიდი ტყემლით

მუთი დღე უცხოვრია, შემდეგ „მოუწევარი კვინჩხი“ და „მკვახე კოწახური“ უქამია. ამის შემდეგ გზაში უპოვია ორი კიტრი და სიცხით დამკვანარი ნახევარი საზამთრო: „საზამთრო სიცხით დამკვანარი ხელში მეჩვენა მე ცხლადაო“. პოეტი შემდეგ გზაში მოულოდნელად წაწყდომია ალაგს „ტურფასა, ლამაზიანსა, მსხმოიარესა ბაღნარსა, ატმინს და ვაზიანსა“. და პოეტი გვატყობინებს, რომ „აღმოვირებე ყურძნითა, მოვრჩი შიმშილსა, წყურვილსაო... მას ბაღში ხილი დავკრიფე, საგზალი მოვიმზადეო, ზოგი უბეში ჩავიწყვე, ზოგი კალთაში ჩავდეო“. მერე პოეტი ჩალიანში ჩაწოლილა, იქ კოლოები დასევია და მოულოდნელად ისევ გამწარებულა საგზლის შოვნით კმაყოფილი დავითი.

ამრიგად, ამ აღწერიდან გამორკვეულია, რომ როდესაც დავით გურამიშვილი, ტყვეობიდან გამოპარული, რუსეთისაკენ მიემშრებოდა, ჯერ ისევ ზაფხული იყო, ყურძენი, საზამთრო და სხვა ხილი ჯერე მომწიფებული იყო, ხოლო კვინჩხი — მოუწევარი და კოწახური — მკვახე. თუ კოწახური და კვინჩხი მკვახე იყო, ხოლო ყურძენი დაშაქრებული და საზამთროც დამწიფებული, დავითი ტყვეობიდან აგვისტოს პირველ ნახევარში გაპარულა და თერგისკენ მიმავალი პოეტი გზაში აგვისტოს შემწიფებულ ბუნებას თავისი ნაყოფით უსაზრდოებია. მაშასადამე, დავით გურამიშვილი ტყვეობიდან იმავე წელს, იმავე ზაფხულში გაპარულა და დაახლოებით აგვისტოს შუა რიცხვებში მიუღწევია კახაეების სოფელში.

მაგრამ შეიძლება ჩვენმა მკვლევარებმა და მკითხველებმა სამართლიანი ეჭვი გამოთქვან ასეთი დასკვნის გამო; ისინი შეიძლება დაგვეთანხმონ, რომ დავითი მართლაც ზაფხულში გამოიპარა ტყვეობიდან, მაგრამ ყოველივე ეს შეიძლება მომხდარიყო დატყვევების მეორე თუ მესამე წლის ზაფხულში. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მტაცებლებისათვის მატერიალურად არ იყო სასარგებლო ტყვე დავით გურამიშვილის უსაქმოდ ერთი ან ორი წლით შენახვა, მისი მოვლა და თვალყურის დევნება. ამის გარდა, ძლიერ საყურადღებოა ის მოვლენაც, რომ დავით გურამიშვილის ნაწერებში ტყვეობაში გატარებული დროის მონაკვეთის აღწერაში ზამთარი არსად არ გვევლინება, როგორც მოქმედი პირი. თუ დავაკვირდებით დავით გურამიშვილის ნაწერებში დატყვევების უკვიდან ტყვეობაში გატარებულ და შემდეგ გზაში აღწერილ ბუნების სურათებს, ამ ბუნებიდან გამოწვეულ შთაბეჭდილებებს, ამ დროის მონაკვეთზე დაბადებულ ლირიკულ განწყობილებებს, დავრწმუნდებით, რომ ბუნებაში მისი თანამგზავრი მოქმედი პირი ყოფილა ზაფხული და მას დაღესტანში არც ერთი ზამთარი არ გაუტარებია.

საერთოდ იგი დაღესტანში დიდხანს არ დარჩენილა. როგორც ითქვა, შეპყრობიდან სარუსეთოში გადასვლამდე, მხოლოდ ზაფხულის ბუნება და ზაფხულის ბუნების მოვლენებია აღწერილი „დავითიანში“. გზაზე მეხი, ქუხილის ისარი, ელვა და სეტყვა მიჰყვება ჩრდილოეთისაკენ მიმავალ პოეტს და ყველა ეს მხოლოდ ზაფხულის მანიშნებელი მოვლენებია. პოემის ეპიკურ-ნაწილში მხოლოდ ზაფხულის მოვლენებია აღწერილი. ხაროში დამწყვედეულ პოეტს რომ დაღესტანში ერთი სუსხიანი ზამთარი მაინც გაეტარებინა, არ შეიძლებოდა მის ლირიკულ ღალადისში სადრე არ შექრილიყო იგი და პოეტს ჩვენთვის არ გაეზიარებინა ტყვეობაში გაგონილი, ხეობაში ჩამოსული ზეავის ხმაური. ზამთრის ბუნების სურათი დავით გურამიშვილს არ გამოარჩებოდა თავის პოეზიაში. მას უყვარდა ზამთარ-ზაფხულის კიდილის აღწერა და, საერთოდ, წელიწადის ამა თუ იმ დროის მოქმედ პირად გამოყვანა. იგი დიდი რეალისტი იყო და რომ დაღესტანში მთელი წელიწადი დარჩენილიყო, ბევრ რამეს გვეტყოდა გაძარცვულ ბუნებაზე და ტყვეობაში გატარებულ სუსხიან ზამთარზე. ტყვეობაში ზამთრის ამგვარი უგულვებელყოფა იმას ნიშნავს, რომ პოეტს დაღესტანის ზამთარი არ უნახავს და ამიტომაც არ აღწერია.

იქნებ აქაც შემოგვედაონ — ზამთარი როგორ არ აღწერილია, — და იმის დასამტკიცებლად, რომ დავითმა ერთი ზამთარი მაინც დაჰყო დაღესტანში, არგუმენტებად მოიყვანონ ადგილები პოეტის დაღესტნური ციკლიდან, სადაც დავითი ქარბუქსა და ყინვას უჩივის. აი, მაგალითად, ლექსი „ოდეს დავითს ტყვეობასა შინა სციოდა და მზე ღრუბლის გამო თეალით არა ჩნდა, იმაზე თქმული“. ამ-ლექსში ვკითხულობთ:

გზა შედომილი ვრონიებ,  
 მახრობს ქარი და ბუქია,  
 მასხია ცივი ნაბალი,  
 არა მაქვს თბილი ქურქია.

იმავე ლექსში პოეტი ევედრება განთიადის ვარსკვლავს:

მე ყინვისაგან დამძრალი,  
 გენუკი დასათბობელად.  
 გემუდარები, ნუ გამხდი  
 ცეცხლზედა დასართობელად.

ლექსში „მზეთა-მზის ვედრება ზავეითისაგან“ ვკითხულობთ:

მზევი სიშორითა შენითა  
ესტირ გულზე კენესით, ქშენითა;  
ყინვა მკლავს და მარჩობს ბუქი,  
განმათბე, მომფინე შუქი.

რით უნდა აიხსნას ეს მოთქმა და ჩივილი ყინვაზე, ქარბუქზე, სიცივეზე?

ჩვენ ზემოთ მოყვანილი ლექსის სათაურში ცალკე სიტყვებს ხაზი გავუსვით, იმიტომ, რომ სათაურიდანაც კი ჩანს, ცივა არა იმიტომ, რომ ზამთარია, არამედ იმიტომ, რომ „მზე ღრუბლის გამო თვალით არა ჩანს“. განა საკვირველია, რომ ალპიურ ზონაში, სადაც ზაფხულში ღამით ძალზე აცივდება ხოლმე, საშინელ ავდარში ტანსაცმელშემოფლეთილ კაცს შესცივნოდა? ლექსში „გალობა“ პოეტი ევედრება ღმერთს: „კიდევ შემოსე, სიცივით სულ ვკრკი ამ ღამეო, ბალა-ჩალაში დავსძვრები, ვითა ღალღა მეო“. ერთი სიტყვით, აქ ალპიური ზაფხულის ღამის და ავდრიანი დღეების სიცივეებზეა ლაპარაკი. ვისაც კავკასიონის მთებში უვლია — მისთვის აქ საკვირველი და გაუგებარი არაფერი იქნება. თვით მოწმენდილ დღესაც საღამომობით იქ ისე აცივდება ხოლმე, რომ ნაბადს მოაძებნიანებს კაცს და ცეცხლისპირას ჯდომას მონატრებს.

ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ეს სულ ზაფხულის შთაბეჭდილებებია და, მაშასადამე, ისევ იმ დასკვნამდე მივდივართ: პოეტს დაღესტანში ერთ ზაფხულზე მეტი არ გაუტარებია.

მაგრამ რაღა შორს წავიდეთ — აი, დაღესტნის ზაფხული, აღწერილი გრ. ორბელიანის მიერ.

ივნისში პოეტი წერს:

„აქ: ქუთიშის მთაზე ჯერ ისევ ცივა... თქვენ კი თბილისში, მგონია ნატრულობთ სიგრილესა“.

ივლისში კვლავ იმეორებს: „დიდად ცივა აქა“.

აგვისტოში სიცივეზე წუხს: „რამდენიმე თბილი წინდები გამომიგზავნე, აქ ძალიან ცივა, სულ ღრუბელია და წვიმა“.

როცა შამილის ჯარებმა წინანდლიდან, ჰავჭავაძის ოჯახიდან ქალები და ბავშვები ტყვედ წაიყვანეს და ვედენოში, იმამის სერალში მოათავსეს, გრ. ორბელიანის საფიქრალი სულ ის იყო, რომ ტყვეები, პირველ ხანებში, ვიდრე მათ გამოიხსნიდნენ, სიცივისაგან მაინც დაეფარა. აგვისტოში ის სწერდა დიმიტრი ჯორჯაძეს:

„რაღა გეხვეწო, ჩემო დიმიტრი, რომ ტანისამოსი ბლომად გაუგზავნო საბრალთა, მეტადრე თბილი და თბილი. ბაშმაკები რათ უნდოთ, ან რას გამოადგებათ ტალახებში და სიცივეში? გაუგზავნე თბილი ბოტინკები და კალოშები, ყელგრძელიანი წინდები, ფლანე-

ლი გაუგზავნე, რომ თბილად გაახვევენ ყმაწვილებსა და თვითონაც დათბებათ“...

იმავე წერილში კვლავ იმეორებს:

„თბილი წამოსასხმელი რამე შეაკერვინე ბეწვეული... და გაუგზავნე... სიცივით იხოცებიან“.

ეს აგვისტოში ხდება და ისიც არა კლდე-ღრეებში, სადაც ოდესღაც გაქცეული გურამიშვილი აფარებდა თავს, არამედ დაღესტნის იმაშის სასახლეში.

ქვემოთ მოყვანილი სტრიქონებიც აგვისტოშია დაწერილი:

„ვდგევარ მალალ ქუთიშის მთაზე, სადაცა ნისლი, სიცივე, წვიმა მოუწყვეტელია. ხანდიხან მზეც დაგვენახვება, მხოლოდ იმისათვის, რომ ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ სადმე ქვეყანაზე ანათებს მზე“.

და, აი, ერთი ამონაწერიც გრ. ორბელიანის ბარათიდან:

„ოდეს ძლივს მოვადწიე სოფელ ოღლის. გაციებულ-დათოვლილი, მოკანკან-მობუზვილი. შენ მანდა გწეავს ზაქათლის მზე, მე აქა სიცივით ვიყინები. მახლას, აზია! აბა, რა დროს თოვლია; 27 აგვისტოსა? (იხ. გრ. ორბელიანი — წერილები, ტ. II, ა. გაწერელის რედაქციით, გვ. 43, 44, 57, 98—101, 128, 135).“

უნებურად გახსენდებათ გურამიშვილის ლექსი „ოდეს დავითს ტყვეობასა შინა სციოდა და მზე ღრუბლის გამო თვალით არა ჩნდა, იმაზე თქმული“. სწორედ აქ შენატრის პოეტი მზეს, სწყევლის ყინვასა და ქარბუქს... რაღა საკვირველი უნდა იყოს პოეტის მოთქმა ყინვაზე, როცა თვითონვე ამბობს მეორე ლექსში: „კოჭამდის სეტყვას ვაპობდი, ფეხები მაქვნდა შიშველიო“.

ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ გურამიშვილი თავის ლექსებში, იქაც კი, სადაც ყინვას უჩივის, დაღესტნის ზაფხულს აღწერს და, მაშასადამე, ისევ იმ დასკვნამდე მივდივართ: პოეტი უნსუქულიდან იმავე წლის ზაფხულში გაიქცა, როცა დაატყვევეს.

დავით გურამიშვილი მოიტაცეს ლეკებმა. მაშინ, როდესაც იგი ყანის მომკას აპირებდა, ე. ი. როგორც ხალხური ლექსი გვეუბნება: „ლეკებმა რომ დამიჭირეს, დამდეგ იყო მკათათვისა“, ხოლო დავით გურამიშვილმა ლამისყანაში პურჩი ვერ მომკა და ძნები კალოზე ვერ გალეწა. იგი ტყვეობიდან გაპარული გადავიდა, როგორც თვითონ ამბობს, სარუსეთოში და თითქოს საკუთარ ყანაში მომკილი ძნებით დახუნძულ კალოს წააწყდა. თითქოს მისი ყანის მკა უმისოდ მოეთავებინათ და გაშლილი კალო პოეტისათვის დაეხვედრებინათ. „მუნ ახლოს კალოს ლეწავდნენ, მიველ ვით დაბარებულიო“, წამოიძახა მან, როდესაც კაზაკების მიერ გაშლილი კალო დაინახა.



ხოლო ლამისყანაში მკის დაწყების დღიდან თერგის ნაპირზე გამართულ კალმდის მხოლოდ ერთი თვე თუ თვე-ნახევარი შეიძლებოდა გასულიყო. დავით გურამიშვილმა ლეკების ტყვეობაში დაახლოებით თვე-ნახევარი გაატარა.

„დავითიანში“ გვხვდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც კვლავ ადასტურებს ზემოთ წამოყენებულ შეხედულებას. როდესაც დატყვევებულა დავითი დალესტანში ჩაიყვანეს, როგორც მალე გასასყიდად განზადებულ ტყვეს, არც ტანისამოსი მისცეს და არც საკმარისი საკმელი; პოეტი გზაში გალახული, დამწეული იყო. კლდე-ღრეებზე და ტყეებზე სიარულის დროს მას ტანსაცმელი შემოეხა და ფეხებიც მიშველი ჰქონდა. იგი თავის უმწეო მდგომარეობას ასე აგვიწერს: „არც მასვეს და არც მაჭამეს, არც ჩამაცვეს, არც დამახურესო“; ხოლო გაპარვის შემდეგ ჯაგებში სიარულით ნარეკალში „მუხლთქვემოთ გავხდი მიშველიო“. მიუხედავად ამისა, რუსეთისაკენ მიმავალი პოეტი გვეუბნება, რომ „პერანგი მეცვა ახალი, არ ძველი მე ტანზე ნარმაო“. თუ დავით გურამიშვილს არც ჩააცვეს და არც დახურეს და კიდევ ერთი-ორი წელიწადი გააჩერეს ტყვეობაში, როგორ შეიძლებოდა ახალი პერანგი ცმოდა ტყვეობიდან გამოპარვის დროს! ტყვეობაში დავითს ნარმის ახალ პერანგს ვინ ჩააცმევდა!

მაშ საიდან გაჩნდა ეს ნარმის ახალი პერანგი? იგი ლამისყანიდან უნდა გამოჰყოლოდა გარაყანიძეების სიძეს. ეგებ იგი პატარძალმაც კი შეუქერა... ლამისყანაში დატყვევებისას პოეტს მართლაც ახალი პერანგი ეცვა ალბათ; და თუ იგი დალესტანის ტყვეობაში დარჩა ერთი და ორი წლის განმავლობაში, ნარმის პერანგი ახალი ვერ ექნებოდა ტყვეობიდან გაქცევის ან კაზაკების სოფელში მისვლის დროს, მაგრამ თუ დავით გურამიშვილმა მხოლოდ ერთი თვე დაჰყო ტყვეობაში, მაშინ ლამისყანიდან გამოყოლილი პერანგი შეიძლება კალთებდახეული იყო, მაგრამ იგი ახალი იქნებოდა. ერთი თვის წინათ ლამისყანაში ჩაცმული თეთრეული, რასაკვირველია, გაქუჭყიანდებოდა, მაგრამ არ დაქველდებოდა. პოეტის მიერ შემთხვევით აღნიშნული ეს დეტალი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დავით გურამიშვილმა დალესტანში ძალიან მცირე ხანი დაჰყო, მკათათვე და მარიამობის თვეები ტყვეობას და გზაზე სიარულს შეაღია და მერე თერგზე გადავიდა. მარიამობის თვის შუა რიცხვებში იგი უკვე კაზაკების კალოსთან არის მისული და მისი სული მოსკოვისაკენ მიესწრაფება.

თუ „დავითიანის“ ავტორმა ლეკებთან ტყვეობაში ერთი თვე ან თვე-ნახევარი გაატარა, რაც ახლა დამტკიცებულად შეგვიძლია მი-

ვიჩნით, მაშინ გაადვილებულია ამის დადგენაც, თუ ლამისყანაში რომელ წელს დაატყვევეს პოეტი. მკვლევარები ადრე ფიქრობდნენ, რომ დავით გურამიშვილი ლამისყანიდან გატაცებულ იქნა 1727 წელს; „დავითიანის“ ფურცლებზე აღნიშნულ ცნობებს ჩვენ სულ სხვა დასკვნამდე მივყავართ. პოეტი გვატყობინებს, რომ როდესაც მოსკოვს ჩავედი, მეფე ვახტანგი და მისი ამალა, „ექვსის წლით წინათ ჩემს უწინ ქართლიდამ წაბრძანებულნი“, იქ დამხვდნენო. ხოლო როგორც ცნობილია, ვახტანგ მეექვსე საქართველოდან 1724 წლის ივლისში აიყარა და მოსკოვს გაემგზავრა. დავით გურამიშვილი აგვისტოს ბოლო რიცხვებში გადავიდა რუსეთში, თერგის კაზაკებმა დავითი დიდი სიყვარულით მიიღეს. „როგორც რომ ერთმა ყაზახმა მე მაშინ მომიარაო, როცა რომ მყვანდა, მივლიდა მეტს მამაჩემი არაო, შევბრალდი, გულზედ მიმიქვა, მკოცნა და ცრემლი ღვარაო“... ეტყობა, თერგის კაზაკებთან დავითი რამდენიმე ხანს დარჩენილა. აქ გამოიკითხავდა ის იქაური ქართველების შესახებ. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „ქართველი მოსახლეობა იმიერკავკასიაში (პეტრეს დროიდან დაიწყო) ეს იყო ცოცხალი გამოხატულება საქართველოს სახელმწიფოებრიობის ღრმა კრიზისისა (ამავე რიგის იყო ვაქართა ლტოლვა საქართველოდან)“. ნ. ბერძენიშვილისავე ცნობით, ჩრდილო კავკასიის ქართული მოსახლეობის კონტიგენტი შესდგებოდა ყირიმიდან, ყაბარდოდან, საჩაჩნო-დაღესტნიდან გაქცეული ქართველი ტყვე-ყოფილებისაგან. „აქ სხდებიან და სამშობლოში კი აღარ მიდიანო“, წერს ნ. ბერძენიშვილი (იხ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, „მიმომხილველი“, ტ. I, გვ. 338). ქართველები იქ ოჯახებს აწყობდნენ და სამუდამოდ სახლდებოდნენ.

აი ერთი ტიპიური მაგალითი: ნინოწმინდელი ეპისკოპოსი საბატუსიშვილი, რომელიც საეკლესიო საქმიანობას XVIII საუკუნის ორმოციანი წლებიდან იწყებს, თავის „ანდერძისებურ ლუწანში“ მოგვითხრობს, თუ როგორ აღზარდა მან დეკანოზი პეტრე ურდულაძე: „მამაი ამისი, დაკარგული ყიზლარს მისულიყო, იქ ჩემის ეკლესიისავე ყმის ნაცოლარი შეერთო, რომელიც ის დედაკაციც ლეკთაგან დაკარგულიყო (ეტყობა, ქალებიც კი ახერხებდნენ ტყვეობიდან გაქცევას) და იქ ერთად შეყრილიყვნენ ცოლ-ქმრად და ეს პეტრე ჰყოლოდათ. მე, ჩემსა ახლად ნინოწმინდელად შესვლასა (ე. ი. 1743—1745 წლებში) მოვიძიე, მოვიყვანე ყიზლარით მცირი, გავზარდე, საღვთო წერილთა შინა განვსწავლე, მღვდლად ვაკურთხე“ (ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, გვ. 231).

როგორც აქედან ჩანს, მაშინ ქართველების იქ დასახლება და ახალი კერის დაფუძნება — ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა. ამგვარ ახალ მოსახლეთა და ტყვე-ყოფილთა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს ის ფხოველი იანვარაც, რომელიც თერგზე გადასულ დავითს კაზაკებმა თარჯიმნად მიჰგვარეს.

და, აი, ალბათ კაზაკებისა და იქაური ქართველების დახმარებით დავითმა დაიწყო მზადება რუსეთის შუაგულისაკენ გასამგზავრებლად. მას თან არ ჰქონდა არც ერთი გროში და მისთვის არც ისე ადვილი იქნებოდა ცარიელ-ტარიელს პირდაპირ მოსკოვისაკენ გაეწია. ეს წარმოუდგენელი იყო: მთელი ზაფხულის განმავლობაში მან არაერთი ჯოჯოხეთური განსაცდელი გამოიარა და ახლა შორს მგზავრობისათვის არც ფიზიკური და არც სულიერი ენერგია არ ეყოფოდა. ეგეც არ იყო, უკვე შემოდგომა იყო. ყოველივე ამას იმ აზრისაკენ მივყავართ, რომ დავითი გაზაფხულამდე მოსკოვისაკენ ვერ დაიძვრებოდა. ზამთარი მან ან თერგზე, ან სოლალსა და ან ასტრახანში გაატარა. ამრიგად, დავით გურამიშვილი მოსკოვში უნდა ჩასულიყო 1729 წელს და ეს ასეც არის აღნიშნული ვახტანგ მეექვსის ამაღლის 1737 წლის ნუსხაში.

აქ კიდევ ერთი ფაქტი უნდა გავიხსენოთ: „დავითიანის“ იმ თავში, რომელსაც „მეფის ვახტანგისა და ძისა მისისა ბაქარისა დარუბანდს წაბრძანება“ ეწოდება, ვკითხულობთ:

ექვსის წლით წინათ ჩემს უწინ  
ქართლიდან წაბრძანებულნი,  
რა მიველ მოსკოვს, ვიხილე  
მეფე და ქართველთ კრებულნი,  
რომლისაც ხელმწიფისაგან  
მუნ იყვნენ დაბარებულნი,  
იმისთვის ვეღარ მიესწრათ,  
მით იყვნენ გამწარებულნი.  
ერთს დიდს პეტრეს და ორს სხვასა  
მოშლოდათ წუთისოფელი,  
წართმოდათ მოკლედ სამყოფი,  
ეშოვნათ გრძლად სამყოფელი.

დავითი აქ პირდაპირ ამბობს, რომ ვახტანგი თავისი ამაღლით ექვსი წლით ჩემზე ადრე წავიდა ქართლიდანო. მაშასადამე, ამ ცნობითაც დავითი მოსკოვს ჩასულა 1729 წელს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ვახტანგის ქართლიდან გამგზავრების ექვსი წლის მერე კი არა, არამედ მეექვსე წელს. აქვე პოეტი იმასაც გვატყობინებს — რა მიველ მოსკოვს, მეფე და მასთან მყოფნი ქართველები

დამწუხრებული ვნახე, მათ ველარც პეტრე დიდისთვის მიესწროთ და, მას გარდა, ორ მომდევნო ხელმწიფესაც „მოშლოდათ წუთისოფელიო“. ვახტანგი ამაზე იყო მგლოვიარე, ცრემლი ამისთვის სდიოდა, სამი ხელმწიფე ზედიზედ მოკვდა და ახლა ვილას უნდა მივმართო, ვისლა ვსთხოვო ხსნა ჩემი ქვეყნისათვისო („თავისას, თავის ქვეყნისას უბედურობას ჩიოდა, გაგრძელდა საქმე, გაგრძელდა, რაღა ვსთქვა, რა ვარჩიო და“).

პეტრე პირველი გარდაიცვალა 1725 წლის 28 იანვარს, პეტრეს ცოლი — ეკატერინე პირველი, რომელიც მეფობდა პეტრეს შემდეგ — გარდაიცვალა 1727 წელს, ამის შემდეგ რუსეთის ტახტზე ავიდა პეტრე მეორე, რომელიც ყვავილმა იმსხვერპლა 1730 წლის 18 იანვარს.

ვახტანგმა აღარ იცოდა ვისთვის მიემართნა, ამიტომ იყო ის მგლოვიარე და დამწუხრებული. ასეთ დროს ჩასულა დავითი მოსკოვს — მართალია, აქ თითქოს ერთი გაუგებრობა წამოიჭრება ჩვენს წინაშე; უკვე ვთქვით, რომ დავითი 1729 წელს უკვე მოსკოვშია; ამავე დროს თვითონვე ამბობს — მე რომ მივედი — ვახტანგი სამ ხელმწიფეზე მგლოვიარედ დამიხვდაო და ეს მესამე ხელმწიფე, სახელდობრ პეტრე II — გარდაიცვალა 1730 წლის 18 იანვარს. მაგრამ ეს გაუგებრობაც ადვილი ასახსნელია და ზემოთ მოყვანილ დასაბუთებას ვერ შეარყევს; და, აი, რატომ: აქ ორი ვარაუდიდან ერთი უნდა ამოვირჩიოთ: დავითს ან მეექვსე წლის ნაცვლად „ექვსი წელი“ დაუწერია, ან კიდევ, რაკილა ლექსი გვიანაა დაწერილი, და არა ცხელ კვალზე — შეიძლება პოეტმა ასე დიდი მნიშვნელობა აღარ მისცა იმ ფაქტს -- ცოცხალი იყო მისი იქ ჩასვლის დროს პეტრე მეორე, თუ ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა. ეს ბუნებრივიც არის: დავითისთვის ამას აბა რა მნიშვნელობა ჰქონდა, მას ვახტანგის დარდი უნდოდა გამოეხატა — ხელმწიფეები დაიხოცნენ და ვილას მივმართოო. ამიტომ ლექსის კონცეფცია მოითხოვდა პოეტს, ასე ვთქვათ, მთელი ვითარება გამოეხატა, ეს იყო ლექსის მიზანი; ეს ნაწარმოები დავითს იმ განზრახვით არ დაუწერია, რომ ჩვენთვის მოსკოვში თავისი ჩასვლის თარიღის გამოცნობა გაეადვილებინა. მას, როგორც ვთქვით, მარტო ის უნდოდა, რომ მკითხველისათვის იმ დროის რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების სურათი დაეხატა და პეტრე მეორის სიკვდილის მოუხსენებლად კი ეს სურათი სრული არ იქნებოდა.

ამრიგად, ეს მოჩვენებითი გაუგებრობაც მოხსნილია და საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ 1728 წელს ქსნის ხეობიდან ტყვედ

წყაყვანილი დავითი 1729 წლის გაზაფხულზე მოსკოვისაკენ მიემგზავრება.

თერგის კაზაკების სოფლიდან წასული პოეტის ცხოვრებაში მოსკოვამდე განსაკუთრებული რაიმე დრამატული შემთხვევა არ მომხდარა, დავით გურამიშვილს ეს მანძილი ისე გაუვლია, რომ იგი არ ჩაუთვლია პოეტური აღქმის მასალად. თერგიდან მოსკოვამდე მგზავრობის დრო სრულიად გამოთიშულია მისი ლირიკული აღსარებიდან. ბევრი რამ გვაფიქრებინებს, რომ გურამიშვილის პიროვნების შესახებ მოსკოვში არსებულ ქართველების კოლონიაში რაღაც ცნობები მიღწეული ყოფილა. ამიტომ უკვე სიმწიფეში შესული და მრავალტანჯული დავით გურამიშვილი ვახტანგის კარზე კარგად მიუღიათ. ამ დროს დავით გურამიშვილი ცნობილი მელექსე ყოფილა და მაშინვე ცნობილი გამხდარა ვახტანგის ამაღლებაში და, ეტყობა, ვახტანგსაც ყურადღება მიუქცევია დავითის პოეტური ნიჭისათვის. პოეტური ტურნირი, რომელშიაც დავითს მონაწილეობა მიუღია, დიდი ქართველი მწიგნობრის—ვახტანგ მეექვსის თაოსნობით მოწყობილა; ეს ასე რომ არ იყოს, დავით გურამიშვილი ასეთ დიდ მნიშვნელობას არ მიანიჭებდა თავის პოეტურ ბიოგრაფიაში ჯავახიშვილთან გაპაექრებას და მას თავის ავტობიოგრაფიაში ესოდენ მნიშვნელოვან ადგილს არ დაუთმობდა.

ამრიგად, დავით გურამიშვილს მოსკოვში ჩასვლისთანავე, როგორც ქართველ პოეტს და თავისი დროის პატრიოტს, საყოველთაო ყურადღება და პატივისცემა დაუქმსახურებია; მაშინ იგი ოცდაოთხი წლის ყოფილა, მაგრამ ერთი წლის განმავლობაში გამოვლილ საოცარ თავგადასავალს, ქართველი ხალხის უბედური შემთხვევებით, ხიფათითა და განსაცდელით სავსე ცხოვრებას დაუბრძენებია იგი და პოეტი აღრე მიხვედრილა, რომ მხოლოდ მოსკოვის მზეს შეეძლო მისი და მისი ხალხის მომაელის განათება. ამიტომ უთქვამს პოეტს: „მოსკოვს ქალაქს მზეს ველოდით“.

„მოსკოვს ქალაქს მზეს ველოდით“

როგორც უკვე ვთქვით, ასტრახანიდან დავითი მოსკოვისაკენ გამგზავრა. ჩვენ არ ვიცით, როგორ გაიარა მან გრძელი მანძილი ვოლგისპირა ქალაქიდან რუსეთის შუაგულამდე.

ჩვენ არც ის ვიცით, რომელი გზით წავიდა ის — ვოლგას აპყვა თუ ხმელეთით იარა.

აქაც მხოლოდ ვარაუდებია შესაძლებელი.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ის უკვე გადაჩენილი იყო.

მოსკოვში მას დიდად არ გაუძნელდებოდა ქართველების და, პირველ რიგში, ვახტანგ მეექვსის მონახვა.

სად, მოსკოვის რომელ უბნებში, რომელ ქუჩებზე ცხოვრობდნენ გადახვეწილი ქართველები?

ახლანდელ კიროვის ქუჩაზე (მაშინ ამ ქუჩას მიასნიცკაია ეწოდებოდა) იდგა რიაზანის არქიელის სამონასტრო მეტოქი (подворье): 1678 წელს აქ, ამ მეტოქეში (თუ ფუნდუქში; ასეც თარგმნის ამ სიტყვას რუსულ-ქართული ლექსიკონი) მოაწყვეს მოსკოვში პირველი სამხედრო ჰოსპიტალი. პეტრე პირველის დროს კი აქ იყო გამართული საიდუმლო კანცელარია; ხოლო როცა ვახტანგი მოსკოვს ჩავიდა, ეს სასახლე მას გადასცეს საცხოვრებლად.

მაგრამ ვახტანგს ხომ აუარებელი ამაღა ახლდა (ათასზე მეტი კაცი); ცხადია, მათი ერთ სასახლეში მოთავსება შეუძლებელი იყო. ამიტომ ქართველობა უმთავრესად დასახლებულა პრესნაზე, იმ მიდამოებში, სადაც ახლაც არის ქუჩები „ბოლშაია გრუზინსკაია“ და „მალაია გრუზინსკაია“. ამჟამად ეს ვეებერთელა, კეთილმოწყობილი და მშვენიერი ქუჩებია, მაშინ კი, მე-18 საუკუნის დასაწყისში, ეს იყო სოფელი ვოსკრესენსკოე, რომელიც ადრე რიაზანის ეპისკოპოსს ეკუთვნოდა, 1729 წლიდან კი გადაეცა მეფე ვახტანგს. მეფე პეტრე მეორემ ქართველებს სახლების ასაგებად, საამშენებლო მასალებს გარდა, გამოუყო იმდროისათვის საკმაოდ დიდი თანხა — ათი ათასი მანეთი და სულ მალე მდინარე პრესნას ორივე ნაპირზე (ეს მდინარე მიწისქვეშა მილებში გადაიყვანეს მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში) და ახლანდელი ზოოპარკის ტერიტორიაზე გაჩნდა ე. წ. „ქართული სლობოდა“. მაშინ ქართველები აქ ერთგვარი პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ: მათ სახლებში ჯარისკაცების ჩაყენება არ შეიძლებოდა, მათ ვერ გაიწვევდნენ სახელმწიფო სამსახურში, თუ ქართლის მეფის სათანადო ბრძანება არ ექნებოდათ ხელთ და ა. შ.

ამას გარდა, ქართველები ცხოვრობდნენ ვსესხვიატსკოეში (ახლანდელი „ნოვოპესჩანაია“); ესეც მაშინ სოფელი იყო, რომელიც პეტრე პირველმა აჩუქა თავის საყვარელ მეგობარს — ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონს; ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ ეს მიდამოებიც ვახტანგ მეფეს და მის მემკვიდრეებს დარჩათ.

დაბოლოს, ახლად ჩასულ გურამიშვილს ქართული ლაპარაკი შეიძლებოდა გაეგონა და ქართველები ენახა მოსკოვის თვით შუაგულში, „ოხოტნი რიადში“, სადაც ახლა სასტუმრო „მოსკოვისა“ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უზარმაზარი შენობებია აღმართუ-

ლი. აქ იყო გოლიცინისეული სასახლე, რომელიც თავისი მორთულობით ყველა მნახველს აოცებდა.

აი, როგორ აქვს აღწერილი ეს სასახლე ალექსეი ტოლსტოის:

„გოლიცინის ეზოში საგანგებო სისუფთავე იყო და მართებულემა. მკვეთრად ბრწყინავდნენ მიწიდან ბანამდე სპილენძგაკრული კედლები სასახლისა. შესავალში, სპარსულ ხალიჩებზე იდგა ორი ახოვანი ჯარისკაცი — შვეიცარიელები, რკინის ჩაფხუტით და ხარის ტყავის ჯავშანით. ორი ჯარისკაცი კიდევ მოაქროულ ალაყაფის კართან იდგა... ფრანგული და იტალიური ფარჩის სავარძლები, კრელი ხალები, კედლის საათები, სპარსული იარაღი. სპილენძის გლობუსი, ინგლისიდან მოტანილი თერმომეტრი, ჩამოსხმული ვერცხლის შანდლები და ხომლები, ყდიანი წიგნები და თაღოვან ჭერზე ოქროთი, ვერცხლითა და ენგარით დახატული ზეცა — მრავალგან მოჩანდა სარკეებში კედლებზე, ტიხარებზე და კარებს ზემოდან“.

ამ სასახლის ბრწყინვალეობა აღწერილი აქვს ისტორიკოს ვ. კლიუჩევსკისაც.

1689 წელს, როცა პეტრე პირველი სახელმწიფოს სათავეში ჩადგა, მან პირველ რიგში, ანგარიში გაუსწორა თავის მტრებს და, მათ შორის, ვასილ ვასილის ძე გოლიცინსაც. მეფემ აპყარა სამეფო ბეჭდისმცველს ყველა ხარისხი, წაართვა მოსკოვის ზემოხსენებული სასახლე და სამუდამოდ გააძევა არხანგელსკის მხარეში.

ახლა ეს სასახლეც ქართველების ხელში იყო და მათ იგი მთელი ორი საუკუნის განმავლობაში შეინარჩუნეს.

დავით გურამიშვილს მოსკოვში დაბინავება მით უფრო გაუადვილდებოდა, რომ უკვე იმ დროს იქ იმყოფებოდა მისი უფროსი ძმა — ქრისტეფორე გურამიშვილი. პოეტის უფროსი ძმა ქრისტეფორე იყო ქართული სტამბის დიდი მოღვაწე-ორგანიზატორი, ქართული ბიბლიის ბეჭდვის ზედამხედველი, ქართულ სახელმძღვანელოთა დამბეჭდავი მოსკოვსა და პეტერბურგში \*; ქრისტეფორე უშუალო და მხურვალე მონაწილეობას იღებდა იმ დროის რუსულ ლიტერატურულ ცხოვრებაში და თავისთავად ცხადია, რომ უმცროს ძმას მის გვერდით შეეძლო დიდად გაემდიდრებინა და გაეფართოებინა თავისი გონებრივი ჰორიზონტი.

ერთი სიტყვით, დავითს მოსკოვში აღარ გაუჭირდებოდა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გასაგებია, რომ დავითმა მა-

\* გ. ლეონიძე — დავით გურამიშვილის ცხოვრებიდან. „ლიტერატურული გაზეთი“, № 31, 1954 წ.

ლე იპოვნა თავისიანები, წარუდგა ვახტანგ მეფეს, რომელმაც პოეტი კარგად მიიღო და ჯაბადარბაშის თანამდებობა მისცა.

ამრიგად, ვახტანგმა ახალგაზრდა გურამიშვილს მისი მოსკოვში გამოჩენისთანავე თავისი არსენალი ჩააბარა. ეს, რა თქმა უნდა, დიდი ნდობა იყო.

ამის შემდეგ გურამიშვილი აქტიურად ჩაება იმ საქმიანობაში, რომელსაც ქართული ემიგრაცია ეწეოდა.

ამ დროს დაუწერია პოეტს ზმიანი შაირი „სიუხვის კოკა ბატონსა“; ეს ლექსი ნათქვამია იმის გამო, რომ ბატონებმა (იგულისხმებოდა ვახტანგი და ბაქარი) პოეტისათვის ხალათის ბოძება განიზრახეს. ამ ლექსში პოეტი მეფის სიუხვეზე ლაპარაკობს, რომელიც კაცს სილატაკისაგან განკურნავს და ლარიბებს, — „ძველთა მცმელებს“, — ახალ კაბებსა და ახალუხებს ჩააცმევს.

პოეტის თქმით, ვახტანგის ამაღლაში ზშირად იმართებოდა მეჯლისები, იყო ლექსთა თქმა და გალობა, თამაში და შექცევა. ერთი ასეთი დროს გატარების ეპოს, ტრადიციულ ნადიმზე, რომელსაც ხალისიანი ქართული შაირობა უნდა მოჰყოლოდა, გურამიშვილიც გამოუყვანიათ და მეღექსეობაში ჯავახიშვილისათვის გაუჯიბრებიათ. რომელი ჯავახიშვილია ეს, არ ვიცით; ვახტანგის ამაღლაში იყვნენ ერასტ და შიოშ ჯავახიშვილები და რომელი იყო პოეტი მათ შორის — ამის ცნობა ისტორიამ არ შეინახა. პოეტის ლექსიდან კი მის შესახებ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ის „პირად მჭლე და ტანად ხმელი“ კაცი ყოფილა. გურამიშვილს ადვილად დაუმარცხებია თავისი მოწინააღმდეგე. ჩემი შაირები მას ნარცეცხლსავითა ჰხვდებოდაო, — ამბობს გურამიშვილი.

იმავე წლებშია დაწერილი გურამიშვილის მეორე ზმიანი ლექსი „მეფეო, ღმერთმან ნუ მოგცეს“. პოეტი ვახტანგს შობას ულოცავს და ლხინის მოუშლელობას, ურიცხვი ლაშქრის ყოლას, მუდმივ სიხარულს და ბედნიერებას უსურვებს.

მესამე ზმიან შაირში („დაღამდა, დილა გათენდა“) პოეტი რომელიღაც ქართველი თავადის ქორწილს აღწერს, რომელიც მოსკოვში გადაუხდიათ.

ამ მსუბუქი, ხალისიანი ლექსებით იწყებს პოეტი თავისი შემოქმედების ვრცელ გზას.

მაგრამ ქართველები აქ პოეტურ პაექრობათა მოსაწყობად როდი იყვნენ ჩამოსულნი. მათი ეს მხიარულებაც მოჩვენებითი და წუთიერი იყო. ეს იყო თავდავიწყება სასოწარკვეთილებისა და მოლოდინის წუთებს შორის.

მოწყენილი და ნაღვლიანი ყოფილა თვითონ ვახტანგიც. სწორედ



ამ დროს დაუწერია მას თავისი „კაეშანი“, რომელსაც ასეთი ეპიგრაფი აქვს: „მოცალობასა შინა მყოფსა კმუნვა-ნაღვლის გასაქარვებლად იწერების საქართველოს მეფის ვახტანგის მიერ დიდსა ქალაქსა მოსკოვსა შინა, წელსა 1730“.

ამ ლექსში მეფე-პოეტი უმადურ და დაუნდობელ წუთისოფელს უჩივის, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, მეღნად ნაღველს ხმარობს, კალმად — გულს და კვლავ მოლოდინშია, კვლავ ქვეყნის წყლულის მეურნალის გამოჩენას უცდის.

ვახტანგი იმავე დროს მთლად გულზეხელდაკრეფილი არ იჯდა. ქართლიდან მას მრავალი წერილი მოსდიოდა. ამ წერილების მეოხებით ეცნობოდა თავისი ქვეყნის ვითარებას და ცდილობდა ყოფილიყო ამ პოლიტიკური სიტუაციის კურსში, რომელიც მისი წასვლის შემდეგ აზიაში მკვიდრდებოდა.

აზიის პოლიტიკურ ცხოვრებაში კი ახალმა ქარიშხალმა დაჰბერა. ირანსა და თურქეთს შორის ცხარე ომი დაიწყო. რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა, ესარგებლნა ამ ომით და საჭიროდ ჩასთვალა მეფე ვახტანგის გაგზავნა კასპიის მხარეში; გურამიშვილის ცნობით, რუსეთის ტახტის მფლობელმა ანა იოანეს ასულმა ვახტანგი პეტერბურგში მიიხმო და უბრძანა:

„მე მიჰირავს  
ზღვის მიდამო, გაღმა მხარი,  
სოლალსა და დარუბანდსა,  
აქოსა დგას ჩემი ჯარი.  
მუნ მიბრძანდი, საქურელისა  
მუდამ მზა არს ღია კარი,  
ლაშქარი და ხაზინანი,  
ვით გენებოს მიხმარი.“

ვახტანგი გახარებული დაბრუნდა მოსკოვში და, თავის შვილთან, ბაქართან ერთად, სალაშქრო მზადებას შეუდგა.

ეს იყო 1734 წელს, ამ წელს არის დაწერილი გურამიშვილის მეოთხე ზმინანი შაირი „მოსკოვს ქალაქს მზეს ველოდით“, სადაც ნათქვამია, რომ ახლა ყველაფერს სოლალში დგომა გვირჩევენიაო. სოლალისაკენ წასვლა მოსკოველ ქართველებს განთიადის დასაწყისად ეჩვენებოდათ, თავისუფლების მზის ამოსვლის მაუწყებლად. მოდიოდნენ სოლალისაკენ იმ ფიქრით და იმედით, რომ თბილისის გალავნის კარიბჭესაც მალე შეაღებდნენ. გურამიშვილის ლექსშიც ეს იმედია გამოთქმული.

ახლა ყველა ჩქარობდა, ამიტომ გადაწყვიტეს სამხრეთისაკენ წყლით წამოსულიყვნენ. ერთი თვის განმავლობაში ექვსი ნავი ააგე-

ბინეს, ჩაუშვეს ვოლგაში და კასპიის სანაპიროებისაკენ გამოემართნენ.

გურამიშვილიც თან გამოჰყვა ვახტანგს, როგორც მეომარი და უფროსი აბჯართსაცაევისა.

პოეტი წერს:

წინ ეტიჟი მოგვიძლოდა,  
ელილისა წყალს დაეყუევთ.

მაგრამ მათი ბედის ეტლი უკუღმართი გზით წარიმართა: ჯერ იყო და წყლით მოგზაურობა გაუქირდათ და იმ დროს, როცა ამ გზას ჩვეულებრივ ერთ თვეს გადიოდნენ, მათ სამი თვე მონადომეს. ხმელეთზე რომ გადავიდნენ, უკვე საბედისწერო ამბავი დაუხვდათ, — მათ რუსეთის მეფის ელჩები შემოეყარნენ, რომელნიც პეტერბურგისაკენ მიაქროლებდნენ ცხენებს და ავი ამბები მიჰქონდათ.

თურქეთის ძლიერება რომ ეცემოდა, ეს თვითონ ვახტანგმა იცოდა. ჯერ კიდევ მოსკოვში იყო, როცა არაგვის ერისთავის ბარძიშის წერილი მიიღო: „ურუმი ისე დასუსტდა, რომ ბაღდადი წაართვეს, ორასი კაცი აღარ ჰყავთ ქართლში... თუ ახლა არ ეცადეთ, დაიკარგა ეს ქვეყანა“. იცოდა ეს ვახტანგმა, მაგრამ არ ელოდა ირანის იქამდე გაძლიერებას, რომ ეს უკანასკნელი შესძლებდა არა მარტო ურუმის წამოჩოქებას, არამედ იმ ტერიტორიების დაპყრობასაც, რომელიც უკვე რუსების გარნიზონებს ეჭირათ.

გურამიშვილმა თავის პოეზიაში ვრცლად აღწერა, როგორ ჩაიდო ხელში ერთმა უბრალო თარაქამამ, ნადირ-შაჰმა, ირანის ტახტი, როგორ დაამარცხა მან მეზობელი სახელმწიფოები და უზრუნველყო ირანის ბატონობა მთელს წინა აზიაში:

ხმლით შეაშინა თურქეთი,  
დაღისტანი და ბუხარა;  
რუსთ ხელმწიფესაც მოსწერა:  
— „გამეცა, ბაქოს ნუ ხარა“.  
სოლალს, დარუბანდს, არშოანს.  
თქვენ რა ხელი გაქვთ ბაქოსა?  
დასაბაქველი მბაქველმან  
არც აგრე უნდა ბაქოსა.

რუსეთის ჯარმა დარუბანდი დასცალა, სოლალის ციხე დაანგრია და ყიზლარისაკენ დაიხია.

ნადირ-შაჰის ძლიერების წინაშე ქედი მოიხარა მთელმა აღმოსავლეთმა.

ქართლის ხსნის იმედი ისევ ჩაქრა და მომავალს ისევ ნისლი გადაეფარა. სასოწარკვეთილმა ვახტანგმა ყველაფერზე ხელი ჩაიქნია, ყველაფრის იმედი დაკარგა. გადაწყვიტა, ასტრახანში დასახლებულიყო და გადახვეწილი ქართველები თავისი შვილის ბაქარისათვის ჩაებარებინა.

1737 წელს ვახტანგი გარდაიცვალა.

მწარედ გამოიტირა მისი სიკვდილი გურამიშვილმა.

ვაი რა ბოძი წაიქცა,  
სახლ-კარი თავს დაგვექცაო,  
ლხინი, შვება და სიამე  
სულ ქირად გარდაგვექცაო.  
ჩვენ ყმანი დავრჩით, პატრონი  
წაიდა, შორს გაგვექცაო,  
გაფრთხილდი, შენც არ დაგვექცე,  
ლეთის მაცა, მაგრა დეჟ, ცაო.

ამით დამთავრდა დავით გურამიშვილის ჯგბადარბაშობა.

ვახტანგის სიკვდილმა თავზარი დასცა გადახვეწილ ქართველებს, ამიერიდან ისინი პოლიტიკური მებრძოლები კი აღარ იყვნენ, არამედ უსახლკარო, მიუსაფარი ხალხი, რომელთაც ისლა დარჩენოდათ, რომ ფიზიკური არსებობა მაინც შეენარჩუნებინათ.

მათ გადაწყვიტეს არ დაშორებოდნენ ერთმანეთს:

დავსდგეთ თუ საღმე წავიდეთ,  
ერთად ვიძებნოთ პურია.

ამ პურის ძებნამ ისინი რუსეთის არმიის მეომრებად გადააქცია, — ქართველიზმა ჰუსართა პოლკი შეადგინეს.

### ბასარაზიდან ჰელსინკაჰმა

ჰუსართა პოლკები იმ დროს ირეგულარულ მსუბუქ კავალერიას განეკუთვნებოდნენ. ქართველ ჰუსართა ასეული, რომელსაც კაპიტანი მამუკა დავითაშვილი მეთაურობდა, ჩამოყალიბდა 1738 წლის მარტში, შემდეგ იგი პოლკად გადააკეთეს. 1741 წლისათვის რუსეთის არმიაში ჰუსართა ოთხი პოლკი აღირიცხებოდა: ქართული, სერბიული, უნგრული და მოლდავეური.

როგორც წარჩინებული გვარის შვილებს და რუსეთის არმიის მეომრებს, ქართველ ჰუსარებს უკრაინაში სამკვიდრო მამულები დაუპრიგეს.

დავით გურამიშვილს მირგოროდის მაზრაში მისცეს მამული და ოცდაათი კომლი ყმა.

ასე ძლივს მოიკიდა ფეხი მიწაზე გურამიშვილმა.

მირგოროდიდან ოცი კილომეტრის მანძილზე, მდინარე ხოროლის მახლობლად, არის ერთი სოფელი, რომელსაც ძველად უკრაინელები გურამოვშიჩინას ეძახდნენ.

ასე დაიბადა ქვეყნად მეორე საგურამო.

იქ შეუდგა პოეტი თავისი მამულის მოწყობას, მაგრამ მას, ერთხელ მიწიდან აწყვეტილს, მშვიდობიანი ცხოვრება აღარ ელირსა. გურამიშვილი, თავის გადახვეწილ თანამემამულეებთან ერთად, მონაწილე გახდა იმ ომებისა, რომლებითაც აღსავსე იყო მეთვრამეტე საუკუნე. ქართლში დამარცხების სიმწვავე მათ სცადეს რუსეთის არმიის ბრძოლების ყიჟინში დაევიწყებინათ.

გურამიშვილი რომ ამ ბრძოლებში აქტიურ მონაწილეობასღებულობდა, ამას მისი ლექსებიც ადასტურებენ. ღღემღე ეს იყო ერთადერთი წყარო მისი სამხედრო მოღვაწეობის შესახებ. ასე, მაგალითად, პოეტი წერდა:

ათას შვიდას ოცდაცხრამეტს  
ხოთინის კარს ვთხლიშეთ კეტი,  
ორმოცდარს ფინდრიღავანს  
ცეცხლით გამოვბუგეთ შებთი.

მართალია, აქ ზუსტადაა დასახელებული წლებიცა და ფრონტებიც, მაგრამ სურათი უფრო ნათელი გახდა, როცა გამოქვეყნდა სახელმწიფო ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში დაცული დოკუმენტები ჰუსართა ქართული პოლკის შესახებ\*. ეს დოკუმენტები ადასტურებენ, რომ დავითი ასეულში პირველად უბრალო რიგით ჰუსარად ჩაურციხავთ. 1739 წელს ის ბესარაბიაშია და თურქების წინააღმდეგ იბრძვის — იმ წელს რუსეთის არმიამ ხოტინის ციხე აიღო. ომის მონაწილე ქართველების მხნეობამ და ვაჟკაცობამ რუსეთის არმიის სარდალი მინიხი განაცვიფრა და ალტაცებაში მოიყვანა. ეტყობა, დიდად გამოუჩენია თავი თვითონ დავითსაც; როგორც თვითონ წერს, მას მონაწილეობა მიუღია ყველა „შტურმსა და ბატალიაში, ისე რომ სიცოცხლეს არა ზოგავდა“. ამიტომ მომხდარა, რომ 1739 წელს ლავითისათვის ჯერ კაპრალის, ხოლო შემდეგ ასეულის

\* იხ. ს. ყუბანეიშვილი — დავით გურამიშვილი ჰუსართა პოლკში. თბილისი, 1955 წ.

კვარტერმეისტერის ხარისხი მიუციათ. 1740 წელს კი ის უკვე ვახ-  
მისტრია.

იმავე ხანებში რუსეთის ხელმწიფემ, რომელსაც მინიხმა ქართ-  
ველების სიმამაცე აცნობა, ბრძანება გასცა, რათა რუსეთის არმიაში  
ქართველ მეომართა რიცხვი გაემრავლებინათ. ამ მიზნით კაციც კი  
გაგზავნენ ასტრახანსა და ყიზლარში, რათა იქ დარჩენილი ქართვე-  
ლები წამოეყვანათ და სამხედრო სამსახურში ჩაერიცხათ.

როგორც ზემოთ მოყვანილი ლექსიდან ჩანს და ამას დავითის  
„ჩალაპიტნაც“ («Челопитные») აღასტურებს, 1741-42 წლებში  
პოეტი ოსტზეის ლაშქრობაში მონაწილეობს, ფრიდრიხსჰამის და  
ჰელსინგფორსის (ახლანდელი ჰელსინკი) მიდამოებში იბრძვის. ამ  
ომზე ამბობს პოეტი ლექსში — ფრიდრიხსჰამში შვეციელები ცეცხ-  
ლით გამოვბუგეთო.

როგორც იმავე საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, 1747  
წლის 5 მარტს ჰუსართა ქართული პოლკის ობერ-ოფიცრებს წა-  
რუდგენიათ უმაღლესი სარდლობის წინაშე დახასიათება დავითის-  
სა, რათა მისთვის პრაპორშჩიკის ჩინი გამოეთხოვათ. 1748 წელს  
დავით გურამიშვილი უკვე პრაპორშჩიკია, ამ თანამდებობაზე  
იწყობება ის 1755 წლამდე, ამიერიდან კი ერთი საფეხურით კი-  
დეე აიწვეს სამხედრო იერარქიის კიბეზე — პოდპორუჩიკი ხდება.

როგორც მთელი ეს დოკუმენტები ნათელყოფენ, პოეტი მუ-  
დამ უმწიკვლოდ იხდიდა ჯერ ჯარისკაცისა და შემდეგ ოფიცრის  
სამხედრო მოვალეობას, ის ყოფილა მამაცი, ბრძოლაში თავგანწი-  
რული კაცი, რომელიც განუხრელად ასრულებდა სამხედრო ფიცსა  
და საველე წესდებათა ყველა მოთხოვნას. ამ ერთგულებამ მხედ-  
რის ვალისადმი თავისი გამოხატულება ჰპოვა მის პოეზიაშიც.

გამოჩენილი რუსი მწერალი ალ. ფადეევი წერდა:

„გურამიშვილი იბრძოდა ღრმა მოხუცებულობამდე, სანამ იგი  
ფიზიკურად არ გატყდა წყლულებითა და ავადმყოფობით. იგი  
იბრძოდა მშობლიური საქართველოს თავისუფლებისათვის, შემდეგ  
იბრძოდა იმ ომებში, რომლებსაც რუსეთი ეწეოდა. ამ პოეტი-  
მეომრის ტიპში არის რაღაც ისეთი, რაც ყველაზე მეტად უპასუ-  
ხებს ჩვენს თანამედროვე გაგებას იმისას, თუ როგორი უნდა იყოს  
პოეტი ქართველების ეპოქაში“.

პოეტი-მხედარი — ეს ცნება არც ისე უცხოა ქართული ლი-  
ტერატურის ისტორიისათვის; ძველებზე რომ აღარაფერი ვთქვათ,  
გურამიშვილის მომდევნო თაობის პოეტები თითქმის ერთთავად  
სამხედრო პირები იყვნენ — გახსენეთ ალექსანდრე ჰავკავაძე,  
გრ. ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი; ამ პროფესიაზე ოცნებობდა

სიკაბუჯის წლებში აკაკი წერეთელიც. თითქოს საკვირველია რატომ მიუწევდათ გული პოეტებს ჯარისაკენ? ამას ყველაზე კარგად თვითონ აკაკი წერეთელი გვიხსნის „ჩემს თავგადასავალში“. ის აგვიწერს, თუ როგორ ჩაესახა ოცნება გამხდარიყო სამხედრო პირი. ერთ საღამოს ის შესწრებია თავისი ფრანგულის მასწავლებლის ტურესისა და პოლონელი რომიევიჩის საუბარს: „ფრანგმა დიდი რევოლუცია მოიგონა და აღტაცებით დაიწყო ლაპარაკი. სტუმარმა პოლონეთი გაიხსენა, და მოხსნეს თავი სიფრთხილეს, მით უფრო, რომ იქ იმ ორის და ჩემს მეტი არაეინ იყო. იმათმა საუბარმა ისე გამიტაცა, რომ რაღაც უჩვეულო სასუფეველი ვიგრძენი, სმენად გარდავიქეცი. ბოლოს სთქვა ამოოხვრით რომიევიჩმა: „ახლა რაღა დროს ვწუხვარ, რომ სამხედრო სამსახურში არ შევედი, რომ სარდალი გაემხდარიყავ და მარჯვე დროს ქვეყნისათვის კონრადით სამსახური გამეწია!“...

ეს რომ ჩამეწვეთა ყურში, ჩემი თავი ვეღარ ვიცანი! იმ ღამეს აღარ დამეძინა. ვამბობდი: „რა მინდა უნივერსიტეტში? რა კარგი იქნება სამხედრო სამსახური? ოდესმე სარდალი გავხდები! რაც აღრე შევუდგები საქმეს, ის აჯობებს“.

უფრო აშკარად გამოთქვა თავისი ეს სურვილი აკაკიმ შემდეგ ლექსში:

...ერთი რამ მკლავდა მხოლოდ მე  
და მისივებდა ის გულსა,  
რომ ჩემს სამშობლოს ვხედავდი  
სხეებისგან დამონებულსა.  
მეც მიცქევიჩის გმირებში  
მომწონდა ვალენროლიცა,  
ის მამხნევებდა ვაქაცად,  
გულს შორდებოდა ლოდიცა.  
მეც გამიტაცა ოცნებამ,  
რომ შევწეოდი მხარესა  
და, ბოლოს ტკბილის მომლოდნე,  
უშიშრად ვსევამდი მწარესა,  
და დაეპირე მხირობა,  
რომ ხელში მეგდო სარდლობა,  
და, მოღალატედ დასახულს,  
ბოლოს მიმეღო მადლობა.

აი, რატომ ოცნებობდა აკაკი სამხედრო სამსახურზე — მას კონრად ვალენროლობა ენატრებოდა, სამშობლოს განთავისუფლებაზე ოცნებობდა. ეს იყო მისი მუდმივი ფიქრის საგანი.

და, ვინ იცის რამდენჯერ ენატრია დავითსაც, რომ ჰუსართა ქართული პოლით სწევოდა თავის დაჩაგრულ სამშობლოს, სა-

ქართველოს, რომელიც მწარედ გმინავდა დამპყრობელთა უღელ-  
ქვეშ.

მაგრამ პოეტის ამ ოცნებას განხორციელება არ ეწერა — ქარ-  
თული ჰუსართა პოლკი ხან ფინეთში იყო, ხან გერმანიაში...

და დავითიც მამაცურად იბრძოდა ყველგან.

XIX საუკუნის დიდი პოეტის გრ. ორბელიანის მსგავსად, ეტ-  
ყობა, დავითსაც არ შეეძლო გულგრილი ყოფილიყო არცერთი საქ-  
მისაღმი, რომელსაც ის ხელს მოჰკიდებდა — იქნებოდა ეს სამხედ-  
რო საქმე, პოეზია თუ სამეურნეო მოღვაწეობა. ეს მისი პიროვნე-  
ბის შინაგან მონოლითურობაზე მეტყველებს.

### გროს-გეერსდორფის ბრძოლაში

დავით გურამიშვილის ბიოგრაფიის შედგენა მართლაც რომ  
ძნელი საქმეა. ისეა გადაწნული მისი ცხოვრების ყოველი წელი ხან  
დიდ ომებთან, ხანაც დიდ სახელმწიფოებრივ კატასტროფებთან,  
ხან შორეულ ქალაქებთან, რომ მათს გარეშე ჩვენი დიდი პოეტის  
ბიოგრაფია არ დაიწერება!

აქამდე ჩვენ მივდევდით მის ნაკვალევს დაღესტნის მთებში, ასტ-  
რახანის მიდამოებში, მოსკოვში — პრესნაზე და ვსეხსვიატსკოეში,  
ბალტიის ზღვის სანაპიროებზე და აი უცებ მის ბიოგრაფიაში გერ-  
მანული სოფლებისა და ქალაქების სახელები გამოჩნდა.

გროს-გეერსდორფი, ცორნდორფი, კიუსტრინი...

სწორედ ამ მიდამოებში მძვინვარებდა იმ დიდი ომის ხანძარი,  
რომელიც შვიდ წელს არ ჩაქრა და რომელშიაც მონაწილეობას  
იღებდნენ პრუსია, ინგლისი, ავსტრია, რუსეთი, საქსონია, საფრანგე-  
თი, შვეცია, პორტუგალია; მათი მრავალათასიანი არმიები შვიდი  
წლის განმავლობაში ელევებოდნენ ზედ ერთიმეორეს და იმ ორომ-  
ტრიალში, იმ ცოდვის კითხვაში ჩარეული იყო ერთი ქართული  
პოლკიც, რომელშიაც ჩვენი პოეტი ირიცხებოდა.

ვინ დაიწყო ეს ომი? რა მიზნით?

მეთვრამეტე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში  
ინგლისი და საფრანგეთი აეშალნენ ერთიმეორეს კოლონიების გა-  
ყოფის თაობაზე. ჯერ ისევ 1754 წლის იანვარში, კანადის საზღ-  
ვრებთან და ჩრდილოეთ ამერიკაში, ინგლისის სამფლობელოების  
მიდამოებში ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები შეეტაკნენ ერთი-  
მეორეს. ამ შეტაკებიდან ორი წლის შემდეგ ინგლისმა და პრუსიამ  
კონვენცია დადეს ურთიერთშორის: ამ კონვენციის ძალით პრუსია

ვალდებულად აცხადებდა თავს დახმარებოდა ინგლისის საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო ინგლისს ხელი უნდა შეეწყო პრუსიის მეფის — ფრიდრიხ მეორისათვის, რათა მას განეხორციელებინა თავისი ტერიტორიული პრეტენზიები ავსტრიის, პოლონეთისა და საქსონიის მიმართ. ფრიდრიხ მეორეს სურდა ხელთ ეგდო საქსონია, ხოლო საქსონიის კურფიურსტისათვის სანაცვლოდ მიეცა ჩეხეთი, რომელიც ჯერ ხელთ არა ჰქონდა, მაგრამ აპირებდა წაერთმია იგი ავსტრიისათვის. ფრიდრიხის პრეტენზიები უფრო შორსაც მიდიოდა: მას სურდა მიეტოვისებია პოლონეთის საზღვაო სანაპიროები და კურლანდია (ახლანდელი ლიტვისა და ლატვიის მიდამოები); ამას გარდა, ფრიდრიხს ისიც სურდა, რომ ავსტრიის დედოფალი მარია ტერეზა იძულებული გაეხადა ხელი აეღო სამეფო ტახტზე, ერთი სიტყვით, მოეხდინა რაღაც იმ ანშლუსის მსგავსი აქტი, რომელიც მოახდინა გერმანიამ თითქმის ორი საუკუნის შემდეგ, როცა მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში ჰიტლერის ჯარები შეიჭრნენ ავსტრიაში.

ევროპის სახელმწიფოები გულხელდაკრეფილნი როდი უყურებდნენ ფრიდრიხის მოქმედებას; 1756 წლის მაისში ჯერ ავსტრია და საფრანგეთი გაერთიანდნენ ფრიდრიხის ალაგმვის მიზნით, იმავე წლის დეკემბერში რუსეთიც მათი მოკავშირე გახდა.

ფრიდრიხი მაინც არ ცხრებოდა: მას თავისი არმიის იმედი ჰქონდა. ჯერ ისევ 1756 წელს შეიჭრნენ მისი ჯარები ავსტრიაში. 1757 წლის მაისში ფრიდრიხმა დაამარცხა ავსტრიელები პრალასთან, ხოლო 18 ივნისს თვითონ დაამარცხა კოლინთან, რის შემდეგაც ავსტრიის ჯარები შევიდნენ სილეზიაში, ხოლო ფრანგებმა აიღეს ჰანოვერი.

ბუნებრივია, რომ რუსეთის მთავრობა შემფოთებით უყურებდა პრუსიის ექსპანსიას აღმოსავლეთისაკენ, მის პრეტენზიებს ბალტიისპირეთისა და პოლონეთის, მიწების მიმართ. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1757 წლის ზაფხულის დასაწყისში რუსეთის ჯარებმა გადალახეს პრუსიის საზღვრები. მოქმედ არმიას სათავეში ედგა გრაფი აპრაქსინი, რომელიც მეტად ზანტად ირჯებოდა. რა იყო ამის მიზეზი? არმიაში უკვე დადიოდა ხმები, რომ მტერმა ფელდმარშალი აღრევე მოისყიდა. ფელდმარშალი პრუსიული ორიენტაციის კაცი იყო. ის ზანტობდა, აყოვნებდა და აფერხებდა რუსეთის ჯარის წინსვლას პრუსიის საზღვრებისაკენ. ამ შეფერხებას ჰქონდა თავისი მიზანი — ფელდმარშალი ელოდა ავადმყოფი დედოფლის ელისაბედ პეტრეს ასულის სიკვდილს. მან იცოდა, რომ რუსეთის ტახტი დარჩებოდა პეტრე მესამეს, რომელიც ფრიდრიხის თაყვა-



ნისმცემელი იყო; ამიტომ აპრაქსინი ამ მოსალოდნელი პოლიტიკური შემობრუნების მოლოდინში ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ რუსეთის არმიის წინსვლა შეეფერხებინა.

თვითონ გურამიშვილისავე სიტყვით რომ ვთქვათ, ფელდმარშალი „ბრუსის კოროლის“ ტახტს იღუმალ ბოძად შესდგომოდა, და, ცხადია, აშკარად ვერაფერს ბედავდა, მაგრამ ცდილობდა ყველაფერი გაეკეთებინა, რაც პრუსიის მეფესა და პეტერბურგში მყოფ მის შეგირდს, პოლშტინელ პეტრეს — რუსეთის ტახტის მემკვიდრეს — გაახარებდა.

ამრიგად, რუსეთის არმიას წინ მიუძღოდა მთავარსარდალი, რომელიც თავისი კი არა, მტრის ჯარების გამარჯვებაზე ოცნებობდა.



გენერალური ბრძოლა რუსეთისა და პრუსიის არმიებს შორის გაიმართა 1757 წლის 19 აგვისტოს (ძველი სტილით) სოფელ გროს-გეერსდორფთან. ეს დღე სამუდამოდ დარჩა გურამიშვილის მეხსიერებაში, ამ ბრძოლას ის არაერთგზის იხსენებს თავის „ჩელობიტნებში“ და, რაც მთავარია, ამ ისტორიული დღის შთაბეჭდილებანი აქვს გადმოცემული თავის ლექსებშიც:

ორმოცივდმეტს ბრუსის კოროლს  
შეეურყივეთ ტახტის სვეტი.

ამ მეტაფორაში მშვენიერად გამოხატა პოეტმა ყველაფერი ის, რაც 19 აგვისტოს მოხდა.

იმ მიზნით, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ იმ დღის ამბები და ისიც თუ რა გადახდა თავს პოეტს, — მე აქ მოვიყვან ცალკე ადგილებს ვიაჩესლავ შიშკოვის წიგნიდან „ემელიან პუგაჩოვი“ (თვითონ პუგაჩოვი, როგორც ჯარისკაცი, მონაწილეობდა ამ შეტაკებაში, ისიც გურამიშვილის მხარდამხარ იბრძოდა).

აი როგორ აგვიწერს შიშკოვი ხსენებული ბრძოლის ამბებს:

აგვისტოს შუა რიცხვებში რუსეთის ჯარებმა გადასცურეს მდინარე პრეგელი და გროს-გეერსდორფის მინდორზე გამოვიდნენ. მთელი რუსეთის არმია განლაგდა ბუნებრივად კარგად გამაგრებულ ადგილზე, ყოველ შემთხვევაში, ასე ეჩვენებოდათ მხედართმთავრებს.

ეს ადგილი წარმოადგენდა ამაღლებულ ზეგანს, რომელიც სიგრძით ორი ვერსი იყო, ხოლო სიგანეზე დაახლოებით ერთი ვერსი იქნებოდა. უკან იყო მდინარე კლდოვანი დამრეცი ნაპირებით, რომელ-

საც ებჯინებოდა ზურგი არმიისა, წინ — ვიწრო, ვერსნახვერიანი ზოლი გაუვალი ტყისა, რომელიც წარჯვენა მხრიდან მდინარემდე მოდიოდა, ხოლო მეორე მხრიდან, მარცხნივ, ვეება და ღრმა ხრამი ჩასდევდა. ამ ადგილიდან იყო მარტო ორი გასასვლელი: მარჯვნივ — პატარა, მოტიტვლებული ადგილი ტყესა და მდინარეს შუა, მარცხნივ — გასასვლელი მეოთხედი ვერსის სივანისა ტყესა და ხრამს შუა. ამრიგად, ასიათასიანი არმია განლაგდა ზურგით მდინარისაკენ, ფრონტით — ტყისაკენ, ხოლო იმ ტყის იქით გადაჭიმული იყო გროს-ეგერსდორფის ვეებერთელა მინდორი.

მტერი კი არსად ჩანდა, თითქოს ის არც არსებობსო. მოაწყეს რა კარვები, არმია უქმად ატარებდა დროს.

— ადგილი, რა თქმა უნდა, კარგია, დაცვა შეიძლება მოეწყოს, — თქვა მოხუცმა ბომბარდირმა ნოსოვმა, — მაგრამ ჩვენი მეთაურებიც მთლად კარგად ვერ მოიქცნენ. საჭირო იყო ამ ტყეში მინდორისაკენ გზა გაეჭრათ. ჩვენ კი, ომელკა, აქ უქმად ვსხედვართ და სიმღერებს ვამბობთ...

— ჰო, — უპასუხა ემელიანმა, — ახლა ყველა მხრიდან რომ მოგვაწვენენ, საითღა უნდა მივდგეთ...

— მოწოლით ვერ მოგვაწვებიან, — შეეკამათა მოხუცი, — მაგრამ გასასვლელები აქედან ვიწროა, ალალი შეიძლება აირიოს და გაიქედოს.

პუგაჩოვი ჩაფიქრდა, მდინარისაკენ გაიხედა და თქვა:

— რა ეშმაკად გადმოათრიეს ეს ალალი აქეთ. მე რომ მათს ალაგას ვყოფილიყავ, მას მდინარის იქით დაეტოვებდი, თვითონ მდინარეზე კი ხიდებს გაემართავდი, ტყე ხომ აქ ბლომადაა.

მოხუცს უღვაშებში ჩაეცინა, შეხედა ჭაბუკს და ალერსით უთხრა:

— საზრისიანი ბიჭი ხარ, ომელკა. კარგ რამეს ამბობ. შენ ოფიცერი უნდა ყოფილიყავ...

შორს ზარბაზნის გასროლა გაისმა, მას მეორე მოჰყვა, უფრო ახლოს. არავის ყურადღება არ მიუქცევია. მაგრამ აი კვლავ სამჯერ ისროლეს. მთელ არმიას განგაში მოედო. პლაცდარმზე ადიუტანტები უკვე დააჭენებდნენ ცხენებს, ისმოდა ხმები:

— გამოდით და დაეწყვეთ... გამოიყვანეთ პოლკები ხაზზე...

ჯარისკაცებმა მიატოვეს ყველაფერი, რასაც აკეთებდნენ, გამოცვიდნენ კარვებიდან, შეკაზმეს ცხენები, აიღეს თოფები, მოირგეს ამუნიცია და ახლა ყველა მირბოდა იმ ადგილისაკენ, სადაც მისი პოლკი იყო, იქ ყველანი მწკრივად ეწყობოდნენ.

გაისმა მუსიკის ხმა, გაშალეს დროშები, პოლკები გაიყვანეს ტყის იქით, ეგერსდორფის ვეება მინდორზე. იქ კი მტრის ჯარის სახსენებელიც არ იყო.

იღგნენ იქ საღამომდე, მერე გადაწვეს სოფელი და ცერემონიული მარშით დაბრუნდნენ ბანაკში. მტრის ჯარებზე ფიქრიც კი მიაწიწდათ. ოფიცრები თამაშობდნენ ბანქოს, სვამდნენ ღვინოს, ხუმრობით იქცევდნენ თავს... კაზაკები მღეროდნენ და ცეკვავდნენ, ჯარისკაცები მდინარეზე თეთრეულს რეცხავდნენ და ტყეში სოკოს ჰკრეფდნენ.

ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. დილით მესაყვირებმა დაუკრეს არა გენერალური მარში, არამედ ჩვეულებრივი საარი, რაც იმას ნიშნავდა, რომ არმია დღესაც წყნარად იდგომებოდა თავის ადგილზე.

მაგრამ შუადღის შემდეგ, სადილობის დროს გაისმა მაცნე ზარბაზნის გასროლა, მალე მეორედ, მესამედ გაისმა მისი გრიალი. მთელ ბანაკს შეშფოთება მოედო, ატყდა ერთი ქრიაშული... მიწა ზანზარებდა ზარბაზნების სიმძიმისაგან, რომლებიც ჩასუქებულ ცხენებს პოზიციაზე გამოჰქონდათ.

ერთი საათის შემდეგ პოლკები უკვე მწყობრში იდგნენ. ჯარების წინ მიმოდინდა ფელდმარშალი აპრაქსინი, გარშემორტყმული დიდებული ამალით.

ამ ამაღაში იყო გენერალ-მაიორი პეტრე პანინი; ეს დაუცხრომელი, მოუსვენარი კაცი ვეება ცხენზე იჯდა, ტუჩებზე გესლიანი ღიმილი აღბეჭდოდა — ცერად გასცქეროდა ღიბიან ფელდმარშალს.

მაძლარი ცხენები სუფთად გაეწმინდათ; მზე მთის კალთას ატლასივით აბრწყინებდა, ბრწყინავდა ირგვლივ ყველაფერი — იარაღი, უნაგირები, აბრეშუმითა და ოქრომკედით ამოყვანილი ძვირფასი თოქალთოები.

არმია იდგა პიჩით მტრისაკენ. მაგრამ მტერი ახლაც არსად ჩანდა. დაძაბული მოლოდინით იდგა არმია ერთი საათი, ორი...

— ეშმაკმა წაიღოს, — ბრაზით წამოიძახა ფელდმარშალმა და ჩამოიფხატა ქული თვალებზე, რომ მზეს არ შეეწუხებინა, — სად არის მტრის ჯარი? რატომ არ ჩანს? ეშინიათ?

— არა, გრაფო, მტერი მამაცია და სწრაფი, — გამოეხმაურა პეტრე პანინი, რომელიც მიჩვეული იყო თამამ სიტყვა-პასუხს და ხუმრობას — მტერი ახლა ან სადილობს და შამპანიურს მიირთმევს, ან კიდევ გზას გვიჭრის ზურგიდან.

— თქვენ ასე ფიქრობთ? — აპრაქსინმა ზეასწია სქელი წარბები და უკან გაიხედა, — შეუძლებელია, რომ ზურგიდან...

— ამას გარდა, მე ვფიქრობ, — განაგრძობდა პანინი, — რომ არასოდეს ასე არ ხდება — ერთი არმია იდგეს მზად, პარადის სახით, ზარბაზნებით, ხოლო მეორე, მტრის არმია ასევე პარადულად მოემართებოდეს მის შესახვედრად. ომს იწყებენ უეცრად. ვერ გამიგია რისთვის მოვედით აქ და ვდგავართ, როგორც ინდაურები. ვბედავ, გრაფო, შეგეკითხოთ...

— დილით დაზვერვამ ცნობა მოიტანა, — მხრების აწევით, თითქოს თავს იმართლებსო, წარმოთქვა აპრაქსინმა, — რომ გრაფი დონაჟ პრუსიელების ყველაზე საუკეთესო გენერალი, დგას ტყის იქითა მხარეს ჰუსარებისა და დრაგუნების ორმოცი ესკადრონით, ხოლო მთავარი ძალები მტრისა უახლოვდებიან ტყეს.

შორს ისმოდა თოფების სროლა. ეტყობოდა, კაზაკების დაზვერვა სადღაც გადააწყდა მტრის ჯარისკაცებს, ბორცვიდან ტყისაკენ რამდენჯერმე გაისროლეს შორსმსროლელი ჰაუბიცებიდან. ტყის ახლოს სოფელს ცეცხლი წაეკიდა; საპასუხო სროლა არ ყოფილა და პოლკები ისევ დააბრუნეს ბანაკში.

იმ დამეს ფელდმარშალმა სამხედრო საბჭო მოაწყო. გადაკვრით, ნართაულად უმაღლესმა ოფიცერებმა მას უსაყვედურეს, გაუმართლებელ უმოქმედობას ვიჩინოთ და აპრაქსინიც იძულებული იყო, რომ მეორე დილიდან, მაცნე ზარბაზნის გასროლისთანავე დაეწყოთ ლაშქრობა.

\*\*\*

ცხრამეტ აგვისტოს, დილით ადრე სქელი ნისლი გაიფანტა. თავჩაქინდრული ცხენები ჯერ ისევ სთვლემდნენ, ნამი უხვად ეყარა ბალახზე, კარვებზე, ყველგან.

დაიგრიალა მაცნე ზარბაზანმა, ამოძრავდა ბანაკი, ჩვეულებრივი საარის ნაცვლად ჰაერი გენერალური მარშის ხმებმა შესძრეს — მასასადამე. იწყებოდა ლაშქრობა.

ოცი წუთის შემდეგ ალალი დაიძრა. ჯერ ისევ ბნელოდა.

მინდორი. სადაც ბანაკი იყო, ჰიანჭველების ბუდეს დაემსგავსა. ყველაფერი ერთიმეორეში ირეოდა... მოძრაობდნენ წინ და უკან, მარჯვნივ და მარცხნივ.

იმ ადგილას, სადაც მინდორიდან გასასვლელი იყო, ხდებოდა რაღაც საშინელი ამბავი. ვიწრო დეფილეს წინ, რომელზედაც უამრავ ალალს უნდა გაევიღო, მიდამო მთლიანად დაჭაობებულ იყო, გაუვალ ტალახში წინა ურმები ჩაეფლნენ, უკან მიმყოლებმა სცადეს გადაესწროთ მათთვის გვერდიდან და ისინიც ჩაეფლნენ; ცხენები მკერდამდე დაფარა ჭაობმა.

ბოლოს და ბოლოს ამ ტალღამ, რომელშიაც არაერთი ათასი ურემი იყო, ისე ჩაჰკეტა მთელი გასასვლელი, ზარბაზნის ყუმბარა ვერ გააღწევდა მეორე მხარეს. აქ ყველაფერი აირია: არტილერია ყუთებითა და ყუმბარებით. ჯარისკაცთა ალალები, გენერალთა ეტლები, ოფიცერთა მაზიდები.

ხოლო უკანინდან ამ ქაოსში მოიწვედნენ უკვე სალაშქროდ დამრული პოლკები. ისმოდა ყვირილი — „გზა, გზა“, — მაგრამ გზა არსად იყო.

ამ არეგ-დარევის დროს, როცა ყველა თავგანწირვით ცდილობდა გენთავისუფლებინათ გასასვლელი, ჯარში დაირხა ხმა: პრუსიელები შეტევაზე გადმოვიდნენ, უკვე ახლოს არიანო. და აი გაისმა პანიკური წამოძახილები: „მტერი, მტერი“, მაგრამ დანამდვილებით არავინ არაფერი არ იცოდა.

იმ დროისათვის, მოსკოვის მეორე პოლკის ჯარისკაცებმა, რომლებიც უკვე გასულნი იყვნენ ეგერსდორფის მინდორზე, უცებ დაინახეს მტრის ჯარების მწყრივები, რომლებიც შათკენ მოისწრაფოდნენ. მოსკოვის პოლკი იღვა სწორედ იმ ურმებითა და ხალხით გაჭედნილ გასასვლელთან და იცავდა მთელ ბანაკს. განცვიფრდნენ ამ პოლკის მეთაურებიც და ჯარისკაცებიც — როგორ მოხდა, რომ ასე შეუძნეველად წამოადგათ მტერი. როგორ მოხდა, რომ ასე მალეით გამოიარა მან მინდორზე თითქმის ოთხი ვერსი და ყინწში სწვდა ჩვენებს? სად იყო დაზვერვა? რას ფიქრობდა მთავარსარდლობა?

არტილერიის მცირე კოლონამ, რომელიც მოსკოვის პოლკს ახლდა, მაშინვე იქცხლი დაუშინა მტრის ჯარებს.

თითქმის ყველა დანარჩენი პოლკი ჯერ ისევ იმყოფებოდა ალალის უკან, ბანაკში. შეუძლებელი იყო გაჭრილიყუნენ გაუვალ ტყეში აძუნეციით, ზარბაზნებით. „გასასვლელები გასჭვრით, გასასვლელები“, უწესრიგოდ გაისმოდა დაგვიანებული ბრძანება. მაგრამ რალა დროს ეს იყო: პოლკები უცდიდნენ, ვიდრე ალალი გაანთავისუფლებდა მოტიტვლებულ ადგილს, საიდანაც მინდვრისაკენ გასვლა შეიძლებოდა. ძლივს მოასწრო და ბრძოლის ველზე თავისი დივიზია გაიყვანა მხოლოდ გენერალ-ანშეფმა ვასილ აბრამის ძე ლოპუხინმა.

ამრიგად, ქართველები და მათ შორის დავით გურამიშვილი ბრძოლის ყველაზე მოწინავე ხაზზე მოექცნენ: ქართული ჰუსართა პოლკი ხომ ლოპუხინის დივიზიაში შედიოდა.

მინდორზე მოახერხა გასვლა დონელების ნაწილმაც. მალე გავიდა კიდევ ერთი საარმიო პოლკი.

თენდებოდა. მზე ის იყო ამოდიოდა, პრუსიელები ორ ეშელო-

ნად ჩამწკრივებულებიყვნენ სწორედ იმ ადგილზე, სადაც გუშინ ასევე ორ ეშელონად იდგნენ რუსეთის პოლკები.

გროს-ვეერსდორფის ბრძოლა დაიწყო დილის რვა საათზე.

ამ დროისათვის რუსეთის პოლკებმა თავიანთი ფრონტი ერთი ვერსის სიგრძეზე გასტიმეს. გენერალი ლოპუხინი, რომლის დივიზიაში, როგორც უკვე ვთქვით. იყვნენ ქართველი ჰუსარები, უშიშრად დააქენებდა ცხენს თავისი ჯარების წინ და ამხნევებდა მხედრებს.

ხოლო აპრაქსინი ბრძოლიდან შორს იყო, კარგად ვერც ერკვეოდა რა ხდებოდა და ამიტომ არავეითარ ბრძანებებსაც არ იძლეოდა. ყოველი მეთაური მოქმედებდა ისე, როგორც საჭიროდ დაინახავდა, არ იყო საერთო გეგმა, და ეს დიდად აფერხებდა საქმეს.

მალე ბრძოლის ველზე გამოჩნდა პრუსიის კავალერია. დონის კაზაკებმა ყიყინით მიიტანეს მათზე იერიში, მაგრამ მტრის ცეცხლს ვერ გაუძლეს, დაიბნენ, უკან დაიხიეს. მათ პრუსიელების ესკადრონი გამოჰყვათ, იგი წინ გამოიჭრა; საქმეში რუსული არტილერია ჩაერია, პრუსიელები შეფერხდნენ, ამით ისარგებლეს კაზაკებმა და წინ გამოჭრილი ესკადრონი მტრისა მთლიანად გაანადგურეს.

მაგრამ უპირატესობა მაინც აშკარად მტრის მხარეზე იყო: რუსეთის არმიიდან იბრძოდა მხოლოდ თერთმეტი პოლკი (მათ შორის, ქართული პოლკი), მთავარი ბანაკისაგან ეს პოლკები მოწყვეტილნი იყვნენ.

ალაღი, როგორც იყო, ჩამოაშორეს ბანაკიდან ვიწრო გამოსასვლელს, ახლა თითქოს შესაძლებელი იყო ჯარების გამოყვანა ბანაკიდან, ზარბაზნებისათვის ყუმბარების გამოტანა, მაგრამ პრუსიელებმა ეს გაითვალისწინეს და სწორედ ის გამოსასვლელი არტილერიის ცეცხლით გადაჰკეტეს.

ამრიგად, რუსეთის იმ პოლკებს, რომლებიც მთავარ ბანაკში დარჩნენ, გზა გადაკეტილი ჰქონდათ. ზარბაზნების გრუხუნის ხმაზე ისინი ხედებოდნენ თუ როგორ უჭირდათ მათს თანამოძმეებს, მაგრამ მიშველებას ვერ ახერხებდნენ.

ბრძოლის მთავარი სიმძიმე გადაჰქონდა გენერალ ლოპუხინის დივიზიას, თვითონ გენერალს ჯერ ცხენი დაუჭრეს, მერე თვითონაც დასჭრეს; დაჭრილი მხარი მას მოტეხილივით ეკიდა, ჩექმებიც უკვე სისხლითა ჰქონდა საესე, ის მაინც არ სტოვებდა ბრძოლის ველს, ამხნევიბდა თავის პოლკებს. და ისინიც უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდნენ, კვლავ უმაგრდებოდნენ ღრუბელივით მოწოლილ მტერს.

დავით გურამიშვილი სწორედ ამ ბრძოლის შუაგულში იყო. ამ შეტაკების მონაწილე, გურამიშვილის თანამებრძოლი ანდრია ბოლოტოვი ასე აღწერს ამ ეპიზოდს:

„შეუძლებელია იყოს იმაზე უფრო სასახელო სიმამაცე, როგორც მაშინ გამოიჩინეს მეომრებმა. ზოგი, უკვე ერთ ხელში დაჭრილი, მეორე ხელით ხმალამოწვდილი მაინც ებრძოდა მოწინააღმდეგეებს, რომელნიც მას უტევდნენ. მეორე, კრილობისაგან ქანცმილული, მთლად დასისხლიანებული, ხეს მიჰყრდნობოდა და ჯერ კიდევ იგერიებდა მტრებს, რომლებიც მის განგმირვას ცდილობდნენ. მესამე ლომსავით ბრღვენიავდა გარშემოსეულ მოწინააღმდეგეთა ხროვაში და ხმლით იკაფავდა გზას, არცა ფიქრობდა შებრალება და მოწყალება ეთხოვნა, თუმცადა სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა სახეზე. მეოთხე იარაღს ართმევდა იმათ, ვისაც იგი განიარაღებული ტყვედ მიჰყავდათ და მათი საკუთარივე იარაღით ცდილობდა დაეხოცა ისინი. მეხუთეს დავიწყებოდა, რომ მარტო იყო და მტრის ბრბოში შეჭრილი ხიშტით ლამობდა განეგმირა ყველანი. მეექვსე, ტყვია-წამალი რომ გამოლეოდა, ჩანთებს აგლეჯდა მოკლულ მოწინააღმდეგეს, და იქ მომაკვდინებელ ლითონს ეძებდა, რათა მტრისავე ტყვია დაეშინა მტრისათვის. ერთი სიტყვით, აქ მეომრებმა გამოიჩინეს ყოველივე ის, რისი მოთხოვნაც კი შეიძლებოდა მამაცი და უშიშარი მებრძოლისაგან“.

მაგრამ სულ უფრო და უფრო თხელდებოდა რუსთა რიგები, ოფიცრები თითქმის მთლიანად გასწყვიტეს, შედრკა მთელი ფრონტი; გენერალი ლოპუხინი კვლავ წინ გაიქრა, პრუსიელები მას გარს შემოეხევივნენ, წააქციეს და მიწაზე თრევით მიჰყავდათ ტყვედ, მაშინ ჯარისკაცები მისცვიდნენ და თავიანთი გენერალი ხელიდან გამოსტაცეს მოწინააღმდეგეს.

მაგრამ ლოპუხინი აღარ სუნთქავდა.

პრუსიელებმა კვლავ წინ წამოიწიეს, ისინი ბანაკისაკენ მიემართებოდნენ.

რუსეთის არმიის დამარცხება თითქოს გარდუვალი იყო.

მაგრამ ყველაფერი უცებ შეტრიალდა, ზედის სასწორი ახლა რუსების მხარეს გადაიხარა.

აი როგორ მოხდა ეს:

იმ წუთში, როცა პრუსიელები უკვე გამარჯვებულად გრძნობდნენ თავს, ტყიდან შავ ცხენზე მჯდომი მხედარი გამოიჭრა, ეს იყო გენერალი რუმიანცევი. მას გამოჰყვა ჯერ ერთი ასეული, მეორე, მესამე, მალე ორი ახალი, დასვენებული რუსული პოლკი იდგა ბრძოლის ველზე. გაისმა რუმიანცევის შეძახილი და რამდენიმე ათასმა თოფმა ერთად დაიქუხა, მეორეჯერ გაისმა გამანადგურებელი ზალპის ხმა და მაშინ კი რუმიანცევმა ხიშტით იერიშზე გადაიყვანა თავისი მეომრები.

ტყვიდან ახლად გამოსული პოლკები ხელჩართულ ბრძოლაში ჩა-  
ებნენ. მათ მიჰყვა ყველა, ვინც კი გადარჩა მოსკოვისა და რიაზანის  
პოლკებიდან და ლოპუხინის დივიზიიდან, მათ შორის ქართველებიც.

პრუსიელების ფრონტი რუსებმა მალე შეანგრის, მტრის პოლ-  
კებმა პირი იბრუნეს და გაიქცნენ.

ფელდმარშალი აპრაქსინი კვლავ სადღაც შორს, ჩრდილში ისევ-  
ნებდა და რა ხდებოდა ბრძოლის ველზე, არ იცოდა. ბრძოლას ახლა  
რუმინანცევი და ფერმორი წარმართავდნენ.

რუსეთის არმიის ამ თავგანწირულებამ გადასწყვიტა ბრძოლის  
ბედი. რუმინანცევის პოლკებმა მთლიანად გაანადგურეს ლევალდტის  
არმია, რომლის გადარჩენილმა და გაფანტულმა ჯარისკაცებმა ტყეს  
შეაფარეს თავი. იმავე ანდრია ბოლოტოვის ცნობით, პრუსიელები,  
„როგორც ნახირი, სრულიად უწესრიგოდ და არეულ-დარეულად  
ილტვოდნენ“.

თოფის წამლის კვამლმა და ხანძარმა, რომლებიც მახლობელ  
სოფლებს გაუჩნდა, პრუსიელები უფრო მეტად დააბნია; მათ იქამდე  
დაჰკარგეს ბრძოლის ველზე შექმნილ ვითარებაში გარკვევის უნარი,  
რომ აღარ იცოდნენ სად იყო მტერი და სად თავისიანები. პრუსიელ-  
თა პირველმა ხაზმა რომ უკანდახევა დაიწყო, მეორე ხაზზე მყოფებს  
ისინი რუსები ეგონათ და სროლა აუტეხეს.

ვეება მინდორი მთლად გადახნული იყო ყუმბარებით, ათასობით  
ჩექმის და ფლოქვის ნაკვალევით, მორწყული იყო ადამიანის სისხ-  
ლით, აჭრელებული იყო ყველა ფერის მუნდირში გამოწყობილი  
მკვდრებითა და დაჭრილებით.

გაოფლიანებული და თოფის წამლის კვამლით სახეგამურული  
ჯარისკაცები დაეძებდნენ თავიანთ ნაცნობებსა და მეგობრებს, რომ  
ცოცხალთა შორის თუ არა. მკვდრებში მაინც ეპოვნათ ისინი. გასა-  
გებია, რომ დამშვიდებულნი არც ქართველი ჰუსარები იყვნენ —  
ისინიც შუბლშეჭმუხვნისნი გლოვობდნენ თავიანთ თანამომძეგებს,  
რომელთაც აქ, პრუსიის მიწაზე დალიეს სული.

### ისევ ტყვეობაში

რუსეთის არმიის ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ფელდ-  
მარშალმა აპრაქსინმა სრულიად უცნაური რამ ჩაიდინა. იმის ნაცვ-  
ლად, რომ გამოსდევნებოდა მტერს, მან პირიქით. უკუღმართული  
ბრძანება გასცა: ჯარისკაცებს წყალში გადააყრევინა თოფის წამალი  
და ყუმბარები. მერე დაამოქლონეს ზარბაზნები; და მთლიანად პოლ-  
კები უკან წამოვიდნენ და პრუსიიდან ისევ პოლონეთში დაბრუნდ-



ნენ. ამ ღალატისათვის არმიის მთავარსარდალი აპრაქსინი მოხსნეს. დედოფალმა ელისაბედმა ბრძანა, აპრაქსინი დაეპატიმრებინათ და გაესამართლებინათ.

აპრაქსინის მაგიერ რუსეთის არმიის მთავარსარდალად ფერმორი დანიშნეს, მაგრამ ისიც მოლაღატე აღმოჩნდა.

1758 წლის დასაწყისში რუსეთის პოლკები ისევ პრუსიისაკენ გაემართნენ და კენიგსბერგს მიაღწენ. ქალაქი უბრძოლველად დანებდა. იმავე წლის აგვისტოში რუსთა პოლკები მიაღწენ კიუსტრინის ციხე-სიმაგრეს. ეს მიდამოები ხელსაყრელი არ იყო ბრძოლისათვის. ციხე-სიმაგრის ფორტიფიკაციული ნაგებობების — ბასტიონებისა და რაველინების მისასვლელები მთლიანად დაჭაობებული იყო. ეს ჭაობი შეუძლებელსა ხდიდა გადამწყვეტი იერიშის მიტანას კიუსტრინზე. და ჭაობი იმავე დროს არც ტრანშეების გათხრის შესაძლებლობას იძლეოდა.

როცა რუსებმა დაინახეს, რომ ამ გზით, ამ ტაქტიკით ისინი კიუსტრინს ვერ აიღებდნენ — მათ გადაწყვიტეს, ქალაქი სააღყო არტილერიით დაეძლიათ. სააღყო მორტირების ურაგანულმა ცეცხლმა ქალაქს ხანძარი გაუჩინა. კიუსტრინი იწვოდა, მაგრამ გარნიზონი მტერს მაინც არ დანებდა, რადგანაც იცოდნენ, რომ კიუსტრინს თვითონ ფრიდრიხი უახლოვდებოდა ოცდათორმეტათასიანი არმიით.

რუსებმა ალყა მოხსნეს კიუსტრინს და იქვე ახლოს, სოფელ ცორნდორფთან გამაგრდნენ.

სწორედ ამ სოფელთან მოხდა მძაფრი შეტაკება ფრიდრიხისა და რუსების არმიას შორის. ორივე მხარემ დიდი ზარალი განიცადა. ამ ბრძოლის შესახებ გურამიშვილი წერდა:

ორმოცთრამეტს ბრუსმან დაგვეკრა,  
თავსა დაგვახეია რეტი,  
შე ჩემს ძმებსა დამაშორა,  
ლუწისაგან დავრჩი კენტი.

ცორნდორფი ქართულად მრისხანების სოფელსა ნიშნავს. ამ ბრძოლაში სოფელმა თითქოს თავის სახელი გაამართლა. ეს იყო მართლაც უაღრესად მრისხანე და საშინელი ბრძოლა. დილით დაიწყო გააფთრებული საარტილერიო დუელი, შემდეგ ჯარები პირისპირ შეეტაკნენ ერთიმეორეს. პრუსიის არმიის კაპიტანი არხენ-ჰოლცი ასე აგვიწერს ამ ბრძოლას: „რუსთა ქვეით ჯარზე იერიში მიიტანეს ფრონტიდან, ფრთიდან და ზურგიდან. და კვლავ დაიწყო საშინელი სისხლისღვრა. აქ ამ მეომრებმა პრუსიელებს უჩვენეს სა-

ნახაობა, როგორის მაგალითებიც მანამდე არ ნახულა. ვაზნები რომ გამოეღოდათ, ისინი მაინც მაგრად იდგნენ... ახალი პოლკები მოკლულთა ადგილს იკავებდნენ და თითქოს სურდათ თავიანთი ამხანაგების ბედი გაეზიარებინათ. უფრო ადვილი იყო მათი მოკვლა, ვიდრე გაქცევისათვის იძულება“.

რუსმა მებრძოლებმა იმ დღეს თვითონ ფრიდრიხი კინალამ მოკლეს. ბოლოტოვი მოგვითხრობს, რომ პრუსიელები „ილტვოდნენ პირუტყვივით თავიანთი მეფის თვალწინ, ჩვენები კი მიერეკებოდნენ და ჟღერდნენ მათ უმოწყალოდ. უკანვე შერეკეს ისინი ჭაობში და ხელთ იგდეს იქ მათი ბატარეა“.

ორივე მხარემ დიდი სტოიკური სიმტკიცე გამოიჩინა. იმ დღეს არც ერთმა არ დასტოვა თავისი პოზიცია. დადამდა, ბრძოლა დამთავრდა, რა ხდებოდა იმ ღამეს ბრძოლის ველზე? ის ხელთ იგდეს მაროდორებმა.

აი, რას მოგვითხრობს არხენპოლცი: „მრავალ მძიმედ დაჭრილ რუსს, ბრძოლის ველზე სრულიად უპატრონოდ მიტოვებულს, ორმოებში ჰყრიდნენ და მკვდრებთან ერთად მარხავდნენ. ამაოდ ბორგავდნენ ის უბედურნი მკვდრებს შორის, ამაოდ ცდილობდნენ მათს მოცილებას და ფეხზე წამოდგომას: მათზე მიყრილი სხვა გვამები თავიანთი სიმძიმით სამუდამოდ უღებდნენ ჯერ კიდევ ცოცხლებს საშინელი სამარის კარებს“.

იმ დღეს პრუსიელებმა რუსეთის არმიის არაერთი ჯარისკაცი და ოფიცერი წაიყვანეს ტყვედ. რუსებმაც მტრის ათას ხუთასი ჯარისკაცი და ოფიცერი დაატყვევეს.

გურამიშვილის ლექსიდან ჩანს, რომ პოეტიც ამ ტყვეებში ერია და რომ ეს ტყვედ ჩავარდნა მოხდა 1758 წლის აგვიატოში, იმ ბრძოლაში, რომელიც კიუსტრინის მიდამოებში გაიმართა.

ამას ადასტურებს ოფიციალური დოკუმენტებიც. დედოფალი ელისაბედის სახელზე გაგზავნილ „ჩელობიტინაში“ დავითი აღნიშნავს, რომ ის მონაწილეობდა ცორნდორფის ბრძოლაში და „იმ ბატალიის დამთავრების დროს კიუსტრინთან, მივსდევდი რა მოწინააღმდეგეს, უეცრად ცხენიანად ჭაობში ჩავეფალ და მტერმა ტყვედ წამიყვანა, სადაც ვიმყოფებოდი იმ დღიდან 1759 წლის 6 დეკემბრამდე“...

კიუსტრინის მიდამოებში თავის დატყვევებაზე მოგვითხრობს პოეტი ლექსში: „ოდეს დავით გურამიშვილი კისტრინის ომში ცხენითურთ ლიაში დაეფლა, იმის მონასიბად ღვთისმშობლის შესხმა“. ამ ლექსში პოეტი წერს:

ყოვლადწმინდავ ღვთისმშობელო, დიღო დედოფალო,  
ცოდვის ღიას უკუვარდი, ღრმად შიგ დავეფალო,  
თუ შენ მე არ აღმომიყვან, ძნელად აღმოვალო,  
თაყვანსა გცემ, გვაჯები, ვითხოვ შემოწყნარო.  
მიმკედარებულს მაძაშველო უკვდავების წუარო.

ბუნებრივია, რომ ეს ჭაობში ჩაფლობა სამუდამოდ, მთელი სი-  
ცოცხლის მანძილზე დაახსოვდა გურამიშვილს — აქ დამთავრდა მი-  
სი მხედრული ცხოვრება და ისევ საშინელი ტყვეობა დაიწყო. პო-  
ეტი მაგდებურგის (ქალაქია მდინარე ელბის ნაპირზე) ციხეში დაამ-  
წყვდიეს.

მაგდებურგის ციხეშიგან  
დამსხვა კარებდანაკლერტი.

დადესტნის ბნელი ორმოების შემდეგ მან ახლა პრუსიული სა-  
პყრობილეს ჯურღმულების საშინელებაც განიცადა.

ამაზე ის სდუმს თავის ლექსებში. და საერთოდ, ძალიან ძუნწად,  
მხოლოდ ხანდახან და ისიც გაკვრით ახსენებს ამ უზარმაზარ ომებს,  
რომლების მონაწილე თვითონ იყო.

მაგრამ მის ჩელობიტნიას შემოუნახავს ერთი ფრიად საინტერესო  
ცნობა: პოეტი წერს, რომ დატყვევების დროს, როცა ჭაობში იყო  
ჩაფლული — დაიზიანა მარჯვენა ხელი, რომელსაც ახლაც ძლივსდა  
ვხმარობო. და ამას გარდა, იმ დატყვევების შემდეგ, საპყრობილის  
საკანში, განმარტობულს თურმე რაღაც საშინელი ხმაური ესმოდა,  
და თვალთაც ამის გამო დააკლდა (იხ. 1760 წლის 25 თებერვლის ჩე-  
ლობიტნია).

ჩვენ ზემოთ ვრცლად ავწერეთ გროს-ეგერსდორფის და ცორნ-  
დორფის ბრძოლები; აბა წარმოიდგინეთ ის ჯოჯოხეთი, ის დამაყ-  
რუებელი გრუხუნი და ნათელი გახდება, რომ მართლაც ძნელი იყო  
აღამიანს გაეძლო ყოველივე ამისათვის: დიახ, პოეტი აღარ ახსენებს  
ამ ბრძოლებს, ცოტას წერს მათზე და სწორედ იმიტომ. რომ ის და-  
მაყრუებელი ქუხილი, იმ ტყვეების ხმები უკვე სამუდამოდ ყურში  
უწვიის.

### მიხროროლის მოძალაძე

1759 წლის დეკემბერში ტყვეობიდან განთავისუფლებული პოე-  
ტი გერმანიიდან პირდაპირ პეტერბურგს გამგზავრებულა. რათა სამ-  
ხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებულიყო.

ის უკვე ავადმყოფი იყო და ახლა ოფიცრის მძიმე მოვალეობის

შესრულება აღარ შეეძლო. 1760 წელს პეტერბურგის სამხედრო კოლეგიას წარსულ დამსახურებათა გაძო მისთვის პორუჩიკის ჩინი მიუნიჭებია და პოლკის სიიდან ამოურიცხავს.

პეტერბურგიდან დავითი უკრაინაში, თავის მამულში დაბრუნდა. მისი ლექსი ამაზე პირდაპირ მოგვითხრობს: „მუნით ვიხსენ, შინ წამოველ, ქერი ვხან და ყანა, ფეტვი“..

ტყვეობიდან დაბრუნებულ პოეტს თავისი მამული აოხრებული დახვედრია. ამას მოწმობს მისი ლექსი „ოდეს დავით გურამისშვილი ბრუსიაში დატყოვდა და, თუ რამ აქვნდა თავისი საცხოვრებელი, ისიც დაეკარგა, იმისთვის ტირილი“.

გაეხდი გლახაკი და დავრდომილი,  
თუმცა საწუთროს მოვიანგარე,  
ვარ ცარიალზე შე დაჯდომილი  
საუნჯისაგან კარს გარე მდგარე.

ამანაც არ გაუტეხა გული. აღადგინა თავისი სახლ-კარი, სცადა მშვიდობიანი ცხოვრების დაწყება.

უკრაინაში დაბრუნების შემდეგ გურამისშვილმა მუდმივ საცხოვრებელ ადგილად მირგოროდი აირჩია.

განწირულების გრძნობა განსაკუთრებულად მძაფრად ჩანს მის ბოლოდროინდელ ლექსებში. პოეტი მოთქვამს, რომ წუთისოფელმა მას აღარავინ შეაჩინა, გასწყვიტა მისი მოყვანნი, რომელთაგან ერთიც აღარ დადის მიწაზე, დაკარგა მეგობრებიც, რომელთაგან ზოგი ფრონტმა იმსხვერპლა და ზოგიც თავისი სიკვდილით გარდაიცვალა.

პოეტი თვითონაც ძლიერ დაუძლურებულა. გაათრებული ომების ფრონტებს — ჩრდილოეთის, ყირიმის, შვიდწლიანი ომის კამპანიებს, ორგზის ტყვეობას უკვალოდ არ ჩაუვლია. ამ გაუთავებელმა ვაი-ვაგლახმა იგი წელში გატეხა.

მისი ერთადერთი ნუგეში პოეზიადა იყო და მართლაც შემოქმედების მხრივ ეს უკანასკნელი წლები მისთვის ყველაზე უფრო ნაყოფიერი იყო.

დავით გურამისშვილის შემოქმედების სრულსა და დროულ გაფურჩქვნას ძლიერ შეუშალა. ხელი დაუშთავრებელმა ხეტიალმა და აწეწილ-დაწეწილმა ცხოვრებამ. ამიტომ მას მრავალი შემოქმედებითი განზრახვა დარჩენია განუხორციელებელი. პოეტმა გვიან, მეტად გვიან მოიცალა ხანგრძლივად მარტო დარჩენილიყო თავის ფანტაზიასთან: თავდაპირველად მას ფართო ეპიკური ტილოების, ვრცელი პოემების შექმნა ჰქონია განზრახული:

რაც დამრჩა, ვერ ვსთქვი, მეწადა,  
მეთქვა გრძლად, თავი მეცადა,  
ვერა ვსთქვი, მოცლას უცილი,  
ნეტამცა არა მეცადა.

მაგრამ, როგორც ჩანს, მოუცლელობის დროსაც მას არაერთი ლირიკული ლექსი დაუწერია. მოხუცებულობის წლებში პოეტი წერს ახალ ლექსებს და ამავე დროს აგროვებს ძველებსაც, სხვადასხვა დროს შექმნილ ნაწარმოებებს:

ამ ლექსთ თავი მოუყარე,  
საცა მეთქვა თვითო ობლად.

მაშასადამე, დავითიანში თავმოყრილია პოეტის სიკვამლეების დროინდელი ლექსებიც, ზუსტად კი ის შეიძლება ითქვას, რომ 1774 წელს მას დაუწერია „კაცისა და საწუთროსაგანა ცილობა და ბჭობა, ერთმანერთის ძვირის ხსენება“. ამავე წელსაა დაწერილი „ამ წიგნის გამლექსავის სულის მოხსენება“. თ. ყორდანიას ფიქრობდა, რომ ამავე წლებს ეკუთვნის „ადამის საჩივარი“, „მეოთხე დავითის შესხმა“, „ანდერძი დავით გურამისშვილისა“, „მღრღელთ ვედრება“, „საფლავის ქვაზედ დასაწერი“ და „სულის ამბავი“. ღრმა მოხუცებულობის დროს არის დაწერილი „ქაცვია მწყემსიც“.

თ. ყორდანიას აზრით, პოეტს თავის თხზულებათა კრებულის საბოლოო რედაქცია შეუდგენია 1781—1787 წლებში. მკვლევარი ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ ქალაქდზე, რომელზედაც „მხიარული ზაფხულია“ დაწერილი, ჩანს საფაბრიკო ნომერი 1781 წლის თარიღით. ახლა პოეტი უფრო და უფრო მეტად ფიქრობს სიკვდილზე და ისიც ხშირად აჩვენებს ნიშნებს თავისი მოახლოებისას: ფიზიკურად ის დაძაბუნებულია, ცალი თვალით სავსებით ბრძავდება და მეორეთიც უკვე ცუდად ხედავს.

უკანასკნელ წლებში სილატაკეშიც ჩავარდნილა. ოცი თუმანი ვერ უშოვნია, რომ თავის მიერ მოფიქრებული წისქვილის პროექტი განახორციელოს.

დავითი მგრძნობიარე ლექსებით ეთხოვება წუთისოფელს, წერს ლექსად ანდერძს, რომელშიაც ჩივის, რომ დამტირებელი და დამმარხველი არავინა ჰყავს:

მე ვინ მილოცავს, ან ვინ მიწირავს,  
ან ვინ დამმარხავს, ვინ დამტირავს?

და შემდეგ ანდერძადა სტოვებს, რომ უბრალოდ და უზეიმზაროდ წაიღონ მისი ცხედარი სასაფლაოზე, დამარხონ შეუღებავ კუბოში,

რადგან მას სილამაზე, სულ ერთია, ჩქარა მოეშლება, როცა ზევოდან ქვა და სილა წაეყრება და მიწა შესქამს.

უკანასკნელ წლებში უკრაინელმა მკვლევარმა დიმიტრი კოსარიკმა იპოვნა დოკუმენტები, რომელთაგან ირკვევა, რომ პოეტი გარდაიცვალა ქალაქ მირგოროდში 1792 წლის 12 ივლისს (ძველი სტილით).

## „ლავითიანის“ წყაროები

### 1. გურამიშვილის პოეზია და ხალხური გადმოცემა-ჩვეულებანი

ძველ ქართულ წარმართულ გადმოცემებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ლეგენდას კოპალაზე. არაგვის ნაპირზე, უწინდელ დროში ყოფილა ფშავ-ხევსურთა სალოცავი ამ მითიური გმირისა, რომელსაც ძველი დროის ფშაველი ისევე სცემდა თაყვანს და ევედრებოდა, როგორც ლაშარის ჯვარს, მზესა და დიდ თამარს. ლეთის გმირი იყო, მათის რწმენით, კოპალა — „ძვირად სახსენებელი, ცამდინ მალალი და ზღვამდინ მაგარი“.

ჩვენს ლიტერატურაში არა ერთხელ სცადეს გაერკვიათ ვინაობა და სადაურობა ამ წინაქრისტიანული ეპოქის ლეთაებისა. მ. ჯანაშვილი ფიქრობდა, რომ „ალბათ, თვით მზე მიაჩნდათო კოპალედ“. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ვინ არის და რომელი ლეთაება ნამდვილად კოპალა ანუ კოპალე, ახლა ძნელი სათქმელია იმიტომ, რომ ხალხურ შეხედულებას გარკვეული სახე არ ეტყობა“.

ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ფშავ-ხევსურთა დეკანოზები, როცა ხალხს სუფრას უკურთხებდნენ, და „ოჯახობრივ გამრავლებას“ უსურვებდნენ, ევედრებოდნენ არა მარტო ხმელეთ-მოურავ კვირიას, არამედ კოპალასაც. მან ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ კოპალას სახელი მოგვაგონებს ბერძნულ-რომაული ნაყოფიერების ლეთაებისა და ადგილის დედის კიბელეს სახელს, თუმცა ეს უკანასკნელი სქესის მხრივ არ შეესაბამება კოპალას.

კოპალას სახის აღდგენა და გაცოცხლება ვაჟა-ფშაველამაც სცადა. ამ მითიურ პერსონაჟს ის მარტო ეთნოგრაფიულ წერილში „კოპალა და იახსარი — დევების მებრძოლნი“ როდი შეეხო. მან ამავე თემას მიუძღვნა პოემა „კოპალაც“. პოემის ქვესათაურში თვითონ ვაჟა აღნიშნავდა, რომ მან ძველი ამბავი აიღო გასალექსივად.

როგორ გვეხატება კოპალა ვაჟას ამ ორი ნაწარმოების (პოემისა და პუბლიცისტური წერილის) მიხედვით?

პოემის დასაწყისში ვაჟა გვიხატავს ქვეყნის სიცოცხლეს, რომელიც რაღაც შავბნელ ძალას დაუძლევია, დაუჩაგრავს და ფეხქვეშ სათელად გაუხდია. თითქოს საყოველთაო სიკვდილის მოლოდინში დადუმებულა და გამტკნარებულა მთელი ბუნება. მთვარე ჩამქრალა, აღარც ვარსკვლავები ჩანან, ცრემლად დაწურულან მთები, არაგვიც ცრემლების ღელედ გადაქცეულა, ჩუმად მოსჩქეფს და ქვითინებს, მივარდნილ კლდეებში შევარდენი წივის, ირემი ველარ დასწაფებია მდინარეს, მკვდართა ბინას დამსგავსებია წუთისოფელი, მთელი სამყარო. ეს იმიტომ, რომ ქვეყანას დაჰპატრონებიან უზარმაზარი შავნაბდინი დევები. ისინი წვიმასაც კი აღარ უშვებენ მიწაზე:

როცა გამოჩნდის ღრუბელი,  
წვიმამ დაიწყის შრიალი,  
ღვეთ ლახტი მოუღერიან  
და ასტებიან ღრიალი,  
გაქჳრის წვიმა და ღრუბლებმა  
უკან იწყიან ტრიალი.  
ღამის სიკვდილმა სიცოცხლის  
დაისაყუთროს სახელი,  
გაქჳრეს ღვთის მახსენებელი,  
არეინ ანთოს სანთელი.  
ღამის სიყვარულს დაეწვას  
ტურტა გვირგვინი იისა.  
ყველა. რაც ამკობს სიცოცხლეს,  
გახდეს საკმელად ჳიისა.

მაგრამ გამოჩნდება მოხუცი კოპალა და აჰოჰოცავს დევებს, გაანთავისუფლებს ქვეყანას, — კაცსაც და ბუნებასაც. ფოთლები ისევ დაიწყებენ შრიალს, ისევ აყვავდება და გადაიფურჩქნება სიცოცხლე: ისევ გალღდება და გადაიშლება ის. ამ ვაგებით კოპალა სიცოცხლის ხელახლად დაბადებასთან არის დაკავშირებული.

უფრო მკაფიოდ გამოკვეთა ამ სახისა დღეს უკვე ძნელია.

ის კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას. რომ ძველ ქართულ ფოლკლორში ყოფილა წარმართული სიმღერა „ახა, წმინდა კოპალე“. დავით გურამიშვილს, ალბათ, არა ერთხელ მოუხსენია ეს სიმღერა, რომელიც აღიდებდა და მადლსა სწირავდა სიცოცხლისა და ქვეყნიერების მფარველის მარჯვენას. ეს საესებით ბუნებრივია. მეტერამეტრე საუკუნის დასაწყისში. გურამიშვილის ბავშვობისა და ყრმობის წლებში, არაგვის მიდამოებში მობინადრე ხალხის ხსოვნა-

ში ჯერ კიდევ ცოცხალი და ღრმად გამჯდარი იქნებოდა რწმენა ფანტასტიური ქვეყნისადმი, რომელიც დასახლებული იყო შავნაბ-დიანი დევებით, ადგილს დედებით, ქაჯებით და ოიოპინტებით: ალ-ბათ, ამ ლეგენდებისა და მითებია საკვეთი იყო სიმღერაც წმინდა კოპალეს შესახებ. დღეს ის ლექსი „ახა, წმინდა კოპალე“ დავიწყებული და დაკარგულია. დაგვრჩა მხოლოდ მისი სათაური, თუ პირველი სტრიქონი, ისიც იმიტომ, რომ დავით გურამიშვილს ამ სიმღერის ლექსი და კილო თავისი საინტერესო პოეტური ექსპერიმენტის ობიექტად გადაუქცევია. მა'ს აულია ამ სიმღერის რიტმი და კილო, ხოლო შინაარსი უარუყვია და შეუცვლია ახალი აღთქმის ლეგენდით მარიამის შესახებ, რომელსაც ანგელოზმა ყრბის ჩასახვა ახარა.

გურამიშვილი თავის ლექსში ჯერ ხარებაზე ლაპარაკობს, გადმოგვცემს, როგორ შჷსცდა ქალწული, რომელსაც უმამაკაცოდ ყრმის დაბადება ვერ წარმოედგინა. შემდეგ წერს:

ესთქვათ იმ ყრმისა შობითა დაგვემართა სარფა-რა:  
გაიხარდა აწ ყრმა-რა, სცა და კერპნი გაყარა.  
თვით შეგვექნა ღმერთადა, დაგვიყო და დაგვეფარა,  
განიყიდა, ჯვარს ეცეა, ჩვენთვის სისხლი დაღვარა,  
რასაც ვალით დაგვიხსნა, მის ეახშს გეთხოვენ აღარა.

ძველი ხალხური თქმულება, როგორც ვაჟის პოემიდან ჩანს, კოპალას სიცოცხლის მფარველად აღიარებდა. და, მაშასადამე, გურამიშვილს წინაქრისტიანული ეპოქის მითოსი ანალოგიური ქრისტიანული ლეგენდით შეუცვლია, თუმცა ცდილა სიმღერაში ისევ სიცოცხლის დაბადების, მისდამი მფარველობის პიონი დაეცეა, განეითარებინა, ოღონდ მთელი კონცეფცია ქრისტიანულ საძოსელში გაეხვია.

ეს შეთავსება და შინაგანი წინააღმდეგობა საერთოდ დამახასიათებელია იმ პოეზიისათვის, რომელიც ქრისტიანობის წიაღში დაიბადა: ქრისტიანობამ აიღო ხალხური მითოლოგიის სიმბოლოები და შეუფარდა ისინი თავის მსოფლმხედველობას, მაგრამ ისე, რომ გენეზისი ამა თუ იმ მითისა, ამა თუ იმ სიმბოლოსი მაინც ვერ დაჰფარა.

გურამიშვილის პოეზიაში მუდამ იგრძნობა ეს ცოცხალი გამოცხადი ჯანსაღი ხალხური სულისა, მისი მსოფლმეგრძნებისა. რომელიც ქრისტიანულ ასკეტიზმს ვერ დაუმორჩილებია, რომელიც, როგორც წყარო, აქა-იქ ამოხეთქავს ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის მიწა წაუყრიათ. და ხშირად მის ლექსში მარტო გარეგნული ფორმა იცვლება, შინაარსი კი ძველი რჩება; ამ პრინციპ-





და, ამასთან, აქვეა ისეთი მკაცრი, სულისგამყინველი ასკეტიზმი, რომელიც ისო ზირაქის წიგნის ბნელ აზრებს შეედრება.

პოემა იწყება ზამთრისა და ზაფხულის ბრძოლის ეპიზოდით.

როგორც მეფე და განმგებელი ქვეყნის სიცოცხლისა, ზამთარი ზის ყინულის ტახტზე, თავი მოსწონს, ფარ-ხმალ-ლახტზე ხელი დაუდვია და თავის ლაშქარს — თოვლ-ყინვას და სუსხიან ქარებს დასცქერის; მის საბრძანებელს ზაფხული უახლოვდება თავისი ლაშქრით. იწყება ცხარე ბრძოლა: ჰქრიან ქარები, ზამთარი თოვლ-ქყაპსა და თოვლის ხორშაკს აყრის ზაფხულის ძალებს. როცა ზამთრის ძალები სუსტდებიან, ზეფიროსი თრთვილით დალაშქრავს მოწინააღმდეგეებს. მზე და ზაფხული ამ თრთვილსაც აღნობენ. მაშინ ბრძოლაში ჩრდილოეთის ბორიო ქარი ჩაერევა, ყველაფერს ისევ გააყინავს და (ყაზედაც და მიწაზედაც ზაფხულის სხივებს გაანადგურებს, მაგრამ ბოლოს მაინც ზაფხული დასძლევს:

მზემან მსახურა ზაფხულს კეთილად,

ზამთრის სიცივე შესცვალა თბილად.

გაიქცა ზამთარი,

რაშს სტაცა ფაფარი:

დასცეს კიენა!

„მხიარულ ზაფხულში“ დავით გურამიშვილმა დახატა შესანიშნავი სურათი ბუნების საგაზაფხულო გაცოცხლებისა და განახლებისა. ყინვის ბროლისებური სამეფო ტახტი ზურმუხტის ტახტით იცვლება, ხეები, ზამთარში გაცრცვილნი, შიშველ-ტიტველნი, მწვანე კაბებს იცვამენ, თბილი სიცოცხლის მომტანი ქარები ჰქრიან, ფრინველები გალობენ და ჰიკვიკებენ, ტოროლა და ქედანი დაჰხარაიან ამწვანებულ ქვეყანას, ოფოფსაც ტკბილად მოსძახის გუგული — გაზაფხულის მახარობელი. ხეთა ფოთლების შრიალშიც თითქოს ეს საგაზაფხულო სიხარული ისმის; შემდეგ პოეტი მწყემსთა ცხოვრებას აგვიწერს და გადმოგვცემს, თუ როგორ ეძლევიან ახალგაზრდა მწყემსი ქალ-ვაჟები სიყვარულის ნეტარებას, ხარობენ ისინი, შეყვარებულნი პირობასა სდებენ; სამი მწყემსი ქალი გამოსულა მინდვრად, ეძებენ ყვავილებს. გვირგვინებსა სწნავენ, რათა თავიანთ სატრფოებს მიართვან. როგორც პოეტი გადმოგვცემს, ერთი მწყემსი ქალიშვილი თავის ორ დობილს ჩამოშორდა, ბარდიან ქალაში ის შორს გაიტყუა ყვავილების ძებნამ. არ უნდოდა მართო თეთრი ვარდებისაგან დაეწნა თავისი გვირგვინი. ქალაში გზადაკარგულ ქალიშვილს უეცრად მწყემსის სალამურის ხმა („ნესტვთა ხმობანი“) შემოესმება. ის ყვავილების კრფით გაეშურება იქით, საიდანაც ეს

ხმები ისმის, აღმართს აივლის, გადაიხედავს და წყაროსთან მწყემსს დაინახავს. რატომღაც ქალიშვილი უცებ „შეშინდა, შეჰყვირა, გაქცევა აპირა, მწყემსს მისი ხმა შემოესმა, იფიქრა. ეგებ რამე უქირსო, და მისკენ გამოექანა. როცა მწყემსი მოახლოვდა, მან ქალიშვილს ნუგეში სცა, ცრემლი მოსწმინდა:

ქალმან რა ნახა იმ მწყემსის პირი,  
სულ დაავიწყდა, რაც სკირდა კირი;  
მწყემსი შეუყვარდა,  
ფერხთქვეშ შეუიარდა,  
შესცინა პირსა.

ქალმან მიუთხრა მწყემსს: საყვარლო,  
დღეს ჩემო მცველო და დამფარველო  
მეც სიტყვის დასტური,  
რაც ვთქვა, მიგდე ყური,  
მისმინე თქმული.

ეს კონა წნული იყო შენია,  
მე ვარდი შემქენ, იყავ შენ ია,  
გაშინჯე, შინჯე ნახე  
ჩემი პირის სახე:  
თუ გონდეს, მითნიე...

როგორც ვხედავთ, ქალიშვილმა მწყემსს თავისი ყვავილების გვირგვინი შესთავაზა. ეს გვირგვინი, როგორც აქ, გურამიშვილის „მხიარულ ზაფხულში“, ისე შექსპირის კომედიაში „შუა ზაფხულის ღამის სიზმარი“, წარმოადგენს ქალწულობის სიმბოლოს. საინტერესოა, რომ შექსპირის ქმნილება ფოლკლორულ თემაზეა აგებული და ძველისძველ ხალხურ ჩვეულებას გამოხატავს, მაგრამ ეს მოტივები მარტო ინგლისურ ფოლკლორში როდი გვხვდება.

თუ რაოდენ ძველია ეს მოტივი ზამთრისა და გაზაფხულის ბრძოლისა — ამას ნათელყოფს კარლოს დიდის ეპოქის პოეტის ალქუინის (დაახლოებით 730—804 წლები ჩვენი წელთაღრიცხვით) ლექსი „გაზაფხულისა და ზამთრის გაკამათება“.

ბრძოლა და შეხლა-შემოხლა ზამთარსა და გაზაფხულს შორის, როგორც ხალხური მისტერია, აღწერა სებასტიან ფრანკმაც (1500—1543 წწ.), ავტორმა პირველი წიგნისა გერმანიის ისტორიაზე, პირველი გეოგრაფიული ნაშრომისა გერმანულ ენაზე. ზამთრისა და გაზაფხულის ბრძოლას ეხება XVI საუკუნის გერმანელი

პოეტის პანს საქსის ნაწარმოები „გეშპრახ ცვიშენ დემ ზომეერ უნდ დემ ვინტერ“.

მაგრამ ყველა ეს წყარო გურამიშვილისათვის უცნობი იყო: იმ დროს რუსულ ენაზე თარგმნილი არ იყო არც ალქუინის, არც შექსპირის, არც სებასტიან ფრანკის და პანს საქსის ნაწარმოებები, იმავე დროს, „მხიარულ ზაფხულში“ ასახული ყოფა და წეს-ჩვეულებანი არ არის ის შთაბეჭდილებანი, რომლებიც პოეტს შეიძლება მიეღო საარაგვოზე, ან ქსნის ხეობაში; მრავალი რამ აქ სცოდნება ქართულ სინამდვილეს, ქართულ ყოფას და ჩვეულებებს. ჩვენს ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მე არსად შემხვედრია აღწერა ამგვარი რიტუალებისა, უდავოა, რომ აქ პოეტის ფანტაზიას რალაც სხვა წყარო ჰკვებავს.

მაშ საიდან არის ყველაფერი ეს?

ამაზე გურამიშვილი თვითონვე იძლევა სავსებით გარკვეულსა და ამომწურავ პასუხს:

ერთს ქალს რუსული „ვესელა ვესნა“  
ჩემთვის სახმილად ჩამოეკვინა.

რაკილა პოეტმა თვითონ მიგვითითა წყაროზე, ჩვენ მოვუყვანთ სპეციალისტების აზრს ხალხური ე. წ. „ვესნიანკების“ შესახებ. კოლექტიურ ნაშრომში, „რუსული ხალხური პოეტური შემოქმედება“, ვკითხულობთ:

„მისაღმება გაზაფხულისადმი, რომელიც შესულია საყველიერო პოეზიასა და წეს-ჩვეულებებში, ლეიტმოტივად ჟღერს მარტსა და აპრილში. საგაზაფხულო-საზაფხულო წეს-ჩვეულებათა პირველი პერიოდი მთავარ ყურადღებას აპყრობს ბუნების ცვალებად მდგომარეობას, მიწის გამოღვიძებას ზამთრის ძილისაგან, მზადებას მინდვრის სამუშაოებისათვის... მისტიკური, რელიგიური დამოკიდებულება არა ჩანს არც ქალიშვილების საგაზაფხულო სიმღერებში — რუსულ „ვესნიანკებში“. გაზაფხულის საწესჩვეულებო სიმღერების ტექსტები შეიცავენ პოეტურ სურათებს ახლადმოსულ გაზაფხულისა, ბუნების პირველი გაღვიძებისა და მეტად სუსტიად არიან დაკავშირებულნი რელიგიურ რწმენასთან... მთელი ეს პირველი პერიოდი საგაზაფხულო ზეიმისა და წეს-ჩვეულებების მთავრდებოდა გაზაფხულის პირველ ახალ მთვარესთან შეფარდებული დღესასწაულით, რომელიც საეკლესიო რედაქციით განმტკიცებულ იქნა, როგორც მთავარი ქრისტიანული ზეიმი — აღ-

დგრმა. საეკლესიო საიდგომო წეს-ჩვეულებებმა მთლიანად შთან-  
თქეს ყოფითი სამიწათმოქმედო წეს-ჩვეულებანი რუსი ხალხისა,  
რომელსაც აღარ შერჩა სპეციალური სიმღერები, გამომხატველნი  
ბუნების აღდგომისა (შეად. საეკლესიო გალობა: „ქრისტე აღსდგა  
მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“ და ა. შ.)\*.

ყოველივე ეს შესანიშნავად ხსნის თვითობ გურამიშვილის  
ლექსებს, სადაც ხალხური, ყოფითი, ჯანსაღი საწყისი მაინც ვერ  
შთაუნთქავს რელიგიურს, თუმცა პოეტს კოპალა ქრისტეთი შეუცვ-  
ლია, „ჩემო ყურძალ“ — ქრიატიანული სიმღერით, მაგრამ იმ სიმ-  
ღერაში მაინც მისტიციზმი კი არ არის, არამედ ჰიმნი სიცოცხლის  
დაბადებისადმი. მოტივების ეს ურთიერთ გადაწვნა, ეს ურთიერთ  
შერწყმა მოსდგამს ხალხურსაც და გურამიშვილის პოეზიასაც.

მაგრამ დავებრუნდეთ ისევ ყვავილთა გვირგვინის დაწვნის  
წეს-ჩვეულებას. იმავე შრომაში ამ საკითხის შესახებ აღნიშნულია:

„...ამ საგაზაფხულო საწესჩვეულებო სიმღერებში სჭარბობენ  
ბუნებისა და სოფლის ახალგაზრდობის ურთიერთდამოკიდებულე-  
ბის აღწერის რეალისტური ნიშნები. ხალხურ წეს-ჩვეულებებთან  
და რწმენებთან უშუალო კავშირი აქვთ მხოლოდ სამების დღეობაზე  
თქმულ სიმღერებს გვირგვინების დაწვნის შესახებ. ეს კავშირი გა-  
პიროვნებულია იმით, რომ სიმღერა გვირგვინის დაწვნაზე წარმოად-  
გენს ნაწილს გვირგვინით მკითხაობისა (ჩაიფიქრებდნენ ხოლმე თა-  
ვიანთ სიყვარულს, გათხოვებას, მომავალს). ასეთია სიმღერაც:

Пойду я в зеленый сад гулять,  
Сорву я со травушки цветок,  
Совью я на головушку веноч,  
Пойду я на Волгу на реку,  
Стану я на мытном на плоту,  
Брошу свой веночек на воду,  
А сама подале отойду,  
На свой на веночек погляжу:  
Тонет ли, не тонет ли веноч?  
Тужит ли, не тужит ли дружок?  
Ай, мой веночек потонул.  
Знать, меня мой милый обманул.

სიმღერის დროს ქალიშვილები წყალში ისროდნენ გვირგვინებს  
და მათი წყალზე მოძრაობის შინელებით ცდილობდნენ ამოეცნოთ  
თავიანთი მომავალი ბედი“\*\*.

\* «Русское народное поэтическое творчество», გვ. 163—165, მოს-  
კოვი, 1954 წ.

\*\* იქვე, გვ. 168.

„მხიარული ზაფხულის“ დაწერიდან დაახლოებით ასი წლის შემდეგ დაიწერა ა. ნ. ოსტროვსკის „სნეგუროჩკა“, რომელსაც ავტორმა საგაზაფხულო ზღაპარი უწოდა და რომელშიაც ბრწყინვალე გამოხმაურება ჰპოვეს ზემოხსენებულმა ხალხურმა წეს-ჩვეულებებმა. აღნიშვნას არ საჭიროებს ეს ფაქტი, რომ ოსტროვსკიმ „მხიარული ზაფხულის“ არსებობის შესახებ არაფერი არ იცოდა. მაგრამ მათ მაინც ერთი წყარო ჰქონდათ: ეს იყო ძველი რუსული ყოფა, ის მსოფლშეგრძნება, რომელიც ხალხმა გადმოსცა თავის თქმულებებსა და სიძღვრებში. სრულიად არასწორი იყო ოსტროვსკის დროის კრიტიკა, როცა ავტორს უსაყვედურეს. თითქოს მან „სნეგუროჩკაში“ შექსპირის „შუა ზაფხულის ღამის სიზმრის“ გავლენა განიცადა. რა ვუყოთ, რომ თვითონ მოტივი ცალზე გავრცელებული იყო. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ამ თემას ეხებოდა კარლოს დიდის კარის მგოსანიც, ჰანს საქსიც, ამაზევე წერს გურამიშვილიც, მაგრამ ყველა ისინი დამოუკიდებელი არიან ერთიმეორისაგან. პირველს შთააგონებს ყოფა და ჩვეულებანი ფრანკთა სახელმწიფოს მწყემსებისა, გაზაფხული რომ მონატრებით, მეორეს — რაინზე მიუღია ეს შთაბეჭდილებანი, ხოლო მესამეს — რუსეთსა და უკრაინაში.

ჩვენთვის აქ, ამ შემთხვევაში, როცა გურამიშვილის პოემის წყაროებს ვეძებთ, „სნეგუროჩკა“ საინტერესოა, როგორც ანარქული ძველი სლავური ყოფისა და მსოფლშეგრძნებისა. აქ არის აღწერილი მოსვლა გაზაფხულისა და მას ხედებიან ბერენდის მკვიდრნი ზემით, ტყეში. აქაც მწყემსი ქალიშვილები გვირგვინებს სწნავენ, რათა სადღესასწაულო ღამეს თავიანთ საქმროებს ჩააბარონ. ერთი სიტყვით „სნეგუროჩკა“ და „მხიარული ზაფხული“, ეს ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი ნაწარმოებები, ამ წეს-ჩვეულებების აღწერაში სრულიად ემთხვევიან ერთიმეორეს და ეს იმიტომ, რომ ორივე მწერალი ძველ ხალხურ ჩვეულებსა და ყოფით რიტუალებს აღწერს.

სლავი ხალხების ეს წეს-ჩვეულებანი, როგორც აღნიშნულია ზემოთ დასახელებულ კოლექტიურ ნაშრომში, ყველაზე უფრო მრავალფეროვნად და მკვიდრად დაცულია უკრაინასა და ბელორუსიაში. და, მასასადამე, ცხადია, რომ სწორედ უკრაინამ შთააგონა გურამიშვილი შეექმნა ეს პოემა უკრაინულ ხალხურ ყოფაზე.

აქ კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი გვინდა აღვნიშნოთ, რომელიც ადასტურებს, რომ „მხიარული ზაფხულის“ პირიანდელი წყარო და პოეტის შთაგონების საგანი — უკრაინის ხალხის ყოფა იყო. გურამიშვილის „მხიარული ზაფხულის“ დაწერიდან თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგ, 1911 წლის ზაფხულში, ქუთაისში, გამოჩე-

ნილმა უკრაინელმა პოეტმა ქალმა ლესია უკრაინკამ დაწერა დრამა-ფეერია „ტყის სიმღერა“. უკრაინელ მკვლევარებს არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ „ტყის სიმღერა“ პირველიდან უკანასკნელ სტრიქონამდე გამსჭვალულია უკრაინული ფოლკლორის სტიქიით. აქ პოეტმა ქალმა გამოხატა ყოფა და მსოფლშეგრძნება თავისი ხალხისა, ბუნება თავისი ქვეყნისა, მისი ზამთარი და მისი გაზაფხული, მისი ლამაზი ქალიშვილები, ყვავილების გვირგვინს რომ წნავენ, რათა თავიანთი გულების რჩეულებს მიართვან.

ლესია, როგორც მისი მხატვრული და ეპისტოლარული ნაწერებიდან ჩანს, არ იცნობდა გურამიშვილის პოემას, მაგრამ დახეთ როგორ შეახვედრა ისინი საერთო თემამ, უკრაინულმა ფოლკლორმა და მათი წარმოსახვა ერთი გზით წარჰართა. გაიხსენეთ ლესიას დრამა-ფეერიდან ულრანი ტყე უკრაინისა, მტირალა ძეწნით და ბებერი მუხით, ადრეული გაზაფხული, როცა ჯერ მარტო ენძელა და ფურისულა ჰყვავიან, ხეები კი ჯერ ისევ შიშველნი არიან, მაგრამ უხვად გამოუღიათ კვირტები, რომლებიც სადაცაა უნდა გაიწალონ... მოდის გაზაფხული, მას თან ულამაზესი ფერია მოსდევს, თავზე მწვანე ყვავილების გვირგვინი რომ დაუდგამს. ჰაბუკი ლუკაშიც ამ გაზაფხულზე გამოსჭრის ლერწმის სალამურს, როგორც მწყემსი „მზიარულ ზაფხულში“, რათა ულამაზესი მავკა მოხიბლოს და დავითის პოემის გმირი ქალივით, მოჯადოებულს მუსიკითა და ჰაბუკის სილამაზით, ათქმევინოს: „თუ გონდეს, მითნიეო“.

როგორც გურამიშვილის პოემაში, ლესიას დრამაშიც ახალგაზრდა ქალიშვილს სალამურის ხმა აღძრავს, აღაგზნებს, სატრფიალო სახმილს წაუკიდებს, და არა მარტო მას, არამედ მთელ ბუნებას: რამდენადაც სალამურის ჰანგი იზრდება და ძლიერდება, იმდენად ტყეში ყველაფერს უფრო და უფრო მეტი სიცოცხლე ემჩნევა: ჯერ წნორისა და თხმელის საყურეები აკანკალდებიან, მერე არყის ხეების ფოთლები ამრიალდებიან, ტბაზე გაიშლებიან თეთრი ზამბახები და ოქროსფერი დაედებათ ღუმფარების ყვავილებს, იფურჩქნება ველური ვარდის კოკორიცი და ულრანი ტყიდან გამოდის მავკა — ტყის ფერია, მწვანე კაბით. ის ვნებიანად იზმორება და თვალებს იფშვნეტს: გაზაფხულმა და სალამურის ხმამ გააღვიძა სიცოცხლისათვის, ტრფიალებისათვის.

ლესიას ნაწარმოების გმირი—ჰაბუკი ლუკაში სწორედ „ვესნიანკას“, „ვესელა ვესნას“ ჰანგს უკრავს. იმ ვესნიანკას ჯერ გუგული ეხმიანება, მერე ბულბული, უფრო წარმტაცად იფურჩქნება ველური ვარდი, უფრო მეტად ელვარებენ ძახველის ყვავილები, სიწითლე ემატება კუნელს, უფოთლო, შავი გლერძიც კი შლის თავის ნაზ

ყვავილებს... მოჯადოებული მავკა ნელა ირწევდა, ილიმება ნეტარე-  
ბითა და სიცოცხლით აესილი... მან ახლა იცის, ვის უნდა მიუტან-  
ოს თავისი ყვავილების გვირგვინი, ისე, როგორც მინდვრის ფე-  
რიამ, რომელიც ამწვანებულ ჯეჯილში სწნავს გვირგვინს მთის ჰა-  
ბუკისათვის. მინდვრის ფერიას, მავკასაგან განსხვავებით, ლილი-  
ლოების გვირგვინი ადგას, თმებში ზოგან ჰიოტას მოწითალო ყვავი-  
ლები აქვს, ზოგან გვირილა, ზოგან ტირიფის ფოთლები. მერე ზამ-  
თარიც მოდის — ხეები დახუნძლული არიან თოვლით, აღარც მავკა  
ჩანს, ლუკაშსაც თოვლი ჯერ ქუდივით ეხურება, მერე მთლად წა-  
ნამქრავს, მაგრამ გაზაფხულზე ისევ გაიღვიძებენ ისინი ახალი სი-  
ცოცხლისა და ახალი სიყვარულისათვის.

ამრიგად ჩვენ, ვკითხულობთ რა ლესიას „ტყის სიმღერას“, გუ-  
რამიშვილის „ვესელა ვესნას“ საწყაროში ვგვრძნობთ თავს; აქ არა-  
ფერი საკვირველი არ არის. ლესიას შთაფინებას ფრთას ახსამს თა-  
ვისი ქვეყნის ყოფა და სინამდვილე. იმ ქვეყნისა, რომლის მოქალა-  
ქედ საუკუნე-ნახევრის წინათ ქართველი პოეტი გურამიშვილი იყო.

მაგრამ „მხიარულ ზაფხულში“ ხშირად ქართული ცხოვრების  
გამოხატულებასაც დაინახავთ... ეს გასაგებიც არის — პოეტს, ცხა-  
დია, არ შეეძლო დაევიწყებინა თავისი სამშობლო და მისი ადამიან-  
ები.

მთლიანად კი, „მხიარული ზაფხული“ მაღალი მორალის ქადა-  
გებას შეიცავს და აქაც პოეტი მისდევს ჯანსაღ ხალხურ უკრაინულ-  
ქართულ საწყისებს, რომელიც მუდამ აფასებდა ქალის კვდემამო-  
სილებას და მის მანდილს პატივსა სცემდა, მუდამ ოჯახის სიმტკი-  
ცეს ადამიანთა ცხოვრების აუცილებელ პირობად მიიჩნევდა.

პეიზაჟი, ყოფა, ადამიანთა პორტრეტები ამ პოემაში ზუსტად  
ემორჩილებიან ავტორის ძირითად ჩანაფიქრს—უჩვენოს სწორი გზა  
ახალგაზრდობას ცხოვრების ასპარეზზე და თითქოს ამ თავის  
ბრძნულ დარიგებებს გულისხმობს პოეტი, როცა მეორე ნაწარ-  
მოებში ამბობს:

მე ეს ხიდი საელეღად დიად სწორედ გავლეო,  
შენ თუ მრუღად გაიეღი, მე რა წყალში ვარდეო.

„მხიარული ზაფხული“ „ზუბოვკასთან“ და მრავალ სხვა ნაწარ-  
მოებთან ერთად ნათლად მოწმობს, თუ რაოდენ ღრმად აისახა რუ-  
სული და უკრაინული ყოფა ქართველი პოეტის ქმნილებებში, რა-  
ოდენ ძლიერია მათში ფეთქება ცოცხალი ცხოვრების მაჯისცემისა,  
რომელსაც ამ ლექსებში უშუალოდ შეიგრძნობთ და შეიცნობთ.



ასევე ძლიერად ისმის გურამიშვილის ლექსებში გამოძახილი ძველი ქართული გადმოცემებისა.

ლიტერატურის ისტორიაში არის ეპოქები, როცა უკვე გარდასული მითოსი ხელახლა დაიბადება, ისევ დაიპყრობს ადამიანთა შეგნებას, ისევ დაიბრუნებს თავის ძლიერებას, რომელიც მან, ვინ იცის რამდენი საუკუნის წინ დაჰკარგა. ისტორია მრავალ ამის დამადსტურებელ მაგალითს იძლევა. უშუალოდ, უწიგნოდ და უგადმოცემოდ გაიღვიძებს ხოლმე ძველი მითოსი და შემდეგ ის ლიტერატურული ძეგლები, რომელთაც მისი პირვანდელი სიჭაბუკე ახსოვთ და შემოუნახავთ, მისი ჩამოყალიბების, გაფორმების პროცესში იღებენ მონაწილეობას. სწორედ ასე გაიღვიძა ჰზის ძველმა ქართულმა მითოსმა გურამიშვილის შემოქმედებაში.

ძნელი სათქმელია, რომელ წელშია დაწერილი ის ლექსები, სადაც გურამიშვილი დიდების ჰინნებს უგალობს მზეთა-მზეს, მზეს და თინათინს. მაგრამ ერთი ცხადია: ამ მითოსის აღდგენამდე იგი გაზაფხულის, სულიერი და ფიზიკური გაზაფხულის ნატვრამ მიიყვანა. ამ ლექსებს მზის შესახებ პოეტი თავის დალესტნის ტყვეობის შთაბეჭდილებებს უფარდებს: იქ ის ხან თავის ცხოვრების ბნელ გზას უჩივის, ხან დალესტნის ბნელ ღამეს, ხან სუსხიან ამინდსა და ქარბუქს სწყევლის, ხანაც ცხოვრების ქარიშხალს, რომელმაც ნაფოტივით გადაისროლა ის შორეულ მხარეში:

მზეთა-მზეე, მზემან მომნახოს,  
მითხრას მშვიდობა, სალამი,  
თავს საფარველად მომმადლოს  
თავის აღდგომის ალამი.  
ვანთიადისა ვარსკვლავო,  
მის მზეთა-მზისა მთიებო,  
ვიკარგვი ბნელის ღამითა,  
ღლე, რად არ მომიძიებო.

ეს ჰიმნები, ერთის მხრივ, ესქატოლოგიურია, ხოლო მეორეს მხრივ — უალრესად ადამიანური:

მე ყინვით დამძრალს გულზედა  
სათბუნლად ხელის დასმასა  
რომელიც ქალი მადირსებს,  
მმას ვანაცვალე, დას მასა.

პოეტი ნამდვილ მზეს უმღერის, უმღერის ყოველგვარი ფილოსოფიური სპეკულაციის გარეშე; აქ ის ბუნებით რეალისტია და მკითხველი ამას ნათლად ხედავს. მაგრამ იმავე წუთს, როცა იგრ-

ძნობს, რომ საკმაოდ შორს გასცილდა ქრისტიანული რწმენის დოგმატებს, კვლავ უბრუნდება რწმენის წიაღს და ცდილობს თავისი უნაპირო ფანტაზია ქრისტიანობის ჩარჩოებში ჩაჰკეტოს. ამიტომ ურთავს ის თავის ლექსებს სპეციალურ განმარტებას, სადაც მკითხველს ევედრება, რომ მისი ლექსი უსათუოდ ქრისტიანულად გაიგონ, მზეთა-მზეში უსათუოდ ქრისტიანთა ღმერთი იგულისხმონ. ამ გაგებას, ამგვარ სიმბოლიკას არა ერთხელ მიმართეს ქართველმა ჰიმნოგრაფებმა VIII—X საუკუნეებში, როცა როგორც ქრისტი, ისე ღმერთისმშობელი არა ერთხელ გამოხატეს ციურ მნათობთა სახით. იოანე მტბევარი ქრისტეს „დაუღამებელ მზეს“ უწოდებდა. „მზე სიმართლისა“ და სხვა მსგავსი ეპითეტები („მზისა შობილი“) არა ერთხელ გვხვდება ძველ ქართულ პოეზიაში, როცა ქრისტიანულ წმინდანებზე ლაპარაკობენ.

შინაგანი დიფერენცირება ღმერთისა, რომელიც გურამიში იღმა თავისებურად შესცვალა (მზეთა-მზე, მზე და თინათინი) — უფრო სხვა ფორმით გამოხატულებას პოულობს პოეტის ლექსში, რომელსაც სახელად ეწოდება „ამიციანად იგავი, ასახსნელად ადვილი“.

ვიდრემდის განახლებოდა  
 ძველი ღღე-ღღე მზიანი,  
 იფქლი კალოზე ეყარა  
 განურჩეველი, ბზიანი.  
 ახალმან ღღემან განწმინდა  
 ღვიძლიან ნაკმაზიანი,  
 მის ღღითგან მოჩანს გარჩევით<sup>1</sup>  
 სარგებელი და ზიანი.  
 სანამ ღღე ძველი ღღეს ახალს  
 ჩვენ ღღედ არ გაჯიოთიჩიბდა,  
 მანამდის ჩვენსა დაშლილსა  
 ვერაუინ აღაშენებდა;  
 რა ღღე გათენდა ახალი,  
 ქვეყანას დანაშენებდა,  
 ყურიითაც კარგსა გვასმენდა,  
 თვალითაც კარგს გვაჩვენებდა.

ეს გამოცანა მართლაც ადვილი ასახსნელია, როცა გავიხსენებთ ბიბლიური პირვანდელი ცოდვისა და განწმენდის ლეგენდებს: გურამიში იღმის ლექსში „ძველი ღღის“ სახით ნაგულისხმევია საბაოთი ანუ ღმერთი აბრაჰამისა, ანუ „მამადმერთი“, ხოლო ახალი მზიანი ღღე — ლექსის აზრით ქრისტეა, რომელიც ახალი აღთქმის მითოსის მიხედვით თავსა სწირავს მთელი კაცობრიობის, ყველა დროისა და ყველა ტომის ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად. ასე რომ,

თითქოს იდილიურ ლექსშიც საქმე გვაქვს ქრისტიანული დოგმატების ახლებურად რესტავრაციის ცდასთან.

პოეტის გაგებით, ეს მზე ანათებს რეალურ სამყაროსაც და მზის ზედა მსოფლიოსაც. ეს არის არა ფიზიკური მზე, არამედ რაღაც მიუწევდომელი ნათელი, როგორც რუსთაველის მზე, რომლის ელვათა კრთომა დღისითაც და ღამითაც დაინახება.

გურამიშვილისათვის ეს სიმბოლიკა უცხო არა ყოფილა. ისიც ამ გზას მისდევდა და ამ ტრადიციას აგრძელებდა. მისთვისაც მზეთა-მზე „მიუწევდომელი წარუვალი ნათელია, გრძელი და ძველი დღეა“, „მყოფი“ და „შეურყველი“, რომელსაც პოეტი მარად შესტირის:

შენ გაქვბ და გეაჯები, დაჯარგულო ტყვეო,  
მომიხსენე მონა შენი, ნუ დამივიწყეო.

და ყოველ ლექსში ცდილობს პოეტი გააგებინოს მკითხველს, რომ ეს მზეთა-მზე სხვაა და თინათინი კიდევ სხვა:

რა გინდ შე ასრე გავგაედე,  
თავი ვახალო ტინზედა,  
მხეცნი. ფრინველნი ვასერო  
ჩემსა ხორცსა და ტვინზედა...  
...ვგონებ არც მაშინ გავცვალო  
იგი მზე თინათინზედა.

ასე გადაიხლართა ერთიმეორეში ერთი მხრით რეალისტური შეგრძნობა სინამდვილისა, ნატვრა რეალური მზის სხივისა, რომელსაც ესოდენ გულით შესტრფის დაღესტანში დატყვევებული პოეტი, და მეორე მხრით, ქრისტიანული სიმბოლიკის სახეები.

## 2. გურამიშვილი და ანტიკური მსოფლიო

მოსკოვში, ვახტანგის კარზე გაცხოველებული კულტურული მუშაობა იყო გაჩაღებული. აქ ეცნობოდნენ არა მარტო ძველი საქართველოს სულიერ ვითარებას და ისტორიას, სწავლობდნენ არა მარტო ბიზანტიური და სპარსული კულტურის იმ ძეგლებს, რომელთაც საქართველოში გზა გაიკვლიეს და სახელი მოიპოვეს, იცნობდნენ მოძღვრებას არა მარტო იოანე დამასკელისას, რომელსაც ერთ ადგილას კიდევ ასსიჩებს გურამიშვილი, არამედ ცდილობდნენ, რამდენადაც თვალწინ იწინააღმდეგებოდათ, უფრო შორს, უფრო ღრმა და უკვე ბნელით მოცულ წარსულშიც გადაეხებოდათ. ამიტომ ისინი ეცნობოდნენ, მართალია, მეტწილად ეპიზოდურად და ფრაგმენტურად

ლად, მაგრამ მაინც ეცნობოდნენ ანტიკურ მსოფლიოსაც, რომლის შესახებ ცნობებს ძველი ქართული ხელთნაწერებიც უხვად შეიცავენ.

სულხან-საბა ორბელიანს თავისი ლექსიკონის შედგენის დროს ხელთა ჰქონია სხვათა შორის, იოანე პეტრიწის თხზულებანიც, ეს უხვი წყარო ელინური სიბრძნისა. ამას გარდა, თვითოხ ვახტანგიც უაღრესად დაინტერესებული იყო ქართული კულტურის წარსულით და ცდილობდა ახალი გზებიც გამოენახა ძველი მსოფლიოს მოაზროვნეებთან მისასვლელად.

ამ ღრმა ინტერესს ანტიკური მსოფლიოსადმი ადასტურებს ის ფაქტიც, რომ უფრო გვიან ვახუშტი ბატონიშვილს თავის თხზულებებში თავისუფლად მოჰყავს სოკრატის, ციცერონის, პლინიუსის აზრები, არჩევს მათ და ამ საფუძველზე ჰქმნის თავის ისტორიის ფილოსოფიას.

დაეუბრუნდეთ დავით გურამიშვილს.

მის ცხოვრებასა და იდეურ გაწვრთნაში გადამწყვეტი როლი ითამაშა შემთხვევამ, რომელმაც პოეტი მოსკოვში, ვახტანგთან, მიიყვანა; ვახტანგის კარი მისთვისაც ნამდვილი აკადემია იქნებოდა.

ამ კულტურულ გარემოებაში შემთხვევითი აღარ არის, რომ გურამიშვილი არა მარტო ახსენებდა ეპიკურეს სახელს, არამედ კიდევაც ცდილობს მისი ეთიკური მოძღვრების სწორი ინტერპრეტაცია მოგვეცეს.

რატომ და რისთვის დასჭირდა გურამიშვილს ანტიკური ეპოქის „უღღოთ ფილოსოფოსის“ გახსენება?

პირველი წიგნის მეორე და მესამე თავში გურამიშვილი ცხოვრების აზრის ამოცნობას ლაშობს, ახსენებს გაკერით ძველ ფილოსოფოსებს, რომელნიც რაც უფრო ჩხრეკდნენ და აკვირდებოდნენ საწუთროს, მით უფრო არ მოსწონდათ იგი — იმიტომაც, რომ მასში არც ჭირსა და არც ლხინს გრძელი ბოლო არა ჰქონიაო. აქ პოეტი ლაპარაკობს იმ პესნიმომზე, რომელმაც ცრემლით და გოდებით აავსო მთელი საუკუნეები. დავით გურამიშვილი ცდილობს მაღლა დადგეს ამ პესნიმომზე, ეძებს ხსნას, ჰეშმარტებისაკენ მიიკვლევს გზას. მას თითქოს არ უნდა დაიჯეროს, რომ ადამიანი უბედურია ამ ქვეყნად, ხოლო ადამიანის სიცოცხლე — ბნელი და საზარელი კომმარია, — და, აი, პოეტი ადამიანის სიცოცხლის პოზიტიური იდეალის ძიების პროცესში ავითარებს აზრს, რომელიც შორს არ არის ეპიკურეს ატარაქსიისაგან.

აი, ეს ლექსიც:

კვეის უკეთესი საქონლად,  
 არა-რა საქონელია,  
 მაგრამ თუ ნდომა გულს აბრძობს,  
 არ ადვილ საშოვნელია.  
 ფილასოფოსი ეპიკურ  
 გვაუწყებს, ამას გვიპირდება:  
 აგებულობით მყოფელი  
 აროდეს გადარბდება.  
 ბრძენსა აქვს თავის უფლება  
 სოფელში ყოფნა-ნებისა.  
 ბრძენი სადაც არს დარჩების,  
 საუნჯე თან ექნებისა.

მე-18 საუკუნის უკრაინაში, პოლტავის იმავე მიდამოებში, სადაც გურამიშვილი იმყოფებოდა, ცხოვრობდა უაღრესად განსწავლული კაცი, უკრაინელი პოეტი და ფილოსოფოსი გრიგოლ სკოვოროდა. არსებობს ჰიპოთეზი, რომ ისინი იცნობდნენ ერთმანეთს; ეს აზრი შორს არ უნდა იყოს სიმართლისაგან. ის კი ნათელია, რომ ეს ორი პოეტი იდეურ სფეროში ხშირად ჰხვდებიან ერთმანეთს. იმავე კონტექსტში გრიგოლ სკოვოროდამაც მოიხსენია ეპიკურეს სახელი. ის უფრო შორსაც წავიდა: სცადა ეპიკურეს დაცვა ურიცხვი მტრებისაგან; ეხება რა ეპიკურეს, უკრაინელი ფილოსოფოსი წერს:

„...მისი სიტყვის ძალა ადამიანებმა ვერ იგემეს, ყველა საუკუნესა და ყველა ხალხში დაამცირეს ეპიკურე სიამოვნების ქადაგებისათვის და თვითონ ის მიიჩნევს ღორების მწყემსად“... „მაგრამ როცა სიცოცხლე გულითადი სიხარულისაგანაა, ხოლო სიხარული სიამოვნებისაგან, მაშინ რაზეა დამოკიდებული სიამოვნება, რომელიც გულს ატკობს? ამას გვიხსნის ღვთაებრივი პლატონი: ჭეშმარიტება ყველაზე ტკბილიაო. ჩვენ კი შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მართო ჭეშმარიტებაში სიცოცხლობს ნამდვილი სიამოვნება და მხოლოდ ის ერთი აცოცხლებს გულს, განმგებელს ჩვენი სხეულისას. არ შემეცდარა ბრძენი, რომელმაც ცოდნასა და უვიცობას შორის იგივე საზღვარი დასდო, რაც სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის\*... ჩანს, რომ სიცოცხლე ჩვენი ღვივის მაშინ, როცა ჩვენი აზრი შეიყვარებნ ჭეშმარიტებას; გაჰყვება მის ბილიკებს, ჩაჰხედავს მას თვალებში და ზეიმობს, მხიარულობს ამ წარუვალ ნათელით“\*\*.

\* იხ. დ. გურამიშვილის ლექსი: „თქმულა სიბრძნესთან სიგივე, ვითა ცოცხალთან მკვდარია“. აქ სკოვოროდა და გურამიშვილი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებენ ერთიმეორის აზრებს.

\*\* იხ. Г. С. Сковорода, Собрание сочинений, т. I, 1912 წ. გვ. 360.

არსებითად ამასვე ამბობს გურამიშვილი, როცა სიბრძნეს ადამიანის სიცოცხლისათვის ისევე აუცილებლად სთვლის, როგორც ვეფხვისათვის კლანჭებს, როცა ის გაცოფებული თავს ესხმის მტერს, ხოლო ვაჟაკისათვის — საჭურველს, როცა ის ბრძოლის ველზეა გასული. ეს არის ნამდვილი ეპიკურიზმი, პირვანდელი და წაურყენელი სახით. მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, თითქოს გურამიშვილი ეპიკურეს ათეიზმს იზიარებდა; ეპიკურე, როგორც კ. მარქსი და ფრ. ენგელსი ამბობდნენ, „იყო ძველი დროის ნამდვილი რადიკალური განმანათლებელი. იგი აშკარად თავს ესხმოდა ანტიკურ რელიგიას და მისგან გამომდინარეობდა რომაელთა ათეიზმი, რამდენადაც იგი მათში არსებობდა. ამიტომ ლუკრეციუსი აღიღებდა მას, როგორც გმირს, რომელმაც პირველმა დაამხო ღმერთები და ფეხით გასთელა რელიგია, ამიტომ ეკლესიის ყველა მამა მას სთვლის უღვთო ფილოსოფად, *par excellence*, ღორად. ამის შედეგად კლიმენტი ალექსანდრიელი ამბობს, რომ როცა პავლე ფილოსოფიის წინააღმდეგ ამხედრდა, მას მხედველობაში მხოლოდ ეპიკურელები ჰყვანდნენ“.

თვითონ იოანე პეტრიწი ანადგურებდა „უგანგებო“ და ღვთის უარმყოფელ ეპიკურელებს, თუმცა ჩვენი აზროვნების ისტორიკოსები იმასაც აღნიშნავენ რომ ეს გალაშქრება პეტრიწისა ეპიკურეს წინააღმდეგ — ნამდვილად არ გამოხატავდა ქართველი ფილოსოფოსის პოზიციას მატერიალიზმისადმი და შემთხვევითი ფრაზა იყო.

ამ ბრძოლამ ის შედეგი მოიტანა, რომ იდეურმა მოწინააღმდეგეებმა, ქრისტიანულმა ფილოსოფოსებმა და სქოლასტიკოსებმა ეპიკურიზმი ჰედონიზმის, უხეში ხორციელი ვნებათა ღელვის სინონიმად გადააქციეს.

ამის შემდეგ მით უფრო საოცარია, რომ ქრისტიანული მსოფლიოს პოეტის გურამიშვილი ანტიკური ეპოქის უღმერთო ფილოსოფოსს იმოწმებს, როგორც თანამოაზრეს, და ქვეყანას მოუწოდებს, მოიქცეს ისე, იცხოვროს იმგვარად, როგორც ძველი დროის ეს რადიკალური განმანათლებელი ქადაგებდა.

საქმე იმაშია, რომ ქრისტიანობის ბრძოლა ეპიკურესთან გურამიშვილისათვის უცნობი იყო. გურამიშვილი მხოლოდ ერთ წერტილში შეხვდა ეპიკურეს და იმ წუთსვე დაშორდა, როგორც ადამიანი, რომელიც გონებით მოგზაურობს საუკუნიდან საუკუნეში და სიცოცხლის აზრს ეძებს. ამ ვრცელ გზაზე ის მრავალ აჩრდილს შეხვდა და მათ შორის ბერძენ ფილოსოფოსსაც, მაგრამ ჩვენს პოეტს უბრალოდ შესაძლებლობა არა ჰქონდა ხანგრძლივად დარჩენილიყო ეპიკურეს აზრთა სამყაროში და ესუნთქა მისი ქვეყნის

გამაცოცხლებელი ჰაერით. ზემოხსენებულ ერთ მომენტში კი გურამიშვილი, მართალია, ცოტაოდნად გაუბრალოებულად, მაგრამ მაინც სწორად გადმოგვცემს ეპიკურეს ატარაქსიის დედააზრს.

ა. ხახანაშვილის აზრით, გურამიშვილი ამელავნებდა განუყენებელი აზროვნებისადმი მიდრეკილებას და საფუძველიან ცოდნას ბერძნული ფილოსოფიის სფეროში. იონური სკოლის თანახმად, ის ფიქრობს, რომ ადამიანი შექმნილია ოთხი სტიქიისაგან — მიწისა, წყლისა, ცეცხლისა და ჰაერისაგან\*.

ეს მართლაც ასეა. პოეტის ერთ ლექსში საწუთრო აყვედრის ადამიანს: „შენ, მიწა-წყალო, ქარცეცხლო, მჯობიხარ თქვი — აბა რითა?“ გურამიშვილი ამ აზრს მრავალ ლექსში იმეორებს.

მაგრამ ძნელია გადაჭრით თქმა იმისა, რომ გურამიშვილმა ეს მსოფლმხედველობა იონური სკოლისაგან აიღო. ამ მოძღვრების სამშობლო ძველი ინდოეთია. ძველ ინდოეთში, აღიარებდნენ რა თავისებურად გაგებულ მატერიალისტურ მოძღვრებას, უარყოფდნენ ყველაფერს, გარდა მატერიისა ანუ, როგორც ამბობდნენ, ოთხი დიადი ელემენტისა (ე. ი. მიწის, წყლის, ცეცხლისა და ქარისა).

ეს ძველი ინდური მატერიალიზმი უკვალოდ არ დაკარგულა. ის მარტო იონელმა ბერძნებმა არ გადაიღეს (თუმცა იონელი ფილოსოფოსები მეტ შემთხვევაში სუბსტანციად ასახელებდნენ ერთ რომელიმე სტიქიას: თალესი—წყალს, ანაქსიმენი—ჰაერს, ანაქსიმანდრი—აპეირონს. მხოლოდ შემდეგში ემპედოკლემ აღიარა საგანთა ოთხი დასაბამი ანუ, როგორც თვითონ უწოდებდა, ფესვი: ცეცხლი, ჰაერი, წყალი და მიწა), ის მიუხედავად დევნისა, მტკიცედ ჩარჩა აზიის ხალხების ხსოვნაშიც. ასე, მაგალითად, დიდი ნიზამი განჯელი თავის „ლეილი და მეჯნუნში“ ამბობს: „სისხლი, რომელიც ამ ხრწნად გვამში მოიპოვება, შესდგება ჰაერისა, ცეცხლისა, მიწისა და წყლისაგან“. ნიზამი მას ხან ოთხ არწივს უწოდებს, ხან ოთხ დედას სიცოცხლისას.

ეს მოძღვრება იმ სახით, რა სახითაც იგი გურამიშვილის ლექსებში გვხვდება, აპოკრითებმაც შემოინახეს. ძველი ქართული აპოკრითული ზღაპარი ასეთ დიალოგს შეიცავს:

„მეფის ქალმა ჰკითხა ჭაბუკს:

— ვინ არის მამაშენი?

— ცეცხლი და ჰაერი.

— დედა ვინლაა?

\* А. Хаханов — «Очерки по истории грузинской словесности», вып. I,

— მიწა და წყალი, — უპასუხა ქაბუჯმა“.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ გურამიშვილის შემოქმედებაში არ ჩანს და არც შეიძლება ჩანდეს არც მიწისა, არც წყლისა და არც ჰაერის ჰილოძოისტური გააზრება. ეს იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ძნელი იყო ჰილოძოიზმის შეთავსება იმ ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან, რომელმაც ჩვენს პოეტს ათქმევინა — „ხორცია მიწა — ტალახი, საწუთროს ფეხით ნალახი, სული უსხეულმყოფელი, აქვს საუკუნო სოფელიო“, და მეორეც — მხატვრული შემოქმედების სპეციფიკა არ გვანებებს ვეძებოთ პოეტის ლექსებში დამთავრებული ფილოსოფიური სისტემები; — პოეტს სხვა ასპექტი აქვს სამყაროს სახილველად, თუმცა ისიც უნდა ითქვას, იგი ხშირად გამოდის ფილოსოფოსის როლშიც, რაც არაერთგზის მომხდარა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

გურამიშვილის პოეტური და ფილოსოფიური აზროვნების სფეროში როგორც ეპიკურეს, ისე იონელი ფიზიკოსების აზრები შეიძლება მოხვედრილიყვნენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას პოეტური აზროვნების სპეციფიკა მოითხოვდა და რამდენადაც ეს აზრები, ასე თუ ისე, შერეული იყო ქრისტიანული მსოფლიოს აზროვნების სისტემაში — ნაწყვეტ-ნაწყვეტად, გადასხვაფერებულად, ეპიზოდურად.

• • •

ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით, რომ ვახტანგის მოსკოვეური სასახლე ნამდვილი აკადემია იყო პოეტების მთელი თაობისა და კერძოდ დავით გურამიშვილისათვის. ეს უფრო ნათელი გახდება თუ ჩვენ გავეცნობით ვახტანგ მეექვსის თზულებას — „სიბრძნე მალალობელს“.

როგორც ჩანს, ეს იყო ნამდვილად სამაგიდო წიგნი მოსკოველი ქართველებისათვის, რადგან ის პასუხს იძლეოდა ყველა რთულსა და დახლართულ კითხვაზე, რომელიც კი მოაზროვნე ადამიანს შეიძლება აღედრას. ეს ნაწარმოები — არც არის სპეციალური პოეტური ქმნილება; ეს უფრო სახელმძღვანელოა, რომელიც მოგვითხრობს თუ რა უთქვამს ამა თუ იმ ძველ ფილოსოფოსს ცხოვრების აზრზე, ადამიანის მოვალეობაზე, ქვეყნის, ხალხის, თავისი სინდისის წინაშე; ძველი, ანტიკური ეპოქის ბრძენთა აფორიზმები აქ, ამ წიგნში ჰქმნიან მთელ მორალურ კოდექსს; უფრო მეტიც, ამ აფორიზმებში ხშირად საზოგადოებრივი და პოლიტიკური ყოფის მწვავე საკითხებიც არის აღძრული.

როგორ წარმოიშვა ვახტანგის ეს ნაწარმოები?

„სიბრძნე მალალობელი“ განეკუთვნება ე. წ. აპოფთეგმების



ქანრს. აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ პირველი აპოფთეგმური კრებული „შემოსული უნდა იყოს ჩვენს ლიტერატურაში ე. წ. კლასიკურ ან რუსთაველის ეპოქაში, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს XV—XVI საუკუნეებისა. შეიძლება ეს კრებული ქართული წარმოშობისაც იყოს, თუმცა დღესდღეობით არ შეგვიძლია ვაჩვენოთ არც შემდგენელი მისი, არც მთარგმნელი. ეს კრებული შედგება ოთხი ნაწილისაგან... აქ მოტანილია უმთავრესად ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსთა აფორიზმები“\*.

როგორც ვხედავთ, პირველი აპოფთეგმური კრებულის წარმოშობისა და დათარიღების საკითხი გაურკვეველია. ვახტანგის აპოფთეგმაზე კი ეს აღარ ითქმის: ჩვენ ვიცით მისი სათავეც და დაწერის დროც. ამ წიგნის პირვანდელი წყარო პოლონურ მწერლობაში უნდა ვეძებოთ. ავტორი მისი იყო ბენიაშ ბუდნი, რომელმაც თავისი აპოფთეგმა დაწერა XVII საუკუნის დასაწყისში, ხოლო რუსულ ენაზე ეს წიგნი ითარგმნა დაახლოებით იმავე საუკუნის ბოლოს; რუსული თარგმანი პირველად დაიბეჭდა მოსკოვში, 1711 წლის მარტში და მომდევნო წლებშიც არა ერთხელ გამოიცა.

ეს რუსული თარგმანი ბენიაშ ბუდნის აპოფთეგმისა ქართულ ენაზე პროზად თარგმნა ერასტი თურქესტანიშვილმა, ხოლო შემდეგ გალექსა ვახტანგ მეექვსემ და სახელად უწოდა „სიბრძნე მალაღობელი“.

ამ წიგნის წარმოშობა — იმ დროისათვის უაღრესად ნიშნეული და კანონზომიერი მოვლენა იყო. ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსების და სახელმწიფო მოღვაწეების ბრძნული აზრები ახალ საუკუნეებში, რენესანსის ეპოქაში იპყრობოდა არა მარტო ქართველების, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხთა ყველაზე მოწინავე ადამიანების ყურადღებას. გავიხსენოთ, რომ აპოფთეგმური კრებულების შედგენაში მონაწილეობდნენ თვით რენესანსის ბუმბერაზებიც — პეტრარკა და ბოკაჩიო.

აპოფთეგმები წარმოშვა რენესანსის ეპოქის ადამიანის გაღვიძებული ინტერესმა ყოფისა და აზროვნების ურთულესი საკითხებისადმი. ადამ მიცკევიჩი, ეხებოდა რა პოლონური აპოფთეგმების გენეზისის საკითხს, აღნიშნავდა:

„XVI საუკუნეში იწყება განთავისუფლება ადამიანის აზრისა. ყველა, ვინც კი ფიქრობდა, რომ საეკლესიო დოქტრინა მეტად შეზღუდულია და ტრადიციული იდეების სფერო მეტად ვიწრო — ეძებდნენ ახალ გზებს და ფილოსოფიის საშუალებით ცდილობდნენ გაე-

\* კ. კეკელიძე — ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958 წ. გვ. 486.

გოთ და აეხსნათ დიდი რელიგიური და პოლიტიკური საკითხები. იმ დროის ფილოსოფოსებს ცამდე აკყავდათ ანტიკური ეპოქის ბერძენ და რომაელ მოაზროვნეთა სისტემები... ცნობისმოყვარე შლიახტა ისწრაფოდა ამოეცნო, თუ რა საიდუმლოებებია მათს სქელ წიგნებში. ამიტომ ყველა ცდილობდა ესწავლა ბერძნული და ლათინური. უკვე XV საუკუნის ბოლოს სწავლულებმა, ეპისკოპოსებმა, ფილოლოგებმა დაიწყეს პოპულარული თხზულებების წერა ბერძნულსა და რომაულ ფილოსოფიაზე... მაგრამ პოლონურ შლიახტას არა ჰქონდა შესაძლებლობა ერთბაშად აეთვისებინა ცოდნის ამდენი დარგი და ამიტომ ის ხარბად დაეწაფა პატარა კრებულებს, სადაც შემოკლებით იყო გადმოცემული მოძღვრებანი და მოსაზრებანი ანტიკური ავტორებისა და იმ ხასიათის თხზულებანი იმ დროის ყველაზე საყვარელ საკითხავ წიგნებად იქცნენ“.

ასე წარმოიშვა აპოფთეგმების უანრი და ამ ატმოსფეროში დაიბადა ბენიაშ ბუდნის წიგნიც.

აკად. აღ. ბარამიძემ თავის წერილში ვახტანგ მეექვსის შესახებ ნათელპყო, რომ „გურამიშვილის დიდაქტიკური მოძღვრება დიდადა დავალებული ვახტანგის პოეზიით“ და რომ ვახტანგის „სიბრძნე მალაღობელს“ „შთამაგონებელი გავლენა მოუხდენია გურამიშვილზე“. მკვლევარს მოჰყავს „დავითიანისა“ და „სიბრძნე მალაღობელის“ პარალელური ადგილები, რომლებიც თვალნათლივ ადასტურებენ, თუ რაოდენ გატაცებული ყოფილა გურამიშვილი ვახტანგის წიგნით, სადაც თავმოყრილი იყო პლატონის, არისტოტელეს, ეპიკურეს, ზენონის, ანაქსაგორის, დიოგენის და სხვა ფილოსოფოსთა გამონათქვამნი. აქვე იყო ეპიზოდები გამოჩენილ მეფეთა და სარდალთა, კერძოდ ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებიდან\*.

აქ ერთი საინტერესო გარემოება უნდა აღინიშნოს: მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგის „სიბრძნე, მალაღობელი“ თარგმანის თარგმანია (პოლონურიდან რუსულზე, რუსულიდან ქართულზე), მაინც ის ზუსტად გადმოსცემს დედააზრს პირველწყაროებისას. ეს გვაფიქრებინებს, რომ ვახტანგი ანტიკურ ფილოსოფიას მარტო ბენიაშ ბუდნის აპოფთეგმის მიხედვით როდი იცნობს. ალბათ, აქ დიდ როლს თამაშობდა ქართული ტრადიციაც, ვახტანგი აქ, ბუდნის აპოფთეგმაში ხვდებოდა უკვე ნაცნობ აფორიზმებს. ნაცნობ ავტორებს, რომლებიც მას უკვე არაერთგზის შეხვდნენ წინათ, ძველი ქართული წყაროების შესწავლის დროს. ამიტომ, უმრავლეს შემთხვევაში,

\* აღ. ბარამიძე — ვახტანგ მეექვსე; ეს წერილი წინასიტყვაობის სახით დართული აქვს ვახტანგის თხზულებათა კრებულს. („საბჭოთა მწერალი“, 1947 წ.)

ესოდენ თავისუფლად გრძნობდა თავს ვახტანგი, როცა რომელიმე ძველი ფილოსოფოსის ფრაზას ქართული ლექსით გადმოგვეცემს.

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ გურამიშვილი ერთ ადგილას თითქოს იზიარებს ჰილოდოისტების აზრს ადამიანზე. უფრო ზუსტად და წყაროს დასახელებითაც ჰილოდოიზმმა გამოხატულება ჰპოვა ვახტანგის „სიბრძნე მალაღობელში“. როგორც ცნობილია, მილეთელი ფილოსოფოსების სტიქიური მატერიალიზმი გამორიცხავდა არამატერიალური, სულიერი სუბსტანციის დამოუკიდებელ არსებობას და აღიარებდა, რომ მგრძნობელობა, აზროვნება, ცნობიერება განუყრელად დაკავშირებულია მატერიასთან და შეუძლებელია წარმოედგინოთ მის გარეშე. ამ ჰილოდოიზმის თვალსაზრისით ბუნებაში ყველაფერს მინიჭებული აქვს სიცოცხლე, მგრძნობელობა, სამყაროში ყველაფერი ცოცხალია, განსულიერებულია. და რაკილა ეს ასეა — დაასკვნოდა პირველი მილეთელი ჰატერიალისტი თალესი — სიკვდილიც აღარ არსებობს, იცოცხლებ თუ მოკვდები — ეს სულ ერთია. და როდესაც თალესს ჰკითხეს — თუ ეს სულ ერთია, მაშინ რატომ არ მოიკლავ თავსო, მან უპასუხა: „იმიტომ, რომ ეს ერთი და იგივეაო“.

ვახტანგმა ასე სხარტად გადმოსცა თალეს' მილეთელის (ანუ როგორც თვითონ წერს, ფალის მილითელის) ეს აზრი:

ერთია სიკვდილ-სიცოცხლე?

უთხრეს — მოიკალ თავია!

— წელანვე გითხარ — ერთია,

სიტყვანი გაგითავია.

დავამთავრეთ ამაზე ლაპარაკი, ხელახლად რაღად მეკითხებიო!

XVI საუკუნის გამოჩენილმა ფრანგმა ფილოსოფოსმა მიშელ მონტენმა თავის „ესეებში“ შეიტანა სპეციალური თავი თალესის ამ აზრის საკომენტარიოდ და ამ ესეის სათაურად უწოდა — „იყო ფილოსოფოსი — ეს ნიშნავს ისწავლო როგორ უნდა შეხვდე სიკვდილს“, ე. ი. როგორ არ უნდა გეშინოდეს და რატომ არ უნდა გეშინოდეს სიკვდილისა. მონტენმა აქ შეუთავსა ერთიმეორეს, ერთი მხრივ თალესისა და მეორე მხრივ, ეპიკურესა და ლუკრეციუსის მოძღვრება; აქვე მან იმიტომ დაიმოწმა ეპიკურეც და ლუკრეციუსიც, იმიტომ გაიხსენა მათი ოპტიმიზმი, რომ გაემხნეებინა ადამიანი, ენუგეშებინა იგი, ეთქვა მისთვის: ნუ შეგაკრთობენ გლოვის ზარის ხმები, როცა მიცვალებულს დასტირიან, რადგან იქვე, როგორც სიცოცხლის გამარჯვების ყრიაშული, მოისმის ტირილი ახლად დაბადებული ყრმებისა, რომელთაც მზის სხივს პირველად შეჰ-

ხედვსო. ჯერ არ დაღამებულა არც ისეთი დღე, არ გათენებულა ისეთი დღია, როცა ერთიმეორეში შერეული არ იყოს თოთო ყრმის ტირილი და უფროსთა მოთქმა საყვარელ ადამიანზე, რომელიც განშორებია ამ წუთისოფელს — ამბობდა ლუკრეციუსი და ამაში ხედავდა სიცოცხლის მარადი მოძრაობის, გაზრდა-გაფურჩქენის, პროცესის აზრს. სიცოცხლე — ამ თვალსაზრისით უწყვეტი პროცესია, მარადი გაქრობა და ისევ აღმოცენებაა. დაღამება და ისევ გათენება; მარტო წარმავალი არ არის ყველაფერი და ადამიანის გულსაც ამით რაღაც იმედის სხივი ეფინება.

ამ ოპტიმიზმს ქრისტიანობამ დაუპირისპირა მოძღვრება სულის უკვდავებისა და მიღმა სამყაროს არსებობის შესახებ. ქრისტიანობის მქადაგებელთა აზრით, ამას უნდა ენუგეშებიან ადამიანი სიკვდილის აჩრდილის წინაშე. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ გურამიშვილი არ დააკმაყოფილა, უკეთ რომ ვთქვათ, ვერ დაარწმუნა უკვდავებაში ქრისტიანული მიღმა სამყაროს იდეამ. ასევე შეიძლება ითქვას ვახტანგზეც — ამას ადასტურებენ მისი ლექსები „ვაი სიკვდილო“, „კაეშანი“ და სხვები.

მაგრამ, იმავე დროს, ვახტანგი და გურამიშვილი ეპიკურეს ოპტიმიზმის დონემდე ვერ ამაღლებულან, თუმცა სწორედ მას იმოწმებენ, როცა ადამიანის ცხოვრების აზრის განსაზღვრას ცდილობენ.

შ. ნუცუბიძემ თავის „ქართული ფილოსოფიის ისტორიაში“ ნათელპყო, რაოდენ ძლიერი, ცოცხალი და მჩქეფარე იყო ფილოსოფიური აზროვნება XI—XII საუკუნეების საქართველოში. მკვლევარმა ჩვენს წინაშე გადაშალა დიდი მღელვარება და დუღილი აზროვნების სფეროში, ცხარე შეხლა-შემოხლა, არა მარტო წინამორბედი, არამედ მაცნეც სულიერი კულტურის იმ დიდებული აღორძინებისა, რომელიც ევროპაში გაცილებით გვიან დაიწყო რენესანსის სახით. საოცარია, რა მწვერვალებზე ატყორცნილა მაშინ ქართული აზრი და ამას პირველ რიგში თვითონ იოანე პეტრიწი გრძნობს, როცა ამაყად აცხადებს: „თუმცა მე რაივე თანსიყვარული და შეწვევაი მჩუენებოდა მათგან... ვფუცავ სურვილსა, რომელ ენაიმცა ენისადა გამეწყუ და ხედვაიმცა ფილოსოფოსთა განცდისაი მეარისტოტელურა“. ე. ი. მე რომ მხარში ამომდგომოდნენ, ვიარისტოტელეზდნი, ახალი არისტოტელი ვიქნებოდით. როგორც ნუცუბიძე აღნიშნავს, იოანე პეტრიწი მართლაც გაჰყვა არისტოტელის გზას, „არისტოტელის ნააზრევის მატერიალისტურ ნაწილს, სადაც ბუნების მოვლენების პირველობა მიჩნეულია შემეცნების პირობად“.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით საგულისხმოა და საინტერესოა ნუცუბიძის „ფილოსოფიის ისტორიის“ ის ადგილიც, სადაც პეტრი-

წის გალაშქრება ეპიკურეს წინააღმდეგ მიჩნეულია სრულიად არა-  
არსებით, სრულიად შემთხვევით მომენტად ქართველი ფილოსოფო-  
სის აზროვნებაში. ეს გარემოება ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ. ეპიკუ-  
რელთა წინააღმდეგ ნასროლი ფრაზა სიყალბის შთაბეჭდილებას  
ახდენსო, წერს ნუცუბიძე. ეს მართლაც, საინტერესო ამბავია; ეს  
პეტრიწის კომპრომისია დიდ ბრძოლაში იდეალიზმსა და მატერია-  
ლიზმს შორის, ეს ორგზის დევნილი მოაზროვნის კომპრომისია,  
რომელსაც შესანიშნავი ახსნა მოუძებნა „ქართული ფილოსოფიის  
ისტორიის“ ავტორმა.

მაგრამ ეს ჩვენი თემა არ არის; ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა  
გვეჩვენებინა, თუ რაოდენ ძლიერი იყო ფილოსოფიური აზროვნება  
შუა საუკუნეების საქართველოში. და აქ ისიც გვინდა აღვნიშნოთ,  
რომ სწორედ ამ კლასიკურ ხანაში ქართული აზრი იმავე არისტოტე-  
ლისა და ეპიკურეს სახელებს დასტრიალებდა თავს.

აზროვნებისა და შემოქმედების ამ ძლიერად წამოსულ მდინა-  
რებას გზა გადაუკეტა, სასიცოცხლო ფესვები გადაუჭრა მონგოლ-  
თა შემოსევამ; ამიერიდან დაიწყო ხანგრძლივი ღამე და იმ დროისა-  
თვის, როცა ვახტანგ მეექვსე და დავით გურამიშვილი მოღვაწეობ-  
დნენ, „შინაგანი და საგარეო მიზეზების შედეგად, გაქრა არა თუ  
ინტერესი, ნამდვილი წარმოდგენაც ადრინდელი ფილოსოფიური  
ძეგლებისა და მათში მოცემულ ცნებათა შესახებ... ფილოსოფიური  
აზროვნება დაკნინდა, ძეგლებს ცოტა თუ ვინმე იცნობდა და ასეთ  
პირობებში საჭირო იყო ისტორიულ-ფილოსოფიური ალლო — თუ  
რით და როგორ უნდა დაწყებულიყო ფილოსოფიური ინტერესის  
გაღვიძების საქმე და ისტორიული ნაცრის ქვეშ მიფერფლილი ფი-  
ლოსოფიური ნაკვერცხლის როგორმე გაღვივება“\*.

ეს მეტაფორა — ნაცარწყარალი ნაკვერცხალი — კარგად გა-  
მოხატავს ქართული აზროვნების ბედს საუკუნეთა მანძილზე. შ. ნუ-  
ცუბიძემ თავის წიგნში გვიჩვენა, რომ მართლაც ბრიალა კოცონი-  
ვით ენთო და ანათებდა კლასიკურ ეპოქაში ქართული ფილოსოფი-  
ური აზრი; ახლა კი, ვახტანგისა და გურამიშვილის დროს — ყველა-  
ფერი ნაცარწყარალია. სულხან-საბამ სცადა, იმავე ნუცუბიძის სი-  
ტყუებით რომ ვთქვათ, სული შეებერა ისტორიის მიერ დაყრილი  
ფერფლისათვის, გამოეჩინა აქა-იქ მიმქრალი ნაკვერცხლები და ეს  
შესძლო კიდევ.

უფრო მკირე მასშტაბით იგივე სცადა ვახტანგ მეექვსემაც და  
ამან განაპირობა მისი ინტერესი ბენიაშ ბუღნის აპოფთეგმისადმი.

\* შ. ნუცუბიძე — ქართული ფილოსოფიის ისტორია, 1959 წ. ტ. II.

განა აქ არა ჩანს რაღაც ინტერესის გაღვიძება ანტიკური სამყაროსადმი? რა ამოძრავებთ ან ვახტანგს ან გურამიშვილს, თაღესს და ეპიკურს რომ იმოწმებენ? რა ვუყოთ, რომ მათ, თავიანთი წინაპრების მსგავსად, პირველ წყაროებზე აღარ მიუწვდებათ ხელი? რა ვუყოთ, რომ მათ იოანე პეტრიწის მსგავსად აღარ შეუძლიათ, თვით პეტრიწისავე სიტყვით რომ ვთქვათ, ფილოსოფიაში იარისტოტელურონ, ხოლო პოეზიაში რუსთაველივით ისე ლაღად და შორს გაშალონ ფრთა, რომ მსოფლიო ჰორიზონტებს შემოაწვდინონ? ფილოსოფოსი პეტრიწი და პოეტი რუსთაველი მარტო XII საუკუნეში შეიძლებოდა დაბადებულიყვნენ, როცა რენესანსი თავის პირველ ყლორტებს იყრიდა და ღონიერად ისწორებდა მხრებს. XVIII საუკუნის საქართველოში კი საამისო ნიადაგი აღარ არის. ის აყვავებული საქართველო აღარ არის, მისგან პარტახილაა დარჩენილი, სურო და ხავსი მოსდებია აკადემიების ნანგრევებს და მათი ჩამორღვეული კედლები ჭოტთა და ბუთა თავშესაფარიდა გამხდარა, ხოლო მათს ირგვლივ, გატიალებულ ველზე მოთარეშე ველური მხედარი მოჩანს, რომელიც გაქვნიებული ცხენიდან ისერის ქამანდს, რათა გაქცეულ ქართველ ჰაბუქსა თუ ქალიშვილს მიაწვდინოს, მერე თოქით მოითრიოს, ხელფეხი შეუქრას და გასაყიდად წაიყვანოს. გაიხსენეთ იმერეთის დედოფლის წერილი, ამ წიგნის დასაწყისში რომ დავიმოწმეთ — ქალ-რძალს სვეტიცხოვლის ტაძარშიც კი იტაცებენო.

ასეთ დროს რომელ კულტურაზე, რომელ ფილოსოფიაზე შეიძლებოდა ლაპარაკი?

და დახეთ, ამ ჯოჯოხეთში მაინც პლვიძავს აზრის რაღაც ნაპერწკალს, საღლაც, ცხრა-კლიტულებში მაინც გადანახულია, გადამალულია წიგნები, ვიდაცის თვალი ბნელ ღამეებში, სანთლის შუქზე ჩასტკერის მათ; მას რიდაცის იმედი მაინც აქვს, მომავლის იმედი აქვს; იმ უცნობ თაობას, მომავლის საქართველოში რომ დაიბადება — იმას უნახავს იმ ხელნაწერებს — ტანჯვით, წამებით, სისხლის, სიცოცხლის ფასად გადარჩენილ, გაცრეცილ, ფერდაკარგულ ქალღლებს.

ამავე ხელნაწერებს ჩასტკერიან მოსკოვს გადახვეწილი ქართველები და აი, როგორც კი ოღნავ მოიცილის ვახტანგი — იწყებს „სიბრძნე მალაღობელის“ გალექსვას. მის კვალს მისდევენ მისი დროის პოეტებიც.

რით არის ეს ამბავი საინტერესო? როგორც საერთოდ მთელ ევროპაში, ისე ჩვენშიც სწორედ რაღაც ახლის ძიების წყურვილმა მიახედა მწერლები ანტიკური ეპოქის მოაზროვნეებისაკენ. ამას

ჰქონდა თავისი კანონზომიერება. უკვე დიდი ხნის ჩასული ანტიკუ-რი მზის სხივმა თითქოს ხელახლა გამოანათა ჩაბნელებულ სამყა-როში და ადამიანს კვლავ სანუგეშო სიტყვა უთხრა ამ ვაი-ვაგლახით საესე წუთისოფელში.

თვითონ ვახტანგი თავის ამ პოემას დიდ ამოცანებს უსახავდა: მას იგი მიაჩნდა ყრმათათვის მირთმეულ არმალანად, სთხოვდა მო-მავალ თაობებს — არ გაეფანტათ, არ გაეხრებოდათ ეს თაიგული, შეკ-რული სიბრძნის ყვავილებისაგან; აქვე აღნიშნავდა, რომ მან ბრძენ-თა სიტყვა გალექსა და აქვე ჰგომბდა უმიზნო, „უიგაო და უჩხრეკ“ პოეზიასაც, რომელიც სიკეთის გზაზე არ აყენებს კაცს. ეს პოემა კი, „სიბრძნე მალაღობელი“, მას სიკეთისაკენ მეგზურად მიაჩნდა.

და მართლაც, ეთიკურ სფეროში ეს წიგნი ბევრ საგულისხმო მაგალითს იძლეოდა ანტიკური ისტორიიდან, რაც ვაჟკაცურ საქმი-სათვის, სამშობლოს სიყვარულისათვის აღძრავდა ადამიანს, აკეთილ-შობილებდა მის სულს.

ცოტა არ იყოს, სიტყვა გაგვიგრძელდა ვახტანგის ამ პოემაზე, მაგრამ მისთვის სიჩუმით გვერდის ავლა მაინც არ იქნებოდა სამარ-თლიანი: რა ვუყოთ, რომ აქ ლექსი ვერ ბრწყინავს იმ შინაგანი ცე-ცხლით, სინატიფითა და უშუალობით, როგორც „დავითიანში“ გვხვდება, ვახტანგი ლექსში ვერც გაუტოლდებოდა გურამიშვილს, მაგრამ ჯერ ერთი, იმავე „დავითიანის“ ავტორს ვახტანგის ეს პოე-მა თავის საყვარელ წიგნად მიაჩნია, და მეორეც — ვახტანგის ამ ნაწარმოების შესახებ ისე ცოტა რამ არის თქმული ჩვენი ლიტერა-ტურის ისტორიაში, რომ ამან გვაფიქრებინა აღგვენიშნა მისი მნიშ-ვნელობაც ქართველ პოეტთა იმ თაობის ფორმირებაში, რომელიც ვახტანგის ირგვლივ იყო შემოკრებილი „დიდსა ქალაქსა მოსკოვსა შინა“.

### 3. ორი მთავარი წყარო

წინა თავში, სადაც ლაპარაკი გვექონდა ქართული კულტურის აღორძინების ეპოქაზე, შევეხეთ მხოლოდ ერთ საკითხს — მე-18 საუკუნის ქართველების დამოკიდებულებას ანტიკური მსოფლიო-სადმი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს აღორძინება საკმაოდ რთულ პროცესებს შეიცავდა და მას მრავალი განშტოება ჰქონდა. მთავარი კი ნაციონალურ წიაღში დაბრუნება იყო. ეპოქის ეს ტენდენცია მძაფრად მოჩანს გურამიშვილის პოეზიაში.

დავით გურამიშვილმა შეგნებულად უარჰყო აღმოსავლური პო-ეზიის ტრადიცია, თუმცა იგი კარგად იცნობდა ირანულ ლირიკასაც და, უმთავრესად, ირანული ეპოსის დიდ ქმნილებებსაც. იცნობდა,

ცხადია, ქართული წყაროებით. ის იცნობდა ამ პოეზიის სიუჟეტებსა და ლეგენდებს, თუნდაც თეიმურაზ პირველის პოემებიდან, ნოდარ ციციშვილის „ბარამ-გურიდან“. ამ პოეტების სახელებს თავის ლექსებში ის ახსენებს კიდევაც. როგორც გურამიშვილის წიგნიდან ჩანს, პოეტი კარგად იცნობს თავისი დროის ირანის პოლიტიკურ ცხოვრებასაც.

მაგრამ იმ თაობის თვალში, რომელსაც გურამიშვილი ეკუთვნოდა, მგრძნობიარე და განცხრომისმოყვარე აღმოსავლეთმა უკვე დაჰკარგა თავისი წინანდელი პოეტური შარავანდელი. ქართველი პოეტისათვის ახლა შირაზი იყო არა მარტო საადისა და, ჰაფიზის სამშობლო, სილამაზისა და განცხრომის ქვეყნის სიმბოლო, ვარდების ბაღნარი, არამედ მწველი მოგონებაც იმ ქალაქისა, სადაც აწამეს ქეთევან დედოფალი, სადაც მუხანათურად მოჰკლეს მეფე ლუარსაბ მეორე, სადაც მკაცრად და ფანატიკურად აწამებდნენ და ახრჩობდნენ ქართლის საუკეთესო შვილებს.

ამ წამებულთა სახელების წინაშე მოწიწებამ, საერთოდ, პატრიოტული აზრის გაღვივებამ, ყოველივე ირანულის მიმართ შეურიგებლობის გრძნობა გააღრმავა.

გურამიშვილი მარტო როდი იყო, როცა ქართულ მწერლობაში ახალ მიმართულებას ჰქმნიდა და სპარსულ გავლენას ებრძოდა. ეს იყო, როგორც ვთქვით, სტილი მთელი ეპოქისა. ეს ახალი გზის ძებნა უკვე მე-17 საუკუნის პოეტებმა დაიწყეს. თვითონ თეიმურაზ პირველი, რომელიც ესოდენ გატაცებული იყო აღმოსავლური ლიტერატურით, ინსტინქტურად გრძნობდა ამ უკანასკნელის შეუთვისებლობას თავის ეპოქასთან. ის ტრაგიკულ ფერებით ხატავს ქეთევან დედოფლის თავგანწირულებას და გარეჯაში დიდი თამარის სურათის ჰერეტიკულ ეკზალტიურ ნეტარებას ეძლევა. არჩილი ლექსად წერს საქართველოს ისტორიას, იხსენიებს თავის ქვეყანას, შირაქზე და იგრის კალმახიან წყალზე ოცნებობს.

მაგრამ მთავარი როლი ამ შემობრუნებაში მინც ვახტანგ მეექვსემ შეასრულა.

პოეტმა-მეფემ, ვახტანგ მეექვსემ, რომელსაც პოლიტიკაში ბედმა არ გაუღიმა, წარმატებით განავითარა დიდი საქმე ქართული კულტურის განახლებისა. ვახტანგის ფრთებქვეშ გაიზარდა მთელი თაობა პოეტებისა.

მცირე როლი როდი შეასრულეს თვითონ მისმა ლექსებმაც. შორეულ ქვეყანაში გადახვეწილი პოეტი ნატრობს თავის დედაქალაქს, ხადაც მაისში ვარდს ვარსკვლავები ასხია და არემარე მწვანედ ლელავს.



ამ კულტურული გამოფენიზღების ეპოქის ერთი დედაბოძი იყო სულხან-საბა ორბელიანი, რომელმაც შექმნა უმდიდრესი და საუცხოო ლექსიკონი ქართული ენისა.

ამ ეპოქაში მოძებნეს და შეაგროვეს „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები.

ამ საფუძველზე პოეზიაც რაღაც ახლის ძიებაშია. ამ ახლის დადგენის მიზნითვე წერს გურამიშვილის თანამედროვე და თანამოაზრე მამუკა ბარათაშვილი ქართული პოეტიკის სახელმძღვანელოს, ე. წ. „ჭაშნიკს“, სადაც თეორიულად განზოგადებულია ეპოქის ლიტერატურული მისწრაფებანი, სადაც დაგმობილია ყველა ის, ვისაც „თათრის ზღაპრები გაულექსავთ მსმენთ საზიანოდ და მთქმელთ საურიგოდ“.

კულტურის ამ ძეგლებს გურამიშვილის შემოქმედებაზე უდიდესი ზეგავლენა მოუხდენიათ. პოეტის ლექსებში უცილობლად ჩანს საბას ლექსიკონის გავლენის ღრმა კვალი. ეს წყარო ამდიდრებდა პოეტის ლექსიკას, ეხმარებოდა მას დაემკვიდრებინა ახალი, ხალხური, ძარღვიანი ენა. სამშობლოსაგან მოწყვეტილ პოეტს ეს წიგნი სულიერად კვლავ თავის ქვეყანასთან აბრუნებდა და აკავშირებდა.

მაგრამ სულხან-საბა უდიდესი ავტორიტეტი იყო არა მარტო ქართული ენისა, არამედ პოეზიის საკითხშიაც. ეს ხაზგასმით აღნიშვნა ვაზტანგმა:

რუსთველის ლექსი მეფეა, ტახტზე გვირგვინით  
მფლობელი,  
კვლავ ჩახრუხაძე აგრევე სხვისა რიგისა მდგომელი,  
მეფის არჩილის სარჯელი სწავლაა დაუცხრომელი,  
საბა თავადი მჯდომელი, მამუკა ბოლოს მდგომელი.

ქართული ლექსის განახლების საქმეში დამწყებებისა და თაოსნის როლი აუცილებლად სულხან-საბას ეკუთვნის. როგორც ა. ბარამიძე აღნიშნავდა, „ჭაშნიკის“ საილუსტრაციო მასალა მამუკა ბარათაშვილს უმთავრესად საბას „ქილილა დ' დამანადან“ აქვს ამოღებული.

შეიძლება ითქვას, რომ გურამიშვილს „ჭაშნიკთან“ ერთად საბას ლექსებმაც გაუკვლია გზა.

აი, ერთი მაგალითი: საბა ანჩხლი ქალის შესახებ წერდა:

ქმარს ზედა სხენან, ღეზითა სჩხლენან.  
ხელტართა ასთვენ და ჩქარად ვლენან.

გურამიშვილის „მხიარულ ზაფხულში“ მამა არიგებს შვილს:

ანჩხლი და ურცხვი, თუ არის მრუში,  
ზედ შემოგჯდების, თუ ხელი უშვი,  
მოგიღებს მიზეზებს, შემოგკრავს მით ღეზებს,  
დაგიჩხვლავს გვერდებს.

აზრის მიხედვითაც „მხიარული ზაფხულის“ რიგორიზმის სათავე საბას ის ლექსია, რომელიც „ქალის“ სათაურით არის ცნობილი.

მწიგნობრული ლიტერატურის ტრადიციებთან ერთად გურამიშვილის პოეზიაში ხშირად ჩანს სამყაროს უშუალო შემეცნება ისე, როგორც ის ხალხურ პოეზიაშია მოცემული. პოეტმა ამაოდ კი არ მოიხსენია „ჩრდილთა ქვეშ მიუქარავთა და ცხელის ოფლით დამწვართა“ ქვეყანა. ის ამ ხალხთან, გლეხობასთან უშუალოდ სულიერი დაფებით არის დაკავშირებული. გურამიშვილის ლექსები ხშირად გვაგონებენ ხალხურ ლექსებსა და სიმღერებს სიკვდილ-სიცოცხლეზე („სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს“, „ნეტა რა ზნე სჭირს სიკვდილსა“ და სხვ.) და წუთისოფელზე („ბინდის ფერია სოფელი“ და სხვა ხალხური ქმნილებანი).

მთავარი გავლენა კი ამ მხრივ ისევ პოეტის ლექსიკას დაეტყვა.

დავით გურამიშვილმა ფართოდ გაუღო კარი პოეზიაში ხალხურ მეტყველებას. მას თამამად შემოაქვს ცნებები ქართული გლახაკის ყოფის და სამეურნეო საქმიანობის სფეროდან. ის ხშირად ძალზე თამამია და ორიგინალური, როგორც დიდოსტატს შეჰფერის; აი, მაგალითად, პოეტმა წყებას, სადაც თავის თავსაც მიათვლის, ის ადარებს ბერაში ჩაყენებულ ფარას ცხვრისას — ზოგი რომ ცოტას მოიწველის და ზოგიც ბევრს („სწორად გავლიან ბერასა“), ხოლო მშრალს სულაც გარეკავენ და ბერას არ მიაკარებენ — „ამად მოიწველს ვერასა“. აქვე გვხვდება დოლი, ვაზის დაწიდნვა, ერქვანი, და საერთოდ, ის ამდიდრებს ქართულ ენას მწყემსთა და მხვნელ-მთესველთა ყოფიდან წამოღებული სიტყვებით. ხოჭიჭს აკვანთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული სოფლის ყოფაში თვით ამჟამადაც კი. გურამიშვილმა ეს სიტყვაც ჰირველად შემოიტანა ქართულ პოეზიაში („სოფელსა შინა პატარა ხოჭიჭით ეგდევ“). ასევე უნდა ვთქვათ სიტყვა „დაგულვის“ შესახებ, რაც დახურვას ნიშნავს („გული ტიროდა, კრემლითა თვალები მეგულებოდა“). მე არ ვიცი, იხმარება თუ არა ეს სიტყვა საქართველოს სხვა კუთხეებში, მაგრამ კახეთში ყოველ ნაბიჯზე გაიგონებთ: „კარი დაგულე, ფანჯარა, მოგულე“ და ა. შ.

ჩვენ აქამდე არ მოგვიხსენებია ორი მთავარი და გადამწყვეტი წყარო გურამიშვილის შემოქმედებისა, რომელნიც შთაგონებას აძლევდნენ პოეტის ფანტაზიას.

ეს წყაროებია, ერთი მხრით, „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო მეორე მხრით — ბიბლია.

ეს ორი მოწინააღმდეგე პოლუსია, რომელთა შორის გაუთავებლად ქანაობს პოეტის ფიქრი და ოცნება.

ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობა დაჩრდილა „ვეფხისტყაოსანმა“. არც დავითის ფსალმუნებს, არც ქებათა-ქებას, არც ახალი აღთქმის ლეგენდებს არ აღმოაჩნდათ იმდენი მორალური ზემოქმედების ძალა ქართველ ხალხზე, რამდენიც აღმოაჩნდა რუსთველის ერთ პოემას. „ვეფხისტყაოსანი“ ყოფაქცევის არაოფიციალურ, მაგრამ მტკიცე კოდექსად გადაიქცა.

„საუკუნეების განმავლობაში, — წერდა აკაკი წერეთელი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, — ყველა იმას ეწაფებოდა: კაცები ტარიელ-ავთანდილსა ჰბაძევდნენ, ქალები ნესტან-თინათინობას ცდილობდნენ, მეფე და კარისკაცები — როსტევეან-სოგრატობაზე სდებდნენ თავს, მსახურნი შერმადინობდნენ და მოახლე-გამდელეები კი — ასმათობდნენ“.

ისევე, როგორც საქართველოს ისტორიაში და ძველ ქართულ კულტურაში, გურამიშვილის შემოქმედებაშიც ეს ორი წყარო — „ვეფხისტყაოსანი“ და ქრისტიანობა — ერთმანეთს ებრძვის.

პირველი ასწავლის, რომ რეალური ცხოვრება ტურფა საბადნაროა და ადამიანი ამქვეყნად ბედნიერებისათვის არის დაბადებულიო. ამ შემთხვევაში გურამიშვილი ჩვენს წინ დგება როგორც სამქვეყნო პოეტი, განშორებული, მისივე სიტყვით, „სალვთო ბადნარისაგან“. რუსთველი მისთვის „ბრძენი რიტორია“, რომელმაც დარგო მარად მწვანე ხე ქართული ლიტერატურისა, ფესვები ღრმად გაადგმევინა მას მიწაში და შტოები გაუფურჩქნა, რომელთაც უხვი ნაყოფი მოისხეს.

გურამიშვილი დაცინვით შესცქერის ყველა იმას, ვინც რუსთველს ეტოლებოდა, იმასაც, ვინც რუსთველს და თეიმურაზ პირველს ერთმანეთს ადარებდა. რუსთველი გურამიშვილისათვის, ისევე, როგორც ვახტანგისათვის, ყველაზე მაღალი და მიუწვდომელი ავტორიტეტი იყო („ლექსი, რუსთველისებრ ნათქვამი, მე სხვისი ვერ ვნახეო“, ამბობდა იგი) და ამიტომ თამამად იზიარებს მის თვალსაზრისს წუთისოფელსა და სიყვარულზე.

განა მძლავრი რუსთველური სუნთქვა არ ისმის გურამიშვილის შემდეგ სიტყვებში:

მიჯნურმან უნდა ტრფილი  
გულ მართლად შეიყვაროსა,  
მუდამ გვერდთ ახლდეს სურვილით,  
აროღეს გაეყაროსა.  
უმისოდ ჰიარად სახედეს  
ყოველსა გასახაროსა,  
ტკბილად ჩნდეს მისთვის სიკვდილი,  
სიციოცხლე გაიმწაროსა.

მეორეს მხრივ, პოეტი ხშირად უბრუნდება ბიბლიას. ამ წიგნი-  
დან მას ყველაზე მეტად დავითის ფსალმუნები იტაცებენ.

მხნე იყავ და გაძლიერდი,  
დავითს რაც უთქვამს, სწორია.

აქ დასახელებული დავითი — ებრაელთა მეფე და პოეტია და  
სიტყვებიც მისი 26-ე ფსალმუნიდან არის ამოღებული.

მეორე ადგილას პოეტი, ეხება რა ღმერთს, წერს:

მას აქებენ: ანგელოზნი,  
ცა, ქვეყანა, ბნელ, ნათელი,  
ზღვა, ხმელეთი, ხე-ბალახნი,  
მთა, ბორცი, ტყე, ბალნარ-ველნი,  
მზე და მთვარე, ვარსკვლავები,  
ღრუბელ-ნისლი, ცისსარტყელი,  
ზამთარ-ზაფხულ, ყინვა-სიციხე,  
თოელი, წვიმა, მწყურნებთ მრწყველი...  
...ყოველი სული აქებდეთ,  
იტყვის წინასწარმეტყველი.

ეს არის 148-ე ფსალმუნი დავითისა.

ბიბლიის გავლენამ დააბრუნა პოეტი VIII — X საუკუნეების  
ქართული პოეზიის ტრადიციებთან.

ძველ ქართულ სასულიერო პოეზიასთან, შეიძლება დამოუკი-  
დებლადაც, გურამიშვილს აახლოვებდნენ ის საგალობლები, რომ-  
ლებიც მას დაუწერია ღვთისა, ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს  
სადიდებლად. პოეტი ხშირად ძველი ჰიმნოგრაფების რელიგიურ  
ექსტაზამდე აღწევს. ზოგჯერ გურამიშვილის შემოქმედებაში მძაფ-  
რად ჩნდება შეუმღვრეველი, უდარდო და უნისლო მოლოდინი ნე-  
ტარებისა. ეს ანათესავებს მას ძველ სასულიერო პოეტებთან, რო-  
მელთა შემოქმედებაშიაც ჯერ არ შეპარულიყო გულისმღრღნელი  
ეჭვი და არ დაკარგულიყო რწმენა მიღმა ქვეყნისადმი. თითქოს რა-  
ღაც უხილავი სულიერი ძაფია გაბმული, ერთის მხრივ, იოანე მტბე-  
ვარსა, მიქაელ მოდრეკილს, იოანე საბანისძესა და, მეორეს მხრივ,  
დავით გურამიშვილს შორის.

უფრო სწორი იქნება ვიფიქროთ, რომ როგორც პირველები, ისე მეორე დამოუკიდებლად მილიოდნენ ერთ მსოფლმხედველობა-მდე ერთი საერთო წყაროს ზეგავლენით. მაგრამ გურამიშვილს, ახალი საუკუნეების პოეტს, აღარ აკმაყოფილებს ქრისტიანიზმის მოძღვრება.

პოეტი თვითონ გრძნობდა ამ წინააღმდეგობას და ამ ჩიხიდან იგი თითქოს იმ იდეურმა კონცეფციამ გამოიყვანა, რომელიც ვახტანგ მეექვსემ შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ.

ვახტანგმა თავის გამოკვლევაში, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ პირველ გამოცემას დაერთო — სცადა რუსთველის შერიგება ქრისტიანობასთან. ვახტანგის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ მიჯნურისა და საყვარლის სახეებს ქვეშ ყველგან ქრისტე და ღვთისმშობელი იგულისხმებიან. „საყვარელი ქრისტეს ჰქვია“ — წერდა პოეტი-მეფე; მეორე ადგილას ვახტანგი ამბობდა: „მოყვარე კაცისათვის ქრისტე არის, და ქრისტესათვის კაცი არის“.

როცა რუსთველი ამბობს „მომეც მიჯნურთა სურვილიო“ — ვახტანგი ამას ისე ხსნის, თითქოს რუსთველი მიჯნურის ცნებაში სასუფეველსა გულისხმობდეს და სასუფეველისაკენ ისწრაფოდეს.

„ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ:

რა მიჯნური ველად რბოდეს,  
მარტო უნდა გასაჰრელად,  
მარგალიტი არვის მიხედეს  
უასაყიდლოდ, უვაჰრელად.

ავთანდილის ამ სიტყვებს ვახტანგი ასეთ კომენტარს უკეთებს:  
„...ამას იგავსავით ეუბნება: ქრისტეს სასუფეველს მარგალიტს ადარებს და ამას ამბობს: ის ამ სოფლის გაუჰრელად არ იშოვებო, მარტო უნდა გაჰრა სასუფეველისთვის“.

აი, კიდევ ერთი მაგალითი. ტარიელი მოსთქვამს თავისი ნესტანის დაკარგვას:

მოსთქვამს: „ჰაი, საყვარელო,  
ჩემო ჩემთვის დაკარგულო,  
იმედო და სიცოცხლეო,  
გონებო, სულო, გულო.“

ვახტანგი წერს: ამას რუსთველი თვითონ მოსთქვამს: „ჰაი, საყვარელო ჩემო, ქრისტეო, ჩემთვის ცოდვით დაკარგულო“.

ასე ჰქმნიდა ვახტანგი „საღვთო მიჯნურობის“ კონცეფციას. გურამიშვილიც ვახტანგის გზას გაჰყოლია, მან ვახტანგზე უფრო მკვეთრად, უფრო ცოცხლად გამობატა იდეა, რომელიც მეფე-პოეტს

აწვალებდა, და რომელსაც ის რუსთველის პოემაში ეძებდა. რუსთველის პოემაში ამ ქრისტიანული მიჯნურობის იდეის ძებნა ამაო იყო, გურამიშვილმა კი — ვახტანგის გავლენით — სწორედ ამ საფუძველზე, დანტე ალიგიერის მსგავსად, დანტესაგან საცესებით დამოუკიდებლად, შექმნა პარადიული სიყვარულის სიმბოლო, სიყვარულისა, რომელიც მიწაზე იწყება, გადადის ციურ სფეროში და არასოდეს აღარ მთავრდება. გურამიშვილი მიმართავს ღვთისმშობელს:

ჩემ საყვარლის მომყვანელო ძე, მარიამ ქალო...  
უსასყიდლო მარგალიტო, ძვირ ფასისა თვალო...  
თაყუანსა გცემ, გეაჯები, ვითხოვ შემიწყნარო...  
მასია, მკედარი განმაცოცხო, შენს ძეს შემამყარო,  
ვით წესია საყვარლისა, ტრფიალს შემაყვარო.

მეორე ლექსში გურამიშვილი თავის ზეციურ სატრფოს თეთრ მიმინოს უწოდებს და მზეთა-მზის სახელით იხსენიებს. ასევე მზის სახელით ადიდება ქრისტეს პოეტი ლექსში „არია“.

ეა, რა მაქვს დიდი მოწყენა,  
სადა არს ჩემი მოლხენა!  
მწარედ სახშილით დაგელსა  
ლახვარი დამსმია გულსა...  
მომიხდა მე საზარელი,  
სატირი დასაზარელი,  
მით დღეს მაქვს არ საზარელი,  
მომიკლეს მე საყვარელი.

და შემდეგ მოთხრობილია ლეგენდა ქრისტეს ტრაგედიისა გოლგოთაზე.

ეს ლექსები გამოხატავენ იდეას, რომელსაც პოეტი ეტრფის; ის არის მზეც, მარგალიტიც, თეთრი მიმინოც და უკვდავების სიმბოლოც, ის ხსნისა და გადარჩენის მახარობელია სწორედ იმიტომ, რომ ადამიანურად ლამაზია და ადამიანურად იტანჯება.

გურამიშვილის ეს ლექსები და საერთოდ „საღვთო მიჯნურობის“ იდეა ჩვენ მოგვაგონებს შუა საუკუნეების ევროპაში ფრიად გავრცელებულ ლეგენდას, რომელიც გამოხატავდა ღვთისმშობელს, როგორც სატრფოს, რომელსაც რაინდი აირჩევდა თავის დანიშნულად, თავის მისტიკურ საცოლედ და ფიცს დასდებდა — არასოდეს მისთვის არ ეღალატნა. ფიქრობენ, რომ ეს ლეგენდა წარმოიშვა ძველი ბერძნული მითოსიდან შეყვარებული ვენერას შესახებ. წარმართობასთან შებერძნობა ქრისტიანობამ აიღო ეს ლეგენდა, გაათავისებურა, ხოლო ვენერას სახე ღვთისმშობლით შესცვალა. ამის შემ-

დღე ეს სიუჟეტი გადაიქცა მოხეტიალე სიუჟეტად — მოედო მთელ ევროპას. ის საერთაშორისო მოტივად გადაიქცა: მადონა, ღვთისმშობელი აქციეს მიწიერი და ზეციური ტრფობის საგნად.

მაგრამ ეს „საღვთო მიჯნურობა“ მაინც მთავარი არ იყო გურამიშვილის შემოქმედებაში. ის დიდი რეალისტი იყო და ამ მებრძოლი, ჯანსაღი რეალიზმის იდეები მთელი ძალით ბრწყინავენ მის უკვდავ ქმნილებებში.

### ქართლის ჰირსა ვერვინ მოსთვლის...

რა არის ყველაზე მთავარი და არსებითი დავით გურამიშვილის პოეზიაში, რით ჰხიბლავს ის ყველაზე მეტად დღევანდელ მკითხველს, რატომ არის, რომ მისი პოეზია თაობების ყურადღების ცენტრში დგას, რატომ არის ის მუდამ ამაღლვებელი და ვნებიანი ინტერესის გამომწვევი?

ეს ხდება იმიტომ, რომ გურამიშვილი მებრძოლი პოეტია, მისი შემოქმედება უაღრესად კოლორიტული ნიმუშია იმ მაღალი მოქალაქეობრივი პოეზიისა, რომელმაც მომდევნო საუკუნეში განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია მთელ მსოფლიოში. გურამიშვილი პოეტის ყველაზე მაღალ ფუნქციად მიიჩნევს იყოს თანამედროვეობის ყველაზე მჩქეფარე შუაგულში, შუა ფარვატერში, სადაც იქონრებიან ყველაზე ძლიერი ტალღები ცხოვრებისა; ამ მხრივ, ის შეჭრილია თანამედროვეობაში, როგორც არაეინ იმ დროს. თანამედროვეობა — ჰაერია მისი პოეზიისათვის, ურომლისოდაც მას სუნთქვა არ შეუძლია; თუ რამ სატირალია, აქ არის, ამ თანამედროვეობაში, და თუ ოღნავი შუქი სიხარულისა ჩნდება — იმასაც აქ შეჰხარის პოეტი.

ერთი სიტყვით, გურამიშვილმა კარგად იცის პოეზიის ფუნქცია და დანიშნულება საზოგადოებრივ ცხოვრებაში — პოეტმა ქვეყნის ბედი უნდა გადაჭრას, ხალხს იმ საშინელ განსაცდელში გზა უჩვენოს, მთავარი ჭირი დაანახვოს და წამალზეც მიუთითოს. ამ მხრივ გურამიშვილის პოეზიაში მთელი სისრულით ჩამოყალიბდა ის კლასიკური პრინციპი, რომელიც შემდგომში დიდმა ილიამ ასე განსაზღვრა: „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად, მეწოდეს მის ტანჯვით სული, მის ბედით და უბედობით, დამედაგოს მტკიცე გული“. და გურამიშვილიც ცდილობს იპოვნოს ხსნის გზა. „ტანჯვის ცრემლი“ მოსწმინდოს თავის ქვეყანას. აი ეს არის ლეიტმოტივი მთელი მისი პოეზიისა და ეს ყველაზე მძაფრად ჩანს მის პოემაში „ჭირი ქართლისა“.

ამ გარემოებამ განსაზღვრა გურამიშვილის მთავარი თემაც — ეს არის მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს დიდი პოლიტიკური და ნაციონალური კატასტროფები, მათი გამომწვევი მიზეზები, ქვეყნის ხსნის გზა; ყოველივე ეს პოეტმა უმძაფრესი რეალისტური საღებავებით დახატა.

საქართველო, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, გურამიშვილის წარმოდგენით, ვეებერთელა მინდორი იყო, სადაც კახელები აღმა ხნავდნენ და ქართლები დაღმა ფარცხავდნენ, დანარჩენი ქართული ტომებიც მათსავით დაქსაქსულნი იყვნენ, ერთნი გუთანს ფრთებს უკულმა ასხამდნენ, მეორენი ასევე მრუდუ კაბდოს აკეთებდნენ, უკულმართად ფარცხავდნენ და უკულმართად სთესავდნენ: ეს დამღუპველი შინაომები, ქართველ ფეოდალთა ეს განდგომილობა და თარეში პოეტმა ცრემლიანი და გულსაკლავი ირონიით მამლების უაზრო ომს შეადარა, როცა ორივე მოჩხუბარს ძალღი შესკამს ხოლმე:

ვით მამალი სხვის მამალსა  
დაჰმტერდეს და წაეიდოს,  
მას სცემოს და თვით იცემოს,  
დაჰოჩროს და დაეიდოს,  
ჩა ორივე დაღალულნი,  
ძალღმან ნახოს, პირი ჰკიდოს —  
ეგრეთ ქართლი და კახეთი  
დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს.

ამრიგად, ქართველებს მტერი რომ შემოსეოდათ, მას შეერთებული ძალით ვერ უხვდებოდსენ, რადგან ერთმანეთთან ბრძოლაში იყვნენ გართულნი და შუბითა სცემდნენ ერთმანეთს.

ძნელია მხატვრული სიტყვის ოსტატმა უფრო უკეთ და მკაფიოდ დაახასიათოს ის ეპოქა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში ფეოდალიზმის სახელით არის ცნობილი, ეპოქა, როცა ბრძოლა სამეფო აბსოლუტიზმისათვის მარცხით დამთავრდა და როცა ფეოდალურმა განკერძოებამ მთლიანად დაშალა ერთიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი.

როგორც ვხედავთ, პოეტის ისტორიული კონცეფცია, სინამდვილის შეცნობა — ღრმა და ფხიზელი რეალიზმითაა გამსჭვალული. ზემოთ ჩვენ მის ლიტერატურულ რემინისცენციებზე, ანტიკურ ეპოქასთან გამოხმაურებაზე ვილაპარაკეთ, ეპიკურეც გავიხსენეთ, მაგრამ ყველაფერი ეს როდი იყო პოეტისათვის მთავარი; ეს მარტო ცალკე ნაკადები იყო მის აზრთა დინებაში — მთავარი მის შემოქმედებაში არის რეალიზმი, უშუალო აღქმა ცხოვრებისა, როცა ლექს-



ში ხან აქ, ხან იქ ძლიერად გაიბრწყინებდა ხოლმე ქართული ხალხური გენია — უბრალო, ბრძნული, გლენჯაკურად ალალ-მართალი. რატომ? ჩვენ ბევრი წყარო დავასახელებთ, მაგრამ იცის რა ყველაფერი ეს, პოეტი არაჯერ არ ბაძავს, ის მარტო თავის გულის ხმას, თავის სინდისს მისდევს, ამიტომ არის ესოდენ თვითმყოფი და ორიგინალური.

ამან შეაძლებინა პოეტს მოეცა ნათელი და სწორი სურათი სინამდვილისა, სურათი, სადაც ჩანდა ბნელი და ნათელი მხარეები ქართლის ბედისა, სადაც ნათლად ჩანდა, თუ რა იყო დამღუპველი ქვეყნისა, მარტალია, მწერალი საქართველოს დაცემას ბიბლიური ცოდვის მიწყვად სთვლის, მაგრამ სინამდვილის ის წარმოსახვა, რომელსაც მისი პოემა იძლევა, ამ თეოლოგიური აზრის ილუსტრაცია არ არის. მწერალი თვითონ, სტიქიურად მივიდა რეალიზმამდე, ქვეყნის ობიექტურ შემეცნებამდე; ამ ვითარებაში ის ისტორიული სინამდვილის ანალიზის გასაოცარ უნაუს იჩენს, როცა ქვეყნის პოლიტიკური და ნაციონალური ტრაგედიის საფუძვლად და გამომწვევ მიზეზად ფეოდალურ დაქსაქსულობას მიიჩნევს და მთლიანი საქართველოს იდეას აყენებს.

ძლიერ საინტერესოა, რომ ეს მთლიანი საქართველოს იდეა როგორც მთავარი იდეა, გასდევს ძველ ქართულ ისტორიოგრაფიასაც და პოეზიასაც. განა ჩვენი მემბტიანენიც ასევე თავგამოდებულად არ იბრძვიან დამღუპველი ფეოდალური დაქსაქსულობის წინააღმდეგ! კეთილი სიტყვით ისინი მხოლოდ იმ მთავრებს, ფეოდალური არისტოკრატის წრიდან გამოსულ იმ ადამიანებს მოიხსენიებენ, რომლებიც მეფეს ედგნენ მხარში და მთლიანი საქართველოსათვის იბრძოდნენ. გამთიშველ, ქვეყნის დამკცევე ფეოდალებს კი მათიანეც მუდამ წყველით იხსენიებს. და ეს მართლაც ყველაზე მწვავე სატყვიარი იყო როცა ერთი მხრივ ოტომანთა იმპერია, ხოლო მეორეს მხრივ — შაჰების ირანი თავის დაუსრულებელ ომებში წინა აზიაში ბატონობის განსამტკიცებლად საქართველოს მიწაწყალს ერთმანეთს ეცილებოდნენ, იყოფდნენ და ხშირად ნადავლის ხელახლა გადანაწილებას ახდენდნენ, — ასეთ პირობებში ცალკე სამეფოებად და სამთავროებად ღანაწილებული ქართველები კვლავ ეომებოდნენ ერთმანეთს. ქართველი ფეოდალების ეს გაუთავებელი ქიშპობა ბოლოს უღებდა ქვეყანას. გარეშე მტრისათვის არაფერი იყო უფრო ხელსაყრელი, ვიდრე ეს გაუთავებელი შინაური ომები ქართველ ფეოდალებს შორის.

და პოეტმა კარგად იცოდა, რომ ქვეყნის ხსნა მხოლოდ ნაციონალურ გაერთიანებას, სამეფო აბსოლუტიზმის განმტკიცებას

შეძლო. მაგრამ იმ ხანებში ეს გაერთიანება შეუძლებელი გახდა. სად უნდა ეძებნა დასაყრდენი წერტილი მე-18 საუკუნის საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს? ქვეყანას ირგვლივ ერთყუნენ მტრული ძალები, რომელნიც მუდამ მარჯვე მომენტს ეძებდნენ შემოსაჭრელად, ხოლო ქვეყნის შიგნით მთლიანი სახელმწიფოებრიობის იდეას, ნაციონალური ერთიანობის იდეას ფეოდალების სახით მძლავრი მოწინააღმდეგე ჰყავდა.

ასეთ უნუფეშო სანახაობას წარმოადგენდა ქართლი, როცა მეფე ვახტანგ მეექვსემ მემკვიდრეობით ჩაიბარა აოსრებული და დარბეული ქვეყანა.

ამ თარიღიდან იწყებს ამბის მოთხრობას გურამიშვილის პოემა „ქართლის ჭირი“.

ეს არ არის პოემა ხელოვნური სიუჟეტით, ეს უფრო ლექსად თქმული მატიაწია. ესაა მხატვრული მოთხრობა, რომლის გმირიც არის არა ერთი პიროვნება, არამედ მთელი ქვეყანა, მთელი საქართველო. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს მასში ცალკეული გმირები დაჩრდილულნი იყვნენ და არა ჩანდნენ. ასე, მაგალითად, პოემაში გამოკვეთილია სახეები ვახტანგ მეექვსისა, კონსტანტინე მეფისა და სხვათა. პოემის თავისებურებას შეადგენს ის, რომ იგი უმთავრესად პოლიტიკური ურთიერთობის გარკვევას ისახავს მიზნად და ისევე, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილს თავის „ბედი ქართლისაში“, გურამიშვილსაც უმთავრესად საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი აინტერესებს.

პოემის ყოველ სტრიქონში იგრძნობა ტრაგიკული პათოსი, გრძნობთ, რომ თქვენ ქართლის მატიაწის სისხლიან ფურცლებსა შლით.

ვისი ორიენტაცია უნდა აერჩიათ? ვის მხარეს წასულიყვნენ?

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსეთისა და საქართველოს მესვეურთა მისწრაფებანი ერთმანეთს ემთხვეოდნენ. რუსეთის მხარდაჭერას უნდა დაეცვა ჩვენი ქვეყანა გაძლიერებული მუსულმანური აგრესიისაგან და, თუ ვახტანგ მეექვსის ნათქვამს გავიმჯობრებთ, საქართველო ფოცხვერის ჭანგებისაგან უნდა გამოეგლიჯა.

ეს ასეც მოხდა XVIII საუკუნის დასასრულს, როცა რუსეთთან შეერთებამ იხსნა საქართველო საბოლოო განადგურებისაგან, მაგრამ იმ დროს, რომელსაც გურამიშვილი აღწერს — ჯერ კიდევ არ იყო პირობები მომწიფებული ამ შეერთებისათვის. კავკასიისა და წინა აზიის დახლართულ პოლიტიკურ ვითარებაში არაერთი გორდის კვანძის გახსნა იყო საჭირო. პეტრე პირველმა სცადა ხმლით გაეჭრა ეს გორდის კვანძი, როცა ხელსაყრელი დრო იპოვნა და ირანზე

გალაშქრებისათვის მარჯვე დრო შეარჩია. პეტრე პირველის ლაშქრობის სტრატეგიულ გეგმაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა ქართლის სამეფოს სამხედრო ძალების გასაოყენების საკითხს. როცა პეტრემ 1720 წელს ასტრახანის გუბერნატორად არტემ ვოლინსკი გაგზავნა, ზუტკოვის ცნობის თანახმად მას დაავალა მომავალ ომში ქართლის მეფე ვახტანგიც ჩაეთრია.

ამ წელს პეტრე პირველმა ჯერ ისევ ასტრახანიდან სპეციალური დესპანი გამოგზავნა საქართველოში. ეს ეპიზოდი გურამიშვილს შემდეგნაირად აქვს გადმოცემული:

სალამოს უამს, თბილისში, სეიდაბადის კარიდან ცხენოსნები შემოვიდნენ და პირდაპირ ვახტანგის სასახლისაკენ გაემართნენ. ისინი პეტრე პირველის ელჩები იყვნენ. მათ ვახტანგს გადასცეს წერილი, რომელშიაც რუსეთის იმპერატორი ქართლის მეფეს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა და სამხედრო კავშირსა სთავაზობდა. ვახტანგი ამ წერილმა ფრიად გაახარა. პოეტი ამბობს: როგორც დიდი სიციხით მაშვრალს გრილმა ნიავმა მოუბეროს, როგორც გაზაფხულს სითბომ ია და ვარდი გაფურჩქნოს, ასე მეფის გულსაც შეება მოეფინაო.

მაგრამ, როგორც გურამიშვილის პოემა გადმოგვცემს, ვახტანგის სინარული ქართლის ფეოდალებმა არ გაიზიარეს. ისინი აფრთხილებდნენ მეფეს, რომ ამდენი რყევა და სირბილი ისპაჰანიდან სტამბოლში, სტამბოლიდან პეტერბურგში, საქართველოს ჩეირს არ დააყრი-სო. ისინი აფრთხილებდნენ ვახტანგს, რომ როცა გარს იმდენი მტერი გვარტყია, რომ არა თუ ჯარს, ას მთას რომ მიაყენო, იმასაც კი ხმლით გაჰკაფავენ, არ შეიძლება მათი უარესად გაღიზიანება, რუსეთის ხელმწიფეს ჩვენს დასახმარებლად ჯერ ხელი არ მოუწვდებოა. აფრთხილებდნენ ვახტანგს, რომ არ შეიძლება იყო ერთსა და იმავე დროს შაჰის სპასალარიც, რუსეთის იმპერატორის მეგობარიც და იმავე დროს ხონთქართან ძმობას ჩემობდყო.

ჩვენს ჰქვაში ესე საქმენი  
არ არის მოსაწონარი:  
რა სამთავ ცემა შექნასთ,  
ჩვენზე მათ შექნან ონარი,  
გარს მოგვეპიროს მუხრუქი,  
არსით ჩნდეს მოსაფონარი,  
ვიქნებით შვილთა ჩვენთავან  
ვინებით მოსაგონარი.

პოეტი თითქოს ობიექტური მთხრობელის როლში გამოდის, მაგრამ ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ფეოდალები სასტიკად

სცდებიან და სიმართლე ვახტანგის მხარეზეა, რომელმაც მტკიცედ გადაწყვიტა საქართველოს ბედი დიდი რუსეთის ბედთან დაეკავშირებინა.

მაგრამ გავუყვით კვლავ პოემის სიუჟეტს.

ვახტანგმა, პოემის მიხედვით, შეჰყარა ლაშქარი და განჯისაკენ გაემართა პეტრეს ჯართან შესახვედრად.

მაგრამ პეტრე ჰარველს მძიმე დაბრკოლებებმა ხელი შეუშალეს განეგრძო ლაშქრობა. მტრებმა ისარგებლეს ამით, დამარტოხელეს ვახტანგი და ანგარიში გაუსწორეს. ქართველები კვლავ საშინელ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ:

ვერა ნახეს რუსთ ხელმწიფე,  
ვერ აჩვენეს სამსახური,  
ყვენზედაც ავად დარჩნენ,  
მათ დაჰარგეს ორგნივ პური.

ამ დრამატიზმით აღსავსე ისტორიულ მომენტში, ვახტანგ მეექვსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ბაბრის ქანგებისაგან ველარ გადარჩა საქართველო. როგორც კი შეასმინეს ირანის შაჰს — ვახტანგი გლალატობსო, მან ჩამოართვა ვახტანგს მეფობა და ქართლიც კახეთის მეფეს — კონსტანტინეს მისცა.

პოეტი თავისებურად გადმოგვცემს კონსტანტინესა და ვახტანგის ურთიერთობას. მისი პოემის მიხედვით, პირველ ხანებში კონსტანტინეს არ უნდოდა დაჰყოლოდა ყუენის ნებას, მან იცოდა, რომ ტახტის ამ გადაცემას შეიძლებოდა მოჰყოლოდა ქართლისა და კახეთის შეჯახება და ძმათა სისხლისმღვრელი ომი. აქ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: საქმე იმაშია, რომ კახთბატონი კონსტანტინე (ერეკლე მეორის ბიძა, ძმა თეიმურაზ მეორისა) გურამიშვილის „ქართლის ჭირის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია და კიდევ უფრო საინტერესო ის არის, რომ დავითი, ჩვენი ძველი და ახლანდელი ისტორიკოსების შეხედულების საწინააღმდეგოდ, კონსტანტინეს რატომღაც ერთგვარად კეთილშობილურ ფიგურად გვიხატავს, რაღაც სიმპათიებს ამჟღავნებს მისდამი. ასე, მაგალითად, პოემაში პირველი გამოჩენისთანავე კონსტანტინე ასეთი სახით წარმოსდგება ჩვენს წინაშე: „იყო სანახავად ვარგი, მკვეთელობით უჩნდა ფხანი, ისპანიის ტარულადა, მორკმით იჯდა კარგა ხანი, ავი კაცის თავ-სავარცხლად აქვნდის კარგი მოსაფხანი“. შემდეგ დავითი მოგვითხრობს, რომ როცა ვახტანგზე გაბრაზებულმა ყუენმა (შაჰ-თამაზმა) მას ქართლი წაართვა და ისიც კახთბატონს გადასცა, კონსტანტინე როდი გაახარა ყიზილბაშების ამ წყალობამ. როგორც უკვე ვთქვით, დავითის

გადმოცემით კონსტანტინეს არ გაუხარდა იმიტომ, რომ იგრძნო — შაჰის ეს „წყალობა“ ძმათა სისხლისძღვრელი ომის საბაბი გახდებოდა. „დავითიანის“ მიხედვით კონსტანტინეს ურჩევნია ყიზილბაშთა რაყაში გასტეხოს, ვიდრე ძმობის ფიცი ვახტანგ შეექვსესთან.

შემდეგ პოეტი კონსტანტინეს ალაპარაკებს, რომ „ძტრად სხვანიც მეყოფიან, ძმასა რად-ლა დავმტერდები“. კახელი თავადები, დავითისავე პოემის მიხედვით, კონსტანტინეს ურჩევენ — უარს ნუ იტყვის ქართლზე, შეებრძოლოს ვახტანგს — რად გინდა გააბრუნო კარს მოსული ღვთის წყალობა, „შენ რომ შვილი არა გყავდეს, აჰ, ძმა შენი და ძმისწულიო“ (იგოლისხმებიან თეიმურაზ მეორე და ერეკლე მეორე). კონსტანტინე, მიუხედავად კახელი თავადების ამ რჩევისა, მტკიცედ დგას თავის ზრზე, მას კარგად ესმის ირანის მუხანათური პოლიტიკის არსი. მან იცის, რომ ირანმა დაჰყო საქართველო „ერთი ორად“, იმიტომ, რომ მთლიანი საქართველოსი ემინოდა. კონსტანტინე ამბობს ვახტანგზე:

მე მას მამად მოვიკიდებ,  
ვეშვილები თუმცა უნდი,  
გარს გეარტყია ვით სარტყელი  
სულ სხვადასხვა მტერთა გუნდი,  
ჩვენ ერთმანეთს ხმალა ვცემდეთ,  
ეგ რჩევა არს ღიად ცული.

ასე უარყოფს ის ცულ რჩევას, ვახტანგს მეგობრულ წერილს გაუგზავნის, ვახტანგიც სიხარულით შეხვდება მის წერილს: „მშვიდობას ითხოვს სიმდაბლით, ამად თავს უხრის ალამსაო“. მაგრამ ამ მშვიდობას, „დავითიანის“ მიხედვით, ჩაშლის ვახტანგის ძმა იესე, კაცი ბოროტი და მუხანათი; ვახტანგიც დაუჯერებს მას და ფაქტიურად ქართლსა და კახეთს შორის ომი რომ დაიწყო, რომელიც თბილისის საშინელი აოხრებით იწოდება, გურამიშვილის პოემის მიხედვით, თითქოს ვახტანგის წინდაუხედაობით იყო გამოწვეული, რომელმაც კონსტანტინეს სამეგობროდ გამოწვდილ მარჯვენას მეგობრული ხელი კი არა, სამტროდ მოღერილი ხმალი შეაგებაო.

ასე მოგვითხრობს დავით გურამიშვილი, მაგრამ როგორც ვთქვით, კონსტანტინეს ამგვარი დახასიათება არ ეთანხმება ყოველივე იმას, რასაც კახთბატონზე ჩვენი ძველი და თანამედროვე ისტორიკოსები წერენ. განმტკიცებული აზრის მიხედვით, ეს იყო ვახტანგის მოქიშპე, მუხანათი კაცი. მაგრამ მაინც საინტერესოა რატომ მოხდა, რომ დავითმა სცადა კონსტანტინეს ერთგვარი რეაბილიტაცია მოეხდინა. რა საფუძველი ჰქონდა მას, ხომ არ შეიძლე-

ბოდა მას, ასეთ ჭკვიან კაცს, არც ეკითხა, არც ეძია და სრულიად დაუფიქრებლად იმ დროის ისტორია ყირაზე დაეყენებინა, მრუდე სარკეში წარმოედგინა?

ეს მით უმეტეს საკვირველია, რომ დავით გურამიშვილს მთელი გატაცებით უყვარს ვახტანგ მეექვსე. აღიდეხს მის სახელს, თვით ქრისტესაც კი ადარებს, უძღვნის არაერთ ჰიმნს, როგორც სამშობლოს მფარველად მოვლინებულ უებრო რაინდს — ვახტანგი მისი თქმით ბოძად უდგას საქართველოს, და როცა ეს დედაბოძი წაიქცა, პოეტმა მისი სიკვდილი ცხარე ცრემლით დაიტირა.

იმავე დროს, პოეტს. არ შეიძლებოდა არა სცოდნოდა, თუ რა შეხედულებებისა იყო მისი სათაყვანებელი ვახტანგი კახთბატონი კონსტანტინეს შესახებ. მაშ რალად იცავს ის კონსტანტინეს? ამ ფაქტს აუცილებლად ახსნა ესაჭიროება.

ვახტანგს საქართველოდან გაქცევის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. ის პეტრე პირველმა მიიწვია, და ქართლის მეფემ რუსეთს შეაფარა თავი, რათა იქიდან უკეთეს დღეთათვის ელოდნა.

ქვეყნის საქმე კი სულ უკუღმა წავიდა. მთელი ქვეყანა ნაპარტახევად იქცა და კარგი დღე აღარც კონსტანტინე მეფეს დაადგა:

კახს ბატონს კონსტანტინესა,  
საქმე მოუხდა ყალათი,  
ტანთ ხვანთქრის ქურჭი ჩაიყვა,  
დასთმო ყვენის ხალათი.  
მტერს დამორჩილდა ნებითა,  
ველარა ქნა-რა ძალათი,  
მიენდო თავის თავზედა  
ახმარებინა ჯალათი“.

და ამის შემდეგ:

„რაც მოგახსენე, მოგვევარა  
ჩვენ ერთმანეთის ბრძოლამა,  
ქართლი ოსმალომ დაიპყრო,  
კახეთი ლეკთა მოლამა;  
სუნით მოიყვა მთა-ბარი  
ჩვენი მკედრის მძორთა ყროლამა.“

ასეთია იმ დროის საშინელი სინამდვილე. ასე რეალისტურად ფხიზელი პოლიტიკური ანალიზის საფუძველზე აგებს თავის პოემას გურამიშვილი.

მაგრამ რად არის მისი თხრობის კილო ესოდენ ადელევებული, განგავით საესე? ყოველ სტრიქონში ისმის ბორცვა, სასოწარკვეთი-

ლება, მწუხარება სამშობლოს ბედზე, რომლისაკენაც სიკვდილის საშინელი ხელები გამოწვდილან და დახრჩობას, სამუდამოდ წალეკვას და გაქრობას უქადიან ამ განსაცდელში, შეერთების ნაცვლად, ქართლელები და კახელები ებრძვიან ერთიმეორეს, ქართველები თავს ესხმიან თბილისს ისევე ქართველების ამოსაწყვეტად და ამ სურათს შუბლზე ჭირის ოვლით, მწუხარედ შესცქერის პოეტი და მოთქვამს:

ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთელის,  
თუ არ ბრძენი, ენა მკვერი!  
იქელი ღვარძლად გარდაიქცა,  
ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი!

ამ ამბის თქმა გარჩევითა,  
გულმან ამაღ არ მინება,  
ბევრი ავი გამოჩნდების  
ჩვენი, მაზედ შერცხენება.

მე კი ვჰფარავ, მაგრამ ჩემი  
სატყვიარი არა ჰფარავს,  
მეტად მწარედ გული მტყვივა,  
მეგრეოლებს და ტანში მზარავს.

აწ რომ ავი არ ვაძავო,  
კარგი როგორ უნდა ვაქო?  
ავს თუ ავი არ ვუწოდო,  
კარგს სახელად რა დავარქო?

მართალს ვიტყვი, შევიქნები  
ტყუილისა მოამბე რად?  
ვერას უქებ საძაველთა,  
უფერულთა პირსაფერად.

მე თუ ვინდა თავიც მომკრან,  
ტანი გახდეს გასაბერად,  
ვინც არა ჰგავს კახაბერსა,  
მე ვერ ვიტყვი კახაბერად.

ასეთი საშინელი ტკივილებით წერს გურამიშვილი თავის პოემას. პოეტი ხედავს, რომ საქართველო დაიპყრო მტერმა არა მარტო პოლიტიკურად, არამედ სცადა დაემორჩილებინა ის იდეურად და ზნეობრივად. თურქის სერასკირებმა და ფაშებმა მარტო თათრული ჩალმები კი არ მოიტანეს, არამედ ქართველების ერთ ნაწილში აღმოსავლური გაუტანლობაც განამტკიცეს. სწორედ ამიტომ გუ-

რამიშვილი მორალური განწყვნდის პრობლემასაც აყენებს. ის მამ-  
ხილებლის როლში გამოდის. მისი მიზანი მართო ის კი არ არის,  
რომ დაჰგმოს და შეაჩვენოს ისინი, ვინც დამნაშავეა შეგინებულ და  
აოხრებულ სამშობლოს წინაშე. პოეტი ამავე დროს ცდილობს, გა-  
მოაღვიძოს, გამოათხიზლოს ქართველობა, სწორ გზაზე გადაიყვან-  
ოს ქვეყანა:

ადექ, ადიქ, ნულარ სწევხარ,  
ზეზედ წამოჯეო.  
თავს გველებს ქერდ-მპარავი,  
მას უღარაჯეო.  
გაუფრთხილდი, არ დათხაროს  
შენი საუნჯეო.

ადე, ადე, არ დასხარდე,  
რაც დაგპატიეო...  
...ნუ ხვალ გზასა უკეთურსა,  
ნუ გარდიქაჯეო.

გურამიშვილის პოემაში ამ რეალისტურ სიტუაციასთან და  
მგზნებარე პატრიოტიზმთან ერთად მკითხველს თვალში ხვდება  
მძიმე მისტიკური განწყობილება, რომელიც ხშირად ჩრდილავს მოვ-  
ლენის სწორად გაგების შესაძლებლობას. მით უმეტეს, ის თავისე-  
ბურ ფანტასტიურ ნაკვალევს აჩენს საზოგადოებრივი ცხოვრების  
შემეცნებაზე, რომელიც გურამიშვილის შემოქმედებაში გვხვდება.

რით უნდა აიხსნას გურამიშვილის შემოქმედების ეს თავისებუ-  
ლება, ეს გადახლართვა რეალისტურსა და მისტიკურს შორის?

აპოკალიპსში, მრავალ ლეგენდასა და მისტიკურ ზმანებას შო-  
რის, არის ერთი გასაოცარა ჩვენება: ქვიშიან სანაპიროზე დგას  
იოანე მოციქული და ხედავს, როგორ ამოდის ზღვიდან რალაც სა-  
შინელი მხეცი: „მსგავსი ვეფხისა“. „დიდად მეტყველი და მგმობა-  
რი“, ძლევამოსილად ედება ქვეყანას და ყველა ტომსა და ერს იმორ-  
ჩილებს. ეს პირველ საუკუნეთა ქრისტიანების მისტიკური რწმენა  
იყო და როცა ისინი ამ მხეცზე ლაპარაკობდნენ, გულისხმობდნენ  
რომის იმპერიას, რომელიც სჩაგრავდა მათ და დაუზოგავად აწამებ-  
და. ამ საფუძველზე პირველმა ქრისტიანებმა შექმნეს სიმბოლოები  
და იგავები, რომლებიც გადაეცნენ საუკუნეებს და ყოველთვის ახალ  
შინაარსს იღებდნენ იმის მიხედვით, თუ როგორი იყო ისტორიული  
სინამდვილე. მეთერამეტე საუკუნის საქართველოში ეს ძველი ქრი-  
სტიანული მისტიციზმი კვლავ გაცოცხლდა.

ეს გასაგებიც არის. მისტიციზმი, როგორც მსოფლმხედველობა,  
ღვიძლი შვილია საზოგადოებრივ უბედურებათა ეპოქისა. ნაციონა-



ლური უბედურება და მძიმე, სულის შემხუთველი ფსიქოლოგიური ატმოსფერო იყო მიზეზი იმისა, რომ მე-18 საუკუნის ადამიანების წარმოსახვა ხშირად კოშმარული იყო. ვახუშტი ასახელებს თავის თანამედროვეებს, რომელნიც თურმე საშინელის ფიციტ ირწმუნებოდნენ: ჩვენი თვალთ ვნახეთ, რომ იმათი საფლავეებიდან, ვინც მოუქცევლად დაიხოცნენ, ღამ-ღამობით ძაღლის ლეკვები ამოდიან და ყუფით ქვეყანას იკლებენო.

დავით გურამიშვილიც თავის პოემაში რაღაც ფანტასტიურ ნადირს აგვიწერს, რომელიც საქართველოს შემოსევია და ანადგურებს. ეს მხეცი, პოეტის თქმით ხმალ-კაპარქს არ ერიდებოდა, ცოცხალ ადამიანებს სჭამდა და მკვდრებს იღებდა საფლავეებიდან.

ცხადია, პოეტისათვის ეს მხეცი — ოტომანთა იმპერიის სიმბოლო იყო.

ამ იგავისებურ სტილს პოეტი ძალიან ხშირად მიმართავს. არა ერთგზის უბრუნდება ის ძველი და ახალი აღთქმის ლეგენდებს. რათა მათი საშუალებით უფრო უკეთ წარმოგვიდგინოს ქართლის ისტორიული ტრაგედია. ცდილობს ამ ძველ ლეგენდებს ახალი სიცოცხლე მისცეს, ახალი განათებით გვიჩვენოს ისინი. ამ ლეგენდებიდან პოეტი საგანგებოდ ირჩევს იმ ეპიზოდებს, სადაც ტანჯვა და წამება იყო გამოთქმული და გამოხატული. ამ მხრივ მისთვის ყველაზე საყვარელი ეპიზოდი იყო ლეგენდა გოლგოთის ტრაგედიაზე. პოეტი ამ თემას არაერთგზის ეხება. ამ თემას მიუძღვნა მან „უკვდავების წყაროს იგავი“. „ჯვარცმის ამბავი“, „ტირილი ღვთისმშობლისა“, „მოთქმა ხმითა თავბოლო ერთი“, და სხვა. ამ ტანჯვაში მას სურს თავისი ქვეყნის წამება დაინახოს. აღდგომა და განახლება კი იმიტომ არ ახსოვს, რომ მის სამშობლოში არაფერი აღდგენილა და არ განახლებულა, სიცოცხლე ჭკნობის და გლოვის ძაძებში იყო ირგვლივ გამოხვეული.

გურამიშვილი თავის პოემაში ქრისტესა და ვახტანგ მეექვსეს ერთ სიმაღლეზე აყენებდა. ერთად აღიღებდა. ამ საოუძრავლზე აგებს პოეტი თავის ისტორიის კონცეფციას. ის ცდილობს რაღაც შინაგანი კავშირი დაინახოს ქრისტიანობის წახდენასა და ვახტანგ მეექვსეს განდევნას შორის: ამიტომ იხსენიებს ასე ხშირად იგი ბაბილონის გოდოლს და ლექსებში ევედრება ქრისტეს — აღადგინოს ქვეყანა, როგორც ლაზარე, რომელიც ოთხ დღეს საფლავეში იწვა და მკვდრის ძილით ეძინა.

მდიდარი და ძლიერია პოეტის ფანტაზია. ის ხშირად მისდევს ხან შაიზნო. ხან ბრწყინვალე სანახაობებს, რომლებსაც მისი წარმოდგენა მოაჩვენებს. მას ხან ქრისტე ელანდება, რომელიც ჯვარზეა

გაკრული და რომლისთვის ფრჩხილებში ლერწამი გაუყრიათ, ხან დედა ღვთისა, რომელიც დასტირის შვილის საფლავს, ხან ბიბლიის ეპიზოდები, სადაც იგავებით და საკუთარი ტანჯვით ასწავლიან ადამიანს წუთისოფლის ბნელი ლაბირინტიდან გასასვლელ გზას.

და თუ ხანდისხან, წუთიერად, პოეტის თვალწინ ცის მუქ-მტრედისფერ თაღზე თითქოს ნათლად გადაიხსნება ხოლმე მიუწვდომელი, გამოუთქმელი, ბრწყინვალე პარმონიის ქვეყანა, ის ისევ ჩქარა ჰქრება და კვლავ საშინელი სულიერი სიბნელე მოიცავს ყველაფერს. მისთვის ჰქრება მზეც, ქვეყნის სილამაზეც, რადგან ორი დიდი ტრაგედია ბრუნავს პოეტის სულში. პირველი — ეს ნაციონალური ტრაგედია, მეორე — ფილოსოფიური ანუ სიცოცხლის ტრაგედია, რომლის შესახებაც შემდეგ თავში ვილაპარაკებთ.

### სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება

სიკვდილ-სიცოცხლის ბნელ მიჯნასთან დავით გურამიშვილზე უფრო მწარედ არავის არ უტირია. პოეტის ლექსებში ჩანს გაუთავებელი ძებნა. მიწიური მარადისობისა და ასევე ხშირად ისმის მის სტრიქონებში მოთქმა იმის გამო, რომ ეს ძებნა ამაოა. მას აქვს ლექსები, სამგლოვიარო ჰიმნს რომ მოგვაგონებენ, სადაც პოეტმა გამოიტირა ადამიანის უმწეობა სიკვდილის საზარელი აჩრდილის წინაშე. ამ ნაწარმოებებში ის გვახედებს თავის სულის სიღრმეში, რომელიც სავსეა დარდით და ნაღველით. ეს არ არის წუთიერი განწყობილება, ეს არ არის ლიტერატურული გატაცება. ამ პენსიზმს, ამ უკმაყოფილებას საწუთროთი აქვს თავისი ფილოსოფიური საფუძველი.

ეს არის ტრაგედია ადამიანისა, რომელიც მოსწყდა, ჩამოშორდა შუა საუკუნეებს და ახალთან მისასვლელი გზების ძებნა დაიწყო.

გურამიშვილი ყოველთვის როდი ემორჩილებოდა ამ სასოწარკვეთილებას. სიყრმისა და სიჭაბუკის წლებში ისიც იმედებით იყო სავსე. პოეტის სულიერი ევოლუციის ამოცნობის თვალსაზრისით უადრესად მნიშვნელოვანია ლექსი „სწავლა თავის გაფრთხილებისა და შორს წასვლაზე მზადყოფნისა“. ამ ლექსის მთელი კონცეფცია, სიმხნევითა და სიძლიერით სავსე სიტყვები ნათლად გვიჩვენებენ, რომ პოეტი მას წერდა მაშინ, როცა მისი დიდი იმედები ჯერ არ დაღუპულიყვნენ, როცა მას ჯერ კიდევ არა ჰქონდა გული გატეხილი საწუთროსა და ქვეყნის სიმწარისა და ვერაგობის გამო.

ამ ლექსში პოეტს ადამიანის გაღვიძებული ცხოვრების, მოქმედებისა და ბრძოლის სიმბოლოდ მოუხსენარი და მჩქეფარე მთის

წყარო აულია, ადამიანი მხნე უნდა იყოსო,—ამბობს ის,—ძლიერი, დაუდგრომელი და ბედთან მებრძოლი, როგორც მთის მდინარე, რომელიც მთებსა და კლდეებს ხეტყავს და ბრძოლით მიიკვლევს გზას. მოქმედებისა და ბრძოლის ეს ოპტიმისტური ფილოსოფია პოეტმა დაუპირისპირა მკედრულ ცხოვრებას, ბედთან შერიგებას, ძალმოკლებულ მცონარეობას, რომელიც მდორე მდინარეს შეადარა. პოეტმა დაკგმო ზანტი და უმოძრაო ყოფა, ყრუ, „ლაფში ჩაფლული“ კაცის ცხოვრება, რომელიც პირუტყვის ცხოვრებად იქცევა.

ამ ლექსში პოეტი მიმართავს ადამიანს:

მხნე იყავ და განძლიერი,  
დაეითს რაც უთქვამს სწორია  
„დალივე საბრძნო წაშალი,  
დაღუარე საშმაგონია.

ამ სიბრძნისა და სიმხნევის აპოლოგიას პოეტი თავის სიყრმის მოგონებებით ადასტურებს. მას უყვარს წუთისოფელი და უგემნია მისი სიხარული. „მეც ვიყავ სოფელს, — ამბობს ის, — განცხრომასა და შვებასა, მიყვარდა, კარგად მიმაჩნდა, ვცდილობდი არ გაშვებასაო“; მეორე ლექსში ამბობს, რომ სიჭაბუკის გაზაფხულზე ავ დროებათა ჯავრი არ ვიცოდი, ყოველთვის იმედიანად ვიყავ; არაფერზე არა ვნაღვლობდი, ბაღში ვიჯექ მასთან ერთად, ვინც მიყვარდა და ყვავილთა ჭვრეტით ვხარობდიო.

მაგრამ, აი, ნელ-ნელა ბნელდება ჰორიზონტი პოეტის ირგვლივ. ის ჰკარგავს სამშობლოს, ჰკარგავს თავისუფლებას, მთელს სიცოცხლეს უცხო და გაუთავებელ გზებზე აღამებს. ყველაფერი ეს ცალკე მომენტებია XVIII საუკუნის საქართველოს ნაციონალური ტრაგედისა. საკუთარ ცხოვრებაში დაინახა პოეტმა საშინელი სიღრმე უფსკრულისა, რომელშიაც ეცემოდა ქვეყანა და იგრძნო ისიც, რომ უბედური იყო არა მარტო ქვეყანა, არამედ უფრო მეტად ცალკე ადამიანიც. ამ შეხუთულმა ატმოსფერომ პოეტის ბუნებაში ოპტიმიზმის შუქი მთლიანად ჩააქრო.

და პოეტის სევდა უფრო გაღრმავდა. მისი სასოწარკვეთილება ნაციონალური ჭმუნვის სფეროდან ფილოსოფიური პესიმიზმის სფეროში გადავიდა.

თითქოს ქრისტიანობას ის უნდა შეერიგებინა ხვედრთან, მწარე ცხოვრებასთან. მაგრამ ეს არ მომხდარა. ქრისტიანობამ ვერ დაჩრდილა მის შეგნებაში სიყვარული წუთისოფლის სილამაზისადმი, ვერ ააღებინა მას ამ სიყვარულზე ხელი, სანაცვლო და სანუგეშო ვერაფერი უჩვენა. ვერც ქრისტიანთა წამებული ღმერთის სახემ,

რომელსაც თაყვანსა სცემს როგორც მზეს, ვერც ღეთისმშობლის აჩრდილმა, რომელსაც „უსასყიდლო მარგალიტს“ ეძახის, გურამიშვილი ვერ დაამწვიდა.

მართალია არის წუთები, როცა ის ურიგდება ზეცას, მაგრამ არასოდეს არ ისვენებს, არა წყნარდება მის ბუნებაში მეორე ადამიანი. ამ უკანასკნელს საღვთო ბაღნარსა და ღვთიურ მიჯნურობას ისევ მიწიური ქვეყანა ურჩევნია:

აწ მე საერთო წალკობი  
მგონია პატიოსანი,  
მიყვარს და მალ-მალ ქსურია  
მისთა ყვავილთა ყნოსანი,  
განუშორდი საღმთოს ბაღნართა,  
ესთმე მის ბულბულთა ოსანი.

მას უყვარს მთელი ბუნება: მზიანი დღეები, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, დამშვიდებული ზღვის მყუდროება — ეს არის მისთვის ყველაზე ძვირფასი საუნჯე. მაგრამ უცებ მისი გონების თვალი, რომელიც სიხარულით ველებოდა ქვეყანას — ხვდება რაღაც მტრულს, რაღაც გარეშე ძალას — ჩნდება რაღაც სიბნელე. რომელიც სამუდამოდ წაართმევს მას მზესაც და ქვეყანასაც, — ეს სიკვდილია:

ვაი თუ მოვკვდე ცოდვილი,  
კაცი ავის ზნით მე ზრდილი,  
წამერთოს ღლენი მზიანი,  
ღამენი ცა-მოწმენდილი.  
მღვობარეს ზღვისა კერტანი,  
ცა ვარსკვლავ-მთვარით ქედილი.

არსად ისე მკაფიოდ არ ჩანს გურამიშვილის სიყვარული მიწიერი ცხოვრებისადმი, როგორც იმ ლექსებში, სადაც ის საწუთროსა და სიკვდილს ებრძვის და ეკამათება. არ მოსწონს მას წუთისოფელი სწორედ იმიტომ, რომ აქაც ხანგრძლივი და დაურღვეველი არ არის ადამიანის ბედნიერება. საწუთრო ეუბნება კაცს:

რაც ვიამების, ვაამებ,  
გემრიელს ვაკმევ-გასმეო,  
მრავალ რიგს ფერად-ფერადსა  
თავს გხურავ, ტანზედ ვაცმეო.  
მოგიწვენ თვალად ღამაზსა  
ქალსა თუ დედაკაცს მეო,  
ახლა თქვენ ბრძანეთ, მეფეო,  
თქვენ მიწყალობეთ რაც მეო.

მაგრამ, აი, კაცის პასუხი:

მაკეხებ ფერად საცმელთა,  
ოქროსა, ვერცხლის ღილებსა,  
აწ დაგდგომია თვალები,  
შეუქამია მღილებსა.  
სულ დაგლეჯილა, გამცვლარა,  
გვანან ძალთ დაღერლილებსა,  
სულ დამიხოცე მოყვასნი,  
ერთიც არ დაღინლილებსა.

მთელი მსოფლიო ასეთი სახით წარმოუდგება პოეტს:

მიდის-მოდის ეს სოფელი,  
ქარტახილთა ზღვისებრ ღელავს,  
უკან დასდევს დრო და ჟამი,  
მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს.  
ის მქლე კაცი ცელს რას აქნევს,  
რასა სთიბავს, რასა სცელავს?  
ამად ვსწუნობ საწუთროსა.  
სულ ბნელია, რასაც ელავს.

— და შემდეგ:

ამისათვის ვარ მოწყენით,  
ესტირი და არ მემღერების,  
პირს შემდეგი არს სიკვდილი,  
არაეის დაეფერების.

„სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება“ მართლაც რაღაც ამოუხსნელი ნაწარმოებია. აქ მარტო უსაზღვრო ნაღველი კი არ არის წუთისოფლის წარმავლობის გამო, აქ არის გენიალური, მსოფლიო ლიტერატურაშიც იშვიათი ირონია და რაღაც ამოუცნობელი დაცინვა სიკვდილის მიმართ. ეს არის უმწეო ბრაზი, ქედმაღლობა, როცა დამარცხებული დასცინის გამარჯვებულს და დასცინის გენიალურად, გამანადგურებლად:

სიკვდილო, შენი იგავი  
არა გავს ფარსავს იგავსო,  
ძელები ხარ, მკვლარი, უსულო,  
ცელი კარგ მთიბავს გიგავსო;  
თუ შენ გვთიბ, შენ გვკვამ, შენს ნაკვამს  
ეინ გიხვეტს, გიწმენდს, გიგავსო;  
თუ არეინ გიხვეტს, უთუოდ  
ნეხვით ნიფხავი შიგ ავსო.

პოეტი იქვე აღნიშნავს, რომ სიკვდილი სულია, რომელიც ღვთის ბრძანებით განაგებს ადამიანთა ამ წუთისოფლად ყოფნის საქმეს. მას სწამს, რომ სიკვდილი ღვთის განგებაა და მაინც სწყევლის პოეტი ამ განგებას და, მაშასადამე, ჰგმობს ქრისტიანთა ღმერთსაც. ეს არის პოეტის სულის ბორცვა და, ერთი შეხედვით, თითქოს გაუგებარი მეფისტოფელური გაღიმება სიკვდილის საზარელი აჩრდილის დანახვაზე. აი, როგორ დასცინის კაცი სიკვდილს:

სიკვდილო, შენად საქებრად  
ჩამაგდე გულის-ხმაშია,  
ტურფა ხარ თვალად, ტანადა,  
სულად ერჩევი ჯარშია.

ტანხელა ღიბის ქათიბი  
გიხდების კაბის არშია  
ფეხზედ წიოული ჩახჩური,  
შწვანე კემუხტის მაშია.

გურამიშვილს არ შეუძლია შეურიგდეს სიკვდილის აზრს, შეეჩვიოს მას, როგორც ეჩვეოდნენ ესპანელი ასკეტები, რომელნიც ყოველ ღამეს კუბოში წვებოდნენ და ისე იძინებდნენ, რომ როგორმე შერიგებოდნენ სიკვდილის აზრს, შესჩვეოდნენ მას, თითქოს სასურველ წუთად მიეჩნიათ მისი მოახლოება.

განა ძველ ქართულ ლიტერატურაში საუკუნეების მანძილზე არ ისმოდა ლაღადება იმისი, რომ სიკვდილი ადამიანის ხსნაა, განა არ ამტკიცებდნენ, რომ წუთისოფელი მარტო ცოდვისა და წაწყმედის სამყოფელია?

მაგრამ გურამიშვილი ამ გზას ვეღარ გააჰყვება. თერამეტი შფოთიანი საუკუნის განმავლობაში ეს მოძღვრება დაძველდა და მისი შარავანდედი ჩაქრა. პოეტი არ გაჰყვა ამ გზას, და მის სანაცლოდ ახლის ძებნა დაიწყო.

ვკითხულობთ მის ლექსებს და ვგრძნობთ, რომ პოეტს არა სწამს ქრისტიანული დოგმატი სულის უკვდავებაზე, არა სჯერა და არ ახსოვს საიქიოს ჯილდო სააქაოს ტანჯვისა და მოთმინებისათვის. მისი ტკივილების მალამოდ სასუფეველის ნუგეში არ გამოდგება.

ამრიგად, გურამიშვილის მისწრაფებათა შორის შეიძლება ყველაზე ძლიერია წყურვილი მიწიერი მარადიულობისა, სიცოცხლისა; ეს წყურვილი სჩქედს როგორც დაგუბებული წყარო კლდეში და ცრემლებად ატანს ნაპრალებში, იმ მძიმე კლდის ქვეშ, რომელიც ააშენა ქრისტიანობამ. ოფიციალური ქრისტიანობის, ისტორიული ქრისტიანობის თვალსაზრისით სიცოცხლის უარყოფა არის, უკვდავება, სიცოცხლის ჩახრჩობა არის დათრგუნვა სიკვდილისა სიკვდილი-

ლითვე. გურამიშვილი კი სწორედ ამის საწინააღმდეგო პრინციპებს აყენებს, მაგრამ ის თანამიმდევარი არ არის. მას გონებით უყვარს ღმერთი, ხოლო ინსტინქტივითა სძულს და ამ სიძულვილის წინაშე უკან იხევს და თვალებს ხუჭავს, რათა ქვეშარიტება მთელი თავისი საშინელი სიშიშვლით არ დაინახოს.



პოეტის წინაშე იჭრებიან კითხვები, რომელთა პასუხსაც მას საღვთო წერილი ველარ მისცემს: რატომ უნდა გათავდეს ყოველი სიამე სევდით და მწუხარებით, სიყმაწვილე — სიბერით, სიყვარული — განშორების შხამითა და სამსალით? რა საჭიროა სიკვდილი, როცა სიცოცხლე არსებობს? რატომ უნდა იყოს მარადიული ძილი, როცა ასე ნათელი და ლამაზია მზიანი ქვეყანა? რატომ უნდა მოსდევდეს წუთიერ სიხარულს ბნელი წყვედილი სამარისა, ვინ მოაწყო ასე უმსგავსად და უმადურად ეს ქვეყანა?

და თუ ადამიანი მიწა და ტალახია, რომელსაც ისევ მიწა შესჭამს, რაღა საჭირო იყო ამ ქვეყნად დაბადებ?

ნეტავი ისევ მიწადა  
მე ვყოფილიყავ, არ კაცად.

მეორე ლექსში პოეტი ეკითხება ღმერთსა და წუთისოფელს — „აქ საკვდავად რად მოგვეყვანდიო“. ეს არის პიროვნების აჯანყება, რომელიც ესოდენ დამახასიათებელი იყო არა მარტო გურამიშვილის პოეზიისათვის, არამედ რენესანსისა და რეფორმაციის ეპოქისათვის მთელს მსოფლიოში. სინამდვილეში ეს ღმერთთან ბრძოლაა, რომელმაც, პოეტის აზრით, ასე უმსგავსოდ მოაწყო ქვეყანა. მოხუცი პოეტი, როგორც იობი, ღმერთს გაბედულად ეკითხება და წუთისოფელს უწუნებს. ხშირად ეს რაღაც იღუმალი ეჭვია, ეგებ თვით პოეტისათვისაც არა ბოლომდე ნათელი, არა ბოლომდე წვდომილი და განჭვრეტილი. მაგრამ ის მაინც გამუდმებით სტანჯავს მას, გრძნობს თვითონაც, რომ ქრისტიანული უკვდავების იდეა არ არის წარმტაცი, რომ ყველაფერი ეს სიყალბეა, ამიტომ იგრძნობა სკეპტიციზმი, გამოუთქმელი სკეპტიციზმი, რომელსაც პოეტი თავის თავსაც უმაღავს, თავის ლექსსაც არ ანდობს. მაგრამ ის მაინც ჩანს სადღაც, სტრიქონებს შორის.

მას ევიწროება ქრისტიანული დოგმატის ჩარჩოები, ფართო ქვეყანა უნდა, გაშლილი სივრცე, კაცური, ადამიანური სიცოცხლე და ნეტარება.

იცის, რომ ფიზიკურ სიკვდილთან ერთად იგიც გაჰქრება, ამიტომაც ისევე ამქვეყნიურ უკვდავებაზე ზრუნავს. ეს მისწრაფება ნათლად ჩანს მის ლექსებში:

მომხსენებელი არ მრჩების,  
მაშფოთებს, ეს მალონებსა,  
ცოდვის მუხრუჭით შეკრულსა,  
ვამე, ვინ მამიფონებსა.  
თუ არ შეეკრებ და არ უძღვნი  
ყრმათ ია-ვარდის კონებსა,  
ცოცხალიც არვის ვახსოვარ,  
შეკდარს ვინღა მამიგონებსა.

მოსაგონებლად უტოვებს შთამომავლობას თავის ლექსებს, ადგენს სარწყავი არხისა და წისქვილის პროექტებს, რომ მხვენელსა და მთესველს შელავათი მიეცეს, რომ გლეხაკი გვალვას ადვილად გაუმკლავდეს, უხვი ჭირნახული მოიყვანოს და გურამიშვილის სახელი მადლობით მოიხსენიოს.

აი მარტო აქ არის უკვდავება, ესლა იმედი, რომ ცუდად არ ჩაივლის განწირული სულისკვეთება და მოძმეს ეკლიანი გზის გავლა გაუადვილდება. ყველაფერი ეს მას ოდესმე წინ დახედება და ამით, ამ ლექსებით და მოქალაქეობრივი ღვაწლით დასჩრდილავს იგი მარადიულ არყოფნას.

წისქვილისა და არხების მოხაზულობანი მან თავის ლექსების წიგნში შეიტანა. მისთვის ესეც ისეთივე მოქალაქეობრივი ღვაწლი იყო, როგორც პოეზია.

ციცერონის დროის ბერძენთა მგოსანი მიესალმებოდა ხორბლის დასაფქვავედ წყლის წისქვილის გამოგონებას, როგორც მონური, გამთანგველი წრომისაგან თავის დაღწევის მაუწყებელ მოვლენას.

გურამიშვილის ანდერძშიაც ეს ძველი რომანტიზმი ბრწყინავს და ანათებს.



ასე თავდებოდა ყოველი დიდი ადამიანური ტრაგედია.

გურამიშვილის აღსასრული მოგვაგონებს ფაუსტის სიკვდილს.

დიღმა მაგისტრმა და დოქტორმა ფაუსტმა, ჰკუთით ხმელეთთა სიგრძე და განი სრულიად განზომა, მან, ბრძენმა ყარიბმა, გონებით ზეცამდე მიაღწია, შეისწავლა ფილოსოფიაც, მედიცინაც და ცნებანიც სამართლისა. აზრით ის ზღვათა უფსკრულებს მიაწვდა, ბნელეთის სულმა — მეფისტოფელმა მას ვალპურგის ღამეს ამ სამზეო-



შივე უჩვენა ჯოჯოხეთი ჰარცის მთის მწვერვალზე და ილზენშტეინის კლდის ჯურღმულში, პითაგორმა მას სფეროთა ჰარმონიის ჯადოსნური ხმები მოასმენინა, რომელიც ჩვეულებრივ მომაკვდავთ არ ესმით, ვარსკვლავთა მისანმა ნოსტრადამუსმა მას ჰაერთა და მნათობთა იდუმალნი აზრნიც გაუმხილა და იმანაც ეს სიბრძნენი თავის გულის ფიცარზე გადმოიწერა. მაგრამ, როცა სიკვდილი მოუახლოვდა — ეს ყველაფერი თავსა და ხელს შუა გაუქრა და მიხვდა, რომ ყველაფერი ამათა ამოება იყო. ის ისევ უმწეო, საწყალი ადამიანი იყო, ისევ სიკვდილის წერა იყო და ისევ უკვალოდ უნდა გამქრალიყო, როგორც ჩვეულებრივი მომაკვდავენი ჰქრებიან. ამიტომ გადასწყვიტა მოხუცმა, ჭაობები ამოეშრო და ხალხში კეთილი ხსოვნა ამით მაინც დაეტოვებინა. ბოლოს დაბრძავდა კიდევ, სიკვდილის დღეს ხელის ფათურით სახლიდან გარეთ გამოვიდა, ბარების და წერაქვების წკრიალი და მიწის ბელტების დაცემის ხმა გაიგონა. სიხარულმა აიტანა. მიწას სთხრიანო, ჭაობებს ამრობენო — ეგონა, ნამდვილად კი ეს ლემურები მის საფლავსა სთხრიდნენ.

ასეთი იყო ბედიც გურამიშვილისა, ისიც მისწვდა საშინელ ჭეშმარიტებას სიცოცხლის საიდუმლოებისა, ათასი ჭირსახდელი გამოიარა, უცხოთა პურის სიმწარეც იგემა, ნახევარი სამზეო მოიარა, გონებით ცასაც მისწვდა, იომა, იცხოვრა, იბორგა საწუთროში, თავისი ლექსებით ლათინთა სახელგანთქმულ მგოსნებს — ბრძენთა-ბრძენს ლუკრეციუსს და ვირგილიუსს ამოუდგა გვერდით, თავისი სიმღერებით ბიბლიური დავითის თვალმიუწვდენელ სიმალღემდე ავიდა — იმ წინასწარმეტყველის, რომლის ფსალმუნები ყველაზე უკეთესი მარგალიტები იყო ძველი ებრაული პოეზიისა, რომლის სიტყვებსაც ლოცვით და ჩურჩულით იმეორებდა ტანჯული კაცობრიობა ათასი წლობით — ყველაფერს ამას მიაღწია გურამიშვილმა, გამოსცადა და მაინც დახეთ — წარმავლობისა, სიკვდილისა შეეშინდა უკვდავად დაბადებულს. მერე წისქვილის აგება და სარწყავი არხის გაყვანა განიზრახა, რათა ამით მაინც მარადიული არყოფნა დაეთრგუნა და დაეჩრდილა. ზამთრის გრძელ ღამეებში ესლა ჰქონდა საფიქრებლად და სანატრელად:

ღმერთო, დამასწარ ზაფხულსა,  
ფქვილს ამ წისქვილზე დაფქულსა.

მერე ზაფხულიც მოვიდა, მაგრამ თვალის სინათლე დაკარგა პოეტმა... გურამიშვილი დაბრძავდა და, ვინ იცის, მასაც — ფაუსტივით ხელის ფათურით ეზოში გამოსულს — იმ დღეებში, როცა ჩურჩულით იმეორებდა თავის უკანასკნელ „აწ განმისვენეს“ — იქნება

ფიქრში თავისი ჯერ დაუდგმელი წისკვილის დოლაბების ხრიალი ესმოდა.

მაგრამ დოლაბები კი არა, უკვე ფოლადის ბარები წკრიალებდნენ ქვებზე. პოეტის სამარესა სჭრიდნენ მესაფლავენა.

### დაპით გურამიშვილი და თანამედროვეობა

ყველა შემოქმედთა შორის პოეტებს ყველაზე უფრო მეტად უყვართ თავიანთი ქმნილებებით, ამბობდა არისტოტელი „ნიკომახის ეთიკაში“, ხოლო პლატონი თავის „ფედრაში“ აღნიშნავდა: კარგი ქმნილება, კარგი წიგნი ავტორისა — ეს უკვდავი ბავშვია, რომელიც თავის მშობელს მარადიულ სიცოცხლეს ანიჭებსო.

მიშელ მონტენს მოჰყავს მაგალითები იმის დასადასტურებლად, თუ როგორ სწირავდა კაცია ყველაფერს, რომ როგორმე თავისი წიგნი, თავისი ეს საყვარელი 'შვილი გადაერჩინა და მომავალ საუკუნეებში გასამგზავრებლად შორი და განსაცდელით სავსე გზა დაელოცა მისთვის.

მონტენი აქ, უპირველეს ყოვლისა, ასახელებს III საუკუნის მეორე ნახევრის მწერალს ჰელიოდორეს; ის ეპისკოპოსი იყო და ყველასათვის მოულოდნელად დასწერა რომანი „ეთიოპიკა“ ქალვაჟის ვნებიანი სიყვარულის თემაზე. ეკლესიის მესვეურებმა მას წინადადება მისცეს: ან დასწვი შენი წიგნი, ან გამოეთხოვე ამ წუთისოფლის ყველა სიხარულს და განდევნილის, გაძევებულის ხვედრა აირჩიეო. ავტორმა სილატაჟე არჩია, ვერ გაიმეტა თავისი წიგნი, რომელმაც მას მართლაც უკვდავება მიანიჭა.

ტიტუს ლიბიუსს რომის სენატის გადაწყვეტილებით დაუწვეს ყველა წიგნი, რაც კი გამოქვეყნებინა; ავტორმა ვერ აიტანა ეს და უცნაური თვითმკვლელობა ჩაიდინა — თავისივე მსახურებს ცოცხლად დაამარხვინა თავისი თავი.

პირველი საუკუნის მწერალს კრემუციუსს კორდს, იმავე რომის სენატის გადაწყვეტილებით საჯაროდ დაუწვეს წიგნები იმის გამო, რომ ქებით მოიხსენია ბრუტოსისა და კასიუსის სახელები. ავტორმა ვერ აიტანა ეს და შიმშილით თავი მოიკლა.

სახელოვანმა პოეტმა მარკ ანეი ლუკანმა, რომელსაც ნერონმა სიკვდილი მიუსაჯა, გადაიჭრა ვენები და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში დაიწყო კითხვა თავისი პოემისა „ფარსალი ანუ სამოქალაქო ომი“. წიგნის კითხვა მას მართო სიკვდილმა შეაწყვეტინა. „განა

ეს არ იყო, — წერს მონტენი, — მამის უნაზესი გამოთხოვება თავის შვილთან, მსგავსი იმ გამოთხოვებისა, როგორც ჩვენ ვაკოცებთ ხოლმე ჩვენს ბავშვებს ჩვენივე სიკვდილის წინა წუთებში?“

მშობლის ასეთივე ნაზი და უსაზღვრო სიყვარულით უყვარს გუ-რამიშვილს თავისი ლექსების კრებული. იგი ამბობდა: მე საწუთრომ არც ძე მომცა, არც ასული და ჩემი ერთადერთი შვილი ეს წიგნიაო, მაგრამ მოხუცებულ პოეტს სიკვდილი უახლოვდება და მისი წიგნი ობლადა რჩება:

მე უშვილომ ეს ობოლი,  
ძლივ გაეზარდე დიდი პირით,  
რაც ვიციოდი საცოდნელი,  
მას ვასწავლე სიბრძნე-მცირით.  
მოკვდი, დამრჩა უნათლავი,  
ვერ შევიძელ მე სიმწრით,  
ვინც მონათლავს, მე მას ვლოცავ,  
ცოდვილისა ჩემის პირით.

მომავლის ყრმებსა და ასულებს ასე ეხვეწებოდა პოეტი:

მე ძე არ დამრჩა ბედკრულსა,  
ეს არის ჩემი ბედობა,  
ყრმაო, შენ ძმობას გენუკვი,  
ასულო, მიყავ შენ ღობა,  
ვინც წაიკითხოთ ეს წიგნი,  
მიბრძანეთ ცოდვილს შენღობა.

ლექსში „დავით გურამიშვილისაგან საწუთროს სოფლის სამღუ-რავი“ პოეტი ამბობს:

მშვილდს მომიწია მუხთალმა,  
ისარი გულსა მამასო,  
არ მომცა ძე, არც ასული  
არვინ მიძახის „მამასო“,  
დაუჯექ და ლექსვა დავიწყე,  
ვთქვი, თუ ვიშვილებ ამასო.

რატომ სწუხს ასე ძლიერ პოეტი თავისი „ობოლი შვილის“ ბე-დის გამო? ეს არაა ძნელი მისახვედრი: გურამიშვილი შორს იყო სამშობლოდან. როგორ უნდა მიეღწია მის „შვილს“ საქართველო-მდე? ვისთვის უნდა გამოეყოლებინა ეს მართლაც ადამიანივით ცო-ცხალი, შვილივით საყვარელი წიგნი? ვისთვის უნდა მიენდო ეს ერ-თადერთი საუნჯე თავისი სულისა? რა შეემთხვეოდა მას იმ დროს ჯოჯოხეთურ გზებზე? ჩამოაღწევდა მშვიდობიანად ეს ობოლი სა-

ქართველომდე, თუ დაიკარგებოდა, როგორც დაიკარგა თვითონ დავითი ერთხელ, მეორეჯერ?

როგორ არ უნდა ეფიქრა პოეტს ამაზე უძილო ღამეებში?

მით უფრო დიდი იყო პოეტის წუხილი, რომ მან ერთხელ უკვე იწვინა ეს უბედურება — ადრინდელი ნაწერები მას დაეღუპა, იმ ხანძარმა შთანთქა. რომელიც მტრებმა მის სახლ-კარს წაუყიდეს. მაშინ დაეწვა ნაწერებიც და ეს წუხილი პოეტმა შემდეგ სტრიქონებში გამოხატა:

შურმან მე დიდად დაჰკოდა,  
ხმალი შემომკრა მისრისა,  
მსხვილ შვილებს ყელი დამიჭრა,  
წერილები ფეხით მისრისა.  
ცეცხლით დამიწო სახლ-კარი,  
ვაზე, ჯაფერი მკლავს მას სრისა.

სწორი უნდა იყოს აღ. ბარამიძის ვარაუდი, რომ აქ „მსხვილ შვილებში“ პოემები იგულისხმება, ხოლო წერილებში — პატარა პატარა ლექსები. ისიც ცხადია, რომ ადრინდელი ნაწარმოებებიდან რაღაც ნაწილი შეიძლება გადაარჩენილიყო, ანდა ხსოვნაში შემორჩენოდა პოეტს და შეეტანა თავის საბოლოო კრებულში, რომელიც სიცოცხლის ბოლოს გადასწერა თავიდან ბოლომდე და სამშობლოში გამოსამგზავრებლად გაამზადა.

თითქოს რაღაც წინათგრძნობით იცოდა პოეტმა, რა დიდებულ საუნჯე იყო მისი წიგნი საქართველოსათვის. აქ უკვე ყველაფერიდან ჩანს, რომ ის გრძნობდა თავის ძალას, გრძნობდა, როგორ აიტაცებდა ფარზე შთამომავლობა მის ლექსებს.

და მართლაც ეს ასეც მოხდა.

უკვე XIX საუკუნემ აღიარა მისი დიდება და გენიოსმა ვაჟა-ფშაველამ ვედრებით მიმართა მის აჩრდილს:

შიშველეთ შენ და შოთამა,  
მგოსნობა გამოძრახაო,  
დაჩოქილი ვარ თქვენს წინა,  
ვით ერთი ვინმე გლაზაო.

ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ, მრავალ სხვა სიკეთესთან ერთად, თავიანთ შთამომავლობას — ქართული პოეზიის მომდევნო თაობებს გურამიშვილისადმი სიყვარულიც უანდერძეს.

არ დარჩენილა არც ძველი და არც ახალი თაობის თითქმის არცერთი თანამედროვე ქართველი პოეტი, რომელიც გურამიშვილის ბედს არ ჩაეფიქრებინოს. ვინ მოსთვლის რამდენი ლექსი დაიწერა მისი ცხოვრების, ბრძოლის, მისი ლექსების და მისი უკვდავების შესახებ. მთელი ეს ნაწარმოებები ნათლად გვიდასტურებენ და გვიჩვენებენ, თუ როგორ გაცოცხლდა XVIII საუკუნის პოეტი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. გურამიშვილმა მართლაც სამარადისოდ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენს ფიქრსა და ოცნებაში, ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს სიყვარულში სამშობლოსადმი, სიცოცხლისადმი; ის ახალ ბოძად შეუდგა ჩვენს სიყვარულს მოძმე ხალხებისადმი, და მთელი ეს ლექსები, რომლებიც მასზე იწერება, ხარკია, ღალაა იმ სიყვარულისადმი, რომლითაც სავსე იყო გურამიშვილის გული, იმ სიყვარულისადმი, რომლითაც უყვარდა მას ეს მზიანი წუთისოფელი.

და სრულიად ბუნებრივია, რომ სიყვარულის ამ ღალას გურამიშვილს უხდინან არა მარტო ქართველები, არამედ ყველა ხალხები ჩვენი სამშობლოსი. გაიხსენეთ, რა დიდი ამაგი დასდო ჩვენს ლიტერატურას გამოჩენილმა რუსმა პოეტმა ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ, რომელმაც ძალადი ოსტატობით თარგმნა „დავითიანი“ რუსულ ენაზე, ასევე მთელი ძალით აამეტყველა იგი უკრაინულ ენაზე მიკოლა ბაეანმა. პავლო ტიჩინამ და მაქსიმ რილსკიმ მას უძღვნეს შესანიშნავი ლექსები, რომლებშიც მთელი სიმაღლით გამოჩნდა მონუმენტური ფიგურა ქართული ჰუმანიზმის დიდი მოციქულისა; მშვენიერი წერილები მიუძღვნეს მის შემოქმედებას ალექსანდრე ფადეევმა და ნიკოლოზ ტიხონოვმა, პავლე ანტოკოლსკიმ და კორნელი ზელინსკიმ, იან სუდრაბაკალნმა და მირზა იბრაჰიმოვმა, დერენიკ დემირჩიანმა და მირმუხსინმა, და კიდევ ვინ მოსთვლის! დიდია საბჭოთა კავშირი და არ არის მასში კუთხე, სადაც დავითის ლექსი არ ხმიანობდეს.

და ეს გასაგებიც არის. სიხარული და ნაღველი, აზრი და გრძნობა, სიყვარული და სიკეთე. რომელიც ჩაქსოვილია მწერლის ნაწარმოებში, ჩაქსოვილია წიგნში — ვრცელდება ქვეყნად ელვის სისწრაფით, ვრცელდება, როგორც სხივი მზისა, როგორც გამოძახილი კაცის გულის ხმიანობისა. წიგნები მოედებიან ხოლმე მთელ მსოფლიოს, ეცნობიან ქვეყნებს, ხალხებს, ხელს ართმევენ მანამდე უცნობ ადამიანებს, უმეგობრდებიან, ძმად გაეფიცებიან, თან გაჰყვ-

ბიან ძნელ გზაზე, ჭირში ანუგეშებენ, გაახარებენ, ჩააფიქრებენ, უფრო შეაყვარებენ სიცოცხლესა და სამშობლოს და გულს გაუსპეტაკებენ, სიძარტლის წმინდა მუქით გაუბრწყინებენ. და ეს წიგნები ავტორებზე განუზომლად უფრო დიდხანს ცოცხლობენ.

ასე დაიკვიდრა სამარადისო უკვდავება დავით გურამიშვილმა.

ასე აუხდა მას თავისი გულში ჩამწვდენი სიტყვები:

ბნელში მღებარე გაშოველ გარეთ,

ვითა დაელამდი, ისე გავთენდი.

## მოკალმასე ბერი იოანე

იოანე ბაგრატიონის ლიტერატურული სახელი კარგა ხნის განმავლობაში ნისლით მოცული და დაჩრდილული იყო. მის „კალმასობას“ მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებამდე არ იცნობდნენ და, შემდეგაც „კალმასობის“ ავტორის ვინაობის საკითხი დიდხანს სადავოდ იყო გადაქცეული. „ჰსმენია ვისმე სიტყვა „კალმასობაზე“? — წერდა 1861 წელს ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე — ამას დარწმუნებით ვიტყვით, რომ ოთხს კაცს არ წაეკითხოს ეს წიგნი. თვით ჩვენ, ამ სტატიის ავტორმა, მხოლოდ ახლა პირველად ვნახეთ და წავეკითხეთ. ერთის ეკზემპლიარის მეტი არსად არის“.

მიუხედავად ამისა, ამ ძეგლმა გამოჩენისთანავე მიიპყრო ყველას ყურადღება; საკმარისია მარტო იმის აღნიშვნა, რომ „კალმასობამ“ დააწერინა ვაჟა-ფშაველას ისტორიული პოემა „ბახტრიონი“.

ვაჟა-ფშაველა წერდა: „ყველაზე მეტი გამბედაობა „ბახტრიონის დაწერისა მომცა იმ შემთხვევამ, რომ ხელში ჩამივარდა „კალმასობა“. წაეკითხე ის ადგილი, სადაც ბერი იოანე ხელაშვილი შეხედება ლალის ყურისკე მიმავალ ორ ფშაველს და გაუბამს მათ საუბარს. ამან მუჯღლუგუნი წაჰკრა ჩემს ფანტაზიას, გაათამამა, როგორც უტყუარმა დოკუმენტმა მთიელთა გმირობისამ და გაბედულად ამადებინა ხელში კალამი“.

„კალმასობის“ გავლენა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე, ცხადია, ამ ერთი ფაქტით არ ამოაწურება.

ქართული ლიტერატურის ისტორია არ იცნობს მეორე ისეთ ნაწარმოებს, რომელიც ასეთი სისრულით და სიზუსტით აღადგენდეს მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს. „კალმასობა“ ერთი ფართო, ვეებერთელა ფრესკაა, რომელზედაც დახატულია მთელი ჩვენი ქვეყანა. ესაა წიგნი, რომელსაც, როგორც მეგზურს, მივყევართ გარდასულ დროში — ორი საუკუნის მიჯნაზე, როცა საქართვე-

ლოს ისტორიაში ახალი ეპოქა იწყებოდა. საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს სიკვდილის დრამა ის იყო თავდებოდა, ფარდა ნელ-ნელა ეშვებოდა.

ამ სიკვდილის ყველა დრამატულმა ეპიზოდმა იოანე ბაგრატიონის თვალწინ გაიარა. უშუალო მონაწილენი ამ დრამისა მისი არა მარტო თანამედროვენი, არამედ ხშირ შემთხვევაში თანამებრძოლნი და ხელქვეითნი იყვნენ. მასთან ერთად უხვდებოდნენ კრწანისის ველზე აღა-მაჰმად-ხანის ურდოებს, მასთან ერთად იყვნენ, როცა უკანასკნელი ერთი მუქა მეომრები თბილისის კართან იდგნენ და წყდებოდნენ, რომ დანარჩენებს დამარცხებული ქალაქიდან ერეკლეს გაყვანა მოესწროთ და დაბერებული არწივი ყვავ-ყორნების ხელში არ მიეტოვებინათ.

„კალმასობა“ სრული უფლებით დგას მეცხრამეტე საუკუნის ქართული პროზის სათავეში. თუ რეალიზმი ცოცხალი ცხოვრების გადმოცემაა, მაშინ უნდა ვალიაოთ, რომ „კალმასობა“ ქართული რეალიზმის უმნიშვნელოვანესი მხატვრული დოკუმენტია. ეს წიგნი გაბედულად არღვევს ძველი ეპოსის ტრადიციას, რომელშიაც მარტოდენ რაინდებისა და მზეთუნახავების ფანტასტიკური სახეები იყო ნაჩვენები. იოანე ბაგრატიონმა დახატა თავისი ქვეყანა მძაფრი რეალიზმით, რომელიც ხშირად უხეშ ნატურალიზმშიც კი გადადის; მისი თხზულების დოკუმენტალობა მოგვაგონებს იმ მოწმის სიმართლეს და გულწრფელობას, რომელიც თავის ჩვენებას ფიცის ქვეშ იძლევა. მწერალი პირდაპირ ახევეებს მასალას, ფაქტებს, ყოფით დეტალებს, ახევეებს მათ ხშირად უხასტემოდ, სასწრაფოდ. რაც კი ხელში მოხვდება — განურჩევლად და უზრუნველად. მაგრამ ეს სიუხვე მატებს სწორედ „კალმასობას“ შემეცნებითს ღირებულებას. ამ წიგნში იოანე ისტორიკოსიც არის და პირუთენელი მსაჯულიც, ცხოვრების მასწავლებელიც და ყოფის მხატვარიც. ჩვენთვის ყველაზე მეტად მისი შემოქმედების ეს უკანასკნელი მხარეა საინტერესო და საყურადღებო. ამ ბელეტრისტული ნაწარმოების თემა მთელი საქართველოა — დაწყებული ქიზიყიდან და დამთავრებული შავი ზღვის ნაპირებით.

მთავარი ისაა, რომ მასში ყველაფერი ცოცხლად, რელიეფურადაა გამოკვეთილი, ჩვენ თითქოს გადავდივართ წელთა სიღრმეში, თითქოს გადავდივართ მეთვრამეტე საუკუნეში და საკუთარი თვალთა ვხედავთ ამ ჟანრულ სურათებში დახატულ ადამიანებს: აგერ მოაქენებს სამი კაცი ოფლში გახვითქულ ცხენებს, უნაგირზე კაცის მოკრილი თავები უკიდიათ, — ჩქარობენ, მეფეს უნდა ახარონ, რომ ბატონიშვილმა ომარ-ხანი დაამარცხა და მთელი ჯარი გაუნადგურა;



აგერ მეორე ადგილას დამსხდარან მომყმარნი, სახლის კარები „დაუმცხეთურებიათ“, წინ ბარაქიანი სუფრა გაუშლიათ, შეექცევინან, ერთ მათგანს ღვინით სავსე ხელადა მოუყუდებია და დანარჩენები თავის რიგს უცდიან; მესამე სურათში განრისხებული გარსევან ეშიკალასი თავისი გრძელი ჩიბუხით სცემს მოკალმასე ბერსა და წვერებს აგლეჯს; მეოთხე სურათში ისმის გულსაკლავი კენესა ტყვეებისა, რომლებიც სტამბოლში მიჰყავთ გასასყიდად; ავტორს ახლა დადიანის სასტუმროში შევყევართ, სადაც წვიმა ისე ჩამოდის, როგორც ღია ცის ქვეშ. აგერ უკვე დაბრძენებული შორალისტი და ფილოსოფოსი ხელაშვილი ქიზიყში, თავის ოჯახში დაბრუნებულა. დიდი ხნის უნახავ სახლიაკაცს დედაწულნი ეგებებიან, პირსა და ხელებს უკოცნიან, ფეხზე ხდიან, კბანენ. ამ დროს მოხუცი ბიძაც ბრუნდება მინდვრიდან და გახარებული ეხვევა იოანეს. ვახშამზე რომ დასხდებიან და იოანეს მკვერმეტყველებას ისმენენ, — ამ ადამიანების განცვიფრებულ და ნეტარ სახეებს ამ ქვეყანაზე ალარაფერი შეედრება. ერთი გლეხკაცი იძახის — ჩემმან მუხლმანი-ყე... ეს ასეთი ნასწავლი შექმნილა, რომ სწორად გაფრანგებულა, თორემ საიდან მოიგონა ამდენი, თუ ეს ბოდბელმა ნახოს, მგონი იმან ოსტატად დაიჭიროსო. თითო-ოროლა კალმის მოსმით ნაჩვენები არიან გლეხის მოხუცი დედაკაცი, რომელიც გაქცეულ და შეშინებულ იოანეს თავის ძონძებად ქცეულ საბანს გდააფარებს, რომ მტრის თვალს აარიდოს — და ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელიც ბერს შესჩივის — დანიშნულმა მიღალატა, მაცდუნა და ახლა თავი დამანებაო.

„კალმასობას“ ახლა სოფლიდან ქალაქში გადაყევართ, გვიჩვენებს იმდროინდელ თბილისს, აზიური ქალაქის მრავალფერადოვან ჭრელ ქუჩას თავისი ჭრელი ბრბოთი, რომელშიაც ვინ იცის რა მილეთის ხალხი არ ურევია; აქვეა სიონი, სადაც ყომაზბაზები შეპარულან და წირვის დროს ქალაქსა თამაშობენ, — როცა იოანე დასტუქსავს მათ ამ მკრებელობისათვის, ისინი თავს იმართლებენ — სათამაშო ქალაქზე ლოცვასა ვსწავლობთო, კიკო ქალაქის ერთიანს რომ ავიღებთ — ერთი ღმერთი მოგვაგონდება ხოლმეო. ორიანზე — ორი ბუნების იესო ქრისტეს წარმოვიდგენთ, სამიანი — წმინდა სამებას გვაგონებს, ოთხიანი — ოთხ სახარებას, ხუთიანი — ხუთ მთავარ ანგელოზს, ცხრიანი — ცხრა ნეტარებას და ა. შ. აქვე ნაჩვენებია იმდროინდელი თბილისის ლილახანები და საბაყლოები, სირაჩხანები და აბანოები. თბილისი დახატულია ფერწერის ოსტატის ხელით, დახატულია თავისი ძველი ჯავართ, ეშხით,

თავისი ოქრომკედლობით და მექოშეებით, შეჩახმახეებითა და ყაზახებით.

ფართო და ვრცელია „კალმასობის“ პორტრეტთა გალერეა. აქ არის ყველა: მოხუციც და ყმაწვილიც, ერიც და ბერიც, მეფეც და მასხარაც, და ყოველი პერსონაჟი ისტორიის მკვერმეტყველი სახეა, წარსულის ცოცხალი მოამბეა.



მეფე ირაკლი მეორის შვილიშვილი, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგის შვილი იოანე თავისი დროის უაღრესად განსწავლული ადამიანი იყო. ის, როგორც უაღრესად დიდი ერუდიციის მწერალი, იცნობდა არა მარტო აწმყოს, არამედ ცდილობდა თავისი ქვეყნის შემდგომი წითარებაც დაენახა.

იოანე ბაგრატიონი თითქოს წინასწარ გრძნობს თავისი ქვეყნის მაშინ ჯერ კიდევ უცნობ მომავალს. მიუხედავად იმისა, რომ ბატონყმურ რუსეთში და მძა უმეტეს საქართველოში სავაჭრო კაპიტალი ჯერ კიდევ სავსებით სუსტი, გაუფორმებელი და ფეხაუდგმელი იყო, მწერალი მაინც გრძნობს, რომ ფეოდალური ყოფა დასაღუპავადაა განწირული და ის ახალმა ძალამ, კაპიტალისტურმა წყობილებამ უნდა შეეცვალოს, გრძნობს რომ საქართველო აზიური ქვეყნიდან ევროპულ ქვეყნად უნდა იქცეს. ეს ჩანს არა მარტო იქ, სადაც იოანე ბერი მეთვრამეტე საუკუნის მეომრებს ევროპულ ტაქტიკას და სტრატეგიას ასწავლის, არამედ უფრო მეტად იქ. სადაც მწერალი ძველი საქართველოს ყოფა-ცხოვრების გარდაქმნაზე ოცნებობს. მოკალმასე ბერმა კარგად იცის ფულისა და ფულად ურთიერთობაზე აშენებული ცხოვრების ძალა და მნიშვნელობა. „კალმასობაში“ არის ჰიმნი ოქროსადმი, რომელიც ჩვენ გვაგონებს შექსპირის „ტიმონ ათინელის“ მონოლოგს; იოანე ბერი ამბობს: „ჰეი, ოქროო, თუ რაოდენ შემძლებელ ხარ შენ! შენგან აღიღებია უძლეველი ციხენი, შენგან იძლევიან მხედრობანი, შენ გყვარობენ ხელმწიფენი, შენი ძალით დაეცემიან მეფენი, შენ მიიზიდავ გულსა მდიდართა და ღარიბთაცა, შენ ხარ მხიარულება ყოველთა კაცთა, მხიარულებით შეგიტკობენ მღვდელთმთავარნი და სხვანი სამღვდელონი. მრავალგზის გააადვილებ კანონთა, მრავალგზის გაამტყუნებ მართალსა, შენ მიიზიდავ გულთა მსაჯულთა და კარისკაცთასა; შენ ასწავებ ცოდვასა ანგარებისასა; შენ ხარ კეთილი და ბოროტი, ვინაიდან ორივე ძალგიძს. მოვედ, განგიწიადო! შენ დააწყნარე მძრწოლარე გული ჩემი; შენ მიეც სიმტკიცე გულსა ჩემსა; აჰა, შთაგიდებ უბესა. მახლობლად გულისა, განმხიარულდი, გულო! აჰა, წამალი ყოველისი მწუხარებისა“.

მოკალმასე ბერზე უფრო გულახდილია მისი მხლებელი ზურაბა ღამბარაშვილი. მან კარგად იცის, რომ ოქრო სულსაც კი სამოთხეში მიმავალ გზას უხსნის. „კალმასობაში“ ოქრო ამოძრავებს ვნებებს, ყიდულობს კაცს, რწმენას, საშობლოს სიყვარულს და მოსამართლის სინდისს. „კალმასობის“ ერთი გმირი, ნიკოლოზ ციციშვილი ტყუილად კი არ გაიძახის — თეთრი რომ მქონდეს, ეკლესია ყველა ცოდვას უფრო ადვილად მაპატიებდაო. და იოანე შეძრწუნებული შეპყურებს ნიშნებს, რომელნიც რაღაც ახალი ეპოქის მოახლოებას მაუწყებლობენ. მას სურს, რომ მისი თანამემამულენი მზად იყვნენ ამ ახლის შესახვედრად, გაჰყვნენ ეპოქის ვითარებას, დააგდონ აზიური პატრიარქალობა, რომლის მიხედვითაც ვაჭრობა პატიოსანი კაცისათვის შეუტრაცხყოფელი და არასაკადრისი საქმეა. ამოდ არწმუნებს იოანე გურიის მთავარს, რომ ინგლისშიო „არა არს სირცხვილი და არცა დასაძღაბლებელი განრთვა ვაჭრობასა შინა და აქეთ ესე ჩვეულებადაცა, რომელ კეთილშობილნი უფროსი ძმები შევლენ ქვეყნის სამსახურსა შინა სამხედროთა საქმეთა და სამოქალაქოთა შინა, ხოლო უნცროსი ძმანი იწყებენ ვაჭრობასა და აწ თითქმის ეს სახედ არის საფრანგეთსა შინა, რომელ არცაღა თუ შეურაცხყოფენ თვით ჩინებულთა კაცთაც განრთვათ ვრცელ კომერციასა შინა, რომელნიც არიან სხვა ხატითა ვაჭრობისათა“. გურიელი კი მაინც თავისას გაიძახის — კეთილშობილთ ვაჭრობა რაჟა ეკადრებათო.

იოანე ფეხქვეშ ნიადაგს ვერა გრძნობს, მისი გეგმა და ოცნება ქვიშაზეა აგებული, უძლურია მისი სიტყვა ქართული მაღალი წოდება ინგლისის მიწათმფლობელი არისტოკრატის გზით წაიყვანოს: იოანეს თანამემამულეებს მარტო წადირობით და ცხენებით თუ დაინტერესებთ. სად შეიძლება გააყვნენ ისინი ინგლისელ ჯენტლმენებს, რომელთა სასტუმრო ოთახებში მეთვრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებიდან, უმეტეს წილად მამულის განოყიერებაზე, დრენაჟზე, ღრმად ხნულის გავლებაზე, იონჯასა, ინგლისურ თალგამზე და პირუტყვის სხვა ნაყოფიერ საქმელზე მსჯელობდნენ და ლაპარაკობდნენ. იოანე ოცნებობს, ინგლისელი არისტოკრატების მსგავსად, ეს ქართველი ემიკლასები და მდივანბეგები მონაწილეობდნენ სავაჭრო წამოწყებაში. არ ითაკილონ ფულის თვლა, ინგლისელებით კაპიკი კაპიკს დაადონ, მარტო წარსულის ფანტაზიით არ იცხოვრონ და მარტო ამით არ იამაყონ, განათლდნენ და ეკონომიური საფუძველი განიმტკიცონ. იოანეს სიტყვებში რაღაც უდიდესი სინანულია: მოვლენ ახალი ბატონები და დაჩრდილავენ, გააძევენ ამ ქვეყნის ძველ მკვიდრთ და მფლობელთ, რომელთაც ხმლის ხმაიყ-

ბის მეტი არაფერი იციან. იოანე ბაგრატიონმა ამ საკითხის ასახვაში ისტორიულად დაასწრო გიორგი ერისთავსა და ილია ჭავჭავაძესაც, ლუარსაბ თათქარიძე ღვიძლი შთამომავალია და მემკვიდრე „კალმასობის“ პერსონაჟის — მოურავის შვილის ფლორესი, რომელიც ამაყად გაიძახის: „რად მინდა წიგნი ვისწავლო და მეცნიერება, აჰა, ჩვენი ცოდნა ეს არისო“. ამ სიტყვებთან ერთად ავსებს ჯიხვის დიდ ყანწს ღვინით, სვამს და ბერთან ალავერდს გადადის. შეწუხებული იოანე ყანწს არ ართმევს, მაგრამ ფლორე ემუქრება — თუ არ დალევი, კისერში ჩაგასხამო. ბერი იძულებულია გამოართვას ყანწი და ძლივ-ძლივობით, სვენებ-სვენებით გამოსცალოს.

იოანეს განმანათლებლურ ქადაგებას ხშირად უარესი შედეგიც მოჰყვება ხოლმე. გულისტკივილით დახეტიალობს ეს ბერი თავის ქვეყანაში და ყველგან უნუგემო სურათსა ხედავს, ხსნა არსაიდან არა ჩანს; ყველგან სიბინძურე, აზიური პატრიარქალობა, ხოლო მაღალ წრეებში განუსაზღვრელი ანგარება მეფობს. ღრმა სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისის, შინაგანი დაქსაქსულობის შედეგად კვდება ძველი საქართველო და ახლის შესახვედრად არავინ ემზადება. ამას სწუხს ეს მოხეტიალე სქოლასტიკოსი, დადის და მოსთქვამს, ხან ტირის და ხან ლოცულობს, მაღალ მატერიებზე ფიქრობს და ოცნებობს, და ჯილდოდ პანღურსა და მუჯღუგუნს, ან ზურაბას დაცინვას ღებულობს, რომელსაც იოანეს ლოდიკის კატეგორიებს მუდამ გემრიელი და მაძლარი ვახშამი ურჩევნია.

სოფელ სალოლაშენში იოანე ხელამჯილი ამირაჯიბს ესტუმრა. მას ბინძელმა ის საჯინიბოზი წაიყვანა, რადგან აქ იყო ოთახი „სტუმარ-თ-სადგურად“. იოანემ დაინახა უცხოდ მოვლილი და სუფთად შენახული ცხენები, თითო ცხენს თითო კაცი ჰყავს მიჩენილი, სწმენდენ ცხენებს, ქვეშ უგვიან და მიწას უმშრალებენ. იქვე ნეხეში და ნაგავში სხედან ამირაჯიბის ბავშვები — სახით მშვენიერნი, მაგრამ ტალახით შესვრილნი, ბინძურნი, დაუბანელნი. ისინი ველურებივით შესცქერიან შემოსულ ბერს. „ჩვენი მშობლებიც ასე გვზრდიდნენო“ — იმართლებენ თავს უფროსები და ამას გარდა — ცხენი სახელის მომხვეჭელია, სიკვდილს მოგვარჩენს და ამიტომ მასზე უფრო მეტი ზრუნვაა საჭიროო. მშობლები სთხოვენ ბერს წაუკითხოს ბავშვებს მკირე რამ ზნეობაზე და იოანე იწყებს თავის მეათასერთე ქადაგებას — იყავითო მხნენი, შრომისმოყვარენი, მამულის ერთგულნი და ა. შ.

გასცდება იოანე ამ სოფელს და მეორე ადგილას უარეს და უფრო მეტად შემაწუხებელ სინამდვილესა ხედავს. ვერ ითმენს ამას მოკალმასე ბერი. ის მოუსვენარი, დაუცხრომელი კაცია, ჰუმანისტი

და დიდი პატრიოტი. ის დამთმობია წვრილმანებში, ხანდახან მხდა-  
ლია, ოქროს წკრიალსაც გულგრილად ვერ ისმენს, მაგრამ როცა  
საქმე სამშობლოს და სამართლიანობის დაცვას ეხება — ის არავის  
წინაშე უკან არ დაიხვეს. ამიტომაა, რომ მას არაერთხელ სცემენ,  
წვერს აგლეჯენ და ანაფორას უხევენ. გარსევან ემიკლასს პირში  
მიახლის — კანება ერთი ძმა მოჰკლა და შენ ათასიო, შენს პასლე-  
ნიკობაში არ მოიქეც იმ სახით, რა გვარადაც მეფეთაგან იყავ იწს-  
ტრუქციებით წარვლენილიო, საქართველოს დიდი განსაცდელი  
აშორდებოდა ელჩად შენ კი არა, ბაბაში რომ გაგვეგზავნათ; ამის  
გამგონე გარსევანი განრისხდა, წამოხტა და თავისი გრძელი ჩიბუხი  
იოანეს თავში დაჰკრა, ცემით წელი მოსტეხა და პანღურის კვრით  
გარეთ გააძევა.

„კალმასობაში“ სარკესავეთ ჩანს ორი ქვეყანა: ერთია ბანაკი  
კეთილშობილი ვაჟკაცებისა, გულმხურვალე პატრიოტებისა, ალალ-  
მართალი და ძლიერი ხალხისა, ხოლო მეორეს მხრივ, მწერალმა  
გვიჩვენა ზროვა ფიცის გამტეხების, ანგარებით სავსე თავადების და  
გაიძვერა სასულიერო პირებისა. აი ერთი მათგანი, სოლომონ თარხ-  
ნიშვილი გამოუტყდება. იოანეს: ტახტის ორივე პრეტენდენტს —  
დავითსაც და იულონსაც შევფიცო: როცა იოანე უსაყვედურებს,  
რომ ეს ორჭოფობააო, მოსაუბრე თავს იმართლებს — სულ ერთია  
ამ ფიცის გამო განგება არ დამსჯის, „როცა ვუციულობდი, ბალა-  
მწარას ხის ჯოხი ხელთ მეპყრა და ვისაც ფიცში იმ ხის ჯოხი ეჭი-  
რება, ფიცი არღა ეწევაო“. აქვეა კარდანახელი მღვდელი, რომელიც  
ქურდობასა და მტაცებლობაში გეშავს თავის სამწყსოს, აქვე გვხვდე-  
ბა „ყოვლად სამღვდლო“ ქუთათელი, რომელიც ოცნებობს — მი-  
ლიონი რომ მქონდეს, კონსტანტინეპოლის პატრიარქად დავჯდებო-  
დიო; იოანე ბაგრატიონი იოტის ოდენადაც არა ზოგავს სასულიერო  
წოდებას. „კალმასობის“ მთელი ეპიზოდები ამ მხრივ რაბლეს,  
ერაზმის და ვოლტერის მამხილებელ, გამანადგურებელ სატირას  
მოგვაგონებენ. „კალმასობის“ ავტორი თავისი პერსონაჟის ზურაბას  
პირით აცხადებს, რომ სანთლით საძებნელია ისეთი სამღვდლო კა-  
ცი, რომელსაც ვერცხლი სულზე მეტად არ უყვარსო: მონათლავენ  
ვისმე, ბავშვის ნათლიას ან დედმამას მოსანათლავს გამოართმევენ,  
ქორწილია სადმე — საყდრის კარს არ გააღებენ, მანამ ჯვრის საწერს  
არ მიიღებენ. ამასაც არ დასჯერდებიან, „ხალიჩა და ფარჩაც ქვეშ  
უნდა გაუშალონ მექორწილეთ, რომ ისიც იმათ წაიღონ; მოკვდება  
ვინმე, სასაფლაოს ფასს, საწირავს, კიდევ წლის შაბათის საწირავს  
და პანაშვილისას გამოართმევენ. სახლის გასანათლავს, საშობაოს —  
იმასაც გამოართმევენ. აგრეთვე ნიშანს ეძახიან; ვისაც კარგი ცხენი

პყავს, ან კარგი თოფ-იარაღი აქვს, მასაც წაიღებენ და ტაბლას ხომ, ასიც მივიდეს სასაფლაოზე, ერთ ლუკმას გლახაკსაც არ დაუდებენ წინ. ამასთან ქვეშაგებს და ნკვდრის ტანისამოსსაც მთლად წაიღებენ. ესრეთ დაანელებენ ერთ ოჯახს და სხვა საკანონეები რაღა მოგახსენებოთ“.

იოანე ბაგრატიონი თავისი ძმის, ვოლტერიანელი დავითის მსგავსად, როგორც ჩანს, მოკლებულია ყოველგვარ სარწმუნოებრივ მოკრძალებას.

სულ სხვაგვარია იოანეს დამოკიდებულება ხალხის ღირსეულ შვილებთან. მათთან ის მეგობრულადაა გრძნობს თავს და, როცა კი შემთხვევა მიეცემა, წარმოუდგენლად ამაყობს მათი სახელებით. ამ მხრივ საინტერესოა ეპიზოდი იოანეს სტუმრობისა სურამში, ქაიხოსრო მურმანიშვილთან. მურმანიშვილი ტიპიური სახეა იმ ადამიანებისა, რომელნიც გულწრფელად ემსახურებოდნენ თავის სამშობლოს.

თავის მგზნებარე პატრიოტულ სიტყვაში, რომელსაც იოანე ბოდბეში წარმოთქვამს, ის სწორედ ამგვარ ადამიანებსა ნატრობს. თვალის ერთი გადავლებით იხსენებს თავისი ქვეყნის წარსულს, როცა ქართველები უმკლავდებოდნენ შემოსეულ ბერძნებს და რომაელებს, სპარსელებსა და სკვითებს, მონგოლებსა და არაბებს და აღნიშნავს, რომ მამულის სიყვარულმა მისცა ძალა ძველ ქართველებს განედევნათ ეს ურიცხვი მტრები და თავისი მიწა-წყალი შეენარჩუნებინათ. ამ სიყვარულის ხელახლა გავლიძებასა ცდილობს ის თავისი სიტყვითა და საქმით.

ვინ იყო ეს იოანე ხელაშვილი, რომელიც იოანე ბაგრატიონმა თავისი ნაწარმოების მთავარ გმირად გამოიყვანა და მთელი საქართველო შემოატარა, ყველა სოფელსა და ქალაქში, თავადთა სასახლეებსა და გლეხთა ქოხებში შეახედა? იოანე ხელაშვილი იყო ძე ქიზიყელი ღარიბი გლეხისა, მან მრავალი ტანჯვისა და წვალების შემდეგ პეტერბურგის აკადემიის კარამდე მიაღწია, სათანადო განათლებით აღიჭურვა, რომ შემდეგ მთელი თავისი ცოდნა და ენერჯია ქართული მწერლობის საქმისათვის მოეხმარებინა. იოანე ხელაშვილი იყო უაღრესად მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, სოციალური უსამართლობის აღკვეთაზე და სამართლიანობის დამყარებაზე მეოცნებე.

მოკალმასე ბერი იოანე უაღრესად თავისებური და საინტერესო

ტიპია. ეს როდია შარაგზის მოხეტიალე, არც მარტო უბრალო მოკალმასეა, რომელიც მონასტრისათვის პურსა და ღვინოს აგროვებს. ის დადის როგორც ცოცხალი აკადემია, განუმარტავს ქვეყანას ფილოსოფიასა და ლოლიკას, სამხედრო მეცნიერებასა და გრამატიკას. იოანე მუდამ ორატორობს, მუდამ ოქროპირობს და მუდამ მოციქულის პოზაშია, მაგრამ ის მაინც არ არის სქემატიური სახე, მასში მაინც ჩანს ხასიათი, მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალობა. იოანე თავისი გაუთავებელი საუბრებისათვის საბაბს ყოველთვის პოულობს — აი ის სამეგრელოშია და გზაში წვიმა მოუსწრებს — იოანე ჰყვება, რა აჩენს წვიმას; გზაში ნისლი მოუსწრებს და ნისლს თან მოსდევს იოანეს ვრცელი ექსკურსი ბუნების მეცნიერების სფეროში და ა. შ. ႁ

მაგრამ იოანე ხშირად ლამანჩელის რაინდის მდგომარეობაში ვარდება: მის მეცნიერებას აკლია ცხოვრებასთან კავშირი, ის ცდიდან, პრაქტიკიდან არ იწყება, ის თითქმის ყოველთვის რჩება ხმად — მლაღადებლისა უდაბნოსა შინა. იოანეს არ ყოფნის ძალა და არც პირობებია ამისათვის — შეაფარდოს გარანობა გონებასთან, რწმენა — მეცნიერებასთან. რა მიზანი აქვს მას, რისთვის უქადაგებს ამ აოხრებულ და ჩაბნელებულ ქართლ-კახეთს სქოლასტიკური ფილოსოფიისა და ლოლიკის აბსტრაქტულ თეზისებს, ვის უნდა ისინი ტირიფონაზე და ქიზიყში?!

მის თვალწინ გლეხკაცების ლატაკი ქონმახების პეიზაჟია, მის თვალწინ მიწური სახლებია, სადაც შიმშილი და სიღარიბე მტკიცედ ჩასახლებულან — იოანე კი ამ დროს იმაზე მსჯელობს, თუ როგორ უნდა შენდებოდეს სასახლეები, არქიტექტურის ტოსკანურ, დორიულ და გოტურ სტილებს არჩევს, კარგმა ხუროთმოძღვარმა მხაზველობითი ხელოვნება, გეომეტრია, ოპტიკა და ისტორია უნდა იცოდესო, აცხადებს და იოანეს ეს გულუბრყვილობა მისი მხლებლის ზურაბა ლამბარაშვილის მუდმივი დაცივნის საგნადაა გადაქცეული; იოანე რომ არქიტექტურაზე ესაუბრება ხალხს, ზურაბა აწყვეტინებს და დაცინვით იძახის — ნუ აჰყვებით მაგ ბერს, თორემ მთელი ქართლ-კახეთი უსახლრდ დავრჩებით, აბა სად უნდა ვისწავლოთ ყველაფერი, რაც მაგან ილაპარაკაო, უოპტიკოდ და უგეომეტრიოდ აგვიშენებია სახლები და კიდევაც ავაშენებთო.

ასეთია იოანეს აუდიტორია: ადამიანები მალაღი წოდებიდან „ნედოროსლის“ გმირის მსგავსად მსჯელობენ — გეოგრაფია რად გვინდა, როცა მეეტლეები გვყვანანო; გლეხებს კი სად მიუწვდება ამ მეცნიერებამდე ხელი, როცა მათ პირუტყვებივითა ჰყიდიან, აწამებენ, თავისუფლად ამოსუნთქვის უფლებასაც კი არ აძლევენ.

„კალმასობის“ ფურცლებზე გამოხატულება ჰპოვა იმ საზარელმა მოვლენამ, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით გავრცელებული იყო და რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ მებატონენი სრულიად მოურიდებლად ჰყიდდნენ ადამიანებს და სწორედ ამ ფასით იძენდნენ აღმოსავლური ფუფუნების ლაგნებს. ქართველი ქალები და ვაჟები გასასყიდად გაჰყავდათ ირანში, სტამბოლში, ეგვიპტეში, და ზოგჯერ ალჟირშიც კი. ინგლისელი მეთაულყურის სიტყვით მაშინდელ თავრიზში ქართველი ქალიშვილი თვრამეტი გირვანქა სტერლინგი ღირდა.

აი იოანე ქალელი აბაშიძეების სახლშია. სახლის ახლოს კოშკი დგას, საიდანაც რაღაც ქვითინის ზმები ისმის. იოანეს აცნობებენ, რომ კოშკში ტყვეები არიან და უცხოეთში გასასყიდად უნდა წაიყვანონ; მწერალი თავისი გმირის პირით სასტიკად გმობს ამ ბოროტ და ველურ საქციელს.

არანაკლები სიმძაფრით გვიხატავს მწერალი ბატონყმური ცხოვრების საშინელებას. მის ფხიზელ თვალს შეუქმნეველი არა რჩება ის ტანჯვა-წამება, რომელსაც იმ დროის საქართველოს გლეხკაცობა განიცდის. იოანე მეჯვრისხევში იმყოფება, ერთი ლატაკი ქვრივი დედაკაცის სახლში, რომელსაც შვიდი ობოლი ჰყავს გასაზრდელი და ერთი მცირე ბოსტნის მეტი არაფერი გააჩნია. იოანე რომ ქვრივს ესაუბრება, ამ დროს ბატონის კაცი შემოდის და დედაკაცს უბრძანებს — ერისთავის სახლთუხუცესმა გიბრძანა — ძღვენი გააკეთე და გამომიგზავნეო. ამის გამგონე იოანე შფოთავს და სწყყელის ერისთავებს. სამაგიეროდ ერთი მათგანი იოანეს კომბლით სცემს და ცხვირპირს უსისხლიანებს.

ქართველ მეფეთა შთამომავალი, მწერალი და ყოფილი მეომარი იოანე ბაგრატიონი პირველი იმადლებს ხმას დამდაბლებულთა და შეურაცხყოფილთა დასაცავად, იმადლებს ხმას დაჩაგრული და დაბეჩაუბლებული გლეხკაცობის დასაცავად, პირველი მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში გამანადგურებლად ამხილებს მალაი წოდების გადაგვარებულ მოდგმას.

• • •

მეთვრამეტე საუკუნეში, ერთ სავსებით ჩვეულებრივ დღეს, რომელიც სხვა დღეებისაგან არაფრით არ გამოირჩეოდა, პარიზში, ანრი დე ბულენვილეს მდიდრულ სასაღვრაში ეხარე კამათი იყო გამართული; როგორც ვოლტერი მოგვითხრობს, თვით მასპინძელი, მისი მეუღლე და გონებამახვილი სწავლული ნიკოლოზ ფრერე გულ-



მოდგინედ უმტკიცებდნენ რომელიდაც აბატს, რომ ქრისტიანული რწმენა თავიდან ბოლომდე სიყალბეზე და თვალთმაქცობაზეა აგებული, რომ ის ყოველგვარ კერპთაყვანისმცემლობაზე დაბლა დგას, რომ ქრისტიანულ მოციქულთა და წინასწარმეტყველთა ქადაგებანი შეთხზულნი არიან ხალხის გონების დასაბნელებლად და აბუჩად ასაგდებად. აბატი, როგორც ოფიციალური პირი ქრისტიანული ეკლესიისა, ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს უკანასკნელი სიწმინდისა და სათნოების საუნჯეა, მაგრამ მას ეს ვერ მოუხერხებია. ფრერე გამანადგურებელი ლოგიკის ძალით ამსხვრევს მის ყოველ არგუმენტს და ბოლოს ეუბნება:

— თქვენი შედარებაც კი არ შეიძლება ძველებთან, რომელნიც თაყვანსა სცემდნენ ზევს-დეიმიურგს, — დემოზებისა და ადამიანების მბრძანებელს და თაყვანსა სცემდნენ მეორეხარისხოვან ღმერთებსაც! იცოდეთ, რომ ცერერა, პომონა და ფლორა მალლა დგანან, ვიდრე თქვენი ურსულა თავისი თერთმეტიათასი ქალწულით, და მარიამ მაგდალინელის ქურუმები ვერ დასცინებენ მინერვას ტაძრის მსახურებს.

ცხადია, ჩვენი თვალსაზრისით, ყოველგვარი რელიგია — ქრისტიანული იქნება ის, თუ წარმართული — თავის ბუნებით რეაქციული მოვლენაა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ქრისტიანობამ ისტორიულად უდიდესი როლი ითამაშა ცივილიზაციის განვითარების საქმეში. XVIII საუკუნეში, ქრისტიანობის წინააღმდეგ წარმოებული მწვავე პოლემიკის პროცესში ამას ივიწყებდნენ. ეს ნათლად ჩანს ნიკოლოზ ფრერეს სიტყვებშიც. ეს დამახასიათებელი ტენდენცია იყო. რენესანსმა უარყო ქრისტიანული დოგმები, უარყო ისინი ადამიანის თავისუფლებისა და ჰუმანიზმის დამკვიდრების მიზნით. ეს იყო უდიდესი დამსახურება რენესანსის ოსტატებისა. მაგრამ სინამდვილეში ქრისტიანული ოელიგიის დამარცხება არ ნიშნავდა წარმართულის ემანსიპაციას, ქრისტიანობის უარყოფა არ ნიშნავდა კერპთაყვანისმცემლობის რესტავრაციას. XVIII საუკუნის ფრანგი მატერიალისტები ებრძოდნენ ქრისტიანობას მეცნიერების სახელით და არა წარმართობის სახელით. მაგრამ იყო სხვა ტენდენციაც, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ, როცა ქრისტიანულ მისტიციზმსა და სპირიტუალიზმს ებრძოდნენ — ხშირ შემთხვევაში თავის მოკავშირედ და დამხმარედ ანტიური საბერძნეთის მითებს იყენებდნენ ხოლმე. როგორც რენესანსის დროის, ისე XVIII საუკუნის ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორია ამ დებულებას უამრავი მაგალითებით ადასტურებს. სწორედ ამ ტენდენციას გამოხატავს ვოლ-

ტერის „სადილი გრათ დე ბულენვილეს ბინაზე“, რომლის შინაარსი ზემოთ მოვიყვანეთ.

პარიზის მდიდრული სალონებისათვის ეს კამათი და შუბების მტკრევა ჩვეულებრივი და ყოველდღიური ამბავი იყო. მაგრამ, როგორც „კალმასობა“ გადმოგვცემს, ასეთი საუბრები შეიძლებოდა მოგესმინათ არა მარტო პარიზში, არამედ... ყვარლისა და ველისციხის ორღობეებში და შარაგზებზეც. „კალმასობის“ გმირი დავით ჯიმშერიშვილი თავის მკვერმეტყველებაში და ბერძნული მითოლოგიის ცოდნაში როდი ჩამოუვარდება ვოლტერის პერსონაჟს — ანტიურ მითოლოგიაში განსწავლულ ნიკოლოზ ფრერეს. /

აი ეს ეპიზოდიც:

ყვარელიდან წამოსული მოკალმასე ბერი იოანე და მისი მხლებელი ზურაბა ლამბარაშვილი დაბინდების დროს დავით ჯიმშერიშვილის სახლს მიაღწენენ. უკვე ციოდა და დაქანცულ მგზავრებს თბილი ბინა და ვახშამი ენატრებოდათ. დავითის სახლს რომ მიუახლოვდნენ გარდასდნენ ცხენებიდან და იოანემ ფანჯრიდან შესძახა:

— მდივანბეგო, დღეგრძელი, ღვთის სტუმარი შეგვიწყნარე. სახლი გვიბოძე, სიცივემ დია ძალა გვიყო.

— მე თქვენი დალოცვა არ მინდა, მე დია დღეგრძელი ვარ, სამოცდახუთი წლისა ვარ, და აჰა, იანგარიშე რამდენი დღისა ვიქნები, სახლს კი მოგცემთო, — გადმოსძახა დავითმა ფანჯრიდან, თან ამ დროს თავისი მსახური მოიხმო და ჩუმად უბრძანა: წაიყვანე და ამ სოფლის ბოლოს დაქცეული საყდარი რომ არის, იქ მიიყვანე და ასე უთხარ: რადგან ღვთის სტუმარი ხარ, აჰა ღვთის სახლი, და შენ კი წამოდიო.

ბერი უკვე დაიმედებულია, კარგსა და თბილს სადგომს მომცემსო, მსახური წაუძღვა მას და იმ დაქცეულ ეკლესიაში მიიყვანა. იოანე შეწუხდა; ჯიმშერიშვილმა თავისი „ზუმრობა დამთავრებულად ჩასთვალა და ბერი უკანვე დააძახებინა. ვახშმის დროს ბერი რწმუნდება, რომ მისი მასპინძლის ზუმრობა შემთხვევითი არ იყო. მას, მართლაც; არაფერი სწამს ქრისტეს სჯულისა, არც სასულიერო პირის კეთილსინდისიერებისა და არც აღსარებისა. როცა იოანე ვახშმის დროს მას არიგებს, რომ სასუფეველზედაც უნდა იფიქრო, დავითი უპასუხებს:

— ბერო, მე ცხონება და წაწყმენდა არა მწამს.

— მაშ პირუტყვი ყოფილხარ! — უკვირს იოანეს.

— პირუტყვთანაც აქვს კაცს ზიარება, — არ უთმობს დავითიც. მაგრამ იოანე მაინც არა ცხრება: საღმთო წერილს იხსენიებს,

იხსენიებს სულის უკვდავებასაც, დავითზე არაფერი არა სჭრის და ბოლოს ეუბნება ბერს:

— მე შენი ქადაგებით არ მოვიქცევი, მე მეტოლოდია მისწავლიაო.

და ახლა, როცა მითოლოგიაზე უნდა დაიწყოს საუბარი, ისაუბლი მოვა და დავითს აცნობებს — ბატონთან ხარ დაბარებული, ხვალ ქალაქს უნდა წახვიდეთ. მეორე დღეს, მართლაც, შესხდნენ ცხენებზე სტუმარიცა და მასპინძელიც და ველისციხისაკენ წავიდნენ. გზაში დავითი და იოანე მთელი ბერძნული და რომაული მითოლოგიის რთულ სისტემას იხილავენ, დავითი კითხვებს აძლევს, იოანე პასუხობს. აღსანიშნავია, რომ თვითონ იოანეც გულმოდგინედ, გატაცებით ლაპარაკობს იუპიტერის „ყოვლად მშვენიერსა და მამაც შვილებზე“, სიყვარულის ღმერთზე, რომელიც ზღვის ქაფისაგან დაიბადა, თვალეზ-ახვეულ შიშველ ყრმაზე, გაზაფხულისა და სიქაბუკის ღმერთებზე. აქ ვრცლადაა გადმოშლილი წარმართული ღმერთების მთელი უზარმაზარი პანთეონი, მთელი გზა ამ სიარულში დაილევა. ბერი იოანე ჩამოსცილდება მდივანბეგსა და გურჯაანისკენ მიდის. აქ ქიზიყის მოურავი ზაქარია ანდრონიკაშვილი შეხვდება, რომელიც ეკითხება იოანეს:

— შენ და ჯიმშერიშვილმა როგორი შექცევით იმოგზაურეთ ველისციხემდეო?

— ბატონო მოურავო, — უპასუხებს იოანე, — სამღვთო სიტყვა არ მიიკარა რა ჩვენგან, ხოლო მისი კითხვა იყო ძველთა ღმერთებთა ზედა, მეტოლოლიურის წერილთაგან.

ცხადია, შეცდომა იქნებოდა იმის თქმა, თითქოს ეს ეპიზოდი მთლიანად ახასიათებს ქართლ-კახეთის მდივანბეგებისა და მოურავების იმდროინდელ გონებრივ და სულიერ ინტერესებს. მიუხედავად ამისა, ეს ეპიზოდი თავისთავად ძლიერ საინტერესოა. ნათელია, რომ მწერალს არ შეეძლო ეს იდეები ყოველგვარი საბაზის გარეშე მიეწერნა თავის თანამედროვეთათვის. ვოლტერიანობით გატაცება იმდროინდელ საქართველოში საკმაოდ ძლიერი იყო. ამ გატაცების კვალი ჩანს „კალმასობაშიც“. მართალია, საკმაოდ გულუბრყვილონი არიან. ეს მოპაექრენი, ისევე როგორც გულუბრყვილონი არიან პირველი რესპუბლიკელები, რომელნიც „კალმასობის“ ფურცლებზე გვხვდებიან, იოანე ბაგრატიონმა ისინი მხოლოდ გაკვრით გვიჩვენა, ქეიფის მომენტში, როცა ისინი საზოგადოების სადღეგრძელოს სვამენ და აცხადებენ — ჩვენი თავის მეპატრონენი ჩვენ თვითონ უნდა ვიყვეთო; როცა ერთი მათგანი რესპუბლიკელებზე

იწყებს ლაპარაკს, მოკალმასე ბერი უწყრება მას — საითაც წითელ  
კაბას დაინახავთ, იქით მირბიხართო.

აქ, მართალია, მკრთალად, მაგრამ მაინც მოჩანს ეპოქის მოწინა-  
ვე იდეების ზეგავლენა, რალაც შორეული გამოძახილი საფრანგეთის  
რევოლუციის იდეებისა.

„კალმასობა“ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ქართული მწერ-  
ლობის უშესანიშნავესი ძეგლია.

## გრიგოლ ორბელიანი

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში თბილისი ის-ის იყო ახლად ათავსებდა ძველებურ ტრადიციებს ახლად გავრცელებულ ევროპულ მანერებთან. მრავალფეროვანი იყო ცვლილებანი, რომელსაც მაშინ თბილისის ცხოვრება განიცდიდა. მაგრამ ყოველივე ეს მაინც ვერ შლიდა ნაციონალურ თავისებურებებს, არამედ ათავსებდა, აერთიანებდა, ათანხმებდა მათ ახალთან, როგორც ყოფაცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში.

აღზრდით, პოეტური და საყოფაცხოვრებო ტრადიციებით გრ. ორბელიანი მთლიანად ამ თბილისის ეკუთვნოდა. ამ ქალაქში დავაქაცდა მისი პოეტური შთაგონება. და თუ მას სადმე შორს ყოფნა უხდებოდა — მაინც აქეთ მოუწევდა გული. „კაცს შეუძლიან ყველგან იყოს, — ამბობდა იგი, — თუნდ იაპონიაში, თუნდ შვეიცარიაში, თუნდ ინგლისში, მაგრამ ცხოვრებით კი მარტო თბილისში უნდა იცხოვროს“<sup>•</sup>.

მისი ცხოვრებანი საუკეთესო მოგონებანი, ისევე როგორც მისი საუკეთესო ლექსები, თბილისთან არიან დაკავშირებული; არა პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ თბილისთან, ერმოლოვისა და პასკევიჩის რეზიდენციასთან, არამედ ქართველი ხელოსნებისა და მეთევზეების ქალაქთან. პოეტმა ყველა საფეხური გაიარა იუნკრობიდან გენერალ-ადიუტანტობამდე და მაინც მისი სულიერი ნათესაობა ამ მდაბიო ხალხთან, ამ მაშინდელი თბილისის მესამე წოდებასთან არ გაწყვეტილა. ყველაფერი ეს ნათელ შუქსა ჰყენს მისი პოეზიის ერთ ფრიად მნიშვნელოვან მხარეს — მის მუხამბაზურ ლექსებს.

ის მთლიანად აღმოსავლური ტემპერამენტის ადამიანი იყო, აზიური განცხრომისა და დიდების მოყვარე. ტყუილად კი არ სწერდა

<sup>•</sup> ი. მეუნარგია — ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა, გვ. 172.

პოეტი ვილნოდან ანტონ ორბელიანს „აზიატეცი ვარო“. ნახევრად ირონიულად და ნახევრად სიამაყით მთიულებთან ომის დროს თავის თავს „ჰაქიმხან ემირ ავარსა“ და „ქინიაზ ხან ორბელიანს“ უწოდებს. ყირიმის ომის წინა დღეებში შიშითა და იმედით მოელის პირველი ზარბაზნების დაქუხებას არფაჩაის ნაპირებზე, გული აღარ უჩერდება ზაქათალაში და „ტრაპიზონტის ფაშობაზე“ ოცნებობს.

როგორც კი დაამთავრა თბილისში შფოთიან დროს გატარებული თავისი ყრმობის წლები — სულ მალე, ადრეულ სიკაბუჯეშივე მან მხედრის ცხოვრება დაიწყო. მთელი ის გაკირვება, სიძნელე, რაც განუყრელად თან ახლდა იმ დროის გაუთავებელ ლაშქრობათა მონაწილეს — მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი გახდა. თავის დღიურში მან ეს ცხოვრება დაახასიათა როგორც „ანაზღეული და ერთბაში გადასვლა სიმდიდრიდან სიღარიბეში, ბალიდამ პახოდში და წვიმაში“... ბედის ძიებამ დიდხანს ატარა იგი „იმიერ მთათა, მხარესა უცხოსა“, ხან აქეთ და ხან იქით გადაისროლა, მანამდე ვიდრე ბოლოს თხუთმეტი წლის განმავლობაში დაღისტენელთა პირისპირ არ დააყენა.

ამ წლებამდე მას უკვე მიღებული ჰქონდა პირველი საბრძოლო ნათლობანი ირანელებთან ბრძოლაში შამქორის ახლოს, ირაკლის თაფასთან და ერევნის ბურჯებთან, სადაც რუსებმა სასტიკად დამარცხეს აბას-მირზას სარბაზები. გრ. ორბელიანი მონაწილე იყო თურქეთთან ბრძოლებისაც, რომლის დროს რუსის არმიამ ჯერ ყარსი, შემდეგ ახალქალაქი, ხერთვისი და ახალციხე აიღო.

და სწორედ ამ ხანებში ახალგაზრდა პორუჩიკის ფიქრი სხვაგან ქროდა და სხვა იდეებით იყო პოეტი გატაცებული.

ეს მნიშვნელოვანი პერიოდია გრ. ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედებისა.

ეს იყო წლები, როცა იწყებოდა მეცხრამეტე საუკუნის ნაციონალურ-გამათავისუფლებელი ბრძოლების ვრცელი ეპოპეა. რუსულ პოეზიაში მკაფიოდ ისმოდა დესპოტიზმისა და მონური მორჩილების წინააღმდეგ პროტესტის ხმა.

ჩქარა სიტყვას საქმეც მოჰყვა. დეკაბრისტებმა თავისი გამოსვლით რუსეთის რევოლუციური ჭოძრავობის ერთი უშესანიშნავესი ფურცელი გადაშალეს.

ასეთ დროს ქართულ ენაზე ითარგმნება რილევის „ნალივაიკო“. მაგრამ „ნალივაიკოს აღსარება“ ზუსტი თარგმანი არ არის. გრ. ორბელიანს იგი ისე გაუქართულებია, რომ მასში ლაპარაკია უკვე არა უკრაინელი, არამედ ქართველი ხალხის ჩაგვრის შესახებ და

თარგმანში ამავე დროს შენარჩუნებულია სამშობლოსათვის თავდადების, საკუთარი პიროვნების შეწირვის იდეის აპოლოგია.

როცა ეს ლექსი ითარგმნებოდა — დეკაბრისტების მოწამებორივი სიკვდილი უკვე ისტორიული ფაქტი იყო. უკვე წარმტაც ლეგენდებად, თავგანწირვისა და ბრძოლის სიმბოლოებად იყვნენ გადაქცეული თოთხმეტი დეკემბრის ადამიანები; ხუთმა სახრჩობელამ, რომლითაც თავის მეფობა დაიწყო ნიკოლოზ პირველმა, ხოლო რომლითაც სიცოცხლე დაამთავრეს სიმამაცით და ვაჟკაცობით აღსავსე თავადაზნაურულმა რევოლუციონერებმა, ვერ ჩაჰკლა კრამოლას სული, პირიქით უფრო გააღვიძა ტკივილისა და მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლის წყურვილი.

და რაც ყველაზე ღირსშესანიშნავი და რომანტიულია მთელ ამ ისტორიაში, ეს არის ის ფაქტი, რომ „ნალივაიკოს“ აღსარებამ რილევის ჩამოხრჩობის შემდეგ ახალი აზრი, ახალი განათება მიიღო. რილევის თავის თავზე აუხდა „ნალივაიკოში“ ნათქვამი სიტყვები ქვეყნისათვის თავგანწირვის შესახებ.

დეკაბრისტების დაღუპვის შემდეგ უფრო მეტად ნათელი იყო, რომ ეს ლექსი უმიზნებდ. არა მარტო პოლონეთის შლიანტას, არამედ რუსეთის თვითმპყრობელობასაც. ეს იყო მრისხანე მუქარა მტარვალთა მიმართ, და ასეთად ისმოდა გრ. ორბელიანის თარგმანშიც:

მე თავისუფლებისათვის სული მარადის მიყენისს,  
და ეს ოცნება დღე და ღამ ვითა აჩრდილი თან მღვენის.

ნალივაიკოს სულისკვეთება შენარჩუნებულია გრ. ორბელიანის ლექსში: სულიერი მოძღვარი აფრთხილებს ამხედრებულ გმირს, ზეციური რისხვითა და საუკუნო ტანჯვით აშინებს მას, მაგრამ ნალივაიკოზე ზეციური მუქარა არ სჭრის. მისთვის ნამდვილი ჯოჯოხეთი ისაა, რომ ტყვედქმნილ მამულს შესცქერის, ხოლო სასუფეველია, როცა მას თავისუფალს დაინახავს. ლექსში კომპრომისისა და შერიგების ნატამალიც არა ჩანს, პოეტი აცხადებს: „მტრისა სისხლისა ვარ დასათხევად მოსურნეო“.

ამ ფაქტზე ჩვენ განსაკუთრებით იმიტომ შევჩერდით, რომ გვეჩვენებინა ერთი საგულისხმო ვარემოება: ჩვენი ხალხების მოწინავე შვილები — იქნებოდნენ ისინი რუსები, უკრაინელები თუ ქართველები, საერთო ფრონტით ებრძოდნენ თვითმპყრობელურ იმპერიას, საერთო იდეები იყო წარწერილი მათს საბრძოლო დროშებზე.

და უნდა ითქვას, რომ ეს მარტო ეროვნული რადიკალიზმი არ იყო. დროის მოკლე პერიოდის განმავლობაში, შეიძლება ითქვას,

გრ. ორბელიანის მსოფლმხედველობაში იყო ერთგვარი, თუმცა ძლიერ სუსტი განხრა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეებისაკენ. რა ვუყოთ რომ ის არისტოკრატი იყო! კ. მარქსი ამბობდა: „...არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ დემოკრატიული წარმომადგენლები ყველა Shopkeeper-ები ან ამათი მოტრფიალენი არიან. თავიანთი განათლებისა და ინდივიდუალური მდგომარეობის მიხედვით მათ შეუძლიათ ამ უკანასკნელისაგან ისე იყვნენ დაშორებულნი, როგორც ცა დედამიწისაგან“\*. ერთგვარი ტენდენცია პოეტს ამ იდეებისაკენ რომ ჰქონდა, ამას თუნდ ისიც ამტკიცებს, რომ იგი იმ ხანებში საქართველოს აღორძინებას „მსწავლულ კაცთა და ხელოსანთა“ ხელით აპირებდა.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ 1832 წლის შეთქმულებაში ასეთი ტენდენციები ძალიან მკრთალი იყო. ამ შეთქმულებას ახასიათებდა პირველი ცდის გაუბედაობა, შიში საკუთარი მიზნების უზომო სიდიდის წინაშე, შიში გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმის წინაშე. არ იქნება სწორი იმის თქმა, თითქოს შეთქმულებს პოლიტიკური პროგრამა არა ჰქონდათ, რადგან ისინი პროტესტანტულად იყვნენ განწყობილნი და პოლიტიკური პროტესტი სავსებით თანაბარია პოლიტიკური პროგრამისა, მაგრამ ლიტონ სიტყვას, უიარაღო აღშფოთებას, რომელიც ხიშტის ჯაგშანში არ არის ჩაცმული და რომელსაც ხალხი არა თუ მხარს არ უჭერს, არამედ მისი არსებობაც კი არ იცის — ცხადია, ძალა არ ექნებოდა. თვით შეთქმულების მეთაურნი ექვით შესცქეროდნენ თავის საქმეს, განუწყვეტლივ მერყეობდნენ, არა ჰქონდათ პოლიტიკური რადიკალიზმი, ამიტომ იყო ეს შეთქმულება ქართული ინტელიგენციის მოუმწიფებლობის ნათელი დემონსტრაცია.

რეპრესიების შემდეგ, რომელიც მოჰყვა 1832 წლის შეთქმულებას, ოცდაათიანი წლების ინტელიგენციამ დაამთავრა თავისი ბუნტარობის პერიოდი და ზავეი ჩამოაგდო არსებულ სინამდვილესთან.

ახალ პირობებში მას ფართო გასაქანი ჰქონდა. თვითმპყრობელობა ცეცხლითა და მახვილით ეუფლებოდა ურიცხვ ტომთა ტერიტორიას, აფართოებდა თავისი გავლენის სფეროს, ამ გზაზე იგი მრავალ წინააღმდეგობას ხვდებოდა, რომელთაგან ყველაზე ძლიერი — ეს მთიულების წინააღმდეგობა იყო. მაგრამ ახლა გრ. ორბელიანს მთიულების ბრძოლა რომანტიულ სევდას აღარ აგრძნობი-

\* კ. მარქსი — „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“, ქართული გამოცემა, გვ. 48—49.



ნებდა, მისთვის ეს ბრძოლა ყოველდღიურობის მოსაწყენ პროზად გადაიქცა.

გრ. ორბელიანის გულში: დგინება კავკასიის ომში არ შეიძლება აქსელბანტებისა და ორდენების სიყვარულით ავხსნათ; პოეტს — თუმცა ცალმხრივად გაგებულნი — მაგრამ მაინც თავისი ფსიქოლოგიური მოტივები ჰქონდა, რ. მელნიც მის სინდისს ამშვიდებდნენ. ის თითქოს გრძნობდა, რომ მთელ ამ ბრძოლებში იზოგებოდა საქართველო, ის ფიქრობდა, რომ ერეგებილთან და სალათავის მთაგრეხილზე აგრძელებდა ქართული პატრიოტიზმის საქმეს, რომ იმ ქალებისა და ბავშვების სისხლს იღებდა, რომელნიც ვინ იცის რამდენი წაუყვანიათ მთიელებს ახალციხის გზით და აღმოსავლეთის ბაზრებზე გაუყიდიათ, რომ აგრძელებდა პატარა კახის საქმეს, რომელიც გულმოკლული ჩიოდა: „ლეკთა გაალაგეს საქართველო“. ეს ხმა მკაფიოდ ისმის მის წერილებში: „მამა ვაცხონე, ეს სულ საქართველოს სისხლის დაღადისიაო“, — გაიძახოდა იგი — გასცქეროდა რა აოხრებულ დაღისტანს\*. და გრ. ორბელიანი დარწმუნებული იყო, რომ ქუთისას მთაზე კვლავ საქართველოს იცავდა და, მისივე სიტყვით, მას ცალი ფეხი ავარიის ყანყარატოზე რომ არა სდგომოდა — მთიულები „თბილისის აბანობამდის დაიძახებდნენ ლაილასაო“.

ჩვენი აზრით ამის შემდეგ უკვე ნათელია, თუ რატომ მოხდა რომ მთიულების ბრძოლით რომანტიულმა გატაცებამ, რომელიც ტონს აძლევდა იმდროინდელ რუსულ პოეზიას — იოტის ოდენა გავლენაც ვერ მოახდინა გრ. ორბელიანის შემოქმედებაზე. ის უკვე ახლა ვერავითარ რომანტიზმს დაღისტნელების ბრძოლაში ვეღარ ხედავდა, ეს თხუთმეტი წელი მისთვის პოეტური დეკარესიის წლები იყო. „მტერი, ხალხის არეულობა, — სწერდა პოეტი ქეთევან ორბელიანს, — ომები არ მაცლიდნენ წერისთვის და ანუ რა დროს წერა იყო და ვისა ჰსცალოდა“\*\*.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მას ერთი-ორი ლექსის მეტი არ დაუწერია.

ქარიშხალი ყველა იალქნებს არა ჰყოფნიდა.

გვიან, მოხუცებაში გრ. ორბელიანმა კვლავ გაიხსენა კავკასიის ბრძოლების ეპოპეა. „ნუთუ მართლა კავკასიაში იყო ასეთი გამწვავა-

\* ასევე აფასებდა კავკასიის ომს ნიკოლოზ ბარათაშვილი. იხ. მისი ლექსი — „ომი საქართველოს თავდაზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩენგელთა, წელსა 1844-ს მძღენელობისა ქვეშე ლუბერნიის ზარმლის თვადის დიმიტრი თამაზის-ძის ორბელიანისა“.

\*\* გრ. ორბელიანი — წერილები, ტ. II, ავ. გაწერელას რედაქციით. გვ. 65:

ვებულის ომი და ამ სისხლისღვრაში ჩვენც ვიღებდით თითონ მონაწილეობას? იქნება უსაქმური ხალხის უბრალო რამ მონათხრობი იყოსო“, — სწერდა მოხუცი პოეტი ერთ თავის მეგობარს და რაღაც მოწიწებით ამბობდა კავკასიის შესახებ: „მორჩილებით გადაწოლილა ეს ბუმბერაზი ერთი ზღვიდან მეორემდისა და არარაიცი, მკვდარია თუ სძინავს მას“.

მაგრამ ბუმბერაზის მორჩილება ბოღმითა და რისხვით იყო სავსე.

გრ. ორბელიანის პოეზია უაღრესად პლასტიური და კონკრეტულია. ცოცხალი ადამიანური ვნებანი მის ლექსებში არასოდეს შიშველი ალეგორიების სახით არ გვევლინებიან; მის ლირიკაში ისმის ის დაფარული ჰარმონია, რომლის დროსაც პოეტის სული გაერთიანებულია მსოფლიოსთან, ჰარმონია, როცა პოეტი შთანთქმულია იმ საგანში, რომელმაც მისი ფანტაზია გააღვიძა, აღსავსეა იმ საგნით, სახეებით და რეალობით, რომელიც თავის ლექსის თეზად აულია. ეს ითქმის კერძოდ იმ ლექსებზე, რომლებშიც პოეტი თბილისის მოქალაქის როლში დგება და მისი თვალთ შესცქერის ქვეყანას. ნათელი მხიარულებით, სულიერი თავისუფლებით და რაღაც უშუალო უზრუნველობით და სილადით აღსავსეა მისი ლექსები: „დიმიტ. ონ-ის დარდები“, „არავისთვის მე დღეს არა მცალიან“, „საიათნოვას მიბაძვა“, „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“, „სულით ერთნო, მოლხინენო, აწ შეკრებით“, „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“ და სხვები. აქა ყველაზე უფრო მძაფრად ადგილის კოლორიტი, უკეთ რომ ვთქვათ, ნიშანწყალი თავისი დროისა და გარემოცვისა, ცოცხალი ადამიანური სინამდვილისა. აქ პოეტის ლექსი თავისი რეალიზმით თითქმის უთანაბრდება ხალხურ პოეზიას; აქ ისეთი ღონიერი სიყვარულია სიცოცხლისა, იმდენი მოძრაობაა, იმდენი ფერადოვნება, რომ ხანდახან უხეშ, ერთი შეხედვით შეუფერებელ და უბრალო შინაარსსაც ამალღებს და პოეტურ მომხიბვლელობას აძლევს. ჩვენ თითქო ცოცხლად ვხედავთ ამ ლექსების პერსონაჟებს — დიმიტრი ონიკოვს, რომელიც ნაბადში გამოხვეული ძაღლივით გდია ქუჩაში და ყარაულობს თავის სატრფოს ბინას — ერთ მოაჯირს, ორ პატარა ფანჯარას, და ევედრება თავის სატრფოს: „გამობრწყინდი მოაჯირზე მზესავით, პირ-დავემხო, მიწას მადლით ვემთხვიო, მაშინ მნახავ თავი ცამდე ამელოს, ჩემზე მეტად არსად არავინ ჰჩანდეს! შემიძლიან მაშინ ვებრძნო ქვეყანას, შენი ეშხი იმ-

დენს მომცემს ძალასა“; ბეჟანა მკერვალს, რომელსაც თავისი მაკრატელი ავიწყდებოდა და ხელში ქობა მოუვლელი რჩება, როცა ქალებზე ფიქრობს.

ერთ დროს ცალკეული მკვლევარები გრ. ორბელიანის ამ ციკლის ლექსებში მარტო შეუფერებელ სიტლანქესა ჰხედავდნენ. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ამ ლექსებში არის „უარყოფა იმ სულიერი სინაზისა, იმ რელიგიურ-ესთეტიკური ხასიათის სევდისა, რომელიც აკავშირებს ადამიანის სულს ტანჯვის და წვალების წუთებში უსაზღვროებასთან“. კერძოდ „იარალის“ შესახებ — სადაც პოეტი მოთაღით, თევზით და მწვანელით აქრელებულ სუფრაზე, ჯეირნის მწვადზე და კახური ღვინით ავსილ აზარფემაზე ლაპარაკობს, — აღნიშნავდნენ, რომ აქ „ფიზიოლოგიური განცდის ფორმა ისე ტლანქად არის გამოსახული, რომ სრულებით არ ეგუება რომანტიზმის იდეოლოგიას ევროპული გაგებით“. ცხადია, ამ ლექსებში მართლაც არ არის უსაზღვროების სევდა და არ არის ის რომანტიზმი, პირიქით, აქ რეალიზმია, საუცხოო სურათებში და ლალ ფერებში გადმოცემული. და ამ რეალიზმში მხოლოდ გარეგნული სიტლანქე როდი უნდა დავინახოთ! აქ ის თვისებებია, რომელიც საერთოდ ყველა ქვეყანაში ახასიათებდა რენესანსის ხელოვნებას. განა ფრანგული აღორძინების გენიოსი ფრანსუა რაბლეს რომანის პერსონაჟები და კერძოდ ძაა ეანი ან პანურგი თავისი უზრუნველობით, თავისი გულლიობით და უშუალობით გრ. ორბელიანის მიერ დახატულ მოქალაქეებს არ მოგვაგონებენ? მაგრამ ვინ იტყვის, რომ რაბლეს რომანში მთავარი იყო ის შაშხისა და ძეხვის მთები, რომლებიც გრანგუზიეს ოჯახში იყო დახვეავებული, ან ამავე გრანგუზიეს ნადიმი, როცა უამრავი ხარი დაკლეს და რაღაც გრანდიოზული ჭამა-სმა გააჩაღეს. ეს უხეში მატერიალური გარემოცვა, ეს ფონი, ეს ექსესუარები ეხამუშებოდა პასტორალური ლირიკის ტრადიციაზე აღზრდილ ესთეტიურ სმენას. მაგრამ ეს არ იყო რომანის სული, ამ რომანში უხვად იყო გაფაქიზებული მორალიც და გონების საუცხოო სანუკვარიც. შეიძლება მეტისმეტად ღრმად შევიდნენ ეს მწერლები ბრბოს უშაგულში, მაგრამ ეს იმიტომ, რომ უფრო მკაფიოდ ეგრძნოთ რეალობა და უფრო დიდი მანძილით დაშორებოდნენ იმ ხელოვნებას, რომელიც დაფუძნებული იყო შუა საუკუნეების ქრისტიანული დოგმატიკის მკაცრად ჩამოყალიბებულ ნორმებზე.

ვიმეორებთ, აქ ეს ტლანქი და უხეში ფონი კი არ იყო მთავარი, არამედ ის ფსიქოლოგიური ინტიმი, რომელიც მწერლებმა ადამიანის ცხოვრების უბრალო ყოველდღიურობაში იპოვნეს. აქ მთავარი

იყო დაბრუნება მიწასთან, იმ ცხოვრებასთან, რომელიც მწერალს აინტერესებდა არა მარტო თავისი ლამაზი მხარეებით, არამედ მთელი არსებით. თვით უკიდურესი მოტრფიალე აბსოლუტური სილამაზისა — ჰეგელი — აღფრთოვანებული იყო მურილიოს სურათით, რომელზედაც გამოხატულია დედა, რომელიც ბიჭუნას თავს უხილავს, ხოლო ბიჭი არხეინად შეექცევა პურის ნატეხს. ჰეგელი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა მეორე ამგვარსავე სურათზე, რომელზედაც გამოხატულია ორი ბიჭი, ჩამოფლეთილნი და დატაკები, რომელნიც არხეინად სკამენ ნესესა და ყურძენს. განა ჰეგელს ამ სურათებში ეს კამა და ბიჭების ჭუჭყიანი გარეგნობა მოსწონდა? სრულებითაც არა! მაშ რა აზრით აინტერესებდა გენიალურ ფილოსოფოსს ხელოვნების ეს ნიმუშები? ის სწერდა: „ამ სილატაკეში და სანახევროდ სიშიშვლეში გამოსჭვივის სრული უზრუნველობა და შეუწუხებლობა, ისეთი, რომლის უმჯობესი თვით დერვიშსაც კი არ შეუძლია ჰქონდეს, გამოსჭვივის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხალისის სრული გრძნობა. ეს უზრუნველობა გარეგანისათვის და ამ გარეგანში გამოხატული შინაგანი თავისუფლება არის ის, რასაც იდეალის ცნება მოითხოვს. პარიზში არის რათაელის პორტრეტი ბიჭისა, რომელსაც თავისუფლად დაუყრდნია თავი ხელზე და ისეთი ნეტარებით, ისეთი უზრუნველი კმაყოფილებით გასცქერის შორს თავისუფალ სივრცეში, რომ არ შეგიძლია თვალი მოსწყვიტო ამ სულიერი, ხალისიანი ჯანმრთელობის გამომხატველ სურათს. იმავე კმაყოფილებას გვეგვიან მურილიოს ბიჭებიც. ხედავ, რომ მათ სხვა ინტერესები და მიზნები არ გააჩნიათ, მაგრამ არა გონებაჩლუნგობის გამო: ისინი კმაყოფილნი და ბედნიერნი არიან თითქმის როგორც ოლიმპიელი ღმერთები: ისინი არაფერს არ აკეთებენ, არაფერს არ ამბობენ, მაგრამ ისინი მთლიანი ადამიანები არიან, ჩამოსხმული ერთი ნაპრისაგან, ყოველგვარი დარდისა და სულიერი განხეთქილების გარეშე, ხოლო ამ ყოველგვარი უნარიანობის საფუძველის არსებობის დროს იქმნება ისეთი წარმოდგენა, რომ ასეთი ბიჭუნებიდან ყველაფერს კარგს უნდა მოველოდეთ“.

შეიძლება ითქვას, გრ. ორბელიანის პერსონაჟები ამავე თვალთ არიან დანახულნი და ამავე ბუნების ადამიანები არიან, ასეთივე მთლიანი და უზრუნველნი, ცოცხლად გადახატულნი სინამდვილიდან. გრ. ორბელიანის ამ რეალიზმმა თერგდალეულების ყურადღება თავიდანვე მიიქცია. ილია ჭავჭავაძე თავის პირველსავე წერილში („ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვასძე ერისთავის მიერ კახლოვის შეშლილის თარგმანზედა“), რომელიც 1861 წელს დაიბეჭდა „ცისკარში“, წერდა:

„აბა, აიღეთ ურითმო ლექსები თავად გრ. ორბელიანისა, თუნდ ბოლონდელი ოქტომბრის „ცისკრის“ „ო... დარდები“, აბა, ყურადღებით წაიკითხეთ რა პოეზიაა მაგ ურითმო ლექსშია! თვალწინ წარმოგიდგებათ ის ჩათუქესანი თბილისის ქართველი, რომლის ნატვრა და სამოთხე კახური ღვინოა, სიყვარული და ორთაქალის ბაღები. აბა, ნახეთ ის ქართველი პაქარნი, ნაზადწამოსხმული, ლოთურად ჩითმერდინით ყელზე, როგორ გულმოდგინეთ შეკყურებს თავის საყვარლის ფანჯრებს. ვინც კი დაუშლის, აღრინდება და ეუბნება: „მოდო ამ ვირს ეშხზე ელაპარაკე!“ რამდენი ნამდვილობა და ქეშმარიტებაა მის წმინდა ქართულ პოეტურ დარდებში, კენესაში და ნატვრაში! პოეზია განსახიერებაა ქეშმარიტებისა, ცხოვრებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმული რითმებისა“\*. ილია ჭავჭავაძემ ეს აზრი გრ. ორბელიანის ლექსების შესახებ თავის მოხუცობის ემსაც, 1892 წელსაც გაიმეორა, როცა წერდა, რომ გრ. ორბელიანის „ო... დარდები“, „ლოპიანა“, „მუშა ბოქულაძე“ თითო თითო პოემათა ღირსო\*\*\*. როგორც ვხედავთ აქ ილია გრ. ორბელიანის პოეზიის „ნამდვილობასაც“ იწონებს და ცხოვრების ქეშმარიტ განსახიერებად მიაჩნია.

გიორგი წერეთელმაც ი. ჭავჭავაძის აზრი გაიზიარა. 1863 წელს ეურნალ „საქართველოს მოამბეში“ ის წერდა: „შექსპირის დრამების გასაგებად საზოგადოებას იძღვენად უნდა ჰქონდეს ესთეტიური გრძნობა გახსნილი, რომ შეეძლოს მის დრამაში თითქოს ღვთაებრივი ხელით აღმოხატული ცხოვრების ჰერეტიკა. კაცის ისე ღრმად და ვრცლად გაგება, როგორც ის არის ნაჩვენები მის დრამებსა და კომედიებში. აბა ერთი მითხარით რამდენ სტატიებში აუწყა საზოგადოებას „ცისკარმა“ ამ პოეზიის მნიშვნელობა, ან მისი ისტორიული არსება და ცვლილება, თუ როგორი შეხედულება ჰქონია ელლინელთ ქვეყანაზე, ან როგორის გრძნობით ეყრებოდნენ ბუნების ზემოქმედებას, ან თუ რა არის პლასტიკური გრძნობა. ურომლისოდაც პოეტისაგან არ შეიძლება რეალური ცხოვრების მართლად ჰერეტიკა. აბა სად გვიჩვენა ის პლასტიკური გრძნობა, რომელიც გამოსჰვივის თ. გრ. ორბელიანის სწორედ ხალხურის ელემენტით სავსე პოეტურ გრძნობებში, სადაც ასე ალტაცებით არის გამოყვანილი, თუ რას შექმნარის ქართველის გული“\*\*\*.

\* ი. ჭავჭავაძე — ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, გვ. 20—21.

\*\* იქვე, გვ. 255.

\*\*\* გ. წერეთელი — თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, ს. ხუნდაძის რედაქციით, გვ. 21.

ეს ლირიკა ერთი პოლუსი იყო გრ. ორბელიანის პოეზიისა. ეს პატრიოტული ბუნების ადამიანი შექხაროდა მდაბიო ხალხის გულწრფელ სიყვარულს, რომელშიც არაფერი იყო თვალთმაქცური და გამოგონილი, ცივილიზაციის მიერ შერყვნილი, თითქოს ისინი იმ ადამიანის თვალთ შეპყურებდნენ ქვეყანას, რომელიც პირველად გაჩნდა ამ მიწაზე. მიაბიტი ყარაჩოღელები გრ. ორბელიანის ლექსების ყველაზე საყვარელი: გმირებად ჩქცნენ. ამპარტავანი გენერალი თავის ლექსებში უბრალო ხალხის ფიქრსა და სევდას დასტრიალებდა, მირზაჯანას, დიმიტრი ონიკოვის, ლოპიანას პირით სიცოცხლის აზრის, ადამიანის მიზნების გამოხატვასა ცდილობდა. „მუხთალს ამ სოფელს, ვისაცა გსურს იყო ბედნიერ, სიყვარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ... თორემ გონებით გინდ ცა მოვლო, ჩემებრ იქნა მტვერ“ — ეს იყო ამ ადამიანების ცხოვრების ფილოსოფია. ეს მსოფლშეგრძნება. გამოხატა გრ. ორბელიანმა თავის პირველივე ლექსში:

ჰე, ჰაბუკო, სიხარულით  
ღღენი შენი განატარე,  
იმხიარულე, შეეჭეც,  
ილხინე და შეიყვარე.

ეს უძველესი ფილოსოფია იყო. ბერძენთა ისტორიკოსის დიოდორე სიცილიელის თქმით ეს სიტყვები ამოჭრილი იყო თურმე ჯერ კიდევ მეფე სარდანაპალის საფლავის ქვაზე და მას შემდეგ ვინ იცის რამდენმა თაობამ გაიმეორა ის!

მაგრამ გრ. ორბელიანის ლექსში ეს კვლავ ცოცხლად და ახლებურად ისმის, რადგან პოეტმა წარსული კი არ გაიმეორა, თავისი აწმყოს რეალურ სურათებში გამოჰყვეთა ეს მსოფლშეგრძნება. თუ ალ. ჰავჭავაძის ლექსებში აქა-იქ კიდევ გვხვდებოდა ანტიკური აპოლონი და ამური, გრ. ორბელიანის ლექსში ყოველგვარი პირობითობა განდევნილია. მისთვის წინანდლის ვარდიც აღარ იყო უბრალო პოეტური მეტაფორა, არამედ ნაცნობი ლამაზი ქალი იმ ხალხის წრიდან, რომელიც მისი ლექსის თემაც იყო და პირველი დამფასებელიც.

მაგრამ ყარაჩოღელი არ შეიძლება ქართველი ხალხის ნამდვილ წარმომადგენლად მიგვეჩნია, ეს იყო უწარსულო და უმომავლო ფენა ხალხისა და ამიტომ მეტად ვიწრო იყო მისი ჰორიზონტი. ამას თვითონ პოეტიც მშვენიერადაა გრძნობდა და მარტო ამ სფეროთი მას არასოდეს თავი არ შეუზღუდავს. მის პოეზიაში უფრო სერიო-

ზული, უფრო მაღალი იდეები ჩანს. ის ამდიდრებდა და აფართოებდა ქართული პოეზიის სფეროს, მის ლექსებში გამობრწყინდა ევროპის ახალი ლიტერატურის შუქიც, გოეთეს ხმაც ქართულ ლიტერატურაში პირველად ორბელიანის ლექსიდან გვესმის, მან თარგმნა ლერმონტოვიდან გოეთეს „მთანი ძალაღნი“, რომელიც გერმანელ პოეტს თავის მხრივ ძველი ბერძნების პოეტის, ალკმანის ძლიერი გავლენითა ჰქონდა დაწერილი.

მაგრამ ყველაზე ერთგულად გრ. ორბელიანი ქართული ლიტერატურის ძველ, რუსთველურ ტრადიციებს აგრძელებდა.

როგორც ანტიური საბერძნეთისა და რომის ლიტერატურა ევროპის საშუალო საუკუნეების ხანგრძლივი ძილისაგან გამოფხიზლების ხანს წაუბაძველი სილამაზის ნიმუშად და სიცოცხლის სიყვარულის სიმბოლოებად იქნა მიჩნეული, ასევე რუსთველის პოეზიაც — აზრისა და გრძნობის, მაღალი იდეების დაუშრეტელი ზღვა—ყველაზე უფრო ქართული და ყველაზე უფრო საკაცობრიო პოემა—პოეტური სკოლა იყო, რომელიც ზრდიდა ქართული პოეზიის ოსტატებში მშვენიერებისადმი სიყვარულს, ღრმა აზრისა და ელეგიურობის, პაეროვნებისა და პლასტიურობის გრძნობებს, ქვეყნის რეალურად განსჭვრეტას და თავის ზეგავლენით უზრუნველყოფდა ქართული ლიტერატურის თვითმყოფადობას. რუსთველის პოემაში უძლიერესი და უნაზესი სიყვარულის გრძნობა, როგორც მზის შუქი, ისე მიუძღვის ადამიანებს წინ, ცხოვრების ძნელ და ბნელ გზაზე, და ამ გაგებას იზიარებს გრ. ორბელიანი.

„სიყვარული აგვამალლებსო“ ამბობდა რუსთველი. გრ. ორბელიანი წერდა სიყვარულის შესახებ:

რომლის შუქი აგვამალლებს, რომლით სული განათლდება,  
რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება.

ეს უშაღლესი სიყვარულის გრძნობა მძაფრად გამოსთქვა გრ. ორბელიანმა ლექსში „გამოსალმება“. აქ პოეტი ორგვარ სიყვარულზე მოგვითხრობს: ერთია სიყვარული იმათი, ვისი გულიც უძღურია. ასეთი სიყვარული, — ამბობს პოეტი, — მთიდან გაღმოქანებულ წყაროსა ჰგავს, რომელიც რაც უფრო შორს მიდის ველზე, რაც უფრო გაიმინდვრებს, მით უფრო უძღურდება, ფერმკრთალდება, თავისი ემზი და ძლიერება ეკარგება. ასეთი სიყვარული გაქრება განშორებით და მერე მას ლხინი მოსდევსო. თავის სიყვარულზე კი პოეტი წერს:

რა ჩემებრ გული კლდოვანი მიიღებს ეშხის ბექედსა,  
დრო იმას ველარ შექმუსრაეს, თუ არ შექმუსრაეს თვით კლდესა.

ეს რუსთველის დიდებული და ვაჟკაცური ადამიანების გრძობაა, ადამიანებისა, რომლებიც მაგრად დგანან მიწაზე. რუსთველის აზრით ეს წუთისოფელი ცოდვისა და წაწყმენდის მურტალი სამყოფელი კი არ არის, როგორც ამას ქრისტიანობა ქადაგებდა, არამედ „ტურფა საბალნაროა“, სადაც ადამიანები ყვაილებივით იფურჩქნებიან. არა საფლავებისა შინათა, არა მიღმა ქვეყნად არის ადამიანების ხსნა, არამედ რეალურ ცხოვრებაში, რომელიც უთვალავი ფერიტაა შემკობილი და გადაშლილი.

და ეძნელება ადამიანს ამ ტურფა საბალნაროს დათმობა. ამით არის ნაკარნახევი გრ. ორბელიანის ჩივილი: „მაშინ ვპსცან ჟამნი სამოთხის, რომ ამა სოფელს არიან, მაგრამ ახ, ჟამნი მის ტკბილნი ასე მალაიდ რად ჰრბიანო“.

არა მარტო სიყვარული ამალღებს ადამიანის სულს, არამედ ბუნებაც. ბუნების სისპეტაკისა და სილამაზეში პოეტი ხედავს პროტესტს იმ მტრობისა და შურისძიების, იმ მძვინვარებისა და ომების მიმართ, რომელიც ადამიანებმა ერთიმეორის გასანადგურებლად გამოიგონეს. „სადღეგრძელოს“ დასასრულში მოცემულია სურათი გათენებისა: ქრებიან ცაში ვარსკვლავნი, ვარდისფრად იღებება აღმოსავლეთი, მოჰქრის დილის ნიავი, ათასის ხმებით ეგებებიან განთიადს ფრინველები, ფოთოლთა შრიალით და ყვაილთა ფშვინვით ლამაზად იღვიძებს მიძინებული ბუნება. და ამავე დროს ჯარიც ემზადება საომრად:

ურდოც შეიძრა... ხმაურობს... დაქყეს ზღარა ცისკრისა...  
განემზადება საომრად რაზმი და რაზმი ჯარისა!  
აი თოფიცა გეარდა... აი რზის ცხენი მხედრისა!  
ამ მშვენიერსა დილასა, კაცს რად სურს სისხლი კაცისა.

აქ ბუნება ნაჩვენებია, როგორც სიმბოლო მარადიული სათნოებისა და სიკეთისა, როგორც უმშვენიერესი ხატება, რომელსაც დაშორდა ადამიანი და თავის წერილმან, ვერაგულ, შურისმაძიებელ იესტინქტებში ჩაინთქა.

გრ. ორბელიანი საქართველოს ბუნების დიდი მხატვარია. მისი ლექსები ბუნებაზე და განსაკუთრებით „სალამო გამოსალმებისა“ მთელი სიმძაფრით განგვაცდევინებენ პოეტურ ნაღველსა და სიხარულს. აქ გრძნობა გულწრფელია, ცოცხალი და ძლიერი. „სალამო გამოსალმებისა“-ში თითქოს ის მზის სხივები ბრწყინავენ, ყაზბეგს რომ თავს დასტრიალებენ და მკითხველს თერგის



გოლიათური სუნთქვა ესმის. და იმავე დროს რა კარგად არის აქ გამოთქმული განშორების სევდა და უნაზესი სიყვარული პოეტისა. ამ ლექსმა შთააგონა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძეს ბევრი შესანიშნავი სახე „მგზავრის წერილებისა“. რუსეთიდან მომავალ ილიას თავის სამშობლოში ფეხის შემოდგმისთანავე გრ. ორბელიანის ეს ლექსი ახსენდება და მისი რიტმი თერგის ქექა-ქუხილის, მისი ზარიანი ხმაურობის, მისი შფოთვისა და ფოთვის, მისი ქვა-კლდედრესთან გაუთავებელი ბრძოლის სახით ეხატება. და განა ილიას სიტყვები — „ერთად ერთი ვარსკვლავი მეტად ბრწყინვალე, ზედ დაჰნათოდა, ერთს ალაგას გაჩერებული, თითქო მყინვარის დიდებულ სახეს განუცვიფრებია“, არ ეხმაურება გრ. ორბელიანის სტრიქონებს?

მხოლოდ სიჩანს მთანი მღუმარედ აყუდებულნი ცათამდის  
და ყაზიბეგსა საამოდ ზედა ვარსკვლავი დაჰნათის.

ასე შეხვდა ეს ორი დიდი პოეტი ერთიმეორეს.

ხალასი და უშუალოა გრ. ორბელიანის მიერ შეგრძნობა ბუნებისა. დასტკერის რა ტაბახმელიდან თითქმის ნახევარ საქართველოს მთებსა და მწვანე, ხალიჩასავით დაფენილ ჯეჯილებს, ჭაღარა ყაზბეგსა და მის ბუმბერაზ ძმებს, რომელნიც მზის აღმაცერად დარტყმული სხივებით განათებულან, ღრუბლებიდან თავი ამოუყვით და პირდაპირ ტაბახმელას უცქერიან, თუშეთის მთას ბორბალოს, გომბორსა და ცივს, რომელნიც პერსპექტივაში დედოფლის წყაროსაკენ იკარგებიან, პოეტი პათეტურად გაიძახის:

„... ტაბახმელავ, ლამაზო ტაბახმელავ! ქვეყნად ერთია ტაბახმელა!

... გულს როგორღაც ეფონება, დიდი ხნის დავიწყებული სურვილი კვლავ იღვიძებს: მინდა ვმღეროდე, ვსეირნობდე, ლამაზ მანდილოსნებთან ვიყო, ერთი სიტყვით მეტად საამურ გუნებაზე ვარ“.

ბუნება სიცოცხლის, ხალისისა და სიამოვნების დედაა. თავის პირად წერილებში პოეტი წერს არა მარტო იმაზე, თუ რამდენი ქერი მოდის კოდაზე, არამედ მის საგაზაფხულო ამწვანებულ მინდვრების სილამაზეზე და მთვარეზე, რომელიც „გაბადრული ამოდის მძიმედ, ხელმწიფურად შუქისა მომფენი“. და განა ლექსებშიც ამ სურათებს არა ხატავს? ეს არ არის მისტიკური და რომანტიული ჰვრეტა ბუნებისა, ეს უბრალო ადამიანური გრძნობაა, ნაცნობი ყველა მომაცვდავისათვის, მაგრამ გამოთქმული ისე, როგორც მხოლოდ რჩეულებს შეუძლიათ. ის ხედავს და ხატავს ბუნებას, მაგრამ არ ეძებს მის საიდუმლო ენას.

როგორც იმ ეპოქის ყველა დიდი პოეტისათვის გრ. ორბელიანისათვისაც ბუნების სიყვარული გათქვეფილია პატრიოტიზმთან. მისი პეიზაჟი დაკავშირებულია სიტყვა—მამულთან. პოეტი შესტრფის მიდამოს „სად აგვეხილენ პირველ თვალნი“, „სად პრბიოდა მხიარული სიყმაწვილე ნათლად ჩვენი“, სადაც მორთულია ლაქვარდისფრად ცის კამარა, მთვარით განათებულია ვარსკვლავიანი ფირუზი და ზურმუხტოვან ველებზე გახარებული მორბიან წყარონი, ზოლო ცამდე ასულ მთებზე მონადირე სდევს ჯიხვს და მის დაბლა, მის ფეხქვეშ ღრუბელნი მიმოლიან. და პოეტი, ალტაცებული ამ ქვეყნით, სწერს:

სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა,  
ერი—გულადი, პურადი, მეზარძოლი შავის ბედისა.  
შავთა დროთ ვერა შესცვალეს, მის გული ანდამატისა,  
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა.

ეს სევდა-ნაღველი არ არის. ეს სიამაყეა თავისი ქვეყნით, ეს პირველყოფილი სიყვარულია მიწისა და სამშობლოსი და არა დასავლეთის რომანტიკოსის ქანცმიღებული ეკზალტიურობა. აქ სამშობლოს სიყვარული აბსტრაქტიული იდეიდან გადასული და განსახიერებულია უკვდავ და მარად მწვანე, ყოველ კუთხესა და ყოველ მანძილზე ულამაზეს და განუყოფებელ ბუნების სიყვარულში.



და ამ სილაღესა და უზრუნველობასთან ერთად გრ. ორბელიანი დიდი შვილია იმ რომანტიზმისა, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნე თავისი ცრემლებითა და ოხვრით აავსო.

პოეტის ყოველი სიხარული სათავეშივე მოწამლულია იმ შავბედითობისაგან, რომელიც დაღად აჩნდა მაშინდელ საქართველოს. გრ. ორბელიანის ლექსს თავიდანვე გამოჰყვება ტრაგიკული ინტონაცია. მისი ტემპერამენტი არ ეთანაბრებოდა, ვერ ურიგდებოდა ამ ტრაგიზმს. ამიტომაც პოეტი გაორებულია და ერთი, თავიდან ბოლომდე გაულუნავი ხაზი არა ჩანს მის პოეზიაში. ერთის მხრივ — იმედდაკარგულობა და უსასოო კმუნვა, მეორეს მხრივ — სიმხნევე და ხალისიანობა; ერთის მხრივ — მუხამბაზი და მეორეს მხრივ — ფსალმუნი; ერთის მხრივ — თბილისელი მოქალაქის დარდიმანდული შექცევა და მეორეს მხრივ — უდაბნოში გახიზნული ასკეტის მარტვილობა; ერთის მხრივ — სალხინო, საამქვეყნო განცხრომის პიში და მეორეს მხრივ — რელიგიური სიმშვიდე და ნეტარება, რომელიც

ამ ქვეყანას ფუჭ და წარმავალ ამოებად აცხადებს. ეს არის რალაც უცნაური შეერთება გლოვისა და სიხარულის, მოთქმისა და უშუალო ლირიკული ექსტაზისა.

და მუხამბაზური კილოც სწორედ მწვავე ტკივილების ერთი წუთით მაინც ჩასაქრობად იყო ნამღერები, და მაინც ვერ ანელებდა მძიმე სევდასა და ნაღველს. ახალგაზრდობის ხანშივე გრ. ორბელიანი მიმართავდა წინაპრებს, რომ თქვენი მხნეობით ალტაცებული კაბუკი ხმალს მისწვდებო. ამას როცა წერდა, შეიძლება იმ აჯანყების იმედი ჰქონდა, რომელსაც ოცდაათიან წლებში ამზადებდნენ. მაგრამ ხმალზე ხელის წაღებაც ვერ მოასწრეს, რომ შეთქმულნი აჩით-იჩით გაფანტეს. და ამხელად დაიკარგა ყოველგვარი იმედი. მარტო წარსული დარჩა, მაგრამ სამუდამოდ დაკარგული. პოეტის ცხოვრება კი გარეგანი ბრწყინვალეობით იმოსებოდა; გაიარეს კავკასიის ომებმა, გაიარა მთელმა ცხოვრებამ და მოხუც პოეტს კვლავ კერაჩამქალი და გავერანებული ბეთანია უფრო მეტ შთაგონებას აძლევს, ვიდრე ირგვლივ მოზიმიე ცხოვრება. რომანტიზმის ფილოსოფიაში შორეული მოვლენები, შორეული ადამიანები, შორიდან დანახული მთები უკვე თავის თავად პოეზიაა, ისე როგორც ყველა ხმა, რომელიც შორიდან ისმის — ვოკალურია. დრომ და უმთავრესად ქვეყნის ბედმა საჭირო გახადა წარსულისაკენ მიხედვა. გრ. ორბელიანი რომანტიზმის ნაღვლიან გრძნობას ყველაზე უფრო მძაფრად გამოხატავს ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. კმუნვით აღსავსე პოეტი მიმართავს თამარის სახეს:

მიხარის გიშურ, ეწუხვარ და გიშურ  
და ესრეთ მზერა მსურს საკვილიამდე.

საქართველოს წარსულს პოეტი მიიჩნევს „განვლილ ტკბილ სიზმრად“ და „დიდებულად ჩასვენებულ მზედ“. მის გულში ხანდისხან მაინც რალაც იმედის ნაპერწკალი ბეუტავს, მეორე წუთს კი შემზარავი განწირულება ეუფლება. საქართველოს გაღვიძებასა და განახლებაზე ოცნების შემდეგ იგი მიმართავს თამარის სახეს.

...ცად თვალნი გაქვს მიქცეული,  
და შე ველარ მცნობ გულშემესვრილსა,  
ბედდაკარგული, ხმა-მიღებულსა  
ბედდაკარგული ივერიის-ძეს.  
ეპვით აღვსილსა, უსასოთ ქმნილსა,  
გულუმიედოს, გაუხარებელს.

ეს სკეპტიციზმი და იმავე დროს სიყვარული სამშობლოსი გრ. ორბელიანს აახლოვებს ევროპის რომანტიკოსებთან, რომელნიც

ასევე ეტრფოდნენ წარსულის ნანგრევებს; ცხადია, არ არის შემთხვევითი, რომ გრ. ორბელიანი ყველაზე გატაცებით თამარის ეპოქას ეტრფიალება და პოეტს ენატრება იხილოს თავისი სამშობლო ასევე ძლიერი, დიდებული, აყვავებული.

მაგრამ მიდიოდნენ წლები და პოეტის სულს ნელ-ნელა ეუფლებოდა უიმედობა. და აი უკანასკნელი ლექსი, უკანასკნელი ოთხი სტრიქონი, დაწერილი თითქმის საფლავის კართან:

ღაბბერდი, ბედს ვერ მოვესწარ,  
ღაემხო ჩემი სამშობლო,  
გულს მიკლავს უიმედობა  
საფლავს ჩაედივარ სიმწარით.

ეს არ იყო ერთი წუთის განწყობილება. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ამ თავის სევდას უზიარებდა პოეტი საქართველოს. მის თვალწინ ახალი თაობები გამოვიდნენ ქართული მწერლობის ასპარეზზე, რომანტიკოსების თაობა თერგ-დალეულებმა შესცვალეს, სატკივარი და სამწუხარო კი ყველას ერთი ჰქონდა და აი სწორედ ეს მწუხარება ჩაიტანა პოეტმა სამარეში.

## განახლების მებაიარახტრა

„ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი,  
განახლებისა გრიგალის ქროლას“.

ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძე ეკუთვნოდა იმ დიდ ადამიანთა, ერის იმ სულიერ წინამძღოლთა რიცხვს, რომელთა სახელებს საქართველოში მუდამ განსაკუთრებული სიყვარულის გრძნობით წარმოთქვამენ. ვის არ განუცდია რალაც განუმეორებელი აღფრთოვანება, როცა ბავშვობის წლებში პირველად წაუკითხავს მისი „მესმის, მესმის“, ან „ტყემ მოისხა ფოთოლი“. ის უცნაური სანეტარო განცდა ადამიანს მისდევს მთელი სიცოცხლის მანძილზე, ყოველი ახალი გადაკითხვა ამ ლექსებისა, ყოველი ახალი შეხვედრა ილიას წიგნებთან, ყოველი ახალი გაგონება მისი პოეტური ხმისა, ამ ლექსებს რომ შეუნახავთ, — ხელახლა განგააღვივებთ ადრინდელ სიხარულს, თითქოს ამ ლექსებს პირველად კითხულობდეთ.

თავის სტატიებში ილია, როცა ამა თუ იმ პოეტზე ლაპარაკობდა, კარგ ლექსებს ხშირად ხან ყვავილებს ადარებდა („ეგ სონეტები — ეგ უკეთესნი ყვავილნი პოეზიისანი“ — წერდა იგი მიცქევიჩის „ყირიმულ სონეტებზე“), ხანაც პატიოსან თვლებს, მარგალიტებს. პოეტი ღრმად უნდა ჩასწვდეს ცხოვრებას, „ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირში“, „იქ იპოვის ბევრ მარგალიტებსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა“, აღნიშნავს ილია თავის წერილში „საქართველოს მოამბეზე“ და შემდეგ დაასკვნის: „ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვჩაჩეს ჩვენი ცხოვრების სასახელოდ“.

ძალზე საგულისხმო და საინტერესოა ლექსების ეს შედარება მარგალიტებთან. ანტიკურ ეპოქაში და შუა საუკუნეებში სწამდათ,

რომ პატიოსან თვლებს თილისმის ძალა აქეთო: ზურმუხტს მიაწერდნენ ძალას, თითქოს მას შეეძლო გაეფანტა სევდა და დამწუხრებული ადამიანის გული გაემხიარულებინა; საფირონი—გონებას ანათებსო და აზრს სიციხადეს აძლევსო; მთვარის ქვა — მომავლის გინსკვრეტის უნარს იძლევა და ადამიანს სიბრძნესა კმატებსო; ფირუზი — სიყვარულის ქვაა და მას ბედნიერება მოაქვს მიჯნურთათვისო; ეს იქამდე სჯეროდათ, ბავშვებთან ამ ქვას ხელზე არ იკეთებდნენ — ტრფობის სახმილი არ წაეკიდოთო; მუქი წითელი ლალი ცუდ სიზმრებსა ჰვანტავს და მისი ცქერა უღვინოდ ათრობს ადამიანსო; არაბები ფიქრობდნენ, რომ ალმასი მხედარს ბრძოლის ველზე გამარჯვებას ანიჭებსო.

ცხადია, ყველაფერი ეს ცრურწმენანი იყო, მაგრამ როცა ილიამ ლირიკული პოეზიის უკეთესი შედეგები პატიოსან ქვებს შეადარა, ამით მართლაც ჭეშმარიტება გამოსთქვა: არა ზურმუხტს, არამედ ლექსს შეუძლია გაჰვანტოს ადამიანის ნაღველი და მისი სული სიხარულის შუქით გაანათოს; არა საფირონი, არამედ ჭეშმარიტი პოეზია აძლევს ადამიანს აზრის სიციხადეს და ხშირად მომავლის განკვრეტის უნარს; არა ფირუზს, არამედ ლექსს მოაქვს ხშირად ბედნიერება მიჯნურთათვის; არა ძვირფას ქვას, არამედ ხშირად ლექსს გაუმხნევებია მეომარი და გამარჯვება მიუნიჭებია ბრძოლის ველზე; როცა შანდორ პეტეფი თავისი ლექსი „საბრძოლო სიმღერა“ დაწერა, მაშინვე იგი უნგრეთის პარლამენტს გაუგზავნა და თან ასეთი წერილი გააყოლა:

„დეპუტატებო და მოქალაქენო!

თუ რა ძალა აქვს პატარა ლექსს, ამას მოწმობს წერილი ერთი ფრანგი გენერლისა, რომელმაც საფრანგეთის რევოლუციის ეპოქაში კონვენტს წერილი მისწერა: მტერმა გააფთრებით შემოგვიტია და ან ჯარები მომაშველეთ, ან „მარსელიოზას“ ტექსტი და ნოტები გამომიგზავნეთო.

თუ თქვენ დაინახავთ, რომ ამ ლექსს შეუძლია აღაფრთოვანოს ჩვენი მეომრები, დაბეჭდეთ იგი იმ რაოდენობით, რომ ეყოს მთელს ჩვენს ჯარებს“.

აი ყოველივე ეს, პოეზიის ეს შთამაგონებელი ძალა ჰქონდა მხედველობაში ილიას, როცა ლექსებს ძვირფას თვლებს ადარებდა. და ეს, პირველ რიგში, თითონ ილიას ლირიკულ ლექსებზე ითქმის. გაიხსენეთ მისი „ტყემ მოისხა ფოთოლი“. ილიამ ის პეტერბურგში დაწერა, იანვრის თვეში, როცა ნევა ყინულში იყო ჩაქედილი და მთელი ჰაერიც გათოშილ-გათანგული იყო სიცივისაგან. და ასეთ ვითარებაში, როგორც სიზმარში, ელანდება მას საქართველოს გაზა-

ფხული, თითქოს ხედავს შორიდან, როგორ იფოთლებიან ტყეები ალაზნის ველზე და არაგვის სანაპიროზე, როგორ ტირის ვაზი იმით დაღვინებული, რომ ზამთრის ძილის შემდეგ ხელახლა სიცოცხლეს იწყებს. და პოეტიც ნატრობს იმ ტყესავით შეიფოთლოს გაძარცვული სამშობლოც, იმ ვენახივით აპყვავდეს.

სულის როგორი იდუმალი თრთოლვაა აქ გადმოცემული, რა ზარზემური და ამალღებულია აქ ყოველი სიტყვა! უცნაური ძალა აქვთ მათ და ამიტომ ისინი, როგორც განუყრელი თანამგზავრები, ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე მისდევენ. ასევე წარუშლელ შთაბეჭდილებას ანდენენ ილიას სატრფიალო ლექსები — „მეც შავ თვალებს“, „ვიხილე სატრფო“, „რისთვის მიყვარხარ“, „ხმა გულისა“, „გახსოვს ტურფავ“; — ეს ლექსები გვიხატავენ ადამიანის სულს იმ წუთებში, როცა ის ყველაზე უფრო ლამაზი და ნათელია. ჩვენ აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ლექსს:

მაშინ დავტკებები სრული საშოთხით,  
როს, ვით შე გეტრფი, შენცა მეტრფოდე,  
და ქალწულობის კრთომით. მორცხვობით,  
შე შენს სიყვარულს მეუბნებოდე.

შე დაგყურებდე ტრფიალებითა,  
შენ ჩემ გულზედა თავი გესვენოს,  
მწყუროდეს, მაგრამ კრძალულებითა  
შე შენთვის კოცნა ვერ გამებედნოს.

ვიშ, მაგ შენს ნარნარ გულისცემასა,  
ვით ლოცვის ბერას, ღმობით ვისმენდე,  
და ცოდვილ ფიქრთა ზედ მოსევასა,  
შენი სიწმინდით ვიგერიებდე.

როგორი წმინდა, ნაზი და კდემამოსილი, იმავე დროს როგორი ვნებიანია პოეტის სიყვარული; ყოველგვარი შედარებების გარეშე ეს ლექსები მართლაც პატიოსანი თვლებია ქართული პოეზიისა.

პოეტი თავის ლექსებში ხშირად იძლევა მომავლის პერსპექტივასაც; გაიხსენეთ მისი „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „ბაზალეთის ტბა“ და მრავალი სხვა ლექსი, რომლებშიც ჩანს იდეების სიღრმე, მეტყველების სიმძაფრე და ენერგიულობა, გრძნობათა სიჭარბე, ისტორიული მასშტაბი და პერსპექტივა.

ახლა ვნახოთ ბრძოლის რა მგზნებარე პათოსით იყო აღსავსე ილია ჭავჭავაძის არა მარტო ლირიკა, არამედ მთელი შემოქმედება.



კლასიკური ლიტერატურის ყველაზე უკეთილშობილესი ტრადიცია სწორედ ის იყო, რომ პოეტს ეკისრებოდა მოწინავე მებრძოლის, ხალხის წინამძღოლის, ტრიბუნის როლის შესრულება. მეცხრამეტე საუკუნემ პოეტის ეს როლი უფრო გაზარდა, უფრო დიდ სიმაღლეზე აიყვანა. ლერმონტოვი ვალდებულად სთვლიდა პოეტს, რათა მისი ხმა ვეჩეს ზარის გუგუნევით მოსდებოდა უზარმაზარ ქვეყანას, გაეღვიძებინა ხალხი, წამოეშალა, დაერაზმა და წინ წაეყვანა საიერიშოდ და საბრძოლველად. პუშკინი წერდა:

ვიდრემდე გულს სწევს თავისუფლების,  
პათიოსების ცეცხლი მგზნებარი,  
ძმებო, მიუძღვნათ მამულს უკლებლივ,  
სულის სპეტაკი მისწრაფებანი.

ამ შესანიშნავი ტრადიციის სრულყოფილი განსახიერება იყო ილია ჭავჭავაძის პოეზია. 1860 წელს, ოცდასამი წლის ჭაბუკმა უკვე კარგად იცოდა, რომ პოეტმა არ შეიძლება იმღეროს „ვით ფრინველმა გარეგანმა“, რომ ის ქვეყნად მოსულია „არა მარტო ტკბილი ხმებისთვის“, რომ ის მოვალეა „წარუძღვეს წინ ერს“, „ერის მოძმედ იყოს ჭმუნვასა და სიხარულში“, ერის წყლული თავის წყლულად აჩნდეს, მისი ტანჯვით სული ეწვოდეს, მისი უბედობით მტკიცე გული ედაგებოდეს.

და რა იყო მთელი ცხოვრება ილია ჭავჭავაძისა თუ არა გაუთავებელი ბრძოლა, უკომპრომისო და შეურიგებელი ჭიდილი ავბედით სინამდვილესთან. მართლაც მოწოდების ზარივით გუგუნებდა საქართველოში მისი ხმა და აფხიზლებდა გონებას, სწვევდა ადამიანის გულს საქვეყნო დარდითა და ტკივილით. მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეებს, სახელოვან თერგდალეულებს პოეტად არც მიაჩნდათ ის, ვინც ამავე დროს მებრძოლი არ იყო. ე. წ. „წმინდა პოეზია“, ისეთი პოეზია, რომელიც გამოთიშული იყო ცხოვრებისაგან, რომელიც საზოგადოებრივი აზრის საკეთილო მოძრაობას გზას არ აძლევდა, — სამოციანი წლების დიდი მოღვაწეების სასტიკი გაკიცხვის საგანი იყო. მომაკვდინებელი განაჩენი გამოუტანა ილია ჭავჭავაძემ უიდეო პოეტებს, როცა ეს სტრიქონები დაწერა:

„მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა. დაე... ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს თავისი გაბეცებული თვალები და ბულბულსავით უაზრო სტვენა დაიწყოს და აღარ გაა-



თავოს, ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს... ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშვიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავისი გამოცნობილი ჭეშმარიტებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა... ხელოვნებასაც იმას მოვთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გადმოიციეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავი კალმით ცხოვლად იყოს წამომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ... დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესას, ეგება ცრემლი მომივიდესო. დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავისი ცხოველი სურათებისათვის“.

ასე მკაცრად ჰგმობს ილია ჭავჭავაძე უიდეო, აპოლიტიკურ პოეზიას, ე. წ. „წმინდა“ ხელოვნებას და სამაგიეროდ დიდების ჰიმნს უძღვნის იმ პოეტებს, რომლებიც პირველნი გადაეშვებიან ხოლმე ცხოვრების მღულარებაში, აღვიძებენ ადამიანის აზრს, მხარდამხარ მისდევენ ცხოვრებას და მომავალსაც განსჭვრეტენ, შესწევთ ძალა, რომ ამ მომავალს აწმყოშივე დაუდონ მაგარი ფუძე.

ილიას მთელი შემოქმედების შესწავლის, მისი შინაგანი ბუნებისა და პოეტური ტემპერამენტის ამოსაცნობად განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება მის „მგზავრის წერილებს“, მის ამ მართლაც საპროგრამო ნაწარმოებს, სადაც ილიამ მებრძოლი ადამიანის, მებრძოლი პოეტის სიმბოლოდ თერგი აიღო.

„მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, — წერდა ილია, — გამალეზული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლაზი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებული ცხოვრებისა, ამალეღვებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში ჩანს. მთელი ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა“.

და რომ ეს სიმბოლო, ეს პარალელი უფრო გასაგები გახადოს, ილია აქვე დაასკვნის, — თერგი მრისხანე და შეუპოვარ ბაირონს მაგონებსო. ჩანს, ესაა იდეალი ილიასათვის, რომელსაც არ შეუძლია ქვეყნის მართო განჭვრეტით დაკმაყოფილდეს. გული მას მუდამ ბრძოლისაკენ მიუწევს, და როგორც ბაირონმა სიცოცხლე გასწირა, საბერძნეთის თავისუფლებისათვის, ჰაბუკი ილია ოცნებობს ვოლონტერად წავიდეს გარიბალდის რაზმში და მიეშველოს უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმულ იტალიელებს.

ილია არ წასულა გარიბალდთან; მისი პიემონტიც და პარმიც თბილისში იყო, საქართველოში იყო. აქ უფრო დიდი, უფრო ცხარე ბრძოლის ველი ელოდა მას და აქ ის რიგითი ვოლონტერი კი არა,

თვითონ იყო მებაიარახტრე, თვითონ იყო გარიბალდი, რომელსაც უნდა გამოეღვიძებინა თავისი ხალხი, აღეზარდა ის, საბრძოლველად დაერაზმა.

„მგზავრის წერილებში“ ილია ჭავჭავაძე სახავეს საქართველოს ნაციონალური და სოციალური განთავისუფლების პერსპექტივას და ამ პრობლემათა გადაჭრის გზას ის სწორედ რევოლუციაში ხედავს.

„სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო! — წერს ილია ხსენებულ ნაწარმოებში — რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადულდეს, აირდაიროს და მერე დაწმენდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზე“.

რა მართლაც ბრძნული სიტყვებია, რა მართლაც გენიალური განსაზღვრაა იმისა, თუ რას წარმოადგენს რევოლუცია. იქნებ ვინმეს ეგონოს, რომ ეს ილიასათვის მხოლოდ ჭაბუკური გატაცება იყო. არა, ეს იყო მთელი მისი ცხოვრების ყველაზე მაღალი მიზანი. მუდამ ამ აზრს, ამ რევოლუციას დასტრიალებდა პოეტის ფიქრი, ეს იყო მისი ყველაზე სანატრელი ოცნება არა მარტო სიჭაბუკის წლებში, არამედ მთელ სიცოცხლეში; შემდგომში, როცა საცენზურო მუხრუჭებმა უფრო მაგრად შებოქვეს ქართული პრესა, ილიას აღარ შეუძლია ასე პირდაპირ ახსენოს ეს სანუკვარი სიტყვა — რევოლუცია, ამიტომ მუდამ მის ქართულ შესატყვისებს დაეძებს, იცის, რომ გულისხმობს. მკითხველი ადვილად მიუხვდება, ამიტომ ის ახლა გარდატეხაზე, გადატრიალებაზე, ქვეყნის შეცვლაზე, ბორკილთა მსხვრევაზე ლაპარაკობს.

და აი „მგზავრის წერილების“ დაწერიდან ზუსტად ოცი წლის შემდეგ ილია კვლავ ერთგული რჩება თავისი პირვანდელი გატაცებისა. იგი აღნიშნავს, რომ რევოლუცია (ანუ როგორც ახლა უწოდებს, ც ვ ლ ი ლ ე ბ ა), მარტო ჩაგრულთათვის, უბედურთათვის არის მომტანი სიხარულისა. ილია წერს:

„ჩვენ რომ ჩვენს თავს ბედნიერად ვგრძნობდეთ, ც ვ ლ ი ლ ე ბ ა შეგვაწუხებდა, დაგვაღონებდა, ვაი თუ, რაცა გვაქვს, ისიც დაეკარგოთო, ვიტყოდით, მაგრამ... ოჰ, რა კარგი რამ არის შექსპირი. გულთამხილავს რომ იტყვიან, სწორედ ის არის. იმისი ერთი ლექსი მომაგონდა და, თუმცა ამ საგანს, რაზედაც ვლაპარაკობთ, არ უხდება, მაგრამ თითონ ლექსი ისეთი კარგია, რომ ვერ მომიტმენია აქ არ ამოვწერო:

„უელილება არის სამწუხარო ბედნიერთათვის,  
ბედკრულნი კი მას სიხარულით მიეგებიან.  
მამ შენ, ჰე სევო ცვალებადო, აწ სალამს გეტყვი“.

ილია იძულებული იყო ასე გადაკრული სიტყვებით ეწერა, მაგრამ მკითხველი მაინც ყველაფერს ხვდებოდა. მან იცოდა, საით უმზიზნებდა კალამი მწერლისა, იცოდა და თითონაც ცდილობდა შესწეოდა ქვეყნის განახლების საქმეს.

მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისშივე, იმ დღეებიდანვე, როცა ილია ჭავჭავაძე გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, იგი სათავეში ჩაუდგა ყველა ცოცხალ ძალას, ყოველივე ახალს, აღმოცენებადს. ის ამიერიდან თავისი ქვეყნის მესაჭე ხდება, რათა თავის ხალხს ისტორიული მსვლელობის გზაზე წამოუძღვეს, ყველა წყალქვეშა ლოდს ააცილოს. ისტორიამ მას მეტად მძიმე ტვირთი წამოჰკიდა. ის არ იყო მარტო პოეტად, მარტო ბელეტრისტად დაბადებული; ცხოვრების ყოველი უბანი საჭიროებდა და მოელოდა მზრუნველ პატრონს, გულშემატკივარს და ისიც ათასად უნდა გაჭრილიყო, რომ ყველა უბანს გასწვდენოდა, თვალი ყველგან მიედევნებინა, ქვეყნის ყველა წყლულისათვის მალამო და ყველა ჭირისათვის წამალი ეძებნა, ტანჯვის ცრემლი ჩამოეწმინდა დაჩაგრული მოძმისათვის, შებრძოლებოდა ქვეყნის მტერს ყველა ფრონტზე — ესთეტიკაშიც და არქეოლოგიაშიც, ისტორიაშიც და ეკონომიურ მეცნიერებაშიც. თვითონ დრო, ისტორიული ეპოქა, რომელიც განაპირობებს ადამიანის მთელ მოქმედებას, რა გინდ ბუმბერაზიც არ უნდა იყოს ის, მოითხოვდა ილიასაგან ყოფილიყო პრეტიკა და ფილოსოფოსიც, ისტორიკოსიც და ეკონომისტიც, ფინანსისტიც და ჟურნალისტიც... მას უნდა ეწერა ესთეტიკის უღრმეს პრობლემებზე, ლინგვისტიკისა და ფილოლოგიის საკითხებზე, და იმავე დროს ქართველ მევენახეთა გასაჭირზე, საქართველოს ისტორიაზე და იმავე დროს ოძისის სამეურნეო სკოლაზე, ქართულ რომანტიზმზე და იმავე დროს საგლეხო, გამსესხებელ-შემნახველ საზოგადოებაზე და მოკლევადიან კრედიტზე. და ყველგან ის ღრმად კომპეტენტური იყო, ყველგან მისი სიტყვა ბრძნული იყო და რჩევა ხელსატაცი.

ჩვენ განზრახ ჩამოვთვალეთ მხოლოდ ცალკე საკითხები, რომელნიც თითქოს დაშორიშორებულნი არიან ერთიმეორისაგან. მაგრამ აქ იმ საკითხთა მებასედიც არ არის აღწუსებული, რომლებსაც ილია ჭავჭავაძე ეხებოდა. აბა დაასახელეთ ერთი უბანი ცხოვრებისა, სადაც არ სწვდებოდა მისი თვალი; უადრესად ფართო იყო წრე საკითხებისა, რომელნიც მას აღელვებდნენ, აფიქრებდნენ, რომელნიც მის საზრუნავად გადაქცეულიყვნენ. არ იყო არც ერთი ტყვილი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში. რომელიც ამ შესანიშნავ ადამიანს თავისად არ მიეღო, რომელიც მას საკუთარ ტყვილად არ მიიჩნია და მის დაყუჩებაზე არ ეზრუნა. მთავარი ის არის, რომ ყო-

ველი ნაბიჯი მწერლისა, ყოველი მისი წერილი ზუსტად გამიზნულია, აქ ყოველი სტრიქონი ერთი სუნთქვით არის გამთბარი, ერთ დიდ მიზანს ემსახურება, — ეს მიზანია ასწავლოს ხალხს, წინ საველი გზა გაუნათოს, გრძნობთ, რომ ამას წერს ადამიანი, რომელსაც ცხოვრების უმაღლეს მიზნად ხალხის უფლებებისათვის ბრძოლა და მისი ტანჯვის შემსუბუქება დაუსახავს.

მართლაც განსაცვიფრებელია ეს უნივერსალიზმი, ეს მრავალმხრივი განსწავლულობა, ეს აზრის სიძლიერე და პრაქტიკული გამპირიახობა!



„ვხედავ ჩემს თავს პატარა სოფელში, ჩემს პატარა ფუნჩულა და-ძმებს შორის, ვხედავ როგორ დაგვხარიათ შვილებს დედა, მამა, როგორ შევხარით ბავშვური სიხარულით დედას, მამას. მესმის მტრედით უგუნური ტიტინი ჩემი პატარა დისა, პატარა ძმისა, მომესმის კჳადამჯდარი სიყვარულიანი ლაპარაკი დედაჩემისა, მამაჩემისა. დღეს ყოველივე ეს მარტო ტკიბილი სიზმარია. დღეს იქ, იმ პატარა სოფელში, სადაც ამოდენა სახსოვარი აუგია ჩემს გულს, მარტო ხუთი სამარე-ლაა და ამ სამარეებში მარხია ყოველივე ის, რისთვისაც ახლა გული მეწვის, გული მედაგება. იქ მარხია დედა, მამა, ორი ძმა და ერთი და, და ამასთან ერთად ჩემი ყმაწვილობაც“.

იმ პატარა სოფელს — ყვარელს, რომელზედაც ილია ჭავჭავაძე ლაპარაკობს, ახლა მთელი ქვეყანა იცნობს. პეტერბურგისაკენ საზღავროდ გამზადებული ილია აქ ეთხოვებოდა თავის ყვარლის მთებს, მიდიოდა და იმ მთების ხსოვნა თან მიჰქონდა, — „თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად, ვით ჩემი გულიო“, ამბობდა პოეტი. და მართლაც შორეულ პეტერბურგში ჭაბუკ ილიას თავისი სამშობლო ერთი წუთითაც არ დავიწყებია. პირიქით, ყოველი დღე მასზე ფიქრში გაუტარებია, იმის ფიქრში, თუ რა გაეკეთებინა, რომ უკეთ გამოხდგომოდა სამშობლოს. ადრინდელი ასაკიდანვე ბრძენსა და დავკირვებულს, პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზეც სწორედ კამერალური განყოფილება აურჩევია და იქ ჩარიცხულა, რადგან ამ განყოფილებაზე იურიდიულ მეცნიერებათა გარდა, პოლიტიკურ ეკონომიასაც ასწავლიდნენ, საფინანსო თეორიასაც, სტატისტიკასაც, სოფლის მეურნეობასაც. როგორც ვხედავთ, დიდებულ ქართველ პოეტს, ქართული ლექსისა და პროზის უბრწყინვალეს ოსტატს თავიდანვე გაზომილი და გათვალისწინებული აქვს, რომ მისი მომავალი მოღვაწეობის ასპარეზი ძალიან ფართო იქნებოდა, ამიტომ ახლავე უნდა ეპზადოს, წუთსაც ვერ დაჰ-

კარგავს. და ილიაც ემზადება, როგორც დიდი ბრძოლის წინ, რომელიც იმდენ ხანს უნდა გაგრძელდეს, რამდენსაც ერთი ადამიანის სიცოცხლე გასწვდება.

იმავე დროს, იმავე პეტერბურგში ილია ჭავჭავაძემ უფრო დიდი უნივერსიტეტის კარებიც შეაღო, — ეს იყო მოწინავე რუსული ლიტერატურა. იმ დიდ უნივერსიტეტს უფრო ფართო აუდიტორია ჰქონდა, ეს იყო მთელი რუსეთი, იმ უნივერსიტეტის პროფესორებს — ახალი, რევოლუციური რუსეთის მესვეურებს, უცნაური და მწარე ბედი ეწერათ. ჩერნიშევსკის მსგავსად მათ საბოლოოდ ან ციხეებსა და ციმბირის კატორღაში უნდა გაელიათ სიცოცხლე, ან გერცენივით სამშობლოდან გადახვეწილიყვნენ და შორიდან მოეწვდინათ თავიანთი ხმა სამშობლოსათვის. სამოციანი წლების ეს ეპოქა ილიას დიდმა თანამებრძოლმა აკაკი წერეთელმა შემდეგნაირად დაახასიათა:

„მესამოცე წლებში იტალია და უნგრეთი ცდილობდნენ განთავისუფლებას და ებრძოდნენ ავსტრიას. გარიბალდი, მაძინი და კოშუტი გაუხდათ ყველა შეგნებულ მამულიშვილებს იდეალად. სწორედ იმ დროს მოვიდა ჩერნიშევსკი, სათავეში ჩაუდგა ყურნალ „სოვრემენიკს“ და დობროლიუბოვთან, ანტონოვიჩთან, ნეკრასოვთან და სხვებთან ერთად დასცა რუსეთს ყიყინა, ამოძრავდა რუსეთი“.

შესანიშნავად არის ნათქვამი. რაზნოჩინელებმა მართლაც ყიყინა დასცეს დეკაბრისტების შემდეგ მიძინებულ და განაბულ ქვეყანას, ამოძრავეს რუსეთი და მათს საბრძოლო ყიყინას, მათს საბრძოლო შეძახილებს აპყვნენ ყველა დაჩაგრულნი, მათ შორის ქართველებიც.

ილია ჭავჭავაძეს და საერთოდ თერგდალეულებს, ჯრთი მხრით, იტაცებდათ ის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მჩავერელთა წინააღმდეგ ევროპაში დაიწყეს დაჩაგრულმა ერებმა; „მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა“, წერდა ილია და ეს ხმა მართლაც მკაფიოდ ისმოდა მთელ მსოფლიოში. მიუხედავად მკაცრი საცენზურო ტერორისა, სამოციანი წლების მოწინავე ახალგაზრდობისათვის ეს მოვლენები უცნობი არ იყო. მათ იცოდნენ, რისთვისაც იბრძოდნენ მაძინი და გარიბალდი, მათ იცოდნენ, როგორ ხვდებოდა ამ ბრძოლას მთელი მოწინავე კაცობრიობა, იცოდნენ, რომ როცა გარიბალდი გასცილდა თავის სამშობლოს საზღვრებს, მას ზარბაზნების სალუტით და ზარების რეკვით ხვდებოდნენ, ქუჩაში მას ქალები აჩერებდნენ, ხელებსა და მაზარის კალთებს უკოცნიდნენ. ეს სტიმულს აძლევდა და რომანტიკულ შარავანდელსა ჰმატებდა ქართველი ახალგაზრდობის პატ-

რიოტულ გრძნობას, — ძალას ჰმატებდა ახალგაზრდობას, რომელიც იმ დროს რუსეთში იმყოფებოდა და მსოფლიოს მოწინავე იდეებს ეზიარებოდა.

მეორეს მხრივ, თავის სოციალურ პროგრამას თერგდალეულები რაზნოჩინელების იდეური ზეგავლენით ჰქმნიდნენ. თუ გარიბალდის და მაძინის მაგალითი ამხნევებდა მათ საქართველოს ნაციონალური თავისუფლებისათვის ბრძოლაში, სამაგიეროდ ჩერნიშევსკისაგან სწავლობდნენ სოციალური ბრძოლის მრისხანე ტაქტიკას. ბუნებრივი იყო, რომ თერგდალეულებმა ნალხის სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის პირობებში, — იმ პირობებში, როცა საქართველო კოლონიური ძარცვა-გლეჯის და მეფის მოხელეთა თარეშის არენად იყო გადაქცეული, — საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა ორგანიულად და განუყოფლად დაუკავშირეს კლასობრივ ბრძოლას, სოციალური თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლას.

დაეწაფნენ რა ამ იდეურ წყაროებს, თერგდალეულებმა ამ გზით გააფართოვეს ქართველი ხალხის გონებრივი ჰორიზონტი. ევროპისა და რუსეთის მოწინავე იდეებმა უფრო გაანაყოფიერეს ჰუმანიზმის დიდი ტრადიცია, რომელიც მუდამ ცოცხალი იყო ქართულ ლიტერატურაში. ეს ნათლად ჩანს თვითონ ილია ჭავჭავაძის მაგალითზე. ის პეტერბურგშივე იწყებს ქართული ლიტერატურის განახლებას და აქ მას სტიმულს აძლევენ იტალიელი პატრიოტებიც, რუსი რაზნოჩინელებიც და აქვეა მთავარი წყაროც, ქართული ლიტერატურის ტრადიცია.

ილია აღზრდილი იყო ამ ტრადიციაზე, აკვანშივე ესმოდა მას ქართული მომხიბლავი მელოდია ქართული ლექსისა, მოწაფეობის პირველ წლებშივე ეწაფება იგი რუსთველის ბრძნულ პოემას და აქაც, პეტერბურგშიც, ხდება ერთი საგულისხმო ამბავი, რომელმაც, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი გავლენა იქონია მის სულიერ ფორმირებაზე. „პეტერბურგში, — გადმოგვცემს ილიას მეგობარი კობტა აფხაზი, — ვცხოვრობდით მომეტებულ ნაწილად ვასილიევის კუნძულზე. ზაფხულობით ჩვენი ქართველი სტუდენტობა პავლოვსკში ატარებდა დროს. ჩვენც, მე და ილია, ზაფხულობით იქ ვიყავით ხოლმე. მახსოვს ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვეწვიეთ ქალბატონ დადიანს... მან გამოიტანა, რამდენადაც მახსოვს, ბარათაშვილის საკუთარი ხელნაწერი. ეს იყო „ბედი ქართლისა“ და „მერანი“. ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზე. თითქმის მთელ ერთ კვირას ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილზე“.

თუ რა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ილიაზე ბარათაშვილის

ლექსების პირველმა გაცნობამ, ეს ნათლად ჩანს შემდეგი ლექსი-  
დანაც:

როს წარვიკითხე მისი ლექსები,  
ვერა-რა ვთქვი-რა განციფრებულმა,  
ვით ქარიშხალით ატეხილ ბუქმა  
ცას განუზნოს შავი ღრუბლები,  
ისე იღარა ჩემ მწუხარ შუბლმა.

ხალხო ობოლო, შენ მებრალები,  
რომ დაგაობლა მის ციურ შუქმა  
და განგაშორა თვისი სხივები.  
როს წარვიკითხე მისი ლექსები,  
აღმოვიკენესე დაობლებულმა.

კობტა აფხაზის ეს მოგონებაც და ილიას ზემოთ მოყვანილი ლექსიც ბევრს რამეს ხსნიან ილიას შემოქმედებითს ცხოვრებაშიც და საერთოდ ქართული ლიტერატურის ისტორიაშიც. იმ დროის მღელვარე ვითარებაში ილია ჭავჭავაძემ ბარათაშვილის ლექსების სახით თითქოს ნათლის შუქი იპოვნა, დაინახა იმ დროის საქართველოს ინტელექტუალური და სულიერი მეზაირახტრე. ამ პოეტის სახით ილია ჭავჭავაძემ დაინახა კაცი, — მომტანი პერსპექტივისა, მოციქული მომავლისა, წარმომთქმელი საპროგრამო სიტყვისა. ამ მხრივ, მის მიერ გაკაფული გზა მართლაც ჯერ უვალი იყო. თავისი აზროვნების ფართოდ გაშლილი ჰორიზონტით, თავისი იდეების სიღრმით და სიდიადით ის შორს სცილდება თავის თანამედროვეობას და მთელი მისი ლექსები, შეიძლება ითქვას, ეს არის სულიერი თრთოლვით აღსავსე, მგზნებარე პოეტური წერილები მომავლის საქართველოსადმი.

სწორედ ეს ყველაზე პირველად იგრძნო ილია ჭავჭავაძემ. მან იგრძნო, რომ ბარათაშვილის ლექსი გზას უხსნიდა ახლისათვის ბრძოლას, გზას უხსნიდა პროგრესს. მისი სიტყვები: „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბინდსა ის განანათლებსო“, — ეს მერმისის წარუხოცელი რწმენა იყო, რომელიც გულისხმობდა, რომ არ შეიძლება არ გათენდეს. პოეტმა იცოდა, რომ საჭირო იყო ამოქმედება, გამოფხიზლება, — „დილა მზიანი“ თავისთავად არ მოვიდოდა.

მაგრამ ნ. ბარათაშვილი წინ უსწრებდა თავის დროს და მისთვის სამოქმედო ასპარეზი ჯერ არსად იყო: საქართველოში მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამ დიდ მოძრაობას სათავეში უდგება ბარათაშვილის მომდევნო თაობა — ილია ჭავჭავაძისა

და აკაკი წერეთლის მეთაურობით, თაობა, რომელმაც გადასჭრა ისტორიული ამოცანა, შექმნა მოწინავე კლასიკური ქართული რეალიზმის მძლავრი მიმდინარეობა და დაამკვიდრა ახალი ქართული ლიტერატურული ენა. ნიკოლოზ ბარათაშვილი აქ ქეშმარიტად წინამორბედი იყო; ეს არა ერთგზის აღუნიშნავთ როგორც ილიას, ისე აკაკის. ისინი მას თავის ყველაზე ახლობელ სულიერ წინაპრად სთვლიდნენ.

ასეთი იყო ის წყაროები, რომლებიც ასაზრდოებდნენ ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას.



სოციალური და ნაციონალური უკუღმართობის დათრგუნვა: შრომის სუფევის დამკვიდრება — ასეთია ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედების დედააზრი, ესაა მისი რწმენის უწმინდესი სიმბოლო. ილიამ თავის „ბასუხის პასუხში“, რომელშიც მთელი თავისი თაობის სახელით ლაპარაკობდა, მრისხანედ დაჰგმო „ღმერთი მწაკვრობის და თვალთმაქცობის“, „ღმერთი, ხარბობის და მძარცველობის“. თავის პოზიტიურ იდეალს კი იგი შემდეგნაირად აყალიბებდა:

ხოლო გეწამს ღმერთი  
უქმთა წარმწყმედი,  
ტიერთმძივთა და მაშვირალთა მხსნელი,  
ღმერთი ტანჯულთა,  
ღმერთი ჩაგრულთა,  
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი.

აქ ბიბლიურ ღმერთზე როდია ლაპარაკი. ქართველი 60-იანი წლების მოღვაწეთა ლექსებში ამას როდია ჰქონდა ორთოდოქსალური ქრისტიანობის აღიარების მნიშვნელობა.

ილიას პოეზიაში, როგორც მსოფლმხედველობის საფუძველი, თავისთავად ნაგულისხმევია ათეიზმი; უამისოდ მეცხრამეტე საუკუნეში შეუძლებელი იყო ადამიანი პროგრესულ პოზიციებზე მდგარიყო; უამისოდ არავითარ მატერიალიზმზე, არავითარ მატერიალისტურ ტენდენციასზე ლაპარაკი არ შეიძლება. ხოლო ასეთი ტენდენციები უაღრესად მძლავრი იყო ილიას აზროვნებასა და შემოქმედებაში. აქაც იგი განახლების მაუწყებელი იყო.

ილია ჭავჭავაძის რომელ ნაწარმოებსაც არ უნდა გადახედოთ, თქვენ მოგესმით ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის, ხალხთა განთავისუფლებისაკენ მომწოდებელი ხმები, მოგესმით მძლავრი პროტესტი ძველის, დახვესებულის, ადამიანის ჩაგვრაზე დაფუძნებული სამყაროს წინააღმდეგ; „გლახის ნაამბობში“, „კაკო ყაჩაღში“, „კაცია



ადამიანში“, „აჩრდილში“ ის ხმას იმალლებს დაჩაგრული გლეხკაცობის უფლების დასაცავად, თავის პუბლიცისტურ სტატიებში ის გვაძლევს კაპიტალიზმის გამანადგურებელ კრიტიკას; როგორი გატაცებით ოცნებობს პოეტი თავის „აჩრდილში“ იმ დღეებზე, როცა მოისპობა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია:

შრომის სუფევა მოვა მაშინა,  
ქეშმარიტების მის ძლიერებით  
და განმტკიცება სოფელსა შინა  
კაცთმოყვარების სახიერებით.  
მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან  
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,  
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან  
კაცთმოყვარება და სათხოება.  
აღლო აილო ქვეყანამ ძველმა,  
რომ დღე-ღამ მისი წყობა ირღვევა,  
და ამ ზეიადმა საუკუნემა  
უნდა შვას იგი შრომის სუფევა.  
მაშინ, მაშვრალო, შენც განჯაყდები,  
წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,  
სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,  
არც ვის ემონვი, არც ვის იმონებ.

გაიხსენეთ ილიას ლექსი „1871 წელი, 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“. რაოდენ უღრმესი სიყვარულით იხსენებს პოეტი „ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელ დიდ დროშას“, პარიზის კომუნის დროშას, რაოდენი მწუხარებით ივსება მისი გული იმის გამო, რომ ქვეყნის „მჩაგრავმა ძალამ“ „იგი დროშა დასცა დაბლა“. ვიქტორ გოლცევი თავის წიგნში „ქართველი მწერლები“ აღნიშნავდა, რომ „არა მარტო ქართულ, არამედ იმდროინდელ რუსულ პოეზიაშიც არ მოიძებნება მეორე ლექსი, რომელიც ესოდენ ძლიერად და აზრის სიცხადით ადიდებდეს 1871 წლის პარიზის კომუნისათვის მებრძოლებს“. ილია ჭავჭავაძე გადაჭრით და მტკიცედ გამოესარჩლა ადამიანის განთავისუფლებისათვის მებრძოლ პარიზელ პროლეტარებს. „აჩრდილის“ ავტორი არც შეიძლებოდა სხვანაირად მოქცეულიყო. ჩაგრული კლასების განთავისუფლება — ეს იყო მისი მუდმივი საფიქრალი, სანატრელი, ეს იყო მისი ყველაზე უწმინდესი და სანეტარო ოცნება... ის დაუღალავად, დაუცხრომლად, მთელი თავისი ბუმბერაზული ენერგიით იბრძოდა იმისათვის, რომ ეს ოცნება სინამდვილედ გადაქცეულიყო, და თუ მის ცალკეულ პუბლიცისტურ წერილებში იგრძნობოდა ერთგვარი მერყეობა ლიბერალიზმისა და დემოკრატიზმის იდეებს შორის — ეს არ იყო არსები-

თი, ეს არ იყო მთავარი ილიას მოღვაწეობასა და შემოქმედებაში. მთავარი იყო მისი შემართება ძველი სამყაროს წინააღმდეგ.

ამ ისტორიულ ამოცანასთან, სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლის საკითხთან ილიამ განუყრელად დააკავშირა ხალხთა ეროვნული განთავისუფლების საქმე. განუზომელია სიღრმე სიყვარულის იმ გრძნობისა, რომლითაც ილიას საქართველო უყვარს. ამიტომ ასე სასტიკად, ასე მრისხანედ და დაუზოგავად იმაღლებს იგი ხმას ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ცუდი და უარყოფითი იყო მისი დროის საქართველოში. ეს კეთილშობილური გულისწყრომა ილიამ მთელი სიმძაფრით გამოსთქვა ჯერ ისევ სიჭაბუკის წლებში გამოქვეყნებულ იმ ნაშრომში, რომელიც საპროგრამო წერილის სახით დაიბეჭდა ილიას მიერ დაარსებული ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში; მასში ილია წერდა:

„ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგეართმევენ. როცა ჩვენი ჟურნალი საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარო. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონე, თუ ინგლისელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივე წყალში გადასაყარნი იქნებიან. ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენი ცხოვრების სიბოროტის დამალვასა, ეგ იმათ მოსდით ქართველების უმეტარ სიყვარულისა გამო, ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო. ისინი, უმეტარნი მოყვარენი ჩვენნი, ზედ დაასმენ ზოლმე შეჩვენების და განგდების ბეჭედსა მას, ვინც კი ველარ მოითმენს ცხოვრების საძაგელ გუბეში დგომასა. ამოჰყოფს თავს, რომ სხვას მაინც უთხრას, 'ამ გუბეში არ ჩაიგდო თავიო, თორემ დალპებით მის წამწყემნდელ ოხშივარის ზედ-მოქმედებისაგან. ჩვენ საბედნიეროდ არიან ჩვენში იმისთანა პირნიც, რომელთაც ჩვენზე უკეთ იციან, რომ ვინც შენიშნავს მართლად სხვის ნაკლულოვანებას, შეიძლება მასვე უნდოდეს გასწორება და სიკეთე მისი. რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო ჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარი წადილი გასწორებისა. ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი — ეგ აშკარაა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი ეს ლექსი“. და ილიას თავისივე ლექსი მოჰყავს:

ჩემზე ამბობენ: „ის ქართლისას სიკუდეს ამბობს, ჩვენს ცუდს არ მალავს — ეგ ხომ ცხადი სიძულელია, ბრიყენი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე გრძნობს, ამ სიძულელიში რაოდენი სიყვარულია.

ილია მუდამ პრინციპული და განუხრელია, დაუღალავი და დაუტყბრომელია ამ ცუდთან, უარყოფითთან ბრძოლაში. ამას მოწმობენ არა მარტო მისი პუბლიცისტური წერილები, არამედ შესანიშნავი ლექსებიც — „ჩემო კალამო“, „რა ვაკეთეთ, რას ვვგრებოდით, ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“, „ბედნიერი ერი“, „გამოცანები“, „პასუხის პასუხი“ და მრავალი სხვა. ბევრი მწარე სიტყვაა აქ ნათქვამი, მაგრამ ილია სიმართლეს არ ერიდება, რაც უნდა მწარე იყოს ის. იცის, რომ ესაა წამალი და ეს მსიღებაა გზა ხსნისა. როცა გულმოდგინედ ვაკვირდებით ილიას ამ ლექსებს, მის მძაფრ, მამხილებელ წერილებს — ჩვენ ვხედავთ, რომ სწორედ ეს არის ყველაზე უღრმესი სიყვარული სამშობლოსადმი, ეს არის ბრძოლა მომავლის საქართველოსათვის, რომელიც პოეტს წარმოესახებოდა, როგორც გამოფხიზლებული აყვავებული ქვეყანა.

თავის პოემაში „ქართლის დედა“, რომელსაც პოეტმა ქვესათურად წააწერა „სცენა მომავალი ცხოვრებიდან“ — მან დახატა ოცნებით წარმოსახული სურათები თავისუფალი საქართველოსი. მოხუცი, ავადმყოფი დედა ამ პოემაში ამბობს:

თუმცა სიკოცხლე სნეულთათვის წვალეა არი,  
მაგრამ ჰე, ღმერთო, გმადლობ ამ დღეს რომ მომასწარი,  
და აქამომღე არ მოჰკვეთე ჩემი ცხოვრება.  
ჩემი მამული, საქართველო დღეს მიკოცხლდება,  
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,  
კასპიის ზღვიდამ შვე ზღვამდისინ ერთ ფიქრსა ფიქრობს.  
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება,  
დიღია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება.

საგულისხმოა, რომ აქ პოეტი ხალხთა ერთობლივ ბრძოლაზე — მთელ კავკასიის თავისუფლებაზე ლაპარაკობს. ილიას პატრიოტიზმი მჭიდროდ იყო შერწყმული ხალხთა ძმობის იდეასთან, ის აქაც მოწინავე პოზიციებზე იდგა და თავისი სამშობლოს ხსნას. მოძვე ხალხთა განთავისუფლების საქმეს უკავშირებდა.

ჩვენმა დრომ, საბჭოთა ეპოქამ ხორცი შეასხა იმ ნატვრას, იმ ოცნებას, რომლითაც აღბეჭდილია ილიას მთელი მგზნებარე შემოქმედება. თავისუფალი ქართველი ხალხი დღეს სიამაყისა და სიყვარულის გრძნობით იხსენებს თავის სახელოვან მწერალს, რომელსაც მუდამ სჯეროდა თავისი ხალხისა და მისი დიადი მომავლისა.

## ქაში სიცოცხლისა და ქაში სიკვდილისა

ილია ჭავჭავაძის წლებანდელი იუბილესათვის თითქმის მთლიანად მოთავდა მწერლის თხზულებათა სრული, ათტომიანი კრებულის გამოცემა. უჩვეულო მღელვარებით იღებს მკითხველი ხელში ამ ტომებს, ღია მწვანე სუპერითა და მასზე ილიას პორტრეტით დამშვენებულებს. ხშირად დაინახავთ, რომ წიგნის მალაზიიდან სახლში მიტანამდე, ტროლეიბუსში თუ ქუჩაში ფურცლავენ ამ წიგნებს ახალგაზრდებიცა და ხანში შესულნიც. გასაგებიც არის ეს მღელვარება. ჩვეულებრივმა რიგითმა მკითხველებმა, მამებმაც და შვილებმაც სკოლის სკამიდანვე ისწავლეს „კაკო ყაჩაღიცა“ და „გლახის ნაამბობიც“, „განდეგილიცა“ და „ოთარაანთ ქვრივიც“, მაგრამ მათ სად მიუწვდებოდათ ხელი და თვალი იმ სტატიებისადმი, რომლებიც დღევანდლამდე გაფანტული იყო გასული საუკუნის პერიოდულ პრესაში. ხშირად არც კი იყო აღნიშნული, რომ ისინი ილიას ეკუთვნოდნენ. ეს სტატიები ახლა გამოსცილდნენ მუზეუმებსა და არქივებს, ქართული აზროვნების ბუმბერაზის ამ ქმნილებებმა ხელახლა იხილეს მზის შუქი.

ამ მხრივ, თვითონ ილიასაც და ჩვენს მკითხველსაც დიდი ამაგი დასდო პავლე ინგოროყვამ. ათეული წლების მანძილზე აგროვებდა იგი ილიას აქა-იქ გაფანტულ წერილებს, პოულობდა ხელმოუწერლებსაც, მეფის ცენზურისაგან დამახინჯებულებს, უბრუნებდა პირვანდელ სახეს, რათა მკითხველს მიეღო ისინი ისე, როგორც ილიას ხელიდან გამოვიდნენ. ეს კი ძალზე რთული და საძნელო საქმე იყო, თუ გავიხსენებთ ილიას მუშაობის სტილს. ყოველ სიტყვას ის ათასჯერა სწონიდა და ყოველმხრივ გასინჯავდა ხოლმე. ბევრს ალბათ გაგონილი ექნება თუ როგორ შეწუხდა ილია, როცა „ივერიიდან“ წასვლის შემდეგ გაზეთის ახალმა მესვეურებმა მას წერილში „ნუთუ“ ორიოდ სიტყვა დაუმახინჯეს (ვითომდა გავასწორეთო, იმ პრეტენზიით). ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს, თუ რაოდენ ძნელი საქმეა რედაქტორობა იმ მწერლის ტომებისა, რო-

მელმაც აკაკი წერეთელთან ერთად, საბოლოოდ დააფუძნა ახალი ქართული სალიტერატურო ენა.

მასობრივი მკითხველისათვის რამდენი რამ ახალი, უცნობი გვითხრეს ილიას ამ ტომებმა. ეს ხომ ჩვეულებრივი წერილები არ არის, ეს ხომ მარგალიტებია, მაუწყებელი ქართული ენის უჩვეულო სიმდიდრის; და ყოველ მათგანს ეტყობა, რომ ილია მათ სასხვათაშორისოდ როდი წერდა: მაშინაც კი, როცა ამ წერილებს ხელმოუწერლად აქვეყნებდა, მათზე ისევე გულმოდგინედ მუშაობდა, როგორც „ოთარაანთ ქერივზე“. ალბათ ამანაც გააადვილა იმის გამოცნობა, თუ ხელმოუწერლად დაბეჭდილ სტატიებს შორის რომელი ეკუთვნოდა ილიას და რომელი არა. რამდენი დააკლდებოდა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურას. როგორ გაღარიბდებოდა ის, რომ ეს წერილები არ ყოფილიყო. მათმა გამოქვეყნებამ უფრო შეავსო და გაამდიდრა ქართული პუბლიცისტიკის ისტორია.

ამ უამრავი სტატიებიდან ჩვენ მარტო ერთ წერილს შევეხებით. ეს არის „შინაური მიმოხილვა“. რომელიც 1685 წლის თებერვალში ხელმოუწერლად დაიბეჭდა „ივერიის“ ფურცლებზე. თავისი ღრმა შინაარსით, შესრულების ოსტატობით, ფრაზის ბრწყინვითა და იმ სისადავით, რომელიც მარტო ბრძენის ნათქვამს ახასიათებს, და ბოლოს, თავისი მხატვრული ღირსებებითაც ეს წერილი თამამად შეიძლება დავაყენოთ ილიას საუკეთესო ბელეტრისტულ ქმნილებათა გვერდით.



გულწრფელად მინდა ვაღიარო, რომ მიძნელებდა ილიას ამ წერილის განხილვა. არ ვიცი, საიდან დავიწყოს ძალზე რთული და მრავალფეროვანია წრე იმ პრობლემებისა, რომლებიც მასშია აღძრული. ამ „შინაურ მიმოხილვაში“ მოცემულია ფილოსოფიური განჭკვრეტა ადამიანის ცხოვრების აზრისა და აქვეა პრაქტიკული საბრძოლო პროგრამაც. აქ ყოველ ფურცელზე, ყოველ აბზაცში ჩანს დინჯი და ღრმად ჩაფიქრებული მოაზროვნე და გაბედული, შეუპოვარი პუბლიცისტიკი.

წერილი ქანობრივი თვალსაზრისით იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მასში ილიას არ დაუცავს შინაური მიმოხილვისათვის დამახასიათებელი ნორმები; ჩვეულებრივი ყოველდღიურობის მიმოხილვის ნაცვლად მას აქ თავისი სულის, თავისი განწყობილებების მიმოხილვა მოუცია. თავისი ერთი უძილო დამე აუწყურია, იმ ერთი ღამის მწუხარე ფიქრები გადმოუცია. მთელი წერილი

ისე რიგად განგაწყობთ, თითქოს თქვენი თვალთ ხედავთ, როგორ შფოთავს და ბორგავს ეს ბუმბერაზი კაცი იმ ბნელ ღამეში; თვალწინ წარმოგიდგებათ მისი სამუშაო კაბინეტი: ოთახში ბუხარი გიზგიზებს, ბუხრის თავზე თარია აყუდებული, კედლიდან ილიას გარიბალდი გადმოსცქერის თავისი ლურჯი თვალებით; მას გრძელი უღვაშები ამშვენებს, წითელი შალის ხალათი აცვია, ღილებით გულთან მეზღვაურულ ყაიდაზე შეკრული, ყელზე ბანტი უკეთია და გულზე ძეწკვი (ეს სურათი ახლაც იმავე ადგილზე ჰკიდია საგურამოში); ოდესღაც მის რაზმში ვოლონტიერად ჩაწერაზე ოცნებობდა ილია, მაშინ დაწერა მან თავისი „მესმის, მესმის“. კედლის მეორე მხარეს სურათია გერმანული წარწერით: „შუა აზია, ბუხარის გზაზე“, მაგრამ ახლა არც შუა აზია და არც იტალია აღარ ახსოვს ილიას; მის საწერ მაგიდაზე ერთ მხარეს ლევ ტოლსტოის „აღსარება“ გადაშლილი, მეორე მხარეს ბიბლია — ეკლუზიასტეს წიგნი და ერთიც და მეორეც ამ წუთისოფლის ანაოებას უჩივიან. იქვე აუარებელი სხვა წიგნებია დახვავებული, ზოგი გადაკეცილი, ზოგი ქაღალდით ჩანიშნული, ზოგიც ხაზგასმული სტრიქონებით. ილია წერს და დროდადრო ხან ერთს და ხან მეორე წყაროს ჩაჰხედავს.

წერილის დასაწყისშივე ის გვაცნობებს, თუ რა თემას ეხება მისი ნაშრომი; მას სურს გაარკვიოს, თუ რა არის ცოდვა და რა არის მადლი, მას უნდა გააბას ის ლარი, რომლის იქით ცოდვები მოიყრიან თავს და აქეთ კი მადლი. მაგრამ დახეთ, ვერ უპოვია სასწორი ცოდვა-მადლის გასარჩევად და ბუნებრივად იზადება მის წინაშე კითხვა: რა ჰქნას განმკითხველმა და მსაჯულმა, როცა ამისთანა უთავბოლო დავთარი აქვს ხელში ცოდვა-მადლის გასარჩევად? გამკითხველსა და მსაჯულს კიდევ არა ეცნება რა, რა ჰქნას თვითონ განსაკითხველმა და განსასჯელმა? როგორ მოაწყოს თავისი დღენა ცხოვრებისა, სად დაიხიოს უკან და სად წაიწიოს წინ? რა იხერხოს და რა უეკუირიდოს? რას გაექცეს და რას მოეწიოს?

ილია განაგრძობს:

„ადამიანის გარეთ ცოდვა და მადლი არ არის და რადგანაც ადამიანი ყველგან ადამიანია. მაშასადამე, რაც ერთგან და ერთისათვის ცოდვაა და ბოროტი, მეორისათვისაც ცოდვა და ბოროტი უნდა იყოს ყველგან, ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში. ჩვენ ვხედავთ და დღემუდამ მაგალითებით ვრწმუნდებით, რომ ეს ასე არ არის. რატომ? რატომ? საქმეც იმაშია, რომ მაგ რატომს ჯერ-აქამომდე ადამიანმა გულდაჯერებული პასუხი ვერ მოუპოვა“.

ილიაც ამ კითხვის პასუხს ეძებს და ღრმად ჩაფიქრებული დასაღებს კალამს საწერ მაგიდაზე. მეორე წამოდგება, ოთახში გაივლ-

გამოივლის, აივანზედაც გადის და საგურამოს ბნელ ღამეს გაჰხედავს. იმ წყვილიადისებურ ღამეში აღარაფერი ჩანს აივნიდან — არც მარჯვენაც აწვდილი ახატინის მთები, აღარც არაგვის ხეობა, აღარც მისაქციელის გორაკები და აღარც მუდამ ხელისგულივით გადაშლილი მუხრანის ველი. სძინავს მთელ ქვეყანას და ერთი მამლის ყვილიც არსაიდან ისმის. შემობრუნდება ილია, მაგიდიდან რომელიდაც წიგნს აიღებს, ადრევე ჩანიშნულ სტრიქონებს კიდევ ერთხელ ჩაჰხედავს, მერე წიგნს დაჰკეცავს, დასდებს და განაგრძობს წერას, განაგრძობს თავის გულითად საუბარს მკითხველთან:

„ახლახან ერთი დიდად გამოჩენილი მწერლის ნაწერი წავიკითხე. საკვირველი ჯოჯოხეთი გამოუვლია თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში, თუმცა მისთვის ბედს ყველაფერი უხვად მიუნიჭებია. რა გინდა, სულო, გულო, რომ მას არა ჰქონია: დიდი ნიჭი მწერლობისა, დიდი სახელი, დიდკაცობა, დიდი ოჯახი, დიდი სიმდიდრე, ძალიან კარგი ცოლ-შვილი, ჯანი, სიმრთელე, ერთი სიტყვით, ყოვლისმხრით და მრავალკეცად ბედნიერი ყოფილა გარედაძმ, თუ ეგრე ითქმის. ხოლო შიგნით, კი, გულში ერთი ჭია ასჩენია, რომელსაც უღრღნია მისი სულიერი არსება და იმისთანა სასოწარკვეთილებანიდ მიუყვანია, რომ გადაუწყვეტია — ყველაფერი ფუჭიაო, სიცოცხლე სიცოცხლედ არ ჰღირსო... დღე-ყოველი მისი ერთი დაუძინებელი ბრძოლა და ჭიდილი ყოფილა, გამწვავებული ბრძოლა და ჭიდილი სულიერი, რომელიც უფრო მწვავეა, ვიდრე გაზით ხორცის გლეჯა, ვიდრე ხორცის წვა გახურებულის შანთითა. ამ სასოწარკვეთილების მიზეზად ის გახდომია, რომ ვერ მიუგნია: ცხოვრებას რა აზრი და საგანი აქვს, ანუ, უკეთ ვთქვათ, რაშია აზრი და საგანი ცხოვრებისაო. თითონ თქვენც იტყვი, — განაგრძობს ილია მკითხველთან საუბარს — რომ ეს ამოცანა შეჩვენებული ამოცანაა. რაკი ეს ამისთანა ამოცანა შეუჩნდება ადამიანს, მე არა მგონია სხვა უარესმა ჯოჯოხეთმა-ლა ბუდე გაიკეთოს ადამიანის გულში. საცოდავია კაცი, დევნილი ამ ამოცანისაგან, მაგრამ დიდებულიც კია. ღონე სულისა მეტად განდიდებული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამ ამოცანას შეეჭიდოს და გაემკლავოს. ეგ შეჭიდება და გამკლავება კიდევ არაფერი. საქმე იმაშია, რომ კაცმა თავისი სიცოცხლის ძაფი მაგ ამოცანას ჩააბას, ან გაეხსნა მისი კვანძი, ან არა და თვით სიცოცხლის ძაფი ჩემი ზედ შევაწყვეტო“.

და შემდეგ ილია განაგრძობს:

„სწორედ ეგრე გადაუბამს თავისი სიცოცხლის ძაფი ამ ამოცანაზე ხსენებულ მწერალსა. არ დარჩენია არც ერთი ფილოსოფოსი, ძველი თუ ახალი, რომ ზედმიწევნით არ შეესწავლოს, ყველგან

და ყველასათვის ერთი და იგივე უკითხავს და იმ წყეულის ამოცანის ნამდვილი და გულდასაჯერებელი პასუხი ვერ მოუპოვია ვერსად, ვერაფერში და ვერავისაგან. რაკი აგრეაო და სიცოცხლის აზრი ვერ მოიპოვებო, მაშ სიცოცხლე სიცოცხლედ აღარ ჰღირსო და ყოფნას არყოფნა სჯობიაო“.

მწერალს თითქოს შორიდან ესმის მკითხველის ახალი შეკითხვა და ისიც პასუხობს:

„ამ ამოცანას რომ ნამდვილი, უცილობელი, გულდასაჯერებელი პასუხი მოენახებოდეს, მაშინ იმ ჩვენ რატომსაც წამალი დაედებოდა და შავი შავი იქნებოდა და თეთრი თეთრი ყველასათვის და ყოველ შემთხვევაში“.

ილიას ახსენდება, რომ ეს საკითხი პირველად იმ მწერლის გულში არ წამოჰკრილა, რომლის წიგნი ახლა მაგიდაზე აქვს გადაშლილი და ამიტომ ახსენებს მკითხველს:

„ამ წყეული ამოცანის ქიას დიდი ხანია კაცის გულში ბუდე გაუკეთებია“.

და ილიას აგონდება სხვებიც, ვინც ოდესღაც ამ ამოცანის გადაჭრას შეეჰქიდნენ. განა ჰამლეტის ყოფნა-არყოფნა ამავე ამოცანასთან ჰქიდილი არ არის? ამას აღნიშნავს ილიაც თავის მეორე წერილში; განა ფაუსტსაც, ვიდრე ის თავის ნამდვილ გზას იპოვნიდა, ეგ არ აწუხებდა, როცა მაღალთალიან, ვიწრო გოთურ ოთახში კარჩაკეტილს პირთან საწამლავეთ სავსე ფიალა მიჰქონდა? ზარების ხმამ გამოათხიზლა ბრძენი დოქტორი, თორემ თავს იკლავდა, — ამ წუთისოფლად ყოფნას არავითარი აზრი არა აქვსო.

მაგრამ რაკილა ის მწერალი, რომელზედაც ილია ლაპარაკობს, თავის ნაწერში სოლომონს იხსენებს, იუდეველთა მეფეს, — ილიაც ისევ ეკლეზიასტეს ფურცელას იწყებს, კიდევ ერთხელ გადაავლებს თვალს მის სტრიქონებს და მის თვალწინ ცოცხალივით წარმოდგება ეს პირველი დამწყები შავნალელიანი პესიმიზმისა, თურმე პირველად მის გულში გაიკეთა ბუდე იმ წყეული ამოცანის ქიამ. ორი ათასი შვიდასი წლით ადრე წარმოუთქვამს იუდეველთა მეფეს ეს სიტყვები: „ყოველივე ამათა ამაობაა და აღრჩევა სულისაო“.

მაშ სჯობია მდინარე სათავეშივე გაისინჯოს, სჯობია პასუხი გაეცეს უსასოოთა და იმედდაკარგულთა პირველ მასწავლებელს, მეფე სოლომონს, რომელმაც ლუდვიგ ფოიერბახის სიტყვით რომ ესთქვათ, „აღმოსავლეთის ყველა შვილებს გადააჭარბა ჰქუითა და სიბრძნით“.

ილია კვლავ ფურცლავს ეკლეზიასტეს, კვლავ იხსენებს სოლომონის ცხოვრებას: არაფერი ჰკლებია ფილოსოფოს-მეფეს ამ წუ-



თისოფელში, ამას აღიარებს თვითონაც და ამასვე მოგვითხრობენ მისი ცხოვრების მემატიახეებიც. ის ჯერ შუახნის კაციც არ იყო, როცა ამბავი მის სიბრძნესა და სილამაზეზე, მის სიმდიდრესა და ფუფუნებაზე მოფენილი იყო მთელს იმდროინდელ მსოფლიოში— ასურეთშიც და ფინიკიაშიც, ეგვიპტესა და კოლხიდაშიც. მისთვის მიუწვდომელი არ დარჩენილა არც სიბრძნის წყაროები, არც ხელოვნების უმშვენიერესი ქმნილებანი. სამი ათასი იგავი შექქმნა მან და ათასამდე სიმღერა, რომელსაც ქებათა ქება ეწოდა და მსოფლიო პოეზიის უმშვენიერეს შედეგებად იქნა აღიარებული; მას იმდენი ძვირფასი თვლები ჰქონდა, ყველა ერთად რომ აესხა, ვეღარც გაივლიდა. მას ჰქონდა ყველაზე უმშვენიერესი ფირუზი, რომელსაც იმდროის რწმენით, სიყვარულში ბედნიერება მოჰქონდა; მას შეიდასი ცოლი ჰყავდა და სამასი მხევალი; მათ შორის იყვნენ შავთვალა ხეტთა ქალწულები და ასურეთის ლამაზები. ყველა ენაწყლიან კალმოსანს გაუჭირდებოდა მისი სიმდიდრის აღწერა, გადმოცემა იმ განცხრომისა, იმ საამქვეყნო ნეტარებისა, რომელსაც მეფე დღედღამ ეძლეოდა.

მაგრამ დახეთ, მის გულსაც ის ჭია ღრღნის, მის სულსაც ის პესიძიზში აბნელებს. და ილიას მოჰყავს მისი ფრაზები:

„მე მეფე ვიყავ ისრაელთა ზედა და მივეცი გული ჩემი გამოძიებად და განხილვად სიბრძნისა ყოველთათვის ყოფილთა ცათა ქვეშე, ვნახე ყოველი ქმნილნი და ნაქნარნი მზისა ქვეშე და ამა ყოველივე ამაოებაა და აღრჩევა სულისა! განვადიდე საქმენი ჩემნი, ავიშენე სახლები, დავნერგე ვენახები, გავიკეთე მტილნი და სამოთხენი (იგულისხმება ბოსტნები და ბაღები), დავნერგე მათ შინა ხენი ყოვლისა ნაყოფისა, გამოვიყვანე ჩემთა საბანებლად და იმ ნორჩოვანთა ხეთა სარწყავად წყალი, მოვიგე მონანი, მხევალნი, მყვანდნენ სახლისწულნი, შევიკრიბე ვერცხლი, ოქრო და სიმდიდრე მეფეთა ქვეყანისა, შევიკრიბე მემღერენი მამანი და დედანი ჩემთა ყურთა დასატკობლად, შევიძინე სიბრძნე ყოველთა ჩემზე უწინარეს მყოფთა, და სიბრძნე ჩემი დავადგინე ჩემდა— ყოველი რაც ჩემმა გულმა და თვალმა ითხოვა, არარა დავიკელიო— უკვე თავისი შიტყვებით გადმოგვცემს ილია სოლომონის ნათქვამს და შემდეგ ისევ, სოლომონის სიტყვები მოჰყავს — ხოლო რა მოვიხილე მე ყოველთა ჩემთა ნაქნართა, რომელიც ქნეს ჩემთა ხელთა, ესთქვი: აჰა, ესეცა ამაოებაა და აღრჩევა სულისა“.

ეკლუზიასტეს წიგნს, სოლომონს რომ მიაწერენ, ილია, ცხადია, პირველი არ შეხებია. ის დიდი ხანი ცნობილი იყო ქართულ მწერლობაში; მასზე ჯერ ისევ მეექვსე საუკუნეში წერს უცნობი ავტო-

რი „ევსტათი მცხეთელის მარტვილობისა“, შემდეგ მას იხსენებს იოანე საბანის-ძე „აბოს მარტვილობაში“, გიორგი მერჩულე — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, ეფრემ მცირე — თავის იამბიკოში, დავით აღმაშენებელი თავის ჰიმნებში „გალობანი სინანულისა“, „ქართლის ცხოვრებაში“ არა ერთგზის იხსენებენ მას ჯუანშერი და ლაშა გიორგის შემათიანე. აქ კიდევ მრავალი ქართული ძეგლი შეიძლება დაგვესახელებინა, მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, მთავარი ის არის, რომ იმ პესიმიზმს, იმ ამაოთ ამაოების ფილოსოფიას არავინ ისე ძლიერად არ შებრძოლებია. როგორც ილია ჭავჭავაძე. აქვე ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ისიც, რომ ეს სკეპტიციზმი ილიამდეც და ილიას შემდეგაც წარწერილი იყო ყველა დეკადენტური მიმართულების დროშაზე; ბნელეთის მოციქულები, რეაქციონერები დღესაც ხშირად თავიანთი მისტიკური ფილოსოფიის დასაცავად ამ ძველ მოძღვრებას დაუბრუნდებიან ხოლმე. ამერიკულმა ჟურნალმა „სატერ დეი რევიუ ოფ ლიტერაჩემ“ ამას წინათ გამოაქვეყნა სტატია „აპოკალიპსური მომავალი“, რომელშიაც თანამედროვე სინამდვილე აპოკალიპსიდან ამოღებულ სურათებად მიიჩნია; იქვე, იმავე წერილში ავტორმა დიდების ჰიმნი უმღერა ეკლესიასტეს ამაოთა ამაოების ფილოსოფიას. ერთი სიტყვით, ეს ძველი იარაღი დროდადრო იდეალიზმს ისევ გამოაქვს ბრძოლის ველზე და მით უმეტეს მეცხრამეტე საუკუნეში, ილიას დროს, აქტუალობას მოკლებული არ იყო ბრძოლა მის წინააღმდეგ. ალიაც შეებრძოლა მას სწორედ იმიტომ, რომ მკითხველისათვის ამ პესიმიზმის უსაფუძვლობა ეჩვენებინა და სწორი პერსპექტივა დაენახებინა.

აი, განვაგრძობთ ილიას წერილის კითხვას და ჩვენ ვხედავთ, ბუმბერაზმა ქართველმა მწერალმა როგორ ააფეთქა ეს დახვეწებული პესიმიზმის ფილოსოფია, ეს მოთქმა ცხოვრების ამაოებაზე. ილიამ, რომ იტყვიან, პირდაპირ ქვეშით გახეხა პესიმიზმის მოციქულთა მოძღვრება, ქვა ქვაზე არ დასტოვა მისგან. და ეს მან შესძლო არა მარტო იმიტომ, რომ უბადლო პოლემისტი იყო, არამედ, პირველ რიგში, იმიტომ, რომ სწორი თვალსაზრისი იპოვნა, სწორი ასპექტი მონახა, საიდანაც გამოჩნდა, რომ ცხოვრება ამაოთ ამაოება კი არ იყო, არამედ ბრძოლის ასპარეზი იყო. სადაც უკეთესნი შვილნი კაცობრიობისა იღვწოდნენ ადამიანის ბედნიერებისათვის, ადამიანის სიხარულისათვის, იმ დიადი უფლებისათვის, რომ მზის თითო სხივი ყველას მოხვედროდა ამ დედამიწაზე.

ყველაფერი ამაოებააო, გაიძახოდა მეფე, რომლის უზარმაზარ ზღაპრულ სასახლეს იერუსალიმში აგებდა ოთხმოცი ათასი კალა-

ტოზი და სამოცდაათი ათასი შავი მუშა ეზიდებოდა მასალას. ილიამ აქ კამათი კი არ დაუწყო პესიმიზმის მოციქულებს; მან სწორი გზა გამოჩინა იმიტომ, რომ უარპყო ექსპლოატატორის თვალსაზრისი, მჩაგვრელის თვალსაზრისი და გადაჭრით დადგა ექსპლოატირებულის, მშვიერის, დაჩაგრულის პოზიციაზე და აი მაშინ ერთბაშად მზესავით გამოაშუქა იმ ცხოველმყოფელმა ოპტიმიზმმა, რომლის შესაგრძნობად უძღურია თვალი და ყური, აზრი და გონება ყველა იმათი, ვინც საუკუნეთა მანძილზე ცხოვრების ამაოებას ქადაგებდა. აი როგორ უპასუხა ილიამ მოთქმას იუდეველთა შეფისას, რომელიც სულის აღრჩევასზე გოდებდა:

„მადლარი მშვიერს წვრილად უფხვნიდაო, რომ იტყვიან, სწორედ ეს არის. ამ დალოცვილს ყველაფერი, რაც კაცის სანატრელია და დამატებობელი, ხელთა ჰქონია, ასე რომ ქვეყანაზე სხვა აღარა დარჩენია-რა სასურველი... აბა პატარა დაიქვეითონ და ზოგი ჩვენა გვკითხონ, ჩვენ, მდაბიოთა, სიკვდილის შვილთა, რომელთაც ყველაფერი გვენატრება, რომელნიც ყველაფერს სისხლით, ოფლით, წვითა და დაგვით ვმოულობთ და წილად გვხვდომია იმავე წვითა და დაგვით ნაშოვნ-ნაამაგვეი დაიცივათ და შევირჩინოთ. ჩვენა გვკითხონ და ჩვენ ვეტყუით რაშიაც არის აზრი და საგანი ცხოვრებისა. მაშინ გამოჩნდება რა არის ცოდვა, რა არის მადლი, მაშინ ერთნაირად გაისაზღვრება ერთიცა და მეორეც ყველგან, ყველასათვის და ყოველ შემთხვევაში“.

ამ წერილის დაწერიდან სამი წლის შემდეგ ილიამ დაამთავრა თავისი „ოთარაანთ ქერივი“. არის ამ მოთხრობაში ერთი სცენა, რომელიც თითქოს ამ წერილის აზრის გავრცელებას, მხატვრულ ნათელყოფას წარმოადგენს; იქაც ცოდვა-მადლის კრიტერიუმს ყძებს ილია და იქაც მართლაც ქეშმარიტ პასუხსა პოულობს, რადგანაც არა ამა ქვეყნის მძღაერთა, არა მჩაგვრელთა, არამედ ხალხის პოზიციაზე დგას. ამ მოთხრობაში არჩილი ახსენებს კესოს:

„— გახსოვს, რა გვითხრა პაატამ, როცა ჩვენთან ქალაქში ჩამოვიდა იმ საშინელ თოვლ-ჰყაპში სამი მანეთის სათხოვნელად და მე გავეხუმრე:

— ბიჭო, სამი მანეთისათვის ამ სიშორედ როგორ წამოხვედითქი ამ ვაივაგლახში! — „აი, ბატონოო, თქვენ რა იცით ხურმა რა ხილიაო, — ითხრა უზრდელობით და არა წყენისათვის: — აქედან რომ მივალ, ნაჯაფევი, გზისაგან გალახული, თოვლ-ჰყაპისაგან გაწუწულ-გალაფული და ჩემს დაძინებულ საბანში ცახცახით გავენვევი და მივეგდები — რა ტკბილად დამეძინებაო, თქვენ ისე თავის დღეში ვერ დაიძინებთო“. იმათთვის ძილი მართლა მოსვენებაა,

მართლა აღდგენაა დახარჯული ღონისა, ჩვენთვის კი ნებიერობაა, ღონის გასიებაა, დამძიმებაა, წყალმანკია, იმიტომ, რომ ჩვენი ლევილიც ძლია. საქმეა სიცოცხლე. 'ეს არის იმათი კარგი და ამით გეჯობნიან“.

და შემდეგ არჩილი განაგრძობს: „— ცხოვრება მაინც იმათშია: იქა ჰდულს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვიცა... მაშ რა სწნავს იმისთანა კაცურ კაცს, როგორც გიორგი იყო ან იმისთანა დედაკაცს, როგორც ოთარაანთ ქვრივია; მაგისთანა მართო იმათ თონეშილა ცხვება, ჩვენი თონე კი მართო ჩვენისთანა კუტ პურს აცხობს“.

უფრო ნათლად თქვა ილიამ ეს აზრი თავის წერილში „მეცხრამეტე საუკუნე“:

„დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა და აქ არის სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალ საუკუნეს. მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება — ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილებით მოიმოქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უაღრეს და უდიდეს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით“.

ასე ბრწყინვალედ გადასჭრა ილიამ ის წყეული საკითხი, რომელიც საუკუნეების მანძილზე აწუხებდა ადამიანის გონებას, ასე მოძებნა მან ის ლარი, ის საზღვარი, რომელიც გაპყოფს ცოდვასა და მადლს, კეთილსა და ბოროტს.

ილიამ კარგად იცოდა, რომ კეთილი და ბოროტი, ცოდვა და მადლი ცარიელ ფრაზეზად დარჩებიან, თუ ისინი განხილულნი არ იქნენ კლასობრივი ბრძოლის ასპექტში, ნათელი ჰუმანიზმის ასპექტში. ილიამ კარგად იცოდა, რომ სინამდვილეში ყველაფერი დამოკიდებულია გარემოებებზე, ადგილზე და დროზე და წინანდელი საერთო ფრაზები, რომლებითაც მსჯელობდნენ ცოდვასა და მადლზე ისე, რომ მოკლენის წარმომშობს გარემოებას და მიზეზებს არ ითვალისწინებდნენ, ეს ზოგადი, განყენებული ფრაზები არადამაკმაყოფილებელნი არიან. ილიამ ისიც კარგად იცოდა, თუ მთელი პესიმიზმი რა სოციალურ ფესვზე იყო აღმოცენებული.

•

ჩვენ საკითხს, ცოტა არ იყოს, გადავუხვიეთ. „ივერიის“ 1885 წლის თებერვლის ნომრის „შინაურ მიმოხილვას“ ვარჩევდით და მერე „ოთარაანთ ქვრივსაც“ გადავსწვდით, ილიას წერილი „მეცხ-

რამეტე საუკუნეც“ მოვიშველიეთ, რომელიც იმ „შინაური მიმო-  
ხილიდან“ თხუთმეტი წლის შემდეგ დაიწერა. დროა ისევ ჩვენს  
თემას, ისევ ილიას „შინაურ მიმოხილვას“ დაეუბრუნდეთ, ილიას  
ისევ იმ უძილო ღამეს დაეუბრუნდეთ.

ეკლესიასტეს წიგნთან კამათი რომ მოითავა, იმავე წერილში  
ილიამ განაგრძო:

„ყველა ყველაო, მეტყვიან: შენ შინაური მიმოხილვა დაგვირდი  
და მაგას რაებსა კბოდავო. ღმერთი-რჯული მეც არ ვიცი, რაებსა  
ვბოდავ. ეს კი ვიცი, რომ მართლა ვბოდავ. როგორღაც გზაკვალი  
ამერია და დავიბნიე, თავი სინანულით დავიწყე და ღამის წაწყ-  
მედის გზაზე გავიდე და სამგლე გოქსავით გავისისწვრივო. იქნებ  
არ დიჯეროთ და ერთი საოცარი, უცნაური სენი დამჩემდა. ამბო-  
ბენ, ეს სენი მარტო მე არა მჭირს. თურმე ნუ იტყვით ყველას, ვი-  
საც კეჟასთან რაიმე საქმე აქვს, იმათაც ის ემართებათ, რაც მე.  
დაფიქრდები რაზედმე თუ არა, ან ჩაუკვირდები რასმეს, ერთი  
რადაც სულთამხუთავივით ამეკიდება თვალწინ და არა მშორდება“.

გარეთ ისევ ბნელი ღამე დგას.

და უეცრად ილიას ახსენდება ერთი ძველი ხალხური თქმუ-  
ლება: იმ თქმულების მიხედვით, მამლის პირველ ყვილამდე მთელი  
ცა და ქვეყანა ათასნაირი მავნეთი და არაწმინდა სულით არის საე-  
სე, ხოლო რა წამს მამალი იყვილებს, ყველა წყუელი ქვესკნელს  
მიდისო. ილია მარჯვედ იყენებს ამ ხალხურ თქმულებას და  
სწორედ ამიტომ ამბობს იმ სულთამხუთავზე, რომელიც მას  
თავზე წამოსდგომია; მკითხველისათვის გასაგებია, ვინ არიან  
ეს მავნენი და არაწმინდანი; ესენი მეფის რეჟიმის მსახურნი არიან,  
ბობოლა მოხელენი, მჩაგვრელნი, ექსპლოატატორნი, რომელთაც  
სწორედ იმ ბნელ ღამეში შეუძლიათ აკეთონ თავიანთი ბნელი  
საქმე: ამიტომ უცდის პოეტი იმ მამლის ყვილს, უცდის დიდი  
ხანია და ამ ლოდინში ასეთი მწარე სიტყვები აღმოხდება გულიდან:

„ახლა კი საათი ქვეყნისა მოშლილია და არ ვიცი ამჟამად მამ-  
ლის ყვილამდე ბევრი დრო დარჩა კიდევ თუ არა. ვზივარ და  
შეგყურებ სულთამხუთავს, ვზივარ ლოდინით დაღალული და ვნატ-  
რობ მამლის ყვილსა. როდემდის უნდა ვილოდინო, როდემდის!  
შე დალოცვილო. მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყვილებ!“

თითქოს აღარ არის იმედი, ბოლო სიტყვა თითქოს ვეღარ  
უპოვია ილიას. „ჩალიან შევეტოპე და თავს ბოლო ვეღარ გა-  
მოვაბიო“, — ამბობს, „რით დაგისრულოთ სიტყვა, არ ვიციო“.  
„ჩემგან ნაჩვენებ ბარდებში გზა თითონ გაიგნეთო“; მწერლის  
მოდლილი ხელი ისევ ეკლესიასტეს წიგნს გადასწვდება და თითქოს

სასხვათაშორისოდ ამოწერს ილია თავის სტატიის ბოლოს სოლო-  
მონის სიტყვებს:

„უამი შობისად და უამი სიკვდილისად, უამი დანერგვად და უამი  
აღმოფხვრად დანერგულისა, უამი წყლულებად და უამი კურნებად,  
უამი დარღვევად და უამი შენებად, უამი ტირილად და უამი სიცი-  
ლად, უამი გოდებად და უამი განცხრომად, უამი განყრათ ქვათა და  
უამი შეკრებად ქვათა, უამი გარდახვევად და უამი განშორებად გარ-  
დახვეულისაგან, უამი დუმილისად, და უამი მეტყველებისად, უამი  
სიყვარულისად და უამი სიძულვილისად, უამი ბრძოლისად და უამი  
მშვიდობისად“.

ილია ამას უმატებს: „აი თურმე სად უნდა ვეძებოთ პასუხი იმ  
წყეული ამოცანისა, აი თურმე სად უნდა მოიძებნოს აზრი ცხოვ-  
რებისა“.

მართლაც დამთავრდა ეს შესანიშნავი წერილი, მართლაც მო-  
ძებნილია პასუხი. ხომ ამბობდა „აჩრდილში“ პოეტი: შრომა აწ  
ქვეყნად ტყვედა პყრობილი, მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებუ-  
ლა, ხოლო რღვეულა მისი ბორკილი და დასამსხვრევად გამზადე-  
ბულა; მამ უკვე მოახლოებია აღსასრული იმ ძველ სამყაროს, გარ-  
დასვლია უამი შენებისა და მოახლოებია უამი დარღვევად, წარსულა  
უამი მისი სიცოცხლისა და მოახლოებულა უამი მისი სიკვდილისა,  
მოახლოებულა უამი სიცილისა, რომელიც უნდა ისმოდეს ქვეყნად,  
გოდებისა და ტირილის ნაცვლად. აქ გაბედულად არის ნაწინასწარ-  
მეტყველები მოახლოება თავისუფლებისა, რევოლუციის ქარიშხ-  
ლისა, რომელსაც, ილიას აზრით, სწორედ მეოცე საუკუნეში უნდა  
გადაეჭრა ყველაზე უღიადესი და უღარესი ამოცანა ადამიანის გან-  
თავისუფლებისა.

და ეს ხომ ილიას ნაწარმოებთა დედააზრიც არის, ამას შესტრ-  
ფოდა ის მთელი სიცოცხლის მანძილზე, ამისთვის იღწვოდა და  
როგორც მამაცი მეომარი, ისე დაეცა ბრძოლის ველზე. წიწამურის  
გზაზე, უღრან ტყეში დაიმართახელა ბნელეთმა და აქ ესროლა  
თვითმპყრობელობამ მას ის ტყვია, რომელსაც მის მოსაკლავად  
ასხამდა ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

გავიდნენ ათეული წლები. იმ მამალმა, ილია რომ ელოდა საგუ-  
რამოს ბნელ ღამეში, დიდი ხანია იყივლა ქვეყნად, დადგა უამი  
სიცოცხლისა და მშვიდობისა, რომელსაც შორიდან შეკზაროდა  
ილია ჭავჭავაძე — სული და გული ჩვენი ხალხისა, სინდისი და  
პატიოსნება საქართველოსი.

## აპაკი წარეთელი და საქართველო

აჲ ვიცი, საიუბილეო წერილისათვის ეგებ ცოტა უჩვეულო იყოს, მაგრამ მაინც მინდა ეს წერილი ერთი ეპიზოდით დავიწყო, რომელიც ნაცნობმა ინჟინერ-მშენებელმა მიაგებო. ეს ინჟინერი იყო უნებური მოწმე იმისა, თუ თანამედროვეობის ორმა დიდმა მესიტყვემ — შალვა დადიანმა და ალექსეი ტოლსტოიმ როგორ გაიხსენეს აპაკი წარეთელი და თქვეს მისი სადღეგრძელო, როგორც საქართველოს მარად ცოცხალი სულისა, პოეტისა, რომლის სახეშიც ქართველმა თავისი ხალხის უკეთილშობილესი თვისებები დაინახა, სამუდამოდ შეიყვარა და უკვდავყო. ინჟინერი, რომელმაც ეს ამბავი გადმომცა, თანამდებობით „სამუშაოთა მწარმოებელი“ იყო, რუსულად შემოკლებით „პრორაბს“ რომ ეძახიან, ხოლო ძველი ქართველები, ჯერ ისევ მეცხრე თუ მეათე საუკუნეში, როგორც ჩვენი ისტორიკოსები აღნიშნავენ, თურმე ხან ზედამომგეს და ხანაც ზედამდგომელს ეძახოდენ. კაცმა რომ თქვას ეს ზედამდგომელი გაცილებით სჯობს წაგრძელებულ სამუშაოთა მწარმოებელს, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვამ მოიტანა, ეს ჩვენი თემა არ არის.

ჰოდა, ქვემოთ მოყვანილი ამბავიც ამ „პრორაბმა“ თუ ზედამდგომელმა მიაგებო. ეს იყო ლიტერატურით და პოეზიით გატაცებული კაცი და ძლიერ კარგადაც იცნობდა ამ სფეროს ადამიანის სულიერი ცხოვრებისას, იცნობდა ჩვენს მწერლებს არა მარტო წიგნების მიხედვით, არამედ იცნობდა მათ ქუჩაზეც, ყველგან სადაც არ უნდა შეხვედროდნენ ისინი.

— ცხრაას ოცდათვრამეტი წელი იყო, — ასე დაიწყო მან თავისი ამბავი, — საქართველოს მთავრობის სასახლეს ვაშენებდით, მაშინ მე რიგითი მშენებელი ვიყავ. შაბათ დღეს ხელფასები მივიღეთ და მშენებლებმა გადაწყვიტეს „ინტურისტის“ რესტორანსა სწვევოდნენ; მეც მთხოვეს წამოგვეყო, უარი ველარ ვუთხარი და

ექვსი კაცი მივადექით „ინტურისტის“ კარს. ახლა იქ რომ შეხვალ, გამოიხედავ და ვეება სასახლე აიშართება შენს თვალწინ, იმ დროს კი იქ ჩვენი ხარაჩოები ჩანდა და ბეტონსარეგები ღულუნებდნენ; შევედით და დავსხედით. შეკვეთის მიცემა ვერ მოვასწარი, რომ რესტორნის ვეება კარი ფართოდ გაიღო, ხმაურზე გაიხედე და დავინახე, რომ ჩოხაში გამოწყობილ ახოვან ვაჟკაცს კარები ფართოდ გამოეღო და დარბაისლური ჟესტიით ვილაკას შიგნით ეპატიებოდა. მაშინვე ვიცანი, შალვა დადიანი იყო, აბა ვინ არ იცნობდა იმას თბილისში. ქართული ჩოხა და შიგნით ქათქათა თეთრი ახალუხი ეცვა.

გულმა იმავე წუთს მიგრძნო, რომ აქ რაღაც უჩვეულო ხდებოდა, რომ შალვას ვილაკ საპატიო სტუმარი მოჰყავდა.

ამის გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, რომ კარებში ალექსეი ტოლსტოი და მისი მეუღლე ლუდმილა ბარშევა გამოჩნდნენ. ტოლსტოი მაშინვე ვიცანი, მისი ბევრი პორტრეტი მენახა, გამიკვირდა კიდევ მისი აქ დანახვა. გაზეთებიდან ვიცოდი, რომ ის ესპანეთში იყო, სადაც იმ დროს იღვწებოდა ყველაფერი, ისეთი ომი იყო ატეხილი. ჩანს, დაბრუნებულა და საქართველოს სწვევია-მეთქი გავფიქრე.

რაღაც ბედზე ისინი სწორედ ჩვენს გვერდით დასხდნენ და ამიტომ მათი ყოველი სიტყვა მესმოდა. დარბაისელმა ქართველმა მასპინძელმა რას ინებებთო, ჰკითხა სტუმრებს.

— ყველაფერი მხოლოდ ქართული! — წამოიძახა ტოლსტოიმ.

— ყველაფერი ქართული! — დაუდასტურა მეუღლემ.

შალვას სახე გაეზადრა, შეკვეთები მისცა და მერე კრუშონის გასაკეთებლად ჭურჭელი მოითხოვა. როგორც კი ჭურჭელი მოიტანეს, მან ჩოხის სახელოები გადაიკეცა, დაიკაპიწა და ატმის გათლა დაიწყო. თვალი ვეღარ მოვწყვიტე, ყველაფერი ეს ჰგავდა რაღაც სასწაულმოქმედებას. თითქოს ის სასმელს კი არა, უკვდავების წამალს ამზადებსო. თანაც ერთ წუთსაც სტუმრები არ მოუწყენია. საქმეში გართულმა ღიმილით გადაჰხედა მათ და ჰკითხა იმ მასპინძლის თავისებური სილადით, როცა კითხვა უკვე გულისხმობს პასუხს და ამიტომ კითხვა თამამია, გულგახსნილიც არის და გულისგამხსნელიც, მხიარული და ლაღი, და ვისაც ეკითხებიან, იმის გულსაც აღებს და ამხიარულებს. აი ასე ჰკითხა შალვამ.

— როგორ მოგეწონათ ჩვენი თბილისი?

— მე თბილისში პირველად როდი ვარ, შალვა ნიკოლოზის ძევე! — უპასუხა ტოლსტოიმ, — მე თქვენს ქალაქს ოცდასამი წლის წინ გავეცანი.. ცხრაას თხუთმეტი წელი იყო და მე მაშინ ოფიცრის



პაგონები მეკერა მხრებზე, სამხედრო კორესპონდენტი ვიყავ და თურქეთის ფრონტზე მივდიოდი.

— ცხრაას თხუთმეტში? — იკითხა შალვამ და ჩაფიქრდა, თითქოს რალაცას იხსენებდა, მერე უცებ გაუნათდა სახე, ალბათ მოაგონდა სად იყო მაშინ თვითონ.

— დიახ, აგრე იყო, — განაგრძო ტოლსტოიმ, — ღამით ჩამოვედი ქალაქში... ახალი მთვარე ის იყო ჩადიოდა იქით, — საღლაც წყნეთისაკენ გაიშვირა თითი ტოლსტოიმ, — მთებისაკენ მიმასწავლეს გზა და იმ მხარეს შევყვევი, ჩინარებისა და კიპარისების ჩრდილები აჩნდა ყოველი სახლის კედელს... ჩავიდა მთვარეც და მთაწმინდაზე აღმასივით გაბრწყინდა მწუხრის ვარსკვლავი. იმის აქეთ, მარჯვენა მხარეს აელვარდა დამაბრმავებელი თანავარსკვლავედი ორიონისა. იმის დაბლა კი ერთმანეთში ირეოდნენ ვარსკვლავები და ცეცხლები, რომლებიც მთებზე ენთო. მე მივდიოდი ზევით, იმ მთებისაკენ.

— სად მიბრძანდებოდით, ალექსეი ნიკოლოზის ძე? — ჰკითხა დადიანმა.

— ჰმ, — ჩაიცინა ტოლსტოიმ, — პოეზიიდან პროზის ქვეყანაში. მე ვეძებდი სრულიად რუსეთის ე. წ. „ზემსკი სოიუზის“ კავკასიის განყოფილებას. მიხვეულ-მოხვეულ შესახვევებით ავბობლდი ერთ ჩაბნელებულ სახლამდე. ქიშკართან ავტომობილი თუხთუხებდა, ამით მივაგენი. კარებთან იარაღსმული ჩერქეზი იდგა. მან გამატარა რალაც საწყობებსა და კანცელარიებზე და თავად სუმბათაშვილთან შემიყვანა: ეს იყო უფროსი კავკასიის განყოფილებისა, დიდი საქმე ებარა. ეს სახლი გულივით იყო და სამი არტერია მიდიოდა აქედან ბათუმსა, ოლთისსა და იგდირში, გზა სამივე ამ პუნქტისაკენ მოფენილი იყო ჰოსპიტლებით, შემხვევი პუნქტებით, სასურსათო ბაზებდით. დიდხანს ვესაუბრე თავადს.

— მაგრამ ყველაფერი ეს საინტერესო არ არის, — ჩაიქნია ხელი ტოლსტოიმ, — ყველაზე მეტად მე მეორე დღე დამახსოვდა, როცა თბილისში ლეჩაქების ზღვა დავინახე.

შალვამ ინტერესით შეხედა სტუმარს. ტოლსტოი კი განაგრძობდა:

— მეორე დღით გამოვეთხოვე სუმბათაშვილს და აი ამ პროსპექტზე ჩამოვედი, — ტოლსტოიმ თითით ანიშნა რუსთაველის პროსპექტზე, — ოოხი საათისათვის ქუჩა სავესე იყო ხალხით, ოფიცრებით, ჯარისკაცებით და კიდევ იყვნენ კაცები ჩოხებში, ნაბდებით და კიდევ იყვნენ აუარებელი ქალები ჩიხტიკოპებით და გრძელი ლეჩაქებით.

რალაც ხდებოდა ქალაქში და მე ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა. ყავახანაში შევედი; მაგიდას უსხდნენ ქართველი ოფიცრები, ახალგაზრდა კორნეტები ჩოხებით, ოქრო-ვერცხლით მოქედილი ქაბრებით, ლალად უკან გადაგდებული ყაბალახებით. მე დავჯექი თავისუფალ მაგიდასთან; ჩემს ახლოს მაგიდას უსხდნენ ორი კორნეტი და ახალგაზრდა ქართველი ქალი ნაღვლიანი თვალებით. ისინი საუბრობდნენ და მე ვხედავდი, რომ რალაც განსაკუთრებული სევდით შესცქეროდა ის ქალი თვალებში ახალგაზრდა კორნეტს, თვითონ კორნეტის სახეს ვერ ვხედავდი, ზურგით იჯდა ჩემსკენ, აი ასე ახლოს, როგორც ეს ყმაწვილები, — თქვა ტოლსტოიმ და თითო ჩვენზე აჩვენა, მერე განაგრძო:

— დიახ, უღიმოდა ის ქალი ჭაბუკ კორნეტს, რალაცას ევედრებოდა, კორნეტი კი მხრებს იჩეჩავდა და ის რალაცით მაგონებდა მე ლერმონტოვს, იქნებ იმიტომ, რომ ისიც კორნეტი იყო. უცებ მათ მაგიდას მესამე ოფიცერი მიუახლოვდა, ქალს ხელზე აკოცა. მერე ოფიცრებს მიუბრუნდა და წამოიძახა: „მოგილოცავთ, უკვე გადაწყდა, პარასკევს ბრძოლის ველზე მივდივართ“.

ეს სიტყვები მან ხმამაღლა და ზარ-ზეიმურად წარმოსთქვა.

ეს კორნეტი უცებ სკამზე შემობრუნდა და მისი სახე პირველად დავინახე; ეს იყო ლამაზი ქართველი ბიჭი, ჯერ ისევ სრულიად ყრმა. იმ ქალმა კი ჯერ დახუჭა თვალები, მერე გაახილა და ვატყობდი, რომ ყველა ხილული საგანი დაიკარგა მისთვის — უცქეროდა იმ კორნეტს ჩუმად, დარდიანად, უცქეროდა როგორც განწირულს. ჭაბუკმა ვეღარ გაუძლო მის თვალებს, მის მღუმარე საყვედურს, წამოდგა, რალაც ჩასჩურჩულა ქალს და გასცილდა მათ.

უეცრად ქუჩაზე გაისმა ნაღვლიანი საგუნდო სიმღერა, ისეთი ყოვლისმომცველი, თითქოს გუნდი კი არა, მთელი ქალაქი მოსთქვამსო. გადავიხედე — ისე უეცრად როგორც წყალდიდობის დროს იცის, ქუჩა ავსებულყოფილი ხალხით. მოდიოდნენ ქართველები. ქუდები მოეხადათ და ხელში ეჭირათ, მოდიოდნენ ლეჩაქდაბურული ქალები. ლეჩაქები... ლეჩაქები... ლეჩაქები... მოდიოდა ლეჩაქების ზღვა, ლივლივებდა ნელ-ნელა და ჩამავალი მზის სხივები დანათოდნენ იმ ლეჩაქებს... მოქონდათ შავარშიამოვლებულადაბლა დახრილი ქართული ბაირალეები. უცებ მივხვდი, რომ ეს ხალხი თავის ბაირახტარსა გლოვობდა. გუმანმა არ მიმტყუნა. მალე დავინახე, რომ წინ მოქონდათ მოოქროული სახურავი კუბოსი. მერე ისევ დროშები, ისევ ქალები ლეჩაქებით და ქუდმოხდილი მამაკაცები. ოთხი შავი ცხენი იყო შებმული და მათ მოქონდათ ღია სამგლოვიარო ეტლი და მასზე ბროლის კუბო იდგა. ის ჩემი

ყრმა კორნეტი და ის ქალიც კუბოს მოსდევდნენ, ტიროდნენ, ხოლო კუბოში აკაკი წერეთელი იწვა და მის უკან მოღელაუდა, მოირხეოდა ცრემლებისა და ლეჩაქების ზღვა.

შალვა დადიანს უნებურად შეეკმუხნა ფართოდ გაშლილი წარბები. ტოლსტოი კი კვლავ განაგრძობდა საუბარს და ჩვენს თვალწინ დგებოდა ცხრაასთნუთმეტი წლის თებერვლის მგლოვიარე საქართველო, მთაწმინდისაკენ რომ მიაცილებდა თავის, დიდებულ მებაიარახტრეს.

• • •

ვისაც რუსთაველის პროსპექტზე გაუვლია, არ შეიძლება სამხატვრო გალერეის პირდაპირ, ყვავილებით მორთულ კოხტა ბალნარში არ შეენიშნა ძეგლი, სადაც მხარდამხარ დგანან ილია და აკაკი — უძლიერესი ბურჯები მე-19 საუკუნის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, სიბრძნის ორი დედაბოძი, რომელთა მხრებზე დაყრდნობილი იყო იმდროინდელი საქართველო. ისინი კონგენიალურნი იყვნენ. ისინი იყვნენ ნამდვილი სულიერი მოძღვრები ხალხისა, მემკვიდრენი ქართული ლიტერატურის დიდი წარსულისა და ღვიძლი შვილები სამოციანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისა.

ას ოცი წლის წინ, ზემო იმერეთში, სოფელ სხვიტორში გაახილა პირველად თვალი ამ შესანიშნავმა ქართველმა. ექვს წლამდე პატარა კაკო (ასე ეძახდნენ აკაკის სიყმაწვილეს) გლეხის ოჯახში იყო მიბარებული აღსაზრდელად.

რვა წლისა იყო აკაკი, როცა სოფელს მოაშორეს და ქუთაისის გიმნაზიაში შეიყვანეს. რვა წლის განმავლობაში დარჩა ის ქუთაისის გიმნაზიაში, შემდეგ სამხედრო სასწავლებელში შესვლაზე ოცნებობდა. რატომ მიუწყედა გული პოეტს ჯარისაკენ? ამას ყველაზე კარგად თვითონ აკაკი წერეთელი გვიხსნის, „ჩემს თავგადასავალში“. ის აგვიწერს, თუ როგორ ჩაესახა ოცნება გამხდარიყო სამხედრო პირი. ერთ საღამოს ის შესწრებია თავისი ფრანგულის მასწავლებლის ტურესისა და პოლონელი როძიევიჩის საუბარს; ფრანგმა დიდი რევოლუცია მოიგონა და ალტაცებით დაიწყო ლაპარაკი. სტუმარმა პოლონეთი გაიხსენა, და მოხსნეს თავი სიფრთხილეს, მით უფრო, რომ იქ იმ ორის და ჩემს მეტი არავინ იყო. იმათმა საუბარმა ისე გამიტაცა, რომ რაღაც უჩვეულო სასუფეველი ვიგრძენი, სმენად გადავიქეცი. ბოლოს თქვა ამოოხვრით როძიევიჩმა: — „ახლა რაღა დროს გწუხვარ, რომ სამხედრო სამსახურში არ შევედი, რომ სარდალი გავმხდარიყავ და მარჯვე დროს ქვეყნისათვის კონრადივით სამსახური გამეწია!“

ეს რომ ჩამეწვეთა ყურში, ჩემი თავი ვეღარ ვიცანის იმ ღამეს აღარ დამეძინა. ვამბობდი: „რა მინდა უნივერსიტეტში? რა კარგი იქნება სამხედრო სამსახური? ოდესმე სარდალი გავხდები რაც აღრე შევუდგები საქმეს, ის აჯობებს“.

უფრო აშკარად გამოთქვა თავისი ეს სურვილი აკაკიმ შემდეგ ლექსში:

ერთი რამ მკლავდა მხოლოდ მე  
და მისივებდა ის გულსა,  
რომ ჩემს სამშობლოს ვხედავდი  
სხვებისგან დამონებულსა.  
მე მიცქევიჩის გმირებში  
მომწონდა ვალენროდიცა,  
ის მამხნევებდა ეპეკაცად,  
გულს შორდებოდა ლოდიცა.  
მეც გამიტაცა ოცნებამ,  
რომ შეეწეოდი მხარესა  
და, ბოლოს ტკბილის მომლოდნე,  
უშიშრად ესეამდი მწარესა.  
და დავაპირე მხედრობა,  
რომ ხელში მეგდო სარდლობა,  
და, მოლაღატედ დასახულს,  
ბოლოს მიმეღო მადლობა.

აი, რატომ ოცნებობდა აკაკი სამხედრო სამსახურზე — მას კონრად ვალენროდობა ენატრებოდა, სამშობლოს განთავისუფლებაზე ოცნებობდა. ეს იყო მისი მუდმივი ფიქრის საგანი.

აკაკის მამამ — როსტომ წერეთელმა ეს რომ გაიგო, გაუხარდა შვილის პატრიოტული მიდრეკილება და ნება დართო სამხედრო სასწავლებელში წასვლაზე. ამ განზრახვის განსახორციელებლად ახალგაზრდა აკაკი წერეთელი პეტერბურგს გაემგზავრა. პეტერბურგში ჩასვლისას მან რამდენიმე პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა თავისი ოცნების გასახორციელებლად, მაგრამ იქ მყოფი ქართველი სტუდენტების ზეგავლენით ჩქარა გადაიგდო გულისდან სამხედრო ასპარეზზე მოღვაწეობის სურვილი და შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე.

ეს იყო მშფოთვარე და ქარიშხლიანი მესამოცე წლები. ამ წლების შესახებ აკაკი წერეთელი „ჩემს თავგადასავალში“ წერდა:

„მესამოცე წლებში იტალია და უნგრეთი ცდილობდნენ განთავისუფლებას და ებრძოდნენ ავსტრიას. გარიბალდი, მაძინი და კოშუტი გაუხდათ ყველა შეგნებულ მამულიშვილებს იდეალად; სწორედ იმ დროს მოვიდა სარატოველი სემინარიელი ჩერნიშევსკი,

ჩაუდგა სათავეში ჟურნალ „სოვერემენიკს“ და დობროლუბოვთან, ანტონოვიჩთან, ნეკრასოვთან და სხვებთან ერთად დასცა რუსეთს ყიჟინა. ამოძრავდა რუსეთი“.

აქ ნათლადაა ნაჩვენები ის იდეური წყაროები, რომელთა ზეგავლენითაც ყალიბდებოდა თერგდალეულთა მსოფლმხედველობა. მათ იტაცებდა ის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მჩაგვრელთა წინააღმდეგ ევროპაში დაიწყო დაჩაგრულმა ერებმა. ხალხთა ბორკილის მტვრევის ეს ხმა მკაფიოდ ისმოდა მთელ მსოფლიოში. წარმტაც მაგალითს აძლევდნენ დაჩაგრულ ხალხებს ეს ადამიანები — ბრძოლისა და თავგანწირვის მაგალითებს. მიუხედავად ველური საცენზურო ტერორისა, სამოციანი წლების ახალგაზრდობისათვის ეს მოვლენები უცნობი არ იყო. მათ იცოდნენ რისთვის იბრძოდნენ მაძინი და გარიბალდი, მათ იცოდნენ როგორ ხვდებოდა ამ ბრძოლას მთელი მოწინავე კაცობრიობა, იცოდნენ, რომ როცა გარიბალდი გასცილდა თავის სამშობლოს საზღვრებს, მას ზარბაზნების სალუტით და ზარების რეკვით ხვდებოდნენ, ქუჩაში მას ქალები აჩერებდნენ, ხელებსა და მაზარის კალთებს უკოცნიდნენ. ეს სტიმულს აძლევდა და რომანტიკულ შარავანდედსა ჰმატებდა ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტულ გრძნობას, — ახალგაზრდობის, რომელიც იმ დროს მსოფლიოს მოწინავე იდეებს ეზიარებოდა.

მეორეს მხრით, თავის სოციალურ პროგრამას თერგდალეულები რაზნოჩინელების იდეური ზეგავლენით ჰქმნიდნენ. თუ გარიბალდის და მაძინის მაგალითი ამხნევებდა მათ საქართველოს ნაციონალური თავისუფლებისათვის ბრძოლაში, სამაგიეროდ ჩერნიშევსკისაგან სწავლობდნენ სოციალური ბრძოლის მრისხანე ტაქტიკას. ბუნებრივი იყო, რომ თერგდალეულებმა ხალხის სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის პირობებში, — იმ პირობებში, როცა საქართველო კოლონიური ძარცვა-გლეჯის და მეფის მოხელეთა თარეშის არენად იყო გადაქცეული, — საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა ორგანულად და განუყრელად დაუკავშირეს კლასობრივ ბრძოლას, სოციალური თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლას.

დაეწაფნენ რა ამ იდეურ წყაროებს, თერგდალეულებმა ამ გზით გააფართოვეს ქართველი ხალხის გონებრივი პორიზონტი. ევროპის მოწინავე იდეებმა უფრო გაანაყოფიერეს ჰუმანიზმის ის დიდი ტრადიცია, რომელიც მუდამ ცოცხალი იყო ქართულ ლიტერატურაში. თერგდალეულებმა კარგად იცოდნენ, რომ ის ხალხი, რომელიც მართო საკუთარ ტრადიციებსა და გადმოცემებში ჩაიკეტება, რომე-

ლიც გარდაუვალ კედლებს შემოავლებს თავის კულტურასა და აზროვნებას — განწირულია დასაღუპავად.

საქართველოც მსოფლიო კულტურის ორბიტში უნდა მოქცეულიყო. ამ აზრით იწყებს აკაკი თავის მოღვაწეობას.

აკაკის უნივერსალიზმი საყოველთაოდ ცნობილია. მრავალ-მხრივი და მრავალფეროვანი იყო მისი ცხოვრება. მან შექმნა მთელი ეპოქა ქართული პოეზიის ისტორიაში, მან მოგვცა მგრძნობიარე და ღრმააზროვანი ლირიკა, რომლის არაჩვეულებრივი, მდიდარი ემოციურობა მკითხველს დღესაც იტაცებს და ჰხიზლავს. აკაკიმ გამდიდრა ქართული მწერლობა მშვენიერი მოთხრობებით და დრამატული ნაწერებით. ბასრი და ფხიანი იყო მისი კალამი პუბლიცისტიკისა და სალიტერატურო კრიტიკაშიც. არ დარჩენილა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრების არცერთი კუთხე, რომლის შესახებაც აკაკის საკუთარი სიტყვა არ ეთქვა; აკაკი, იმავე დროს, ხანდახან რეჟისორობდა ქართულ თეატრს, რომელიც მან ნაციონალურ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის იდეების მაღალ ტრიბუნად გადააქცია, აგროვებდა ქართული ფოლკლორის საუცხოო ნიმუშებს, მონაწილეობას იღებდა ყველაფერში, რაც კი სასარგებლო და ახალი საქმე დაიწყებოდა საქართველოში.

აკაკი და მეცხრამეტე საუკუნის საქართველო — განუყრელი ცნებებია.

მთავარი დამახასიათებელი თვისება აკაკის რეალიზმისა არის ხალხურობა; მის შემოქმედებაში ღირსეული გამოხატულება ჰპოვა ქართველი ხალხის ამოუწურავმა ნიჭმა, მისი სულის სიდიადემ, მისმა დაუცხრომელმა მისწრაფებამ თავისუფლებისადმი. ეს იყო ღრმა იდეების და მძლავრი ემოციების ლიტერატურა, რომელიც ლაპარაკობდა ხალხის ჭირსა და ლხინზე, მის წარსულსა და მომავალზე. აკაკის კილო ხალხური და სადა იყო, მაგრამ ამ სისადავეში ისმობდა გულამდე ჩამწვდენი მღელვარება, რომელიც ადამიანში წარუშლელ და განუმეორებელ შთაბეჭდილებას აღძრავდა.

ეს გრძნობის სიძლიერე და სიმკვეთრე აკაკის შემოქმედებას ემოციური ზეგავლენის უდიდესი ძალით ავსებდა. ლირიკა იყო მთავარი სტიქია აკაკის შემოქმედებისა. მაგრამ ხშირად, როცა პოეტი ხატავდა ჩვენი სამშობლოს ისტორიის დიდ ადამიანებს, მას ევიწროვებოდა ეს უანრი და პოემისა თუ პროზაული ნაწარმოებების წერასაც ამიტომ მიმართავდა.

აკაკი წერეთელი სინამდვილის ერთგული მხატვარი იყო. ესაა მისი შემოქმედების ერთი მხარე. და იმავე დროს ის როდი კმაყოფილდებოდა ემპირული ქვეყნის გამოსახვით. პოეტი ხშირად ეძლევა

რომანტიკულ ოცნებას, სტოვებს აწმყოს ნიადაგს და იდეალურ საქართველოს წარსულში ეძებს, უძლიერესია ის სიყვარული, რომლითაც პოეტი თავისი ხალხის წარსულს შესცქერის; მის შემოქმედებითს ფანტაზიას ხან უძველეს კოლხიდაში გადაყვებართ, — ამირანისა და მედეას მითიურ ქვეყანაში; ხან ათონის მთაზე — ამ ქართულ თეზაიდში, სადაც ყოფილი მხედართმთავრები, ვაჟაკობით სახელგანთქმული ქართველები განდევილთა საკნებში ჩაკეტილან და მიუტოვებიათ რა სამშობლო ქვეყანა — მაინც მისთვის იღწვიან, მასზე ზრუნავენ, ჰქმნიან მის კულტურას და მის სახელს ამალეზენ; ხან ვახტანგ გორგასალს წარმოგვიდგენს, რომელსაც აკაკის პოემის მიხედვით ცხოვრების სიბრძნეს ქართველი გლეხი ასწავლის. ხანაც ქართველი რაინდების სასიყვარულო და სამხედრო თავგადასავალს მოგვითხრობს, მოგვითხრობს ქართველი ხალხის დიდ ბრძოლებსა და ისტორიულ ტრაგედიას. ეს ნაწარმოებები გვიხსნიან ქართველი ერის იმ სულიერ თვისებებს, რომლითაც ჩვენმა ხალხმა ისტორიაში თავი გადაირჩინა და არ დამორჩილდა ველური ურდოების ყოვლის წამრეცხავ და გამანადგურებელ ტალდას.

არ მახსოვს, სადღაც წამიკითხავს თუ გამიგონია ეს საგულისხმო ლეგენდა, რომელიც აზიის ხალხებს შეუქმნიათ უხსოვარ დროს: ოდესღაც ცხოვრობდა ერთი მეტად სათნო, კეთილი და ბრძენი კაცი. თურმე ისეთი სიტყვის სიტკბო ჰქონდა, საბას გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მხეცთა კაცთა მსგავსად მოაქცევდის, ტინთა ცვილებრ დაადნობდის და ფრინველთა კაცურებ აუბნებდის. მაგრამ ამ სათნო კაცს, მარად სიკეთესა და სიყვარულზე მეოცნებეს, გულისტკენისა და წყენის მეტი არა ენახა-რა თავის გრძელ სიცოცხლეში — გული უკვნესოდა როცა ხედავდა, თუ როგორ აწიოკებდა დამჩაგვრელი დაჩაგრულს, ძლიერი — სუსტს, უფალი — მონას, მდიდარი ლატაკს და ბეჩავს; ველარ აიტანა ყოველივე ამის ყურება, გადასწყვიტა გასცლოდა სოფელს და როგორც განდევილი, დაყუდებულიყო უდაბნოში, სადაც ველარ გაიგონებდა მონის გმინვას.

და აი ბერიკაცი წავიდა კიდევ, მიაღწია უდაბნოსაც. გადახრუკულ ტრამალზე რომ მიდიოდა, უეცრივ ჰაერში ტყვიასავით წამოსული, დამფრთხალი ჩიტი შეუფრინდა ანაფორის უბეში. ჩიტს ქორი მოსდევდა და ქორმა კარგად დაინახა სად შეათარა თავი მისმა მსხვერპლმა. მოფრინდა ქორიც და განდევილს უთხრა:

— ახლავე მომეცი ეგ ჩიტიო!

ისევ შემოსტირა გულმა ბერიკაცს — განა ამ უსამართლობას არ

გამოეჭვა წუთისოფლიდან?! და გადაკრით უარი უთხრა მტაცებელს. მაშინ ქორი დაღონდა და ასე მიმართა განდევნილს:

— ვიცი რომ გეცოდება ეგ ჩიტი, მაგრამ მე რატომ არ გეცოდები... მე ხომ ახლა შიმშილით უნდა მოვკვდე.

მაშინ განდევნილმა უთხრა:

— ამ ჩიტის წონაზე მეტ ხორცს ჩემი სხეულიდან მოგიჭრიო.

ციდან სასწორი ჩამოეშვა — მის ერთ თეფშზე ჩიტი დასვეს, მეორეზე მკლავი მოიჭრა ბერიკაცმა და ის დააგდეს. თუმცა ის მკლავი პაწია ჩიტზე გაცილებით მეტი იყო, მაგრამ თეფშზე თითქოს არაფერი დაეგდოთ, ისევ ცაში იყო წასული, ჩიტიანი მხარე კი მიწამდე იყო დაშვებული.

გაუკვირდა ბერიკაცს და მეორე მკლავიც მოიჭრა, ისევ თითქოს არაფერი, მერე სულ გაიძარცვა ხორცისაგან და მარტო სული-ლა შერჩა. მაინც ძვრა არ დაეტყო სასწორს, ბოლოს, სასოწარკვეთილმა გაიმეტა თავისი სულიც, სიცოცხლეც და დაეცა სასწორზე. მაშინ-ღა გათანასწორდა სასწორის ორივე მხარე.

ძნელი გასაგები არ არის, რის თქმა უნდოდა ამ ლეგენდის შემქმნელს: თუ სიკეთისა და მადლის ჩადენა გინდა, არაფერი არ უნდა იანგარიშო, უნდა მთლიანად შეეწირო, მთელი სიცოცხლე გადასდო, უყოყმანოდ, უფიქრელად უნდა შეეწირო სიმართლეს, სამშობლოს, ხალხს, ქვეყანას.

ამ დღეებში აკაკის „ბაში-აჩუკი“ კვლავ რომ გადავიკითხე, გამახსენდა ეს ძველი აღმოსავლური ლეგენდა. თავის უკვდავ ნაწარმოებებში აკაკი ხატავს სურათებს, რომლებშიც ქართველები უღრტვინველად ეწირებიან საქვეყნო საქმეს და ამაყად კვდებიან. მათთვის არ არსებობს მამულზე უფრო მაღალი, უფრო წმინდა მცნება. ამ სიყვარულის გოდნობით აღვზნებული ისინი თამამად მიდიან უქვეელი სიკვდილის რისკზე. სამშობლოსადმი თავშეწირვის ეს იდეა აკაკიმ ძლიერად გამოხატა „ბაში-აჩუკში“; როცა შაჰ-აბაზი ქვეყნის აოხრების მუქარით მოითხოვს, რომ მას ნებით ჩაჰბარდნენ საუკეთესო შვილები ჩვენი ხალხისა — ელიზბარი, შალვა და ბიძინა — ეს უკანასკნელი უყოყმანოდ სწირაედენ თავს, ოღონდ საქართველოს განსაცდელი ააშორონ. აკაკი აგვიწერს სამეფო დარბაზის სურათს, სადაც მეფე და დიდებულნი შაჰ-აბაზის მოწერილი წიგნის შესახებ თათბირობენ:

„ზეზე წამოდგა მოხუცი ელიზბარი, მიდგა სარკმელთან, განიხედა შიგ და დაფიქრდა. დარბაზი გაოცებით შეაჩერდა.

— ბატონო მეფე! — მიუბრუნდა და სთქვა ერისთავმა, — ამ თქვენს ჰადარს რა დამართნია ეს, რომ ფოთლები გასცვენია?



— როგორ თუ რა დამართნია?! — მიუგო გაკვირვებით მეფემ. — რაღა ღროს ფოთოლია? ზამთარი დგება!..

— ვაი თუ გახმეს უფოთლოდ?

— როგორ თუ გახმეს?! 'გაზაფხულზე განა აღარ შეიფოთლება?

— დიახ, შეიფოთლება, ჩემო ხელმწიფევ, და ჩემი პასუხიც ეს არის დღევანდელ სადარბაზო კითხვაზე.

როგორც მეფე, ისე დარბაისლები გოცეებული შეაჩერდნენ: ეგონათ თავის გონებაზე აღარ არის და ბოდავსო, მაგრამ ერისთავმა ნაღვლიანი ღიმილით განაგრძო: — დიდებულო ხელმწიფევ! რაც ფოთლებია ხისათვის, ჩვენც ისევე ვართ ქვეყნისათვის და რაც წელიწადია ფოთლებისათვის, ის საუკუნეა ჩვენთვის. ნახევარი საუკუნის განმავლობაში არც ერთი აღარ ვიქნებით, სხვები დაიქერენ ჩვენს ადგილს: „ერთი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა“. საქართველო ჩვენი ცხოვრების ხეა, საკუთარ ქართულ ნიადაგზე დანერგილი, და ზედ ქრისტეს სჯულია დამყნილი. სანამდის მისი ძირი არ შესუსტდება, ღერო არ შეინძრევა და ფესვები მაგრად ექნება გადგმული, შტოების შერხევითა და ფოთლების დაცვენით არა უჭირს-რა. ჩვენც ერთი ფოთოლთაგანი ვართ, ადრე თუ გვიან დასაცენი და ჩვენი მიზეზით რათ უნდა მიადგეს გაჭირება სამეფოს? არა, ჩვენო დიდებულო მეფევ, ჩვენ უეჭველად უნდა ვეახლოთ ყვეს და, რაც მოსავალია, მოგვივიდეს!..

— ბატონო მეფევ! — წამოიძახა ჩოლოყაშვილმა, — ჩვენ სამივეს სათქმელი ერისთავმა მოგახსენათ და მე მხოლოდ დავუმატებ, რომ ხე, როგორც მცენარე, მოურწყველად ვერ იხარებს. ისე ეროვნების ხესაც ძირის გასამაგრებლად და ფესვების განზე გასაღმელად ოფლთან ერთად ხანდახან წმინდა, მოწამებრივი სისხლიც ეჭირება სარწყავად! ამგვარ მსხვერპლს უჩვეულო არ არის ჩვენი ქვეყანა, და დღეს თუ განგებას ჩვენთვის წილად უხვედრებია სამსხვერპლო ზეარაკობა, სასოებით მივეგებებით და მორჩილებით თავს დავდებთ!.. საქართველოს ჰიროც წავვილია: — მივიდა და ამოუდგა ერისთავს გვერდში.

— ამინ! — დაიძახა შალვამ და გადადგა ბიჯი მათკენ.

დარბაზს ჟრუანტელმა დაუარა. ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩუმე: მივიდა მეფე ხმაამოუღებლად, გადაეხვია სამივეს და გადააკონა. რამდენიმე კურცხალი გადმოგორდა ინით შეღებილ წვერზე და დაეცა ძირს“.

ეს უაღრესად ორიგინალური ფილოსოფიაა ისტორიისა. საქართველო ვეებერთელა ცოცხალი ჰადარია, მტკიცედ ფესვგადგმული მიწაში, მისი შვილები ფოთლები არიან. ოღონდ ამ ჰადრის ფეს-

ვებს ნუ ამოსთხრიან. ოღონდ მის ღეროს ნუ გადასჭრიან და დაე ფოთლები დასცვივდნენ. ისევე მობრუნდება გაზაფხული და ისევ ამწვანდება ქვეყანა. ერთ თაობას მეორე შესცვლის. ქვეყნის დასაცავად და გადასარჩენად ხალხის ოფლთან ერთად ხანდახან მოწამებრივი სისხლიც არის საჭირო. ამ სამსხვერპლო ზვარაკობის იდეის მხურვალე აპოლოგია აკაკიმ არა ერთ ნაწარმოებში გვიჩვენა. განსაკუთრებით იტაცებდა პოეტს ეს იდეა, რადგან ეს იყო მისი აზრით ადამიანური სათნოების ყველაზე უმაღლესი იდეალი; ამ იდეის უფრო მკვეთრად ნათელსაყოფად დაწერა პოეტმა თავისი „ნათელა“. მონგოლებმა შეიპყრეს ქართველთა შეთქმული მეთაურები. ტანზე თაფლი წაუსვეს და საწამებლად მზეზე დასხეს. შეთქმულნი ამან მიინც არ შეაშინა:

არას ითხოვენ, ზვიადად,  
შეაუად იტანჯებიან!..  
ჩალაც მომავლის იმედით  
და სასოებით კვდებიან.

როცა ცოტნე გამოცხადდა მონგოლთა ბანაკში და დაინახა თავისი მოძმენი, ესე უპატიოდ მსხდომიარნი და სასიკვდილოდ განწირულნი, გარდანდა ცხენიდან, გაიხადა ტანსაცმელი, მხრები შეიკრა და დაჯდა „წარჩინებულთა თანა მწუხარედ“. ამ ეპიზოდს აკაკი ასე გადმოგვცემს:

მივიდა, ნახა ტყვეები..  
შეპყვირა: ვაშა! ვაშა!  
ღღეს უფრო ბრწყინავს თქვენი მზე,  
ვარსკვლავმა იკაშკაშაო.  
გმირნი ხართ, კვდებით გმირულად,  
საქრისტიანოს მსხვერპლადო,  
ამიერ საშვილიშვილოდ,  
სამშობლოს სადიდებლადო.  
მაგრამ რას შერჩით მეგობარს,  
ყველგან თქვენს მოზიარესო,  
რომ გამომწირეთ თქვენში და  
დამაგდეთ იქით მხარესო.

ეს არის სწორედ ის სამსხვერპლო ზვარაკობა, რომლის დუღაბ-ზედაც აკაკის ისტორიის ფილოსოფიის მიხედვით საქართველო თავის ისტორიის შენობას აგებდა.

ამ ადამიანების ცხოვრებაში ანტიკური გმირების პათოსი მოჩანს. ასე კვდებოდნენ ფილენები, რომლებზედაც მოგვითხრობენ,

რომ ისინი თავისივე სურვილით ცოცხლად დაიმარხნენ მიწაში კართაგენის საკეთილდღეოდ; ასე კვდებოდა მარკ კურციუსი, რომელიც უყოყმანოდ გადავარდა უფსკრულში, რომ განგების მრისხანება დაეწყინარებინა და თავისი სამშობლო ქალაქი გადაერჩინა; ასევე ზვიადად და ამაყად იტანჯებოდა მუცი სცევოლა, რომელიც ფარულად შევიდა მტრის ლაშქართ ბანაკში, რათა თავდამსხმელთა მეფე მოეკლა და სამშობლო გაენთავისუფლებინა. ის შეიპყრეს და მეფესთან მიიყვანეს. როცა დაკითხვის დროს სიკვდილით დაემუქრნენ — მან მუქარის საპასუხოდ მარჯვენა მკლავი დაადო გავარვარებულ ნაღვერდლებს და მისი ხელი ისე იქცა ფერფლად, რომ მამაც ჭაბუქს წარბი არ შეუხრია, არ ამოუკენესია.

ამის შემხედვარე მტერმა სასწრაფოდ დაიხია უკან. ის მიხვდა, რომ შეუძლებელია იმ ხალხის დამარცხება, რომელსაც ასეთი შვილები ჰყავს.

ამ ასპექტში შეხედა აკაკიმ საქართველოს ისტორიასაც, ასეთ გმირებს აღიღებდა ის წარსულში და ნატრობდა მომავლისათვის.

აკაკი წერეთელმა პატრიოტული ლირიკა უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. პოეტის გული დიდი სიყვარულის სამრეკლო იყო: ამ სიყვარულის პირველი მძლავრი გაღვივება მოხდა მაშინ, როცა სიჭაბუკეში პოეტი კონრად ვალენროდის ბედს შენატროდა და ჯარის სარდლობაზე ოცნებობდა... მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აკაკი სამხედრო პირი არ გამხდარა. ახალგაზრდობის ოცნებამ სამშობლოსათვის თავის შეწირვაზე მის ცხოვრებაში ახალი ასპარეზი იპოვნა. ეს იყო პოეზია. ეს სიყვარული და გატაცება წელთა მსვლელობასთან ერთად იზრდებოდა, ფართოდებოდა, მოიცავდა ყველაფერს; და ბოლოს ის იქცა მთავარ ხმად აკაკის პოეზიაში. პოეტისათვის სამშობლოსა და სატრფოს ცნებები სინონიმად გადაიქცა. სამშობლოს სიმბოლო იყო მისთვის არა მარტო წინაპართა საბარე, არა მარტო თამარისა და ირაკლის საფლავები, არამედ ყველაფერი, რაც ლამაზია ამ ქვეყნად და რასაც ადამიანის თვალი შეჰხარის. ყველაფერი საქართველოს ისტორიას აგონებს პოეტს: მწყეპსის სალამურის ხმაში მას თავისი ქვეყნის მწარე მოთქმა ესმის, როცა მას ხან თურქები და ხან მონგოლები აოხრებდნენ, მკენესარ შიქასტაში — მამაც წინაპართა ტკივილები, რომელთა გახსენება სკრის და ჰევეთავს გულს, ჩონგური მისთვის ქვეყნის ჭირისა და ლხინის მახარობელია, რომელსაც არწივის ფრთები ასხია და სიმად ზულბულის ენა აქვს გაბმული; და საერთოდ პოეტს, ჩონგური უკვდავების თილისმად წარმოუსახავს: „ველარ მერევა სიკვდილი მე შენსა გადამკიდესა“, — მიმართავს ის ჩონგურს; გაზაფხულსაც ეკარგება

თავისი სილამაზე, როცა სამშობლო დამონებული და დატყვევებულია. ამ მხრივ უაღრესად დამახასიათებელია აკაკის ლექსი „გაზაფხული“.

საპატარძლოდ მორთულია  
მოკეპლუცე გაზაფხული,  
და ჰფეთქს ძალი ბუნებისა  
ზამთრით გამოღვიძებული.

მხოლოდ ჩემი გაზაფხული  
არ მოსულა ჯერაც კიდევ,  
გინდ ხმელეთიც აბიბინდეს,  
და აყუდდეს კიდის-კიდე.  
სანამ ჩემი მე სურვილი,  
კუკურშივე მეგულება,  
რას მიქვიან გაზაფხული  
და ბუნების განახლება?  
მაგრამ როცა აკოკრდება,  
გაიშლება, აყუდდება,  
და იმისი სურნელება  
არე-მარეს მოედება —  
მხოლოდ მაშინ!.. მხოლოდ მაშინ,  
მეც მომივა გაზაფხული  
და მოგიკვდეთ, თუ სიმღერით  
ვერ დაეჩაგრო მე ბულბული.

მიწიური ვარამი ვერ აქრობს მისი გრძნობის ბრწყინვალეობას.  
პოეტს რაღაც ნათელ ჰარმონიაში გადაეყავართ:

ამაღლით, გრძნობაე, გონებაე,  
ასცილდით მზე და მთვარესა,  
შეუკაეშირდით ვარსკვლავებს,  
მოციმიციმ-მოელვარესა.

რომ მეც გალობით გედივით  
დავაგლო ქვეყნის საზღვარი,  
ჩავდნე ჩემსავე ჰანგებში  
და გაეპქრე როგორც ლამპარი.

გაპაეროვნებულია აქ გრძნობა, ამაღლებული და გასპეტაკებული. ეს აფხიზლებდა მეცხრანეტე საუკუნის ადამიანს ლა მის გულში ჩამარხული სიყვარული სამშობლო მიწისადმი, — თუნდაც ეს გრძნობა მიძინებულიც ყოფილიყო, — ისევ ცოცხლებოდა, ფრთებს ისხამდა და ძლიერდებოდა.

აკაკის ინტერნაციონალიზმი საყოველთაოდ ცნობილია, ამ დიდებული მგოსნისათვის უცხო იყო ნაციონალური განკერძოებულობისა და კარჩავეტილობის გრძნობა. ის სიყვარულით ეფერებოდა მეზობელ ხალხთა შვილებს, რადგან კარგად იცოდა, რომ „ჩვენ ძმები ვართ ერთმანეთისა“, რომ „ჩვენ ვართ შვილები ერთი მიწაზე, ერთ მიდამოსი და ერთი მთისა“. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს, როცა აკაკის მსოფლმხედველობაზე ვლაპარაკობთ და მაშინ ჩვენთვის უფრო გასაგები გახდება პატრიოტიზმის ის წრფელი, უღრმესი გრძნობა, რომელიც მის ყოველ სტრიქონში წყაროს თვალისით ჩქეფს. მისთვის სამშობლო, საქართველო, ხატია, ხილო სახატე — მთელი მსოფლიოა, თითონ კი ერთი სანთელია, რომელიც ანთია იმ ხატის — საქართველოს წინაშე და „დნება ვით მსხვერპლი დიადი, რომ მადლით გაასპეტაკოს თვალუწვდომელი წყვილიადა“. რომელი ლექსი გინდათ გაიხსენოთ აკაკისა, სადაც პოეტი არ იწვოდეს, არ იფერფლებოდეს ამ სიყვარულით; ამავე დროს, ეს ნაზი ლირიკოსი უცებ მრისხანე სატირიკოსად იქცევა ხოლმე, როცა დაინახავს კოსმოპოლიტს, უპასპორტო მაწანწალას, რომელსაც თავისი დედაენა და თავისი წინაპართა ანდერძები დაუვიწყრია და ფეხქვეშ გაუთელავს. ასეთ წუთებში საოცარი მძულვარება იღვიძებს პოეტის სულში. აი პირველი სამი ტაეპი მისი ლექსიდან „გადარჯულებული“:

ნეტავ ეს ქალი ვინ არის  
და რომელ ეროვნებისა,  
სამშობლოს დამწუნებელი,  
მორწმუნე სხეების მცნებისა.  
ამბობენ ქართველი იყო,  
მაგისი დედაც, მამაცა...  
მაგრამ არ მჯერა, ღვთისმადლსა;  
ნუ შეუბნები, დამაცა!  
სად გამოზრდილა რომ ფიქრობს  
ია და ვარდის ფენასა  
მით რომ უარყოფს სამშობლოს,  
ივიწყებს დედაენასა?

მეორე ლექსში „ქართული პატრიოტობა“ ვკითხულობთ:

როდესაც ჩემს წინ სუფრაზე  
ცხელი, შუშხუნა მწვადია,  
ბაშინ მე სამშობლოსათვის  
ყოველი კარგი მწვადია  
როცა გადავკრავ ნუნუს,

თას-ყანწით, გინდა კულითა,  
 მაშინ მეც ზეცას ვავედრებ  
 ამ ჩემს სამშობლოს გულითა.  
 როდესაც ვეტრფი ქართველ ქალს,  
 ვეძლევი ნეტარებასა,  
 ველარა ეფარავ სახალხოდ  
 ვამბობ ჩემს აღსარებასა:  
 „მრავალყამიერ, ეამიერ,  
 ჩემს ტურფა საქართველოსა“,  
 ვიტყვი და შეუპოვარად  
 გადავკრავ სადღეგრძელოსა.

აკაკის რაღაც ამოუღვეელი, სიტყვით მიუწვდომელი და სიტყ-  
 ვით გადმოუცნელი სიყვარულით უყვარდა საქართველო და ამი-  
 ტომ არ შეეძლო მოეთმინა ამგვარი „პატრიოტები“. ასე ზრდიდა ის  
 ერს, ასწავლიდა, მიჰყავდა წინ, მიუძღვებოდა კეთილი მომავლი-  
 საკენ. თავის პოემებში ის ხატავდა გიგანტებს და ევედრებოდა  
 მკითხველს მათსავეთ ჰყვარებოდა სამშობლო. მან განუმტკიცა  
 ქართველ ხალხს ოდითგანვე გამოტანჯული და საუკუნეების გრძელ  
 გზაზე გამოტარებული გრძნობა სემართლიანობისა, სიყვარულისა,  
 სათნოებისა და სიძულელი სიყალბისა და ფარისევლობისადი.

აკაკი შეჰხარის თავისი ქვეყნის მომავალს, რომელიც უნდა ააშე-  
 ნოს მშრომელთა დაყოჩილმა მარჯვენამ; აკაკის პატრიოტიზ-  
 მი — ხალხის პატრიოტიზმია, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში  
 უკვე ნელ-ნელა ფხიზლდებოდა, იხედებოდა გარშემო და თავისუფ-  
 ლებაზე ოცნებობდა. ამ გამოფხიზლებაში აკაკის უდიდესი ღვაწლი  
 მიუძღვის.

აკაკის პოეზია უაღრესად მრავალფეროვანია. აკაკი იყო პოეტი-  
 ჭურჭი და მეორეს მხრივ პოეტი-ეურნალისტი. მოწოდებით ის  
 ლირიკოსია, მაგრამ დრო და საუკუნე აიძულებდა ხანდისხან  
 მრისხანე მამხილებლის როლში გამოსულიყო, ამიტომ არიან მის პო-  
 ეზიაში ერთის მხრივ რომანტიკული ცრემლი და ოცნება, მეორეს  
 მხრივ გამანადგურებელი ირონია.

აკაკის ლირიკა ნამდვილი მოქალაქეობრივი პოეზიაა, სავსე  
 ბრძოლის პათოსით და მგზნებარებით. არაფერი იყო მისთვის იმაზე  
 უფრო საძულველი, ვიდრე მხდალი და უიმედო მორჩილება გაბა-  
 ტონებული რეაქციისადმი; მისი გენიალური ლექსები თავს ევლე-  
 ბოდნენ სამშობლოს დიდებულ წარსულს და ამავე დროს კეთილ-  
 მათუწყებლობდნენ ჩვენი ქვეყნის მზიან მომავალს.

## გიორგი წართელი

არსებობს ერთი ძველი ფოტოგრაფიული სურათი, გადაღებული კრონშტადტის ციხეში, 1861 წლის ბოლოს. მასზე მოსჩანან ტუსალის უჩეძ ტანსაცმელში გადაცმული ახალგაზრდები და მათ შორის გულხელდაკრეფილი ზის ცხრაწეტი წლის გიორგი წართელი. იქვე, ციხის საკანთა გაცრეცილი კედლების მოღუშულ ფონზე თქვენ ხედავთ ჯარისკაცებს და ოფიცრებს, რომელნიც ამ ტუსალებს ყარაულობენ მაშინაც კი, როცა ისინი ასე მშვიდად სხედან ფოტოაპარატის წინ. ეს ტუსალები პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები არიან, რომელნიც თეოდომპყრობელობამ დააპატიმრა და ჯერ პეტრეპავლოვსკის ციხეში დაამწყვდია, ხოლო შემდეგ კრონშტადტის ციხე-სიმაგრეში გადაიყვანა.

ეს იყო სამოცდაერთი წლის შემოდგომის მშფოთვარე და ცხარე დღეები. ალექსანდრე მეორის განკარგულებით ასამდე სტუდენტს, რომელნიც უნივერსიტეტის ეზოში მიტინგზე შეკრებილიყვნენ, ჯარმა უეცრად ალყა შემოარტყა. როცა დაპატიმრებულნი უნივერსიტეტის ეზოდან გამოიყვანეს და ტუჩკოვის ხილით საპყრობისაკენ მიჰყავდათ — ამ დროს საოცარი დემონსტრაცია მოეწყო, ისეთი, რომლის მსგავსი მეცხრამეტე საუკუნეში ჯერ არ ენახათ: სამასამდე სტუდენტი დაესხა თავს იმ ჯარს, რომელსაც ტყვეები მიჰყავდა, დაესხა იმითომ, რომ თითონაც დატყვევებულნი ყოფილიყვნენ. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, გაიზუზუნა ჰაერში კახაკის მათრახმა, დაერივნენ სტუდენტებს კონდახებით, მაგრამ ას ორმოცდაათამდე კაცმა მაინც გაარღვია ჯარისკაცების წრე და შეუერთდა დაპატიმრებულებს... დანარჩენები გაფანტეს, ბევრი კი ქვაფენილზე ეყარა ცხენების ფლოკვებით გადაქელილი. რევოლუციური პეტერბურგი, ბრძოლის ქინით აღგზნებული, ამხედრებული ძველი პეტერბურგის წინააღმდეგ, ღელავდა და თრთოდა. როცა

ტუსალები პეტრეპავლოვსკის ციხიდან გემში ჩასხეს და კრონ-შტადტში წაიყვანეს — კრონშტადტის ქუჩებზე ხალხმა მეორე დემონსტრაცია მოაწყო. „მოულოდნელი სანახაობა წარმოგვიდგა, — იგონებს ნიკო ნიკოლაძე, რომელიც აგრეთვე ტუსალთა შორის ვარია, — ციხის კარებთან დაგვიხვდა ქალების გრძელი რიგი, ორივე მხრით გაიშლი. მიუხედავად საშინელი დარისა, ისინი უღმერთოდ მორთულიყვნენ, და ვიდრე ამ მომხიბლავ წრეს გაგვატარებდნენ, ჩვენსკენ მოდიოდა ყვავილების თოვლი... ან კი საიდან იწოვეს ამ დროს იმდენი ყვავილები, საოცარია“.

ამ ამბავმა შესძრა მთელი რუსეთი, მან გაიხმაურა საზღვარგარეთაც. იწყებოდა ბრძოლა და ცხადი იყო, რომ მეტბრძოლი განწყობილება საეურნალო სტატიებიდან ქუჩაზე, ხალხში გადმოდიოდა. ამიტომ აყრიდნენ ყვავილებს იმათ, ვისაც თვითმპყრობელობა სახეში კონდახსა სცემდა. აი აქ, ამ ტუსალთა შორის იყვნენ გიორგი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე, იმათ შორის, ვისაც დატუსალებისთანავე ლონდონიდან გერცენი მგზნებარე სიტყვებით გამოეხმაურა. სწორედ იმ ხანებში პეტერბურგში მიიღეს „კოლოკოლის“ ნომერი, რომელშიაც გერცენი წერილში — „ბუმბერაზი წელში იმართება“ — ამ ახალგაზრდობას მიმართავდა:

„მაგრამ სად უნდა წახვიდეთ. თქვენ ჰაბუყებო. რომელთაც მეცნიერების კარები დაუკეტეს? გითხრათ სად? მომისმინეთ, მომიხსინეთ... დონზე და ურალზე, ვოლგაზე და დნეპრზე კენესა და შფოთვა ისმის, როგორც პირველი ხმიანობა ზღვის ტალღისა, რომელიც დულს, დელავს, საშინელი დამქანცველი მყუდროების შემდეგ ქარბშხალს კეთილმარჯობებს. ხალხში, ხალხისაკენ! — აი, თქვენი ადგილი, განდევნილებო! აჩვენეთ ამ მედუქნეებს, რომ თქვენ გამოხვალთ არა დიაკვნები, არამედ მეომრები, მაგრამ არა უგვანო დაქირავებულნი, არამედ მეომრები რუსი ხალხისა... დიდება თქვენ, უმცროსო ძმებო, და ჩვენი ლოცვა-კურთხევა! ო, რომ იცოდეთ, როგორ დელავდა გული, როგორ ივსებოდა თვალი ცრემლებით, როცა ჩვენ ვკითხულობდით პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარებაზე“.

— ხალხში, ხალხისაკენ — ჰქუხდა ლონდონიდან გერცენის ხმა. ეს ხმა კარგად გაიგონა კრონშტადტის ციხე-სიმაგრის რაველინებსა და ბასტიონებში დამწყვდეულმა ახალგაზრდობამ. კარგად გაიგონა ის გიორგი წერეთელმაც — ერთმა მათგანმა, ვისაც დიდი გერცენი თავის უმცროს ძმებს ეძახოდა და ვისაც მომავლის ძნელ გზა ულოცავდა.

6. ვ. შელგუნოვი, ავტორი სახელგანთქმული პროკლამაციისა



„ახალგაზრდა თაობისადმი“, თავის „მოგონებებში“ ასე ახასიათებდა მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების ეპოქას:

„რუსეთმა თითქოს საღათას ძილისაგან გაიღვიძა... ყველა გრძნობდა, რომ გაწყდა რაღაც ნერვი, რომ გზა წარსულისაკენ გადაიკეტა. ეს იყო ერთი იმ... ისტორიულ მომენტთაგანი, რომლებიც მზადდებიან არა წლებით, არამედ საუკუნეებით და რომელთა აცილება ისევე შეუძლებელია, როგორც აცილება ზევისა მთებში, კოკისპირული წვიმებისა — ეკვატორზე. სევასტოპოლის შემდეგ ყველა გამოფხიზლდა, ყველამ ფეჭრი დაიწყო და ყველას კრიტიკული განწყობილება დაეუფლა“.

აი ამ დღეებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობის ფორმირებისა და მომავალი საქმიანობის პერსპექტივების გარკვევის საქმეში. ის გახდა ლიტერატორი ახალი ტიპისა, ვნებიანი მებრძოლი ხალხის კეთილდღეობისათვის. მასში პარმონიულად გაერთიანდა მოწინავე ბელეტრისტის ძლიერი მხატვრული ფანტაზია და პრაქტიკული მებრძოლის დაუცხრომელი ტემპერამენტი.

დღეს შეიძლება უცნაურადაც მოგვეჩვენოს, რომ კაცი, როგორც ქართველი მკითხველი იცნობს, როგორც საუცხოო ბელეტრისტს, წერილებსა სწერდა იმაზე, რომ ევროპიდან ბ.მბის სარჩევი ჩიხრიხები დავიბაროთ, თორემ იმერეთში ძველებური ჩიხრიხებით რჩევა ძალიან უჭირთო; \* თითქმის იმავე ხანებში აქვეყნებს წერილს ხალხის ჯანმრთელობის საკითხზე, რომელსაც ასეთი საგულისხმო ქვესათაური აქვს: „გლეხების დარიგება. რომ კარგად იყონ და თავი მოიარჩინონ იმისთანა ავადმყოფობისაგან, რომელიც უფრო ხშირად ემართებათ ხოლმე“; ის საქონლის ჰირზედაც კი წერს და გლეხებს მიუთითებს რა პოლანდიის მაგალითზე — არიგებს როგორ უნდა მოიქცნენ, რომ ეს ჰირი არ გავრცელდეს; იგი არის, იმავე დროს, ავტორი საუცხოო პოლემიკური სტატიებისა, რომელშიაც ჩანს მებრძოლი ლიტერატურული კრიტიკოსი, შეიარაღებული მოწინავე ესთეტიკური დოქტრინით და გაფაქიზებული მხატვრული გემოვნებით; მასვე ეკუთვნის წერილი „დედაკაცის აზრი დედაკაცზე“, რომელშიაც ავტორი ქალთა განთავისუფლების მსურველად დამცველად გვევლინება და გადაქრით მოითხოვს — დედაკაცს თავისუფლება და კაცური ღირსება მივანიჭოთო. ამას მოსდევს მისი წერილები მიწისძვრაზე და მზის დაბნელებაზე, ბანკის დაარსების საკითხზე, ბატონყმობის გაუქმებაზე, ლინგვისტიკისა და ფილოლო-

\* „დროება“, 1866 წ. № 32.

გის საკითხებზე და ა. შ. სადღა არ სწვდებოდა მწერლის თვალი, რაღა არ აწუხებდა ძის გონებას! ქართველი ქალი დაჩაგრული იყო და მისი ბავშვი — იმედი და ბურჯი მოძავალი საქართველოსი — ბნელში იზრდებოდა; ეს აფიქრებდა მწერალს. აწუხებდა ისიც, რომ გლახმა არ იცოდა, რომ ტყის გაჩეხვა არ შეიძლება, თორემ ჭკვეანა უდაბნოდ გადაიქცეოდა, ისიც, რომ ოტომანის იმპერია კელურად ჩაგრავდა მიტაცებული მიწების მკვიდრთ. გულს უკლავდა ისიც, რომ იმერელი გლეხკაცი „უწინდებურად ფეხშიშველა, გაფარალეხულ ქუქრუტანებიან ქოხში ზის და სიღუბნის იხრჩობა“, „არ ამოწყდები, აბა რა დაგემატება, — მიმართავს მას მწერალი, — ჩემო ძმაო, მაგას მწუხარება ვერას უშველის. ეამი იცვალა, სხვა ჰაეა დადგა. ამ დროს გაჩერება არ ვარგაო“.

ასე მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო გიორგი წერეთლის მოღვაწეობა. მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნა აკაკი წერეთელმა, „მისი პირდაპირი დანიშნულება პროზაიკოსობა იყო“. ამ სფეროში ყველაზე ფართოდ გაშალა ფრთა მისმა შემოქმედებითმა ფანტაზიამ, სწორედ ამ სფეროში შექმნა მან, აკაკისავე სიტყვით რომ ვთქვათ, ყველაზე მეტი „ხელისხელსაგომანებელი საგანი, რომელიც საბოლოოდ გასტანს“.

ჩვენი წერილის მიზანიც სწორედ მისი ბელეტრისტული ქმნილებების მიმოხილვაა.



ვიდრე გიორგი წერეთლის შემოქმედების განხილვას დავიწყებდეთ, მოკლედ შევეხოთ მის ბიოგრაფიას.

გიორგი წერეთელი დაიბადა 1842 წელს, ზემო იმერეთში, სოფელ გორისაში. მისი მამა, ექვთიმე წერეთელი გონებაგახსნილი და საკმაოდ განსწავლული კაცი იყო. ექვთიმე ხანდახან მწერლობაშიც ლებულობდა მონაწილეობას.

გიორგის დედა ადრე გარდაეცვალა. ბავშვს ჯერ მამა ასწავლიდა, შემდეგ ის ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი გაემგზავრა პეტერბურგში და უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შევიდა.

ნიკო ნიკოლაძე თავის ერთ გვიანდელ მოგონებაში, რომელსაც „სტუდენტობის პირველი დრო“ ეწოდება, დაწვრილებით აგვიწერს გიორგი წერეთლის ჩასვლას პეტერბურგში და იმ შინაგან ფსიქოლოგიურ და იდეურ გარდატეხას, რომელიც ახალგაზრდა კაცმა უცხო და უცნობ გარემოში მოხვედრისთანავე განიცადა. ნიკო ნიკოლაძე გიორგი წერეთელზე უფრო ადრე ჩასული იყო პეტერბურგში. ასე რომ იგი უკვე შეჩვეული იყო ახალ წრესა და

გარემოცვას, როცა გიორგი პირველად ესტუმრა ჩრდილოეთის დედაქალაქს. პეტერბურგში ჩამოსვლისთანავე; — მოგვითხრობს ნიკოლაძე, — გოგიტა (ამ გამოცვლილი სახელით გამოყავს მას გ. წერეთელი თავის ნარკვევებში) ერთბაშად ჩვენი ამხანაგი შეიქმნა, გულითადი ამხანაგი, ისეთი, რომელსაც კაცი არც თავის აზრს დაუმაღავს, არც მის აზრს დაუტოვებს გამოურკვეველად. მართალია, პირველი კვირის განმავლობაში ცოტაოდენი უთანხმოება ატყდა ჩვენსა და იმის შუა, მაგრამ რა მალე მოვთავსდით, რა მალე დაეძმობილდით.

ეს უთანხმოება აი რის გამოისობით ატყდა: გოგიტა „ღვთის-მავედრებელი კაცის“ შვილი იყო, ღვთისა და უფროსების შიშში და მორიდებაში აღზრდილი. პეტერბურგს ის მოვიდა ყმაწვილური სარწმუნოებით სავსე. უწინ, გიმნაზიაში, არაფერს ექვს და არავითარ ფიქრს მასთან საქმე როდი ჰქონია თურმე. მართო გაკვეთილების სწავლაში იყო გართული; რაღა ბევრი გავაგრძელო, — წერს ნიკოლაძე, — ხორცშესხმული უმანკოება იყო ყველაფერში, რაც ექვს, ანალიზს, კრიტიკას შეეხება...

მოვიდა თუ არა, ჩვენმა ყმაწვილებმა, ბასილ აბაზაძის მსგავსებმა, განუმრება დაუწყეს: „არ გრცხვენიაო, მაგეები, როგორ გწამსო, ახლანდელ დროში კაცი აი როგორ უნდა ფიქრობდესო, სისულელე და ამათმორწმუნება არის ეს ყველაფერიო, ბიუხნერი წაითხეო“. და სხვა და სხვა.

გარეტდა კაცი, გამოლენჩდა ერთიანად, დაიბნა... ნაფიქრი არ ჰქონია თავის დღეში ამგვარი რამ და ამის გამო ამ სიტყვებს მასზე სწორედ იმისთანა გავლენა ჰქონდათ, როგორც თქვენზე ექნება კაცს, უკნლად რომ მოგეპაროს და თავზე კეტი გშვლიპოს. დაალო პირი და გაჩუმდა.

იმ გაჩუმებამ სხვები წააქეზა. მოხსნეს თავი დაცინვის გულდა და მიაყარეს ამ გაოცებულ კაცს ახალი და ახალი ფრაზები...

-- თავი დამანებეთ, თქვენი ღვთის გულისათვისო, — მორიდებით იხვეწებოდა გოგიტა, არ მსურს მაგნაირი სიტყვების სმენაო, ყურს ნუ მიბილწავთო, ცოდვაა დიდო.

ვინ დაუჯერებდა? ბოლოს ილაჯი გაუწყდა და წაეჩხუბა ყველას. მაგრამ არც მაშინ მოუსვენეს. გათავდა იმით, რომ ამ ყმაწვილმა ტირილი დაიწყო: ისე გულამოსკვნით იტირა, როგორც გინახავს ძუბუმწოვარა ბავშვი.

გოგიტა რომ ბევრი სხვა ყმაწვილივით უნიჭო ან უტვინო კაცი ყოფილიყო, იმას რომ შესძლებოდა სხვადასხვა აზრის მიღება მოუწვლელად, ჩაუღრმავებლად, შეუთვისებლად, ის არც იტირებდა,

არც იწუხებდა. ის იმავე უღარდელი სახით გაიმეორებდა ახალ მოდურ სიტყვებს, როგორცაც ჩასილ აბაზაძე და მისი მსგავსი ყმაწვილები მოქმედებდნენ, მაგრამ ეს სულ სხვა კაცი იყო. მისთვის აზრი ფრაზა როდი იყო, რომლის ხმარება, მიღება ან მიტოვება ისე ადვილია, როგორც პერანგის ჩაცმა და გამოცვლა. არა. მისთვის აზრი მთელი ცხოვრება იყო. ეს ახალი სიტყვა უნდა შეედარებია და შეემოწმებია იმას ყველაფერთან, რაც მანამდე განაგონი ან ნასწავლი ჰქონდა და ეს შრომა ერთობ მძიმე და ხანგრძლივი რამ არის ყოველი ტვინიანი კაცისათვის. უწინ შეთვისებულ აზრებსა და ახლად გაგონილ ფიქრთ შუა ტვინიანი კაცის თავში ტყდება გამწარებული ბრძოლა. მთელი სხეული მონაწილეობას იღებს ამ ბრძოლაში: ხშირად ამ შინაგან, უჩინარ ბრძოლას დიდი ან მძიმე ავადმყოფობაც მოსდევს.

გოგიტასაც ასე დაემართა. ჯერ გაჩუმდა და თავის კუთხეში მიჯდა. მერე ფიქრს შეუდგა ყველაფერზე, რაც კი გაეგონა. ბოლოს ხურვება დაემართა. ჩაწვა ლოგინში და მთელი ერთი კვირა სიცოცხლისა და სიკვდილის შუა იყო გარჩენილი. ძმურად ვუვლიდით ყველანი. მორჩა როგორც იქნა — სიყმაწვილემ თავისი გაიტანა. მორჩა და ორნაირად მორჩა. წამოდგა ეს კაცი და ვეღარ ვიცანით. გაეცოცხლებია ის ფიქრისა და აზრის მუშაობას. წამოდგა აღტაცებული ენერგიით სავსე, ახალი ოცნებებით და მიზნით გატაცებული, მოსიყვარულე, თავდასადებლად გამზადებული. ძველი აღარაფერი დარჩენილიყო მასში, სხეულის მეტი. წამოდგა და წარმოუდგენელი ვნებით შეუდგა წიგნების კითხვას, აზრების გამოკვლევას, ძმურ მუსაითეს ჩვენთან, ვისაც ადრე ჰქონდა გამოვლილი მისგან ახლად გავლილი გზა.\*

ჩვენის აზრით ეს არის ძალზე საინტერესო ფაქტი გიორგი წერეთლის ბიოგრაფიაში. შეუძლებელია კაცმა უკეთ დაახასიათოს გიორგი წერეთლის პიროვნება, ვიდრე ეს ნიკოლაძის სიტყვებშია მოცემული. როცა ჩვენ მის პირველ იდეურ ნათლობას ვეცნობით, აშკარად ვხედავთ გ. წერეთლის განუყრელ პრინციპულობას. მისთვის რწმენის გამოცვლა მოდა კი არ არის, არამედ უმნიშვნელოვანესი და უმთავრესი მოვლენაა მისი სულიერი ცხოვრებისა. ეს იყო ნაბიჯი, რომელმაც გზა უჩვენა მთელ მის მომავალს, სწორედ ამის შემდეგ ის გატაცებით ჩაება განმათავისუფლებელ მოძრაობაში და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად მოხვდა დაპატიმრებულთა შორის და რამდენიმე თვე იჯდა კრონშტადტის ციხეში:

\* ნ. ნიკოლაძე — რჩეული ნაწერები, ტ. I, 1931, გვ. 74 — 76.

ბუნებრივია, რომ ის სულითა და გულით თანაუგრძნობდა იმ ბრძოლას, რომელიც ილია ჭავჭავაძემ დაიწყო „ციცქარის“ კონსერვატიული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ; და არა მარტო თანაუგრძნობდა, არამედ თვითონაც ამ ცხარე ლიტერატურული დისკუსიის აქტიური მონაწილე იყო.

გიორგი წერეთელი პეტერბურგიდან დაბრუნდა 1864 წელს და იმავე წელს ქართული ენის მასწავლებლად მიიწვიეს ნ. ჯაბადარის პანსიონში. 1866 წელს გიორგი წერეთელმა დააარსა საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „დროება“. პირველ ხანებში გაზეთს ძლიერ ცოტა ხელისმომწერი ჰყავდა. დამქანცავ შრომასა და აუარებელ ენერჯიას თხოულობდა მაშინდელ პირობებში ქართული გაზეთის გამოცემა. უსახსრობამ აიძულა გიორგი წერეთელი კერძო გაკვეთილებიც აეღო. 1869 წლამდე ხელმძღვანელობდა იგი ამ გაზეთს. შემდეგ მან იგი სერგეი მესხს გადასცა. „დროება“ მოწინავე გაზეთი იყო, როგორც გ. წერეთლის, ისე ს. მესხის რედაქტორობის დროსაც. მის გარშემო შემოკრებილი იყო მაშინდელი პროგრესიული ქართველი ინტელიგენცია.

1868 წელს გიორგი წერეთელმა დააარსა „სასოფლო გაზეთი“, რომელიც გამიზნული იყო სოფლის მოსახლეობისათვის; ამ გაზეთში იგი ათავსებდა პოპულარულ წერილებს სოფლის მეურნეობისა და სოფლის ცხოვრების მტკივნეულ საკითხებზე.

1871 წელს გიორგი წერეთელმა დააარსა ყოველთვიური ჟურნალი „კრებული“. „კრებულის“ გარშემოც იგივე რადიკალურად განწყობილი ინტელიგენცია იყო შემოკრებილი, რომელიც „დროებაში“ თანამშრომლობდა; „კრებულის“ მე-10, 11 და 12 ნომრებში მოთავსებულ ერთ-ერთ წერილს ასეთი ეპიგრაფი აქვს: „სიცოცხლის დიდებას და სიმშვენიერეს შეადგენს მარტო თავისუფლება; მხოლოდ თავისუფლებას შეუძლია გააკეთილშობილოს და აამაღლოს კაცობრიობა“. აი ეს იყო საბრძოლო დევიზი, ეს იყო რწმენა იმ ადამიანებისა, რომელნიც კრებულის ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი. ამ ჟურნალში თანამშრომლობდნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი და სხვ.

1873 წელს გიორგი წერეთელმა „კრებული“ გადასცა კ. ლორთქიფანიძეს, ხოლო „სასოფლო გაზეთი“ — პ. უმიკაშვილს, თვითონ კი საზღვარგარეთ გაემგზავრა. ევროპაში ყოფნის დროს გიორგი ცხოვრობდა ციურხისში, ქენევაში, მიუნხენში, ფრანკფურტში. ამავე ხანებში იგი განაგრძობს ისტორიისა და არქეოლოგიის შესწავლას. ევროპაში ყოფნის დროს მან ცოლად შეირთო ოლიმპიადა

ნიკოლაძის ასული (ნიკო ნიკოლაძის და). 1877 წელს გიორგი საზღვარგარეთიდახ დაბრუნდა და ქუთაისში დაიწყო ცხოვრება.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს გიორგი წერეთელი სამხედრო კორესპონდენტად იყო ფრონტზე, ქობულეთში, მომქმედ არმიაში. 1881 წელს ზემო იმერეთში ქალის მთაში ნავთის წარმოების საქმის დაწყება სცადა. 1883 წელს გარდაიცვალა მისი მეუღლე — ოლიმპიადა. ცოლის სიკვდილის შემდეგ გიორგის დარჩა სამი ობოლი, რომლებიც იძულებული იყო თავისი ცოლისდებისათვის მიეზარებინა გასაზრდელად.

1891 წლიდან გიორგი წერეთელი მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი იყო. ამ საზოგადოების დავალებით მან რამდენჯერმე იმოგზაურა საქართველოში და აღწერა არქეოლოგიური ძეგლები. მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების გამოცემით დაიბეჭდა მისი „არქეოლოგიური ექსკურსია ყვირილის ხეობაში“ და სხვა შრომები. იმავე ხანებში გიორგი ხელმეორედ დაქორწინდა და ცოლად შეირთო ანასტასია თუმანიშვილი. ანასტასია თუმანიშვილი ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო. იგი რედაქტორობდა საბაგჟვო ჟურნალ „ჯეჯილს“. 1893 წლიდან გამოსვლას იწყებს ყოველკვირეული საპეცნიერო და სალიტერატურო ორგანო „კვალი“, როგორც დამატება ჟურნალ — „ჯეჯილისა“. 1893 — 1897 წლებში ეს გაზეთი გამოდიოდა გ. წერეთლის რედაქტორობით. 1897 წლის დამლევს გაზეთი შეიძინა „მესამე დასის“ უმრავლესობის ჯგუფმა და ამ დროიდან იგი ლეგალური მარქსიზმის მქადაგებელი გახდა.

გიორგი წერეთელი გარდაიცვალა 1900 წელს.

გიორგი წერეთლის პირველი ბელეტრისტული ქმნილება „მგზავრის წერილები“ იყო. ამ ნაწარმოებმა, ნიკო ნიკოლაძის ცნობით, გამოქვეყნებისთანავე ფართო გამოხმაურება კპოვა. როცა 1861 წელს „დროების“ ფურცლებზე მისი ბეჭდვა დაიწყო, „მთელმა მკითხველმა საზოგადოებამ მიაქცია ყურადღება ახალგაზრდა ავტორის ნიქს. მისი ცხოველი იუმორი, მისი ტიპები ყველას მოსწონდა და თვალწინ უდგა. უცნობი რამ გაგვაცნო ამ კაცმა — ამბობდა თუ გრძნობდა მკითხველი. დიდი იმედი დაბადა ყველაში ამ ბედნიერმა დასაწყისმა. ყველა ელოდა — აი ახალი ბელეტრისტი გაუჩნდა ჩვენს მწერლობასო, ფხიზლად და ცხოვლად მხატველი ჩვენი ქვეყნის და ცხოვრების უცნობი. მხარეებისო. მით უფრო საამო შეიქმნა ქვეყნისათვის ამ ახალი ტალანტის ასპარეზზე გამოსვლა, ყოველი ახალი

ხანა მისი „მგზავრის წიგნებისა“ ახალ აღტაცებას, ახალ უმაღლეს ლოდინსა და იმედებსა ბადებდა.\*

და მართლაც, ქართული ლიტერატურისათვის მანამდე უცნობი იყო მკაფიოდ გამოკვეთილ გმირთა ის ვრცელი გაღერება. ის ყოფა, ის სინამდვილე, რომელიც ასე ცოცხლად გამოჩნდა „მგზავრის წერილებში“ და „ჩვენი ცხოვრების ყვავილში“. მკითხველი, პირველყოვლისა, გააოცა გიორგი წერეთლის არაჩვეულებრივად მდიდარმა პალიტრამ და ბელეტრისტის ნათელმზილველმა თვალმა, იმ გამჭვირავმა თვალმა, რომელიც ყოფაცხოვრების ყველა კუნძულში იცქირება და რომელსაც შეუმჩნეველი არაფერი რჩება. გ. წერეთლის პირველსავე მოთხრობებში უკვე ჩანს ფართო დიაპაზონის მწერალი, ქართული ყოფისა და სინამდვილის საფუძვლიანი მცოდნე.

სწორედ ამ თვისებების გამო შესძლო გიორგი წერეთელმა ყოფილიყო კემმარიტი მხატვრული მემპტიანე თავისი დროისა.

„მგზავრის წერილებში“ მკითხველის თვალწინ ნათლად დადგა მთელი საქართველო, დაწყებული ზვიადი ფეოდალით და მსხვილი ჩინოვნიკით და დამთავრებული სვანეთის მთებში გადაჯარგულა წერილფება მელუქნითა და მოხეტიალე ჩალვადრებით, დაწყებული პორტრეტით ლიბერალი მოღვაწისა, რომელსაც განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიუღია და დამთავრებული ხელზე მოსამსახურე ბიჭებით, რომელთაც მარხვის გატება ქვეყნის დაქვევად მიაჩნიათ. და აქ წინაპლანზე ჩანან ნამდვილი წარმომადგენლები ხალხისა, ქართველი გლეხკაცობისა, რომელიც ავტორს ცხოვრების ბურჯად, მის ნამდვილ შემოქმედად მიაჩნია. „მგზავრის წერილებში“ მკითხველი ეცნობა ყოველგვარ ადამიანურ ვნებას: ერთნი შეპყრობილნი არიან უხეში მომხვეჭელობის მგლური ინსტინქტით, მეორენი გატაცებულნი ადამიანის სიყვარულით. ეს ტიპიური სახეები — გაღატანილი ერთ ტილოზე, შეერთებულნი ერთ მხატვრულ კომპლექსში ჰქმნიან სურათს იმ ისტორიული გარდატეხისას, რომელსაც განიცდიდა ქართული სინამდვილე XIX საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს. წიგნში მძაფრად ისმის ეპოქის სუნთქვა. უკვე „მგზავრის წერილებში“ მთელი ძლევამოსილებით გამოჩნდა ის „ფხიზელი რეალიზმი“, „ყოველგვარ ნიღაბთა ჩამოგლეჯა“, რასაც ვ. ი. ლენინი XIX საუკუნის კლასიკური რეალიზმის უპირველეს ღირსებად მიიჩნევდა. „მგზავრის წერილებში“ გაბატონებული კლასის ადა-

\* ნიკო ნიკოლაძე — „გიორგი წერეთლის პირველი შრომა“, ეურნალი „მოამბე“, 1894 წელი, № 3.

მიანები მართლაც უნიდბოდ ჩანან, ჩანს მათი შინაგანი არსება და ბელეტრისტის გამჭრიახ თვალს არ ეპარება ნამდვილი ზრახვა, ნამდვილი მისწრაფება არც ჩიკოლიკისა, რომელიც მხოლოდ სხვისი თვალის ასახვევად და მოსატყუებლად ლაპარაკობს საფრანგეთის ახალი დროის მწერლებზე, არც კიკოლიკისა, რომელიც ვითომდ: ხალხის საკეთილდღეოდ მოქმედებს. მოელი ამ რთული სინამდვილის ცოცხალი გადმოცემის წყალობით მოიპოვა გიორგი წერეთლის პროზამ იმისი უფლება, რათა მას XIX საუკუნის ქართული სინამდვილის მათიანე ეწოდოს. არ იქნება გადაჭარბება თუ ვიტყვით, რომ მისი მოთხრობების მიხედვით სავსებით ნათელი და დამთავრებული წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ იმაზე, თუ როგორ ირღევოდა ბატონყმური საქართველო, როგორ იჭრებოდა ცხოვრებაში ფულიანი მეტიჩარა, რომელსაც ქვეყნის დაპყრობის სურვილი ჰქონდა, როგორი იყო სხვადასხვა წოდების, ხალხის სხვადასხვა ფენის დამოკიდებულება საგლეხო რეფორმისადმი, როგორ იბადებოდა იდეოლოგია ინტელიგენციის ახალი თაობისა. გიორგი წერეთელი პირველი გრძნობდა ყოველ ახალ მოვლენას და სჭვრეტდა მისი განვითარების პერსპექტივას.

საქართველოს სინამდვილის სრულყოფილი სურათის მოცემისათვის მწერალს არ შეიძლებოდა აერჩია უკეთესი ენარი, ვიდრე ის, რომელიც „მგზავრის წერილებშია“ გამოყენებული. მწერალი დადის დასავლეთ საქართველოში და ხედავს ყველა წოდების წარმომადგენელს, შედის ყველას სახლში, ვინ არ შეგზვდებათ აქ. და ყველა პორტრეტი ისე მახვილად არის დახატული, რომ სამუდამოდ რჩება მკითხველის მეხსიერებაში. ესა თუ ის სახე ხანდისხან ორიოდე შტრიხით არის მოხაზული, მაგრამ ეს შტრიხები ისე მკვერმეტყველია, რომ ისინი ადამიანებს სწორედ განუმეორებელს, დამახასიათებელ, ინდივიდუალურ თვისებას გამოჰყოფენ. აი ოდიშელი მებატონე, უამრავი ყმისა და დიდი მამულის პატრონი. ცოცხლად დახატულია ეს „დიდი, ძარის სისხო კაცი“, რომელიც ჯორზე ახედრებული მოგზაურობს. ამ საკვირველ მხედარს უკან ორი ფეხშიშველა და დაკონკილი მსახური მოსდევს, რომელნიც მას სადავესა და უზანგებს უჭერენ ჯორზე შეგდომის ან გადმობტომის დროს. ამ მემამულის გარეგნული პორტრეტი თითქოს მთლიანად გამოხატავს მის შინაგან ცხოვრებას, მის სულიერ არარაობას. ასევე მკაფიოდ გამოხატული სახეა ჩიკოლიკი. რომელიც შუბლზე კოკარდას და ყელზე სისხლის ჯვარს არ იცილებს და რომელსაც შორიდან რომ შეხედოთ, იტყვით „გაბერილი ტიკისათვის სერთუკ-შარვალი ჩაუტმევიათ და ზედ კაცის თავი დაუდგამთო. კისერი მხრებში ჩა-



ვარდნია და იმისი გადაუღებელი ლოყები და მსხვილი, გადმოვარდნილი თვალები ასეთ დიდ გულისთქმას გვიცხადებენ, თითქოს მზად არის ჩანქთას მთელი ქვეყნის გრძნობიერი სიტკბოებაო“.

განსაკუთრებით დაუვიწყარია კუდაბზიკასი და ჩიგუნიას გროტესკული სახეები. მარდი და მეტიჩარა კუდაბზიკა, ვერცხლის წყალივით მოძრავი, ქერა თმით, ნისკარტიანი ცხვრით და წერილად გაწვიპინებული უღვაშებით ცოცხლად დგას მკითხველის თვალწინ. „ასეთი ამაყი და უკადრისი რამ იყო ეს დალოცვილი, — მოგვითხრობს ავტორი, — ტყუილა ცერი რომ გეჩვენებინა, ერთ ადლზე შეხტებოდა; ასეთ გახრეილ ცხენზე იჯდა, რომ ძელისა და ტყავის მეტი არა იყო-რა, სწორედ წყალში ამოწუმპულ ვირთავას ჰგავდა. ის ხშირად მოსქიმავეს ხოლმე სადავეს, რომ თავის ბედაურს კისერი მოუდრიკოს და ამასთან დეზებიან ქუსლსა ჰკრავს, მაგრამ საცოდავ ბეხრეკ ცხენს ლამის სული ამოუვიდეს ცალკე სიმშლილსა და ცალკე კუდაბზიკას დეზებისაგან“. შემდეგ უნდა ნახოთ კუდაბზიკას მწუხარება, როცა მისი ცხენი ავადა ხდება. „ასეთნაირად გაწვირდა, — წერს ავტორი, — რომ საცერის რგოლში გაძვრებოდა, სიმწუხარით ქვედა ლაფშიც ჩამოავდო. სადღა იყო იმისი სიამაყე და თავმოწონეობა“.

ასევე ცოცხალი და დაუვიწყარია მთებში გადაკარგული წვრილფეხა მედუქნე, პირტიტველა ყმაწვილი ჩიგუნია, რომელიც მკვირცხლად აბრიალებს ყუყუნა თვალებს და, რომელიც იმ დროს, როცა აგერ-აგერ ბატონყმობა უნდა გადაეარდეს, ასეთ დროს კვლავ აზნაურის წოდებას ეძებს. ამბის მთხრობელს მან გამხმარი სულგუნი აჩუქა, ოღონდ აზნაურობის შოვნაში დამეხმარე და კომისიანი. სადაც ოდიშის აზნაურებს დაამტკიცებენ, ჩემს სასარგებლოდ სთქცი რამეო.

ამ გროტესკულ სახეებს მოსდევს მთელი პორტრეტები გლეხებისა, ჩალანდრებისა, გლეხის ქალებისა, რომელთაც ავტორი უადრესად გულწრფელი სიყვარულით გვიხატავს. მოახლოებული რეფორმისა მათ ნაკლებად სჯერათ, ექვის თვალთ შესტკერიან მას. გუმანით, ალლოთი ხედებიან, რომ „ის თავისუფლება ისევ მაგენის სასარგებლო იქნება“ (გლახათუბნელის სიტყვებია), მაინც როგორც ბნელში მყოფნი მზის სხივს, ისე ელიან ბატონყმობის გადავარდნას. „ნეტაი ღმერთი ჩემს ბატონს მომაშორებდეს, — ნატრობს ლეჩხუმელი, — თვარა კაცი რაფა მემჯობინება ქვეყანაზე... იმას რომ მოვშორდებოდე, მეტი არა მინდა რაო“.

როგორც კი თავისუფლებაზე ლაპარაკს დაიწყებენ — დაჩაგ-

რულ გლენჯაკებს იმედითა და სიხარულით თვალები უბრწყინდებათ.

ავტორი ამავე დროს ხატავს შესაფერ გარემოს, ხატავს იმდროინდელ სოფელს, რომლის საცოდაობა მართლაც ატირებდა მკითხველის გულს. აქ თქვენ ხედავთ თავადახდილ წხელის ქოხებს, წაქეუულ ღობეებს, ფერდემიმხმარ ძაღლებს, რომელნიც მგზავრის გავლანზე საცოდავად ყმუიან და ზეზე კი ვერ წაჰმოდგარან, რადგან შიმშილისაგან წელი ვერ აუთრევიან. ხატავს რა ამ სურათს, ავტორი განაგრძობს:

„ბოლოს ერთ დაბლუნძულს და კარგადებულ ქოხს მივადექი. შიგ ახალგაზრდა ქალი პერანგისამარა იჯდა და განის ჩაქები ილღიებამდე შეხეული ჰქონდა, ასე რა გულმკერდი სულ ერთიანად მოტიტვლებული უჩანდა. აყვანში სრულიად ტიტველი ბავში ეგდო და არტაშნების მაგივრად ბაღლის ჩითის ნაფლეთებით იყო ჩაქრული.

— კაცი არავინ არის შინ? — ვკითხე ახალგაზრდა ქალს.

იმან პასუხის მაგივრად თავი ჩაღუნა და მხოლოდ ტიტველა მკერდის დაუარგვს აპირებდა პერანგის ნაფლეთებით, მაგრამ ერთ ძუძუს რომ დაიფარებდა, მეორე მაშინვე თავს გამოჰყოფდა. გამოვტრიალდი და სხვა ქოხს მივაშურე. ეზოში სამი — რვა-რვა წლის პაწაწა ქალ-ვაჟი თამაშობდნ და თავიდან ფეხებამდის, რაც დედის მუცლიდან არ დაჰყოლოდათ, იმის მეტი არ ებადათ. რა ტანზე. სიღარიბე მინახავს, მაგრამ ამისთანა ამბადაც არ გამიგონია, — ვთქვი ჩემს გუნებაში. როცა მეორე ქოხში შევიხედე, ერთი ღრმა მოხუცებული კაცი დამხვდა. პერანგისა და შემოფლეთილი პერანგის ამხანაგის მეტი იმასაც არა ეცვა რა.

— მამაშვილობას თუ რაიმე გაქვთ გასაყიდი, ან ქათამი, ან კვერცხი თუ იშოვება, ან ყველი, ან იქნება გოჭი გყავდეთ, ნურას დაგვიჭერთ.

იმან პასუხის მაგივრად ახირებულად გადაიხარხარა და მძიმე ხველებისაგან კინაღამ გული გაუსკდა.

მე კიდევ გაუმეორე ჩემი თხოვნა. უარის ნიშნად თავი გაიქნია და თან დააყოლა:

— არა, ძმაო, ჩვენ გასაყიდი ვინ რა მოგვცა. ნეტა იმდენი მოგვცა, კუჭი გავიძლოთ, თვარა გაყიდვისაგან ღმერთმა დაგვიფაროს.

— ასეთი სისაწყლე რისაგან არის სოფელში?

იმან უკმაყოფილების ნიშნად ხელი გაიქნია და არა მითხრა რა.

ამ დროს უცებ მოვტრიალდი და ქალის ყელში ცალი მხრით

დადიანის სასახლე და მეორეს მხრით მონასტერი, მდინარის იქითაქით კუთხეში, მთების ძირს, ორ კუბრივით შავ დევედ მომეჩვენენ“.

აი სად არის მიზეზები იმ შემზარავი სილატაკისა და სილუხჭირისა, რომლის შემადრწუნებელი სურათი მწერალმა ეს-ეს არის გადმოგვცა. ეს სურათები ბუნებრივად, თავისთავად აღვიძებდნენ პროტესტის განწყობილებას; ყველაფერს ამას ხედავს და აღწერს კაცი, რომელიც გუშინ დაბრუნდა პეტერბურგიდან, სადაც ხალხის განთავისუფლების იდეები ძვალსა და რბილში გაუჯდა, სადაც ტრიალებდა მოწინავე ადამიანთა შორის, დაიარებოდა ჩერნიშევსკის ოჯახში, სადაც ლაპარაკობდნენ ხალხის თავისუფლებაზე, გლეხის დუხჭირ ბედზე, სადაც ოცნებობდნენ იმ დიად დღეზე, როცა ქვეყანას თავისუფლების შუქი მოეფინებოდა.

ჩვენ აქამდე არაფერი გვითქვამს „მგზავრის წერილების“ მთავარი გმირის შესახებ. მთავარი გმირი აქ თვითონ ავტორია, რომელიც ხან ამბის მთხრობელისა და ხან საღათას სახელით გამოდის. თუ „ჩვენი ცხოვრების ყვავილში“ მწერალმა თავისი ბავშვობისა და ყრმობის სურათები დახატა — „მგზავრის წერილებში“ თვალწინ გადაგვიშალა თავისი სიკაბუჯის და დავაჟაკების წლები, გვიჩვენა ისე, რომ ავტოპორტრეტთან ერთად სრულყოფილად დახატა თავისი წრე, ნაციონალური წილი და ეპოქა. ჩვენი აზრით, ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ყველაზე უფრო მკაფიოდ სწორედ გიორგი წერეთლის ამ ნაწარმოებშია ნაჩვენები ის სათავეები, ის წყაროები, საიდანაც მოდიოდა თერგდალეულთა იდეოლოგია, ნაჩვენებია ის საფუძველი, რომელზედაც ეყრდნობოდა ქართული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამ მხრივ ეს მარტო მოთხრობა არ არის, ეს იმავე დროს მანიფესტია 60-იანი წლების ქართველი ახალგაზრდობისა, ეს საპროგრამო დოკუმენტია, ამიტომაც მწერალი ხანდისხან არღვევს მხატვრული პროზის ფარგლებს და პუბლიცისტის სფეროში იჭრება. მაგრამ მხოლოდ ალაგ-ალაგ, მხოლოდ აქა-იქ მიმართავს ასეთ გადახვევებს ავტორი; ძირითადში კი, არა განყენებული ლოგიკის ენაზე, არამედ ცოცხალი მხატვრული სახეებით არის აქ ნაჩვენები კონცეფცია ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, ის კონცეფცია, რომელიც ქართველმა ახალგაზრდობამ — ილია ჭავჭავაძემ. აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, გიორგი წერეთელმა და სხვებმა პეტერბურგში ყოფნის წლებშივე შეიმუშავეს.

„მგზავრის წერილების“ მეორე ნაწილში ავტორს პეტერბურგში გადაყვევართ. უპირველეს ყოვლისა ავტორი გადმოგვცემს იმ გოცებას, რომელსაც ახალგაზრდა ქართველი ჭაბუკი პეტერბურგში

ჩასვლისას განიცდის. ამ უცნობ ქვეყანაში ყველაფერი — დაწყებული ხეივანიდან და ნევის პროსპექტიდან უზარმაზარ ზამთრის სასახლემდე — ატყვევებდა ახლად ჩასულების თვალს. ამ პირველ გარეგან შთაბეჭდილებებს ჩქარა შინაგანი ფსიქოლოგიური გარდატეხანი მოსდევნ. ქართველი სტუდენტების წრეში მოდიან რუსი და პოლონელი სტუდენტები, რომელნიც დაჩაგრული სამშობლოსათვის თავდადებაზე ლაპარაკობენ. მათი ცეცხლოვანი სიტყვები, მათი მგზნებარე მოწოდებანი, მათი თამამი გამოსვლები ნელ-ნელა აფხიზლებს ქართველების ფიქრს, სამოქმედოდ აღძრავს. აი პოლონელი სტუდენტი ხ-სკი, ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი „მგზავრის წერილებისა“. მწერლის თქმით მისი სიტყვები „თითქოს უნებურად, აღმასივით სჭრიდნენ ჩვენს მოუხვენელ გონების წიადას და სთესდნენ შიგ აზრის მარგალიტებსო“. ეს არის ეპოქა, როცა ევროპაში ძლიერდება ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, როცა, ავტორისავე სიტყვით რომ ვთქვათ, „გარიბალდის ვარსკვლავი ასეთი ძლიერებით ამობრწყინდა დასავლეთის ცის კამარაზე“. „მგზავრის წერილების“ გმირი, აღგზნებული პოლონელი სტუდენტი მხოლოდ ამაზელა ლაპარაკობს და ქართველებს მისი სიტყვის გაგონებაზე თავისი დაჩაგრული სამშობლო აგონდებათ, გარიბალდის ბრძოლას რეაქციისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ ისინი გულის თრთოლვით აღევნებენ თვალყურს და ისე უზარიათ, თითქოს ეს განმათავისუფლებელი ქარიშხალი იტალიიდან კი არა ჰქროდეს, თითქოს ეს ხმები იტალიიდან კი არა, საქართველოდან ისმოდეს.

ამ ეპოქის შესახებ დიდი ლენინი წერდა:

„კაცობრიობის ისტორიაში ახალი ეპოქა საფრანგეთის დიდი რევოლუციით იწყება. ამ დროიდან ვიდრე პარიზის კომუნამდე, 1789 წლიდან 1871 წლამდე ომის ერთ-ერთ ტიპს ბურჟუაზიულ-პროგრესული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ხასიათის ომები წარმოადგენდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ ომების მთავარი შინაარსი და ისტორიული მნიშვნელობა აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის დამხობა, უცხო ერთა ჩაგვრის მოსპობა იყო. ამიტომაც იყო ეს ომები პროგრესული და ყველა პატიოსანი, რევოლუციონერი დემოკრატი და აგრეთვე ყველა სოციალისტი, ამნაირი ომების დროს, ყოველთვის თანაუგრძნობდა იმ ქვეყნის (ან იმ ბურჟუაზიის) წარმატებას, რომელიც ხელს უწყობდა ფეოდალიზმისა, აბსოლუტიზმისა და სხვა ხალხთა დამონების ყველაზე საშიში საფუძვლების დამხობასა და შერყევას.“\*

\* ლ ე ნ ი ნ ი — თხზულებანი, ტ. XVIII, გვ. 227 — 228.

გარიბალდის ბრძოლებიც ასეთი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი, პროგრესული ომების რიცხვს ეკუთვნოდა და სწორედ ამიტომ იმსახურებდა იგი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის, ბურჟუაზიულ-პროგრესული მმართველების მეთაურის გიორგი წერეთლის ყურადღებასა და უსახლვრო სიმპათიას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსად ისე ნათლად და მკაფიოდ არ არის დახატული ის, თუ როგორ ეზიარა ქართველი ახალგაზრდობა ამ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებს, როგორც „მგზავრის წერილებში“. მწერალმა აქ დაგვიხატა ის ცხარე დისკუსია, ის გაათრებული კამათი, რომელიც კიკოლიკსა და პოლონელ სტუდენტს შორის წარმოებს. ეს უკანასკნელი აღფრთოვანებულია იმით, რომ გარიბალდის ჯარი წინ მიიწევს; იგი ლაპარაკობს იმ სამართლიანი ომის უძლეველობაზე, რომელიც დაწყებულია სამშობლოს გასათავისუფლებლად. კიკოლიკი ეწინააღმდეგება მას, ხოლო უმცროსი სტუდენტები, გატაცებულნი და აღფრთოვანებულნი უსმენენ პოლონელის საუბარს. „მე ახლა იმასაც აგისნით, — ლაპარაკობს პოლონელი, — გარიბალდის ახალგაზრდა, ერთი მუჟა, ჯერ კიდევ კარგად ბრძოლას შეუჩვეველი ჯარი რის გამო იბრძვის ასეთი თავგამოდებით... ყოველი იმათგანი შინიდან, დედისაგან, თუ ცოლისაგან ამ სიტყვებით არის გამოსტუმრებული: „წადი ჩვენს მამულს მიეშველეო“. დედას უთქვამს იმისთვის: „აი ამ დღისთვის მიწოვებია შენთვის ძუძუ“, ცოლს უთქვამს: „თუ ფრანცისკოს მთავრობა ახლა არ გადაადგმეთ, ამ შენს პაწაწა ღაჟს კედელზე შემოასხერტებენ და მე ხიშტით მკერდს გამიპობენ. მიიღე ეს ჩემი მხურვალე კოცნა იმედად ყოველ გასაჭირში“. ამისთანა სიტყვების შემდეგ გარიბალდიელს თავი აქვს განწირული. ის ბრძოლაში ისე მიისწრაფის, როგორც ლხინში. ყოველი იმათგანი ახლა ლომად არის გადაქცეული, იმიტომ, რომ ლომი მას წინ მიუძღვის. გარიბალდის შეხედვა და იმათი გავრავარებულ ცეცხლში გადავარდნა ერთი არის ხოლმე. ყოველი გარიბალდიელი იბრძვის თავისი მიწა-წყლისათვის, თავისი კერისათვის, თავისი ცოლშვილისათვის. ესენია მისი სიცოცხლე და თუ ესენი წაერთმევა, მაშინ სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია“.

ეს იდეები ძალზე ნაყოფიერ ნიადაგს პოულობდნენ ქართველი ახალგაზრდობის შეგნებაში, იმ ახალგაზრდობის, რომელიც მოსული იყო დაჩაგრული საქართველოდან, იმ ქვეყნიდან, სადაც ჯერ ისევ მეთორმეტე საუკუნეში წარმოითქვა დიდებული სიტყვები: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონებიო“, იმ ქვეყნიდან, სადაც

სწამთ, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“. ამ მხრივ ნიადაგი მზად იყო. რუსთაველისა და ბარათაშვილის ქვეყნის შვილები, ბუნებრივია ადვილად ითვისებდნენ იმ განმათავისუფლებელ იდეებს, რომელიც იმ დროს მოსდებოდა მოწინავე კაცობრიობას.

„მგზავრის წერილებში“ საუცხოოდ არის ნაჩვენები ახალგაზრდობის იდეური მომწიფების პროცესი. „ყოველი ომი მხოლოდ მაშინ არის გასამართლებელი, როდესაც ქვეყნის დასაცავად არის ამტყდარი, — ვკითხულობთ ამ წიგნში, — სხვა ომი კი ყველა ღმერთმა დასწყევლოს. ომი, რომელიც არის სხვა ქვეყნის დასაპყრობად აღძრული, ის ომი არის წყეული, იმისთანა ომში მეტრძოლნი არიან ხალხის სისხლით შესვრილნი და ადრე თუ გვიან რომ არ გადახდეთ ეს უსამართლობა, არ იქნება... ამისთანა ჯარს და მხედრობას გმირული სული არ უდგია. ის არის მგლების ხროვის მსგავსი და ადრე თუ გვიან მგლებივითაც გაირეკებიან ქვეყნიდან. ჩემი აზრი ეს არის. მაშ გარიბალდი ახლა ამისთანა მგლების მკლეტელია და წინ წამრეკია“.

ამას ლაპარაკობს პოლონელი სტუდენტი. „მე და ჩემმა ამხანაგმა, — მოგვითხრობს ავტორი, — დიდი სიამოვნებით შევცინეთ იმის განათებულ და მაღალშუბლიან სახეს. იმ დროს სწორედ მინდოდა მოვხვევოდი ამ კაცს კისერზე, მინდოდა ასე კისერშემოხვეული გავეტაცე შორს, შორს, რომ აღარც კიკოლიკი დამენახა და აღარც ჩვენი კავკასიელები. იმ საღამოს ამ კაცმა სწორედ მოიტაცა ჩემი გონება“.

აი ეს იყო ერთი წყარო ქართული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა. მეორე და უმთავრესი იყო ის მოწინავე მსოფლმხედველობა, რომელსაც ქადაგებდნენ რუსი რევოლუციონერი-დემოკრატები. რუსული-ქურნალები ხელიდან აღარ გამოგვიცილებიაო, — ამბობს მოთხრობელი „მგზავრის წერილებში“. აქ იგი პირდაპირ ეხმაურება ნ. ვ. შელგუნოვის სიტყვებს. შელგუნოვი ამბობდა: „ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი იყვნენ წინასწარმეტყველნი უნივერსიტეტის ახალგაზრდობისა, რომელიც აღტაცებული იყო იმით, რასაც მათს სტრიქონებში კითხულობდა და უფრო მეტად; იმით, რასაც სტრიქონებს შორის კითხულობდა“. გიორგი წერეთლის მოთხრობაში საუცხოოდ არის ნაჩვენები, როგორ თანდათან მწიფდება ახალგაზრდა ადამიანის არსებაში შეგნება იმისა, რომ ადამიანის ყველაზე უმაღლესი დანიშნულება ის არის, რომ მთელი თავისი სიცოცხლე ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლას შესწიროს: „საზოგადოება ისეთ ჯურღმულშია ჩავარდნილი, რომ ხსნა

არ, აქვს... — ვკითხულობთ ამ წიგნში. — იმის გამოსაფხიზლებლად საჭიროა მსხვერპლი, ისეთი მსხვერპლი, რომ მისმა დაღუპვამ მიბნედილ გონების თვალებს ცივი წყალი დაასხას და უცბად წამოახტუნოს. ვისაც ნამდვილი სიკეთე უნდა ქვეყნისათვის, ის ამ დროს სამსხვერპლოდ უნდა ემზადებოდეს. დაე გლანძღონ, შეგიძულონ, თუნდ კიდევ განგაძიონ, განგაგდონ, შენ მაინც შენსას ნუ მოიშლი, ამხილე ცუდი, ბოროტებას წინ დაუდექი, ნუ გახრი სწორ გზას, თუნდ რომ ამან ღრეშიაც გადაგაგდოს... როცა საზოგადოებაში ამისთანა გრძნობა დაიძვრის, ეს განახლების წინამორბედი და მომასწავებელი. მაშ არის დრო, როცა ქვეყნის ნამდვილი მოკეთე მხოლოდ ის არის, რომელსაც შეუძლია თავი შესწიროს მართლის თქმას და შენ მართლა თუ გინდა საზოგადოების სიკეთე, მრუდე გზას ნუკი ირჩევ, ცხოვრებისაგან გაფუჭებულ ჩიკოლიკს კი ნუ ადვენებიხარ უკან, ის გზა აირჩიე, რომელიც უჩვენებია შენთვის უნივერსიტეტის მეცნიერებას და იმისაგან განათლებულ ჭაბუკობას. ნუ ექებ ნურც მაღალ ალაგს, ნურც ცხოვრების საშუალებას. მაგის ძიებაში დრო გავა, სიკეთის დამყარებას ვეღარ მოასწრებ და რაც ახლა კეთილის მზრუნველობა გქონია, ის სულ ბოროტად გადაგექცევა მოხუცობის დროს“.

მოთხრობის ბოლოს ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ახალგაზრდა ადამიანი უკვე სავსებით მომწიფებულა, როგორც მოწინავე მებრძოლი მოქალაქე. „ჩვენ უნდა ვიყოთ მხოლოდ მოწინავე კაცები ჩვენს ქვეყანაში, — ამბობს ის, — ჩვენ უნდა ვიყოთ გაზაფხულის მომასწავებელი მერცხლები და მანა? ვიჭიკვიკოთ, სანამ ეს გაზაფხული კარზე არ მოგვადგეს“.

ყველაფერი ეს მოთხრობაში მოცემულია არა შიშველი დეკლარაციის სახით, არამედ ცოცხალი მხატვრული ფერადებით; რათა უფრო მკაფიოდ დაგვიხატოს მოწინავე ახალგაზრდა ინტელიგენტის ახალი ტიპი, რომელიც პირველად ჩნდება მხატვრული ნაწარმოების ფურცლებზე, ავტორი ამ მიზნით „მგზავრის წერილებში“ მას უბირისპირებს გონებაშეზღუდული კარიერისტის სრულყოფილად დახატულ სახეს. ეს არის კიკოლიკი, რომელიც მხოლოდ თავის კარიერაზე ოცნებობს, თუმცა საზოგადო მოღვაწის ნიღბით გამოდის. ეს ფარისევლობის ნიღაბი ჩამოჰხანდა „მგზავრის წერილებმა“ კიკოლიკის მსგავს მოღვაწეებს. კიკოლიკი მართლაც ძალზე სრულყოფილი სახეა ფარისევლობისა და უსულგულობისა.

თავის სამწერლო მუშაობის პროცესში გიორგი წერეთელი ხშირად იყენებს პროტოტიპებს, რომელნიც ეხმარებიან მწერალს უფრო თვალსაჩინოდ განახორციელოს თავისი მხატვრული ჩანაფიქრი.

ეს გახსაკუთრებით ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც ნიკო ნიკოლაძის მემუარული ხასიათის ნაწარმოები — „სტუდენტობის პირველი დრო“ — გამოქვეყნდა. ნიკო ნიკოლაძის ნარკვევს მიზნად ჰქონდა სინამდვილით აესახა ის, რაც სამოციანი წლების პეტერბურგში ხდებოდა და საინტერესო სწორედ ის არის, რომ ეს ორი ნაწარმოები ძალიან ბევრ ადგილზე ემთხვევიან ერთმეორეს. პოლონელი სტუდენტი ზასკი, რომელიც ესოდენ დიდ როლს თამაშობს „მგზავრის წერილებში“ — ნიკო ნიკოლაძეს სწორედ ასეთივე ინიციალებით ჰყავს გამოყვანილი. როგორც ჩანს ეს ნამდვილი, ცოცხალი კაცი იყო. ამასთან საკმაოდ მნიშვნელოვანი და პოპულარული ფიგურაც, ისეთი მნიშვნელოვანი, რომ ვერც გიორგი წერეთელმა, და ვერც ნიკო ნიკოლაძემ მას გვერდი ვერ აუხვიეს 60-იანი წლების დახასიათების დროს, თუმცა მისი ნამდვილი გვარი მკითხველისათვის მაინც უცნობად დასტოვეს. ამით როდი თავდება ამ ორი ნაწარმოების შეხვედრა. მათ სხვა საერთო გემოებიცა ჰყავთ. ესენი გახლავთ „მგზავრის წერილებში“ კიკოლიკი და „სტუდენტობის პირველ დროში“ — ნიკო ღრქვია. ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში განმტკიცებულია აზრი, რომ გიორგი წერეთელსა და ნიკოლაძესაც ამ სახის შექმნის დროს სავსებით კონკრეტული პიროვნება ჰყავდათ მხედველობაში. შესაძლებელია ისინი განზრახ ამუქებდნენ ფერებს, შესაძლებელია მართლაც აქარბებდნენ, როცა ასეთ არამიმზიდველ პორტრეტსა ქმნიდნენ, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ისინი ამ ტიპის გამოსახვის დროს ფრიად სოლიდარულნი და შეთანხმებულნი არიან.

ენახოთ ეს კონკრეტულ მაგალითებზე.

გავიხსენოთ ის ადგილი „მგზავრის წერილებისა“, სადაც აღწერილია ქართველი სტუდენტების პირველი ჩასვლა პეტერბურგში. ახლად ჩასულები კიკოლიკს ესტუმრნენ ბინაზე. „შესვლისთანავე კიკოლიკი მარდად წამოვარდა ტანტიდან და ყველაზე უმაღლეს გვეგება. მოვიდა ჩემთან, თვალები დაწკურა, და სიამოვნებით გამიღიმა, ისე გამიცინა, როგორც ოცდაათი წლის ვაჟკაცი პაწაწინა ხუთი წლის ყმაწვილს გაუცინებს, თითქოს სურდეს ამ ყმაწვილის მუხლზე მიჩვევა“. შემდეგ აღწერილია თუ როგორ არიგებს კიკოლიკი ახლად მოსულებს: თუ უნივერსიტეტში რამე უკმაყოფილება მოხდეს, მონაწილეობას ნუ მიიღებთ, თუ რაიმე შეკრებილება დაიწყოს უნივერსიტეტის დარბაზში, თქვენ ქულებს დასტაცეთ ხელი და შინ გამოიქეცით. რომ უნივერსიტეტის მთავრობამ არა შეგნიშნოთ. რაო. არაფრად ექაშნიკებათ ახალგაზრდებს ეს დარიგება, მაგრამ მას. როგორც უფროსს, პირველ ხანებში ზათრს ვერ უტეხავენ. შექ-



დღე კი მის დარიგებას აღარაფრად აგდებენ, გატაცებით ებმებიან სტუდენტთა მოძრაობაში და ზურგს აქცევენ ამ მონური მორჩილების მქადაგებელ კაცს.

სწორედ ასევე აგვიწერს ნიკო ნიკოლაძე თუ როგორ ჩავიდნენ ახალგაზრდა სტუდენტები პეტერბურგს, როგორ გაემართნენ ღრეკიას ბინისაკენ. „ჩვენი შესვლა და მისი წამოხტომა, — წერს იგი, — ერთი იყო. საშინლად ეამა ჩვენი ჩასვლა. მკვიდრი ძმის ნახვა ისე ვერ გაახარებს კაცს, უეჭველია. ოთხი-ხუთი წლის უნახავი ძმების შეყრას დავსწრებივარ და არც ერთის პირისახეზე არ შემიმჩნევია იმისთანა გახარებისა და სიამოვნების ღიმილი, როგორც ჩვენს შესვლაზე ღრეკიას პირზე აღიბეჭდა. თვალები აუთამაშდა, ტუჩი მიეწყურა და მთელ პირსახეს დატკობის, ნეტარების დალი დაესვა“.

ცხადია, ეს ორი სურათი ძალიან ჰგავს ერთიმეორეს.

ნიკო ნიკოლაძის ნარკვევის გმირი, ისევე როგორც კიკოლიკი „მგზავრის წერილებში“ არიგებს ახალჩასულებს — მუამბოხე სტუდენტებს ნუ გაეკარებით, ნურაფერს დაუჯერებთ, თორემ წახდებითო. აქ ჩვენი კაცი უცხოს არავის უნდა იცნობდეს, თორემ დაიღუპება, მორიდებით უნდა იყოთო. შემდეგ ავტორი მოგვითხრობს: „ერთხელ „სოვრემენიკის“ კითხვაზე წამესწრო, ისე გატაცებული ვიყავი ამ კითხვით, რომ მისი შემოსვლა ვერც კი შევნიშნე. წიგნი გამომართვა და ტკბილად დარიგება დამიწყო.

— შენ ამეებში ღროს ნუ კარგავ, საქმე გააკეთე, უროკები ისწავლო“.

ამრიგად, ნიკო ნიკოლაძის ღრეკია აშკარად გიორგი წერეთლის დიდი გავლენითაა შექმნილი. ეს კიკოლიკის ორეულია.

გიორგი წერეთლის მეორე მოთხრობა „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“ იყო. ამ მოთხრობაში ბატონყმური საზოგადოების ცხოვრების ფონზე აღწერილია თავგადასავალი ბავშვისა ცხრა წლის ასაკიდან სიჭაბუკემდე. მოთხრობაში მოცემულია მძაფრი კრიტიკა აღზრდის მთელი იმ სისტემისა, რომელიც იწყებოდა ოჯახში და სკოლაში გრძელდებოდა. სრულიადაც არ არის შემთხვევითი ის გარემოება, რომ თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში გიორგი წერეთელს ყველაზე მეტად ბავშვის აღზრდა აინტერესებს. ეს არის ბრძოლა ახალი თაობისათვის, ბრძოლა იმისათვის, რომ ცხოვრების საფუძველი მოამზადოს, საღ და მაგარ ფუძეზე დააყრდნოს ქვეყნის მომავალი. ეს არის ზრუნვა იმ გამოცდილი მუშაკისა, რომელმაც კარგად იცის, რომ, თუ მწვანე ჯეჯილს სინორჩეშივე არ მოუარე, მისგან კარგ ნაყოფს არ უნდა ელოდე. ბავშვი — ეს ხომ ცხოვრების ყვავილია. ამას მოთხრობის ნათაურშივე ხაზს უსვამს ავტორი და

მთელი სიმძაფრით თავს ესხმის ძველ სკოლას იმიტომ, რომ აქ იწყებოდა გადაგვარება ადამიანისა. ძველი სკოლა ზრდიდა ყველა იმათ, ვიზუდაც დაყრდნობილი იყო თვითმპყრობელობა.

მოთხრობის პირველ სტრიქონიდანვე ჩვენს წინაშე ნათლად დგება სახე პატარა ბავშვისა, ცნობისმოყვარე, დაუდევარი და მხიარული ბიჭისა, რომლის არსებაში ჯანსაღი მორალური საწყისები საბოლოოდ მაინც იმარჯვებენ, მიუხედავად იმ ბნელი და შემაზარზენი გარემოსი, რომელშიაც იგი იზრდება, იმარჯვებენ იმიტომ, რომ მოთხრობის მთავარ გმირს, პატარა დიტო ქველადეს ცხოვრების გზაზე, გარდა ბნელეთის მოციქულებისა, რომელთაც ქუთაისის გიმნაზიის დირექტორისა და რუსული ენის მასწავლებლის სახით ხატავს ავტორი, ხვდებიან ადამიანები (მასწავლებელი უმანსკი, მოსე სეფისკვერაძე, გლეხები), რომელნიც მასზე კეთილმყოფელ გავლენას ახდენენ. ამ უკანასკნელთა ზეგავლენით ბავშვი სწორ გზაზე გამოდის. ადრე დიტო „თავგასულობით ყველაზე უდიდესი ბრძანდებოდა, ოჯახს იმისი უმცირესი სურვილიც არ დარჩებოდა აუსრულებელი“, მას შეეძლო თავის გართობის მიზნით შუახნის გლეხკაცი, თავისი კეთილმყოფელი თონიკე წამოეჭვია და იფნის ჯოხით ეცემნა; „თონიკე თუმცა იმდენად არაფრად მიიჩნევდა ყმაწვილისაგან ჯოხით ცემას, მაგრამ განზრახ გააბამდა დაკლული ხარივით ღრიალს, უნდოდა ამით მოეგო პაწაწინა მტარვალის გული“. ეს სურათი ნაჩვენებია, როგორც თავის შექცევა, გართობა ბავშვისა. როცა მას დედა გაუწყრება ცელქობისათვის, ის ისე ღონიერად მოუქნევს მას დანას, რომ ერთი მხრივ ტანსაცმელს სულ ჩააფლეთს და კინალამ დასჭრის. გიმნაზიაში ამ განებივრებულ, თითისტოლა ბავშვს ყოველ წუთში სახეში და ხელებზე სცემენ, აბუჩად იგდებენ, ის იძულებულია თავის ამხანაგებთან, გიმნაზიელებთან ერთად ქათმების მოსაპარად იწანწალოს, რომ ქვერიასა და ჩახუნდარას ხელში შიმშილით სული არ დალიოს. შემადარწუნებელია თვით გიმნაზიაც. ბავშვი სწავლობს ისე, რომ არ იცის, თუ ასოებისაგან შეიძლება მიღებულ იქნას სიტყვა, და როცა ის ამას ხვდება, თვითონ, სკოლისაგან დამოუკიდებლად, თქვენ ხედავთ, რა ნამდვილი, რა გულწრფელი სიხარული ეუფლება მის გულს. ამ პატარა დეტალით ავტორმა გვიჩვენა ის ჯანსაღი მარცვალი, ის ნაპერწკალი, რომელიც ბავშვის არსებაში ღვივის. ბუნებით საღი ბავშვი, რომლის გულში ღრმად აღბეჭდილა აზრი სიკეთისა და სამართლიანობისა, მოწინავე ადამიანების ზეგავლენით იცილებს ყველა იმ მავნე ქცევას, რომელიც ჯერ ოჯახში და შემდეგ სკოლაში შეითვისა და ამრიგად ამ ბნელში, ჯურღმულისებურ სინამდვილეში პოულობს გზას. მო-

თხრობის ბოლოს ის უკვე მომწიფებული ჰქაბუკია, რომელიც პეტრებურგში მიემგზავრება, რათა უნივერსიტეტში განათლება მიიღოს და შემდეგ მშობლიური ხალხის სამსახურს შესწიროს თავისი ცხოვრება.

„ჩვენი ცხოვრების ყვაილი“ იმავე დროს ყურადღებას იქცევს მახვილად დახატული რეალისტური პორტრეტებით. პორტრეტის დახატვისას მწერალი აქაც ისეთ დამახასიათებელ დეტალებს არჩევს, რომელნიც ადამიანის შინაგან არსებას მთლიანად ამჟღავნებენ. ეს უძნელესი და ურთულესი ხელოვნებაა. როცა ავტორი აგვიწერს თონიკე კვიმატაძის პორტრეტს, როცა მწერალი გვაცნობს ამ კაცს, რომელიც თვალს პირდაპირ არ გაგიმართავს, ჩვენ უკვე ვნედავთ მას; ის სულ მიწაზე დაიცქირება და ქუთუთოები ისე ძირს აქვს დაშვებული, რომ გეგონება ზეზეულ სძინავსო, „მაგრამ როდესაც ვინმე საქმეზე დაუწყებს ლაპარაკს და თუკი მისი ხელის მოსათბობი საქმე რამ იქნება, მაშინ უცბად ამართავს ქუთუთოებს, ერთს ელვასავით გამოანათებს თავის ჭრომახ თვალებს, უცბად გაზომავს თავის მოლაპარაკეს, ყოველივეს მიუხვდება, თითქოს თვალის ისრები ჩაუყარაო გულში თავის მუშტარს და შემდეგ ისევ დანაბავს თვალებს, თითქოს ისევ დაეძინაო“.

ავტორი იქვე გაკვრით ამბობს: როცა დიტოს მამა თონიკეს რამეს დასაქმებდა, ქვესკნელშიაც რომ ყოფილიყო ჩასაძრომი, ეს კაცი ისეთს არწივს მოსძებნიდა, რომ ზედ შემჯდარიყო და ქვესკნელის ამბავი მოეტანაო. აი ეს ფრაზა უკვე ავსებს, ხაზს უსვამს ზემოთ მოყვანილ პორტრეტულ აღწერას, რომელიც უღარესად პლასტიურია, მოცემულია მოძრაობაში, გამოუცალკევებელია მთლიანი მხატვრული ქსოვილისაგან. ეს ძალზე დამახასიათებელია გიორგი წერეთლის სამწერლო მანერისათვის. ასე იწყებს ის ადამიანის ხატვას, ამ პირველი მარჯვე შტრიხების შემდეგ ამ ადამიანს უკვე ვიცნობთ. ეს არის სახე, ხალხში რომ იტყვიან ქვეშ-ქვეშა, გაიძვერა, გაქსუებული კაცისა, რომელსაც მუდამ უღზინს, იქაც კი, სადაც სხვები სისხლის ცრემლებითა სტირიან და გაუთავებელ ვაი-ვაგლახში არიან. და მართლაც აი, თონიკე იმდროინდელ ამბებს მოგვითხრობს, როცა რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ფრონტზე ათისთავად იმყოფებოდა. „ღმერთმა ამისთანა ომიანობა ნურც სააქაოსა და ნურც საიქიოს-ნუ მომიშალოს-მეთქი, — იგონებს იგი თავის იმდროინდელ სიტყვებს. — თბილ ძროხის ბეჭს პირველად იქ მოიტანდნენ, სადაც მე ვიჯექი. სადილ-ვახშმად ყიფიანის ღვინო და პირველი ცოლიკაური როგორ გამომელოდა. ისეთი გვეიმსე ტანში, რომ გასუქებულ საშობაო ტახს დევმსგავსე“.

როცა ფიცხელი ბრძანება მოდის, რომ ნაწილი ჩოლოქისაკენ გაგზავნონ, რათა ომარ ფაშას ჯარებს გზა გადაუღობონ, როცა ცხარე ბრძოლა ატყდება და ზარბაზნების გრუხუნისაგან ყურთასმენა აღარ არის, თონიკე მიხვდება, რომ ახლა გაქცევის დრო დადგა. ბრძოლის ველზე ის ხედავს, რომ მის ერთ ჯარისკაცს თოფში ტყვია გასქედია, გაჯავრებული ურტყამს ზუმბას, ეგებ ტყვია ჩაედენოვო, თონიკე უცქერის და ხედავს, რომ ჯარისკაცს ზუმბა გაუტყდა, მივარდება და შესძახებს: „პატ, შე მხდალო, შე უხეირო, ზუმბა რავე გაგიტყდაო, მოიტა დანა, ახლავე იმ ხევში მოვჭრი შეინდის წქნელს და ზუმბას გაგიკეთებო“. ჯარისკაცი მიაწოდებს დანას, თონიკე შეძვრება ბუძგნართ სქლად გადახურულ ხევში და რაკილა თვალს მიეფარება — ისე გამორბის, რომ მეორე დილას — ფრონტი ვილას ახსოვს — ის სამტრედიის მახლობლად იმყოფება.

შემდეგ ავტორი აგვიწერს, როგორ დაწანწალებს თონიკე ფრონტის მოახლოებით შემოფოთებულ იმერეთში, როგორ გაასალებს ის თავს ჯადოქარ-ეჭიმად, რათა ქერივს სიდონია ლორთქიფანიძეს კარგი ვახშამი გამოსტყუოს და მერე ბატონკაცურად შეზარხოშებულმა ბუმბულში და ფარჩის საბანში დაიძინოს.

ასევე საუცხოოდ დახატული სახეებია ლეგას დედა, ნამდვილრქართველი დარბაისელი ქალი, თხუთმეტი წლის გოგონა მარინე, და ის რომანტიული ტრფიალი, რომელიც ამ ქალს და ახალგაზრდა დიტოს შორის იწყება. ძალზე მკაფიოდ დახატული სახეა ყვერიაც — აღსავსე ყველა იმ სიკეთითაც და სიაფითაც, რაც ძველი დროის ქუთაისელ წვრილფეხა მოხელე ზალხს ახასიათებდა.

„ჩვენი ცხოვრების ყვაილი“ შესანიშნავი და ვრცელი გალერეაა ბატონყმური საქართველოს ადამიანებისა, შესრულებული საუცხოო ოსტატის ხელით.

1888 წელს „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა გიორგი წერეთლის „მამიდა ასმათი“. აქ უკვე რეფორმის შემდეგდროინდელი იმერეთის კოლორიტული სურათებია გადმოცემული. ამ ეტაპზე მწერალი თავისი მხატვრული შემოქმედების ზენიტში იმყოფება: სახეები უფრო ძლიერია, სიუჟეტი უფრო მკვეთრი, ენაც უფრო მეტად დახვეწილი, ხასიათებიც პლასტიკურად გამოძერწილი. პირველივე სურათი მოთხრობისა ცოცხლად აყენებს ჩვენს თვალწინ ორმოცი წლის, შავებით შემოსილ ქართველ დედაკაცს, მტკიცე გაუტეხელ ადამიანს და მეორეს მხრივ აქვე ჩანს თმაგარუზა პირმრგვალი პატარა გოგონა, ასმათის ძმისწული ნათელა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სხვა ღირსებასთან ერთად გიორგი წერეთლის პროზის ერთი მხარე ისიც არის, რომ ის შეუდარებელი ოსტატია ბავშვთა სახეების გამოკვეთის დროსაც. ვის არ მოხიბლავს ეს საოცრად მიმზიდველი, გულუბრყვილო პატარა გოგონა თავისი ახირებული ფანტაზიით. ძიძას ჩაუგონებია მისთვის — წვერიან კაცს „ტყუილად რომ გვერდი გაუარო და მისი ჩოხის კალთა მოგედვას, მაშინვე დაორსულდები და გაუბედურდები“. აი ეკითხულობთ, როგორ სწავლობს ნათელა ძველ, დაკმუჭნილ, დაფლეთილ ბარათებზე კითხვას, როგორ დარბის მეზობლებში, და ისე ცოცხლად ვხედავთ მას, თითქოს მოთხრობაში კი არ გაგვეცნოს, არამედ ჩვენს თვალწინ გაზრდილიყოს.

მოთხრობის ცენტრში დგას ის გაუთავებელი დავა, ის ხან აშკარა და ხან ფარული ბრძოლა, რომელიც ნათელას გათხოვების საკითხის ირგვლივ არის ატეხილი. ამ ამბავს უკავშირდება ყოველი ეპიზოდი მოთხრობისა. ამ ფონზე ოსტატურად არის გახსნილი უნუგეშო სინამდვილე რეფორმის შემდეგდროინდელი სოფლისა, სადაც და ძმას აღარ ინდობს, მეზობელი — მეზობელს, ბიძა — ძმისწულს. საუცხოო მხატვრის ხელით მწერალი ფარდას ხდის იმ შინაგონ წინააღმდეგობებს, რომლებიც ძველი სოფლის ცხოვრებას არღვევენ, დასაყრდნობ ფუძეს აცლიან. მგრძობიარე ჰუმანისტი, ადამიანის ღრმად მოსიყვარულე მწერალი, გულისტკივილით მოგვითხრობს, როგორ ხოცავენ ერთი ნაჭერი მიწის გულისათვის ადამიანები ერთიმეორეს. ავტორი აგვიწერს სურათს, როცა სადავო მიწაზე მომუშავე გლეხებს თავს ესხმიან ასმათის მიერ წაქეზებული კაცები. ერთ გლეხს დამბაჩითა ჰკლავენ, მეორეს ხმლით მკერდში დასჭრიან, მესამეს — მკლავს ჩამოაგდებინებენ. ორი გლეხი მოჰკლეს ამ ჩხუბში. ხუთი მძიმედ დასჭრეს, დანარჩენები — დაჭვანტეს, და ამ მძიმე სურათს ავტორი ასეთი ფრაზით ამთავრებს:

„ასმათი გაღმიდან უყურებდა ამ ამბავს და სიამოვნებდა: „აგრე მოგიხდებათ... საწყლები, როგორ თხებივით დაითანტენენ! თუ ეგ არ გინდოდათ, რად დამითესეთ. ჩემი ყანა? წადით. ახლა და როსათმა გიშველოთ!“

განა ეს ის კეთილი მამიდა ასმათია, რომელსაც ასეთი ნაზი სიყვარულით უყვარს თავისი ობოლი ძმისწული ნათელა? მაგრამ ეს მოხვეჭის წყურვილი, მიწის დასაკუთრებისათვის ბრძოლა ამ უბრალო დედაკაცის სულშიც კი მხეცურ ინსტინქტს აღვიძებს და იქამდე აგულქვავებს, რომ შეუძლია სიამოვნებით უტკიროს, თუ როგორ ჰკლავენ კაცს. ასე ამახინჯებდა ადამიანს ინსტინქტი კერძო საკუთრებისა, აშიშვლებდა და აბნელებდა მის სულს.

მამიდა ასმათი ბოლოს მაინც დამარცხებული რჩება. ნათელა მას წაართვის, უკანასკნელი იმედი დაჰკარგა, ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა, ტყუილად გადააბუგინა მან ძმის სახლი — ვერც დედის ნაქონი გულის ქინძისთავი და იაგუნდის ბეჭედი ჩაიგდო ხელში, ვერც სასურველი სიძე იშოვა; ტყუილად იღუპება ასმათის შვილობილი — ოთარი, რომლის დამეგობრება ასმათთან ესოდენ საბედისწერო აღმოჩნდა.

ეს მოთხრობა ძალზე მუქი ფერადებით არის დაწერილი, განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს სურათი, რომელშიც აღწერილია ოთარის თერთმეტი წლის ვაჟის გაგიჟება. როცა პატარა ბიჭი ხედავს, როგორ დასჩხეს ჩაფრებმა მისი მამა, როგორ შემოეხვივნენ სასიკვდილოდ დაქრილს, სისხლით მოსვრილ კაცს და თავსა და ხელებს უკრავენ — პატარა ბავშვის გონება ველარ იტანს ამის დანახვას. ის დაბნეული იწყებს აქეთ-იქით სირბილს და ცივი, სულის გამყინავი, უსიამოვნო ხმით იძახის: „მამაჩემი დაჩხეს, დაჩხეს“.

დაქრილი წაიყვანეს, შეშლილი ბავშვი დიდხანს დარბის ეზოში და კვლავ შემაძრწუნებლად გაჰკივის: „მამაჩემი დაჩხეს“.

საზარელი, გულისდამწველი სურათია. ჩვენ არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ის, რომ ამა თუ იმ პერსონაჟს აუცილებლად ორეულს და პარალელს მოუძებნიან ხოლმე მსოფლიო ლიტერატურაში, მაგრამ აქ უნებურად გვახსენდება პატარა ილიუშა სნეგირევი, გმირი დოსტოვესკის რომანისა: როცა მთვრალი მიტია კარამაზოვი ქუჩაზე სცემს სნეგირევს, ამ დროს მოწაფეები ბრუნდებიან სკოლიდან და მათ შორის იმყოფება სნეგირევის ბავშვიც. ამ უკანასკნელმა, როგორც კი დაინახა რა დღეში იყო მისი მამა, გაექანა მისკენ, „მამა, მამა“, — ყვირის ის, ეხვევა თავის მამას, ცდილობს ხელიდან გამოჰგლიჯოს შეურაცხყოფელს: „დაანებე თავი, დაანებე, ეს ჩემი მამაა, აპატიე მას“. და პატარა ილიუშა ხელზე ჰკოცნის თავდამსხმელს, იმ ხელზე, რომელიც მის მამას სცემს, — ეგებ ამან მაინც მოაღბოსო. და ეს სულის სიღრმემდე შეძრწუნებული ბავშვი, ამ მძიმე ფსიქოლოგიური სურათის ხილვის ზეგავლენით იღუპება.

ასეთსავე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს ოთარის ბავშვის გაგიჟება. ადამიანის სიკეთეზე მეოცნებე, ოპტიმისტი, ნათელი სულის ადამიანი, ჰუმანისტი გიორგი წერეთელი იძულებულია ხატავდეს ამგვარ პირქუშ და შემზარავ სურათებს. ის იძულებულია წერდეს მასზე, რადგან ეს სინამდვილე იყო, ჯურღმულივით ბნელი და შემადრწუნებელი სინამდვილე. და გიორგი წერეთელს, რომელიც თა-

ვის თავს შეუფერავი. რეალიზმის მიმდევრად სთვლიდა — არ შეეძლო თვალი დაეხუჭა ამ სურათების, ამ სინამდვილის წინაშე.

„შეუფერავი რეალიზმი“ სრულიადაც არ ნიშნავს ცხოვრების ფოტოგრაფიულ გადმოცემას, ყოფის ნატურალისტურ აღწერას; როცა გიორგი წერეთელი თავის ლიტერატურულ სტილს განსაზღვრავდა როგორც შეუფერავ რეალიზმს — მას ნატურალიზმი და ცხოვრების ფოტოგრაფიული ასახვა როდი ჰქონდა მხედველობაში. მწერალი ფიქრობდა ამ ცნებით გამოეხატა, დაეხასიათებინა ის მიდგომა სინამდვილისადმი, რომლის დროსაც მწერალი, თვით გიორგი წერეთლისავე სიტყვით რომ ვთქვათ, ცხოვრებას არწივის თვალით უცქერის, როცა არ აღამაზებს სინამდვილეს, არამედ ააშკარავებს მის შინაგან წინააღმდეგობებს, გამოაქვს ხალხის ცხოვრების ტკივილები სამზეოზე, როცა მწერლობა ხდება უტყუარი საკვე სინამდვილისა. „შეუფერავი რეალიზმი“ — ეს იგივე კრიტიკული რეალიზმია. ვინც გულდასმით გასცნობია, ერთის მხრივ, გიორგი წერეთლის წერილებს ლიტერატურაზე და, მეორეს მხრივ, მის მხატვრულ შემოქმედებას — მისთვის უდავო უნდა იყოს, რომ სწორედ ამგვარად ესმოდა მას ცნება შეუფერავი რეალიზმისა.

მაგრამ არსად ისე ნათლად, ისე ყოველმხრივად არ გამოჩენილა გიორგი წერეთლის ტალანტის სიძლიერე. აწსად მას ისე ყოვლისმომცველად არ დაუხატავს მეცხრამეტე საუკუნის საქართველო, როგორც თავის ორ რომანში — „პირველ ნაბიჯსა“ და „გულქანში“. გიორგი წერეთლის სახელთან დაკავშირებულია ქართული რომანის აღორძინების ეპოქა. მაგრამ გიორგი წერეთელი, როგორც რომანისტი, ეს უკვე ცალკე თემაა.

მთელი მისი შემოქმედება გამსჭვალულია ადამიანისადმი წრფელი სიყვარულით. მას სწამდა ადამიანის ძალა, უყვარდა ადამიანი და თავის შემოქმედების უმაღლეს მიზნად მისი კეთილდღეობისათვის ბრძოლას ისახავდა.

## ვაჟა-ფშაველა

როცა მგზავრი მცხეთის ახლოს საქართველოს სამხედრო გზიდან გადაუხვევს და ბაგინეთის ბუჩქნარიან ფერდობებს შეჰყვება, მას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს აყრიამულეებული და ცოცხალი ხმიანობით აღსავსე აწმყოდან უცებ მდუმარე ისტორიაში გადაეშვაო. აქ ასკილის ბუჩქების ძირში ყრია ნალეწები კრამიტებისა. რომლებიც ეხურა იბერიელთა იმ სახლებს, სტრაბონმა რომ აღწერა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დასაწყისში. იმ სახლების ჭერქვეშ იზრდებოდნენ პირველი საუკუნის ქართველები და აქ ყოველი ბელტი მიწისა მოწმეა მათი ცხოვრების, მათი ბრძოლისა და თავგანწირვის. აქ ყოველი გადასახედი ქედიდან თუ შთიდან თითქოს გადაგახედებს ისტორიაში, იმ დროში, როცა საქართველოს დედაქალაქს — მცხეთას რომის ლეგიონები მოაწყდნენ. მათ წინ მოუძლოდა პომპეუსი, კაცი განებივრებულე გამარჯვებებით. ძველი საბერძნეთის ისტორიკოსი პლუტარქე მოგვითხრობს, რომ როცა პომპეუსი ათენში შევიდა, ქალაქის ჭიშკარზე წაიკითხა წარწერები, სადაც მას ღმერთს ადარებდნენ და წერდნენ: „გელოდით, მოგესალმეთ, გნახეთ, გაცილებთ“.

— მაგრამ აი ეს ქალაქი, არაგვისა და ჰტკვრის ხეობების მიჯნაზე რომ დგას, მისალმებთ როდი შეხვდა პომპეუსს. იგივე პლუტარქე ადასტურებს, რომ „იბერნი გულადობითაც სხვებზე უფრო მამაცნი იყვნენ და ძალიან უნდოდათ... პომპეუსი უკუექციათ. იბერნი არც მიდიელების მორჩილებაში ყოფილან, არც სპარსელებს ექვემდებარებოდნენ“ და, ცხადია, არც პომპეუსს მოუხრიდნენ ქედს. მეფედ მაშინ იბერიაში არტაგი, ანუ როგორც მას ბერძენი ისტორიკოსი დიონ კასიოსი ეძახის, არტოკი ყოფილა. მაგრამ ერთი ეს კი იყო — რომის ჯარები იბერიის დედაქალაქს მოულოდნელად წამოაწყდნენ თავზე. მეფემ ხიდი დასწვა და მტკვარგალმა გავიდა. რომაელებიც



გადაჰყენენ მდინარეს მეორე მხარეს და საარაგვოზე დაიწყო — თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, პარტიზანული ბრძოლა; სწორედ აქ მოხდა ერთი საგულისხმო ეპიზოდი — არაგვის ნაპირზე, ანანურთან პომპეუსის ურიცხვ ჯარს სამასმა ფხოველმა (ძველად ასე ეძახდნენ ფშავლებს) შეუკრა ჯზა. ერთი მუჰა ვაჟაკები წინ გადაუდგნენ იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე მრისხანე დამპყრობელს და ეს ფაქტი ვაჟა-ფშაველას თავის ეთნოგრაფიულ ნარკვევებში მოჰყავს, როგორც დამადასტურებელი ხალხის წმიდათა წმიდა პატრიოტული გრძნობისა.

თითქმის ორი ათასმა წელმა გაიარა მას შემდეგ. და ამ საუკუნეთა მანძილზე რა ჰქირსა და ვარამს მოსთვლით ჩვენს წინაპრებს რომ არ გადაეტანოთ. და მაინც არასოდეს დაუთმიათ თავიანთი მიწა. ერთი გამოჩენილი ქართველი მწერლის თქმისა არ იყოს, ეს მიწა გულის თბილ სისხლს მოითხოვდა, თანაც უკანასკნელ სიყვარულს და უკანასკნელ ამოსუნთქვასაც, და ქართველსაც არაფერი ეს არ დაუზოგავს, არც ერთ განსაცდელს არ შერიგებია.

ამ ისტორიის ღონიერი სუნთქვა ისმის ვაჟა-ფშაველას პოეზიაში, მის სტრიქონებში მთელი ძალით გამოკრთება ხოლმე შუქი იმ ელვისა, საქართველოს მთებზე რომ ელავდა საუკუნეთა მანძილზე, გაიხშიანებს ხოლმე გამოძახილი იმ ჰქეპა-ქუხილისა, ამ მიწას რომ დაატყდებოდა ხოლმე თავს. როგორ ცოცხლად ხედავს ვაჟა წინაპართა აჩრდილებს — ხედავს მათ აზჯარასხმულებს და მომღიპრებს — „შუაზე თამარი ედგათ, ბრწყინვალე როგორც ცისკარი, გარს ერტყნენ ღვაწლითმოსილნი, ბევრი მათგანი ვიცანიო“, ამბობს პოეტი „ჩვენებაში“. ვაჟა მათ, როგორც ცოცხლებს, ისე ეალერსება, როგორც მშობელს, ისე ეძახის განსაცდელის ეამს. „მოწყალეთ გვექმენ, მფარველად, ჩვენო ლამაზო დედაო“, მიმართავს ის თამარს და ისე გულთან ახლოს აქვს მიტანილი ისტორია, რომ ის აუცილებელი ხდება როგორც ფეთქვა იმ გულისა, როგორც სუნთქვა, როგორც სიცოცხლე.

ძნელია თვალის ერთი გადავლებით შეაფასო ის მდიდარი შემოქმედებითი საგანძური, რომელიც ვაჟა-ფშაველას გენიამ დაგვიტოვა. მისი ლექსები და პოემები აღებენ დიდი და ვრცელი სამყაროს კარს, სადაც თქვენს წინ გადაიშლება ცხოვრება აუარებელი ადამიანებისა, მრავალი თაობებისა. აქ არიან ჩვენი შორეული წინაპრებიცა და ვაჟას თანამედროვენიც — XIX საუკუნის ადამიანები, აქ არის მთელი საქართველო თავისი განუუმეორებელი ლანდშაფტებით, თავისი მომხიბვლელი ბუნებით, ყოფით, თავისი ჰიროთა და ლხინით და პირველი შთაბეჭდილება ამ ნაწარმოებების კითხვისას მულამ ის აჩის.

რომ თქვენ გრძნობთ — მწერალმა ცხოვრების თვით შუაგულში შე-  
გიყვანათ, იქ, სადაც დულს და ბობოქრობს ყველაზე მძაფრი მორე-  
ვი ადამიანური ვნებებისა, იქ სადაც ჰქრის ისტორიის ქარიშხალი,  
სადაც იჭედება თვით ისტორია ხალხისა, სადაც ჩანს მისი ცხოვრე-  
ბის ყველაზე ღრმად წასული ჯანსაღი ფესვები. აქ ისტორია ჰგავს  
გავარვარებულ ქურას, სადაც დნება, იფერფლება ყველაფერი მაგა-  
რი და გამძლე, რათა უფრო უმაგრესი ფოლადი წარმოიქმნას. სწო-  
რედ ასე უნდა გვესმოდეს ჩვენ ხალხების ზეადმავალი ისტორიაც და  
ასეა წარმოდგენილი იგი ვაჟა-ფშაველას ქმნილებებშიც. აქ ისტო-  
რია მკვდარი კი არ არის, ლანდების სამეფო კი არ არის, არამედ გა-  
უთავებელი სიცოცხლე და წარმოქმნაა, ფუძეა, ნიადაგია, სადაც  
დღევანდელის ფესვები გამჯდარან ღრმად და იმ ფოთლებსა და ყვა-  
ვილებს, ახლა რომ ხარობენ და იმათაც, მომავალში რომ გაიხა-  
რებენ — აცოცხლებენ და ძუძუს აწოვებენ.

ამ ასპექტში არიან დანახულნი ვაჟა-ფშაველას პოემების გმირები,  
ხარბად შეყვარებულნი სიცოცხლეზე, ქვეყანაზე, წუთისოფელზე,  
სიცოცხლის იმ ძლიერი ნიშატით აღბეჭდილნი, იმ იდუმალი და  
ბუმბერაზული შინაგანი ღონით აღსავსენი, რომელიც ქმნის პათოსს  
თვით ერის ისტორიისა. მე მგონია, აქ მთელი ძალით გამოჩნდა ის,  
რასაც ერის გენია ეწოდება, ანუ სხვა სიტყვებით — ის ძალა, რომე-  
ლიც ჩადულაბებულთა ერის ისტორიის საძირკველში. ვაჟა-ფშაველას  
საქართველო — ეს არის შემოქმედი საქართველო, დაუბერებელი,  
კეთილი და ბრძენი, როგორც მინდია, მამაცი და გაუტეხელი რო-  
გორც კლდის ვეფხვი ალუდა ქეთელაური, თავდადებული, სპეტაკი  
და წმინდა, როგორც ობოლი კვირია — ეს სიმბოლო ჩვენი ხალხისა,  
მთავარი გმირი საქართველოს ისტორიისა.

უსაზღვრო და თვალუწვდენელია ვაჟას სამყარო, თანაც წარმტაცი  
და მომხიბლავია იგი. მაგრამ ის კი ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ  
ვაჟას გენია ეროვნულ ფარგლებში არ ეტევა, მისი არწივის თვალი  
მსოფლიოს ჰორიზონტებს გასცქერის და ეს სწორედ იმიტომ, რომ  
ღრმად უდგას ფესვები ეროვნულ ნიადაგში; ეს აძლევს მას ბუმბე-  
რაზულ ძალას.

ამიტომ არის, რომ ჩვენ მის წიგნებში მუდამ საქართველოში  
ვგრძნობთ თავს და ვხედავთ, რომ იმავე დროს ჩვენს თვალწინ იშ-  
ლება მთელი მსოფლიო, მთელი სამყარო — თავისი სილამაზით, სიყ-  
ვარულით, გაუთავებელი ტანჯვით და ნეტარებით, ბრძოლითა და  
ვაი-ვაგლახით; აქ დულს, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, მთელი  
ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა, აქა სჩქეფს ძარღვებში მოარული  
სისხლი, აქა სცემს თვითონ სიცოცხლის ძარღვიც. აქა სძულთ, აქ

უყვართ, აქ არის კაცური კაცობაც და ქალური კდემაც და კრძალუ-  
ლებაც, აქ არის ყველაფერი, რაც წმინდა და კეთილია ადამიანში და  
მთელ ბუნებაში. უსაზღვროდ ფართოა ჰორიზონტი ვაჟას გენიისა —  
ის აერთიანებს მრისხანე არწივის სიმაჰაცესა და ბუჩქის ძირას მოსუ-  
ლი იის სინაზეს; ვაჟა ისე ძლევაჰოსილი და ისე მარად უკვდავია, რო-  
გორც მიწა, როგორც თვითონ სიცოცხლე. იგი მსოფლიო გენიოსია,  
რომელიც ბრწყინავს კაცობრიობის აზრის ყველაზე ნათელ თანა-  
ვარსკვლავედში.



XIX საუკუნის სამოციანი წლები ქართველი ხალხის ეროვნული  
გამოფხიზლების ეპოქა იყო. ქართულ ლიტერატურაში მოვიდა ილია-  
სა და აკაკის თაობა, რომელმაც ჩამოიტანა შორეული ქალაქიდან კა-  
ცობრიობის განახლების იდეები და თავისი შემოქმედებითი მოღვა-  
წეობით განამტკიცა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლე-  
ბელი მოძრაობა.

სწორედ ამ ხანებში, როცა თერგდალეულები მწერლობისა და  
ბრძოლის ასპარეზზე გამოდიოდნენ, როცა სამშობლოსაკენ გამომ-  
გზავრებული ილია ჭავჭავაძე სტეფანწმინდასა და ფასანაურს შუა,  
ქართლის ბედზე ესაუბრებოდა მოხვეე ლელთ ღუნისა, ფშავში,  
სოფელ ჩარგალში, დაიბადა ბავშვი, რომელიც სიჭაბუკისა და  
დავაჟაცების წელში მხარში ამოუდგა თერგდალეულთა თაობის  
მწერლებს და რომელმაც ქართული პოეზია ახალ მწვერვალზე აი-  
ყვანა.

ეს ბავშვი ლუკა რაზიკაშვილი იყო, შემდეგში დიდი პოეტი ვაჟა-  
ფშაველა, ხოლო ის წელი 1861 წელი იყო.

ვაჟა-ფშაველა ბავშვობის წლებიდანვე ვაჟკაცურ გადმოცემებსა  
და ტანტასტიკურ ლეგენდებზე იზრდებოდა. იმ ადამიანების წარმო-  
სახევაში, რომელთაც ვაჟას სულიერ ფორმირებაში მთავარი როლი  
ითამაშეს, საქართველოს მთელი ისტორია რაღაც ლეგენდის შუქით  
იყო განათებული. ფშავლები არასოდეს ყმები არ ყოფილან, მათ არ  
გაუვლიათ დამცირების ის ჯოჯოხეთი, რომელიც საუკუნეთა განმა-  
ვლობაში მთელი საქართველოს გლეხკაცობის ხვედრი იყო. ამ გარე-  
მოებამ ღრმა კვალი დააჩნია ფშავლის ფსიქოლოგიას. ის ამაყი და  
ქედმოუხრელი დარჩა. ფშავლის ძეალმაგარი მოდგმა მეცხრამეტე  
საუკუნეში წინაპარი რაინდების ანდერძით ცხოვრობდა. ამ ანდერ-  
ძისათვის არც რაზიკაშვილის გვარს უღალატნია. ამ გვარში თაობი-  
დან თაობაში გადადიოდა ხსოვნა ვაჟკაცური სიამაყით და გაუტეხ-  
ლობით აღსავსე ადამიანებისა, რომელნიც მკერდით იცავდნენ თა-

ვიანთ მშობლიურ მთებსა და ხეობებს. ფშავში ჯერ ისევ ცოცხალი იყო ხსოვნა ვაჟას წინაპრის იმედა რაზიკაშვილისა, რომელიც თურმე მეფე ერეკლეს ეუბნებოდა: „ორი შენ მიბრძანე, ბატონო, მაგრამ მესამე ჩემი გაიგონეო“. მთის გადასასვლელ ყელებში, საიდანაც მტრის თავდასხმა იყო მოსალოდნელი, იმედას ქუჩი-ბალახი ჰქონდა ერთიმეორეზე გადაბმული, ისე რომ საზღვარზე გადმოსული მხედრის ცხენის ფლოქვს უნდა გაეგლიჯა ის. და ეს იქნებოდა ცნობა, რომ სამშობლოში მტერი შემოსულა. ორ დღეში ერთხელ ჩამოუვლიდა ხოლმე თურმე იმედა ამ ჩანიშნულ ბუჩქებს. იმედას შიშით ლეკები და ქისტები ველარ ჰბედავდნენ ფშავლებზე თავდასხმას, მას აუარებელი ტყვე გაუთავისუფლებია.

ვაჟას ბიძას — ბოიგარს სამჯერა ჰქონია ათავებული აზარი და თოფიც სამჯერ დაუმარხავს მიწაში. ამ რაინდების სული ედგა მათს გვიანდელ შთამომავალს. ბავშვობიდანვე გაიღვიძა ვაჟას გულში მათდამი სიყვარულმა და ეს სიყვარული მას შერჩა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში. ეს ადამიანები უნებურად გვაგონებენ ვაჟას პოემების გმირებს, წარბშეუხრელ ვაჟაკებსა და მონადირეებს, გვაგონებენ ხიმიკაურის სახეს, რომელსაც ვაჟაკის შეურაცხყოფა, ხმლის წართმევა თავის საყვარელ მეფე ირაკლისათვისაც კი ვერ უპატიებია.

წარმოსადეგი ვაჟაკი ყოფილა პავლე რაზიკაშვილი — მამა ვაჟა-ფშაველასი. „მტერს ხმალი და სწორსა და ძმას სამართალიო“, — ეს იყო მისი პრინციპი, თავს არაფრის დაჩაგვრინებდა, უსამართლობას არავის შეარჩენდა. ვაჟას მამა ჯერ მეცხვარე ყოფილა და შემდეგ მღვდელი გამხდარა. როცა კი ოჯახში შეიხედავდა და დროს იხელთებდა, მოუჯდებოდა შეილებსა და წერა-კითხვას ასწავლიდა, ერთნაირი გატაცებით უამბობდა მათ ფშავ-ხევსურეთის გმირთა ამბებს და ძველი აღთქმის მოთხრობებს. „ჩაუჯდებოდა ხორცს წინკლისათვის საკეთებლად ფიცარზე, — იგონებს ვაჟა, — იქვე ტახტზე მეც დაუუჯდებოდი პირდაპირ და ვუგდებდი გაფაციცებით ყურს იმის ტუბილ საუბარსო“. მაგრამ ვაჟას მამას ბიბლიაში არ აინტერესებდა არც დავითის სევდიანი ფსალმუნები, და არც ეკლესიასტეს ჰუმუნა ამ ქვეყნიურ ამოთა ამოებაზე. არა, ის აქაც მარტო გმირებით იყო გატაცებული. მამა-შვილის საუბრის თემა ჰაბუკი დავითი იყო. რომელმაც ესროლა „უცხო თესლსა შუბლსა შინა მისსა და დაასო ქვა ჩაფხუტსა ქვეშე და დასცა გოლიათი“, მათი საუბრის თემა მაკბელთა ვაჟაკობა და სამსონ ძლიერის ბრძოლა იყო. პატარა ვაჟა ისე გაუტაცნია ამ გმირებს, რომ ბავშვობაში თურმე ბიბლიური სამსონის ღონესა ნატრობდა და მასავით პირველ ფალავნობაზე ოცნე-

ბობდა. ამავე ხანებში ეცნობა ვაჟა „ვეფხისტყაოსანს“, რომელმაც მასზე ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

ამგვარმა აღზრდამ მასში გმირული სული გააღვიძა. მაგრამ XIX საუკუნეში ძველებური გმირობის საასპარეზო თითქოს აღარა იყო რა. ამ უღრობის ხანამ მაინც ვერ დააცხრო და ვერ გაანელა ვაჟას ფანტაზია. მან კარგად იცოდა, რომ ძველად მოგვისა და მოძღვრის სიტყვას რაინდის ხმაღზე ნაკლები ძალა არ ჰქონდა. და ამიტომ იმანაც პოეზიაში იპოვა ნამდვილი გმირობის ასპარეზი. ის კვლავ რომანტიკულ, ვაჟაკურ საქმეს ეძებდა პროზაულ გარემოცვაში და მასწავლებლის პროფესიასაც, — რაც მას ბედმა არგუნა, — ამ თვალთუქქერდა. ჯერ ისევ მოწაფეობის დროს, გორის საოსტატო სემინარიაში ვაჟა წერს საკლასო თხზულებას თემაზე: „რაშია სოფლის მასწავლებლის ძალა“ და აღნიშნავს, რომ ბრძოლის ველზე იმარჯვებს არა მარტო სარდალი, არამედ სოფლის მასწავლებელი, რომელმაც მას ჯარისკაცები აღუზარდაო.

ამრიგად, მასწავლებლობა მისთვის პატრიოტიზმისა და მომავალი ბრძოლის ველზე გამარჯვების საქმე იყო. ის უნიადაგო არა ყოფილა თავის პოზიტიურ მისწრაფებებში, რადგან მას მაგრად ედგა ფეხი მიწაზე. მას არასოდეს არ გაუწყვეტია ხალხთან კავშირი, არა მარტო თავის შემოქმედებით, არამედ პრაქტიკული ცხოვრებითაც. ხშირად უნახავთ ის ძველი ჩოხით, ილიაში ამოჩრილი ნაბლით და პატარა ხურჯინით მხარზე ფეხით მიდიოდა შირაქისაკენ, რომ იქ დასახლებულ ფშავლებისათვის ეშველნა, მათი ჭირი გაეზიარებინა და შეემსუბუქებინა.

გაჭირვებით ცხოვრობდა ვაჟა. ის ჯერ სოფელ ამტნისხევშია მასწავლებლად. მერე სოფელ ოთარშენში შინამასწავლებლად უდგება თავად ამილახვარს, შემდეგ დიდთონეთის სკოლაში ვხედავთ. ის მასწავლებელიც არის, მონადირეც, მიწის მუშაც. „მომდურავი ვარ კალმისა და მხოლოდ მადლობელი გუთნისა, რადგან თავსა და ცოლშვილს იმით ვარჩენო“ — ამბობს ვაჟა ერთ წერილში. მეორე ადგილას ვაჟა კი არ ჩივის, ისე უბრალოდ აღნიშნავს — დაგლეჯილი ჩოხით დავდივარ და ფიზიკური მუშაობით ხელზე ტყავი მაქვს გადამძვრალიო.

მაგრამ არაფერს არ შეეძლო მისი გატეხვა, არაფერს არ შეეძლო შეესუსტებინა ის განუზომელი სტიქიური ძალა და ვაჟაკატური ხმინაობა, რომელიც დაუღველად ჩქეფს მის პოეზიაში:

ხარს ვგეჟარ ნაიალადარს,  
ჩქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ:  
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, —  
მძინარე ამას ვლულუნებ.

თავის პოეტურ შთაგონებას ის არწივის სახით გამოხატავს:

აღარ მესტუმრა არწივი,  
აღარ დამეუფა თავზედა.  
აღარც რო კარგი მალაღებს,  
აღარცა ვჯავრობ ავზედა.  
მოდო, არწივო, სადა, ხარ,  
შორითვე გიციობ ხმაზედა,  
შენს მოსვლას როცა ვი ვიგრძნობ,  
გამოვიცვლები წამზედა.  
მყის ვტოვებ დელამიწასა,  
გადავსახლდები ცაზედა,  
ხან ფანდურს შევაქვარუნებ,  
ხან დაემღერებ თარზედა.

შემოქმედების წუთებში პოეტი მისნური თვალთ ხედავს ქვეყანას, თითქოს მას, ვაჟასავე სიტყვით რომ ვთქვათ, ცხრა მზე და ოცი მთვარე დაჰნათის. ვაჟას ლირიკაში დიდი გული შეერთებულია ნათელ გონებასთან. მის პოეზიაში ისმის წყურვილი გმირული ცხოვრებისა, რომელიც წყაროსავე სცემს და რომლის გზა გაშუქებულია მძლავრი ადამიანური გონებით. თავის ლირიკაში პოეტი უთანაბრდება თავისავე ეპიკურ გმირებს, მინდიასთან ერთად ესაუბრება ბუნებას და ხიმიკაურთან ერთად მუხლს იყრის ირაკლის წინაშე.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ის ფილოსოფიური კონცეფცია, რომელიც ვაჟას პოეზიაში ჩანს, უფრო ღრმა და შორსმწვდენია. ვიდრე ის თვალსაზრისი, რომელსაც ყველა ფშაურ-ხევსურული თქმულება შეიცავს. ვაჟას ეს თვალსაზრისი მზამზარეულად არ მიუღია ფშაველ მთქმელებისა და მელექსეებისაგან. მან ძალიან ადრე დაიწყო ინტელექტუალური ცხოვრება: მისი თანამედროვენი გადმოგვცემენ, რომ მან მოწაფეობის წლებშივე გატაცებით გადაიკითხა და შეისწავლა ანტიკური ფილოსოფია — პერაკლიტე, ეპიკურე. პლატონი და არისტოტელი. მათ გარდა გადაიკითხა ბეკონის, კანტის და სპენსერის წიგნები. ახალგაზრდა ვაჟა სამყაროს საიდუმლოებათა ახსნას ეძებდა არა მარტო ფილოსოფოსთა ნააზრევში, ამავე წლებში ის ეცნობა პომპროსსა და ვირგილიუსს, დანტესა და მილტონს, შექსპირსა და ბაირონს, ამ ხანებში ვაჟა უკვე ცდილობს დამოუკიდებლად გაიკვლიოს გზა, ის ბრმად აღარ ემორჩილება ავტორიტეტებს.

ალ. გარსევანიშვილი თავის მოგონებაში გადმოგვცემს იმ ლექციის შინაარსს, რომელიც ვაჟას გორის ხალხოსანთა წრის ლიტერატურულ სემინარზე წაუკითხავს. ამ ლექციაში ვაჟას საუცხოოდ აუხსნია „მსოფლიო სევდის“ პოეზიის წარმოშობის მიზეზები, იმ პო-

ეზიისა, რომელმაც დაჰკარგა ადამიანის გონების ძალისადმი რწმენა. ეჟას ხაზგასმით აღუნიშნავს, რომ მსოფლიო სევდის გამომხატველი ლიტერატურა და თვით ამ ლიტერატურის გმირები — შატობრიანის რენე, ბაირონის მანფრედი და ჩაილდ-ჰაროლდი წარმოიშვნენ კაცობრიობის იმ დიდი იმედების დაღუპვის გამო, რომელსაც იმდროინდელი თაობა საფრანგეთის რევოლუციასზე ამყარებდა.

ესენი დაღლილ-დაქანცული ადამიანები არიან, ან გულგაქევაგებულინი, ან გადაჭარბებით მგრძნობიარენი.

ეჟა თამამად ემიჯნება ამ პესიმიზმს და ჯანსაღ წყაროებს ეძებს ქვეყნის გარდასაქმნელად.

ეჟა-ფშაველას პოემები, უპირველეს ყოვლისა, იმით იქცევენ ყურადღებას, რომ ხატავენ მაღალი სულის, უჩვეულო კეთილშობილების ადამიანებს, რომლებსაც გასაოცარი შემმართველობა ახასიათებთ. მათ არ იციან შიში და უკან დახვევა განსაცდელისა და უბედურების დროს. ეს მართლაც კლდისებური ადამიანები არიან, რომლებიც, როგორც კლდე, რომელსაც მდინარე შეჰხეთქებია, არ დაიხვევენ უბედურების წინაშე. ისინი მკაცრი და პირქუშნი, მაგრამ, იმავე დროს; სამართლიანი არიან, ამის შესახებ თვითონ ეჟა წერდა:

„რას მომაგონებს მოღრუბლული გაშავებული ცა, რომლიდანაც ელვა გამოვარდება და კაცს ზიანს აძლევს; ცხოველები თრთიან, მცენარეთაც კანკალი აიტანთ, ბუნება გამტკნარებული, სულგანაბულია?“

ეს მოვლენა მომაგონებს გამბედავს, სიმართლისმოყვარულ კაცს. ის ბევრს აწყენინებს, მაგრამ მისი სიტყვა კაცობრიობის წყლულს მალამოდ დაედება. მისი სიტყვა გააღვიძებს კაცობრიობის გულს, როგორც წვიმა გამხმარ დედამიწას“.

ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ეჟას პოემა „აღუდა ქეთელაური“. აქ ჩანს ადამიანი მთელი თავისი სულიერი სიმაღლით. აქ არის თაყვანისცემა მის წინაშე. ვინც არ უნდა იყოს იგი — ხევსური თუ ქისტი, გუდანისჯვრის ყმა თუ მოუნათლავი ღიღღვი. აქ მწერალს მხოლოდ ადამიანის სული აინტერესებს და ყველა აქსესუარი — ქისტების თავდასხმა, ცხენების მოტაცება და სხვა, მხოლოდ იმისათვისაა მოყვანილი, რომ უფრო ღრმად გაგვინათოს აღუდა ქეთელაურის შინაგანი არსება, გამოავლინოს ყველა კეთილშობილური მისწრაფება, რომელიც ამ ადამიანის გულში ბუდობს.

აღუდა ქეთელაური სახელგანთქმული ეჟაკაცია. ბევრი ქისტისათვის, მოუჭრია მას მარჯვენა და არასოდეს სინანული არ უგრძენია.

მაგრამ როცა დაინახა როგორ გმირულად კედებოდა ქისტი მუცალი. როგორ იფენდა ის, სასიკვდილოდ დაქრილი, წყლულში მთის სწევანე ბალახს, იგი ამ სიკვდილმა მოხიბლა და დაიმორჩილა. მეკლარს აღარც იარაღი აპყარა, აღარც მარჯვენა მოსპრა, პირიქით, ნაზადი გადააუარა და გულზე ფარი დაადო. ამის შემდეგ სიზმრები აღარ ასვენებდნენ ალუდას. სიზმარში მოდის მუცალი, ნატყვიარი ისევ აჩნია გულზე და ხევსურს ეხვეწება:

მინდა სიკვდილი, არ ვკვდები,  
მაკალი, მოსრა ხვეწნითა,  
თქვენ დაგრჩეს წუთისოფელი,  
მე კი წავიდე ქვეყნითა.  
დაძვებით, ხვესურთ შვილებო,  
ლაშქრობით, ხმლებს გნეითა.

ალუდა მსხვერპლს სწირავს მუცალის მოსახსენებლად, რითაც ხალხს აიძვდრებს, მას აძევებენ თემიდან. მაგრამ ის ბოლომდე გაუტუნელი და მტკიცე რჩება. ესაა ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად სამშობლო უყვარს, რომელიც ერთი წუთითაც არ დასტოვებს თემის სადარაჯოს, მაგრამ როცა საჭიროა, ვაჟკაცობისადმი პატივისცემის და შეწყალების წმინდა მცნების სახელით, თემავე უწუნებს და უსწორებს უმართებულო საქციელს.

„სტუმარ-მასპინძელი“ სასება ხელოვნების ჰეშმარტი პაოლისით, იმ მდიდარი, მაღალი შინაარსით, რომელიც ღრმად გამოხატავს ადამიანის სულის მთელს არსებას; აქ გამონახულია ყველაზე ნამდვილი და მძაფრი კოლიზია.

ჩვენ ამ პოემაზე უფრო ვრცლად შევიჩერდებით.

ქისტეთის მიდამოს ღამის წყვილია რომ გადაეფარება. კლდიან ბილიკზე უცხო კაცი გამოჩნდება. ეს არის ხევსური ზვიადური, რომელსაც ნისლიან ქიუხებში გზა დაბნევია და თავისდაუნებურად მტრის სოფელს მიახლოვებია, ხევსური ხვდება ქისტ ჯოჯოლას, რომელიც ნადირობიდან ბრუნდება. ვაჟკაცები გაეცნობიან და შეეთვისებიან ერთმანეთს. ზვიადური არ ეუბნება მასპინძელს თავის ნამდვილ სახელს, რადგან მას სტუმრად არც ერთი ქისტის სახლში არ შეესვლება. ჯოჯოლამ არ იცის, რომ მოსისხლე მტერს უღებს სახლის კარს. როცა ჯოჯოლას სახლში შევლენ, იქ მოხუცი ქისტი უხვდებათ, ის უმაღვე იცნობს ზვიადურს და მთელ სოფელს ფეხზე დააყენებს. ღამით ქისტები თავს დაესხმიან ჯოჯოლას სახლს და ზვიადურს დაატყვევებენ. ცხადია, ჯოჯოლას არ შეუძლია დაარღვიოს სტუმარმასპინძლობის წმიდა ტრადიცია და ზვიადურს იარაღით ხელში იცავს. „ვის გაუყიდავს სტუმარი, ქისტეთს სად



თქმულა ამბადა“, — გაიძახის ის. ჯოყოლა მართალია. საყუ-  
თარი სინდისისა და წინაპართა ანდერძის წინაშე, მაგრამ მარ-  
თაღნი არიან ქისტებიც, როცა ჯოყოლას მიმართავენ:

ეს იყო მუღამ, ქუთათხელო,  
ჩვენი ვაჟლეთის ცლაშია,  
მგლურად რომ გვეტყუებოდა,  
რო გვიჯდებოდა გზაშია.  
თვით ამან მოკლა შენი ძმა  
არყიანებში თოფითა,  
ჩვენ ვიცნობთ შაგის სახესა,  
გადალესილსა ცოფითა.

ვეგრძნობთ, რომ იბადება წინააღმდეგობა, რომელშიც თვითეული  
მხარე მართალია და მორალურად მაღალი და რომელთა შერიგება  
სიკვდილსაც აღარ შეუძლია. ჯოყოლა ვაჟკაცური სულის ადამიანია,  
მაგრამ მის კეთილშობილებას უპირისპირდება ისეთი რამ, რაც  
ადამიანისთვის წმიდაა და სათაყვანო; ალაზას ბედიც ამ წინააღმდე-  
გობითაა დაღდასმული: ის მოზარედ უხდება მოსისხლე მტერს,  
დასტირის ადამიანს, რომელმაც არა ერთი ქისტის დედა აატირა,  
არა ერთი ქიტი ვაჟკაცი გაგზავნა უდროოდ შავეთში. როცა სასა-  
ფლაოზე; სადაც ზვიადაურს ყელი გამოსჭრეს და ფრინველთა სა-  
ჯიჯგნად დააგდეს, ალაზა დაქვეითინებს მის ცხედარს, შამა-პაათა  
საფლავეებიდან წყევლის ხმა ესმის, მკვდრების ჩივილი, ბალებების  
საფლავეებიდანაც კი მწარე წივილის ხმა ამოდის, ალაზა ვერ იტანს  
ამ ხმებს და მირბის. საფლავიდან დგება მისი მკვდარი ძმა, ოდესღაც  
განთქმული მხედარი და თავის დას მწარე საყვედურის სიტყვებით  
მიმართავს. ბუნებაც კი ჰკიცხავს ალაზას. „უნამუსო“, — მისძახიან  
ბლაახნი, ქვანიც და ქვიშანიც, მაგრამ ბუნება ზვიადაურსაც გლო-  
ვობს: „ზვიადაურს გლოვობდა შფოთვა და ბორგვნა წყლისაო, ხია-  
ვით ჩამონადენი ოხვრა მაღალის მთისაო“.

ალაზა თავს იბრჩობს, ჯოყოლა შემოსეულ ხევსურთა წინაა-  
ღმდეგ ბრძოლაში კვდება. და იმ კლდის თავში, სადაც ჯოყოლა  
მოჰკლეს, ხალხი ლამაზობით ფანტასტიურ მოჩვენებას ხედავს:  
კლდის თავს წადგება ჯოყოლა და სასაფლაოსაკენ პირმობრუნებუ-  
ლი. გასძახებს თავის სტუმარს; სასაფლაოდან ზვიადაურის ფარხმა-  
ლიანი აჩრდილი წამოვა; მდუმარედ მიესალმებიან ძმობილები ერთ-  
მანეთს, მწუხარე სახით ჩნდება მათთან ალაზაც. აანთებენ მთაზე  
ცეცხლს და ვაჟკაცობაზე, სტუმარ-მასპინძლის წესზე, და-ძმობაზე,  
ურთიერთის დანდობაზე ლაპარაკობენ. უცებ გაჩნდება რაღაც შავი  
ჯანლი, გადაეფარება მათ სახეს, გაჰქრება ყველაფერი და მაჲო

პირიმზელა დარჩება, რომელიც კლდიან უფსკრულში მბორგავ მდინარეს ჩასცქერის. აქ პოეტმა ფანტასტიკურ პლანში გვიჩვენა იგივე, რაც პოემის წინა თავებში რეალისტურად განავითარა; ლამაზი და საამო სანახავია ჯოჯოლას და ალაზას აჩრდილები, მაგრამ მათ ხსოვნას რაღაც შავი ნისლი ჰფარავს და აბნელებს. ჯადოსავით აწევა ეს ნისლი მათ აჩრდილებს და, პოეტის თქმით, მას ვერც მლოცავა შეულოცავს და არც ხელით აიხნდება.

წინააღმდეგობა ტრაგედიის გმირთა სიკვდილმაც ვერ გადასჭრა. ეს არის უმძაფრესი კოლიზია, რომლის ბადალი ანტიკური დროის ტრაგედიაში თუ მოიძებნებოდა, სოფოკლეს „ანტიგონაში“ სწორედ ეს ორი ადამიანური გრძნობა ებრძვის ერთმანეთს. კრეონტის ბრძანებით პოლინიკის გვამი დაუმარხავად გადააგდეს ფრინველებისა და ძაღლების საჯიჯგნად. მკითხველი ეცნობა რა მოვლენათა ვითარებას, რომელიც ამ საზარელ ბრძანებას წინ უძღოდა, გრძნობს, რომ ეს უმკაცრესი მრისხანება სახელმწიფო კანონის გამოხატულებაა, მაგრამ მკითხველი იმასაც ხედავს, თუ რაოდენ კეთილშობილურია მეორე მხარე, კეთილშობილურია ანტიგონას საქციელიც, რომელიც არ ემორჩილება კრეონტის ბრძანებას და რომელსაც წმინდა და-ძმური სიყვარულის შინაგანი ხმა იძულებულს ხდის თავისი ძმის გვამი მიწას მიაბაროს და ცრემლით გამოიგლოვოს მისი დაღუპვა. ამ ამაყი და კეთილშობილი ანტიური ქალიშვილის სულიერი და ამ არის ალაზა და მასთან მსოფლიო პოეზიის უღამაზეს სახეს წარმოადგენს, სახეს, რომელიც გასცდა ნაციონალურ საზღვრებს და ზოგად ადამიანურ ღირსების მწვერვალზე დგას.

ამ სახის კოლიზია ყველაზე უფრო ბუნებრივი კოლიზიაა; აქ არის ხელოვნების ჰუმანიტატი პათოსი იმ გაგებით, როგორც ეს ძველ ბერძნებს—ესქილსა და სოფოკლეს ესმოდათ, როგორც ეს წარმოესახებოდათ რუსთველს, შექსპირსა და გოეთეს. ვაჟა-ფშაველა განეკუთვნება კაცობრიობის ამ სულიერ მებაიარახტრეთა დიდებულ თანავარსკვლავედს და, ამავე დროს, როგორც შემოქმედი, ის სრულიად ორიგინალური, თავისებური და დამოუკიდებელია. ვაჟას ზემოხსენებულ პოემებში მარტო თემისა და პიროვნების ურთიერთობის საკითხი როდი დგას. ეს მხოლოდ ფონია ყველაზე მაღალი საკაცობრიო იდეების გადმოსაშლელად, ეს მხოლოდ ასპექტია, საიდანაც ვაჟამ კაცობრიობის ნათელ მომავალს და იმ მომავლისათვის ბრძოლის ძნელ გზას უნდა გაჰხედოს. ფშავ-ხევსურული თემა კი არა, ვაჟას გმირების ასპარეზი — კაცის გულია და, იმავე დროს, მთელი მსოფლიოა. ალუდაც და ჯოჯოლაც უდიდესი პროტესტანტები არიან, კაცობრიობის ახალი, ნამდვილად ჰუმანიტური მორალის მქადაგე-

ბელნი; მათ სულში მომხდარი გარდატეხანი — ქარიშხლისა, ზევისა და მიწის ძვრის ძალით რომ შეარხევენ ხოლმე ადამიანის მთელ არსებას, იმას მოწმობდნენ, რომ ადამიანს უნდოდა დაეთრგუნა ყველა და ყოველგვარი ჩაგვრა — პიროვნული, სოციალური, ეროვნული, ამაღლებულიყო ყველა ამქვეყნიური უსამართლობის ზევით, სადაც მარტო სიყვარულია, ალალი გულია, ვაჟაკობა და ურთიერთის გატანა. ალუდა ქეთელაური, ქისტი ჯოყოლა, კდემამოსილი და მშვენიერი ალაზა, გველისმკამელი მინდია შინაგანად თავისუფალი ადამიანები არიან, იმ თვალსაზრისით, რომ არ ურიგდებიან არავითარ შებღალვას ადამიანის სულისა, არ ითმენენ მასზე არავითარ ძალდატანებას, ისინი არიან დამცველნი ადამიანის უფლებისა უყვარდეს ყოველივე ლამაზი და ვაჟაკური ამქვეყნად. ისინი ვაჟას ფანტაზიის ყველაზე საყვარელი შვილები არიან და პოეტსაც თავის გულის ფიცარზე მათი წმინდა მცნებები უწერია, — თავისუფლება პიროვნებისა, თავისუფლება ერისა, მთელი კაცობრიობისა. ამ დიდმა იდეალებმა ააღებინეს ვაჟას ხელში კალამი ამ პოემების დასაწერად. ის ადამიანთა და ხალხთა ურთიერთგაგებასა და შეთვისებას, ხალხთა ძმობას, ადამიანთა ძმობასა და და-ძმობას ეტრფიალება. აქ ვაჟა-ფშაველა წინ უსწრებს თავის დროს, წინ უსწრებს იმ დროს, როცა ადამიანი ადამიანისათვის მგელი იყო, უარყოფს ფეოდალიზმისა და ბურჟუაზიის ამ საძულველ მორალს და გენიოსის შორსმჭვრეტელი თვლით იცქირება მომავალში, მას მიეღტვის, იმ დროს შეჰხარის, როცა ეს საყოველთაო სიყვარული დამკვიდრდება. ამ მხრივ ვაჟა-ფშაველა მუდამ ჩვენთან არის, ჩვენს ხალხთან არის, ის რაღაც უჩვეულო ძალით გამოხატავს აზრს მთელი მოწინავე კაცობრიობისა, რომელიც დღეს ძღვევამოსილად მიისწრაფის წინ ყველა ამქვეყნიურ უსამართლობათა დათრგუნვისაკენ. ამ თვალსაზრისით ალუდა ქეთელაური და ქისტი ჯოყოლა კაცობრიობის დიდი გაზაფხულის პირველი მერცხლები არიან, ნაადრევად მოფრენილნი და ამიტომაც ჰყინაეს და ჰთოშავს მათ სუსხი თავის დროის უსამართლობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წყობილებისა. ამიტომ იღუპებიან ისინი, ამიტომ დაეფარება ხოლმე შავი ჯანლი იმ თვალწარმტაც სანახავს, როცა ზვიადური, ჯოყოლა და ალაზა, სულეთიდან გადმოსულნი ამ სამზეოში, სხედან კლდის პირას, დავიწყებიათ, რომ კაცთა და ერთა შორის ჯერ კიდევ მტრობა სუფევს, ჯერ კიდევ მოძმე ღვრის მოძმის სისხლს, დავიწყებიათ ეს ყველაფერი და კაცთა შორის სიყვარულზე საუბრობენ. მათ სიკვდილი ვერ მორევიათ და ვერც მოერევათ. ვაჟა-ფშაველა ოპტიმისტი იყო და ეს არა ერთგზის გამოხატა კიდევ. მთელი ძალით ებრძოდა ის იმ შავ ჯანლს,

რომელიც სიწმინდესა და სიყვარულს გადაჰყარებოდა. თავის საყვარელ იას, სიმბოლოს სიცოცხლისა და სილამაზისა, ერთხელ ვაჟამ ისიც კი ურჩია, ნუ მოხვალ ამქვეყნადო:

• იას უთხარი ტურფასა,  
მოვა და შეგვამს ჭიპო,  
აგრე მოხდენით ლამაზო,  
თავი რომ აგიღიპო.  
შენ თუ გგონია სიცოცხლე,  
სამოთხის კარი ღიო,  
ნუ მოხვალ, მიწას ეფარე,  
მოსვლაში არა ყრიაო.  
ჩუ ნახავს მშესა, ინანებს,  
განა სულ მუდამ მზეაო,  
ნიწავ, შენ გებარებოდეს  
ეს ჩემი ტურფა იაო,  
შენ უპატრონე, ემშობლე,  
როგორაც შენი ზნეაო.

ეს ყველაზე მწარე ამონაკენესია პოეტის გულისა. დახედეთ, ნუ მოხვალო, — ეუბნება ის იას, — შენ ხომ არა გგონია, რომ ეს წუთისოფელი სამოთხეაო, ეს ჯოჯოხეთია, ნუ ნახავ ამ მშეს და ნუ გაიხარებ, რადგან მას ჩქარა დაგიბნელებენო.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა აქ დაგვენახა მოთქმა ამა ქვეყნის ამათა ამოებაზე. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ვაჟაფშაველა არსასიცოცხლოდ იმეტებდეს თავის იას. არა, ეს მხოლოდ სიყვარულია, რაღაც განუზომელი და ღეთაებრივი მადლით, სიბრალულით სავსე გულია, რომელსაც არ შეუძლია უცქიროს თუ როგორ დაუბნელდება მზე ქვეყნად ამოსულ სიცოცხლეს. თორემ, ვაჟასავით მოტრფიალე სიცოცხლისა სხვა ვინ უნდა დაეასახელოთ. არც ისე ადვილია მას აქ ბადალი მოეუძებნოთ. ხომ თქვა თვითონ პოეტმა:

კიდევაც ვნახავ გაზაფხულს,  
ყელმოღერებულ იასა,  
სიკედლის სიცოცხლედ მქცეველს,  
იმ სიტურფესა ღვთიანსა,  
ამწვანებულსა მთა-ბარსა  
დამწვარულ ყვავილიანსა.  
კიდევაც ვნახავ ცას სქექდეს,  
თოვლის წილ წვიმა ცვიოდეს,  
ანოვიერებდეს მიწასა,  
მდინარეები ხეიოდეს,  
აღარც ვინ იტანჯებოდეს,  
და აღარც ვისა შიოდეს,  
სიმაართლის გამარჯვებასა  
თავზე არწივი ყიოდეს.

ასე გამოხატავს ვაჟა-ფშაველა მთელი კაცობრიობის ყველაზე სანუკუარ მისწრაფებებს და შუქი ამ დიდი აზრისა ბრწყინავს ყველგან — მის პოემებში, მის ლექსებში, მის პუბლიცისტურ წერილებში.



ვაჟა-ფშაველა მემკვიდრე იყო იმ საუკეთესო ლიტერატურული ტრადიციისა, რომელიც შექმნეს ძველი ქართული მწერლობის მთელმა თაობებმა და რომელიც XIX საუკუნის საშოკიან წლებში თერგდალეულებმა გააფართოვეს, გააღრმავეს და ახალ საფეხებზე აიყვანეს. ვაჟა-ფშაველა ქართული კულტურის წიაღში გაიზარდა. ის როგორც პოეტური გენია უაღრესად საკაცობრიო და, ამავე დროს, უაღრესად ნაციონალურია. მის პოეზიაში წინა პლანზე სამშობლო იდგა; აქა სცემდა მთავარი ძარღვი მისი სიცოცხლისა და ამიტომ წერდა იგი აკაკის მიმართ: „იმავ ქირით ვარ სნეული, რაც შენ გატყვია წყლულადაო“.

თითქმის ნახევარმა საუკუნემ გაიარა ვაჟას გარდაცვალების შემდეგ და მკითხველის თვალი ჯერაც არ დადლილა გაოცებისაგან მისი პოეზიის ფანტასტიკური ქვეყნის წინაშე. ვაჟაკურ გულთან ერთად მას ჰქონდა სუფთა თვალი და მისნური მიხვედრის ალლო, რომ დაენახა და ეგრძნო ბუნების სიცოცხლე და შინაგანი ცხოვრება; ის უცქეროდა ქვეყანას ქართული გენიის თვალთახედვით, რომლის უშუალობა ბიზანტიელი სქოლასტიკოსების მტკრიან საკნებში არ მოთვინიერებულა და არ ამღვრეულა, რომელსაც ირანული ტრადიციების გამხრწნელი გავლენა არ შეხებია.

ვაჟა მუდამ ლალი და უშუალოა. ეს ჩანს ყველგან, თუნდაც მის მიმართვაში საქართველოს მთებისადმი:

მოგესალმებით ქედებო,  
მომაქვს სალამი გვიანი,  
ჩემსამც სამარეს ამკობენ  
თქვენი დეკა და ლიანი!  
თქვენგანა გულობს ეს გული,  
შიგ გრძნობა უღუღს ლეთიანი,  
თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ,  
ლალიან-ბარაქიანი.

ამ „ლალიან-ბარაქიანი ძუძუს“ მაღლი ბრწყინავს და ანათებს მის პოეზიაში. როცა ის ბუნებას უცქერის, ხედავს, რომ ყველაფერი სუნთქავს. აზროვნებს და ცოცხლობს საიდუმლო სიცოცხლით. მისი ვიზიონერული თვალი ნათლად ხედავს ტყეში შეფარებულ იდგილის დედას, ხედავს, როგორ იღიმებიან ბალახები და ყვავილები, და

უსმენს ჩაფიქრებული ბენტერა ქუჩის ჩურჩულს სიკვდილსა და სი-  
ცოცხლეზე. მთის წყაროც გახარებული ამბობს: „რა კარგი მეგობ-  
რები მყვანან გვერდსა! აი, ჯერ ეს ლოდები სქლად მწვანე ხავსი  
რომ გადაჰკვრიათ. აი კიდევ ჩემს თავზე პირყვიითელი კლდე დაუუ-  
დებულა და დამცქერის, მეხურება თავზე მუზარადივით. ეს დევები-  
ვით ქარაფები როგორ აწვდილან ზეცას და მზის სხივსაც არ უშვე-  
ბენ ჩემამდე... რა ბედნიერად ვგრძნობ ხოლმე ჩემს თავს, როცა მე  
ჩაუველი გასახმობად გამზადებულ ბუერას და იგი თავს დამიკრავს,  
სალამს მაძლევს, თან თავისი ფოთლებისას კაბას მიკერავს. მე რე  
რომ ჩადუნთანში ჩავრაკრავლები და ისინიც გარს შემომმერტყმიან  
და ფრთხილად მომძახიან: „მთის წყაროს გაუმარჯოსო“. ახლა  
ზვავისაგან წამოთელილს თხილებსა და ყურძნებს დაუვლებობ დამ-  
ცქნარ ფესვებს და მალლა ავახედინებ“.

ასეთი ცოცხალი სახით წარმოუდგება ვაჟა-ფშაველას მთელი  
ბუნება. ვაჟას პოეზიის მიხედვით, არსებობს მხოლოდ ერთი სუბ-  
სტანცია — სიცოცხლე. ის უსაზღვროა, აბსოლუტური და დაუბო-  
ლოვებელი. ყველაფერი, რასაც ადამიანის თვალი ხედავს, ამ სიცო-  
ცხლის მარად მწვანე ყლორტები არიან.

ვაჟა-ფშაველას აზრით, ბუნებაში დამკვიდრებულია უდიდესი  
შინაგანი ჰარმონია. ლეიბნიცის მსგავსად, ვაჟას შეეძლო ეთქვა, რომ  
თვით ბუნების ჰარმონიას მიეყევართ მადლისაყენ. ბუნება არა მარ-  
ტო ლამაზია, არამედ სიბრძნისა და სათნოების წიაღიც არის. ვაჟას  
კონცეფციაში წარმმართველი მომენტი სწორედ ეთიკური საწყისია.  
ბუნების განჭკრეტის პათოსი აქ უმაღლეს სათნოებასთან არის  
დაკავშირებული. ეს სათნოება ადამიანის გულშია და რადგანაც ადა-  
მიანი სავსებით უბრალო ნაწილია ბუნებისა, მაშასადამე, თვით სათ-  
ნოებაც ბუნების თვისებაა. ამ აზრით იწყებს ვაჟა ბუნების შემეცნე-  
ბას და უმაღლესი ეთიკური ნორმების ძებნას ის ბუნების წინაშე  
თაყვანისცემამდე მიჰყავს.

ბუნების უბეში არ არის დაბუდებული ის უსამართლობა, რომელ-  
ზედაც ვაჟას დროისა და უფრო აღრინდელი სოციალ-პოლიტიკური  
წყობილებანი იყვნენ დაფუძნებულნი. ციკაბო კლდეზე ამოსული  
ქუჩი დასცქერის დიდ მინდორს, სადაც ადამიანები შეკრებილან და  
მუსრს ავლებენ ერთმანეთს. „ყველანი ლამაზები იყვნენ. — ამბობს  
ქუჩი, — ლამაზად ჩაძმულ-დახურულები, ცხენებზე ისხდნენ ტურ-  
ფად, მოხდენით და ერთმანეთისაყენ მიდიოდნენ სისწრაფით. სიშო-  
რის გამო არ მესმოდა, რას ამბობდნენ, დაერივნენ ერთმანეთს. ია-  
რალის ბრჭყვიალს თვალს ვერ ვუსწორებდი, მწვავედა; ერთმანეთს  
ცხენებიდან ჰყრიდნენ, ჰქელავდნენ, მახვილსა სცემდნენ.

ბოლო დროს თითქოს ჯანლი დაეხვიაო, დაიმაღნენ ყველანი. ჯანლი რომ გადიკრიფა, საღამო ხანიც მოახლოვდა. ენახე, რომ მხედარნი ცხენებითურთ ეყარნენ მინდორზე უსულოდ, როგორც აი ეს ლოდები. ეს სურათი ჩემთვის სატირელი სურათი იყო და ვიტირე კიდევ. სილამაზე, მშვენიერება დაჰკარგოდათ, ეს მეწყინა და ამან ამატირა“.

ვაქას კონცეფციით, ბუნება ვერ ურიგდება ადამიანთა უსამართლობას, ომს, სიკვდილსა და განადგურებას. პოეტის სიტყვით, თუ ერთმა ერმა მეორე დაიპყრო, „სულს აძრობს, ჰკვეთავს ენასა, არ ათქმევინებს სათქმელსა, თავის ენაზე, თავის რჯულზე არ ანთებინებს სანთელსა“. ასე როდია ბუნებაში. „მთათა ერთობაში“ იალბუზი ლაპარაკობს:

მთათა ბუნება არ სწყრება  
სხვადასხვა ენათ სმენითა,  
ისევე ვტკბებით ღმუილით,  
როგორც შურთხების სტეენითა.  
კაკაბი, როქო, არწივი  
სხედან თუ ვლენან ფრენითა,  
ამბობენ, რაცა სწადიანთ  
თავის მშობელის ენითა.

და რაც უფრო ახლოა ადამიანი ბუნებასთან, მით უფრო მაღალია და სპეტაკი მისი სული, მით უფრო მძლეა მისი გონება. აქ არის სწორედ გასაღები „გველის მკამელის“ საიდუმლოებისა: ქაჯთა ტყვეობაში მინდიამ ბუნების ენა ისწავლა. ამ დღიდან მას ესმოდა ყველაფერი, მას ბალახიც ესაუბრებოდა, კრილობების წამლებს ასწავლიდა. მინდიასათვის უკვე დაძლეული იყო ყველა დაბრკოლება, რომელიც ადამიანსა და ბუნებას შორის არსებობს.

მაგრამ აი დაჰკარგა მინდიამ შემეცნების მისნური ალღო, ახლა ის უკვე უმწეოა და უნუგეშო. ახლა მტერი ადვილად ამარცხებს მას და მის სამშობლოს ხანძრების ალში ჰხვევს.

• • •

ლენინი წერდა კავკასიის შესახებ, რომ რეფორმის შემდეგდროინდელი ხანის დასაწყისში ეს ქვეყანა თანდათან მრეწველობის, ღვინით ვაჭრობის, ხორბლის და თამბაქოს ფაბრიკანტების ქვეყნად ხდებოდაო. „ბატონი კუპონი დაუნდობლად ხდიდა ამაყ მთიულს პოეტურ ნაციონალურ კოსტუმს“. ლენინი იქვე დაასკვნის, რომ ეს წყობილება ევროპელი ლაქიის სულისკვეთებით იყო გამსჭვალულიო.

ვაჟა-ფშაველას, ცხადია, არ შეეძლო მიეღო ის წყობილება, „ბატონი კუპონის“ ის ძლიერება, რომელსაც ლაქიური სული მოჰქონდა. ამიტომ იყო, რომ ვაჟამ მოგვცა მინაარსით ღრმა და ფორმით ბრწყინვალე კრიტიკა იმ საზოგადოებრივი ფსიქოლოგიისა და სოციალური ურთიერთობისა, რომელსაც კაპიტალიზმი ამკვიდრებდა. ეს იყო არა მარტო კრიტიკა, არამედ მშფოთვარე პოეტუტი, უარყოფა, განდგომა, ეს იყო ღრმა სიძულელით სავსე მრისხანება. ვაჟა ფხიზელი რეალისტის თვალთა ააშკარავენ იმ სულიერ დაცემას, ვაჟაცური იდეალის იმ გადაგვარებას, რომელსაც ფულზე აგებული საზოგადოებრივი ურთიერთობა იწვევდა.

ვაჟამ დახატა: ამ ურთიერთობის ნათელი სურათი, მან გვიჩვენა მძაფრი კონტრასტი ძველ რომანტიკულ ქვეყანასა და კაპიტალიზმურ, კოლონიურ „ცივილიზაციის“ ქვეყანას შორის. ეს კონტრასტი მკვეთრად ჩანს თუნდაც მოთხრობა „დარეჯანში“. „ფშავის ხელს მაღლი გამეღლია, — ჩივის მოთხრობის გმირი. ნიდაგ გამეღლევა, ნამუსი აღარცა არი და დანდობა, რაად-ღა უნდა ახლანდელ დროში კაცს სიცოცხლე? რომ მოკვდეუხ ის არ ურჩევნავა?!“ კაპიტალიზმ წარმომადგენლები ბილწავენ ფშავის ქვეყანასაც და სალოცავსაც. ფშავის წინაპრები სამშობლოსა ფიცულობდნენ ლაშარის ჯვარზე და მისი ხსენებით გამარჯვებულნი ღიმილით ეგებებოდნენ საკვდილს; მეცხრამეტე საუკუნეში კი ლაშარის ხატი ქორ-ვაქრებისა და მევახშეების საფიცარი გამსდარა. „ლაშარის ჯვარის მაღლმა, — ამბობს ერთი მათგანი, — ეს ჩიტი დამპალი არ არის („დარეჯანი“)“.

ამ სინამდვილის შემსენდვარე ვაჟას ხმალი ასე ჩივის:

ახლა უშნოდ ვარ... დამკიდეს  
ლაჩართ კედელზე უქმალა,  
ვისლა სცალიან ჩემთვისა,  
ქვეყანა იქცა ღუქნადა.  
შვიდასი წელი გამიხდა,  
არ ვაპოხილვარ ღუმითა,  
არ ვუღესივარ ქართველსა,  
დალიღინებით ჩუმითა,  
მისი ხმა აღარ მსმენია,  
გასქერ, გამიშვი წინაო,  
თუ სახელს არ მაშოვნინებ,  
როგორ დავბრუნდე შინაო.

ეს იყო მკაცრად ნიღბის ჩამოგლეჯა გადაგვარებული თაობისათვის, რომელსაც ცივილიზაცია და კულტურა უკუღმა ესწოდა. ვაჟა ვერ ითმენდა, როცა სიბრძევე და უგვანობა კულტურის ნიღაბს იფარებდა. ამიტომ ამბობდა პოეტი: „ყველა ის მიყვარს, სადაც სიბ-



რიყვემ სწავლის სახელით არ მიადწია და ბუნებრივი წმინდა ქმნილება ცოდვილის ხელით არ მიარღვიაო“.

ცხადია, მართალი არ იქნება იმის თქმა, თითქოს ვაჟამ XIX საუკუნის საქართველოს ცხოვრებაში მარტო ჩრდილოვანი მხარეები დაინახა. მან იცოდა, რომ ეს გადაგვარება ხალხს არა ჰქონდა მოდებული და მის წიაღში ჩაძინებული იყო უღვეველი სულიერი ენერჯია. „სოფლის სურათებში“ მწერალმა გვიჩვენა „მუშაკი მიწისა, ხელთოხ-ნიჩაბ-ბარიანები, მკერდ-ოფლიანნი, გულით მართალნი“. მაგრამ პოეტმა უსაყვედურა ამ ადამიანებს, რომ მათ მეტისმეტად დაუხრიათ თავი მიწისკენ, მოუწოდა მათ უფრო მტკიცედ აღუდგნენ და აუშხედრდნენ უსამართლობას და ბოროტობას. ვაჟამ, იმავე დროს, გვიჩვენა კლასობრივი წინააღმდეგობანი და ის აზრიც გამოსთქვა „სოფლის სურათებში“, რომ ამ წინააღმდეგობათა გადაჭრა მშვიდობიანი გზით უუძღლებელიაო. ამ მხრივ ის იზიარებდა იმ სოციალურ იდეებს, რომლებიც ილია ჭავჭავაძემ „გლახის ნაამბობში“ გადმოგვცა.

ამ იდეების სახელით ვაჟამ მხარი აუქცია პროზაულ სინამდვილეს და მიგვახედა წარსულისკენ, სადაც ვაჟაკობას ყველაზე მეტად აფასებდნენ, სადაც ადამიანის სახელი უფრო დიდი იყო და მისი ბრძოლა უფრო წარმტაცი და დიდებული.



საქართველოს ისტორია ვაჟა-ფშაველასათვის უღრმესი პოეტური შთაგონების დაუღვეველი წყარო იყო. მოგონებანი გმირულ წარსულზე ზრდიდნენ და ფრთებს ასხამდნენ მის პოეზიაში ხალხის სიყვარულს და დიდ იმედს სამშობლოს ნათელ მომავალზე. პოეტის შემეცნება აქაც უაღრესად თავისებური იყო. ვაჟასათვის ცოცხალი იყო არა მარტო მთელი ბუნება, არამედ ისტორიის ქვეყანაც. ზემოთ უკვე გავკრით აღვნიშნეთ, რომ პოეტის გასაოცარ ხილვას თითქო თვალწინ ცოცხლად წარმოუდგებოდნენ წარსულ დროთა გმირები, წელზე ხმლებშემორტყმულნი, რკინის პერანგებით, მუზარადებით. თავის ლირიკულ ლექსებში პოეტი ესაუბრება ამ მოჩვენებებს, როგორც ცოცხალ ადამიანებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ლექსები „დიდი თამარი“, „1795 წლის სახსოვრად“, „ზმანება“, „ირაკლო ბრძოლის წინ“ და სხვ. და მიუხედავად იმისა, რომ პოეტს ისტორიულ თხრობაში უხვად შეჰქონდა ფანტასტიკური ელემენტი — შეიძლება ითქვას, რომ პოეტს ჰქონდა უაღრესად ნათელი შემეცნება ისტორიისა. ვაჟა რეალიზმის უძლიერესი ოსტატია და ის გვიჩვენ-

ნებს მთელი ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლას, ისე, რომ იძლევა ისტორიული სიტუაციის უაღრესად სწორ გაგებას და, ამავე დროს, სახავს ამ სიტუაციაში მომქმედი პიროვნების ფსიქოლოგიურად მართალ სახეს. ეს სახეები გვხიბლავენ თავისი მთლიანობით, ამაღლებული ხასიათით და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით. როცა ვაჟა-ფშაველა ნაციონალური წარსულის თემებს ეხებოდა, მისი შთაგონება აქაც პოეტურ სასწაულებს გვიჩვენებდა. მისი კალმის და ოცნების მისნური შენებით არა მარტო მაღალი მთები და ციკაბო კლდეები ცოცხლდებოდნენ, არამედ სულს იდგამდნენ და ხორცს ისხამდნენ წინაპართა აჩრდილებიც.

„ბახტრიონში“ ჩვენს თვალწინ დგება მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველო — დარბეული, აწიოკებული და აოხრებული. პირველი, რასაც ცოცხლად ვხედავთ პოემაში, ეს არის ფშაველთა სალოცავი, სადაც აღარც ხევისბერის ხმა ისმის, აღარც ფშაური ღრეობა, სადაც შემოსეულ მტერს ყველაფერი გაუპარტახებია. ამ ფონზე ნელ-ნელა ჩნდებიან პოემის გმირები, მათ შორის პირველყოვლისა კვირიას ვეცნობით. ეს უაღრესად ტიპიური სახეა და, იმავე დროს, უბადლო სახეც არის მთელი ლიტერატურის ისტორიაში. კვირიას ევროპის გვაროსანი რაინდივით დიბა-ატლასი როდი აცვია, მას ხმალი წელზე წნელით შემოურტყამს და მთელი სიცოცხლე ისე გაუტარებია, რომ ცის გარდა სხვა საბანი არ ჰხურებია და მიწის მეტი სხვა ლოგინი არ უნახავს, მაგრამ მკითხველისათვის ძნელი არ არის ამ უბრალო, დაგლეჯილ ტანსაცმელში გამოხვეულ ფშაველ მწყემსში იცნოს და დაინახოს სულიერი სიმტკიცე და შემმართებლობა, იცნოს ძველი საქართველო, რომელსაც ეს მებრძოლები რომ არ ჰყოლოდა, დღეს დედამიწაზე მისი სახსენებელიც აღარ იქნებოდა.

ამრიგად, აქ ჩვენ ვხედავთ გმირის არა მარტო გარეგნობას, არამედ მის სულიერ სამყაროსაც. შემდეგ პოეტს აღწერილი აქვს ფშავეხევესურთა ლაშქრის შეგროვება. ეს რაღაც მრისხანე და დიადი სურათის სახით აქვს პოეტს მოცემული:

იესება ლაშარის გორი,  
ქორ-შევეარდნების ფართია,  
დროშები გზას უკურთხებენ,  
ელერით აწვილის ტართია.

ლაშქარი ბრძოლისათვის ემზადება. აქ წინა პლანზე ისევ კვირია დგას, რომელიც ლაშქარს უამბობს თავის სიზმარს, სადაც თითქო წინასწარ ნაგრძნობია მტრის დამარცხება და საკუთარი სიკედილი.

ვაჟას ამ პოემის ცენტრში დგას ფშავეხევესურთა ლაშქრის სიარდლის — ლუხუმის სახე, ეს არის იმავე დროს სულიერი ბელადი თემისა.

ლელასა და სანათას სახით პოემაში დახატული არიან მთიელი ქართველი ქალები: პირველი ვაჟკაცებთან ერთად ამხედრებული მამაცი ქალიშვილია, მეორე—დედა, რომელსაც შვიდი შვილი მოუქლეს, საკუთარი ხელით გაუთხარა მათ სამარე, მწარედ დაჰკვითინებს მათ, მაგრამ როცა გაიგებს, რომ ქვეყანა კვლავ ემზადება მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, გაიძახის: ღღონდ ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვოს და შვილებს აღარ ვიტირებ. იმავე დღეს ქრელ კაბას ჩავიცვამო.

ეს პოემა აღსანიშნავია სწორედ იმით, რომ აქ ხალხის ბრძოლაა ნაჩვენები, ასახულია ხალხის სიძლიერე და სიყვარული სამშობლოსადმი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველა წარსულიდან დაბრუნა თანამედროვეობადმი ცოცხალმა ინტერესმა. ვაჟასათვის ისტორია თვითმიზანი არ ყოფილა. „ბახტრიონში“ და იმ ლექსებში, სადაც გარდასული ეპოქის სუნთქვა ისმის, ვაჟამ გამოხატა წარსული, რომელიც დაბეჩავებული და დაჩაგრული აწმყოს დასასმარებლად წამომდგარა საფლავიდან. ამის შესახებ თვითონ ვაჟამ საუცხოოდ სთქვა თავის ერთ წერილში:

„როგორ გგონიათ? არა მაქვს მე წარმოდგენილი მომავალი ჩემი ქვეყნისა ბრწყინვალედ? ნუთუ ეს არა ჩანს ჩემი ნაწერებიდან? ეს რომ არ მწამდეს, თქვენა გგონიათ მე კალამს ავიღებდი ხელში?! ერთმა უსწავლელმა ფშაველმა მითხრა, რომელსაც „ბახტრიონი“ წაეკითხა, მოსწონებოდა ძალიან და ყელგადაგდებით თითქოს შეკაზმულ ცხენსა მთხოვდა საჩუქრად მეხვეწებოდა, მეკითხებოდა: „ვაჟა, თუ ღმერთი გწამს ნუ დამიძალავ, სწორედა სთქვი, საქართველოს თავისუფლებას არ გულისხმობ „ბახტრიონში“ რომ ამბობ, „ედირსებოო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომოა?“

— იქნებ ვგულისხმობდე, — ვუპასუხე.

„სწორედ საქართველოს თავისუფლებაზეა ნათქვამიო“, დაიყინა ფშაველმა და თხუთმეტი ათასი მკვერმეტყველი პროფესორი რომ მიგეყვანათ, იმას რწმენას, აზრს, ვერ გამოუცვლიდნენ.

თუ ჩემს მკითხველებს ამისთანა რამეს აგრძნობინებს ჩემი ნაწერები, საკმარისია, მაშასადამე, წარმოდგენილი მქონია საქართველოს მომავალი სვე-ბედი“.

ვაჟა-ფშაველას თვალი არ დაუხუჭავს თავის თანამედროვე სინამდვილეზე და წარსულსაც ამ სინამდვილის ამალგების, გარდაქმნის, გამოფხიზლების მიზნით ხატავდა და აღიდებდა. მან იცოდა, რომ დაჩაგრული, მაგრამ სულიერად ძლიერი, საამაყო წარსულის მქონე

ხალხის წიაღში მომავლის მეტროლი ძალები იფურჩქნებოდნენ.  
ერთ ლექსში ვაქამ ეს რწმენა ასე გამოხატა:

რომ მომავალი ჩენია,  
ამას რათ უნდა მისანი.

ეს ნათელი შეგნება მართლაც შეჰფეროდა ვაქას ვაქაეცურ სულსა და გაუტეხელ ბუნებას.

ვაქა წინასწარ სპერეტდა თავისი ქვეყნის ბრწყინვალე მყობადს. სინანდელის ღრმა მხატვრულმა შემეცნებამ მიიყვანა ვაქა-ფშაველა იმ რწმენამდე, რომ ახლოს იყო დღე, როცა საქართველო გადაიგდებდა მჩაგვრელის უღელს და მხნედ გაშლიდა თავის გოლიათურ მხარბეჭს. თუმცა ვაქა ვეღარ მოესწრო ამ ნათელ დღეს, როცა რევოლუციამ დაამსხვრია მონობის ზოკილები, მაგრამ აღორძინებული საბჭოთა საქართველოს კულტურამ მიიღო ვაქა-ფშაველას უნარმანარი სულიერი მემკვიდრეობა, როგორც გამოხატულება ჩენი ხალხის სულის სიძლიერისა და კეთილშობილებისა. და დღევანდელი ქართული საბჭოთა პოეზია, ქართული საბჭოთა კულტურა მთელი სულით, სისხლითა და ხორციტ არის დაკავშირებული ვაქა-ფშაველასთან, ისე როგორც შვილი დაკავშირებულია მამის კერასთან, ფუძესთან, წინაპართა მიწასთან.

## ლექსი და სიუჟარული

დიდი ხანია ვფიქრობდი დამეწერა მოთხრობა ერთ პოეტ ქალზე, რომელიც ცხოვრობდა მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში და რომელსაც მართლაც გულამდე ჩამწვდომი ლექსები და კიდევ უფრო საინტერესო ბიოგრაფია აქვს; დღემდე ვერ მოვახერხე ეს, სათქმელს ფორმა ვერ მოვუძებნე და აი ახლა, პოეზიის დღეს, გადავწყვიტე წერილი მაინც დამეწერა მის შესახებ. ამ პოეტის, უფრო სწორად, ხალხური მთქმელის სახელს შემთხვევით წავაწყდი იმ კომენტარებში, რომლებიც დაურთავს თედო რაზიკაშვილს ფშავსა და თუშეთში ჩაწერილი ხალხური ლექსებისათვის. ეს ლექსები ამ რამდენიმე წლის წინ ცალკე კრებულის სახით გამოიცა მიხ. ჩიქოვანის რედაქტორობით.

ვკითხულობდი ამ ლექსებს და ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს სადღაც, ნისლიან მთებში დავეხეტებოდე, ვგრძნობდი, თითქოს იმ ნისლში წამიერად გაიეღებდა და ისევ თვალს მიეფარებოდა ხოლმე სახე მოლექსე-ქალისა, ვგრძნობდი, რომ მის სტრიქონს რაღაც ღონიერი ფესვი ჰქონდა, მიწის ძირიდან წამოსული. რაოდენ დიდი ამაგი დასდო ქართულ ფოლკლორისტიკას თედო რაზიკაშვილმა, როცა არა მარტო ჩაიწერა და შეინახა ამ ქალის ლექსები, არამედ მისი სახელიც გადაარჩინა დავიწყებას. ძალზე უბრალოა ეს ლექსები, პრიმიტიულია, მაგრამ ეს არის პრიმიტივი კლდეზე ამოსული პირიმზისა, ეს არის პრიმიტივი ფურისულას ყვავილისა, იფნის ძირებში რომ აღაღანდება ხოლმე გაზაფხულზე, ეს არის პრიმიტივი ალპიური მდელის ყვავილებისა; რომელთაც არც ერთი სელექციონერის ხელი არ გაჰკარებიათ და ადამიანის თვალს იტაცებენ თავიანთი პირვანდელი სილადითა და მშვენიერებით, ეს არის პრიმიტივი ტოროლას გალობისა ყანის თავზე. და ამიტომაც ამ სტრიქონებს აქვთ რაღაც საოცარი ძალა, თითქოს იმ ტოროლასავით შეიფრთხილებენ ხოლმე ლაევარდში, თავბრუს დაგახვევენ, უცნაურად გამოა-

ბრწყინებენ სილამაზეს ამ ქვეყნისას; იმ ფრინველსაც ხომ ასე ვმართება — ალბათ ველარ უძლებს ამა ქვეყნის სილამაზეს და ისე. თი სიხარული მოედება მის გულს, თუ არ აფრინდა — გათავდება სიხარულისაგან, მოკვდება, ვერ გაუძლებს მოზღვავენას ამ გრძნობისას; ასეა აქაც, ეს ლექსები კი არა, თითქოს ის მელეურებზეა, ის მზეკაბანია, ყოყინით ტყვიასავით რომ ატყორცნის ხოლმე ფრინველს ცისკენ. თვითონ თედო ასე განმარტავს ამ სიტყვას: „მზეკაბანი — ყანა რომ ღელავს და ტალღა ტალღას მისდევს, იკეცება ყანა და ფერსა და ფერს იცვლის“; ვისაც განუცდია, დამეთანხმება, რომ ამ წუთისიფლის სილამაზეთა შორის ამ სანახაობას ბევრი არა შეეძლება რა; ეს თვითონ ხალხმაც კარგად იცის: ამიტომ უთქვამს მას ლექსი ვაჟაკზე, რომლის გულმა ვერ გაუძლო ამ სილამაზეს; ლექსში ყანის მკელზეა ლაპარაკი; როცა მოიკითხავენ მას — სად არისო, მთქმელი პასუხობს: მინდორში მინდვრის ნიავე და მზეკაბანის ღელვამ მოკლავ, და ლექსი ასე თავდება:

სათითე ნარზე ეკილა,  
ნამგალი გვირილასაო,  
გვერდით დამიჯექ, ლამაზო,  
დამიკარ დილილასაო.

დილილა ძველებური საკრავია, ხოლო სათითე — მკელის იარაღია, ხისაა, მარცხენა ნეკზე იკეთებენ, რომ ნამგალზე ხელი არ შეაქრან. და აი, ნამგალიცა და სათითეც უპატრონოდა ყრია ბალახებში, ტიალად და ოხრად დარჩენილი; და თუ მოსულა სიკვდილი ვაჟაკის წასაყვანად, მაშ საიდანღა ასეთი მაჟორი, საიდანღა ეს გამოხმობა ლამაზისა სალხინოდ, გლოვის ნაცვლად; საქმე ისაა, რომ აქ მართლა სიკვდილზე კი არა, სიცოცხლეზე და მის სილამაზეზეა ლაპარაკი. განა მართლა კვდება ვაჟაკი? ისიც ფრინველივით დაჰხარის ქვეყნას და სატრფოსაც ამიტომ უხმობს — გვერდით მომიჯექიო.

აი რალაც დაახლოებით ამის მსგავსს გრძნობს კაცი, როცა ზემოხსენებული პოეტი ქალის ლექსებსა კითხულობს.

როგორც თედო რაზიკაშვილი გვამცნობს, ამ ქალის სახელი და გვარი ყოფილა სამუკათ ხვარამზე, ე. ი. ხვარამზე სამუკაშვილი. დაახლოებით ვიცით მისი ცხოვრების დროც. „ხვარამზე დედაჩემის ტოლი და ამხანაგი იყოო“, წერს თედო; მისივე ცნობების მიხედვით, ხვარამზე ლამაზი და მომხიბლავი ქალიშვილი ყოფილა. მას ჰყვარებია თავისივე ტოლი ჰაბუკი — ვაჟიკა ნაკვეთაური. ეს სიყვარული უპასუხოდ არ დარჩენილა. ქალი თურმე გაგიჟებით უყვარდა ვაჟიკასაც; მაგრამ, როგორც თედო რაზიკაშვილი აღნიშნავს, ნაკვეთაუ-

რები ძალზე მდიდრები ყოფილან, დიდძალი ცხვარი და ძროხა ჰყოლიათ და დიდი ოჯახი ჰქონიათ. ალბათ, ამის გამო, პატრიარქალური ოჯახის უფროსებს ნება არ მიუციათ ვაჟისათვის ცოლად წაეყვანა ხვარამზე, რადგანაც ის მეტისმეტად ღარიბი ყოფილა. „ქერ-ასლიც გენატრებოდაო“, ნათქვამია მასზე ერთ ლექსში. ეს „ქერასლი“ ასლის პურია, ნახევრად ქათო. და რაოდენ უსახსრო უნდა იყოს ოჯახი, სადაც ესეც ენატრებათ! ქალი სხვაზე გაათხოვეს, „უხერო ქმარი შეხვდა, — წერს თედო, — სიყვარული კი ისევ ვაჟიკასი ჰქონდაო“. მაგრამ ეს იყო თურმე მარტო შორით ტრფიალი. ვაჟიკაც და ხვარამზეც სხვადასხვა სოფლებიდან იყვნენ, ვერ ხვდებოდნენ ერთიმეორეს, მაგრამ ფიქრში ერთიმეორის სახე ედგათ თვალწინ; ერთი სიტყვით, ეს ისეთი სიყვარულია, როგორც ვაჟა-ფშაველას აქვს აწერილი:

გამოღმით მე ვარ, გაღმა შენ, <sup>ა</sup>  
 შუაზე მოდის მდინარე,  
 ხილი არ გვიძე წყალზედა,  
 ფიქრი გველავს მოუთმინარე,  
 მინდა გაყოცო, მაყოცო,  
 შენს სახეს ვხედავ მღიშარეს,  
 მაგრამ ვერსაით გამოვედ,  
 ამ სატიალე მდინარეს.  
 მეც უნავო ვარ, შენაცა  
 ცურვა არ ვიცი, ვტირითა,  
 მეშველიც არეინ გვიჩნდება  
 არც ციდან, აღარც ძირითა.  
 შენ მე მიმელი, მე — შენა  
 გაცინებული პირითა.

ასეთი ყოფილა ვაჟიკასა და ხვარამზეს სიყვარულიც. თედო, რა-ზიკაშვილს მოყვანილი აქვს ერთი ცნობა, რომელიც თავისთავად მეტყველებს მათი სიყვარულის ძალაზე: თურმე ვაჟიკა მაინც ვერ ითმებდა ხოლმე ხვარამზეს უნახაობას, შეჯღდებოდა ცხენზე და ხვარამზეს სოფელში წავიდოდა, რომ შორიდან მაინც მოეკრა თვალი ქალისათვის. ერთ წვიმიან დღეს ვაჟიკა ჩვეულებრივ ამოსულა ამ სოფელში და ცხენი სწორედ ხვარამზეს სახლის გვერდით ჩაუტარებია, ალბათ, იმ იმედით, იქნებ ქალმა სახლიდან გამოიხედოს და და-მენახოსო. თურმე მართლაც გამოალო კარი ხვარამზემ, გაჰხვდა მხედარს და სიტყვაც ვერ ამოიღო. მხედარმა რომ ჩაიარა, ქალმა იმის ცხენის ნაფეხურებს ძეძვის ღობე შემოაველო, დაე, სამუდამოდ დარჩეს ასე, არ წაიშალოსო. სხვა რა ჰქონდა მას სატრფოსაგან სახსოვრად!

აი, რა ძლიერია ხვარამზეს სიყვარული; მართლაც, მარტო ასეთ

ქალს შეეძლო ეთქვა ქვემოთ მოყვანილი შესანიშნავი სტრიქონები, რომლებიც თ. რაზიკაშვილის მოწმობით, ხვარამზეს ეკუთვნის; თედოს სიტყვა კი აქ ავტორიტეტულია, ასეთი რამ მას არ შეეშლებოდა; აი თვითონ ლექსიც:

ვერცხლისამც თასად მაქცია  
რო ლვინით აგვესებოდი,  
დაფერილი მქნა წითლადა,  
შამსვამდი, შაგერგებოდი.  
ან შენი ნამგლის ყანა მქნა,  
რო ფხაზე შაგეკრებოდი;  
ანა მქნა ვარდი ყოილი,  
რო პირზე დაგეყრებოდი;  
ანა მქნა მოის პერანგი,  
რო გულზე დაგადნებოდი;  
ან შენი ძმა მქნა მოწილე,  
აროდის გაგეყრებოდი;  
ან შენი ნანდაური მქნა,  
გულს ჯავრად ჩაგეკრებოდი;  
ძალიან დაწუხებული,  
გზაზედამც შაგეყრებოდი.

ამ ლექსის ავტორისაგან გასაგებია, როცა ღობეს ავლებს იმ გზას, სადაც სატრფომ გაიარა. და, ალბათ, მაშინ თუ თქვა ხვარამზემ ეს ლექსიც:

ვინა ხარ, ვინ იარები,  
ლალო, მაგ ლალი ცხენითა?  
თავს რად არ შამბიბრუნებ,  
ყანას რად მამკებ ცრემლითა?

ფშავურ დიალექტში „მამკებ“ ნიშნავს „მამკევიანებ“, ე. ი. თვალცრემლიანს რად მატარებო, ყანასაც ასე ტირილით რად მამკევიანებო. რა თქმა უნდა, უხარია მას ვაჟიკას დანახვა, მაგრამ მაინც ეუბნება, აქეთ ნუ დადიხარო, და თქვენ გრძნობთ, როგორ უყვარს მას ეს თავისი დარდი და წუხილი. მე აღრეც მქონდა გაგონილი ეს ლექსი, მაგრამ არ ვიცოდი თუ მისი ავტორი ცნობილი იყო. თედო რაზიკაშვილი ამ ლექსზე წერს: „ეს ლექსი ვაჟიკას გამოუთქვა და ბევრიც კიდევ სხვა. რაც შემხვდა, ჩავწერე და თავ-თავის ალაგს აღნიშნავო“. ამ ლექსის ჩაწერის დროს, ალბათ, ხვარამზე ცოცხალი აღარ იყო, რადგანაც თედოსთვის ლექსი ქალიკელ გორზამაულს ჩაუწერიანება, რომლის შესახებ თედო აღნიშნავს: „ეს ქალიც ხვარამზეს ტოლი იყო, იმავე სოფლისა“. ეს ცნობა კიდევ იმით არის საინტერესო, რომ წარმოდგენას გვაძლევს ხვარამზეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, აუდიტორიაზე, მის პირველ მკითხველებზე, ვისაც ლექსით



უზიარებდა თავის სათქმელს ფშავის ნისლიან ხეობებში ჩაკეტილი პოეტი ქალი:

თავის ამ დიდ სიყვარულზე მღერის ხვარამზე, ეს არის მისი მთავარი თემა. მაგრამ რაოდენ მომხიბვლელია ეს სიმღერა, თუ მოთქმა სიყვარულზე, ამ მხრივ ყველაზე უფრო საინტერესოა ხვარამზეს ლექსი „ნატვრა“, რომელსაც თედო რაზიკაშვილი ასეთ კომენტარს ურთავს: „სამუკათ ხვარამზეს ხომ ნაკვეთაური უყვარდა. იმან სხვა შაირთო. ახლა ხვარამზემ (ამ ლექსში) თავისი თავი ნაკვეთაურის ალაგას დააყენა, ვითომდა ხვარამზე გაუთხოვეს, ნატრობს ვაჟიკა, ჯარობაზე მანაც ნახოს ხვარამზე. ვითომ ველარა სძლებს და ცხვარში მიდის დარდის გასაქარწყლებლად“.

როგორც ვხედავთ, ხვარამზე მეტად რთულ პოეტურ ხერხს მიმართავს, ახდენს ერთგვარ გარდასახვას, ლექსში ვაჟიკად იქცევა და წარმოიდგენს თითქოს მისი სატრფო მტერს გაუტაცნია; აი ხვარამზეს ეს ლექსიც:

ნეტამ ფრინველად მაქცია,  
დამსვა მალალსა მთაზედა,  
ქალო, შენს წამამყვანელსა,  
გამუდგებოდი კვალზედა.  
მენაც იქ მოვშავდებოდი,  
სადაც შენ დავსმენ ჯარზედა,  
საკმისა ჩამოვხედნებოდი,  
თვალს შეგავლებდი ტანზედა.  
ჩემ სწორებ კარგებ ვაჟები,  
დასხდება ღვინის სმაზედა,  
მამერევიან ტირილნი,  
ქუდს მივიფარებ თვალზედა.  
მე ხომ ეგ აღარას მარგებს,  
ისევ თუ წავალ ცხვარზედა,  
გუნებას შავახალიზებ  
იკვლივიანოს მთაზედა;  
მამიგონებდეთ, სწორებო,  
რო ჩამაქსდებოთ სმაზედა.

ეს ლექსიც საკმაოდ პოპულარულია საქართველოში. თუმცა მისი ავტორის სახელი ყველამ არ იცის. დიალექტური სიტყვები თ. რაზიკაშვილს ამ ლექსშიც აუხსნია: გამუდგებოდი — გამოვუდგებოდი, გამოვედევნებოდი; მოვშავდებოდი — მოვიდოდი; საკმისას ჩამოვხედნებოდი — ბანიდან ჩამოვიხედავდიო.

საერთოდ ხვარამზეს ეს ლექსი ძლიერ გავრცელებულია; იგი პ. უმიკაშვილსაც ჩაუწერია ფშავში, 1886 წელს, არტანუჯის ბაბალე მინდოდაურის თქმით, მაგრამ ეტყობა ან ბაბალეს აღარ ახსოვს

ავტორის გვარი, ან კიდევ უმთავრესი მარტო მთქმელის გვარი  
ჩაიწერა. უმთავრესის ვარიანტში ლექსს დამატებული აქვს შემდე-  
გი სტრიქონები:

ვინა ხარ, ვინ იარები,  
ციქსა, მალალსა მთაზედა?  
ლეკებმა თოფი არ დაგვრან,  
მეხი არ დამცე თაზედა.  
თორემ დავიციე დანასა,  
დაკრელებულსა ტარზედა,  
გაითქმის ქვეყანაზედა:  
თავი მაიკლა რაზედა.  
მოვევდე. თუ თავი მოიკალ  
კარგო, შენს პირობაზედა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დამატებაც ხვარამზესია — აქ ქალი  
უკვე, ასე ვთქვათ, თავის როლშია, შორს წასულ სატრფოზე დარ-  
ღობს, ესაუბრება მას შორიდან — დანას დავიკრავ გულზე, რამე  
რომ დაგემართოს, ქვეყანას კი არაფერი ეცოდინება, გაუკვირდე-  
ბათ, თავი რისთვის მოიკლაო. მათი სიყვარული ხომ ფარულია,  
იღუმალი და აკრძალული.

ულრმესი სიყვარულის ინტიმი ხვარამზეს ხანდახან საოცარი არ-  
ტისტიზმით აქვს გადმოცემული. საკვირველია, რომ ის ესოდენ ხში-  
რად მიმართავს ამ თავისებურ გარდასახვას, „სხვად ქცევას“ და ფან-  
ტაზიით წარმოიდგენს ხოლმე გულის ბოლმას იმ ვაჟკაცისას, ვისაც  
მიუწვდომელი და გაუზიარებელი სიყვარული სტანჯავს. აი, სა-  
ილუსტრაციოდ კიდევ ერთი ლექსი ხვარამზესი:

ქალ, წყალზე წამასულიყავ,  
ველისას, განა ტუისასა,  
შორით გიძახე ქართული:  
ქალ, დაიცადე ღვთის მადლსა!  
დიდგულ რაიმა ჰყოფილხარ,  
მიხვალ და მიქსოვ წინდასა,  
შენ თავ არ შამაიბრუნე,  
რო დამეკელია ყინჩადა.  
ჯერ სახეს დავისწავლიდი  
მაგ შენის პირ-კბილისასა,  
ფეხზე როდის-ღა ჩავიციემ  
შენგან მოქსოვილ წინდასა?!  
არ იქნა ის დღე, ართავდე  
საჩოხეს ჩემსას წმინდასა?!  
ვაქმე, ვის რა რა მიგცემენ,  
ტანს დაამშვენებ ვისასა?

შენს სახელს როცა იტყვიან,  
მე სამჯერა ვკმეპ მიწასა!  
დაგკარგავ, დავიკარგები,  
შავძლებ დაქცევას ცისასა.

თ. რაზიკაშვილი გადაჭრით აკუთვნებს ამ ლექსს ხვარამზეს. იგი მრავალმხრივ საინტერესო ნაწარმოებია — მოლექსე ქალი არა მარტო გრძნობს, არამედ დააკვირდით როგორ ხატავს კიდეც, რამდენი პლასტიკურობაა აქ, რამდენი მოძრაობა! ეს მთელი სურათია: თქვენ ხედავთ როგორ წასულა ქალიშვილი წყალზე, ვაჟკაცი მისძახის მას, მაგრამ ქალს სატრფოს ქართული აღარ ესმის, და ისე მიდის და მიჰქსოვს წინდას, რომ ძახილზე თავსაც არ შემოიბრუნებს. იმ წინდის ქსოვაზეც ბიჰს ახალი ასოციაციები აღეძვრება — როდის დადგება ის დრო, როცა შენს მოქსოვილ წინდას ჩაეცმევეო, როცა ჩემს საჩოხეს დაართავო... მერე უფრო და უფრო მძაფრდება განწყობილება — სასოწარკვეთილ ვაჟკაცს გზა ვეღარ უპოვნია და ამიტომ გაიძახის — დაგკარგავ, დავიკარგები, შავძლებ დაქცევას ცისასო.

მაგრამ ხვარამზე მარტო სიყვარულის თემაზე როდი წერს (ან წერს კი? ჩვენ იმის ცნობაც არა გვაქვს იცოდა თუ არა მან წერაკითხვა); პოეტი ქალი უმღერის ვაჟკაცობას, უმღერის სამშობლოს, ის მძაფრი ფერებით გვიხატავს როგორ შემოსევიან თავდამსხმელები ქვეყანას, მწუხარედ დასტირის მტერთან ბრძოლაში დაღუპულ ვაჟკაცებსა და ქალებს. აი ეს ლექსიცი:

კახეთს მოვიდა ლაშქარი,  
სამი ბელადის ჯარიო,  
აქით ტყვე წაუყვანიათ,  
დედუკა, ჩენი რძალიო.  
ნეტავი დაო, დედუკავ,  
შამცა სამ-სამი ძმანიო,  
რო გული აპტივებოდათ,  
ეკელიათ შენი კვალიო.  
ანამც მაქცია ვაჟადა,  
მამცა თოფი და ხმალიო.  
ერთ ქალად დაფასდებოდნენ  
ლამაზნი შენნი თმანიო,  
მზექალავ, გახუათაო,  
შენამც იალი ხარიო

იალი სულით ნათელს ნიშნავს და უფრო მიცვალებულზე ამბობენ ფშავლები. როგორი გულისტკივილით იხსენებს პოეტი ტყვედ-

წყევანილ თავის დობილებს — დედუკასა და მზექალას; შემდეგ იმას ნატრობს ხვარამზე, ნეტავ ძმები მყოლოდნენ, გული ეტკინებოდათ და თქვენს კვალს გამოჰყვებოდნენ დასახსნელადო. მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, რომ კვლავ ვაჟკაცად გადაქცევაზე ოცნებობს ქალი ხვარამზე და ამ მოტივით თითქოს ეხმაურება თავის იმ ლექსებს, სადაც ვაჟკაცის ნიყვარულს გვიხატავდა.

აი ყველაფერი ის, რაც ხვარამზეს ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ შეიძლება ამოიკითხოს კაცმა თედო რაზიკაშვილის კრებულიდან. ამის მეტი მე ვერაფერი მოვნახე. რა. თქმა უნდა, ჩვენს სპეციალისტ-ფოლკლორისტებს უფრო მეტი ეცოდინებათ ხვარამზეს შესახებ; ვინ იცის კიდევ რამდენი მარგალიტი ეკუთვნის ხვარამზეს თუნდაც ამავე კრებულში, მაგრამ ისიც, რასაც მისი სახელი და გვარი აქვს მოწერილი, საკმარისია რათა ვთქვათ, რომ ჩვენს წინაშე ნამდვილი ბაკალლო ტალანტია, რომლის სიტყვას თან დაჰყოლია ხალხურისათვის დამახასიათებელი ძარღვიანობა, რომლის ლექსში ჩანს ის ალალი, წმინდა გული, ურომლისოდაც არ არსებობს არავითარი პოეზია.

## ლიტერატურული პაკალები

მხატვრული ლიტერატურა მხოლოდ მაშინ აღწევს თავისი განვითარების მწვერვალებს, მხოლოდ მაშინ იწყება მისი აღორძინებისა და გაფურჩქვნის ეპოქა, როცა ის ორგანულად ამოზრდილია ხალხის წიაღიდან. როცა მას ასაზრდოებს ხალხის უგულითადესი მისწრაფებანი, მისი ფიქრი და გრძნობა. ჯერ ისევ 1908 წელს. სწორედ იმ მძიმე წლებში, როცა დეკადენტური ლიტერატურის წარმომადგენლებმა სცადეს ხელოვნება მოეწყვიტათ სინამდვილისაგან, როცა დაიწყეს მათ ანტიხალხური და რეაქციული იდეების ქადაგება, აი სწორედ ამ ხანებში გაისმა გორკის ძლიერი ხმა ხალხის ინტერესებით გამსჭვალული ლიტერატურის დასაცავად. თავის წერილში — „პიროვნების განადგურება“ გორკიმ აღიარა, რომ ყველა ქვეყნის დიდი პოეტების საუკეთესო კმნილებანი შთაგონებულია იმ სახეებით, იმ იდეებით, იმ გრძნობებით, რომლებსაც უხვად შეიცავს ხალხური შემოქმედების საგანძური. „მილტონმა და დანტემ, მიცევიჩმა, გოეთემ და შილერმა, — წერდა გორკი, — ყველაზე უფრო დიდ სიმაღლეს მაშინ მიაღწიეს, როცა მათ ფრთას ასხამდა კოლექტივის შემოქმედება, როდესაც მათი შთაგონების წყარო წდებოდა განუზომელად ღრმა, აურაცხელად მრავალფეროვანი, ძლიერი და ბრძნული ხალხური პოეზია“.

გორკი დაიბადა და აღიზარდა ხალხის წიაღში, აქედან ეზიარა იგი მსოფლიო კულტურის მწვერვალებს. სწორედ მისი შთაგონების დაუსრეტელი წყარო იყო განუზომლად ღრმა, აურაცხელად მრავალფეროვანი, ძლიერი და ბრძნული ხალხური შემოქმედება. ეს იყო მისი ნიადაგი, ეს იყო ის უმტკიცესი დულაბი, რომელზედაც იზრდებოდა გორკის შემოქმედება. გორკი ბრწყინვალედ იცნობდა რუსულსა და მსოფლიო ფოლკლორს და სხვათაშორის ძალიან აინტერესებდა მას ბესარაბიის, კავკასიის და უკრაინის ხალხთა შემოქ-

ქედებაც. ამას ნათლად ადასტურებს მისი აღრინდელი მოთხოვნები: და ლეგენდები, რომლებიც უხვად შეიცავენ ფოლკლორულ მოტივებს.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გორკის შემოქმედებაში ფოლკლორი არასოდეს არ შედიოდა როგორც მზამზარეული სახე. მის მხატვრულ შემეცნებაში ის გარდაიქმნებოდა, რათა ახალ მაღალ ხარისხში ასულიყო და ქვეუღიყო ინდივიდუალური შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფად, მწერლის სულის წარუქვეთელ ნაწილად. პირველსავე მოთხოვნა „მაკარ ჩუდრაში“ გამოჩნდა ანარეკლი მწერლის ფოლკლორით გატაცებისა. რომანტიკული ლეგენდა ლოიკო ზობარისა და რადას სიყვარულის შესახებ გორკის ბუკოვინელი ბოშებისაგან ჰქონდა მოსმენილი. „მოხუც იზერგილში“ გორკი აღნიშნავს, რომ ამბები, რომლებიც მოთხრობილია ხსენებულ ნაწარმოებში, მან მოისმინა „აკერმანის ახლოს, ბესარაბიაში“. ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო ის არის, რომ კაცკასიური, უმთავრესად ქართული ფოლკლორის არა ერთ მოტივს უპოვნია გამოძახილი გორკის ნაწარმოებებში.

ამ წერილში ჩვენ გვაინტერესებს გენეზისი გორკის ერთი ზღაპრისა, რომელიც ჩართულია „ზღაპრებში იტალიაზე“. ამ საკითხის შესახებ ნ. პიკსანოვი თავის წიგნში — „გორკი და ფოლკლორი“ — წერდა:

„ეს ფოლკლორული მასალა — ბოშური, მოლდავური, თათრული — გორკის მიერ შემოქმედებითად გარდაქმნილია, შერწყმულია ახალგაზრდობის წლებში მისთვის დამახასიათებელ რომანტიკულ ლირიზმთან. თუმცა, გაცილებით გვიან, დაახლოებით 1911 წელს „ზღაპრებში იტალიაზე“ გორკიმ მოულოდნელად ჩაურთო აღმოსავლური მოტივი: ჰიმნი დედისადმი, რომელსაც წარმოსთქვამს პოეტი ქერმანი ტამერლანის წინაშე. ეს ჰიმნი... უნდა ვიფიქროთ არის გამოძახილი აღმოსავლური ლირიკისა“.

გორკის ხსენებული მეცხრე ზღაპარი იტალიურ ზღაპრებში, რომელშიაც ზემოხსენებული ჰიმნია ჩართული — მართლაც ძალზე საინტერესო ნაწარმოებია. პიკსანოვი ამბობს, რომ იგი გამოძახილია აღმოსავლური ლირიკისაო, მაგრამ აღმოსავლეთი ძალიან დიდია. საჭიროა ამ ნაწარმოების გენეზისის უფრო ზუსტად გამორკვევა. საქართველოში ყოფნის დროს, თავისი სიჭაბუკის წლებში, გორკი, ცხადია, გაეცნობოდა ქართულ ფოლკლორსაც. სხვათაშორის საინტერესოა, რომ მის ერთ მოთხოვნაში („რუსული ზღაპრები“) მოყვანილია ჭალადიდელის „მიყვარს ფაცხა მე მეგრული“, რომელიც ისე იყო გავრცელებული, რომ მწერალს შეიძლება ფოლ-

კლორული ნაწარმოები ეგონა. ცხადია, მისი დაკვირვების არე უფრო ფართო იქნებოდა, შეუძლებელია ის არ დაინტერესებულყო ქართული ფოლკლორით. ამას ამტკიცებს გულდასმით გადაკითხვა მისი ზემოხსენებული ზღაპრისა.

ვნახოთ ჯერ რას ეხება ეს ზღაპარი. ჩვენ მოვიყვანთ შემოკლებით ამ ნაწარმოებს:

„ვადიდოთ ქალი — დედა, ძღვეამოსილი სიცოცხლის დაუშრეტელი წყარო!

გაეიხსენოთ რკინის თემურ-ლენგი, კოკლი ვეფხვი, სახიბ-ი-კირანი, ტამერლანი, როგორც მას უწოდებდნენ ურწმუნონი, კაცი, რომელიც ქვეყნის აღგვას ლამობდა.

ორმოცდაათი წელიწადი დადიოდა ის მიწაზე და მისი რკინის ტერფი ისე სრესდა ქალაქებს და სახელმწიფოებს, როგორც სპილოს ფეხი ქიანქველების ბუდეებს. სისხლის წითელი მღინარეები დიოდა მისი გზიდან ყოველი მხრივ, მაღალ კოშკებს აშენებდა დამარცხებული ხალხის ძვლებისას. მიწასთან ასწორებდა სიცოცხლეს — მე უფრო ძლიერი ვარ, ვიდრე სიკვდილიო. ჯავრს იყრიდა სიკვდილისას, რომელმაც საყვარელი შვილი ჯიგანგირა მოსტაცა. საშინელი ადამიანი იყო თემური — სიკვდილს ყველა მსხვერპლი უნდა წავართვა, დაე, ის მწუხარებით და სიმშლით ჩაძაღლდესო!

იმ დღიდან, როდესაც მოკვდა იმისი შვილი ჯიგანგირი და სამარყანდელი ხალხი, შავით მოსილი და თავზე ნაცარწაყრილი გლოვის ზარით დახვდა საშინელი ჯეტების დამმარცხებელს, იმ დღიდან დაწყებული იმ საათამდე, როცა ოტარაში შეხვდა თავის სიკვდილს და დამარცხებულ იქნა მისგან, ოცდაათი წლის განმავლობაში თემურს ერთხელაც აღარ გაუღიმნია — იყო დაღონებული, პირმოკუმული, თავს არ იხრიდა არავისა და არაფრის წინაშე; და მისი გული მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში დახშული იყო შებრალებსათვის.

ვადიდოთ ქვეყნად ქალი — დედა, ერთადერთი ძალა, რომლის წინაშე მორჩილებით თავს იხრის სიკვდილი! აქ ნათქვამი იქნება სიმართლე დედის შესახებ; ნაამბობი იქნება, როგორ მოიხარა დედის წინაშე მსახური და მონა სიკვდილისა, რკინის ტამერლანი, სისხლისმღვრელი მტერი ქვეყნისა.

აი, როგორ იყო: ნადიმობდა თემურ-ლენგი კანიგულის უმშვენიერეს მდელოზე, იმ მდელოზე, რომელიც დაფარული იყო ვარდისა და იასამანის ღრუბლებით, რომელსაც სამარყანდელი პოეტები „ყვავილთა სიყვარულს“ უწოდებდნენ და საიდანაც

მოსჩანდა ცისფერი ჭინარებები დიდებული ქალაქისა, ცისფერი გუმბათები მეჩეთებისა.

თხუთმეტი ათასი რგვალი კარავი იყო გაფანტული მდელოზე განიერად გაშლილ მარაოდ. ყველა კარავი ზამბახსა ჰგავდა და ყველას ასობით დაჰტრიალებდა აბრეშუმის ალაში, როგორც ცოცხალი ყვავილები.

ხოლო კარავებს შუა გურუგან-თემურის კარავი იყო — როგორც დედოფალი თავის მხვეალთა შორის. ოთხი კუთხე ჰქონდა ამ კარავს, სიგანეზე ასი ნაბიჯი იყო, სიმაღლე სამი შუბისა ჰქონდა. მისი შუა ნაწილი თორმეტ ოქროს ბურჯზე იდგა, ადამიანის სისქისა იყო თორმეტივე. კარავს ზემოდან ცისფერი გუმბათი ჰქონდა, მრავალფეროვანი აბრეშუმის მკედლით ნაქსოვი და წითელი აბრეშუმის ხუთასი თოკით იყო მიბმული მიწაზე, რომ ზეცისაყენ არ ავარდნილიყო. ოთხივე კუთხეში თითო უშველებელი ორბი იჯდა ვერცხლისა და გუმბათის ქვეშ, კარავის შუაზე მეხუთე — თვითონ თემურ-გურუგანც, მეფეთა მეფე.

განიერკი სამოსი ეცვა აბრეშუმისა. ცისფერი, ზურმუხტის თვლებით დამშვენებული, ხუთი ათასზე მეტი არ იქნებოდა ძვირფასი თვალი, დიახ, ხუთი ათასზე მეტი, საშინელ ქალარა თავზე თეთრი მალალი ქუდი ეხურა, რომელსაც ზემოდან დიდი ბადახში ამშვენებდა. და იძვროდა, ირხეოდა — ბრწყინავდა ეს სისხლოვანი თვალი — უჭკრეტდა რა ქვეყანას.

სახე კოკლისა ფართო დანასა ჰგავდა, დაქანგებულს იმ სისხლით, რომელშიაც ათასჯერ მაინც განბანილა. ვიწრო თვალები ჰქონდა, მაგრამ ყველაფერს ხედავდნენ ისინი და ისე ბრწყინავდნენ. როგორც ცივად მბრწყინავი ცარამუტი, საყვარელი უნჯი არაბებისა, რომელსაც ალახის მტრები ზურმუხტს ეძახიან და რომელიც უებარი წამალი არის ბნედიანისა. ყურებში მეფეს საყურე ჰქონდა, ცვილონური ლალისა, ლამაზი ქალის ბაგის ფერისა.

მიწაზე, ხალიჩებზე, რომლების მზგავსი აწ აღარ არის, სამასი სურა იდგა ოქროსი, ღვინით სავსე. ყველაფერი იყო სუფრაზე, რაც საჭიროა მეფეთა ლხინისათვის. თემურის უკან მემუსიკენი ისხდნენ, მის გვერდით — არავინ, მის ფერხთით — მისი ნათესავეები, მეფეები, თავადები, მხედართმთავრები. თემურთან ყველაზე ახლოს იჯდა მთვრალი პოეტი ქერმანი, რომელსაც ერთხელ ჰკითხა ქვეყნის აღმგველმა:

— ქერმან! რამდენს მისცემ ჩემში, გასაყიდად რომ გამომიყვანონ?

პოეტმა უპასუხა სიკვდილისა და საშინელების მთესველს:



— ოცდახუთ ასკერს.

— ეგ ხომ მარტო ჩემი ქაბრის ფასია? — წამოიძასა განცვიფრებულმა თემურმა.

— მეც მარტო ქამარზე ვფიქრობ, — უპასუხა ქერმანმა, — მარტო ქამარზე, რადგან თვითონ შენ არაფრად არ ღირხარ!

აი როგორ ელაპარაკებოდა პოეტი ქერმანი მეფეთა მეფეს, ბოროტსა და საშინელ ადამიანს. დაე, იყოს ჩვენთვის დიდება პოეტისა, მართლის მთქმელისა, მარად უფრო მაღალი, ვიდრე დიდება თემურისა.

ვადიდოთ პოეტები, რომლებსაც ერთი ღმერთი სწამთ მხოლოდ — ლამაზად თქმული, დაუჩრდიალი მართალი სიტყვა! აი რა სწამთ პოეტებს თავის ღმერთად უკუნითი უკუნისამდე.

და იმ დროს, როდესაც დიდი ლხინი ჰქონდა მეფეს, როცა გახურებულ ქეიფში ამაყად იგონებდნენ ურიცხვ ბრძოლას და გამარჯვებას, როდესაც გუგუნებდა მუსიკა და მეფის კარავის წინ ხალხური თამაშობანი იყო გაჩაღებული, როდესაც დახტოდნენ აჭრელებული ურიცხვი მასხრები, როდესაც იქვე მოედანზე ფალავნები ჭიდაობდნენ, გაკიმულ თოკებზე დადიოდნენ და ისე როკავდნენ ჯამბაზები, თითქოს მართლაც სრულიად უძვლონი ყოფილიყვნენ, ფარიკაობდნენ მხედრები — ვინ უფრო მარჯვედ მოიგერიებს და დაამარცხებს მტერსაო, წარმოდგენა მოეწყობოთ სპილოებისა, რომლებიც წითელ და მწვანე ფერებში შეეღებათ, რათა ერთნი საშინლად სჩვენებოდა მაყურებელს და მეორენი სასაცილოდ, ამ ლხინის და თემურის მახლობელთა მხიარული ქეიფის დროს, რომლებიც შიშითა თრთოდნენ მის წინაშე და თან ამაყობდნენ მისი ძლევაშოსილებით, მოქანცულნი მისი ბრძოლებით და ღვინისა და კუმისის სმით, ამ გახურებული ქეიფის დროს უცბად გაისმა ვილაცის ხმა, გაარღვია მოთამაშეთა ხმაურობა და მღერა-მუსიკა, როგორც ელვა შეიჭრება ხოლმე მზის მახუნელებელ შავ ღრუბლებში, და ბაიაზეთსულთანის დამმარცხებელმა თემურმა გაიგონა დედაკაცის ხმა, ამაყი ხმა დედაობისა, ხმა ნაცნობი და ნათესავი მისი მწუხარე სულისა, სიკვდილის მიწრ დაწყლულებული სულისა, რომელიც იმიტომ იყო ასე უღმობელი ადამიანისა, და სიცოცხლისადმი.

და ბრძანა:

— ვინ არის რომ მაგ ხმით კივის, თითქოს საუკუნოდ დაჰკარგვია სიხარული?

მოახსენეს მეფეს:

— ვილაც დედაკაცი გეახლათ, მტვერში ამოსვრილი, მთლად ნაგლეჯებით. შეშლილსა ჰგავს, არაბულს ლაპარაკობს და მოა-

თხოვს, — დიახ, მოითხოვს მეფის, ქვეყნიერების სამი მხარის მპყრობელის ნახვას.

— აქ შემოიყვანეთ! — ბრძანა მეფემ.

და აი, მეფის წინა დგას დედაკაცი — ფეხშიშველი, მზისაგან გახუნებული, დაფხრეწილი ტანსაცმლით მოსილი... შავთმა გაშლილი: პირსახე — როგორც ბრინჯაოსი, თვალი — მედიდური და გაშავებული ხელი, აუთრთოლებლად რომ გაუწოდა კოჭლ მეფეს.

— შენ დაამარცხე სულთანი ბაიაზეთი? — ჰკითხა მან მეფეს.

— მე დავამარცხე! ისიც დავამარცხე და სხვაც ბევრი. და ჯერ არ დავღლილვარ გამარჯვებათაგან. შენ კი რისთვის გარჯილხარ, დედაკაცო!

— მომისმინე, — სთქვა ქალმა, — რაც უნდა ძლიერი იყო — შენ მაინც მხოლოდ ადამიანი ხარ, მე კი დედა ვარ! შენ სიკვდილს ემსახურები და მე — სიცოცხლეს. შენ დამნაშავე ხარ ჩემს წინაშე და მე იმიტომ მოვედი, რომ შოგთხოვო — გამოისყიდო შენი დანაშაული. შენზე ამბობენ ერთი მცნება სწამს — ძალა სამართლიანობაშიაო, მე ეგ არ მჯერა, არა მჯერა და მაინც შოგიტხოვ, რომ სამართლიანად მომექცე, იმიტომ რომ მე დედა ვარ

საკმაოდ ჰკვიანი კაცი იყო მეფე, დედის გადაკრულ სიტყვებში ადვილად იგრძნო მისი სიმართლე, და უთხრა:

— დაჯექ და სთქვი... მინდა ჯერ მოგისმინო — იქვე დაჯდა დედაკაცი, თემურის მახლობელ მეფეთა შორის, ნოხზე, და აი, რა მოახსენა თემურს:

— სალერნოელი ვარ... შორს არის სალერნო, იტალიაში. შენ არც კი გაგიგონია ეს სახელი... მამაჩემი მეთევზე იყო, ჩემი მეუღლეც აგრეთვე. მშვენიერი კაცი იყო, ბედნიერი და ბედნიერებას მე ვანიჭებდი ჩემს ქმარს. ერთი შვილი მყავდა, ქვეყანაზე არავინ იქნებოდა ჩემი ბიჭივით ლამაზი...

— როგორც ჩემი ჯიგანგირი! — ამოიოხრა თემურმა.

— არავინ იქნებოდა ჩემი ბიჭივით ლამაზი და ჰკვიანი. ექვსი წლისა იყო, როდესაც ჩვენს ქვეყანას სარაციენელი მეკობრენი შემოესივნენ, მომიკლეს ქმარი, მომიკლეს მამამთილი, გაწყვიტეს მრავალი ხალხი და მომტაცეს ჩემი ბიჭი. აგერ ოთხი წელიწადია დავეხეტები ასე და ჩემს შვილს ვეძებ მთელ ქვეყანაზე. ამჟამად ჩემი ბიჭი აქ. შენთან არის. ეს კარგად ვიცი იმიტომ, რომ ბაიაზეთის მხედრებმა დაიჭირეს ის მეკობრენი და რადგან ბაიაზეთი შენ დაამარცხე და წაართვი, რაც კი ჟბადა, შენ უნდა იცოდე, სად არის ჩემი ბიჭი და დამიბრუნო ჩემი შვილი.

სიცილი წასკდათ მეფის მხლებელ დიდებულთ — მათ ყოველთვის ბრძენთაბრძენად ჰგონიათ თავი.

— შეშლილია — დაიძახეს თემურის მორჩილმა მეფეებმა, თავადებმა და მხედარმთავრებმა. ყველანი იცინოდნენ.

მარტო ქერმანი უყურებდა თანაგრძნობით დედაკაცს და უალრესი განცვიფრებით შესცქეროდა თემური.

— შეშლილია, როგორადაც დედა, — ჩუმად წარმოსთქვა მთვრალმა პოეტმა, ხოლო მეფემ, მტერმა მშვიდობისამ, სთქვა:

— მერე, როგორ მოხვედი, დედაკაცო, იმისშორე ქვეყნიდან, რომლისა მე სახელიც კი არ გამოგონია? როგორ გადმოლახე იმოდენა ზღვა, მდინარე, მთა და ტყეები? როგორ მოხდა, რომ აგრე გადარჩი საზარელ მხეცებს. როგორ მოხდა, რომ გადარჩი ურიცხვ განსაცდელს, თუმცა არა გქონია იარაღი, ერთადერთი მცველი უმწეო ადამიანისა. იარაღი არ უღალატებს თავის პატრონს, სანამ იმას ძალა აქვს მკლავში. მინდა გავიგო ეს ყველაფერი, რომ შენით განცვიფრებულმა მაინც შევიგნო და დავიჯერო შენი ნათქვამი..

ვადიდოთ ქალი — დედა, რომლის სიყვარულს არა აქვს საზღვარი, რომლის მკერდით გამოზრდილია მთელი ქვეყანა! რაც კი სათნო არის ადამიანში, მზის სხივის და დედის ძუძუს ნაყოფია, აი რა ჰქმნის ჩვენში სიცოცხლის სიტკბობებს!

და უპასუხა დედამ:

— ზღვა მარტო ერთი შემხვდა, მრავალი კუნძულებით და მეთევზეების ნაგებობით სავსე. და თუ საყვარელს ეძებ ვისმე, ქარიც კი თანამგზავრად გიხდება. მთები? მე მთები არც კი შემინიშნავს.

და მხიარულად წამოიძახა მთვრალმა პოეტმა:

— დიდ მთას ბარად გადააქცევს ძლიერი სიყვარული!

— ტყე ბევრი იყო გზაში, დაბურული ტევრი. მრავალი ტახი შემხვდა, დათვი, ფოცხვერი და გარეული ხარი, ძირს დაღუნული თავით. ორჯერ დამამტერა თვალი ვეფხვმა, აი როგორც ეხლა შენ მიყურებ, მაგრამ მხეცსაც აქვს გული, იმათაც ისევე ველაპარაკებოდი როგორც შენ, იმათაც სჯეროდათ, რომ მე დედა ვარ და მშორდებოდნენ ოხვრით — ვებრალეობდი ტყის ნადირს. განა არ ვიცი, რომ მხეცსაც უყვარს თავისი შვილი და თავგანწირვით იბრძვის თავისი ლეკვის სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის, სწორედ ისევე როგორც ადამიანი?

— ადამიანი, — განაგრძო ბავშვივით დედამ, რადგან ყოველი დედა ბავშვია სულით, — ადამიანი ყოველთვის შვილია თავისი დედისა... ხომ ყველასა ჰყავს დედა — მშობელი. დედაკაცის შვილია

ყველა, და შენც, მოხუცებულო — ეს უჩემოდაც უნდა იცოდე — შენც შეილი ხარ დედაკაცისა. შენ შეგიძლია უარპყო ღმერთი, მაგრამ დედის უარყოფა კი არ შეგიძლია!

— აგრეა, აგრე! — შეჰყვირა ქერმანმა, მართლის მოყვარე პოეტმა — უმზეოდ ტურფა ვარდი არ ჰყვავის, უსიყვარულოდ აოსად არის ბედნიერება და უდედაკაცოდ არც სიყვარული, არც ნეტარება. დედა უნდა იყოს, რომ წარმოიშვას პოეტი, გმირი!

და მიმართა თემურს დედამ:

— მომეცი ჩემი შეილი, იმიტომ, რომ მე დედა ვარ და მიყვარს!

თაყვანი ვცეთ დედას, მან დაბადა მოსე, მაჰმადი და დიდებული წინასწარმეტყველი იესო, რომელიც მოკლულ იქნა ავკაცთაგან, მაგრამ როგორც შერიფ-ედინმა სთქვა, კვლავ აღდგება და მოვა ჰევდართა და ცოცხალთა განსასჯელად, რაც დამასკში მოხდება, ღიახ, დამასკში!

თაყვანი ვცეთ დედას, რომელიც დაულალავად გვიძღვის დიდებულთ. არისტოტელი შეილია იმისი, აგრეთვე ფირდოუსი, თაფლივით ტკბილი საადი და ომარ ხაიამი, მსგავსი საწამლავენარევი ტკბილი ღვინისა! ისკანდერი და ბრმა ჰომიროსი — სულ იმისი შეილები არიან. მისი რძით გაზრდილნი, დედაკაცმა შემოიყვანა ისინი ქვეყანაში, როდესაც პატარები იყვნენ, არა უძალღესი ზამბახისა. დედათაგან გვაქვს მთელი ნეტარება ამ ქვეყნისა.

ჩაფიქრდა ქალარა მეფე, მმუსრავი სამეფოებისა; კოქლი ვეფხვი თემურ-გურუგანი. დიდხანს იყო ჩაფიქრებული და ბოლოს მიმართა იქ მყოფთ:

— მე ტანგრი ყული თემურ! მე მონა ღვთისა თემურ, გულწრფელად ვამბობ ჩემსას: ვცხოვრობდი კაცი და, დიდი ხანია, დედამიწაც კი გმინავდა ჩემს ფეხქვეშ. ოცდაათი წელიწადია სიკვდილის ყანას ვმკი აი ამ ხელით, რომ სიკვდილისა სისხლი ვაძიო, ჩემი შეილის ჯიგანგირის სისხლი ვაზღვევინო სიკვდილს, რადგან იმან დამიბნელა მზე ჩემი გულისა. ბევრი მებრძოდა ქალაქებისა და სამეფოების გამო, მაგრამ ადამიანის გამო კი არავინ შემბრძოლებია, არავინ ჩემს დღეში. და არავითარი ფასი არა ჰქონდა ადამიანს ჩემს თვალში. არ ვიცოდი რა არის ადამიანი და რადა მხედება ჩემს გზაზე. აი რა ვუთხარი სულთან-ბაიაზეთს, როდესაც დავამარცხე: „ოჰ, ბაიაზეთო, ეტყობა ღმერთისათვის ჩალად არ ღირს სახელმწიფო და ადამიანი. ჰხედავ — ღვთის ბრძანებით არის, რომ სახელმწიფოცა და მთელი ხალხიც იმისთანა კაცის საბრძანებლად გამხდარა, როგორიცა ვართ მე და შენ: შენ ელაში და მე კოქლი. ამ

სიტყვებით მივმართე მე ბაიაზეთს, ჯაკვით შეკრული რომ მომგვარეს.

— მე იმას ვამბობ მონა ღვთისა თემური, რაც სათქმელია: ახის ჩემს წინაშე დედაკაცი; ასეთები ურიცხვნი არიან. და ამ დედაკაცმა აღმოძრა გულში ჯერედ უცნობი გრძნობა: ისე მელაპარაკება მე დედაკაცი, როგორც თავის სწორს და კი არ მემუდარება, თავისას მოითხოვს. და ვხედავ, ვგრძნობ რად არის ასე მძლავრი ეს დედაკაცი. მძლავრია იმიტომ, რომ უყვარს და სიყვარულმა შეაგნებინა, რომ მისი ბავშვი სოცოცხლის ნაპერწკალია, რომლისაგან შეიძლება აღიგზნოს მრავალი საუკუნის მანათობელი ალი. განა წინასწარ ჰეტყველები ჩვილ ბავშვებად არ იყვნენ და გმირები — სუსტ ძუძუმწოვრებად. ოჰ, ჯიგანგირ, სინათლევ ჩემი თვალისავე, იქნება შენ იყავ დანიშნული ქვეყნიერების განმანათლებლად, სიკეთისა და სათნოების მთესველად? მე კი კარგად მოვრწყე ადამიანის სისხლით და გავაპოხიერე დედამიწა.

კიდევ ჩაფიქრდა ხალხის მშუსრავი და ბოლოს სთქვა:

— მე იმას ვამბობ, მონა ღვთისა თემური, რაც სათქმელია: სამასი ცხენოსანი წავიდეს ამ წამსვე ჩემი ქვეყნის ყოველი მხრისკენ, ეხლავ, საჩქაროდ! დაიარონ ჩემი სამეფო და იპოვნონ შვილი ამ დედაკაცისა. თვითონ კი აქ დარჩეს. ელოდოს და მეც ველოდები ამასთან ერთად. და ვინც მოვა და თავის ცხენით მოტაცებულ ბავშვს მოიყვანს, ბედნიერი კაცი იქნება. ამასა ბრძანებს თვითონ თემური! მაშ ასე, დედავ!

პირისახიდან გადაიწია დედამ გიშერივით შავი თმა, გაუღიმა მეფეს, თავი დაუქრა და მოახსენა:

— დიახ, აგრე, მეფეო.

წამოდგა მაშინ ის საშინელი, სისხლით გაუმადლარი ბებერი და ხმის ამოუღებლად თაყვანი სცა დედას.

და მხიარულმა პოეტმა ქერმანმა, ბავშვივით განხარებულმა, წარმოსთქვა ლექსი:

რა სჯობს ჰანგს ციურს, ვარსკვლავების ჰანგს სადიდებელს?

„ჰანგი ტრფობისა“ — იტყვის უმალ ყველა ჩვენგანი.

რა სჯობს მზეს დიადს მაისის დღის მანათობელსა?

„ქალი, რომელსაც გულით ვეტრფი“, — იტყვის კაბუჯი.

წარმტაცი არის ვარსკვლავების ციალი, — მჯერა.

მზეც წარმტაცია — მაისის დღის მანათობი, — მჯერა.

სჯობს ყველა ყვავილს სატრფოს თვალთა სიტურფე, — მჯერა.

მისი ღიმილიც მზის ალერსზე ტკბილია, — მჯერა.

მაგრამ არ თქმულა ჯერ ყველაზე წარმტაცი ჰანგი, —

სიმღერა იმას სადიდებლად, ვინც მიწაზედა

დასაბამია დასაბამთა, გულა ქეყნის,  
ვისაც ჩვენ ძენი ადამისა ვუწოდებთ დედას.

და უთხრა თემურ-ლენგმა თავის პოეტს:

— აგრე, ჩემო ქერმან! არ შესცდა ღმერთი, როცა შენი ბაგე  
აირჩია თავისი სიბრძნის ქვეყნისადმი სახარებლად.

დედაკაცი კი ილიმებოდა და ილიმებოდნენ მეფენი და თავადები,  
მხედართმთავრები და ყველა, ბავშვებივით დედის ღიმილით დამტ-  
კბარნი.

სრული სიმართლეა აქ ნაამბობი, ქეშმარიტებაა ყოველი სიტყვა.  
ეს კარგად იციან ჩვენმა დედებმა. აბა ჰკითხეთ და მიიღებთ პასუხს:

— დიას, სრული უკვდავი ქეშმარიტებაა აქ ნაამბობი. დედა  
უფრო ძლიერია, ვიდრე სიკვდილი, რადგან განუწყვეტლივ უძღვ-  
ნის ქვეყანას ბრძენს, პოეტსა და გმირს, დედა, რომელიც ზრდის და  
აყვავებს ყველას, რითაც დიდებული და სახელოვანია კაცობრიობა.

ამ მშვენიერ ზღაპარში იგივე იდეაა. რაც გორკისავე პოემაში  
„სიკვდილი და ქალიშვილი“; ზღაპარშიც სიყვარული ამარცხებს სიკვ-  
დილს, ამარცხებს სიკვდილის მთესველს. საზარელ თემურ-ლენგს.

ყველაფერი ეს ჩვენ საოცრად გვაგონებს იმ დიდებულ იდეას,  
რომლითაც გამსჭვალულია ქართული ბალადა ვეფხვისა და მოყმისა.  
ქართულ ხალხურ ბალადაში აღწერილია, როგორ შეხვდნენ ერთი-  
მეორეს კლდის თავზე ვეფხვი და ვაჟკაცი. აღწერილია გაათურებუ-  
ლი ბრძოლა, როცა კლდეები ინგრევიან და ხის შტონი ილეწებიან.  
ჯაჭვის ჯავშანი დაუფლითა ვეფხვმა მოყმეს და ამ უკანასკნელს  
მაშინდა გაუჭრა ხმალმა, როცა თვითონაც წაიქცა. ასე შეაკვდნენ  
ისინი ერთიმეორეს. და აი შემდეგ ლექსში გადმოცემულია გლოვა  
დედისა:

იარებოდა დედი,  
ტირლით თვალ-ცრემლიანი,  
ჩემს შვილს გზას ვეფხვი შაჰყრია  
გაჯავრებული, ტიალი.  
არც ვეფხვი იყო ჯაბანი,  
არც ჩემ შვილ შახვდა კკვიანი.

ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი  
ელანდებოდა მძინარსა,  
ხან ვეფხვი ვითომ იმის შვილს  
ტან-ზეით აყრის რკინასა,  
ხან კიდენ იმისი შვილი  
ვეფხვს გადააელებს ყირასა,

და ამ სოზრებსა ხედავდის  
გამაელეიძის მტირალსა.

უფრო საინტერესოა ლექსის ბოლო, რომელშიაც ნათქვამია:

ხან იფიქრებდა უდღოდ  
გაზრდა ვინა სთქვა შვილისა?  
იქნება ვეფხვის ღელაი  
ჩემზე მეტადა სტირისა?  
წავიდე, მეც იქ მივიდე,  
სამძიარ უთხრა ჳირისა,  
ისიე მიაშობს ამბებსა,  
მეც უთხრა ჩემი შვილისა  
იმასაც ბრალი ექნების  
უწყალოდ ხმლით დაჳკრილისა.

როგორც გორკის ზღაპარში, ისე აქაც დედაშვილობის მაღლით არის გამთბარი ყოველი სტრიქონი. ორივეგან მშობლის მოთქმაა, ქართველი დედა ისევე დასტირის შვილს, როგორც სალერნოელი დედაკაცი, და თემურიც ისევე გლოვობს თავის ჯიგანგირს, როგორც ქართულ ბალადაში ვეფხვი, რომელზედაც მოყმის დედა ამბობს: „ჩემზე მეტადა სტირისო“. ამრიგად, დედის პერსონაჟი ორივე ალაგას ერთია, ხოლო მეორე პერსონაჟი ქართულში არის ვეფხვი, გორკის ზღაპარში კი, გორკისავე სიტყვით რომ ვთქვათ, „კოჳლი ვეფხვი“; სიკვდილის მთესველი თემური, მამა ჯიგანგირისა: ამ კონტექსტში ძალზე საინტერესოა ის სიტყვები, რომლითაც დედა-ქარგული ბავშვის დედა მიმართავს თემურს: „ორჯერ დამაშტერა თვალი ვეფხვმა, აი როგორც ეხლა შენ მიყურებ, მაგრამ მხეცსაც აქვს გული. იმათაც ისე ველაპარაკებოდი როგორც შენ, იმათაც სჯეროდათ, რომ მე დედა ვარ და მშორდებოდნენ ოხვრით—ვებრალეზოდი ტყის ნადირს. განა არ იცი, რომ მხეცსაც უყვარს თავისი შვილი და თავგანწირვით იბრძვის თავისი ლეკვის სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის, სწორედ ისევე, როგორც ადამიანი“.

აქ ქართული ბალადა და გორკის ზღაპარი უშუალოდ ემთხვევიან ერთიმეორეს.

მაგრამ საიდან გაჩნდა გორკის ზღაპარში სალერნო და სამარყანდი? ეს ადვილი ასახსნელია. ყველაფერი ეს არის ჩარჩო ამბისათვის, რომელიც მოძებნა მწერალმა ადებუელი იდეისათვის ხორცშესახსმელად. ამას არსებითად მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. მთავარია ის დიდებული იდეა, დედობის იდეა, რომელსაც უმღერის ქართველი ხალხის ქმნილებაც და გორკის ზღაპარიც.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახალგაზრდა გორკიმ საქართველოში ყოფნის დროს გაიცნო ამ ბალადის შინაარსი და მერე გვიან გაიხსენა იგი შორეულ იტალიაში. ამიტომ შორს არ ვიქნებით ქეშმარიტებისაგან, თუ უფრო ზუსტად გამოვთქვამთ პიქსანოვის აზრს და გორკის ზღაპარში რაღაც ძალზე ზოგადი აღმოსავლური მოტივის ნაცვლად ქართული ხალხური ლირიკის მოტივს დავინახავთ. არ მოიძებნება ქვეყანა აღმოსავლეთში, სადაც დედის კულტი, ქალის კულტი უფრო ძლიერი იყოს, ვიდრე საქართველოშია.

და თუ ეს ასე არ არის, თუ ერთი მხრივ ქართველი ხალხის ფანტაზია და, მეორე მხრივ, მსოფლიო ლიტერატურის გამოჩენილი ოსტატის გონება დამოუკიდებლად მივიდნენ ამ ერთ დიდებულ აზრამდე, მაინც საინტერესოა ეს შეხვედრა, რადგან იგი ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ყველა უკეთესი შვილი კაცობრიობისა, ყველა მეოცნებე სიკეთეზე, სამართლიანობაზე, ყველა მოციქული ჰუმანიზმისა ერთი დიდი გზით მიდის. და ამ გზაზე შეხვედრა არც საოცარი და არც მოულოდნელი ამბავია.

ამ დიდ გზაზე მიჰყავს წინ კაცობრიობის ისტორია ჩვენს ქვეყანას. ამ გზისაკენ გვექახოდა გორკიც, როცა გამოხატავდა ტრფიბას იმისადმი, რაც ძვირფასია და სანეტარო ადამიანისათვის ამქვეყნად. ეს არის სიყვარული დედისა და სატრფოსი, სამშობლოსი და თავისუფლებისა, ცისა და მიწის მშვენიებისა, ხალხისა და კაცობრიობისა. ამ წმიდათა წმიდა ცნებათა დასაცავად იღვრებოდა ხალხის უკეთეს შვილთა სისხლი იმ დიდ ომში, რომელშიაც ბრწყინვალედ გაიმარჯვა სინათლემ სიბნელეზე, კულტურამ და ცივილიზაციამ ბარბაროსობასა და ველურობაზე.



## გიორგი ლეონიძე

### ბიოგრაფიული თარიღები

თბილისიდან აღმოსავლეთის მხარეს, კუხეთის მთებსა და მდინარე იორს შუა არის მწვეანეში ჩაფლული კოხტა სოფელი, რომელსაც პატარძელს ეძახიან.

ამ სოფელში 1899 წლის 27 დეკემბერს (ახალი სტილით) დაიბადა გიორგი ლეონიძე.

ბავშვობის შთაბეჭდილებანი მკვეთრად აღიბეჭდა პოეტის მხსიერებაში. დიდი ხნის შემდეგ ერთ-ერთ თავის ლექსში იგი იგონებს:

პატარძელი... ჩემი სოფელი,  
ბავშვობის კერა, — პატარძელი,  
ჩემი აკვანი წნორის ტოტისა  
იქა ყოფილა გადარწეული.

პირველივე სურათები, რომლებიც ყრმის თვალწინ გადაიშალა, პირველივე ხმები, რომლებიც მან გაიგონა — მომხიბლავი და დაუვიწყარი იყო. ეს იყო ივრის მინდვრები და გომბორის მთები, ბარაქიანი მიწა და საქვეყნოდ განთქმული ვენახები, დინჯი „მრავალყაშიერ“ და სევდიანი „გაფრინდი, შავო მერცხალო“.

წარსულის შესანიშნავი ძეგლებიც ბლომად შემონახულა ამ მადლიან მიწაზე: ნინოწმინდა და უჯარმა, ალავერდი და გრემი.

პოეტის სულში სამუდამოდ შექრილა ამ ადგილების სიყვარული, ყველა ეს ნანგრევები ძველი ციხეებისა და სასახლეებისა, ნახევრადწაშლილი ფრესკები, სახურავზე შამბნარამოსული მონასტრები, ივრის ზვირთების ციმციმი და რაკუნის პატარა წისქვილისა, დაკარგული გარდასულ წლებში, ისევე როგორც იქ მოსმენილი სიმღერები და ზღაპრები.

აქ გავისინჯე ძალა ეელისა,  
პირველი ლექსი,  
პირველი დალი!  
და ჩანაქერი ცასარტუელასა —  
შეცვა ხალათი ნუშით და ვარდით.

პოეტის შამა ნიკოლოზ სიმონის ძე (1864—1901) იყო პედაგოგი და ლიტერატორი-ხალხოსანი, მას გორის სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული. ნიკოლოზ ლეონიძეს კარგი მასწავლებლის სახელი ჰქონდა. ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ ასე წერდა მის შესახებ — ქართველი ხალხის განათლების ერთგული და შეუღრბეელი დამცველიაო. იგი თავის უპირველეს მოვალეობად სთვლიდა ხალხის განათლებასზე ზრუნვას.

დედა. სოფიო ნიკოლოზის ასული იყო წყნარი და კეთილი ქალი, სახლში მიღებული განათლებით. სწორედ მან შეაყვარა მომავალ პოეტს, ადრე დაობლებულს, ისტორია და ლიტერატურა. გულთბილად და უღრმესი სიყვარულით იგონებს გიორგი ლეონიძე მას თავის ლექსში „პოეტის დედა“. მის მენსიერებაში ცოცხლდება დედალამ საქმეში გართული დედის სახე, რომელიც პატარა ბანჩაში ფუსფუსებს, წინსაფარში ბოსტნეული და კვერცხები უწყევია და მას ჰიკვით დასდევენ უკან მერცხლები და შოშიები.

წერა-კითხვა თვითონ ისწავლა მომავალმა პოეტმა. პატარობაშივე ცხოველყოფელი ინტერესით ეცნობა იგი საქართველოს ისტორიას; ცხრა-ათი წლის ასაკში მას უკვე წაიკითხული აქვს „ქართლის ცხოვრება“, სახლში მას „ჩვენი ისტორიკოსი“ შეარქვეს.

1907 წელს გიორგი ლეონიძე თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, რომლის დამთავრების შემდეგ (1913 წ.) შედის სასულიერო სემინარიაში. ამ სასწავლებელში თეოლოგიას და სქოლასტიკას ასწავლიდნენ, მაგრამ მდიდარი ბიბლიური პოეზიაც შეუსწავლია იქ ლეონიძეს.

სკოლის მკაცრი რეჟიმი მოწაფეებში იწვევდა უაფთრებულ წინააღმდეგობას, ანთებდა მათში სამშობლოსადმი მხურვალე ტრფობას. სამშობლო და პოეზია — აი ეს იყო მათი მაშინდელი დეეზიოსინი ქმნიდნენ ლიტერატურულ და პოლიტიკურ წრეებს, გულმოდგინედ ეცნობოდნენ სამშობლო მხარის ისტორიას.

თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში პოეტი აზობს: „ვოცნებობდი გავმხდარიყავი მხატვარი. ისტორიკოსი. არქეოლოგი. მაგრამ 1909 წლის ერთ მზიან დღეს. კლასში მჯომმა გამოუცდელა კალმით დაწერე ლექსი „განთიადი“.

ასე დაიწყო გიორგი ლეონიძის პოეტური გზა. მალე მისი

ლექსები უკვე იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. პოეტი ეძებს საკუთარ ხმას, გამოსახვის ახალ ხერხებს, ეძებს ბილიკებს, რომელთაც დიდი პოეზიის მაგისტრალეზზე უნდა გაიყვანონ იგი. მისი საყვარელი პოეტები ამ დროს არიან ვაჟა-ფშაველა, დავით გურამიშვილი, პუშკინი, მიცკევიჩი (ამ პოეტის ლექსებს ლეონიძე თარგმნის 1913 წელს).

1916 წელს ლეონიძემ გამოსცა ლიტერატურული ალმანახი „საფირონი“, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ იმ დროის საუკეთესო ლიტერატურული ძალები. 1922 წელს სათავეში უდგება გაზეთ „ბახტრიონს“. ეს იყო პირველი პერიოდული ლიტერატურული გაზეთი საქართველოში და არსებობდა 1923 წლამდე. 1923 წელს ლეონიძე მონაწილეობს ჟურნალ „გრდემლის“ გამოცემაში. 1926—27 წლებში რედაქტორობს ლიტერატურულ ჟურნალ „დროშას“.

როდესაც ლეონიძე „საფირონს“ გამოსაცემად ამზადებდა, ქუთაისში იქმნებოდა ქართველი სიმბოლისტების სკოლა „ცისფერი ყანწელები“, რომელშიაც შედიოდნენ პაოლო იაშვილი, ტიცოან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და სხვები. გ. ლეონიძე მიიზიდა ამ ჯგუფში. იგი შეუერთდა სიმბოლისტებს.

მაგრამ ლეონიძე მალე ჰკარგავს რწმენას სიმბოლისტურ-დეკანდენტური პოეზიისადმი, მისი ნაწარმოებებიც თვალნათლივ ადასტურებენ, რომ ლტოლვა სიმბოლიზმისაკენ ლეონიძის შინაგანი პოეტური ბუნებისათვის მეტად არაბუნებრივი იყო. მისმა მეგობრებმაც — პ. იაშვილმა, ტ. ტაბიძემ, რომელნიც საქართველოში სიმბოლისტური სკოლის ფუძემდებლნი იყვნენ, თანდათანობით გადალახეს სიმბოლისტური განწყობილება და ფეხი შეუწყვეს ხალხს; შემდგომში ისინი გახდნენ გამოჩენილი საბჭოთა პოეტები, მათ თავიანთ ლექსებში მთელი გულით უმღერეს განთავისუფლებულ სამშობლოს.

1936 წელს ლეონიძე არჩეულ იქნა საბჭოების VIII საგანგებო ყრილობის დელეგატად. ამ ყრილობაზე მან ქართველი ხალხის სახელით წარმოსთქვა მისასალმებელი სიტყვა.

1946 წელს ლეონიძე მონაწილეობდა მშვიდობის მომხრეთა საკავშირო კონგრესში და არჩეულ იქნა მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის მუდმივ წევრად.

1950 წლიდან ლეონიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. 1945 წლიდან სკკპ წევრია.

1949 წელს ლეონიძე მიემგზავრება უნგრეთში, პეტეფის იუბილეზე, საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში. 1950 წელს

იმოგზაურა რუმინეთში და მონაწილეობას იღებდა ემინესკუსადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმში. 1950 წლის აგვისტოში გამოვიდა გერმანელი მწერლების კონგრესზე. 1952 წელს მონაწილეობდა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის ერთთვიურში. ამავე წელს მონაწილეობდა ადამ მიცკევიჩის საიუბილეო ზეიმში. გამოვიდა ვარშავაში, მსოფლიოს პოეტთა საღამოზე, აგრეთვე კრაკოვში. ეს მოგზაურობანი სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში მდიდარ მასალას აძლევენ პოეტს შემოქმედებისათვის.

ხოლო ჩეენს ქვეყანაში, ყველგან ძმობისა და სიყვარულის ატმოსფეროში გრძნობს პოეტი თავს — მოსკოვში, ლენინგრადში, ერევანში, ბაქოში, ვილნიუსში. სწორედ ხალხთა მეგობრობის დიდ და უძლეველ გრძნობას სთვლის პოეტი ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვრად. პოეტის რუსმა მეგობრებმა: ნ. ტიხონოვმა, ნ. ზაბოლოცკიმ, პ. ანტოკოლსკიმ, ლ. მარტინოვმა, ვ. დერჟავინმა, ა. მეჟიროვმა და სხვებმა დიდად შეუწყვეს ხელი ლეონიძის პოეტური სიტყვის რუსულ ენაზე აქლერებას. ლეონიძის ლექსები იბეჭდება როგორც მოძმე რესპუბლიკების, ისე სახალხო დემოკრატიული ქვეყნების ენებზე სწორედ რუსული თარგმანების საშუალებით. მაგრამ მარტო ამაში როდია საქმე. ზემოხსენებული პოეტების ნამუშევრები მხატვრულ თარგმანის დარგში ნამდვილად შემოქმედებითი გამარჯვებაა, კეთილშობილური ღვაწლია, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ჩეენი ხალხების დაახლოებისა და მეგობრობის საქმეში.

გ. ლეონიძის პირველი წიგნი რუსულ ენაზე გამოვიდა 1937 წელს, მეორე — 1938 წელს. 1944 წელს გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელმა“, ხოლო 1948 წელს „ზარია ვოსტოკამ“ გამოსცეს მისი ერთტომეული. 1950 წელს „მოლოდაია გვარდიამ“ გამოსცა ლეონიძის ლექსებისა და პოემების კრებული. 1949 წელს პოეტის ნაწარმოებთა ერთტომეული გამოვიდა უკრაინულ ენაზე (მიკოლა ბაჟანის რედაქციით).

გარდა ამისა, ლეონიძის ნაწარმოებები გადაითარგმნა და გამოიცა სომხურ, უზბეკურ, აზერბაიჯანულ, თათრულ, ტაჯიკურ, ებრაულ, უნგრულ, რუმინულ, პოლონურ, ჩინურ, ინგლისურ, სპანისულ და სხვა ენებზე.

### ომის წლები

ცნობილი საბჭოთა მწერალი ნიკოლოზ ტიხონოვი თავის მოთხრობაში „წყნეთის საღამოები“ იგონებს იმ ზაფხულს, რომელიც მან გიორგი ლეონიძესთან ერთად გაატარა წყნეთში. ეს

ის ზაფხული იყო, როცა დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ნიკოლოზ ტიხონოვისათვის დაუვიწყარი გამხდარა წყნეთის საღამოები, განმარტობა და სიჩუმე, რაც ესოდენ აუცილებელია შემოქმედებითი მუშაობისათვის. იგი საღამოობით ჯდებოდა ხოლმე მაღალი კაკლის ხეების ჩრდილში და გაჰყურებდა მათი სახლის მახლობლად მდებარე მხიარულ მწვანეში ჩაფლულ სასაფლაოს, სადაც ჩიტები დაფრთხილებდნენ ბილიკებზე და საფლავის ჯვრებზე.

ერთხელ სოფლიდან სასაფლაოსაკენ მიმავალ გზაზე რამდენიმე კაცი გამოჩნდა. მათ მუსიკალური საკრავები ეკირათ ხელში და მძიმე, დინჯი ნაბიჯებით მოდიოდნენ. ისინი ავიდნენ სასაფლაოზე და ასლად გათხრილ საფლავებს მიაშურეს, მოძებნეს რომელიღაც საფლავი, საკრავები მწვანე მოლზე დააწყვეს და სახელდახელოდ გაკრული ბოხებიდან პური, მწვანილი, ხორცი, ვაშლი და საზამთრო ამოალაგეს. ერთ მათგანს ღვინო წამოეღო ტიკით. მან საფლავის თავზე დატყეპნილ მიწაზე ჩამოამწკრივა კიქები და ღვინით აავსო. პირველი კიქა საფლავს აჰკურეს, დანარჩენები ხელში აიღეს და სულმოუთქმელად დასცალეს. მერე საფლავის ორნავ მოშორებით ჩამოსხდნენ და საკრავები ააბმიანეს. ამ კონცერტის ერთადერთი მსმენელი და მაყურებელი ნიკოლოზ ტიხონოვი იყო. მემუსიკეებმა ეს არ იცოდნენ. ისინი თავდავიწყებით უკრავდნენ, როგორც ხალხით გაჰყვდილ ღუქანში გაჩაღებული ქეიფის დროს.

ისინი შეუსვენებლივ უკრავდნენ ერთიმეორეზე მშვენიერ სიმღერებს და მთელი ჰაერი გაჟღენთილი იყო ამ ნაზი, ღრმა, ბალხური პოეზიის ხმებით, თითქოსდა ეს ხმები მოლიოდა სასაფლაოს ხეებიდან, ბალახიდან, შინდის ბუჩქებიდან. ასე უბრალო, ბუნებრივი და გულში ჩამწვდომი.

ისეთი ძალით ხარობდა სიმღერა, რომ იფიქრებდი, საცაა საკრავები დაიღწებიან ამდენი სიხარულისაგან და მათ მხიარულ ძახილზე საფლავის ქვები აისდებიან. ჯადოქრული ჰანგები გარდასულ დროთა მოცეკვავეებს გააღვიძებენ და ისინიც მალა ამოვლენო.

მერე უცებ სიმღერას გლოვის ელფერი ეძლეოდა, ცრემლა სწვავდა თვალებს და სულში რაღაცა დუღდა, გაუგებარი და ელდანარევი, მწარე და ნაღვლიანი.

მერე ისევ სხვა სიმღერა მიცურავდა სასაფლაოზე და დიდი, თეთრი ფრინველივით ნელა აქნევდა გრძელ ფრთებს. ეს საოცარი კონცერტი, რომელსაც ტიხონოვის გარდა ბებერი კაკლის ხეები, ხავსიანი საფლავის ქვები, ბუჩქები და ბალახები უსმენდნენ, კიდევ დიდხანს გრძელდებოდა, მავრამ უკვე მცირეოდენი პაუზებით.

მემუსიკეები ჩერდებოდნენ, სვამდნენ ღვინოს, აჭკეკლდნენ საუ-  
ლაჯზე. საკმელს შეეჩქეოდნენ და კვლავ უბრუნდებოდნენ და-  
კვრას. ბინდი ეფინებოდა გარემოს, ისინი ეიდე უკრავდნენ და დღ-  
ხანს ისმოდა დოლის ბაგა-ბუვი, ზურნის ზუსუნის და თარის წკრია-  
ლი.

ბოლოს წამოდგნენ მემუსიკეები, უკანასკნელი ქიქა დასცალეს  
და წავიდნენ. საფლავეზე საზამთროს ქერქები დარჩა. პურის ნამცე-  
ციები და წითელი ღვინის წვეთები, რომელიც ხარბად შეიწოვა მიწამ.

იმ საღამოს ტიხონოვი და ლეონიძე ერთად სვირნობდნენ და ლა-  
პარაკი ხალხურ ადათ-წესებზე ჩამოყარდა. ტიხონოვი მოუყვა მე-  
გობარ ჰოეტს, თუ როგორ უკრავდნენ მემუსიკეები სასაფლაოზე  
თავიანთივე თავის გასართობად, მაგრამ გაუგებარი იყო, რატომ  
უკრავდნენ სასაფლაოზე.

— ისინი თავიანთ თავისთვის არ უკრავდნენ. — უპასუხა ლე-  
ონიძემ, — არა, ცხოვრობდა იქ, ქვემოთ, სოფელში ერთი მარტოხე-  
ლა კაცი ის ყოველთვის მიდიოდა დუქანში, სადაც ეს მემუსიკე-  
ები უკრავდნენ, ისმენდა მათგან თავის საყვარელ სიმღერებს, მათ-  
თან ერთად მზიარულობდა, მათაც პატივებდა, ფულს აძლევდა,  
ქეიფობდა, აქეიფებდა. ბოლოს მოკვდა. დამარხეს, ნათესაჲი კი არა-  
ვინ არა პყავს. მემუსიკეებმა თქვეს: კარგი კაცი იყო. სიმღერები  
უყვარდა, მზიარულება უყვარდა, ჩვენც უყუყვარდით. ახლა კი მო-  
წყენილია, მარტოა. არავინ არ მიდის მასთან. ბოდი ჩვენ წავიდეთ  
ხოლმე, როგორც ნათესავეები, მას რომ უყვარდა, ის სიმღერები და-  
ეუკრათ, გაეხარდება. მისი სადღეგრძელო დავლით. იტყვის. აჲ  
როდი დამივიწყეს კეთილმა ადამიანებმა, მოვიდნენ, დალიეს, ჩემთან  
იქეიფეს, მადლობელი იქნება. ჰოდა, ასე დადიან საპანაშვილო დღე-  
ებში, უკრავენ და მის სადღეგრძელოს სვამენ. ეს ქართული წესია,  
ასეა მიღებული ჩვენში. მართლაც კარგი წესია...

— კარგია, — უპასუხა ტიხონოვმა. — მარტო ქართულად კი  
არა, ეს რუსულადაც კარგია. ჩვენთანაც იცოდნენ წინათ საფლავეზე  
სასმელ-საკმელის მიტანა. მხოლოდ მიცვალებულის სადღეგრძელოს  
არა სვამდნენ, აკრძალული იყო. საიქოსი ეშინოდათ, ეშმაკმა იცის.  
იქნებ მართლა არისო. რომელი გზა მიდის იქათ, ეს კი არავინ  
იცის.

ამ სიტყვებზე ლეონიძემ გაიცინა, ხოლო როცა ის თავისი ფოლი-  
ათური სიცილით იცინის, მთელი მისი ბრგე ტანი ხანხარებს და  
სიცილის ხმა შორს ისმის.

— აი. -- თქვა მან და ხელი ცისკენ გაიშვირა. — აი გზა იმ ქვე-  
ყანაში. შეხედე...

ცაზე, ღრუბლების ხეობაში მრგვალი შესასვლელი ჩანდა, თითქოსდა მომწყვდეული სხვადასხვა ფერის კლდეებით. ეს მართლაც ჰგავდა ზეცის საიდუმლოებებში შესავალ კარს. ცისფერი ბინდი გროვდებოდა ამ შესასვლელთან და მხოლოდ ეს მრგვალი კარი ციმციმებდა იღუმალის ცისფერი შუქით, თითქოს შეუცნობელ მოგზაურობაში იწვევდა ადამიანს.

— ამას ხალხში მკვდრის მზეს ეძახიან, — თქვა ლეონიძემ, — მზის უკანასკნელი სხივი ალებს ცის სამეფოს კარებს და მიცვალებულთა სულები ამ კარებში შედიან.

საოცარი სიმშვიდე სუფევდა ცაზე და მიწაზეც.

ისინი დაბრუნდნენ სახლში. ტიხონოვი იმ დღეს ნახულისა და მოსმენილის შთაბეჭდილებაში იყო კვლავ. აგონდებოდა მემუსიკეები, რომლებიც სასაფლაოზე უკრავდნენ გარდაცვალებული მეგობრის საყვარელ სიმღერებს, „მკვდრის მზე“ და სოფლელი ფოსტალიონის მოტანილი ამბავი, რომ სადღაც შორს ევროპაში ომი დაიწყო, რომ ბომბავენ ვარშავას, პარიზს, ლონდონს და ყველანი ომობენ, მაგრამ ვინ ვისთან ომობს, მიაშიტმა ფოსტალიონმა ეს აღარ იცოდა. არ უჯერებდნენ იმ ფოსტალიონს, ის კი ირწმუნებოდა — გაზეთებში წაეკითხეო. და აგონდება ტიხონოვს, როგორ დასცინოდნენ სოფლელები ფოსტალიონს.

ეს იყო მთელი იმ დღის შთაბეჭდილებანი.

ახლა კი ლეონიძემ პატეფონი ჩართო. ოთახში ხან მოდური სიმღერა ისმოდა, ხანაც სევდიანი სიტყვები:

„წავალ შორს, შორს ამ ცოდვილი მიწიდან“.

და უცებ ტიხონოვმა იკითხა:

— გოგლა, აქ სადმე ახლოს ტელეფონი არ არის?

— არა, ტელეფონი სოფლის ფოსტაშია. რათ გინდა ამ ლამეს ტელეფონი?

— არა, მე ისე ვიკითხე. შენ როგორ ელაპარაკები ხოლმე ქალაქს?

— უბრალოდ. ჩავდივარ სოფლის ფოსტაში და ვრეკავ.

და ცოტა ხნის შემდეგ ისევ:

— გოგლა, მაინც რა წაიკითხა მან?

— ვინ?

— ფოსტალიონმა!

— მან ალბათ წაიკითხა რომელიმე ფანტასტიკური რომანი მონავალ ომზე.

— იქნებ მაინც დავრეკოთ და მანქანა გაშოვიოთ ხვალ დილით, გოგლა!

— შენ რამე საქმე გაქვს ქალაქში?

— არა, არაფერი. მაგრამ მან იქნება მართლა წაიკითხა ის, რასაც ამბობდა?

ორი პოეტის წინათგონობა, თითქოსდა უშუალო გაგრძელება იყო იმდღევანდელ საღამოს ნალაპარაკებისა. თითქოსდა ის „მკედრის მზე“ უკვე მოახლოებული იყო მსოფლიოს თავზე და ფოსტალიონის გაურკვეველი ნათქვამიც ადასტურებდა მათ ფიქრებს, ამ თავრებდა რეალური სინამდვილით სასაფლაოზე გამართულ არაჩვეულებრივ კონცერტს და მისტრიკურ გზას საიქიოში. თითქოსდა მართლაც მოსალოდნელი იყო ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა იმ საღამოს, უღმობელი „მკედრის მზე“ ამობრწყინებულიყო ჯერ კიდევ უღრუბლო ცაზე.

მეორე დილით ისინი თბილისში წავიდნენ. გზაზე შოფერთან ერთად საუბრობდნენ უკანასკნელ ფეხბურთის მატჩზე, ამინდზე, ყურძენზე, მცხეთაზე, მოკლედ ყველაფერზე, რაზედაც კი შეიძლებოდა ლაპარაკი, არავითარი ფოსტალიონი არა ჩანდა მათს საუბარში, მაგრამ ის, სადღაც უფრო ღრმად მიმალულიყო.

ქალაქის ქუჩები ჩვეულებრივად სავსე იყო ხალხით. მაღაზიები გაღებული იყო, დასრიალებდნენ ავტომანქანები, ავტობუსები, წკრიალებდა ტრამვაის ზარი.

ისინი ლიტერატურის მუზეუმში მივიდნენ, ხარბად გადაიკითხეს უკანასკნელი დღეების გაზეთები და დარწმუნდნენ, რომ მართლა იყო სოფლელი ფოსტალიონი. უკვე შვიდი დღის განმავლობაში ბრიალებდა ომის ხანძარი ევროპაში, იწვოდა ვარშავა, გერმანული ტანკები გარდიგარდმო სერავდნენ და სთელავდნენ მთავრობის მიერ უპატრონოდ მიტოვებულ პოლონეთს. ლონდონი და პარიზი ჩაებნენ ომში, რომელსაც მეორე მსოფლიო ომი ეწოდა.

მკედრის მზე იღგა მსოფლიოს თავზე.

ტიხონოვი ავიდა მთაწმინდაზე და გადაჰხედა თბილისს. სექტემბრის მზის შუქი ანათებდა დიდებისა და ხელოვნების, შრომისა და მშვიდობის ძველ ქართულ ქალაქს. ყოველი ქუჩა, სახლი და ბაღი ამ ქალაქისა დაკავშირებული იყო ტყბილ მოგონებებთან, კარგ დღეებთან, კეთილ ადამიანებთან. ძველი წარმართის მსგავსად ტიხონოვი ცას შეევედრა, რომ ომი არ შეხებოდა ამ ქალაქის სილამაზეს, არ გადაეჰცია იგი ნანგრევებად.

ამას შემდეგ გავიდა ხანი და ჰიტლერული გერმანია თავს დაესხა ჩვენს სამშობლოს. დაიწყო საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი.



მე მაგონდება ცხრაას ორმოცდაერთი წლის ივნისი, სამხრეთის მკუხუნვარე მზით გარუჯული კიროვებადი — ძველი განჯა. პოლკის ეზოში, ის იყო, მწკრივდებოდნენ სამარშო ბატალიონები, ემზადებოდნენ ფრონტის შორეულ გზებზე წასასვლელად... ვეება მოედანზე უცებ ვილაცამ რადიო-რეპროდუქტორი თბილისზე ჩართო და იქ მყოფმა ქართველმა მეომრებმა უცებ გაიგონეს პოეტის ხმა. ყრუდ მკრგვინავი, თითქოს საქართველოს უღრანი ხეობების ეხოს გამოძახილიაო.

ეთერი სავსე იყო ამ დაძახილით:

...ამართული ვართ

როგორც სალი კლდე, წარღვნის მკეტავი.

არვის დაუთმობთ თავისუფლება,

არც მივეთ ხალხის ნასიკეთარი:

არცა ვის ვეყმობთ, არცა ვემონობ,

ხალხმა დაწერა. ხალხმა ინება,

არცა ვის ვეყმობთ, არცა ვემონობ,

სისხლით დაწერა დადგენილება.

ჩვენთვის წარსულში შემოუთვლიათ,

როცა ჯერბებდნენ მთა-ბარს, ტყე-ველსა.

ქართლში მიწასაც აღარ გაუშვებთ.

ჭვას არ დაეტოვებთ დაუმტრკველსა.

მაგრამ დაქარით ფეხი საფლავებს,

ჰკითხებ წინაპრებს, მამულოს მსუღრებს,

ჰკითხებ ტაშისკარს. ჰკითხებ ასპინძას,

რა მასპინძლობაც მტერს დაეასვედრეთ.

ირაზმებოფა მთელი ხალხი, ემზადებოდნენ მხედრები, ემზადებოდნენ პოეტებიც მტერთან საბრძოლველად.

„მე მინდა კალამი ხიშტს გავეთანაბრო“ — წერდა ელადიმერ შაიკოვსკი და ჩვენი. ეპოქის უდიდესი პოეტის ეს სიტყვები მისი მუგობრების დევიზი გახდა. ომის თემატიკამ უკანა პლანზე დასწია დანარჩენი ყველაფერი საბჭოთა ლიტერატურაში. ჩვენი ლიტერატურა პირნათლად შეუდგა თავისი დიდი და წმინდა ვალის მოხდას, რომელსაც უნდა გაეზარდა საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმი, მზნეობა და რწმენა. საბჭოთა პოეტები და მწერლები გაბედულად და ვაჟკაცურად ინაწილებდნენ სიძნელეებსა და წუხილს, ცრემლსა და იარაღს, სიხარულსა და გამარჯვებას. მრავალი მათგანი იბრძოდა მოწინავე ხაზზე თოფით ხელში. ეს იყო უდიდესი ენთუზიამის აფეთქება, ენთუზიამისა. რომელსაც ვერაფერი ვერ გაუტოლდება, ვერაფერი ვერ შეედრებოდა მის კეთილშობილებას, სილამაზესა და ძალას.

ნამდვილად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მხატვრულ ლიტერატურას ომის წლებში. ჩამოთვლა იმ საბჭოთა მწერლებისა, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს ჩვენი გამარჯვების საქმეში, ძლიერ შორს წაგვიყვანს და იძულებულნი გავხდებოდით სქელტანიანი წიგნი აგვევსო მათი გვარებისა და ნაწარმოებების დასახელებით.

ომს უყვარს სტატისტიკა. საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებში ყოველთვის უსუსტად იყო მითითებული ციფრებში ჩვენი გამარჯვების სიდიადე და მნიშვნელობა. ჩვენ ვიცით, მტრის რამდენი თვითმფრინავი ჩამოაგდო ამა თუ იმ საბჭოთა მფრინავმა, ჩვენ ვიცით, რამდენი ფაშისტი გადამთიელი გაისტუმრა საიჭიოს ამა თუ იმ საბჭოთა სნაიპერმა, ჩვენ ვიცით, რამდენი ხიდი ააფეთქა ამა თუ იმ პარტიზანულმა რაზმმა; ჩვენ ვიცით ყოველივე ეს და კარგადაა ცნობილი რამდენი პიტლერელი ავაზაკის სისხლი დაიღვარა საბჭოთა ბავშვების, ქალებისა და ჯარისკაცების სისხლის წილ. მაგრამ დიდ სამამულო ომში მწერლების მიერ შეტანილი წვლილის ციფრებით გამოსახვა წარმოუდგენელია. ტიხონოვისა თუ ლეონიძის ლექსები გერმანელთა თვითმფრინავებს არ ლეწავდნენ, ლეონოვისა თუ ერენბურგის პუბლიცისტური წერილები ხილებს არ აფეთქებდნენ, მაგრამ ეს ლექსები და პუბლიცისტური წერილები, რომლებიც უდიდესი მგზნებარებითა და მტრისადმი სიძულვილით იყვნენ დაწერილნი. მუდამ ედგნენ მხარში პიტლერელებთან პირისპირ შეჯახებულ საბჭოთა ადამიანებს, ამხნევებდნენ მათ და ასკეცებდნენ მათს სიმამაცეს და გამბედაობას. ისინი ყოველთვის მოუწოდებდნენ საბჭოთა მეომრებს, რომ გულში არ გაევილოთ დანდობა მტრისა, რომ არ შეიძლებოდა პირისპირიანი ფაშისტების შებრალება, რომლებიც შეუბრალებლად ხოცავდნენ ჩვენს დედებსა და შვილებს, რომლებიც ჩალის ფასად აღარ აგდებდნენ ადამიანის სიცოცხლეს, რომლებიც ანგრევდნენ ქალაქებს და სძარცვავდნენ ხალხის დოვლათს, მოპოვებულს პატიოსანი შრომით; მხატვრული სიტყვის ოსტატები აღაფრთოვანებდნენ ჩვენს მეომრებს საგმირო საქმეებისათვის, უმსუბუქებდნენ სიძნელესა და გაჭირვებას. სწორედ მაშინ წერდა ლეონიძე: „მტერი ფეხთ გაატანინოთ, ნაჩეკვი ქურდულ დალატსა“.

პოეტის ხმას მღელვარებით ყურს უგდებდნენ მილიონები. და ომის ყოველ დღეს, ქვემეხების გრიალით, ზანზარით. ყუმბარების აფეთქებით, სირენების წივილით გარემოცულ მსოფლიოში მკაფიოდ ისმოდა ხმა პოეტისა, როგორც მოწოდების ზარი სამართლიანობის, კაცური ღირსების, ადამიანობის და სიკეთის დასაცავად.

ლენინგრადში — ტიხონოვი, ალმა-ატაში — ჯამბული, ბაქო-

ში — სამედ ვურდუნი, მოსკოვში — სიმონოვი, კიევში — მიკოლა ბაჟანი, თბილისში — ლეონიძე და მრავალი სხვა მათი თანამოკალმე და თანამებრძოლი მთელ ხალხთან ერთად თავდადებით იღწვოდნენ მომავალი გამარჯვებისათვის, რომელსაც ევროპის დამონებული ხალხები უნდა გაენთავისუფლებინა ფაშისტური მონობის მძიმე უღლისაგან.

საგანგებო გამომკვლევეი კომისიის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში მოყვანილი იყო ერთ-ერთი გერმანელი გენერლის ბრძანება, თუ ვინ უნდა დაესაჯათ გერმანელ ჯალათებს საბჭოთა კავშირში სიკვდილით. ამ აღამიანთა სიაში ერთ-ერთ პირველ ადგილზე დასახელებული იყვნენ საბჭოთა მწერლები. აი, როგორ ეწინოდა მტერს საბჭოთა ლიტერატურის ოსტატებისა. და ეს უდავოდ არის აღიარება საბჭოთა ლიტერატურის ძლიერებისა და მნიშვნელობისა.

მებრძოლი, მოწინავე მოქალაქეობრიობა დასაბამიდანვე უალრესად თვალსაჩინო, შეიძლება ითქვას, მთავარი თვისება იყო ქართული ლიტერატურისა. ქართველი პოეტის სიტყვა მუდამ შთამაგონებელი იყო ქართველი მხედრისათვის, ქართული მუზა — ქართულა ლაშქართბანაკის მარტო სტუმარი კი არა, მუდმივი თანამგზავრი და თანამებრძოლი იყო. ეს მოქალაქეობრიობის ტრადიცია XIX საუკუნემ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა, პოეტები ერის სულიერ წინამძღოლებად იქცნენ. „ბედი ქართლისა“ გადაწყვიტა არა მარტო ერეკლე მეფემ, არამედ ბარათაშვილმაც; ილია ჭავჭავაძესაც „ერის წყლული“ მართლაც „საკუთარ წყლულად“ მიაჩნდა, ხოლო აკაკის პოეზია მტრის გასაგმირად ამოწვდილი მახვილი იყო.

აი ასეთი იყო ტრადიცია ქართული მწერლობისა.

ეს ტრადიცია ახალი სახით აღსდგა ჩვენს ეპოქაში და იგი უფრო გაიფურჩქნა სამამულო ომის პერიოდში, როცა ჩვენ ხალხსა და სამშობლოს საშინელი საფრთხე დაემუქრა. ამჟამა და თავისუფლებისმოყვარე ქართველმა ხალხმა, ისევე როგორც ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხმა სხვა ძალთა შორის თავისი მწერლობის საბრძოლო მობილიზებაც მოახდინა. ომის პერიოდის ქართული პოეზიის მთავარი ნიშანი, მთავარი განმსაზღვრელი თვისება — მგზნებარე პატრიოტიზმი იყო. სწორედ ომის წლებში, ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ დაამტკიცა ქართულმა მწერლობამ, რომ იგი კეშმარიტად ღირსია თავისი ხალხისა, რომ იგი ნამდვილი მემკვიდრეა პატრიოტული და მოქალაქეობრივი XIX საუკუნის დიდი ქართული ლიტერატურისა. ომის წლებში პატრიოტიზმი იყო არა ერთ მოტივთაგანი, არამედ ეს იყო მაგისტრალური ხაზი, ეს იყო ყოვლის განმსაზღვრელი და ყოვლის მომკველი დომინანტი, რომელიც ხმამაღლა ქლერდა მუა-

საუკუნეების ბნელეთის დასაგმობად და დასათრგუნავად. ჩვენი პოეზია სუნთქავდა ომის ცხელი სუნთქვით და ჩვენი ლიტერატურის წარმატება სწორედ ის არის, რომ ამ ფაქტმა უფრო გაათართოვა პორიზონტი, გაათართოვა მსოფლმწეგრძნობა ქართული პოეზიისა.

აი, სად არის ამხსნელი მიზეზი იმ წარმატებისა, იმ პოპულარობისა, რომელიც ქართველ მწერალთა ნაწარმოებებმა ფრონტის მებრძოლთა და ზურგის მშრომელთა შორის მოიპოვეს. და ფრონტელი მკითხველი, ის, ვისაც ერთი წუთითაც არ ეცალა, ვინც ლეწავდა ფაშისტური ბუნაგის სიმაგრეებს, მაინც იცლიდა პოეზიისათვის, საქმობლოდან მიღებულ გაზეთში დაეძებდა პოეტის ლექსს. ისინი იქ, ომის ქარცეცხლში იხსენებდნენ საყვარელ სახელებს, სიყვარულითა და განსაკუთრებული სიამაყით ლაპარაკობდნენ ქართველი პოეტების ლექსებზე და მათთვის ეს ლექსები ახლებურად ჟღერდა. ეს იმიტომ, რომ მათ საკუთარი სისხლი დაღვრეს, ხოლო მრავალმა, მათგანმა სიცოცხლეც გასწირა იმ ენის დასაცავად, რომელზედაც ეს ლექსი იწერებოდა.

ომის პერიოდის პირველივე ლექსებმა დაამტკიცეს შინაგანი ძალა, შინაგანი მზადყოფნა ქართული პოეზიისა, რომელიც, ის იყო, ახდენდა თავის ძალთა მობილიზებას ომის მიერ წამოკრილ ამოცანათა გადასაჭრელად. აქ ერთმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. ქართველმა პოეტებმა უფრო ახლოს განიცადეს ომი, უფრო ახლოს ნახეს ომის ადამიანები. აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა იმან, რომ მთელი წყება ქართველი პოეტებისა ფრონტზე გაემგზავრა. თვითონ ლეონიძეს ცხრაას ორმოცდაორი წლის სუსხიან იანვარში მოსკოვის მისადგომებთან ვხედავთ. აქ იგი შეხვდა ქართველ მეომრებს. ცხრაას ორმოცდასამი წლის ოქტომბერ-ნოემბერში მან მოიარა ტუაპსეს, არმავირის, კრასნოდარის, კრიმსკაიას, ვიშესტებლიანსკაიას, ანაპის მიდამოები. მაშინ აქ ყველგან ბრძოლის ცეცხლი ენთო.

და აი, ერთხელ კიდევ დადასტურდა ის ჭეშმარიტება, რომ ზელოვნებაში პირველად როლს არა რეფლექსია, არა განყენებული განკვერთა, არამედ უშუალო შთაბეჭდილება თამაშობს. ეს არა. ერთხელ დაამტკიცა ლიტერატურის ისტორიამ. ლევ ტოლსტოი ვერ დაწერდა თავის „ომსა და მშვიდობას“ რომ სევასტოპოლის ბრძოლები თავისი თვალთ არ ენახა. პირველ მსოფლიო ომზე ყველაზე კარგი წიგნები დაწერეს იმ მწერლებმა და პოეტებმა, რომელნიც ოფიცრებისა და ჯარისკაცების მაზარაში იყვნენ გადაცმულნი. და აი ახლაც ისტორიამ კვლავ გაიმეორა თავისი თავი, ქართველი პოეტების ფრონტზე მოგზაურობამ კარგი ნაყოფი მოიტანა.

ყოველივე ზემოთ თქმულის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს გიორგი, ლეონიძის ომისდროინდელი ლექსები. ომის პირველი დღეებიდანვე პოეტი თავის ვაჟკაცურ ხმას უერთებს ნაღმებისა და ყუმბარების გრიალს.

და ერთი გრგვინავს ძაბილი გულში:

— ჰეი, ვეფხვებო!

— ჰეი, არწივნო!

თუ ჩვენ სიყვარულს ვიყოფდით გუშინ,

დღეს ვაჟკაცობა გავინაწილოთ...

ასე მიმართავდა პოეტი სამშობლოს ერთგულ დამცველებს, რომელთაც ისტორიამ უწმიდესი მისია დააკისრა, მისია მიხაკისფერი ჭირის განადგურებისა, მისია ჩვენი ქვეყნის ნათელი ციდან საზარელი ღრუბლების განდევნისა, მისია ჩვენი თავისუფლებისა და კეთილდღეობის შენარჩუნებისა.

მათ უნდა მოესპოთ მკვდრის მზე, რომელიც გვიქადა და შავზნელ ღამესა და მონობის ბორკილებს. მათ უნდა დაეცვათ ჩვენი წინაპრების მიწა, მორწყული სისხლით. პოეტი ამბობს, რომ საქართველოს შვილებმა არ შეარცხვინეს მამული, ისინი შეუდრეკლად და მამაცურად იბრძოდნენ. იბრძოდნენ ლენინგრადისა და მოსკოვის მისადგომებთან, ვოლგისა და დნეპრის ნაპირებთან. ისინი იქ საქართველოს იცავდნენ, ისინი იქ ქართველი ხალხის წარგზავნილები იყვნენ და კიდევაც ასახელებდნენ მშობელ ხალხს, მათი გამირობის მოწამე გახდა მთელი საბჭოთა ქვეყანა.

პოეტს სჯეროდა, რომ შეუძლებელი იყო საბჭოთა არმიის დროშების დამიწება. მას სჯეროდა, რომ მონობის თალხს არ ჩაიცივამდა არასდროს საბჭოთა ხალხი, რომ გამარჯვება, ისევე როგორც სიმართლე, ჩვენს მხარეზე იყო.

და არც ვიქნებით არასდროს

ჩვენს სამშობლოში მონებად,

სანამდის გამირთა სახელი

საჭეყნოდ გაიგონება!

ომის თემანზე დაწერილ ლექსებში ლეონიძის პოეზიის ლირიკული გმირის სახის გამოხატვა აღწევს. უდიდეს სიმაღლეს. უდავო ფაქტია, რომ ყოველდღიური ცხოვრება იშვიათად იძლევა მიზეზს ისეთი დიდი და კეთილშობილური საქციელისათვის, როგორც არის თავის განწირვა სამშობლოს საკეთილდღეოდ. მაგრამ ომის დროს ამის უამრავი მაგალითები იყო და თითოეული მათგანი მკვეთრად განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან, თითოეულ მათგანზე შეიძლებოდა მაღალმხატვრული ლექსის დაწერა.

გიორგი ლეონიძის ლექსებში ჩვენ ვეცნობით მებრძოლ პირტახიას, რომელიც უტყვიოდ დარჩენილ ტანკში აღმოჩნდა თავის თანამებრძოლებთან ერთად ფაშისტებით გარშემორტყმული. მათ ფული შეაძლიეს საბჭოთა მეომრებს, თუკი ისინი ცოცხლები დანებდებოდნენ. პირტახიამ ტანკის სასროლი კოშკიდან აწოსაბახა მტერს: განა ჩვენ ვვაჭრობთ, ჩვენ ვიბრძვით! ეს უკონტული სინამდვილიდან აღებული ამბავია და იგი, გაზეთებში მოკლედ გადმოცემული, ძლიერ გამოძახილს პოულობს ლეონიძის ლექსში, რომელშიაც პოეტი მებრძოლის სიტყვებს „განა ჩვენ ვვაჭრობთ, ჩვენ ვიბრძვით“ მთელი ლექსის დედააზრად აქცევს.

ავილოთ ლექსი „შინ მოსულისა“, რომელიც თავისი უშუალობით და ბუნებრიობით, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე, გვიჩვენებს ომიდან დაბრუნებული ადამიანის განცდებსა და გრძნობებს მშობლიურ თბილისში შემოსვლისას. თბილისის ლამპრების შემონათება ბრდღვიალა ვარდების შუქი ჰგონია ლექსის ლირიკულ გმირს. მტკვრის წყალს უკვდავების წყაროსავით სვამს და უბრუნდება სიცოცხლით სავსე თბილისის სუნთქვა ომგადახდილ მხედარს, რომელიც პირნათლად ჩამოსულა მშობლიურ ქალაქში, ბრძოლანახული და ვალმოხდილი:

ვით საჩუქარი შენდამი,  
მომაქვს მე ჩემი კრილობა,  
მეც შევაჩერე ამ წულულით  
მტრის დიდი შემოჯრილობა.

ლეონიძის ლექსებს კანონზომიერი არათანამიმდევრულობა ახასიათებს. ხშირად გვხვდება ხოლმე მის ლექსებში მოულოდნელი მხატვრული სახე ან შედარება, რომელიც უღრუბლო ცაზე იღუმალ ქუხილსა ჰგავს. აი, ამ ლექსშიაც საოცარი სტრიქონი გვხვდება მთელი იმ განცდებისა და შობებქდილებების შემდეგ, რომლებსაც იწვევს ომგადახდილ მხედარში თბილისის მიწაზე ფეხის დაღვმა. ჩვენ ვუპყმენტ ყურადღებით პოეტს, მასთან ერთად ვხარობთ იმ სიხარულით, რომელსაც მებრძოლის სამშობლოში დაბრუნება ჰქვია და უცებ მეხივით გვატყდება თავზე ეს „ვით საჩუქარი შენდამი, მომაქვს მე ჩემი კრილობა“... ეს არის დიდი ჰუმანიზმი, უალრესად კეთილშობილი გრძნობა, დახვეწილი და კრიალა გრძნობა პატრიოტიზმისა, ეს არის გულიდან წამოსული სიტყვები ადამიანისა, რომელსაც სამშობლოსათვის საჩუქრად მოუტანია თავისი კრილობა, რითაც მას შეუჩერებია „მტრის დიდი შემოჯრილობა“. და გჯერა, რომ ყოველი ნასროლი ტყვია მებრძოლისა მართლაც ჩვენი მზის

სასახელოდ ნასროლი იყო, ჩვენი თბილისისა და ჩვენი ლამაზი ცხოვრების გადასარჩენად ნასროლი იყო.

სინამდვილის გრძნობა და ქვეშაირიტი რეალისტი მხატვრის ოღო ამ ლექსებში არსად არ ღალატობს გიორგი ლეონიძეს. მისი ლექსები სახეიშო ჰიმნებს არ წააგავენ. ეს არის სიმღერები, დაწერილი ზოგჯერ მხიარულ, ზოგჯერ ნაღვლიან მელოდიებზე, რადგანაც ყველასათვის ცნობილია, რომ სიხარულზე და გამარჯვებებზე არანაკლები იყო ჩვენს ომისდროინდელ სინამდვილეში ნაღველი და სევდა, სევდა იმ ადამიანებზე, რომლებიც უდროოდ გამოეთხოვნენ სიციცხლეს, რომელთაც არ დასცალდათ ბედნიერება, რომლებიც დაიღუპნენ, რათა მალე დამთავრებულიყო ქართველის გრიალი და მზეს ყველა ღრუბელი გაეფანტა.

ხელოვნების ყოველი ქმნილება, ყოველი ლექსი უპირველეს ყოვლისა იზომება ხალხში მოპოვებული პოპულარობით, იმ შთაბეჭდილებებით, რომელსაც მკითხველი მიიღებს და გაიზიარებს. ომის თემაზე დაწერილ ლექსთა შორის უაღრესად პოპულარული და ხალხში აღიარებული იყო ლეონიძის „არ დაიდარდო, დედაო“, რომელიც სიმღერად იქცა.

პოეტმა ტამანის ნახევარკუნძულის ქვიშნარიან უდაბნოში ნახა საფლავი ქართველი მეგრძოლისა, საფლავზე მხოლოდ სახელი იყო აღბეჭდილი. უცნობ მეომარს ლევანი რქმეოდა. ამ შთაბეჭდილების შედეგად მან დაწერა ლექსი, რომელიც სამუდამოდ არ წარბოცავს ცოცხალთა ხსოვნაში არა მარტო ამ უცნობი ჯარისკაცის სახელს, არამედ ყველა იმათ სახელს, ვინც თავი დასდო მამულისათვის:

ლიმილის ბიკი ვიყავი,  
ბექზე არწივი მებატა,  
ცნრამეტი წლისა შევსრულდი,  
ოცი არ გადამებადა,  
სამშობლოს დროშა მექირა,  
მტერს ვეცემოდი მებადა!

ვისაც უნდოდა ქართველი  
რომ გამხდარიყო ხიზანი,  
დაეკარი, ვიყავ მართალი,  
ვით ჩემი ტყევის მიზანი...

ნუ დაიდარდებ, დედაო,  
მწარე სიკვდილის სევდასა,  
დღეო. გადიდდი, გადიდდი,  
შვილი ეყრება დედასა!

არ დაიდარდო, დედაო,  
რაც შე სიკვდილით გაწყინე,

მე შენი ძუძუს ნათელი  
საქვეყნოდ გამოვაბრწყინე.

მე გაგიხუნე ლეჩაქი,  
მაგრამ დაგხურე შექერი,  
სამშობლოსათვის დავთხიე  
სისხლ-ცვარი სიკაბუქერი.

მე არ დამკარგავს სამშობლო,  
სულ ვეხსოვება ლევანი,  
სანამდის საქართველოში  
იწურებოდეს შტევეანი...

დედისა და სამშობლოსათვის დაღუპული შვილის თემა ახალი არ არის ჩვენს ლიტერატურაში. ქართველ ქალსა და დედას ყოველთვის უმღეროდნენ ჩვენი ქვეყნის პოეტები და მწერლები, ისევე როგორც ყველგან და ყოველთვის. ილია ჭავჭავაძის პოემა „ქართველის დედა“ შესანიშნავად აგვიწერს იმ ტკივილს, რომელსაც დედა განიცდის შვილის ომში გაგზავნისას, მაგრამ დედამ კარგად იცის, რომ მამული უფრო საყვარელია, რომ ადამიანის წმიდა ვალია ემსახუროს სამშობლოს, შესწიროს ყველაფერი, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

და მაინც არ შეიძლება უარყოფა იმ შინაგანი ბრძოლისა დედის გულში, როდესაც სასწორზე დგება მისი პირშმოს სიცოცხლე. არ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ დედებო ყოველგვარი დარდია და მწუხარების გარეშე გზავნიან შვილებს სიკვდილ-სიცოცხლის ვწრო მიჯნაზე. ლეონიძის ზემოთ მოყვანილ ლექსში შვილის სიტყვებითაა გამოთქმული ადამიანის ცხოვრების სიმართლე, შვილი მხნევევს დედას, ნუ დაიდარდებო. ეზმიანება საფლავიდან. რადგანაც მისი სიკვდილი სიცოცხლის დასასრული კი არ არის, არამედ უკვდავებაა, უკვდავება, რომელიც მანამდე გაჰყვება ხალხის გულს. სანამ მტევანს სწურავენ საქართველოში, სანამ სიცოცხლე და სიყვარული იზიემებს ამქვეყნად.

დაღია დედის გული. იგი დაიტევს შვილის სიყვარულსაც და სამშობლოს სიყვარულსაც. მაღალია კეთილშობილება დედისა, და სამშობლო დგება შვილზე მაღლა, ხალხის ცხოვრება პირად გრძობებზე მაღლა. ვერ გადათელავს ვერც ერთი მტერი დედის წმიდა მანდილს მტერიანი ფეხით, არც გაიწირება მისი იაენანა, რადგანაც დედები ზრდიან შვილებს, რომელნიც მზად არიან სამშობლოსათვის თავის დასადებად. გიორგი ლეონიძის ლექსში უცნობი მეომარი



მარტო ერთი პიროვნების — ლევანის სახე არ არის. მრავალი ასეთი ლევანი ეწირებოდა დედა-სამშობლოს, ეწირებოდა ბავშვების აკვნებსა და სატრფოთა ღიმილს, დედის ლეჩაქსა და წინაპართა ნაანდერძევს. და დედაც, რომელსაც დაღუპული ლევანი ანუგემებს მძიძვე მწუხარებაში, მარტო ლევანის დედა არ არის, იგი დედაა მთელი ჩვენი ხალხისა, იგი არის „თავისუფლების ვეფხვთა“ დედა. პოეტს სწამს, რომ ვერავინ ვერ შეედავება სახელოვან დედას მისი ძუღლს მადლში, დედას, რომელიც აკვანს დამღერდა გულმდუღარებით და ხანაც ცხრა კუბოს დაქვეითინებდა, მაგრამ მის, „ამაყ, არწივულ სახეს“ ყოველთვის დიდი იმედი ანათებდა, რადგანაც კიდევ დაიბადებოდნენ ვაჟკაცები და გმირები, კიდევ ამღერდებოდა მათ აკვნებზე მშობლიური იავნანა, მათ კიდევ დალოცავდნენ დედები სამშობლოს თავისუფლებისათვის თავგასწირად. ყოველი ტანჯვა საქართველოსი დედის ცრემლებით იყო გამორწყული, ყოველი სიკვდილი მისი სიკვდილი იყო და ყოველი გამარჯვება მისი შეილებისა მისივე გამარჯვება იყო.

ხშირად მოდიოდა ზურგში ფრონტიდან გამოგზავნილი შავი ქაღალდები, რომელიც მოკლედ იუწყებოდნენ სამშობლოს დასაცავად წასული ადამიანების სიკვდილს. უმეტეს შემთხვევაში, ამ ქაღალდებს მხოლოდ სიმართლე, მწარე და სისხლიანი სიმართლე მოჰქონდათ, წყვეტდნენ იმედის უკანასკნელ ძაფებს ცოლ-შვილის, მეგობრებისა და ნათესაების გულში, მაგრამ ძნელად იჯერებდნენ დედები შვილის სიკვდილს, იმედი არ ეკარგებოდათ მათი ნახვისა და საღამოობით მტკრიან შარაგზაზე გასულები ელოდებოდნენ, იმ ადამიანების დაბრუნებას, რომელთა ძვლები სადღაც, ცხრა მთისა და ზღვის გადაღმა ემარხა, რომელთა ალერსი სიზმარშიდა შეეძლოთ თვალცრემლიან დედებს. დიახ, შინმოუსვლელები მხოლოდ დედის სიზმრებში ბრუნდებოდნენ მშობელ მიწაზე და არა ცხადში, რადგანაც მკვდრებს მარტო ზღაპარი გააცოცხლებს, და მეტი ვერაფერი:

შინმოუსვლელი, სადა ხარ,  
შენ ხომ თბილისი გიყვარდა?  
სად ლეება შენი ქოჩორი,  
თვალი სად ამოვიღამდა?

ასე იწყება ლეონიძის ლექსი „შინმოუსვლელი, სადა ხარ?“, ლექსი, რომელიც შეიძლება სიყვარულითა და სიამაყით გაიმეოროს ყოველი შინმოუსვლელის დედამ, მამამ, ცოლმა, შვილმა, ნაცნობებმა თუ უცნობებმა, ლექსი, რომელშიაც თითოეულ სტრიქონს გატაცებით დაეწაფები, რამდენჯერმე გადაიკითხავ, დაიზეპირებ, რამდენიმე

ხნის შემდეგ კიდევ დაუბრუნდები და თუ ქვის გული არა გაქვს, ერთი-ორი ცრემლი მაინც დაეწვეთება პოეტის სტრიქონებს. და ეს იქნება მადლობის ცრემლები მისი მარჯვენისადმი, რომელმაც ასე ძლიერად თქვა ყველა ტკივილი და ნაღველი, რომელმაც მწარე ცრემლები დაგაღვრეინა იმ ვაჟკაცის ბედზე, რომლის არც სახელია ნახსენები ლექსში, არც გვარი. და მხოლოდ ის ვიცით ჩვენ, რომ მას თბილისი უყვარდა და სამშობლოს პირველი დაძახილისთანავე აერიშზე წასული „ცეცხლით ნაღულარ გრიალში“ დაეცა, მინდვრის შამბნარმა დაჰფარა მისი საფლავი, სატრფოს ღიმილის მაგივრად ვარსკვლავი დააბრწყინდება და დედის ცრემლების სანაცვლოდ წვიმა დაასველებს მას.

შორი გამხდარა საელი,  
რამდენიც გინდა იარო:  
აღარც ჩანხარ და ვერც მოხვალ,  
მხედარო გულნატყვიარო!

— თვალში გვაკლიხარ, სადა ხარ, — გმინავს ლექსის სტრიქონი, გმინავს, როგორც დედის გული და სამშობლოს დარდი. თითქოსდა ვერ წარმოუდგენია პოეტს ისევე როგორც შვილდაკარგულ დედას, რომ აღარ ჩამოვა ქოჩორა ბიჭი თბილისში, რომელიც მას ასე ძლიერად უყვარდა, რომ ვერც ერთ გაზაფხულსა და ვარდების აყვავილებასაც ვეღარ იხილავს იგი ამიერიდან.

მაგრამ იცის პოეტმა, რომ დაღუპული გმირების ხსოვნა უჭკობია და შარავანდედის ნათელით შემოსილი. იცის, რომ არ დაიფიცებს მშობელი ხალხი თავის შვილებს, რომელთაც მტრის ტყვიამ მოუსწრაფა სიცოცხლე, რომელთა სიკვდილი მომავალი თაობების კეთილდღეობისა და ბედნიერების საფუძველი გამხდარა. პოეტი ხედავს, რომ მათი სადღეგრძელოა სალუტების აგუგუნება მოსკოვსა და ლენინგრადში, კიევსა და თბილისში, რომ მათი დიდება ხალხის გულში გაფანტულა, როგორც გადიფანტება ხოლმე თესლი გაზაფხულის პირველ ხნულებში.

მაგრამ უეცროვ მაშხლები  
ვარდისფრად აფეთქდებიან  
და ქალაქები თავდახრიო  
შენს წინ სალაშში დგებან;

დაგზაასობენ გუგუნში  
აღერსიანი მადლობით,  
რომ დაუბრუნე სიცოცხლე  
ნართმევი უსამართლობით.

სისხლით სიციცხლის მიმცემი,  
სიკედლის უბეს სცილდები,  
გმირო, დამხსნელო, ჩვენ შორის  
მზესავით განაწილდები.—

რომ უფრო მეტად ნათობდეს  
შენი სამშობლოს დიდება,  
მზე გმირას ხმაზე მბრწყინავი  
არასდროს დაიბინდება!

‘მანმოუსვლელის თემას ლეონიძე კიდევ ერთხელ უბრუნდება თავის შემოქმედებაში, უბრუნდება რამდენიმე წლის შემდეგ, როცა უკვე გადიგრიალეს ქვემეხებმა და პიტლერული გერმანია დალევს საბჭოთა ჯარებმა. უნგრეთში მოგზაურობისას, ბალატონის ტბისაკენ მიმავალ გზაზე მრავლად შეუშინევია პოეტს წითელ-არმიელთა სამყო საფლავეები, ძეგლებით შემკული, ნიშნად მადლობისა, უნგრეთის ხალხის მიერ.

გამოვინიწე გზის პირად  
ქვის ძეგლი შესახედავი,  
ვაშლას ხის გვერდით ზემდგარი,  
თოფშემართული მხედარი.

ეს არის საბჭოთა არმიის ოფიცრის ძეგლი, ოფიცრისა, რომელიც უნგრეთის ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემულა. მის წინ მწვანე მოლია, აქ ყოველი გამვლელი თითო ყვავილს სტოვებს საჩუქრად, მას ერთად უმღერიათ ბავშვები და ბუღბუღი.

მიეღ და არა მჯეროდა,  
ენახე და უცებ ვიცანი!  
— ეს ხომ შენა ხარ, ბიძინავ,  
გეტებენ მამა-ბიძანი!

ღედა ჩასაფრდა სიზმრებში,  
დასახლდა სიმწუხარეში,  
თურმე ცოცხალი უოფილხარ  
აქ, ბალატონის მხარეში!

მოგესალმები ქართულად,  
კოცნა, მოკითხვა მრავალი!  
მართო მოკეღა ქართლიჯან.  
არ მყავს სხვა თანამავალი!

მკონდა, წამოგიყვანდი  
შესტირეს, მელდუქესა!  
ცემს დაგაურიდნენ ზუზუნით:  
— ვაი, შენს სიკაბუქესა!

წყალს მოგიტანდი ჩვენებურს,  
მარის და შოთის ნატებსა,  
შოთას წიგნს წამოგიღებდი,  
გულში ნიაღვრის ამტებსა!

პოეტი ახსენებს ქვის ძეგლად ქცეულ ვაჟაკს რუსთველის პროსპექტს, მეტებს, მტკვრის სანაპიროებს, მთაწმინდას, დიდუბეს, ახსენებს მცხეთის გადასახედს, ახსენებს თოვლშებუშბლელი ხეების მწვანედ შრიას და იქმნება საოცრად ეროვნული განწყობილება, თბილი და სევდისმომგვრელი. თითქოს თვითონ პოეტიც ტკბება მშობლიური ადგილების გახსენებით, მამულს დროებით დაცილებული ათასეული კილომეტრებითა და რკინიგზის სადგურების გრძელი ჯაჭვით:

არ გიყვარს თეთრი ღრუბლები  
თბილისზე გადამდინარი?  
თბილისს გზა შენკენ უქირავს,  
ოღონც გამოჩნდუ მჩინარი!

პოეტი ახსენებს ბიძინა ბუქურაულს ვაჟას ლექსებს და სიამაყით უმატებს, რომ არ შეურცხვენია გვარი ბიძინას, რომ სისხლი უნგრელი ბავშვების სიცოცხლისათვისაც დაუღვრია. დგას იგი ქვაკაცად, როგორც მუდამ იყო მლიმარი. მისი სახით დგას საქართველოს სახელი, დიდი საბჭოთა სახელი, დგას თითოეული ჩვენი ადამიანი.

ბიძინა ბუქურაულის ბედი — ესაა ბედი იმ ქართველი მეომრებისა, რომელთაც სამშობლოსაგან შორს გაეთხარათ სძარე. ამ დიდ მსხვერპლს ტყუილად არ ჩაუვლია. ისინი თავისუფლების ჯარისკაცები იყვნენ. მათ ქვეშევრდების გრძელით მოუტანეს მშვიდობა უნგრეთს და პოლონეთს, რუმინეთს და ჩეხოსლოვაკიას, მათ სისხლი დაღვარეს დიდი იდეების გადასარჩენად. ეს სისხლი ძღვენი იყო კაცობრიობის მომავლისა. ეს სისხლი წმინდა სისხლი იყო თავისუფლებისა და ბედნიერებისა. მათ უკვდავება ირგოთ მილიონების გულში, მათი სახელი დასაფიქარი გამხდარა ადამიანებისათვის. ისინი მიწას მიებარნენ, მაგრამ კვლავ ჩვენს შორის არიან. კვლავ წინ მიიბიჯებენ. და ჩვენთან ერთად იცავენ მშვიდობას მთელს მსოფლიოში, მათი აჩრდილებიც ცოცხლებთან ერთად წინ ელობებიან, ახალი ომის გამჩაღებელთა იარაღის ჟღარუნს.

## ახალი საქართველოს სურათები

როდესაც გიორგი ლეონიძის ლექსებს ვკითხულობთ, ყოველ სტროფში და ყოველ სტრიქონში, ყველგან და ყოველთვის იგრძნობა მისი დიდი სიყვარული მშობელი ქვეყნისადმი, ყველგან შეერთებია პოეტის გულის ფეთქვა სამშობლოსას. იქნება ეს ლექსი წარსულის აჩრდილებზე თუ თანამედროვეობაზე, ყველგან სამშობლოა პოეტის შთაგონების უზრეტი წყარო, რომელიც ასულდგმულებს გიორგი ლეონიძის პოეზიას. მისთვის ყველაზე დიდი სიტყობება სამშობლოსათვის ცხოვრება არის, მისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება სამშობლოს ბედნიერებისათვის ბრძოლაა, მისთვის მთელი სიცოცხლის აზრია სამშობლოს სიხარული და გამარჯვება.

ეს არის დაუთრგუნავი, ძლიერი და ამაყი გრძნობა, ამასთან ერთად სპეტაკი და წრფელი, გულიდან წამოსული ალალი გრძნობა. ეს არის გრძნობა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია შემოქმედება პოეტისა. ამ გრძნობის გარეშე ვერ დაიწერება ლექსი ვერც სიყვარულზე, ვერც სიხარულზე და ვერც წუხილზე, რადგანაც სამშობლოს სიყვარულის გომნობა სათავეა ყოველი სიხარულისა და წუხილისა. გიორგი ლეონიძე ლექსის სიკარგეს აღარა სთვლის ბედნიერებად, თუკი სიტყვაში სამშობლოს გახთიდა ჩაუქრა; მისთვის უცხოა ზიზილ-პიპილებიანი პოეზია, მისთვის უცხოა ლექსი, რომელიც მხოლოდ ლექსისთვის არის დაწერილი. პოეტს ურყევად სწამს, რომ ლექსი იწერება სამშობლოსათვის, ღალბისათვის და არ შეიძლება, რომ ლექსს მოაკლდეს მშობელი მიწის სუნთქვა, რომ ლექსი მთელი თავისი ფესვებით არ იყოს დაკავშირებული სამშობლოს ცხოვრებასთან.

პოეტმა იცის, რომ სამშობლოს გარეშე არა აქვს არავითარი აზრი ცხოვრებას, რომ სამშობლოსაგან განაწირი ადამიანი ვერავის ვერ დაესესხება სიცოცხლეს, და ეს მთელი მისი პოეზიის მკაცრი კანონი გამხდარა. ლექსში „ვეუმღერ სამშობლოს“, გიორგი ლეონიძე წერს:

სულ ჩემი გულის მონაწურია,  
რაც დაეპყარა ქალაქს ლექსები,  
ვეუმღერ სამშობლოს, კიდევ მწყურია,  
და მის სიყვარულს დავეწყემახები.

პოეტს სურს, რომ მუდამ უღერდეს მისი ენა, მისი ლექსი, მისი ტკბილი სიტყვის გამართულობა მშობელი ქვეყნისათვის, უღერდეს, როგორც ღონიერი ნიაღვრის დენა და მთელი მისი პოეზიის

ლეიტმოტივად შეიძლება ჩავთვალოთ ამ ლექსის ორი უკანასკნელი სტრიქონი, სადაც პლასტიკურადაა გამოკვეთილი მთელი მისი ცხოვრების აზრი, მიზანი და სიხარული.

სამშობლო — ჩემი გულის ფეთქვა,  
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი.

ეს ორი სტრიქონი ელვარე მახვილივით ჰკვეთს ჰაერს, შოკლედ ნათქვამი ორი სტრიქონი, რომელიც თამამად შეგვიძლია უოველი ნამდვილი საბჭოთა პოეტის შემოქმედებას წაუუმძღვაროთ წინ, როგორც ანთებული ჩირაღდანი სიყვარულისა, როგორც დიდი სიბრძნე პოეტის დანიშნულებისა.

მაგრამ პოეტისათვის სამშობლოს ცნება დიდი და განუზომელია. სამშობლო — განა მარტო ცაზე ცისარტყელების ქახქახია და სვეტიცხოველის ზარები... პოეტის სამშობლო — განახლებული საქართველოა, ოქტომბრის მზით გამთბარი, სამშობლო — მანამდე ურწყავი მიწების აყვავებაა და რუსთაის ფოლადი, სამშობლო — სოციალისტური საქართველოს ხალხია, მიმავალი კომუნისმის მწვერვალებისაკენ, მოძმე საბჭოთა ერებთან ერთად.

გიორგი ლეონიძე ჰეშმარიტი მესიტყვეა ახალი საქართველოსი, მისი უებრო მომღერალი და ღვიძლი შვილი.

მწერალმა უნდა გამოსახოს ჩვენი ხალხის ნათელი გონება, უღრეკი ხასიათი, სიმამაცე, გამძლეობა, მოსაზრებულობა, უნდა გვიჩვენოს საბჭოთა ადამიანების უნარი — დაუმორჩილოს პირადი ინტერესები საზოგადოებრივს, მისი მზადყოფნა — თავი გასწიროს სამშობლოსათვის. საბჭოთა ლიტერატურის მთავარი შემოქმედებითი ამოცანაა ასახოს და ადიდოს საბჭოთა ხალხის შრომითი გამირობა.

ასრულებს თუ არა ამ ამოცანას გიორგი ლეონიძის პოეზია? უდავოდ ასრულებს. პოეტის თვალს ახარებს საყვარელი სამშობლოს დიდი მიღწევები, ახარებს საბჭოთა ადამიანების შრომითი საქმიანობა, რომელიც საფუძველია და უპირველესი პირობა მუდამ წინსვლისა და გამარჯვებისა.

მე მუყარებია  
ლურჯ ყანებში ყაყაჩოები,  
მე ვარდიც მყუარს,  
უფრო მიყვარს ქარიშხლის ზეცლა,

მაგრამ უმეტეს ოცნებებზე  
მე მიყვარს ეხლა -  
საქართველოში  
კომუნისზმის ხარაჩოები.

ამ ხარაჩოების მაცოცხლებელი შუქი აღაფრთოვანებს პოეტს და აღელვებული ზღვის ღონეს აძლევს გულსა და მკლავში. ეს ზღვა ვერ ეტევა მის სულიერ სამყაროში და თბილად ეღვრება ლექსებს, დაწერილთ ჩვენს აწმყოზე. მისი შემოქმედებითი ხედვა ცხოვრების ყოფით წვრილმანებშიაც ამჩნევს ახალი ცხოვრების სუნთქვას, მისთვის ფილაქანებიც მღერიან ქუჩებში და პოეტის ფიქრები თამამად, დაუფარავად მიცურავენ ხალხის გულში, ეძებენ იმ ძალას, რომელიც ამოძრავებს ადამიანთა ცხოვრებას, რომელიც ფანტავს ღრუბლებს და აწენებს ლამაზ ცხოვრებას. ეძებენ ამ ძალას და პოულობენ. ამიტომაც ძლიერდება გიორგი ლეონიძის პოეზიის ზემოქმედება მკითხველის გულსა და გონებაზე, რადგანაც ბევრს მონახავს იგი პოეტის ლექსებში საკუთარ ნაფიქრალსა და განცდილს, ნაოცნებარსა და ნამღერალს.

გიორგი ლეონიძე ალტაცებით უმღერის ჩვენი ცხოვრების გმირებს, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენს მეზობლად, არიან ჩვენი ამხანაგები, ნაცნობები თუ უცნობები; მათი რიცხვი ზღვასავეით დაუღვეველია, ისინი აგებენ ქვეყანას დაუღვლევი მკლავითა და ნათელი გონებით. ისინი არიან, დაზგებთან რომ მუშაობენ, პურის უხვი მოსაველი რომ მოჰყავთ, პარტიის სიტყვას რომ ასხამენ სისხლ-ხორცს და შრომობენ სამშობლოს საკეთილდღეოდ. მათ აუყვავებიათ სამშობლო, რომელიც ძველად სისხლისა და ცრემლის ზღვაში ცურავდა, რომელიც უსარჩობოთ იტანჯებოდა და ყველას გასაყოფელი იყო. გიორგი ლეონიძე ასე მიმართავს მათ, კომუნისზმის მშენებელ ადამიანებს:

თქვენი ძალა ჩემია,  
ჩემი სიტყვის გამწევი,  
განა ერთი ორთქლიდან  
ერთად არ გამოვედით? —

გამარჯვება გვჩვევია,  
შევქმნათ ხელმოსაცემი...  
ვქმნიდეთ ერთად ცხოვრებას  
გმირები და პოეტი...

არ, რაში ხედავს გიორგი ლეონიძე ჩვენი თანამედროვე შემოქმედების დანიშნულებას. იგი მხვენელ-მთესველებთან და

დაზგის მუშებთან ერთად უნდა აშენებდეს ახალ ცხოვრებას, ისევე დაუღალავად, ისევე გულდადინჯებით, როგორც ისინი — ქვეყნის დოვლათისა და ძლიერების მქედლები.

პოეტმა იცის, ვის უნდა უმაღლოდეს თავისი სამშობლოს აღორძინებას და ახალი ცხოვრების ფართო შარაგზაზე გასვლას. პოეტმა იცის, რომ პარტიის ამაგმა გააცისკროვნა საქართველოს მთა-ბარი, დაეწყებას მისცა სიღუბნური და უსასოობა, ახალი სიმღერებით აამღერა მთები და მდინარეები, პოეტი ხედავს, რომ პარტიის მზრუნველი ხელი ატყვია ხალხის ცხოვრებას, რომ პარტიის ჩაუქრობელი შუქი სპობს ყოველგვარ წყვედიადსა და უსამართლობას.

პოეტმა იცის, რომ ეს ჩაუქრობელი შუქი იმ ადამიანმა ააბრიალა, რომლის გენია მთელ მსოფლიოს გადაწვდა მშიერთა და შიშველთა საკეთილდღეოდ, რომელიც თავისი საქმეებით უკვდავებას ეზიარა და ახალი ფურცელი გადაშალა კაცობრიობის ისტორიაში. ეს არის დიდი ლენინი — გამხსნელი ხალხის ბედისა და თავისუფლების დამამკვიდრებელი.

პოეტმა შესანიშნავი ლექსები უძღვნა მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადს, როგორც მადლობა თავისუფალი ხალხებისა, როგორც პატივისცემა მისი ხსოვნისა: „ლენინი“ „ლენინს მავზოლეუმში“, „ლენინი საქართველოში“ და სხვები. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ლენინი საქართველოში“, ორიგინალურად ჩაფიქრებული ლექსი.

ჭაბუკი ვინმე მასწავლებელი,  
შთავონებული შაეი თვალებით,  
დაბინდებისა აღებს კარადს,  
ფიქრში წასული, ფერნამკრთალევი.

იგი ლენინის ტომს ფურცლავს ჩემად და ბელადის სიტყვებს თითქოსდა სურნელოვანი ბალის სუნთქვა მოაქვთ. მაგრამ ჭაბუკ მასწავლებელს ერთი სევდა ჩარჩენია გულში ხინჯად. არასდროს არ ყოფილა საქართველოში ლენინი, ე-ზი დღითაც კი არ ყოფილა. არ უნახავს ჩვენი ბუნება, ჩვენი მტკვარი და რიონი, არ ყოფილა ჩვენა თბილისში. როგორც სანუკვარი სტუმარი, სჯერა ჭაბუკ მასწავლებელს, რომ ლენინი ღიმილით იტყოდა: მე ბევრი ქვეყანა მომივილია და საქართველოზე უტურფესი არსად არ მინახავსო. და ქართველიც გულში გაიხარებდა, რომ აქაურმა ნიავმა გაღვრილა შუბლი ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს. და სწყინს ჭაბუკს, რომ არც ქართულა პური გაუტეხია ლენინს, არც ქართული სიმღერები მოუსმენია. მაგ-



რამ მოხუცი კახა, სკოლის დარაჯი არწმუნებს ჰაბუკ მასწავლებელს, რომ ლენინი ნამდვილად ყოფილა საქართველოში. იგი ასე ამბობს:

მე შევესწარი! მე ვარ დამხდური  
მე მინახია... ჩვენი ყოფილა  
განა ის ყველას ქოხში არ იყო,  
როცა ხალხს ბნელი დაამხობინა?

ის მეც მიცნობდა, მას გეფიციბო.  
ჩემი ცხოვრება ზეპირ იცოდა...  
წითელ დროშიდან ძმური ღიმილით  
ხელი საშველად გამომიწოდა!

და ოცნებობს ჩუმაღ მასწავლებელი: იქნებ იყო და მართლაც არ ვიცი... ოცნებობს ჩუმაღ მკითხველიც და კახას სიტყვებისა სჯერა, რადგანაც თუნდაც არ ენახა ლენინს ჩვენი სამშობლო, ის ყოველთვის ჩვენთან იყო გაკვირებასა და ბრძოლაში, ის მართლაც ყველას ქოხებშია ნამყოფი და ყველას ცხოვრება ზეპირად იცოდა. ყველას ეხმარებოდა შორიდან, გზას აჩვენებდა ჩაგრულებსა და დაბეჩავებულთ.

გიორგი ლეონიძეს სწამს, რომ ლენინის სიტყვა მომავალშიაც ყოველი მართალი ადამიანის გულის ფიცარზე იქნება დაწერილი, ვარსკვლავად აციმციმდება და ვარდად, უჭკნობ ვარდად აღმოცენდება რწმენაში. სძინავს ლენინს, მაგრამ მის სახელს ჰღვიძავს, მის საქმეს ჰღვიძავს. ლენინი ხალხის გულის ფეთქება და არასდროს არ დაბოლოვდება. გაჰყვება საუკუნეებს, როგორც შუქურა თავისუფლებისა, მომავალშიაც იქნება მისი სახელი სიმართლისა და ადამიანთა სიყვარულის სიმბოლოდ.

მართალია კახა, როცა ამბობს, რომ ლენინი მეც მიცნობდაო, მეც გეშველებოდაო. ყველგან იყო ლენინი, საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხესა და ყოველ მხარეში, ის იყო დნეპროპეტისის მშენებლებთან და ლენინგრადის დამცველებთან, გერმანელ მუშებთან და პოლონელ პარტიზანებთან. ყველგან მისი სახელი კაშკაშებდა ხალხთა ხსენისა და შვების იმედად. ყველგან მისი სახე აღაფრთოვანებდათ ღიდი არმიის—პროლეტარიატის ჯარისკაცებს, რომლებიც იბრძოდნენ და დღესაც იბრძვიან ახალი ცხოვრებისათვის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის.

გიორგი ლეონიძე გატაცებით ესაუბრება პარტიის ურყევი ნების გამომხატველებს — ქართველ ბოლშევიკებს, რომელთაც მრუდად არა სჩვევიათ სიარული ღიდი ლენინის ნაანდერძევე გზაზე, რომლებსაც დაუწყევლიათ ის, ვინც პირველად შემოღობა მიწა. ბოლშევი-

კებმა გაასინჯეს ბოგანო გლახს მიწის სინოყიერე. ისინი ყველგან და ყოველთვის ხალხთან არიან, ისინი ძველი ოძების საქართველოს ძღვევამოსილი და ვაჟკაცური შრომის ქვეყნად სჰედავენ. პოეტს სწამს, რომ მათ ვერ შეაკრთობს ვერც მტრის ხმალთა ქნევა და ვერც რომის საყდრებში დაბადებული ახათემები, რომ ისინი მტკიცედ შეასრულებენ პარტიის დიად საქმეებს და არასდროს არ შეუშინდებიან სიძნელებს, ყოველთვის დასძლევენ მათ.

ამ რწმენითაა ავსებული გიორგი ლეონიძის ლექსი „რაიკომის მდივანი“, რომელშიაც პოეტი თბილად მოგვითხრობს მის საქმიანობაზე, მის შრომით მამაცობაზე; ეს ლექსი გვიხატავს განზოგადებულ სახეს, ჩვენი ცხოვრების გმირს, რომელიც პარტიის ბრძნულ მითითებებს ანხორციელებს მტკიცედ, მიაქვს ხალხთან ბოლშევიკური სიმართლე და თავისი წულილი შეაქვს უკეთესი მეტროსის შენებაში. ეს არის „ხელხვაიანი ვაჟკაცი“, „რკინიდან ნათალი“ ადამიანი, რომელიც ინთება პარტიის ცეცხლით და სტეხავს შვიდასი წლის ნაყამირალ მიწას, ნაოხარს ვენახად აქცევს, და იქ სჭრის საძირკველს. სადაც არავის არ ენახა შენობა. მან არ იცის განცხრომა, თუნდაც დროებით, მისთვის მინდვრებია ბრძოლის ველი და ყოველი დღე — ბრძოლის დღეა.

ამ ლექსში გიორგი ლეონიძე კვლავ ატარებს იმ აზრს, რომ პოეტიც ახალი ცხოვრების მშენებელია, ისიც იმ საქმის მსახურია, რომელსაც მეოცნებე და ფიცხელი, მზემოკიდებული რაიკომის მდივანი შესჰიდებია. მართალია პოეტი, როცა ასე მიმართავს ხელხვაიან ვაჟკაცს:

შენ რთველს და კალოს ამზადებ  
ჩემს გულში ლექსი ხეავდება;  
თუ შენ იმარჯვე —  
სამშობლო  
ხელ უფრო ამიყვავდება!

ამ დიდი სიმართლის გამოხატულებაა მისი ლექსები: „ჩემო სამგორო“, „გუშინ სამგორის გახსნაზე“, „ჩართულია უკვე დენი“, რომლებშიაც გიორგი ლეონიძე გვევლინება, როგორც კომუნიზმის მშენებელი ჯარისკაცი, როგორც ჩვენი ქვეყნის გამარჯვებათა და მიღწევათა დიდი მონაწილე.

გიორგი ლეონიძის ჩანგი ხალხთა მეგობრობის უემებზეც ბეგრჯერ აუღერებულა. გავიხსენოთ მისი ლექსები, რომლებიც მიუძღვნია პოეტს ვლადიმერ მაიაკოვსკისადმი, ტარას შევჩენკოსადმი; ავეტიკ ისაკიანისადმი, მოძმე სომხეთისადმი. ლექსში „სომხეთი“ პოეტი იგონებს იმ შავ-ბნელ წარსულს, რომელიც ჰქონდა სომეხ

ხალხს, იგონებს ტანჯულ და გადამშეულ ველებს, ქვეყანას, მტრის არტახებით გათანჯულს და ყოველგვე ამას იმ ცხოვრებას, ადარებს, რომელიც ახლანდელ სომხეთში დამკვიდრებულა ქუჩების გუგუნით, ჩაქუჩების მკექარე სიმღერითა და ხარაჩოების ცაში ასვლით. პოეტი აღდევრძელებს სომეხ ხალხს და უსურვებს ყოველნაირი შემოსევები აკმაროს ბედმა სომხეთს, ყოველნაირი შემოსევები, გარდა სიყვარულის შემოსევისა:

ჩვენ სიყვარული ზღვად ავიდევნოთ  
ძმობის, საბჭოთა დიდი მიწისა,  
და მოელვარე მზით გაეთენოთ  
დღე ბედნიერი კომუნისმისა.

ასეთივე სიყვარულით და ძმობის ეშხით არის დაწერილი „მისალმება აზერბაიჯანის პოეტებისადმი“. გიორგი ლეონიძე მოუწოდებს, დღეს ჩანგები მიახლონ ერთმანეთს ქართულმა და აზერბაიჯანულმა პოეტებმა, წარსულის ომებში ცხენებისა და ხმლების დაჯახების ნაცვლად. იგი მოუწოდებს, რომ ერთად იმღერონ შრომის მშვენება, ქვეყნის სიმდიდრე და ავსილობა, ბნელის გადაშენება, ერთად იმღერონ, როგორც მღეროდნენ ტკბილად და წარუშლელად დიდი რუსთველი და დიდი ნიზამი.

ბრწყინვალე გამოხატულებაა იმ დიდი გრძნობისა, რომელმაც ერთად აამღერა დღეს რუსი და ქართველი, სომეხი და უკრაინელი, ტაჯიკი და ესტონელი — გიორგი ლეონიძის ლექსის „დავით გურამიშვილს“ ბოლო სტროფი:

იხარე, დავით, ქართლის ჳირს და ცრემლს  
უკვე გააღლია ყველა ჳაღები,  
საქართველოში გაზაფხულია,  
უკრაინაში ჳეყაეის ვარდები!

აი, ეს არის თავი და ბოლო საბჭოთა ხალხების დიადი მეგობრობისა. გაზაფხულის სითბომ შეადლუაბა ეს მეგობრობა, სითბომ, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ მოიტანა და ქარს გაატანა ჳირი ქართლისა, უკრაინისა და სომხეთისა, ქარს გაატანა ჩაგვრა და მონობა. ერების ერთმანეთზე წასისიანება და მათ შორის შჳოლის ჩამოგდება, ქარს გაატანა ბოღმა და ტკივილი, მზეს პირბადე მოხადა და უბრალო ადამიანებს გაუხანწილა მასი ცხოველმყოფელი სხივები.

გიორგი ლეონიძის პოეზია ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ დიდ მდინარეს, რომელსაც მრავალი ნაკადული და მჩქეფარე წყარო უერთდება. ამ მდინარეში განა უკვალოდ იყარგებიან ეს ნაკადულე-

ბი? არა, თვითველ მათგანს ყოველთვის ვხედავთ, როგორც მდინარის შემადგენელ ნაწილს, თვითველ მათგანს თავისი ეშხი ძიუმატებია; ეცნობით გიორგი ლეონიძის შემოქმედებას და გებადვით აზრი, რომ მისი პოეზია ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ფიქრების, მიზნებისა და სიხარულის მალაღმბატვრული, ლექსის სითბოთი საფსვენციკლოპედია არის. ყველაფერს სწვდება პოეტის სიტყვა. ყველაფერში ეძებს იგი თავისი შემოქმედების მაცოცხლებელ ძალას. გიორგი ლეონიძე რეალისტი, პოეტია, მაგრამ მის შემოქმედებაში აქტიური რომანტიზმის ხიხეებიცაა, პოეტი ხიდაის არაჩვეულებიოიგის და ამალელებელს ყოფითსა და ჩვეულებრივში. პოეტის ბევრ ლექსებში ბუნებრივად, ძალდაუტანებლად შერწყულა ოიალიძე რომანტიზმთან, რადგანაც ჩვენი ეპოქის პოეტისათვის მართლაც წარმოუდგენელია რომანტიზმის ჯანსალი ფესვების გვერდზე გადაგდება, რადგანაც ჩვენი ცხოვრების მრავალ უბანზე გმირულ რომანტიკას შესხმია ფრთები და ცხოვრების მხარდამხარ მიმავალ პოეტსაც არ შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს ამ გარემოებას.

გიორგი ლეონიძე გატაცებით უმღერის თბილისს, ახალი საქართველოს დედაქალაქს, რომელსაც ათას ხუთასი წლის ისტორია აქვს, რომლის კარიბჭეებს ბევრჯერ გადაუღობავთ გზა მომხდური ურდოებისათვის. პოეტი თვალნათლივ ხედავს ახალ თბილისს, მხიარულსა და ელვარეს სადროშე ფარჩასავით, მის ბალებს, მის მტკვარს, მის ვარსკვლავმჩენ ცასა და მის სურნელებას.

მე შენი უბის შვილი ვარ,  
 ლექსებს რომ ღამეს უთედა,  
 შენი ყელქრელი სტერიი ვარ,  
 კრწანისში მტერს რომ უტედა  
 გიმღერ და მასაც ეუმღერი,  
 რაც ფესვში ჩასახულია,  
 რაც შენ კოკორში, თბილისო,  
 საფურჩქნად განზრახულია  
 ექ, სადაც შენი გულია,  
 სამშობლოს გაზაფხულია

### სატრფიალო ლირიკა .

გიორგი ლეონიძის ლირიკულ ლექსებს ერთი დამახასიათებელი თვისება აქვს, რომელიც ძნელია თვალში არ გეცეს. მისი ლირიკა არის ვაჟკაცური ლირიკა, ლირიკა ფიზიკურად და სულიერად ჯანსალი ადამიანისა. მისთვის გაზაფხული ენძელებისა და იების სურნე-

ლით კი არ მოდის, არამედ ნიაღვრების ტაშით, ყინულების ლეწვით და წყაროების ხმატკბილი აწკრიალებით. მისთვის გაზაფხული მერნით მოფრენილი და „ლილეოს“ ქუხილით ამღერებული განახლებაა სიცოცხლისა, ჯეჯილების აბიზინება და სიყვარულის ზღვა.

მე გულს დაელეწაე,  
ნაკვესარ  
ლექსმა რომ დაძვრიალოს!  
შორიდან გეხარხარები:  
მოდე, სულ ერთად ვიარო!

და მართლაც სულ გაზაფხულთან ერთად არის პოეტი, მისთვის უცხოა სენტიმენტალური გოდებანი, მისთვის მთავარია სიკაბუჯის ცეცხლით აბრიალდნენ ლექსები, სიკაბუჯისა და ოპტიმიზმის ცეცხლით. პოეტისათვის გულთან ახლოა ის მუღმივი თემები მსოფლიო პოეზიისა, რომელთაც ყოველთვის უმღერიან მგოსნები, ისიც შექნარის ადიდებულ და დამწიფებულ მდინარეებს და ყაჯღის, ჯოთოლსა და ღრუბლის ნაგლეჯებს, ლამაზ ქალსა და სიყვარულს. პოეტმა იცის, რომ ყოველივე ეს მოელის მგოსნის ღიმილს, მგოსნის ეშხიან სიტყვას და ისიც მზადაა ათი ათასი ჩანჩქერის ბლავილბ აამეტყველოს ლექსად, ხორკი შეასხას ყველაფერს, რაც კი ლამაზია ამქვეყნად, რაც კი ადამიანის თვალსა და გულს ახარებს.

შენ გელოდება დასასტამბავად  
ათი ათასი ჩანჩქერის ბლავილი:  
სიკაბუჯე და ლექსი ერთია—  
ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი

პოეტი წერს კახეთის მინდვრებზე თუ სიყვარულზე, მისი შემოქმედებითი ხედვა და გააზრება ყოველთვის ინარჩუნებს ახალგაზრდულ მგზნებარებას. მის ლექსებში იმ შესანიშნავ მეტაფორებთან და შედარებებთან ერთად, რომლებიც ესოდენ გვხიბლავს, ხშირია რეალისტის თვალით დანახული დეტალები. ხშირად მიექანება მისი გონება და ლექსი ცაში, მაგრამ ამავე დროს გრძნობთ, რომ პოეტი მაინც მიწაზე დგას მთელი თავისი შემოქმედების ფესვებით და გჯერა, რომ მას მიწას ვერ მოსწყვეტ, ვერ გადაიყვან უსაგნო პოეზიის წიაღში. ლეონიძეს უყვარს ქართული ენა, უყვარს მშრომელი ხალხის ენა, მაგრამ იგი ქართული ენის მონა არ არის, იგი მისი შემოქმედია, მისი ამაგდარი.

მოსკოვში, კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში, მწერალთა მე-

ორე საკავშირო ყრილობის ტრიბუნაზე ლეონიძე ამბობდა: „ამბობენ, რომ ქართული ენის ლექსიკონი შეიცავს 40.000 სიტყვას. ჩვენი პოეტური სიტყვიერი ინვენტარი კი შედარებით ღარიბია. ჩვენ გვაკლია სიტყვის გრძობა, ჩვენ არ გვიყვარს სიტყვა არტისტული სიყვარულით, ჩვენ გვაკლია სიტყვის ოსტატობა. ჩვენს ლექსებში თამამად ვერ ვსარგებლობთ ცოცხალი სიტყვით, რაც ასე საჭიროა ლექსის კონკრეტიზაციისათვის — საჭიროა ჩვენი პოეტური სიტყვის გადახალისება, ლექსიკური განახლება, რათა უფრო მეტი სიცოცხლე მიენიჭოს ჩვენს ნაწარმოებებს. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ხალხური ენა, მეტი გასაქანი მივცეთ. მწერლობაში ლიტონსა და მარტივ სიტყვებს. მაგრამ იმავე დროს, ჩვენ უნდა ვსწავლობდეთ ძველი ქართული ძეგლების ენასაც, ჩვენ უნდა გავამრავლოთ სიტყვის მარაგი, როგორც ხალხურ, დიალექტურ, ისე ძველი მწერლობის ფონდებიდან, რათა მით მივალწიოთ უფრო მეტ გამოსახულებას და პარმონისა“.

აქ გამოთქმული საყვედურები ყველაზე ნაკლებად ლეონიძეს შეიძლება მიუყენოთ. თანამედროვე ქართულ პოეზიაში ლეონიძე ყველაზე ახლოს დგას ხალხური პოეზიის მდიდარ ტრადიციებთან. მისი პოეზია ფორმის მხრივაც ხალხურია: ლექსის წყობა, ფოლკლორული სახეები და თუნდაც ჰიპერბოლური სახეები და მეტაფორები. ლეონიძე ქართული სიტყვის ნამდვილი მესაიდუმლეა, მისთვის თითქმისდა ნაცნობია ქართული სიტყვის ყოველგვარი ნიუანსი, ყოველგვარი ასოციაცია. ლექსიკური ფონდის განახლება კი ხალხური ენისა და ძველი მწერლობის ფონდების ხარჯზე, აგრეთვე საკუთარი ძიებების შედეგად. ლეონიძის პოეზიის ერთ-ერთი მასაზრდოებელი წყარო გამხდარა.

ლეონიძე ხან მშვიდი აღმწერია საქართველოს ბუნებისა, ხან მოციქინე მგოსანი და ხანაც ბულბულივით ტკბილად ამღერებული სიყვარულის სილამაზეზე.

შესანიშნავი ფერებით ხატავს პოეტი სურათებს იმ მიდამოებისა, სადაც დაიბადა და ფეხი აიდგა. ამ სურათებში ჩვენ ვხედავთ გომბორის მთიდან გადაშლილ დანაბინდარ მშვენებას, სამასწლოვანი კაკლების ნასროლ ჩრდილებს, ვისმენტ ივრის ზვირთების დგაფუნს. ჩვენ ყურში ჩაგვესმის წისქვილის რაკუნნი, ძველი სიმღერა და პოეტთან ერთად მივიღვივართ კახეთის მთებში, სადაც ირმების მყვირალობა დაწყებულა. სწორედ ამ ლექსებში ვხვდებით საოცარ პოეტურ სახეებსა და მეტაფორებს: „მთვარე შრიალებს ფიქვით“ ან ეს „მთვარე ვიღამ შეკერა“. პოეტისათვის ალაზნის ველი ხობხის ყელია, ცისკარი — ახალ ჩოხაში გამოწყობილი კოხტა ბიჭი, მთვარე — რძით

გავსებული ტაგანი. ასეთი სახეებისა და შედარებების ძებნა ლეონიძის ლექსებში ძნელი არ არის, ისინი ყოველ ნაბიჯზე გხვდებიან, ყოველ ლექსში ასლებურად ჩანან და ატკობენ მკითხველის გულსა და გონებას თავისი ეშხით, სიწმინდით და პარმონიულობით.

ეს სურათები უპირატესად კოლორიტულია, უადრესად ქართულია; ისევე როგორც მთელი პოეზია გიორგი ლეონიძისა. ამ სურათებში პოეტი ბუნების გულგრილი მკვრეტელი არ არის, მას სწყინს, რომ ხალხის უღელში არ არის გაბმული იორი, მდინარე, რომელსაც თავის შეყვარებულად სთვლის პოეტი, ამ მდინარეს ლეონიძე შეიღძარღვიან კახურ დევს ადარებს და უკმაყოფილოა, რომ იორზე არც დაბერილი იალქნები არა ჩანს, არც ტივები. უკმაყოფილოა, რომ ის აღორძინებული სამშობლოსათვის უსარგებლოდ მიექანება, პოეტს სურს, რომ აღსდგეს დაცხედრებული მდინარე, თავისი ძალა და ახოვნება აჩვენოს ხალხს, თანადროულობის ხმები გაისმოდეს მისი ტალღების დაქუხებაში. პოეტს სურს, ხვავი დააგროვოს სამგორში იორმა და ქვეყანას დოვლათი შექმატოს. ასე ესაუბრება პოეტი იორს, რომლის ნაპირებზეც გაუტარებია ბავშვობა, მისულა მასთან უკვე დავაჟკაცებული, ხნოვანებაში შესული და როგორც ახალი საქართველოს მომღერალი, სხვა თვალთ უყურებს კლდიდან კლდეებზე მოხეტიალე მდინარეს, რომელსაც ჯიხვის ტყაყებით წამოხურულ მთვრალ ხევსურს ადარებს. ეს ლექსი 1930 წელსაა დაწერილი, იმ დღეებზე ოცი წლით ადრე, როცა ივრის წყალი სამგორის ველზე გახმაურდა და პოეტის ოცნებას სამგორში ხვავის დახორაეების შესახებ ფრთები შეესხა.

მსგავსი განწყობილება იგრძნობა აგრეთვე ლეონიძის ლექსში „ოლე“. ლიახვის პირას, კლდეზე მდგარი ხე, რომელსაც პოეტი „ოლეს“ სახელით იხსენიებს, თავისებური სიმბოლოა ხალხიდან მოწყვეტილობისა და მარტოობისა. ეს ხე შიგნიდანვე გამომწვარა მარტოობის შხამით, და ამიტომ დგას, როგორც სახრჩობელა და მიმსხვრეული ფრთებით დაკიდებულ არწივს ჰგავს პარტახი და ნამეხარი მარტოხე. ვის გასკქერის, ვის მოელის ოლე, ვისთვის სტკივა გული? მას მწვანედ აშრიალებული ტყე ეძახის, ათას ხელებს უქნევს და ეპატიჟება თავისთან, კარი გაუღია მარტოდ მდგარისათვის, ნუგეშსა ჰპირდება, მოდი გაგახარებო. მაგრამ ცისკენ იყურება ოლე და არ უსმენს არც ტყეს, არც თავქოჩორა დელეს. პოეტი შეცოდებით უმზერს მარტოხეს და ვაჟკაცური ყიჟინა მიაქვს ნაოხარ ხემდე, რათა მიწას მიკვდილი რაში ცაში გაიკრას, გადახიოს მარტოობის არტახები და თქვას: აღარა მტკივა გულიო, რომ ლიახვის რძიან ქაფში ტივად

შეცურდეს გაჩარხული და გათლილი, წაუძღვეს წინ სხვა ტივებს და  
დასტოვოს მარტოობა სამარადისოდ.

მოდი ჩემთან, ვიდრე მეხი  
დაგკრავს, აგაბოლებს  
ტყავდამსკდარო, ნაოზარო,  
მარტოხეო ოლე!

აქაც, როგორც სხვა ლექსებში პოეტი ბუნებას ესაუბრება, რო-  
გორც ცოცხალ ადამიანს, განიცდის ივრის უსარგებლობას და ტყავ-  
დამსკდარი ხის მარტოობას, ყოველთვის ცხოვრების შემოქმედის  
თვალთ უყურებს ბუნების სურათებს და დიდის ოსტატობით აცო-  
ცხლებს მათ თავის ლექსებში.

ლეონიძის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს სატრფიალო ლირი-  
კას. მაგრამ ამ ციკლის ლექსებში განა მარტო პირადული გრძნობებია  
პოეტის შთაგონების წყარო. არა, ლეონიძისათვის წარსულის სილა-  
მაზეცა და სიყვარულიც გამხდარა თემა ლექსებისა. იგი გატაცებით,  
გულის სითბოთი უმღერის სიყვარულს, ადამიანის მარადიულ თან-  
დაყოლილ გრძნობას, უმღერის, როგორც ჩვენი კლასიკური  
პოეზიის ტრადიციების გამგრძელებელი, ამასთან აქაც ძლიერად  
იგრძნობა, თუ რაოდენ ახლო დგას ლეონიძე ხალხურ შემოქმედე-  
ბასთან.

ავიღოთ მაგალითად ლექსი „ყივჩაღის ჰაემანი“. ამ ლექსის სიუ-  
ჟეტი პოეტს აუღია ხალხური ლექსიდან, რომლის შინაარსი ასეთია:  
მუხრანის ახლოს ცოლთან ერთად მიმავალ ქართველს ყივჩაღი შემო-  
ეყარა. ყივჩაღმა პური, ხორცი და ღვინო სთხოვა. ქართველმა მისცა  
მას საგანგებოდ არჩეული სასმელ-საქმელი. მაგრამ ყივჩაღი ამით არ  
დაკმაყოფილდა და ცოლი მოსთხოვა ქართველს. მან, რასაკვირველია,  
არ შეუსრულა ეს სურვილი ყივჩაღს. მაშინ ყივჩაღი ძალადობაზე  
წავიდა: „გადეხვია, აკოცა ნაწნავსა გიშრის თმისასა“. განრისხებულმა  
ქმარმა ხმალზე მოისვა ხელი და შეებრძოლა მოძალადეს: „ცხენი და  
კაცი გავწყვიტე, წვერმა უწია ქვიშასა, ერთი იმანაც გადმოძკრა, რის-  
ხვასა ჰგავდა ღვთისასა“. ასე რომ ორივენი იხოცებიან — ქართვე-  
ლიცა და ყივჩაღიც.

ეს ხალხური თქმულება უბრალოდ როდი გაიმეორა ლეონიძემ.  
მან მხოლოდ სიუჟეტით ისარგებლა და მომხდური, გათავხედებული  
ყივჩაღი ქართველი ქალისადმი დაუძღვევლი და მაღალი სიყვარუ-  
ლით გაგიჟებული ყივჩაღით შესცვალა. თუ ხალხურ თქმულებაში  
ლაპარაკობს ქმარი და აქცენტი გამახვილებულია მის ვაჟკაცობაზე,  
ლეონიძის ლექსში ყივჩაღი გვიყვება თავის თავგადასავალს და ხალ-  
ხური საგმირო ლექსი გადაქცეულია სატრფიალო ლექსად, რომელიც  
ლეონიძის ლირიკის შედეგს წარმოადგენს.



ყურანებიდან გნოლი აფრინდა,  
ყაბარდოს ველი გადაიარა,  
ისევ აღესდექი  
მუხრანის ბოლოს  
ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს.  
ქსანზედ, არაგვზედ ისევ ჰყვავიან  
ზოდებუნები თავთუხებისა,  
შენი ტუჩებიც ისე ტკბილია,  
როგორც ბადაგი დადუღებისას.

და აი, გიყურად შეყვარებული ყიფჩალი გამოსდევნებია ქალს, მას  
ტრამალები გამოუვლია, გზები აჟმტვერებია და კელაპტრიანი ტაძ-  
რები დაუღლეწია მცხეთაში:

შაგრამ თვითონაც დაიღწემა,  
დაბადებულა ვინც კი ყიფჩალად,  
მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდი,  
თავი შუაზე გადამიჩხა!

ამის შემდეგ დაჭრილი ყიფჩალი მაინც ვერ იცილებს გულიდან  
სატრფოს სახეს, რომელსაც იგი შეეწირა, უკვე სიკვდილის გზაზე  
წასული ალერსსა სთხოვს ალვისტანიან ქალს და მისი სიტყვები  
სიყვარულის უკვდავებასა და მარადიულობაზე ჩვენამდე მოდის,  
როგორც ჰიმნი სიყვარულისა:

მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას,  
ველარა გხედავ, სისხლით ვიცილები...  
როგორც სამროზე ქვაბს ოსშივარი,  
ქართლის ხეობებს ასლით ნისლები...

მოდი

გეძახი ათას წლის მერე,  
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა,  
ვარდის ფურცლობის ნიშანი არც  
და დრო ახალი პეემანისა!

არანაკლები სიძლიერითაა დაწერილი ლექსი „ნინოწმინდის  
ღამე“. პირველიდან ბოლო სტრიქონებამდე ლექსი ინარჩუნებს  
გრძნობათა დიდ ღელვას და განუშეორებელ კოლორიტს:

ნინოწმინდა... პალატები მეფეთა...  
გალავანში — ჯამი აქაფებული;  
შენი სახე რისთვის შემომეფეთა,  
ხატი იყავ — ვეფხვი დაქალებული...

პოეტი უმღერის ნინოწმინდის ნანგრევებში დანახულ სახეს ქარ-  
თველი ქალისას, უმღერის სიყვარულს. ყოველივე ეს ისეთი მძაფრი

ფერებითაა დახატული, რომ მკითხველი მთლიანად გადაჰყავს პოეტს თავისი გრძნობების სამყაროში და ბრწყინვალედ უხატავს საზანდარით აცახცახებულ ღამეს, რძის სუნით გაჟღენთილ გაზაფხულს, უხატავს სიყვარულისა და ძმობის დიდ გრძნობას, რომელსაც „საქართველოს ლექსის მეხანძრენი“ აუბრიალებია.

როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,  
სიყვარული ისე დამჯახებია  
მე მივტირი ღამეს ზამბახებიანს  
და სიყვარულს ათაბაგის ქალისას;  
ძუძუები ოქროს კალმახებია,  
წამწამები აქვს თავთუხის ყანისა...

წინანდლის ვაზი აყვავებული,  
ჩამოსხმული ოქროთი და თაფლითა,  
აფრენილი ბაზიერის დაფითა,  
ღურაჯი ხარ, მაყვალს შეფარებული!

პოეტური სახეებისა და შედარებების სიჭარბის მიხედვით ეს ლექსი ტოლმოუძებნელია ლეონიძის პოეზიაში. სიყვარული პოეტს ტამერლანის ხმალთან შეუდარებია, ათაბაგის ქალის ძუძუები—ოქროს კალმახებთან. ასეთი, საკმაოდ თამამი შედარებანი განსაკვიფრებელ ორგანულ კავშირში არიან მთელი ლექსის განწყობილებასთან, ინარჩუნებენ კეთილზმოვანებასა და პოეტურ სისპეტაკეს, მიუხედავად იმისა, რომ პირველი შთაბეჭდილების შედეგად ზოგს შესაძლოა ძლიერ უხეშად მოეჩვენოს ასეთი შედარებანი. ცალკე რომ ავიღოთ ეს შედარებები (განსაკუთრებით პირველი), იქნება მართლაც არ დავიჯეროთ მათი ბუნებრიობა, მაგრამ ლექსში, რომელიც თავიდან ბოლომდე მოყიფინე, მთის მდინარესავით დაუოკებელ და მშფოთვარე სიყვარულზე შოგვითხრობს, ასეთ ლექსში ძალიან ადვილად მისაღებია სიყვარულის ტამერლანის ხმალთან შედარება, შედარება საკმაოდ თამამი და ვაჟკაცური. ასევე თამამად ისმის ამ სტროფის მომდევნო სტროფი: ათაბაგის ქალი პოეტისათვის ჯერ წინანდლის აყვავებული ვაზია და მერე კი ბაზიერების დაფით აფრენილი ღურაჯი, რომელიც მაყვლის ბუჩქებს შეჰფარებია. აი, აქაც კვლავ ვგრძნობთ ლეონიძის კალმის პირდაპირ ჯადოქრულ ძალას, ის უცებ ზედმეტ ორ სახეს გვაწოდებს და ჩვენ ისევ მივყვებით პოეტს მის შემოქმედებითს სამყაროში. რამდენად ახლებურად, ქართული ბუნების სიმშვენიერესთან უშუალო კავშირში გაისმის შედარება ღამაში ქალისა წინანდლის ვაზთან და აფრენილ ღურაჯთან. თუ პირველის ორიგინალობაში შეიძლება შედავება, მეორე შედარება ნამდვილად არც ერთ პოეტს არ დასიზმრებია. ამ შედარებაში საოცარი სიზუსტით

ნაჩვენებია ქალის ბუნების ერთი, ფრიად ნათელი მხარე, მისი მუდ-  
მივი ქალურობა, სინაზე და უსასოობა.

თუ ერთგვარ ქრონოლოგიას დაეცავთ, ყურადღება უნდა გავა-  
მახვილოთ ლექსზე, რომელიც ცნობილი ქართველი პოეტის ალექსან-  
დრე ჭავჭავაძის ასულისადმი მიძღვნილი. ეს არის რეალური სახე,  
ნამდვილად არსებული ადამიანი, განთქმული თავისი სილამაზით —  
ნინო ჭავჭავაძე. პოეტი მიმართავს ასი წლის წინათ დასამარებულ  
ქალს:

თუ გადამქრალი შენ ხარ ვარსკვლავი,  
ახლაც შინათებს შენი მშვენება...  
შენგან შევიტყუე, რომ სილამაზეს  
არ უწერია გადაშენება...

ამ შედარებით მოკლე ლექსში უკვე აღარ არის ლეონიძისებურა  
სიმძაფრე რიტმისა და პოეტური სახეებისა, თუმცა უდავოა, რომ  
ნინო ჭავჭავაძის ხსოვნას უფრო ასეთი ლექსი შეეფერება, როგორც  
მრავალ მგოსანთა გულის გაურქოლებას (ალბათ გრიგოლ ორბელია-  
ნიც იგულისხმებდა ამ მგოსანთა რიცხვში, რომელიც შეტრფოდა ჭავ-  
ჭავაძის ქალს), როგორც მრავალი ოცნების თავშესაფარს და „სილა-  
მაზის ნაზ გრიგალს“.

სულ სხვანაირი განწყობილებითაა დაწერილი „თუშის ქალს ალა-  
ვერდობაში“. ეს არის ლექსი ცხენზე ამხედრებულ თუშის ქალზე,  
რომელიც ქარის ქროლვას შეერთებია, არწივი შეუკავშირებია ფრე-  
ნაში და ქარიშხალივით გაუქროლია შავთმაჩამოშლილ ქალწულს.

ვისკენ მიჰქროდი, საითკენ,  
სივრცეში შეუხედარი,  
ვის მისძახოდა შენი ხმა,  
ვინ იყო შენი მხედარი?

ეკითხება პოეტი ქალს და თვითონვე პასუხობს: შენს სიყრმის  
დილას მისდევდი, შენს ტურფა ყმაწვილქალობას. აქ არაერთარ სიყ-  
ვარულზე არ არის ლაპარაკი. აქ მხოლოდ ქარის ხმა არის და თუშის  
ქალის საყურეების ქლერა, მისი თეთრი კბილებივით აელვარებულ  
რთვილ-გადანაყარი მთები ჩანს და იგრძნობა სიხარული სიცოცხ-  
ლისა, ფრენისა და გაზაფხულისა:

ჩემს სიკაბუკეს მოჰგავდი,  
ჩემს ალტაცებულ ოცნებას,  
ჩემს ღელვას ჰგვანდა გაქროლვა  
და შენი დაცხენისება!

ასეთივე უფლებით და ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შეექ-  
ლო ეთქვა პოეტს თამამად, რომ მისი ლექსების ცეცხლს მოჰგავდა  
თუში ქალის ცხენზე ქენება შევარდნებისა და არწივების მხარდ-  
მხარ, რომ მისი ლექსებივით დაუდგრომელი იყო სურვილი თუში  
ამორძალისა, გაესწრო ქარისათვის, უკან მოეტოვებინა ხმელეთი და  
სადმე, რომელიმე ზღვამდე გაჰრილიყო მისი ოცნება, ფეხმარდ  
ცხენს მიბარებული.

ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს ლექსი „სიმღერა თარზე“. ამ  
ლექსში პოეტი გულწრფელი სიტყვებით ესაუბრება სატრფოს. ჩვენ  
გვესმის დიდი კრძალვა, კაეშანი და ამასთან ერთად კვლავ ის დეო-  
ნიძისებური ვაჟკაცური ღირიკის ტონი, რომელიც პოეტის მრავალ  
ლექსშია მკვეთრად გამოხატული.

არავის ნახვა არ მინდა,  
მე მხოლოდ შენთან მოველი...  
მზევ, გულზე მოშუქებულო,  
შენს სანახავად მოველი;  
გულით, ფიქრით და ოცნებით.  
ძვირფასო, შენთან მოველი...

აქ კვლავ გვხვდება შესანიშნავი პოეტური სახეები. პოეტი სატრ-  
ფოსთან მიდის, როგორც ზღვებიდან დაბრუნებული, ქარში ნაწე-  
წი ხომალდი. ისწრაფვის მისკენ, როგორც მთას: ესწრაფვის არწივი  
და სიყვარულს მთის ჩანჩქერში მოქცეულ ნაფოტივით გამოჰყოლია,  
პოეტურ აღმაფრენას და სიყვარულის ჰანგებს შერე იღუმალღ და  
გამოუცნობი სევდა მოსდევს სატრფოს სიყვარულში დაეჭვებულ  
აღამიანისა.

იქნებ არ არი საჯირო,  
რომ დღესაც შენთან მოველი?  
იქნება ზღვაში ხის დარგვას  
და აყვავებას მოველი?  
ვით ბაღში მაისის წვიმა,  
ძვირფასო, ჩემად მოველი!

კარგადაა დანახული ეს ჩუმი დაბრუნება სატრფოსთან, ჩუმი;  
როგორც ბაღში მაისის წვიმა, ჩუმი, როგორც დაღლილი მოგზაურო-  
სა და ქარში ნაწეწი ხომალდის დაბრუნება.

გიორგი ლეონიძეს ისტორიის საოცრად მძაფრი შეგრძნობა აქვს. ის ნათლად და ცოცხლად ხედავს იმ განუწყვეტელ ძაფებს, რომლებიც წარსულსა და აწმყოს შუა გაბმულან.

შენ მომასმინე, სამშობლო,  
ახალ ფოლადის ზარის ხმა,  
შენ გამინათე, სამგორო,  
ის, რაც წანისლა კრწანისმა.

აწმყოსა და წარსულს შორის აქ მართლაც ურღვევი ხიდია გადებული. ამ ხიდს იქით ძველი საქართველოს ისტორიაა, ისტორია ქართველი ხალხისა, ისტორია ძველი ციხე-კოშკებისა და ქალაქებისა. ამ ხიდის იქით ბევრი სიმღერაა ტკბილიცა და მწარეც, ბევრი სიამაყეა და ბევრი ტკივილი, ბევრი ცრემლი და სისხლია სამშობლოს საკურთხეველზე დაქცეული. ამ სისხლსა და ცრემლს, გუთნის კვალში გაყოლილ ოფლთან ერთად მოუყვანია ქართველი ხალხი დღევანდელ დღემდე, ათასობით წლების განმავლობაში უშენებია ის საძირკველი, რომელზედაც ჩვენი ნათელი აწმყოა დამყარებული, უფრო ნათელი მომავლის ასაგებად.

გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. ამ ისტორიაში პოულობს ერი თავისი სულის ღონეს, თავის სულის ბგერას, თავის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თავის ვინაობას, თავის თვისებას“.

ეს ექვემოტანელი კეშმარიტებაა. და იმავე ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, განა არ უნდა იცოდეს შვილმა, სად გაჩერდა მამა, განა არ უნდა იყოს მიმხედარი, რაში იყო მართალი და რაში შემცდარი მისი მშობელი, რათა უკეთესად განჰკრიტოს ისტორია! მერმისი — მამების ანდერძია, მათივე სისხლით დაწერილი.

უკვე დიდი ხანია გამხდარა ისტორია ლიტერატურის არსებობის ერთ-ერთ დიდ წყაროდ. მაგალითები უამრავია:

უილიამ შექსპირი და ალექსანდრე პუშკინი, გუსტავ ფლობერი და ვალტერ სკოტი, ალექსეი ტოლსტოი და ლიონ ფოიხტვანგერი; და კიდევ ვინ მოსთვლის!

არც საქართველოში დაგვჭირდება სანთლით ვეძებოთ ისინი, ვინც წარსულს ხელახლა სისხლ-ხორცს ასხამდა და მოგვითხრობდა გარდასულ დღეთა სიტკბოსა და სიმწარეს. ილია და აკაკი, ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი! ფრიად რთული და სასახელო საქმეა საუკუნეების მიღმა მომხდარი ამბები თვალნათლივ დაანახვო მკითხველს და განუმტკიცო სამშობლოს სიყვარული, ტრფობა გუშინ-

დელისა, დღევანდელისა და ხვალინდელისა, რომლებიც მჭიდროდ არიან გადაკედობილნი ერთიმეორესთან.

ამ დიდსა და მძიმე ამოცანას ლეონიძეც შესვიდებია და ბრწყინვალედ აუშლერებია „ქართლის“ ცხოვრების გაყვითლებული ფურცლები.

კვალდაკვალ გავევთ პოეტს წარსულისაკენ გადებულ ხილზე და მასთან ერთად შევიგრძნოთ ქართველი ერის ისტორიის მაჯისცემა.

შეუძლებელია მწერალმა ქვეყნის წარსულზე წეროს და გვერდი აუხვიოს ისტორიულ თხზულებებს, არ გადახედოს იმ მატრიანებს, რომელთაც დღემდე მოულწევიათ ჩვენდა საბედნიეროდ.

მაგრამ ხშირ შემთხვევაში, სიტყვაძუნწები არიან მატრიანენი. მეფეთა და მხედართმთავართა საქმეებზე გვესაუბრებიან და ხშირად ივიწყებენ მათს სახელებს, რომელთა შრომამ და მარჯვენამ გადააოჩინა საქართველო. ჩვენ წარმოდგენა არა გვაქვს სად არის სამარე სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვრისა. ჩვენ ხშირ შემთხვევაში არ ვიცით იმ ვაჟკაცთა სახელები, რომლებმაც არა ერთხელ გადაარჩინეს საქართველო. და მაინც ეს მატრიანეები — ფასდაუდებელი წყაროა ყოველი შემოქმედისათვის.

ისტორიული თხზულების ძვირფასი ცნობები მწერლის შემოქმედებითი ხედვის პრიზმაში გაივლიან, კონტურები აფერადდებიან და ცარიელი ადგილებიც შეივსებიან. ეს არის მწერლის დიდი მოვალეობა და საზრუნავი. არ შეიძლება მწერალმა მხოლოდ მხატვრული სიტყვა შეუდღლოს მემატრიანის მონათხრობს და მარტო ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით გვიამბოს ჩვენს წარსულზე. ეს მხატვრული ლიტერატურა არ იქნებოდა.

აქ ძალზე ფართო სარბიელი ეძლევა მწერლის ფანტაზიას, რომელიც ხალხური გადმოცემისა, თუ მატრიანის ძუნწი სტრიქონებს მიღმა ხედავს ცოცხალ სინამდვილეს, მთელი ხალხის მჩქეფარე ცხოვრებას.

ამის ნათელი მაგალითი — ლეონიძის პოემა „სამგორია“.

ვის არ გაუგონია ძველი ლეგენდა სამგორის წარმოშობის შესახებ, იმ დროის შესახებ, როდესაც ახლანდელ სამგორის ველს უჯარმის ველი ერქვა, როდესაც პურის ყანები და ვენახები გადაფენილიყვნენ ამ მიდამოებში და ჩქეფდა ხალხის სიცოცხლე, შრომა და სიხარული. მაგრამ მოვიდა მტერი, ააოხრა ქვეყანა, გადაიკელა ყანები, გაიჩეხა ვენახები და სისხლით მოირწყა ოფლშედულებული მიწა. სამი გორა წამოიმართა უჯარმის ველზე იმ დიდი სისხლისღვრის შემდეგ.

მგზავრო, შეხედე სამ გორს, სამგორზე  
გგონია მართლა მიწის ბორცვია? —  
არა და არა! სამივე გორა  
ხალხის სისხლი და ხალხის ხორცია!  
დიდების ველი საქართველოსი!..  
იგი დაცხრილეს ძველად ისართა,  
აქ გორგასალის ჩაწვა ლაშქარი,  
ველზე სამ გორად ამოიზარდა!

რომელი ისტორიული წყარო გვაქვს ჩვენ ვახტანგ გორგასალის შესახებ? ეს არის ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“. გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ჯუანშერს „ვახტანგის ზღაპრული ისტორია აქვს დაწერილი“ (ი. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“. წიგნი I, გვ. 242).

ვახტანგი რეალური ადამიანია გიორგი ლეონიძის პოემაში და არა ზღაპრის პერსონაჟი, როგორც ამას ჯუანშერი გადმოგვცემს. ძველი ქართველი მემატრიანე ვახტანგზე წერს: „ჭურვილი ქუეითი ირემსა მიეწიის, უპურის რქა და დაიჭირის და ცხენი ჭურვილი აღიღის მხართა ზედა და მცხეთით აღვიდის ციხესა არამაზისასა“ („ქართლის ცხოვრება“. ტ. I გვ. 159). ეს ექვმისატანი ცნობაა.

პოეტი უმღერის ვახტანგის სიმამაცეს, მის გამჭირახობას და გვინახტავს მას, როგორც ნიჭიერ მეფეს, უდიდეს პატრიოტს და ხალხის გულშემატკივარს:

ჩაფხუტს ეხატა ლომი და მგელი  
და ხმალიც მათი ღონით ალესა,  
მკლავით მოზღუდა ქართლი, ეგრისი,  
კარი შეაბა დარიალისა.

დაეცვა საქართველოს დამოუკიდებლობა მაშინ, როდესაც მსხვილი აზნაურები ვერაგულად ებრძოდნენ მეფეს და ხელს უწყობდნენ სპარსეთის ექსპანსიას, როდესაც ერთმორწმუნე ქვეყნის ნიღბით და გულში ბოროტი ზრახვებით ბიზანტიის იმპერატორიც ეპოტინებოდა ივერიის მიწა-წყალს, ეს არც ისე იოლი საქმე იყო და ამ საქმეს სჭირდებოდა ძლიერი ხმალიცა და მახვილი გონებაც.

ამასთან, ჯუანშერი მრავალ საინტერესო ცნობას გვაწვდის ვახტანგის შესახებ, მოგვითხრობს ვახტანგის მიერ ბაყათარისა და თარხანის დამარცხებას, მრავალ სხვა ბრძოლებს და, რაც მთავარია, კავადთან ომში ვახტანგის სასიკვდილოდ დაჭრას. მას ზუსტად აქვს აღწერილი, როგორ დაიწყო ბრძოლა, დასახელებულია ის ადგილები, სადაც კი ომი წარმოებდა.

მაგრამ განა მართლმ ვახტანგ გორგასალზეა დაწერილი გიორგი

ლეონიძის პოემა? არა, აქ თბილისის შექმნაა. აქ მთელი ხალხის შრომაა. ისტორიულ საბუთებს დიდი ფანტაზია და შემოქმედებითი ძიება შემატება.

ჯუანშერის მიერ მოკლედ ნახსენები ბივრიტიანი „ერისთავი ოძრხისა“ პოეტმა გააცოცხლა და პოემის ერთ-ერთ მთავარ გმირად მოგვივლინა. გიორგი ლეონიძე ვახტანგის სიკვდილის ამბავში ჯუანშერს აღარ დაეყრდნო და უფრო სწორი ცნობა გამოიყენა, რომელიც ევრეთწოდებულ „საეკლესიო მატიაწეშია“ აღნიშნული. „მოიკლა იგი სპარსთა ბრძოლასა შინა მონა-ყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახვეი ჯაჭვისა ღლიასა ქუეშე“... (თ. ჟორდანია, ქრონიკები. ტ. I, გვ. 50).

ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგ გორგასალს ბრძოლის დროს ჰკლავს რომელიღაც სპარსელი მეომარი. მაგრამ გიორგი ლეონიძის გამოყენებული ცნობა უფრო ნიშანდობლივია, როგორც გამოხატულება იმ შინაგანი შფოთისა, რომელიც ყოველთვის თან სდევდა საქართველოს ისტორიას, როგორც გამოხატულება დიდგვაროვანთა მუდმივი ბრძოლისა მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლების წინააღმდეგ. პოემაში ვახტანგის მკვლელად გამოყვანილია ვინმე გაგა მებაჯრე, ტყვედყოფილი, შემდეგ ერთგულებისათვის მეფესთან დაახლოებული და ბოლოს კი მოსყიდული ორგული შარაველის მიერ. მაშასადამე, სწორი გზით წასულა პოეტი, როდესაც ისტორიული წყაროები კრიტიკული თვალთ გაუსინჯია და მარტო მათს ცნობებს არ დასჯერებია.

პოემის დასაწყისში ლეონიძე მოგვითხრობს, თუ როგორ იწყება თბილისის გადაქცევა სატახტო ქალაქად. სამგორის ველზე ხნულისლარი გაჰყავთ ხარებს და მეფე პირველ კვალს, გაზაფხულის პირველ სახნაურს თვითონ ლოცავს. ძველისძველი ჩვეულების თანახმად მეფეს მანდილში გაკრულ სათესლე ხორბალს უმანკო ხელით აწვდის ტურფა ასული და ვახტანგ გორგასალი აბნევს მჯილით ხორბალს:

აქ რელიეფურადაა გამოკვეთილი მეფესა და ხალხს შორის ურთიერთდამოკიდებულება და მკითხველი ხედავს, რომ ვახტანგ გორგასალი, გმირი მრავალი ლეგენდებისა და ხალხური თქმულებებისა, ადამიანი, რომლის სახელით მონათლული დროშებით იბრძოდა ქართველი ხალხი თავისი დამოუკიდებლობისათვის საუკუნეების მანძილზე, ადამიანი, რომელიც დაბეჯითებით აღიარებულია ხალხის მიერ ჩვენი თბილისის აღმაშენებელად, იყო ნამდვილი მამა საქართველოსი, სასიქადულო და კეთილი წინამძღოლი ქვეყნისა.

ვახტანგი მოუწოდებს თავის ერს, ჩავიდნენ თბილისში, და-



სახლდენ და განმტკიცონ ქალაქი, რომელიც ბურჯი უნდა გახდეს  
სპარსთა შემოტევებისაგან თავდაცვისა:

მიბრძანებდა: ახლო-მახლოდან  
გამოერჩიოს ერი მშრომელი...  
ხუთ ძმიდან ერთი დასახლდეს თბილისს,  
გულით და მკლავით დაუდგრომელი!

— ჩადი, ლეთისაფარ, დასახლდი თბილისს,  
იქ აწრთე ხმალი, იქ კედლე რკინა!  
დე, გუგუნებდეს შუა ქალაქში  
შენი გრდემლის ხმა, სოფლად რომ გრგვინავს!

— ჩადი, ლეინია, დამკვიდრდი თბილისს,  
იქ მოიყვანე აყრილი ყანა!  
შემოგვაშეეღე შენი ხარები,  
აღგვიშენებდე იქ ნარიყალას!

სწორედ ეს ლეთისაფარები ჰქმნიდნენ საქართველოს. სწორედ  
ისინი აწრთობდნენ მტრის შემმუსრავ ხმლებს, სწორედ მათ მოჰყავ-  
დათ პური და სწორედ ისინი აშენებდნენ თბილისსაც და მთელ ივე-  
რისადაც. მათ კარგად ესმით თბილისის განმტკიცების მნიშვნელობა,  
და ამიტომ ასე პასუხობენ მეფეს:

— ჩვენი ოფლით და სისხლით ჩვენითა  
თბილისის მიწას შევედუღებით... —  
ადგნენ, გაჰხედეს თბილისის მხარეს,  
შეისაყვარლეს მისი უბნები.

ხალხია გიორგი ლეონიძის მთავარი გმირი, ხალხი, რომლის სა-  
უკეთესო შვილებია უბრალო მშრომელები და სამშობლოს პატრიო-  
ტები. შესანიშნავად ამეტყველა პოეტმა თავის ნაწარმოებში ეგრი-  
სელი ხუროთმოძღვარი ფარნა და მიწის მღუშა ლეინია, შეუდრეკელი  
მებრძოლი ცისკარა და მეფის მედროშე თვალსაცურა, მესტვირე  
ხახარე ტატანელი და მებადური ტყლაპაურა; ეს ადამიანები პოემის  
ეპიზოდური გმირები კი არ არიან, არამედ წარმოადგენენ ძალს,  
რომელიც მტკიცეა ყოველგვარ ციხე-სიმაგრეზე, რომელიც სახდოა  
ყველა იმ აზნაურებზე, რომლებიც საკუთარ ცხოვრებას აყენებენ  
სამშობლოს ბედ-იღბალზე მადლა. უბრალო მშრომელ ადამიანებს  
გაჰყავთ გზები და სთლიან ქვა-ლოდებს, ისინი აგებენ პატარა ქოხებ-  
საც და დიდ სასახლეებსაც, მათ ხმლის ხმარებაც იციან კარგად  
და მტერთან შემართებაც.

ბავშვის მოქრილ კიბს კერის ძირს ჰელავენ:  
— მით ეკვარებათ მამულზე დგომა!  
მით იგი ველარ გაგარეულდეს  
და მტკიცედ დარჩეს ქართველის ტომად!

და აი მოდის კავადი უამრავი ლაშქრით საქართველოს დასარბე-  
ვად და აღარც ბიზანტიის დანაპირები ჯარები ჩანან, ქვეყნის შიგნი-  
თაც ლალატია.

ფიქრობს ვახტანგ სამშობლოს ბედს:  
— ვით გაუძლოს ათასს ასმა?

მაგრამ საფრთხეს უშიშრად ეგებება ხალხი და ქუდზე კაცი გა-  
მოდის ურიცხვ მტერთან შესაბამელად. ხალხი როდი მიჰყვება მო-  
ღალატე აზნაურებს: ხორნაბუჯელსა და არშუშას, ფარეჯანსა და  
არტავაზს. ხალხი ვახტანგის თეთრი დროშების გარშემო იკრიბება  
და მზადაა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას სამშობლო მიწა:

ველა აღდგა, როცა ნახა  
მტერი მამულს შესეული, —  
მოლაშქრე და მონადირე,  
მეზერე, ყანის შესვეური.  
აბჯრიანი გოლიათი,  
მოხრილ ხმალთ, შავი ფართი,  
უცდომელი მშვილდოსანი,  
მეშურდული, მეშუბარი.

მძიმე, ტრაგიკული ტონით აგვიწერს პოეტი დიდ ბრძოლას, პირ-  
ველ ბრძოლას თბილისისათვის, რომელსაც მრავალი ქართველი შე-  
ეწირა, მაგრამ თავისუფლების ამაყი სული ვერ დასძლია მტერმა,  
ვახტანგ გორგასალის სიკვდილი ათასწილ აზღვევინეს მოთარეშეებს:

ზღეაც თურმე ზღვაში გაღიწურება,  
და ხალხის ზღვასაც არ აქვს კიღური!  
მისმა ღვართქაფმა მტერი წალეკა  
სხვის დამძალავი და მედიღური!

მიუხედავად იმ დიდი ტკივილისა, რომელიც იგრძნობა პოემის  
ბოლო თავებში, მიუხედავად იმისა, რომ მტერთან ბრძოლაში ილუ-  
პებიან პოემის გმირები — ვახტანგ გორგასალი, გურამ ბივრიტიანი  
და პირიმზე (რომელთა მაღალ სიყვარულზე თბილად და გულწრფე-  
ლად მღერის პოეტი), ილუპებიან არჯევან და ფარნა, მიუხედავად  
ამისა, პოემა ბოლომდე ინარჩუნებს ოპტიმისტურ გზნებას, რომელიც  
წითელ ხაზად მიჰყვება მთელ ნაწარმოებს. შინაგანი ცეცხლი ბრია-  
ლებს იმ სტრიქონებში, სადაც ავტორი დღევანდელი საქართველოს

მშენებლებში ხედავს თავისი პოემის გმირებს, დალუპულებს ათას ხუთასი წლის წინათ.

— ვერ სძლევს სიკვდილი<sup>1</sup> შენს უკედავ შეილებს,  
დღესაც იბრძვიან ძილგამკრთალები,  
ახალი ქართლის ხარაჩოებზე  
მე დაეინახე მათი თვალები.  
მათი მკლავები მე დაეინახე,  
ჩაქუჩიანი მათი მარჯვენა,  
— თქვენ ხომ ემარხეთ,  
თქვენ აქ რა გინდათ,  
ფარნა, ღვინია, ღეთისო, არჯევან!

პოეტი დიდი სიხარულითა და სიამაყით უმღერის სამგორის გა-  
შოღვიძებას, მიწის გუგუნს და უდაბნოს აყვავებას. აქ ძველი თბი-  
ლისის მშენებელთა შთამომავალნი შერკინებნიან მიწას, რათა კვლავ  
გააყოცხლონ იგი. პურის ყანებით ააბიბინონ, ვენახებით დაფარონ  
და დოვლათი შექმატონ ქვეყანას. ეს სურვილი პოეტის სურვილიც  
გამხდარა, პოეტის სანატრი და საოცნებარი.

და თუ ველირსე მე ამ სანახავს,  
ბედო, შემასწარ უხვად მოკრება,  
მისი რთელისა და მისი ხევისა,  
რაც ხვალ სამგორზე დაიკრიბება!  
მე ვგრძნობ, ბეჭებში ფრთები მეზრდება,  
მე ვხედავ, ვხედავ, ვერ ვუძლებ ლოდინს,  
გულში ოცნების ზღვა გაღიწურა,  
მოდი, მაისო, ათასჯერ მოდი!

ამნაირად ამთავრებს თავის პოემას გიორგი ლეონიძე, ამთავრებს  
ჩვენი დიადი აწმყოს მოკლე, მაგრამ დასამახსოვრებელი სურათით  
და ამით თითქოს ხაზს უსვამს, რომ ახლა წინაპართა ნაოცნებარი,  
რომ ახალი ქართლი დაჩრდილავს ძველს, რომ ხალხის მარჯვენა  
გაახარებს მტრის ხელით გადამწვარ მიწას, რომ რუსთავის ფოლა-  
დის ზარი და სამგორზე ყანების აშრიალება გაამრთელებს მარაბდისა  
და კრწანისის ჭრილობებს.

კითხულობთ ამ პოემას და თქვენთვის საოცრად ახლობლები ხდე-  
ბიან ეს ადამიანები, რომელთა ძელებიც კი აღარ არის უკვე, მაგრამ  
ისინი ცოცხლდებიან პოეტის სტრიქონებში, იბრძვიან, შრომობენ  
და გვესაუბრებიან, როგორც დიდი ხნის ნაცნობები და მეგობრები.

ეს შესანიშნავი, თუკი შეიძლება ასე ითქვას, ტრადიცია, გიორგი  
ლეონიძის იმ ლექსებსაც ემჩნევათ ცხადად და აშკარად, სადაც სხვა-  
დასხვა საუკუნეების ადამიანთა აჩრდილები წუთით გამოჩნდებიან

ზოლმე, მოლანდებასავით ჩაგვიქროლებენ, მაგრამ თავის კეალს ყოველთვის სტოვებენ მკითხველის სულში, მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით მცირეს გვამცნობს მათს შესახებ პოეტი, ვიდრე ზემოთ მოხსენებული პოემის ფურცლებზე.

გავიხსენოთ გიორგი ლეონიძის ორტაეპიანი ლექსი „თემურის ზანძართ ნატისუსალი“.

მთვარე კაშკაშებს მტრედისფერ ბურში,  
თამარის სახის დასადარელი.  
მთები... სიჩუმე, როგორც ბნელ ქურში...  
ფოთლის შერხვეას არსად არ ელი...

უცბად მეუნოსა სუნი დამწერისა,  
თემურის ზანძართ ნატისუსალი,  
თითქოს მან ქართლი ამ წამს გასრისა  
და ერთი ფეხით ვერ მოვესწარის..

პირველ სტროფში წყნარი ღამეა, გაჩუმებული მთებია და ერთი ფოთოლიც არსად არ ირხვევა; გიპყრობთ პოეტის განწყობილება და უცებ შენც გრძნობ მთელ იმ კონტრასტულ სიძლიერეს, რომლითაც მეორე სტროფი უპირისპირდება პირველს. სიჩუმეც ირღვევა, ფოთლებიც ნაღვლიანად აშრიალდებიან და მართლაც მოგეჩვენება დამწერის სუნი, თითქოს კიდევ ადის ბოლი გადამწვარი სახლებიდან ცაში, თითქოს რამდენიმე წუთის წინათ გადათელა ქართლის ბაღვენახები პირისსხლიანმა თემურ-ლენგმა, ცეცხლს მისცა ყველაფერი და ნახანძრალეობით მოფინა ქვეყანა. ასეთი უეცარი გადასვლა წყნარი ღამიდან თემურის ზანძარს უდავოდ ახდენს უდიდეს შთაბეჭდილებას მკითხველზე და აღარ გიკვირთ, რომ ესოდენ მისტიკური პალუცინაცია შეიძლება დაეუფლოს ადამიანს, პალუცინაცია, რომელსაც თავისი ფესვები და თავისი გამართლება გააჩნია, არა მარტო ლექსში, არამედ ცხოვრებაშიაც.

საქართველოს მუზეუმში ინახება ხელნაწერი ლოცვანი, ნაქონი ქეთევან დედოფლისა ტყვეობაში ყოფნისას. წიგნის ფურცლებს ატყვია ცრემლის ლაქები და ერთგან კი — სისხლის ნაწვეთალი. დიდის მღელვარებით და წუხილით წერს პოეტი ამ წიგნზე, რომელიც გახსენებაა საქართველოსათვის წამებული დედოფლისა. აქ უფრო რეალურ შთაბეჭდილებასთან გვაქვს საქმე და უფრო მეტი შთაგონების ძალით ამეტყველებულა ლექსის ყოველი სტრიქონი.

ღამეა. სულ წვიმს. განა ცას  
ამდენი უნდა ეწვივა?  
გული შემოკრთო უეცრივ  
აჩრდილმა გადმოხვეწილმა.

დედოფლის შესამოსელში  
ხელთ წიგნი გამოატარა,  
ვიცი, წიგნებში სიტკბოა,  
რად მწუავს ეს წიგნი პატარა?

ან მისი ხელში აღება  
რამ უნდა გამაბედინოს?  
ზედ ცრემლის ლაქა აცხია,  
ვილაცას უნდა ეტირნოს!

იცის პოეტმა, ვისია ეს წიგნი, ვისია ეს ცრემლები, ასე უხვად და უღვთოდ რომ დაღვრილან ლოცვანის ფურცლებზე. ამ წიგნის სიტყვები ამხნევებდა შაჰ-აბაზის პატიმრობაში მყოფ დედოფალს, მას კითხულობდა იგი შორეულ კახეთზე ფიქრით, სამშობლოს ზეცას და მიწას მონატრებული. ამავე ლოცვებს იმეორებდა ალბათ მაშინაც, როდესაც გაზით უგლეჯდნენ ძუძუებს და გახურებული შანთებით სდაღავდნენ მის სხეულს:

ათასი ელვის ნათელი  
დედოფლის სახე ყოფილა,  
ო, რა თვალები... ქართლისთვის  
სიკედლით გადაღობილან...

დიდი ტკივილია ამ ლექსში აღბეჭდილი, ტკივილი, რომელსაც ლექსის გარეშე ვერ იტყვი, ტკივილი, რომელიც ახლაც უღადრავს გულს ადამიანს ქართველი ქალისა და დედის გარდასულ ბედზე მწარე ფიქრით:

არ მასვენებენ, სულ მღავენ,  
ის განიერი თვალები...

ეს დიდი ტკივილი ათრთოლებს პოეტის კალამს და ახალი საქართველოს მეხოტბე თავის ლექსებში სიამაყით ესაუბრება შავეთში დიდი ხნის წინათ წასულებს, შეჭხარის მათს უკვდავებას და მკაცრად ეკამათება ვინმე ფანასკერტელს, რომელიც სევდით გამოსთხოვებია საქართველოს უკეთეს მერმისზე ფიქრს: „...მშვიდობით, ჰველო ქართულო ენავ, და მშვიდობით სრულიად საქართველოს მდკომარეობაო!“

სხვა რა უნდა იყოს ამაზე მწარე, ფიქრობს პოეტი, რა შეედრება ასეთ გულდამწვარ ღაღადისს, როდესაც ეთხოვები ადამიანი დედაენას, გაქვავებული უიმედობის დიდი დარდით, რომელშიაც რწმენის ნატამალიც აღარ არის, დარჩენილა მხოლოდ უსასოო ფიქრი იმისა, რომ აღარ ეღირსება გაზაფხული ქართლს, რომ გადაშენდება მშობელი ერი და გაჰქრება სახსენებელი ქართველისა ამქვეყნად. გიორგი

ლეონიძეს სინანული აღარ ჰყოფნის იმედდაკარგულ ფანასკერტელ-  
თან გასაუბრებისას და უკვე აღშფოთება ისმის მის სტრიქონებში.  
შენ ყრმობის ყველა დღე გამიმწარე, შენ გულს მითხრიდი შენი  
უიმედო სიტყვებით, შენი ქურდული გესლითო, — წერს პოეტი.  
ჰაგრამ მწირ და ოხერ-მოხეტე აჩრდილთან კამათში დიდი სიმართ-  
ლეა პოეტის მხარეზე; ეს არის სიმართლე საქართველოს გამარჯვე-  
ბისა, ქართული ენის აყვავებისა და მაღალი სიხარულისა: ამ სიმარ-  
თლით ალტაცებული და ფრთებშესხმული პოეტი ასე მიმართავს ფა-  
ნასკერტელს, როგორც განვლილ და ძნელ სიზმარს:

და შენ, მიწაში გამტვერებულო,

ჰა, სიტყვა გულის გასათაფლავი:

არა, ქართლს, არა!

— შენ ფიქრს გასთხრია

სამარადისო, მკვიდრი საფლავი!

და ყოველი ლექსი გრჩებათ მეხსიერებაში, იქნება ეს ლექსი გო-  
ლიათური აგებულების ჯაფიჩზე, რომლის საფლავს დღესაც უჩვენე-  
ბენ ატენის ზემოთ, რაზმიითის ტყეში თუ თამარ დედოჯალზე. იქნება  
ეს ანანურისა თუ სვეტიცხოველის ნახვით განცდილი შთაბეჭდილე-  
ბა. აი ლექსი „მეცამეტე საუკუნე“, რომელშიაც ძუნწი, მაგრამ ღრმა  
შტრიხებით არის დახატული შავი სურათი აოხრებული ქვეყნისა,  
როდესაც მონღოლურ ცხენს უკან მინდვრების მტერი კალია მოს-  
დევდა და რაც გადურჩებოდა ცეცხლსა და მახვილს, იგი კალიისა  
ხდებოდა. ეს არა მარტო მეცამეტე საუკუნეა, ეს არა მარტო ჩინგის-  
ხანის შემოსევაა. ჩინგის-ხანის შემდეგაც ბევრჯერ განმეორებულა  
იგივე სურათი ნგრევისა და პარტახისა საქართველოს მიწა-წყალზე,  
ბევრჯერ გამზადებულან საფლავად ციხე-გალაენის თხრილები,  
ბევრჯერ ასულა ცაში ნახანძრავების კვამლი, ბევრჯერ გაუძარც-  
ვიათ ჩვენი ტაძრები და სასახლეები, დაუქცევიათ სვეტიცხოველი  
და სიონი, „მაგრამ ვერავინ გასძარცვოს იგი, რაც გულის ცეცხლში  
გადამდნარია“. დარჩა მომავალ თაობებს წარსულის დიდი კულტუ-  
რა, ყინწვისის ფრესკები და ბაგრატის ტაძრის ჩუქურთმები, მემატო-  
ანეთა ეტრატები და შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“. ეს არის  
სიმდიდრე, რომელიც კვლავ ქართველს გაუძლებს და საუკუნეების  
იქით აელვარდება ოქროს ნათელად, ეს არის სიმდიდრე, რომელიც  
ვერ მოსპო ვერც ჩინგის-ხანმა, ვერც თემურმა და ვერც შაჰ-აბასმა.

მრავალი ლექსი დაუწერია პოეტს თავის წინამორბედებზე. წარ-  
სულის ქართველ ოსტატებზე: „ვეფხისტყაოსანს“ „ლიტები ბატის-  
ფრთიანნი“, „აკაკის“, „დავით გურამიშვილს“, „სულხან-საბას“,

„ვაჟა-ფშაველას“ და მრავალი სხვა. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

განსაკუთრებით ძლიერია გიორგი ლეონიძის ლექსი „ბარათაშვილი“, დაწერილი დიდი მგზნებარებითა და სიყვარულით.

მე მოგაგონებ უღმერთო ღამეს,  
როცა დაგიცხრა ყველა ტკივილი,  
როცა განჯიდან შუალამისას  
ქართლს შეუძახე გედის ყივილით.  
თითქოს ყორანმა უზარამზარმა  
ფრთებით დაჩრდილა მთელი ქვეყანა;  
მაშინ სიკვდილი შენაბღიანი  
ჯეარედინ გზაზე შემოგეყარა.

ეს არის 1845 წლის 9 ოქტომბრის ღამე, ღამე განჯაში, სადაც უკანასკნელ წუთებს ითვლიდა ნიკოლოზ ბარათაშვილის გული.

გიორგი ლეონიძე სინანულით ახსენებს იმ უღვთო ღამეს, იხსენებს იმ დუხჭირ ცხოვრებას, რომელიც ბედმა არგუნა ადამიანს, დაბადებულს ქართული პოეზიის ვარსკვლავად. წინ რა ელოდა მას? სიცალიერე, ქორი, უგულობა, ყინულის ხელი, ზღვა საწამლავი, წინ ელოდა დიდი ნაღველი უიმედო სიყვარულისა, წინ ელოდა უსულგულობით სავსე თბილისი და გავერნებული მთაწმინდა, დახშობილი ნუგეშის კარი და მიუსაფარი მწირი ცხოვრება. თავდება ხანმოკლე, მაგრამ დიდი ცხოვრება ბარათაშვილისა და ახდენილია მისი წინათგრძნობა. შორეულ განჯას დაასამარებენ, არც სატრფოს ცრემლი დაეცემა და არც დედისა.

გიორგი ლეონიძე მძაფრი ტრაგიზმით მიჰყვება დიდი პოეტის უკანასკნელ წუთებსა და უკანასკნელ ნაფიქრალს, მასთან ერთად გრძნობს, რომ აღარ ღირს სიკვდილთან კამათი, მასთან ერთად მიმხედარა, რომ სიკვდილი უფრო სწრაფია, ვიდრე ბარათაშვილის მერანს, რომ სიკვდილი ტყუილად არ მოსულა ამ ღამეს განჯაში, რომ ასეთი მწარე დასასრული უნდა ჰქონოდა ბარათაშვილის ცხოვრებას.

გიორგი ლეონიძე სტოვებს განჯის იმ მუხთალ ღამეს, სტოვებს პოეტის სარეცელს და უკვე შორიდან, თანამედროვეობიდან გასძახის ადამიანს, რომლის მერანს გაუთელია უვალი გზა და ცუდად არ ჩაუვლია მის განწირულ სულისკვეთებას:

ცხოვრების წყარომ შენ გასვა შხამი,  
და სიჩუმეში როცა იწვოდნი,  
ჩვენ რომ აქედან გვირგვინს გიწნავდით,  
ტაშს რომ გიკრავდით, განა იცოდნი?

ლიტერატურის ხალხურობის დიადი პრინციპი აძლევს გიორგი ლეონიძის ლექსს მძლავრ ოპტიმისტურ ელერას, ღრმა შემოქმედებით პათოსს. პოემა „ფორთოხალაში“ ისმის ხალხის დიდი ცხოვრების მაჯისცემა, აქ ნაგრძნობი და მხატვრულად გადმოცემულია ჩვენი მამაცი და შემოქმედი ხალხის დაუცხრომელი წინსვლელობა, სულიერი კეთილშობილება, აზრისა და გრძნობის სისავსე, მისი უკვდავება და ძლევამოსილება. ნაწარმოების მოქმედი გმირი — ქართველი გლეხის ქალი ამავე დროს ფართოდ განზოგადებული, რეალისტური, მეტყველი ეპიკური სახეა, რომელიც ცოცხლად და გამოკვეთილად გამოხატავს მთელ ხალხს, მის უკვდავებას, მის სულიერ ბუმბერაზობას. პოეტი ფხიზლად უგდებს ყურს ხალხის მაჯისცემას და ამიტომაც შესძლო მან ზუსტად და სიმართლით აღებეჭდა და გამოეხატა ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანების განცდები, განწყობილება, აზრები და მისწრაფებები.

„ფორთოხალას“ შესავალ სტროფებში ავტორს შორეულ წარსულში გადაეყვარათ, რათა გვიჩვენოს ხალხის, კერძოდ უბრალო ქართველი ქალის, ქართველი დედის გაუხარელი ცხოვრება, გვიჩვენოს მისი მუდმივი ოცნება თავისუფლებაზე, გამუდმებული ბრძოლა ადამიანურ უფლებათა მოსაპოვებლად. პოემის ბოლო სტროფებში კი ნაჩვენებია თავისუფლების მზის ამოზრწყინება, როცა ისტორიის ნამდვილმა შემოქმედმა — ხალხმა ლენინის პარტიის წინამძღოლობით დაიწყო კაცობრიობის ისტორიის ახალი ერა.

გიორგი ლეონიძის „ფორთოხალა“ მაღალიდებული ნაწარმოებია იმის გამოც, რომ პოეტმა მოგვცა ისტორიის ქეშმარიტად სწორი გაგება. დახატა რა წარსულის სურათები, მან გვიჩვენა, რომ საქართველოს ისტორია მარტო მეფეების ისტორია როდი იყო; არა, ისტორიის შენობას გლეხკაცის მარჯვენა აგებდა და ჩვენი წინაპარი სწორედ „გუთნის ლუკმით ნაშენი“, „ქალმებიანი საქართველო“ იყო, რომელიც ებრძოდა შემოსეულ მტერს, ქმნიდა კულტურის ძეგლებს, და რომელიც მწარედ გმინავდა ფეოდალური და ბურჟუაზიული კლასების უღელქვეშ. ლეონიძის „ფორთოხალა“ სრული უფლებით შედის სოციალისტური პოეზიის საგანძურში იმიტომ, რომ პოეტმა სწორი, მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისი მოიმარჯვა წარსულის მოვლენების ასახვისათვის. პოემა, რომელშიც სიუჟეტი იწყება შორეული საუკუნეების ამბებიდან, მკითხველის ყურადღების ცენტრში აყენებს გლეხის ქალს, უბრალო მშრომელ დედაკაცს. „ფორთოხალას“ მთელი დედააზრი მკაფიოდ გამოთქმულია პოეტის შემდეგ სიტყვებში:



ათასი წლის მანძილიდან  
შვილურ აღერსს გაგიბედავ,  
საქართველოს დიდ ცხოვრებას,  
შენა ჰქმნიდი, ტკბილო დედავ!

დიდ ვაჟკაცებს. დიდ ოსტატებს  
შენი კაბის კალთა ზრდადა,  
ვინც ეტრატზე წერდა ჰართულს,  
ვინც ჩუქურთმას ქვაზე სკრიდა.

შენი ოფლის ნაღვარალი  
დღევანდლამდე არ ამზალა,  
ყველგან გნახე, დამოვლია  
მე სამშობლოს გზა და შარა,

მაგრამ „ქართლის ცხოვრებაში“  
ვერა ვნახე შენი სახე,  
არაფერი არ სწერია  
შენს ღვაწლზე და შენს შესახებ.

დედოფლებზე ბევრი წერეს,  
ბევრს კალამიც დაეღალა,  
ვიცით ბევრი დედოფალი,  
არ კი ვიცით ფორთოხალა.

აქ პოეტი, როგორც ილია ჭავჭავაძე თავის დროზე, უსაყვე-  
დურებს არა მარტო ძველ მატთანეს, რომელმაც მარტო მეფეებისა  
და დედოფლების სახელები შემოგვინახეს, არამედ უსაყვედურებს  
იმ მწერლებსაც, რომლებმაც „დედოფლებზე ბევრი წერეს“, ხალხის  
ღვაწლი კი დაივიწყეს. ამავე ნაწარმოებში პოეტი გვიხატავს ხალხის  
საშინელ განსაცდელს და ათასნაირ ტანჯვა-წამებას მთელი ბნელი  
საუკუნეების მანძილზე. ეს კონკრეტულად არის ნაჩვენები გლეხის  
ქალის ფორთოხალას ცხოვრების მაგალითით. როგორც პოეტი მო-  
გვითხრობს, ფორთოხალა ცხოვრობდა კოლხიდაში, „შოთას უწინ“,  
მებადურის ქალიშვილი იყო და ბნელ ფაცხაში იზრდებოდა, სიღა-  
ტაკე აწამებდა მის ოჯახს. ამ ღუხკირ ცხოვრებაში წამოიზარდა  
ახალგაზრდა გლეხის ქალი, შემდეგ შვილების დავაუკაცებასაც  
მოესწრო. შესანიშნავი პლასტიკური სახეებით გადმოგვცემს რა  
უბრალო ადამიანის ამ სადა, მაგრამ იმავე დროს ამაღელვებელ  
ბიოგრაფიას, პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს გლეხის ქალის დაუცხო-  
მელ შრომისმოყვარეობას და აქვე გვიჩვენებს, რომ იმ შორეულ  
წარსულში ხალხის შრომის ნაყოფი სხვას მიჰქონდა. პოეტი მიმარ-  
თავს ფორთოხალას:

უმზეო და უეარსკვლავო,  
ცხოვრება გვაქვს ბნელზე ბნელი;  
კაობი სკამს შენს მოსავალს,  
და ბატონი — ბელზებული.

ასე იცის ბედშობამ,  
მწარე დღეებს მიაწყვილებს;  
მწარ ტანჯვაში დაიხარჯა  
შენი ტურფა სიყმაწვილე.

ფორთოხალას სახე წარმოდგენილია, როგორც მარად წარმტაცი, დაუვიწყარი და სათნო სახე ქართველი დედისა. ეს უალრესად განზოგადებული სახეა. პოეტის თქმით, „საქართველოს კერის ცეცხლი მას ებარა გაუმქრალი“. ის „ქოთანს უდღუდებდა, პურს უცხოვდა საქართველოს“. ამ პოემამ ფრიად დადებითი როლი შეასრულა, როცა წარსულის ასახვისას წინა პლანზე წამოსწია უბრალო ადამიანი, მაგრამ პოეტი მართო წარსულის ასახვით როდი კმაყოფილდება: პოემის მეორე ნაწილი ეხება თანამედროვეობას, როცა ხალხის გენიას ფრთა შეეცხა, თვალუწვდენელი, ფართო ასპარეზი მიეცა. როცა ხალხი თვითონ გახდა თავისი სამშობლო მიწაწყლის ბატონ-პატრონი. ეს განახლება ისტორიისა, ეს ეპოქალური შემობრუნება პოემაში გადმოცემულია მძლავრი და შთაგონებული სახეებით. ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალი, სადაც ჩვენი წინაპრები იტანჯებოდნენ, სადაც მათ მწარე ცხოვრება ჰქონდათ, სოციალისტური რევოლუციის მზემ ააღორძინა, ააყვავა, თავისუფლებისა და ბედნიერების კერად, წარმტაც ბაღნარად აქცია. პოეტი შეჰხარის ყოველ ახალ ნერგს ამ მიწაზე, შეჰხარის კომუნიზმის ყლორტებს, რომლებიც ყოველდღიურად იზრდებიან და იფურჩქნებიან, პოეტი შეჰხარის და ქეპას ასხამს ახალი ცხოვრების მშენებლებს, კოლხეთის მეზაღეებს, უგაზაფხულოდ მიწაში ჩასულ ფორთოხალას შთაჰომავლებს.

— გოგებო, დაინახეთ,  
მოაგონეთ ფორთოხალა,  
შეიბრალეთ გულდამწვარი  
ის გულმკვდარი ფორთოხალა!

თქვენი დიდი წინაპარი,  
თქვენი დედა ფორთოხალა!  
დაჩაგრული მოჯალაბე  
თუმცა ბედით მწუხარა,  
მაგრამ თქვენი მომავალი  
და თქვენი დღე უხარია!

გოგოებო, გარჯილობათ  
ფორთოხალა გაახარეთ  
და გულს ვარდი დააყარეთ...

ასე ეხმაურება თანამედროვე პოეტი შორეულ წარსულს, საქართველოს ისტორიას.

ამჟამად გიორგი ლეონიძე დაუღალავი ენერგიით განაგრძობს ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას; მტკიცედ დგას რა სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე, იგი კვლავ ამდიდრებს ქართულ პოეზიას ახალ-ახალი ნაწარმოებებით, რომლებშიც მთელი სისავსით არის წარმოსახული ქართველი ხალხის განახლებული ცხოვრება, მისი შემოქმედებითი შრომა კომუნიზმის ხარაჩოებზე.

გ. ლეონიძე ახალ პოემაში „რატომ არის საქართველო ლამაზი და მდიდარი“ კვლავ უმღერის სამშობლო ქვეყნის სიტურფეს, მის სოციალისტურ დოვლათს, მის ხალხს, რომელიც კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, მოძმე ხალხებთან ერთად ჰქმნის ახალ სამყაროს, თავისუფალს, ლამაზს, სადაც ყველაფერი ადამიანის ბედნიერებისათვის არის გამიზნული.

გიორგი ლეონიძე, ერთ-ერთი ფუძემდებელი საბჭოთა პოეზიისა, ფხიზელი და გულისხმიერი შემოქმედის ინტერესით, უღრანესი სიყვარულით აკვირდება ყოველივე ახალს ჩვენს სამშობლოში, უმღერის მას. ის, როგორც პოეტი და მოქალაქე, ცხოვრობს მთელი ხალხის ცხოვრებით, ამიტომაც არის, რომ მის პოეზიაში ხალხის ერთობლივი გულისცემა, ერთობლივი ხმა და ღონიერი სუნთქვა ისმის და სწორედ ეს არის მისი პოეზიის გამარჯვების უტყუარი საწინდარი;

---

## სიმონ ჩიქოვანი

### 1. მ გ ზ ა ვ რ ი ს პ ო ე ტ უ რ ი დ ლ ი უ რ ი

მოგზაურობის თემა ლიტერატურის ისტორიაში თავისთავად ახალი არ არის. ვინ შოსთელის, რამდენ ძველ პოეტს აუღია პილიგრიმის ჩანთა, რომ მოველო ქვეყნები და მკითხველისათვის გაეზიარებინა თავისი აზრი მათს შესახებ. წარსულის ლიტერატურულ საგანძურში უძვირფასეს დოკუმენტებიდან დარჩენილა ამ მოგზაურობათა პოეტური და ბელეტრისტული აღწერანი. მათს ავტორებს ნათლად და მკაფიოდ აღუბეჭდავთ თავიანთი ეპოქა მგზავრის ფიქრებისა და შთაბეჭდილებების პრიზმიდან.

ისიც უნდა ითქვას, რომ მოგზაურობის თემა არც ისე იოლი დასაძლევია: პოეტის თვალი ახალ პეიზაჟებსა და ადამიანებს შესცქერის — როგორ გამოხატავს ის ამ ახალ გარემოცვას, როგორ ვადმოსცემს მის კოლორიტს, რას იტყვის ახალს იმ ქვეყანაზე, რომელსაც ის ესტუმრა, შეამჩნევს თუ არა იმ არსებითსა და დამახასიათებელს, რომელიც განსაზღვრავს ცხოვრებას იმ ქვეყნისას, სადაც მისი ფეხი პირველად ხვდება და მისი თვალი პირველად უმზერს ცასა და მიწას, რას ეტყვის ახალს თავის მკითხველს, რას შესძენს თავისი ქვეყნის ლიტერატურას.

ამ მხრივ პოეტი მართლაც უძნელესი გამოცდის წინაშე დგას, იმიტომაც, რომ მისგან მკითხველი ბევრს მოელის, კერძოდ, მოელის მას, რომ პოეტმა მკითხველს უბრალოდ კი არ უნდა მოუთხროს რაც უნახავს, არამედ თან წაიყვანოს, არსებითად აგრძნობინოს, განაცდევინოს ისე, თითქოს წიგნს კი არ ფურცლავდეთ, არამედ მოგზაურობდეთ იმავე მარშრუტით, იმავე მთებსა და ველებზე.

და აი კვლავ ჩვენს წინაშეა „მგზავრის დღიურები“. მის ავტორს — სიმონ ჩიქოვანს — საკმაოდ ვრცელი გზებით უმოგზაურ-

ნია. მას უნახავს სახალხო-დემოკრატიული პოლონეთი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. კითხულობთ ამ ლექსებს და გრძნობთ, რომ აქ აღარც თემაა ძველი, მიუხედავად იმ ტრადიციისა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ; არც განწყობილებაა ძველი — აქ ახალია თვით მიდგომა მოვლენისადმი, თემისადმი. სწორედ ამიტომ ეს ლექსები ქვეშაბრტყელ ნოვატორულ მოვლენას წარმოადგენენ საბჭოთა პოეზიაში. პოეტმა შესძლო გადმოეცა სიხალისე და სუნთქვა სიცოცხლის ახალი გაზაფხულისა; ეს სიახლე შეგრძნობილია პირველსავე ლექსში — „პოლონეთის გზაზე“, რომელიც მთელი ციკლის შესავალს წარმოადგენს; ეს ლექსი — ფიქრია მგზავრისა, რომელიც მიდის მეგობრულ ქვეყანაში; მანამდე მას იგი არ უნახავს, მაგრამ ათასი განუწყვეტელი ძაფით არის დაკავშირებული მასთან; მოგზაური პოეტი მიდის იქ სიყვარულით. ამ პირველსავე ლექსში გვხვდება ცენტრალური მნატურული სახე, პოეტური სახე ხიდისა, რომელიც ხალხებს შორის გასდო ვოლგის ნაპირებიდან წამოსულმა საბჭოთა მეომარმა; ეს სიყვარულის, მეგობრობის ხიდია და ამიტომ პოლონელი ჰაბუკი-მესაზღვრე ფართოდ აღებს მეგობრისათვის თავისი ქვეყნის კარებს და მშვიდობის გზას უსურვეს საბჭოთა მხრიდან მოსულ პოეტს; ბელორუსიიდან, ბრესტის სადგურიდან წამოსული ექსპრესიისაზღვარს გადასჭრის და პოლონეთის მიწაზე მიჰქრის:

მიექრით, მესმის „გზა მშვიდობის“,  
 ეს ხმა მტრის ხმას ეკიდება,  
 ხალხში, როგორც თესლი ხორბლის,  
 ტანს იყრის და ჯეჯილდება...  
 თოვლს გავყურებ ფართო სარკმლით,  
 ჩაუქროლეთ გაშლილ რიყეს,  
 და მგონია, ყველა სახლი,  
 მობრუნდა და კარებს მიღებს.

სიმონ ჩიქოვანის პოეტურ სტილს ერთი კარგი თავისებურება ახასიათებს: ეს არის ფრაზის, გამოთქმის, მეტაფორის ბრწყინვა და ფრთიანობა; ეს გამოთქმანი გაიელვებენ ხოლმე ლექსში, რათა მთელი ფონი გააშუქონ. მისი მეტაფორა არა მარტო ახალია და გაბედულად ნათქვამი, არამედ უშუალოცაა და ბუნებრივიც: ის კი არ გამოიყოფა საერთო ქსოვილიდან, არამედ სიმკვრივეს და ნაჭედობას აძლევს მას. ასეთია აქ მეტაფორა: ხმა, როგორც თესლი ხორბლისა, — ტანს იყრის და ჯეჯილდება. ასეთი მოკვეთილი, ლაკონიური სახეები, ცხადია, ლიტერატურაში ახალი არ არის. გაიხსენეთ თუნდაც ძველი პოეტის უბრწყინვალესი ფრაზა: „Как пахарь, битва

отдыхает“, პოეტი აქ ჰქმნის გრანდიოზულ სურათს ბრძოლის ეფლისას; ეს სიმკვეთრე, ორიგინალობა შედარებისა და მეტაფორისა — ჩვენი აზრით, ფრიად ძვირფასი თვისებაა. ასეთ შემთხვევაში სახე იტვირთება ძალიან ვრცელი შინაარსით, ის ხდება ფართოდ დამტვევი, ყოვლის მომკველი, იმავე დროს იგი ახალი და ორიგინალურია. ესაა სწორედ ღირსება, თორემ უბედურება იქნებოდა. რომ ყველა პოეტს ერთი და იგივე გაკვეთილი. შედარებები ხელახლა წარმოეთქვა; მაშინ ხომ ყველა ერთფეროვანი იქნებოდა, როგორც ერთფეროვანი იყვნენ ეპიგონები აღმოსავლური პოეზიისა: მათს ლექსებში ვარდი მულამ — მრისხანე სატრფო იყო და ბუღბული გულდასისხლული შეყვარებული, სანთელი — სიყვარულა იყო და ფარვანა მის ალზე ფრთებშეტრუსული ქაბუჯი. ასეთ ლიტერატურულ ატმოსფეროში ახლის ძიებას გზა გადაკეტილი ჰქონდა და მათ ავიწყდებოდათ, რომ პოეტის ოსტატობა — სწორედ სიტყვის ახლებურად მოქნევასა და მობრუნებაშია.

ახლა დავუბრუნდეთ ზემომოყვანილ მეტაფორას; ის ახალია, სადაა და ღრმა შინაარსითაა აღსაყვანე:

ხალხში, როგორც თესლი ხორბლის,  
ტანს იყრის და ჯეჯილდება.

ეს მშვიდობის ხმაზეა ნათქვამი. და განა შეიძლება მოიძებნოს უკეთესი სიმბოლო სიცოცხლის გაფურჩქვნისა, ვიდრე ტანაყრილი ჯეჯილია? ეს არის დედააზრი ამ ლექსებისა, და მთელი აქსანუარი აქ გაერთიანებულია მის ირგვლივ. ამიტომ მთელ ციკლს მაგრად შეკრული კომპოზიცია აქვს და იმავე დროს ყოველი ლექსი ცოცხლობს, როგორც მთლიანი. საერთო კონტექსტში სურათები, ეპიზოდები ემორჩილებიან ამ ცენტრალურ სახეს, ამ ობერტონს ემორჩილება მთელი დინება ნაწარმოებისა, გადასვლა ერთი ტონალობიდან მეორეზე, ერთი სახიდან — მეორეზე.

აი დემოკრატიულ გერმანიაში მოდის საბჭოთა მთავრობის მისალოცი დეპეშა, მაუწყებელი მშვიდობისა. „არწივის ფრთა გამოესხა სიტყვას“, ლაღად ეფინება იგი შპრეეს გაშლილ ნაპირებს, მოგვალულ შტოს ისევ ფოთლით, შემოსავს, მისი ხმა და სიტყვა სიმღერაში ჩახვევია მგოსანს, ესხურება ამწვანებულ ჯეჯილს და ქარხანაში ღუმელს აპურებს, ის ეკირება ახალ ქვეყნის ფუძეს, ნერგავს იმედს, მშვიდობას, ხალისს: „ეს დეპეშა ხალხებს ძმობას უწყევს“. აქ ცნებები, იდეები გადაქცეულია კონკრეტულ სახეებად. რომლებიც მთელი ემოციურობით ეხმაურებიან მკითხველის სულს; თვით საგნობრივი, უაღრესად კონკრეტული პეიზაჟიც ამ იდეას გადმოგვცემს:

ეს მშვენიერი სახეა; აქ შედარებას განამტკიცებს და საფუძველს აძლევს სითეთრე ზამთრის დილისა, თეთრი ფურცელივით გაშლილი თოვლიანი მინდვრისა, რომელიც ამ კონტექსტში კარგად ეხამება წარმოდგენას ახალი ქვეყნის ცხოვრებაზე, როგორც მშვიდობის დიდ წიგნზე; ამ წიგნის ფურცლები მისდევენ ერთიმეორეს. ჩვენს თვალწინ, როგორც ფურცლები კაცობრიობის ახალი მატრიანისა. საერთოდ ჩიქოვანის პოეზიის შესანიშნავი თვისებაა — აქციოს ეს ამაღლებული იდეები, ცნებები ხელშესახებ, თვალთ დასანახ, კონკრეტულ ემოციურ სახეებად. ამიტომ პორტრეტიკა და პეიზაჟი მის ლექსში არა მარტო სახოვანია, არამედ ღრმა აზროვანიც არის. ამ გზით შესძლო პოეტმა გადმოეცა თავისებური კოლორიტი პოლონეთის ცხოვრებისა როგორც პეიზაჟის, ისე ყოფის ფონზე. ის არ ჩვეს ყველაზე დამახასიათებელ დეტალებს, ყველაზე ეფექტურ სურათებს, რომელთაც შესწევთ ძალა გვიამბონ და გამოხატონ ყველაფერი, რაც არსებითი და დამახასიათებელია ახალ პოლონეთში. პოეტი ზამთარში მოგზაურობდა ამ ქვეყანაში და ბუნებრივია, რომ ამ ლექსებში ზამთრის პეიზაჟია გადმოცემული, მაგრამ რაოდენი მზიანი და საგაზაფხულო ფერებითაა იგი მოქარგული! აგერ პოლონელი გლეხი, დილით ადრე წამომდგარა, გრძელ უღვაშზე თოვლის ფანტელს იშორებს და იღიმება, პოეტის ყურს შორიდან თითქოს ყანის შრიალი ესმის, მატარებელს არყის ხე ჩაუქროლებს, ქერა ყმაწვილს რომ ჰგავს, რტოს რომ არხევს, თითქოს ყმაწვილი სალაშხ იძლეოდეს, სემაფორის წინ შუშები ბრწყინავენ, როგორც ჭრელი ჩიტები მავთულებზე. პოლონელი მესაზღვრის ღიმილი, მოწმენდილი ცა ვისლაზე, პოლონელი ქალი, რომელიც ვარდებით ამკობს საბჭოთა ოფიცრების სასაფლაოს ვროცლავში, მეშახტე, რომელიც მატარებლით მიემგზავრება თავისი ქვეყნის პრეზიდენტთან, გურალების გაქანებული მარხილები თოვლით გადაპენტილ მთებზე, მათი ხალისით სავსე სიმღერა და ცეკვა — ხალხური ცეკვა, როცა ვაჟი მიჰქრის და ქარივით ღელავს, როცა „ტურფა ჰგავს რტოზე ახვეულ ვენახს“, ამ მუსიკისა და ცეკვის რიტმში პოეტს თითქოს ასწლოვანი იფნების შრიალი ესმის. ყოველივე ეს გვაგრძობინებს პათოსს და მღელვარებას გაღვიძებული, მფეთქავი სიცოცხლისა. ქვეყნის მაჯისცემისა, რომელიც ღონიერია და ძალუმი. აქ ცხოვრება აღებულია, დახატულია მის მღელვარებაში, წინსვლის, განვითარების, იმ მშფოთვარების დუდილში, რომელიც ახლად გაფურჩქნებულ სიცოცხლეს სჩვევია, როცა ის იზრდება და ნორჩ ყლორტებს

იყრის; და ამიტომ სრულებით გასაგები ხდება პოეტის ოპტიმისტური შეძახილი:

სიცოცხლო, გეგებუა,

შენთან შინა ჯახანი და ჯირითი.

აქ, ამ ლექსებში შერწყმულია კარმაგი ოსტატის გამოცდილება და ადრინდელი სიკაბუჯის ენთუზიაზმიც, რომელიც ქეშმარიტი პოეტის შემოქმედებაში ასაკს არ ემორჩილება. პოეტი შეჰხარის სიცოცხლეს, ქვეყანას, კაცსა და ბუნებას; როცა პოეტი გურალების მთებზე, ცის ტატნობთან შორიდან ხედავს მწყენსებს თუ ქედზე გადმომდგარ ჯიხვებს, ის შესძახებს: „მეგობრებო, გამარჯვებათ, მწყემსები ხართ, თუ ქედებზე ჯიხვები“. აი ესაა პათოსი ნანდვილი პოეზიისა, ხოლო იქ, სადაც სულიერი ენთუზიაზმი ამოშრება და დაიშრიტება, იქ პოეზიაც დამთავრებულია.

ჩვენ ადრე შემთხვევა გვქონდა აღვენიშნა სიმონ ჩიქოვანის პოეზიის დამახასიათებელი თვისება — ფერწერულობა. ხანგრძლივი წლების შემდეგ პოეტმა ეს თვისება უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა; ამ პლასტიკის გამო მისი სახეები მკვეთრია, მკაფიოდ მოხაზული და ადვილად დასანახი, თითქოს ქვაზე ამოქრილიო. ეს ჩვენ ვნახეთ ზემოთ, როცა ვეხებოდით თუ როგორ გამოიხატა პოლონეთის კოლორიტი ლექსების ამ ციკლში. აქ კი გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ პლასტიკაში, ამ ფერწერულობაში განუყრელადაა შეჭრილი ლირიკული საწყისი; ს. ჩიქოვანის ლექსში ნახატი ნათელია, თვით მაშინაც კი, როცა თითქოს მოგონებათა ბურუსში გახვეული პოეტი მხოლოდ განწყობილებას გადმოგვცემს, სადაც კონტურები მკრთალდებიან და ნახევრად შივიწყებული სურათები დგებიან. აქ თვალთ დანახული, ფიქრში ჩარჩენილი და ისტორიის მიერ გადმოცემული ამბებიც შერწყმულნი არიან, ერთი ემოციური ტონალობით არიან შეერთებულნი. აი, მაგალითად, ლექსი „პუშკინი და მიცკევიჩი“. პოლონეთის პეიზაჟების შემდეგ პოეტი თითქოს გადააწვეს ფარდას და ჩნდებიან არაგვის სანაპირონი, საქართველოს სამხედრო გზა მლეთთან და კაიშაურთან, სადაც არაგვის ხმა ისმის, როგორც მთებში ჩარჩენილი ხმა დიდი პუშკინისა, რომელიც ოდესღაც აქ საქართველოს სილამაზეს უმღეროდა. გაიხსენეთ პუშკინის სტრიქონები: „უეცარი გადასვლა მრისხანე კავკასიონიდან ტურფა საქართველოში წარმტაცია. სამხრეთის პაერი ერთბაშად თავს ევლება მგზავრს. გუთ-გორის მალლობიდან თვალწინ იშლება კაიშაურის ველი თავისი დასახლებული კლდეებით, ბაღებით, ვერცხლისფერი ზოლივით დაკლავნილი ნათელი არაგვით, — და ყოველივე ეს შემცირებული მოჩანს სამვერსიანი უფსკრულის ძირში, ხოლო თვით უფსკრულზე



საშიში გზა მიიმართება... აქ იწყება საქართველო. მხიარული არაგვით მორწყულმა ნათელმა ველებმა შესცვალეს მოღუშული ხეობები და მრისხანე თერგი“. გაიხსენეთ პუშკინის „საქართველოს მთებს“... და ის ნათელი, ამაღლებული სულიერი განწყობილება, რომელიც ამ ლექსშია. მგზავრის თვალი ისე ვერ გადახედავს არაგვის ამ მიდამოებს, რომ ბარათაშვილთან ერთად აქ პუშკინი არ გაიხსენოს. დიდი რუსი პოეტის სიმღერა იგრძნობა იქ, როგორც „ნათელი, მოფენილი მთის მწვერვალზე“, მისი. ხმა აქ, „მთებში ჩარჩა და ღამეებს ათევს“. ეს გულის აღმძვრელი ლირიკული განწყობილება უდევს საფუძვლად ჩიქოვანის ამ ლექსს. მასში სახეები ერთიმეორეს მისდევენ, არაგვის ხეობას ნევის სანაპირო სცვლის, სადაც ერთად უვლიათ მიცკევიჩისა და პუშკინს, პოეტი ზის ვისლასთან და თითქოს ხედავს მათს დიდებულ აჩრდილებს; თითქოს ხედავს მგზავრს მლეთის გზაზე რომ მღერის, მეორე — ყირიმშია — თოვლიან ჩატირდალს რომ გასცქერის — მათი სიმღერები ერთია, ხალხთა დიდი გულიდან წამოსული. „მლეთის გზაზე მღერის მგზავრი“ და არაგვიდან ვისლამდე ხიდი გადაწვდილა; შესანიშნავია ლირიკული გააზრება ამ ლექსისა: პოეტს პუშკინის ხმა ნათელი არაგვის ტალღების შრიალში ესმის, ქარიშხალი ნევის ნაპირზე და ღუღუნე ნევის ტალღებისა მას პუშკინისა და მიცკევიჩის საუბრის ხმას ახსენებენ, აქ უვლიათ მათ ერთად და მათი ხმები არ მომკვდარა, ბუნებას, ხალხს გულში ჩაუხვევია ეს ხმები და საფლავისათვის არ დაუთმია. ყველაზე მძაფრი სახეა აქ იმ სტროფში, სადაც მიცკევიჩი დახატულია, როგორც მასპინძელი ახალ პოლონეთში:

მასპინძელი დგება ვისლით,  
გულს აესებულს ხალხს თასივით აწედის,  
მზემ დაუდნო მხრებზე ნისლი  
და შეჰყურებს მთით აფრენალ არწივს.

ეს თავისუფალი, ფრთაშესხმული არწივი ახალი პოლონეთია:

პოლონეთი დღეს ფრთას ისხამს,  
ხმა მქუხარებს გლეხკაცის და მუშის,  
უხარია, და ვით ცისკარს  
მიცკევიჩი შინ ეძახის პუშკინს.

ოდესღაც, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, სამშობლოდან გადახვეწილი მიცკევიჩი ყირიმში, ბალჩისარაის ნანგრევებთან დასტიროდა პოტოცკაიას საფლავს. ყირიმიდან ის გაჰყურებდა შორეულ გზას პოლონეთისაკენ და პოტოცკაიას საფლავს ჩასჩურჩულებდა: ცაზე, იმ მხრისაკენ, საითაც პოლონეთის გზა მიდის, უამ-

რავი ვარსკვლავები ბრწყინავენ. ეს კვალი ხომ არ არის, შენი ტანჯვის ცეცხლმა რომ ამოსწვა, როცა დაუღალავად იცქირებოდი სამშობლოსაკენ... ო, პოლონელო ქალო, — განაგრძობდა პოეტი — როგორც შენ, მეც მწუხარებით და სევდით დავტოვებ ამ წუთისოფელს, მაგრამ მე მინდა შენს გვერდით დამმარხოვნ; აქ ბევრი პოლონელი მოვა შენს საფლავთან, ილაპარაკებენ შენზე და მე მოვისმენ მშობლიურ ენის სიტყვებსაო. ასეთი იყო წარსულში ბედი პოეტისა და მისი სამშობლოსი: დღეს კი მიცკევიჩი მასპინძელია ახალ პოლონეთში და ნათელი შუქი ხალხთა ძმობისა გადაწვდენილია როგორც ცისარტყელა, როგორც ხიდი არაგვიდან ვისლამდე და ნევამდე. დიდი პოლონელი პოეტის აჩრდილი წელთა სიღრმიდან შემოჰხარის თავისუფალ სამშობლოს. აი რა ოსტატურად გამოხატა ქართველმა საბჭოთა პოეტმა ეს ისტორიული გაოდატება ხალხის ბედში. ს. ჩიქოვანის ლექსში აქ კონკრეტულ მხატვრულ სახეებში ორგანიულადაა ჩაწნული, ჩაქსოვილი და გამოხატული ხალხთა ძმობის მადლი და სიდიადე. და ეს დიდი სიმართლე ნაჩვენებია ყოველგვარი განყენებისა და რეფლექსიის გარეშე; ეს ისევე უშუალოა, როგორც ის ბუნება, რომელსაც პოეტი ხატავს; პოლონური პეიზაჟი ქართულ პოეზიაში პირველად ამ ლექსებში გამოჩნდა მთელი თავისი მიმზიდველობით; ამ პეიზაჟს მოსიყვარულე მეგობრის თვალი გასცქერის, მეგობრის გული შეიგრძნობს და მეგობრის ხელი ხატავს. ასე გადმოგვცემს პოეტი ჩვენი დროის ყველაზე დიად იდეებს — ხალხთა შორის მშვიდობის, ჰუმანიზმის და პატრიოტიზმის იდეებს.

ზემოსხენებული ლექსი „პუშკინი და მიცკევიჩი“, ისე როგორც ლექსები გოეთეზე („გოეთეს საფლავთან“ და „მშვიდობის კარნავალი ვაიმარში“) მრავალმხრივ არის საყურადღებო: არც მიცკევიჩი, არც პუშკინი, არც გოეთე აქ აღებული არ არიან როგორც წარსულის პოეტები, ისინი თანამედროვენი არიან, როგორც ყანები ვისლასთან, ჯგჯილი იენასთან; ისინი გადასულან ხალხთა ცხოვრებაში, როგორც სულიერი ცხოვრების წარუკვეთელი ნაწილები.

გერმანიაზე დაწერილ ლექსებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ლექსები გოეთეზე, რომლებიც ჩვენ ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ. აქაც კვლავ გვხვდება ძველი დროის პოეტის შინ დაბრუნების მოტივი, რომელიც ამ ლექსებს საერთო დედაპირით აკავშირებს მთელ ციკლთან. პოეტი გერმანიაში იყო იმ დღეებში, როცა მოწინავე კაცობრიობა აღნიშნავდა დიდი გერმანელი მწერლის დაბადების ორასი წლისთავს. იმ დღეებში ვაიჰარის თეატრში გოეთეს „ფაუსტი“ იღებებოდა. ორი დამე დასჭირდა ამ ვეებერთელა ტრა-

გედის სცენაზე წარმოდგენას. აღწერს რა ამ დღეებს, პოეტი გვიჩვენებს, რომ სცენაზე ფაუსტის სიტყვებს ეხმაურება ახალგაზრდობის კარნავალი, რომელიც ვაიმარში გაიმართა. ფაუსტი იორიდან ეხმაურება დემოკრატიული გერმანიის ახალგაზრდობის სიცოცხლით სავსე ყოყინას:

კარნავალი ჰგავს უთვალავ აფრას  
და აფრებით შინ გოეთე ბრუნდება.

შესანიშნავია პეიზაჟი ვაიმარში, სადაც გოეთეს საფლავზე ცოცხალ ვარდებს აწყობენ. საფლავის ირგვლივ უთვალავი ცაცხვებია, ცაცხვების ყვავილებზე ფუტკრები ზუზუნებენ, სადაც წყაროზე პატარა წისქვილი ხმაურობს და თითქოს იღვიძებს თვითონ ფაუსტიც:

არხი სურს გადასკრას და დაშროს კაობა,  
შეებას ხოდაბუნს ფოლადის გუთანს  
და ცაცხვთან შრომობდეს თაფლისთვის ფუტკარი.

აქ გადმოცემულია ფაუსტური სულისკვეთება მარად წინ სწრაფვისა. „მშვიდობის კარნავალი ვაიმარში“ ფაუსტური მღელვარებით აღსავსე ლექსია. აქ დახატულია ნამდვილი გოეთე, რომელიც ხალხთან იყო და არის; ფაუსტების დროს ის გაძევებული იყო გერმანიიდან; დღეს კი, დემოკრატიული გერმანიის სახით პრეტმა კვლავ მოძებნა თავისი სამშობლო და მისი ფაუსტის უკანასკნელი მონოლოგი ისმის, როგორც პოეტის ანდერძი მომავალი თაობებისადმი.

ს. ჩიქოვანის ლექსების მთელ ამ ციკლში ძლიერად უღერს მშვიდობისათვის ბრძოლის თემა. მოწინავე კაცობრიობის სინდისი ვერ ურიგდება იმას, რომ აგრესიულ იმპერიალისტურ ქვეყნებში დღე-ღამე წარმოებს ომის, ძარცვისა და ძალადობის თავაშეებული პროპაგანდა, რომელიც დედამიწის ყველა პატიოსან ადამიანს მიაჩნია უმძიმეს დანაშაულად კაცობრიობის წინაშე. მშვიდობისათვის ბრძოლა — მთელი მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის საკუთარი, სასიცოცხლო საქმეა. ამას ხაზგასმით აღნიშნავს პოეტი თავის ლექსებში „ხმების შემკრები“, „მშვიდობის ესტაფეტა“, „საბჭოთა გეომარტი ბერლინში“, „მშვიდობის კარნავალი ვაიმარში“ და სხვ.

ლექსების მთელ ციკლში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ინტიმური ლირიკის მშვენიერი ნიმუშები — „მეგობრები“ და „შინ მონაწერი“, მაგრამ სიტყვა გავევიგრძელდა და ამ ლექსებზე აქ ვეღარ ვილაპარაკებთ.

საერთოდ მთელი ეს ციკლი არის მგზნებარე ჰიმნი მშვიდობი-  
სადმი, სიცოცხლისადმი; ეს ნაწარმოებები აფართოებენ ქართული  
საბჭოთა პოეზიის ჰორიზონტს, ამდიდრებენ მას ახალი თემებითა  
და სახეებით.

### პოემა გურამიშვილის ცხოვრებაზე

მიკოლა ბაქანი აღნიშნავდა, რომ სიმონ ჩიქოვანის „სიმღერა  
გურამიშვილზე“ „სამართლიანად ითვლება უკეთეს პოეტურ ქმნი-  
ლებად იმ ნაწარმოებთა შორის, რაც კი შეიქმნა საბჭოთა ლიტერა-  
ტურაში დიდი ქართველი პოეტის, სახელოვანი რუსი მეომრისა და  
შრომისმოყვარე უკრაინელი მიწისმუშის სახის უკვდავსაყოფად“.

და მართლაც, არსად ისე ნათლად არ გამოხატულა დავით გურა-  
მიშვილის უკვდავება, არსად ისე მძაფრად არ გვიგვრძნია მეთვრა-  
მეტე საუკუნის პოეტის სუნთქვა, როგორც სიმონ ჩიქოვანის პოე-  
მაში „სიმღერა დავით გურამიშვილზე“. ს. ჩიქოვანის ამ ნაწარმოებ-  
მა მთელ საბჭოთა ლიტერატურაში ყურადღება მიიქცია სწორედ  
იმის გამო, რომ აქ დავინახეთ მეტად თავისებური და ახლებური  
მიდგომა ისტორიისადმი, როცა ისტორია ნამდვილად ცოცხდება,  
გადმოდის თანამედროვეობაში, თვითონ ხდება თანამედროვეობად,  
როცა „ბნელში მდებარე“ და „დაღამებული“ გურამიშვილი, მისივე  
სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოდის ბნელი მღვიმედან გარეთ, ისევ  
თენდება მზიანი დილასავე და ისევ იწყებს მოგზაურობას თავისი  
ცხოვრების, თავისი უკვდავების დაუსრულებელ მარშრუტებზე.

ეს ახლებური გაგება ისტორიზმისა კარგად გამოხატა ლიონ  
ფოიბტვანგერმა, როცა აღნიშნა: „მე მინდოდა ყან-ყაკ რუსოს  
ცხოვრებიდან ამელო არა ფერფლი, არამედ ცეცხლი, რომელიც ანა-  
თებს და ათბობსო“. ფოიბტვანგერმა ეს შესძლო კიდევ — მისი  
რუსო („უცნაური კაცის სიბრძნე“), მისი გოია („გოია, ანუ შემეც-  
ნების ძნელი გზა“) თანამედროვე ადამიანები არიან, ჩაბმულნი კა-  
ცობრიობის დღევანდელ ბრძოლაში სიკეთისა და პროგრესისათვის.  
ასეა ჩიქოვანის პოემაც. არა ფერფლი წარსულისა, არამედ მარად  
მოგიზგიზე ცეცხლი ანათებს მის სტრიქონებში.

სიმონ ჩიქოვანის პოემას უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა  
აქვს ქართული ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით — აქ  
მეტად თავისებური და საგულისხმოა ის. თუ როგორ გადატყდა  
ის როცა თანამედროვეობის პრიზმაში და როგორ იქცა ის თანამედ-  
როვეობად; აქ ჩვენ მთელი ძალით კვლავ ვიგრძენით, თუ რატომ  
დასტრიალებს ადამიანი თავს წინაპართა საფლავებს, რა არის ცო-

ცხალი ამ ისტორიაში. და, აი, აღმოჩნდა, რომ წარსული მარტო ფერფლი და ნაცარი არ არის, რომ იმ ფერფლსა და ნაცარს ქვეშ ღვივიან გავარვარებული ნაღვერდლები, მარად გაუციებელნი. უიმათოდ ისტორიაც არ იქნება და ყოველი თაობა ხელახლა, თავიდან დაიწყებდა თავისი გვარის, ტომისა და ნაციის ისტორიას.

თაობათა უწყვეტ მემკვიდრეობითობის პრინციპზეა აგებული სიმონ ჩიქოვანის პოემა. ამ ნაწარმოებში პოეტი ბრუნდება XVIII საუკუნეში, რათა გურამიშვილთან ერთად იმოგზაუროს, დავითთან ერთად წაიყვანონ ტყვედ, მასთან ერთად დაქვარგოს პირიქითა კავკასიონის ღელეებში, კიტრი და საზამთროს ნაჭერი, მასთან ერთად გაიქცეს რუსებთან, მივიდეს მოსკოვში, მასთან ერთად ესაუბროს საბას ღრუბელივით თეთრ აჩრდილს, მასთან ერთად იომოს, იბრძოლოს პრუსიის ველებზე, მერე უთხრას აუგი უფალს ამ წუთისოფლის გამო; ერთი სიტყვით, გაიაროს გზა გურამიშვილისა, რომ მერე კვლავ დაბრუნდეს XX საუკუნეში და თან გურამიშვილიც წამოიყვანოს თავისსავე განახლებულ სამშობლოში; ასეთია ს. ჩიქოვანის პოემის დედააზრი და იქნებ ეს არის თვითონ დავითის ანდერძის ასრულებაც, მისი ნატერის აცხადება უკვდავებაზე.

და რაკილა ამ ასპექტში შეხედა ჩიქოვანმა შორეულ წინაპარს — მას ხელახლა უნდა წამოეჭრა ორივე დიდი საკითხი, რომლებიც დავითს აწვალებდა — ბედი სამშობლოსი და ბედი ადამიანისა ამ წუთისოფლად; ე. ი. პოემა უნდა გაშლილიყო ორ პლანში — პატრიოტულსა და ფილოსოფიურში; ეს ასე მოხდა და ს. ჩიქოვანმა იშვიათი სიმძაფრით უპასუხა ორივე კითხვაზე, ისე, როგორც შეიძლება უპასუხოს თანამედროვე საბჭოთა პოეტმა ამ საკითხებზე.

და კიდევ ერთი რამ: ამას წინათ ვ. გაბესკირიამ განოაქვეყნა საინტერესო წერილი — „მგოსნის ავტოპორტრეტი“, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ლექსში „დავით გურამიშვილის ხსოვნას“ ვაჟა-ფშაველამ თავისი ავტოპორტრეტი დახატაო. „ხსენებული ლექსი ავტოპორტრეტის ნიმუშად პოეზიაში იმის გამო მიმაჩნია, — წერდა ვ. გაბესკირია, — რომ სრულყოფილად გვაცნობს ვაჟა-ფშაველას ცხოვრებას. იდეალებს, მის დამოკიდებულებას პოეზიისადმი“.

ეს კეშმარტად ასეა ჩიქოვანის პოემაშიც. პოეტი, ლაპარაკობს რა გურამიშვილზე. ხატავს დავითის ცხოვრებას და იმავე დროს თავის სულში გვახედებს, თავის ავტოპორტრეტსა ხატავს. აქ არის მთავარი მომხიბვლელობა ამ პოემისა: ამავე დროს ეს მხარე ჩიქოვანის ნაწარმოებისა დამადასტურებელია იმისიც, თუ რაოდენ ორგანიულად მისდევს თაობა თაობას ლიტერატურის ისტორიაში და

როგორ გადადის დიდი ესტაფეტა სამშობლოს სიყვარულისა ხელი-  
დან ხელში საუკუნეთა მანძილზე.

სიმონ ჩიქოვანის პოემის შესავალშივე ვგრძნობთ, რომ პოეტი  
მარტო დავეითის კი არა, თავის სულიერ სამყაროსაც გვიშლის თვალ-  
წინ:

ფიქრი, ფიქრი შენსკენ ილტვის,  
შენ პერანგი გაგიპია,  
ტანჯვა როგორ გამოიქმას,  
ჩემი სიტყვა ღარიბია.

შენს ფურცლებზე დავივაკე,  
სად ანთებდი მწველ სტრიქონებს,  
აწურული იდეკა ცალკე  
და მწველი ხმა გამაგონე.

შენს მოტირილს მე ვისმენდი,  
ცად აპურობილს კეპლის ზოლად.  
შენი ცრემლის მელნათ ვწერდი,  
მშობელ მიწის გასაგონად.

ბევრი ბელტი გადავთელე,  
ენახე, სადაც ქე-თინებდი,  
შენს სტრიქონთან გაუათენე  
და საფლავთან ვიტირებდი, —

რომ არ იყოს შენი ბუდით  
გადასული ქართლის ჭირი,  
რომ არ იყოს ჩვენი ფუძით  
წარმომდგარი ხალხის გმირი.

ასე იწყება ჩიქოვანის პოემა; ამ პირველსავე ლექსში მთელი პოე-  
მის ლეიტმოტივია მოცემული, ამიტომ გამოჩნდნენ აქ ერთბაშად  
ორივენი — წინაპარიც და შთამომავალიც, პირველი — დამწუხრებუ-  
ლი, ხოლო მეორე — გახარებული იმით, რომ აქვს უფლება უთხ-  
რას დავეითს — ქართლის ჭირი გარდასულია, შენი სამშობლო თა-  
ვისუფალი, ლაღი და ამაყიაო.

ამ პირველსავე ლექსში დავეითის საოცრად მომხიბლავი სურათია  
დახატული:

წეროს დარად წიგნში მდგარი,  
ლოცულობ და მოსთქვამ კიდევც,  
სოველი და ნაწვიმარი  
გლოვას ველარ განერიდე.

წინათ ფრთები გაისწორე,  
ტყვედ ნამყოფი, ნაისარი,  
უკრაინას გაიყოლე  
საქართველოს ბედის ქარი.

მართლაც ასეთია გურამიშვილი იმ პორტრეტზე, რომელიც მან თავისივე ხელით ჩაუხატავს „დავითიანში“: წეროსავით დგას ხელაპყრობილი კაცი, ლოცულობს — ღმერთო, დამასწარ ზაფხულსაო, და ალბათ მოსთქვამს კიდევ, ისე როგორც მთელ თავის პოეზიაში. ჩიქოვანის ლექსში არის საოცრად მართალი და ზუსტი, პლასტიკური გამოხატვა დავითის სულიერი ცხოვრებისა და წეროსთან შედარება იმიტომ კი არ გაჩნდა პოეტის ფანტაზიაში, რომ დავითის ფიგურა ამ ნახატზე მართლაც რაღაცით მოგაკონებთ გასაფრენად გამზადებულ ამ ფრინველს, არამედ იმიტომ, რომ გურამიშვილის ლანდშა იმ წეროსავით ნაღვლიანი ყვირლით უნდა გასკრას საქართველოს ცის კამარა, დაღესტნის მთებში დაეშვას, მერე იქ ტყვედ ნამყოფი, ნაისარი ფრთები გაისწოროს, ისევ აიწიოს ლაყვარდებისაკენ, ისევ ნაღვლიანი ყვირლით შეეხმიანოს სამშობლოს მიწას, უკანასკნელად მოჰხედოს, გამოეთხოვოს და მერე უკრაინას გაიყოლოს ლოდვიით მძიმე დარდი საქართველოზე. აქ მთელი პორტრეტია გურამიშვილისა, ოსტატის ხელით გამოძერწილი განუმეორებელ პოეტურ სახეში.

ამ პირველ ლირიკულ მონახაზს მეორე ლექსში („ორმოში“) პოეტი საოცარი სიუხვით აყრის ახალ ფერებს, რომლებიც თითქოს უხილავად ელავენ ბნელ ხაროში, სადაც დავითია ჩამწყვდეული; აქ გაიღვებენ მოცვარული მწვანეც, მკათათვის სიცხით ჩაფიცებული ყანებიც და მთელი საწუთროს ყვავილებიც, რომლებიც გაფურჩქენილან სადღაც შორს და ტყვე-პოეტის თვალი მათ ეღარა სწევდებათ; ის მარტო ერთ კენტ ვარსკვლავს შესცქერის ცაზე და მის ყურს შორეული მიწის ძახილი ესმის:

პურის მკის ჟამი ხელახლა მოვა,  
მზეზე ამოდი, ნათელი ბიჭო.

ეს კოლორიტი მიწიურობისა, ცოცხალი ცხოვრების ღონიერი სუნთქვისა უფრო ძლიერდება მომდევნო ლექსებში, სადაც დავითს თავისი მოყვრის ყანა აგონდება, მწყურის ქვითქვითი, ღალის ჭუჭუკი და ნამგლის წყრიალი ჩაესმის; ხოდაბუნზე წვებიან ძნები, ხოლო მუხის ჩრდილში ცინცხალი წყარო ჩხრიალებს და ქორფა ბალახს სიცოცხლიან იავნანას უმღერის. მაგრამ უცებ ჰქრებიან ეს სურათები და ტყვე ისევ მორბის — ახლა მას რაღაც ხმები ესმის და

ვერ გაიგებ ეს მდევართა ფეხის ჩქამა, თუ შორეული გამოძახილი  
ლამისყანაში დარჩენილი სატრფოს მოთქმისა.

მწუხარებით სავსე ლექსში („დავით გურამიშვილი წვიმაში“) ეს  
მოთქმა უფრო გულმოსაკლავად უღერს; აქ თითქოს წვიმის ხმაუ-  
რიც გესმით და ის მთელი ქვეყნის მოთქმას ჰგავს.

ს. ჩიქოვანის პოემაში დამწიფებული, შემოსული პურის ყანა და  
კალო სიცოცხლის უკვდავ სიმბოლოებადაა გადაქცეული. კალო  
ჯერ შედარებულია აკვანთან, მერე მთელ ქვეყანასთან. ლამისყანის  
კალოდან მიწას მოწყვეტილი პოეტი ისევ კალოზე მიდის, რუხების  
კალოზე; ლექსებში „კალოზე მისვლა“, „პირველი ძმობილი“ ჩანს  
პირველი გამობრწყინება ხალხების იმ ურთიერთ სიყვარულისა. რაც  
პოეტის თქმისა არ იყოს, ყველაზე მეტად ამკობს ამ წუთისოფელს.

შემდეგ ს. ჩიქოვანის პოემაში ჩნდება ვახტანგ მეექვსე იმდრო-  
ინდელი მოსკოვის ფონზე და გადახვეწილი ქართველების „ლოდინი  
ვსესვიატსკოეში“.

ზამთარია, ზამთარია თეთრი,  
შემქვარტლული ლამა თუ უღრანია?  
მოლულენე ბუხარია ერთი,  
მამულზე რომ საუბარი უხარია.  
შვიდი წელი მიეთვლია ლოდინს,  
კიდევ ბევრი საფეთქელი გათეთრდება,  
გრძელი ღამე დასრულდება როდის  
და სამშობლოს მთავორებზე გათენდება.

დაუსრულებლად გრძელდება ეს ლოდინი არა მარტო სვენწყაში,  
არამედ უკრაინაშიც, და ამ ლოდინში იწერება „დავითიანი“, იესება  
ის ახალი ფერებით, ახალი ხმებით; ბუნებრივად შეერწყმიან და  
ერთიანდებიან წიგნში ქართული, რუსული და უკრაინული მოტივები.

ს. ჩიქოვანმა თავის პოემაში მთელი სიმჭაფრით აღძრა ის „წყე-  
ული საკითხებიც“, რომელსაც დავითმა თავისი „სიკვდილისა და  
კაცის შელაპარაკება“ მიუძღვნა; ჩვენ ზემოთ, როცა გურამიშვილის  
პოეზიას ვიხილავდით, უკვე აღვნიშნეთ, რომ პოეტისათვის ვიწრო  
იყო ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩარჩოები, რომ მას ვერ  
ანუგეშებდა ქრისტიანული დოგმა სულის უკვდავებაზე; ცნობილი  
ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი ავგუსტინე წერდა: „არავის ძა-  
ლუმს სამარადისო, უხრწნელი და უკვდავი ცხოვრება ისურვოს  
ისე, თუ არ მოიძულა ეს დროებითი, წარმავალი, ხრწნადი და მოკე-  
დავი ცხოვრება“. ასეთია ქრისტიანული მრწამსი, მაგრამ გურამიშ-  
ვილი ვერ გაპყვება მას, მას სწორედ ეს წარმავალი წუთისოფელი  
უყვარს და, ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ის „მუდმივი სამყოფელი“,



„მიღმა ქვეყანა“ სადაც, გულის სიღრმეში არცა სწამს. ის ამ ქვეყნის სიხარულს შესტრფის, დახარბებული ეძებს და გურამიშვილის სწორედ ეს სწრაფვა გამოხატა ს. ჩიქოვანმა ლექსებში „მეორე გაბაასება სიკვდილთან“, „უცნაური სურვილი“, „ცოცხალი მკლავი“.

განივილილთ ახლა ეს საკითხი.

ჩვენ უკვე გავეცანით გურამიშვილის პორტრეტს, რომელიც შესრულებულია ჩიქოვანის მიერ. ჩვენ თვალწინ წარმოსდგა მთელი სულიერი შფოთვა დავითისა, მაგრამ ამ პორტრეტში ისეთი შტრიხებიც დავინახეთ, რომლებიც გვაფიქრებინებენ, რომ ჩიქოვანის პოემის გმირს გამოუვლია XIX საუკუნეც და გადმოსულა XX საუკუნეშიც. ამით იმის თქმა როდი გვინდა, თითქოს ჩიქოვანმა გაათანადროულა XVIII საუკუნის პოეტი, თითქოს რაღაც ისეთი მიაწერა, რაც მას არ უფიქრია. არა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩიქოვანმა გვიჩვენა რა ყვაილები ამოვიდნენ იმ თესლიდან, რომელიც გურამიშვილმა მოაბნია გადახნულ მიწაზე; ამ ყვაილებს თვითონ დავითი არ მოსწრებია, მაგრამ მის დიდ საშფოთვარს, მის მღელვარებას XIX საუკუნემ მაინც რაღაც ახალი ფორმაც მოუძებნა და ამ ფორმაში იმავე გურამიშვილის აზრმა გაიბრწყინა. გურამიშვილი მსოფლიო პოეზიის მასშტაბებით აზროვნებდა, საკაცობრიო საკითხებს — სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებს აღძრავდა და ამ საკითხებს წყვეტდა ისე, როგორც XIX საუკუნის პოეტებმა გადაწყვიტეს.

ამ საკითხთა შორის იყო საკითხი სიკვდილ-სიცოცხლისა.

გ. პლენანოვი თავის წერილში „ტოლსტოი და ბუნება“ წერდა: „არიან ადამიანები, რომლებიც სრულიად არ განიცდიან განსაკუთრებულ შიშს იმის გამო, რომ თავის ღრობზე სავსებით შეუერთდებიან ბუნებას, სავსებით გაითქვიფებიან მასში. და რაც უფრო ნათლად შეიცნობენ ისინი... თავიანთ მთლიანობას ბუნებასთან, მით უფრო ნაკლებად საშიშია მათთვის ფიქრი სიკვდილზე. ასეთი იყო. ალბათ შელი, რომელსაც ეკუთვნის ღრმად პოეტური სიტყვები, წარმოთქმული ჯონ კიტსის სიკვდილის გამო: „ის შეუერთდა ბუნებას“. ასეთივე იყო ლუდვიგ ფოიერბახი, რომელმაც წარმოსთქვა ორტაეპელი:

ნუ გეშინია სიკვდილისა, შენ ხომ სამშობლოში იქნები:

ნაცნობ ქვეყანაში იქნები, რომელიც სიყვარულით ჩაგიხუტებს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ბუნება, მსგავსი კლარანის \* ბუნე-

\* ულამაზესი ადგილი შვეიცარიაში, სადაც ორა თვე გაატარა ლევ ტოლსტოიმ.

ბისა, განსაკუთრებით გააძლიერებდა ფოიერბახის გულში იმ გრძნობას, რომელმაც მას ზემოთ მოყვანილი ორტაეპედი წარმოატყვევინა. მაგრამ ასე არ იყო ტოლსტოის საქმე. მასში კლარანის ბუნება ამწვავებდა სიკვდილის შიშს... და თუ მის სულში, უკვდავების წყურვილთან ერთად ცოცხლობდა, შეიძლება ითქვას, ბუნებასთან თავისი ერთიანობის წარმართული გრძნობა, ამ გრძნობას იგი იქამდე მიჰყავდა, რომ მას არ შეეძლო ძველი ქრისტიანების მსგავსად თავი დაემშვიდებინა საიჭიოს უკვდავების შესახებ ფიქრით. არა, ასეთი უკვდავება მისთვის ძლიერ ნაკლებად მიმზიდველი იყო. მას უნდოდა ისეთი უკვდავება, რომლის დროსაც მარად იარსებებდა წინააღმდეგობა პირად „მე“-სა და ბუნების ლამაზ „არამე“-ს შორის. მას უნდოდა ისეთი უკვდავება, რომლის დროსაც ის მუდამ შეიგრძნობდა თავის ირგვლივ გავარჯარებულ ჰაერს, „ტალღა-ტალღა რომ წავიდოდა უსაზღვრო სივრცეში“ და „თვალწინ დაუყენებდა დაუსრულებელი ცის უძირო სილურჯეს“, მას უნდოდა ის უკვდავება, რომლის დროსაც იგრძნობდა „როგორ ბზუიან და ტრიალებენ ჰაერში მილიარდობით მწერები, დაფრინავენ კია-მაიები, ხოლო ირგვლივ გალობენ ფრინველები“\*. მოკლედ, მისთვის არაფერი არ იყო სანუგეშო ქრისტიანულ აზრებში სულის უკვდავების შესახებ. მას სხეულის უკვდავება უნდოდა. და იქნებ მისი ცხოვრების ყველაზე დიდი ტრაგედია იყო ის თვალსაჩინო კემშარიტება, რომლის მიხედვითაც ასეთი უკვდავება შეუძლებელია\*.

რაკილა პლენანოვმა აქ შელი გაიხსენა, ჩვენც ეს მაგალითი ავიღოთ და ვნახოთ, როგორ სჭრიდა ინგლისელი პოეტი ამ „წყევლაკრულვიან“ საკითხს — სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს. პლენანოვმა მარტო პირველი სტრიქონი დაიმოწმა შელის ელეგიის ორმოცდამეორე თავიდან, ჩვენ მოვიყვანთ მთელ ტაექსს (პროზაული თარგმანით):

\* აქ პლენანოვი იმოწმებს ტოლსტოის დღიურის შემდეგ სტრიქონებს: „მე მიყვარს ბუნება, როცა ის ყოველი მხრიდან გარს მარტყია და შემდეგ განფენილია უსაზღვრო სივრცეში, და როცა მე ვიმყოფები. მასში. მე მიყვარს, როცა ყოველი მხრიდან გარს მარტყია გავარჯარებული ჰაერი, ტალღა-ტალღა რომ მიიდას უსაზღვრო სივრცეში, როცა ის ქორფა ფოთლები ბალახისა, რომლებზეც ეიჯექი, წარმოქმნიან დაუსრულებელი ველების სიმწვანეს, როცა იგივე ფოთლები, ქარი რომ შეარხვეს, აათამაშებენ ჩრდილს ჩემს სახეზე, როცა იგივე ფოთლები შორეულ ტყის სილურჯეს წარმოქმნიან, როცა იგივე ჰაერი, რომლითაც თქვენ სუნთქავთ, კქმნის დაუსრულებელა ცის უძირო სილურჯეს. როცა თქვენ მარტო კი არ ზეიმობთ და ხარობთ ბუნებით, არამედ თქვენს ირგვლივ დაცოცავენ და ბზუიან მილიარდობით მწერები, ფრინავენ კია-მაიები და გალობენ ფრინველები“.

„ის შეუერთდა ბუნებას. ყოველ მუსიკაში — ჩიტების გალობაში ღამით, თუ მეხთა ტეხაში — ჩვენ გავიგონებთ მის ხმას. ყველგან ვიგრძნობთ მის აქ ყოფნას — შებინდების ჩრდილში თუ სინათლეზე, ვიგრძნობთ მას მცენარეებში, ქვებში“.

ასე წერს შელი ახლადგარდაცვლილი პოეტის — ჯონ კიტსის შესახებ.

ამავე იდეის გამოხატვას მიუძღვნა შელიმ „ოდა დასავლეთის ქარს“ და განსაკუთრებით ლექსი „ზაფხულის საღამო სასაფლაოზე“, სადაც ბუნების თავისებური პანთეისტური გაგების გამო, სიკვდილი ჩანს „რალაც ნაზი და ღბილი, რომელსაც დაუმაღავს ადამიანებისათვის მთელი თავისი საშინელებანი“.

ახლა ვნახოთ, როგორია გურამიშვილი ჩიქოვანის პოემაში; ის შელის მსგავსად გაერთიანებულია ბუნებასთან: გურამიშვილის წიგნი — ხმების წალკოტია. ხმები აქ ნუსის ყვავილებსა ჰკვანან, ხანაც ანთებულ სანთლებს. წიგნში მას ფუტკრის ზუზუნი ესმის, ხან მუხის შრიალი, რალაც საოცარი სახით შემობრუნდება ამ ლექსებში ჩვენსკენ გურამიშვილი და აქ ვგრძნობთ მისი პოეზიის ნამდვილსა და უზარმაზარ იდუმალ ძალას, მის უზარმაზარ სიყვარულს სიციხლისადმი და სწორედ ეს სიყვარული არ აძლევს მას მოსვენებას; ის ასე ებაახება სიკვდილს:

ჩემი ჩატევა აკვანში სცადეთ,  
კუბოს მაგიერ აკვანში ვიყო,  
რომ დასასრული დასაწყისს ჰგაედეს,  
სიკვდილის შემდეგ არ გავარიყო.

და, აი ყველაზე საგულისხმო ლექსი ამ მხრივ:

ჩემი სიკვდილი თუ მოვა მარტო,  
უნდა ვიყოდე სახება მისი,  
ის უნდა იყოს ზედმეტად სათნო  
და თავწაკრული მშობლიურ ნისლით.  
სიტურფით ჰგაედეს პატარძალს მონდა,  
ოსტატის მკლავი ამკობდეს კიდევ,  
ხელსაწყოდ ჰქონდეს ობოლი რითმა  
და თიბის ნაცვლად ჩუქურთმებს სკრიდეს.  
მარტოთ თუ მოვა ღამაზი იყოს,  
ვით ქალის თმებით შემკული ვაზი,  
მე დამამსგავსოს ეენახის ქაგოს,  
შემომეხვიოს ვაზივით ნაზი.  
წაილოს ჩემი სიციხელის ჩრდილი,  
წალკოტში დამრგოს გამრჯე მკლავებით,  
და მაშრილოს ღამე და ღილით  
ფართო ფოთლებით და ვარსკვლავებით.

განა ეს სიკვდილია? ეს ხომ ნამდვილი უკვდავებაა!

აი „უკანასკნელი დღე“. დაუფიწყარია შეგრძნობა ამ ლექსში დავითის სიკვდილისა: მზიანი დღეა, ჯერ ისევე დილაა, გარეთ, ეზოში ვაშლის ხეები ჰყვავიან, საიდანღაც წისქვილის დოლაბის ხმაურიც ისმის, ცოლი მეზობლებში გადასულა და ამ წყნარ, ჩვეულებრივ, ნაცნობსა და შეჩვეულ გარემოში უცებ შემოდის სიკვდილი. აღარ არის აღარც მზე, აღარც სინათლე, ღამდება უცბად; დილიდანვე ღამდება და დავითი ამ მზიან დილით ჩამოძვარა ღამის წყვილადში ამოდ ელის მამლის ყვილს, როქელსაც შეიძლება რიყრაყი მოჰყვეს. მაგრამ მალე მიხვდება, რომ მორჩა, ამიერიდან აღარ გაუთენდება, მისთვის აღარ იყივლებს აღარც მამალი, და მისი წუთისოფლის კალო, როგორც ხალხში იტყვიან ხოლქე, უკვე გაღეწილია. ს. ჩიქოვანმა სწორედ ამ ბრძნულ ხალხურ მეტაფორას მიმართა და მართლაც იგი ყველაზე ძლიერი სიმბოლოა დაუცხრომელი სიციოცხლისა.

მაგრამ მაინც არის ქვეყნად ბედნიერება: წინაპარი უნდა გაცოცხლდეს შთამომავლობაში, მომავალ თაობაში. ეს მტკიცედ სწამს გურამიშვილს და ეს რწმენა ასულდგმულებს მას.

ს. ჩიქოვანის პოემის ბოლო თავში, ლექსში „მეორე მინაწერი“ „დავითიანის“ ფილოსოფიური და ეროვნული მოტივები ერთ ასპექტშია აღებული:

მწარი სული არ გაღწევა ლოცვას,  
შენ მარადი შეგრჩენოდა აბედი,  
მოსწრებოდი ქართლში ბედის მოსვლას,  
უმღერებდი, გულით შეიყვარებდი.

დაგენახა მზე ზედაზნის თხემით.  
ვით მეზობლებს შემოპყრებდი სტრიქონებს  
და ეტყოდი: მოიწმინდეთ ცრემლი,  
მთელი ქართლი სიუცარულით გიგონებს.  
რუსეთის და უკრაინის გული  
ძმური გრძნობით საქართველოს დანათის  
მამ, გაეტეხოთ მეგობრულად პური  
და გრძნობები შევადღოთ მარადს.  
სად ჩავატეე ამ ცხოვრების ამბავს,  
რა დაეხატო, ან მოვითხორო რომელი!  
მირგოროდში ჩვენ ჩაეძახეთ საფლავს  
და ვერ ვამბობთ, ამოა სოფელი!

შენ ვერ იტყვი: ვახ, სოფელი მრუდევ!  
თუმცა გვალვით დათუთქული წვალობდი.  
წამოდექი, ნახე შენი ბედი  
და განგვბანე უკვდავების წყაროთ.

კაცობრიობის ისტორიის ახალი ეპოქის დამკვიდრებამ, სოციალიზმის გამარჯვებამ ძველი ქართველი პოეტის ყველა ტკივილს მალამო დაადო და მოაშუშა; სიმონ ჩიქოვანმა თავისი პოემის დასასრულში სწორედ ამას მიაქცია ყურადღება — აქ ყველაზე საგულისხმო ის არის, რომ პოეტმა გურამიშვილის ფილოსოფიურ სევდასაც მოუძებნა მალამო. საწუთროს ამოებაზე აღარ იჩივლებს პოეტი, რადგან გლოვას, სულთათნას სიცოცხლის მიმართ თავისი აზრი დაკარგული აქვს. სიცოცხლე ბრწყინავს მთელი თავისი დიდებულებით, ის გამარჯვებულია და მარად მოზვიმე.

## ალიო მირცხულავა

### ბიოგრაფიული თარიღები

ქალაქი მარტო ერთი გრძელი ქუჩისაგან შედგებოდა, რომელსაც პატარა ლელის — ჩხოუშისას გასწვრივ უზარმაზარი ქადრების ლამაზი ხეივანი გასდევდა, მეცხრამეტე საუკუნეში რომ გააშენა აქ პოეტმა რაფიელ ერისთავმა. ამ ხეივანს გარდა სხვაც ბევრი რამ სანახავი იყო ზუგდიდში, მარტო მიურატის სასახლე რად ღირდა, იქ ხომ იშვიათი სურათები ინახებოდა, უცხო ქვეყნებიდან ჩამოტანილი, თვით ნაპოლეონის დროინდელი, ვინ უნდა ჩამოსულიყო ზუგდიდში, რომ ეს სასახლე არ მოეკითხა და შორიდან დიდხანს არ ეთვალიერებინა.

მაგრამ თხუთმეტი წლის ბიჭს, ზუგდიდის გიმნაზიის მოსწავლეს გული მიურატის ამ სასახლისაკენ კი არა, მიხა საჯაიას წაფეობებული ოდისაკენ მიუწევდა. იქ ეგულებოდა ყველაზე უფრო სანუკვარი რამ და მთელ თავისუფალ დროს მიხას ოდაში ატარებდა. მასპინძელიც მიჩვეული იყო მის ხმარ მოსვლას და როცა ბიჭი დაიგვიანებდა, მალიმალ გზისაკენ ცქერას დაიწყებდა ხოლმე, როცა ის კიშკარს შემოაღებდა, მიხა მხიარულად გადასძახებდა:

— მოხვედი ღურჩე\*? სად იყავი აქამდე?

ღურჩე ოდაში შევარდებოდა და როგორც დამშეული კაცი საკმელს, ისე დააცხრებოდა მიხას ბიბლიოთეკას. ვეჭილს კი მართლაც მშვენიერი ბიბლიოთეკა ჰქონდა — მიჯრით მიწყობილი იყო ერთმანეთზე პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, დოსტოევსკის, ტურგენევის, ნეკრასოვის, შექსპირის, შილერის, მოლიერის, შელის, ჰაინეს, და კიდევ ვინ მოსთვლის, რომელ მწერალთა მდიდრულად

\* ღურჩე — თეთრთავა (მეგრ.).

გამოცემული ტომები, ოქროთი ამოტიფრული ყდებით. იქვე ეწყო ღარიბულად გამოცემული წიგნები ქართველი მწერლებისა. ხარბად დააცხრებოდა ხოლმე ბიჭი ამ წიგნებს, ვიდრე ვეკილი თავზე არ წამოადგებოდა და თავის ბატიფებსურით ნაბლაჯნ არზას არ 'შეაჩეჩებდა — გადაძინწერე, შენ კარგი ხელი გაქვსო. ბიჭიც გადაუწერდა და იმ დღის ბეგარა მოხდილი იყო, ვეკილი სასამართლოში გასწვედა თავის წუთისოფელივით არეულ-ღარეული და გაუთავებელი საქმეების მოსაქანარაკებლად, ბიჭი კი ახლა სულ მარტო რჩებოდა იმ წიგნებთან, ჩაიკეტებოდა და ვიღას ახსოვდა მაშინ ზუგდიდი, ვიღას ახსოვდა, რომ გარეთ 1919 წელი იყო, რომ ქალაქში არ იყო სურსათი და ერთადერთ თორწნესთან გრძელი რიგები იდგა. აღარაფერი აღარ ახსოვდა გიმნაზიის მოწათეს — ის ხან პუშკინის ლექსების ჯადოსნურ სამყაროში იყო, ხან ჩუმად ყურს უგდებდა შელის „ოზიმანდიას“ მომხიბლავ მელოდიას, ხანაც მოლიერს ჩაუჯდებოდა და თავბრუს დახვევამდე კითხულობდა.

ერთხელ ის ჰაინეს ლექსს „სიზმარს“ წააწყდა, წაიკითხა და თითქოს რაღაც ნაცნობად მოეჩვენა. არა, აქამდე ეს ლექსი არ წაუკითხავს, მაშ რატომ ეჩვენება ნაცნობად? და ბიჭს უცებ ახსენდება ქართული ხალხური „წუხელი სიზმარი ვნახე, ნეტავ დედა რაო?“ იმ სიზმარში ჭაბუკს ეჩვენება, რომ ალვის ხე წამოქცეულა, დედანს ეკითხება, ეს რას ნიშნავსო და დედა ტირის — ეს შვილო შენი ტანიაო; წყალს რაღაც კიდობანი მოაქვს და შვილის კითხვაზე „ნეტავ დედა რაო“, დედა უპასუხებს — „შვილო, შენი კუბო არის, ვაჰ, შენს დედასაო“; მერე რაღაც მორღვეულ მიწას დაინახავენ და შვილის კითხვაზე დედა უპასუხებს, — „შვილო შენი სამარეაო“. სულ ასე იყო ჰაინეს იმ ლექსშიც: იქაც სიზმარი იყო და სიზმარში ჭაბუკი ლამაზ ბაღში იმყოფებოდა. იმ ბაღში უცნობი ქალწული თეთრ, ტილოსა რეცხავს, როცა ჭაბუკი ეკითხება, — რად გინდა რომ რეცხავო, ის უპასუხებს — ეს შენი კუბოს სუღარააო; მერე ნაჯახის ცემის ხმა ესმის ჭაბუკს და როცა კითხულობს, — რათა სჭრით ხესო — უპასუხებენ — ფიცრები გვინდა შენი კუბოსათვისო; ბოლოს ბაღში წააწყდება ადამიანებს, რომლებიც მაღალ ორმოსა სთხრიან და აქაც კვლავ ეტყვიან. — ეს შენი სამარეაო.

ჰაინეს „სიზმარის“ ამ საკვირველმა მსგავსებამ ქართულ ხალხურ ლექსთან ჭაბუკი გააოცა. მან გადაწყვიტა ეთარგმნა ეს ლექსი.

ერთხელ, მიხა სასამართლოდან რომ დაბრუნდა, ბიჭმა ქალაღდი გაუწოდა და ვედრებით უთხრა — წაიკითხეო. ვეკილმა დაჰხედა, ლექსი იყო, სათაურად წარწერილი ჰქონდა — „სიზმარი“, ჰაინედან.

მიხამ ჩაიკითხა თარგმანი, მოეწონა, მერე ერთ წუთს ჩაფიქრდა და უმცროს მეგობარს უთხრა:

— იცი, ბიჭო, რას გეტყვი... მე მომწონს, მაგრამ, რა ვიცი... აქეთ რომ მოვიდიოდი, წელან ბაღში ლეო ქიაჩელი დავინახე... წამომყევი, ვახვენოთ, ვნახოთ, რას იტყვის...

მალე ორივენი ქუჩაში იყვნენ.

ლეო ქიაჩელი ბაღში მათ შორიდანვე დაინახეს, მაგრამ ბიჭს ახლა თითქოს მუხლებმა უმტყუნეს, ცოცხალ მწერალთან მიახლოება ვეღარ გაბედა და რამდენი არ ეხვეწა ვეჭილი, ფეხი ვეღარ მოაცვლევისა. მერე თავი მიანება გაჯიუტებულ და დამორცხვებულ ბიჭს და თვითონ გასწია ქიაჩელისაკენ. შორიდან ხედავდა ბიჭი, როგორ ჩამოართვა ვეჭილს ლეომ ის ქალაღი, თვალბთან სულ ახლოს მიიტანა, ერთხანს იკითხა, მერე რაღაც საუბარი გააბეა. მერე მისკენ გამოიხედეს, აქეთ გამოსწიეს. მაგრამ ჰაინეს მთარგმნელმა გაქცევით უშეღა თავს. მეორე დღეს კი მიხა თავის უმცროს მეგობარს ასე უწყებოდა:

— პაიტ, შე გლახაკო, შენა, სად გაიქეცი... შენი ლექსი ლეოს ძალიან მოეწონა... შენი გაცნობა უნდოდა, შემოგითვისა, წერა უქველად განაგრძოსო. მისგან კარგი პოეტი დადგებაო. გვარიცა მკითხა შენი, ვუთხარი ხორგელი მირცხულავა არის-მეთქი...

არ ეგონა ხორგელ მირცხულავას თუ „ტარიელ გოლუას“ ავტორი მის პირველ ნაწარმოებს ასე გულთბილად შეხვდებოდა. ეს მისთვის ძლიერი სტიმული იყო, ეს თითქმის უკვე მისი ლიტერატურული ნათლობა იყო.

ასეთი იყო პირველი ნაბიჯი პოეტი ალიო მირცხულავასი.

ალიო მირცხულავა დაიბადა 1903 წელს, 28 აპრილს (ძველი სტილით), სოფელ ხორგაში, საკმაოდ შეძლებულ ოჯახში. ლიტერატურისადმი სიყვარული მას ჯერ კიდევ თავის ოჯახში აღეძრა, პაპის — ნიკოლოზის ზეგავლენით, რომელიც თავისი დროისათვის საკმაოდ მოწინავე გლახაკი იყო. მისი ოჯახი განთქმული იყო სტუმართმოყვარეობით — ვის არ ნახავდით აქ. ბავშვი გულმოდგინედ ისმენდა დარბაისელ სტუმართა დინჯ საუბარს იმ დროთა ვითარებაზე, ომზე. მთელ მსოფლიოში რომ ბობოქრობდა... ლიტერატურაზე.

ხორგის პირველ დაწყებითი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ბავშვი ფოთის საქალაქო სასწავლებელში შეიყვანეს, შემდეგ ზუგდიდის გიმნაზიაში, აქედან კვლავ ფოთის გიმნაზიაში გადადის, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებს მოწაფეთა ხელნაწერურნალ „ჩირაღდანში“. 1920 წელს, მენშევიკების ბატონობის ხანაში, ის კომკავშირის არალეგალურ ორგანიზაციაში შედის და აქტი-



ურად იბრძვის, რათა მოსწავლე ახალგაზრდობის რაც შეიძლება ფართო წრეები მიიზიდოს და დარაზმოს მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1921 წელს ალიო მირცხულავას უკვე თბილისში ვხვდავთ, ის საქართველოს კომკავშირის პირველი ყრილობის დელეგატია ხობიდან, ამავე ხანში იგი გადმოდის თბილისში საცხოვრებლად და მუშაობას იწყებს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში ბექდვითი სიტყვის განყოფილების მდივნად, პარალელურად სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე; 1923 წელს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მივლინებით ალ. მირცხულავა მიდის მოსკოვს, ვ. ბრიუსოვის სახელობის ინსტიტუტში. ვ. ბრიუსოვი იყო ამ ინსტიტუტის რექტორიც და ლექციებსაც კითხულობდა პოეტიკაში. ამავე ინსტიტუტში სწავლობდნენ ა. ბეზიმენსკი, ვ. გოლცევი, ი. უტკინი, ჯ. ალტაუზენი, მ. სვეტლოვი. ინსტიტუტის ხშირი სტუმრები იყვნენ გორკი. მაიაკოვსკი, ესენინი, ასეევი, სელვინსკი. ისინი გამოდიოდნენ მსმენელთა წინაშე თავიანთი ახალი ნაწარმოებების კითხვით. ყოველივე ამან, მთელ ამ ატმოსფერომ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ალიო მირცხულავას შემოქმედებაზე. ამ დროისათვის ის საქართველოში უკვე ცნობილი ახალგაზრდა პოეტი იყო.

საქართველოში დაბრუნებისთანავე ალიო მირცხულავა უფრო აქტიურად ებმება მჩქეფარე ლიტერატურულ ცხოვრებაში: წლების მანძილზე ის სათავეში ედგა საქართველოს მწერალთა კავშირს, იყო რედაქტორი ჟურნალ „მნათობისა“, სამამულო ომის წლებში პოეტმა ინახულა ჩვენი მებრძოლები მოსკოვის მისადგომებთან, იყო ჩრდილო-კავკასიის ფრონტზე, შემდეგ შეჰყვა ჩვენს გამარჯვებულ ჯარებს ახლად განთავისუფლებულ ჯარკოეში. ვრცელი ციკლი მისი ლექსებისა, რომლებიც მიძღვნილია სამამულო ომისადმი, აღსაესეა იმ ცოცხალი და განუყოვრებელი შთაბეჭდილებებით. რომლებიც პოეტმა ბრძოლის ველზე მიიღო.

ალიო მირცხულავა დღეს კვლავ ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას.

### პირველი ნაბიჯები

ალიო მირცხულავას პოეზიის პოპულარობა თავიდანვე, პირველი ლექსების გამოჩეყნებისთანავე განსაზღვრა იმ გარემოებამ, რომ მკითხველმა მასში რაღაც ახალი დაინახა, რაღაც ახალი და იმავე დროს მახლობელი, თითქოს ნაცნობი, სულიერად მონათე-

სავე ხმა გაიგონა; ამ ხმამ მას გაახსენა ძველი ქართული მოქალაქეობრივი პოეზიის ხმა.

ალიო მირცხულავას შემოქმედების ნოვატორული მნიშვნელობის ამოსაცნობად საჭირო იქნება გავიხსენოთ, რომ სწორედ იმ ხანებში, ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ქართულ მწერლობაში ჯერ ისევ მაგრად ჰქონდათ ფესვები გადგმული დეკადენტურ მიმდინარეობებს. დეკადენტები ცდილობდნენ ხალხისათვის დაემტკიცებინათ, რომ ჭეშმარიტი პოეზიის გზა ის კი არ იყო, რომელსაც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ადგენენ, რომ პოეზიის საგანი სინამდვილე კი არ იყო, არამედ მიღმა სამყარო; თავიანთ ლიტერატურულ მანიფესტებში ისინი აცხადებდნენ, რომ „ბოლოს და ბოლოს ხელოვნება იმდენად არის მისაღები, რამდენადაც ის იძლევა საიქიოს წინათგარძნობას“. ამ საფუძველზე დეკადენტები ქადაგებდნენ სუბიექტური იდეალიზმის, მისტიკის, რელიგიის იდეებს; ყოველივე ეს იყო ანარქელი იმ 'საშინელი არევ-დარევის, ქაოსის, მოუწესრიგებლობის, რომელიც შინაგანად ღრღნიდა მენშევიკურ რეჟიმს.

მაგრამ აი დაიბადა ახალი საქართველო, საბჭოთა საქართველო და მას თავისი პოეტი სჭირდებოდა, რომელსაც განათვისუფლებული ხალხის ყველაზე უგულთადრის მისწრაფებანი უნდა გამოეხატა; მას უნდა გაერღვია და გაეთანტა ეს ბუურუსი. ეს ნოვატორული როლი ისტორიამ არგუნა ახალგაზრდა პოეტთა მთელ თაობას, რომელთა შორის ალიო მირცხულავას შეიძლება პირველი ადგილი მივაკუთვნოთ. ამიერიდან იწყება ცხარე ლიტერატურული ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, დეკადანსსა და რეალიზმს შორის და მირცხულავას პირველი ლექსებიც ამ ბრძოლის უაღრესად საინტერესო დოკუმენტებს წარმოადგინენ.

ცხადია, არ იქნებოდა სწორი იმის თქმა, თითქოს ეს ახალი თაობა სრულიად შიშველ ნიადაგზე გამოვიდა და სრულიად მარტოდ-მარტო იწყებდა ახალი ლიტერატურის შექმნას. როგორც სავესებით სამართლიანად აღნიშნავენ ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსები, „ამ პერიოდის ქართული საბჭოთა მწერლობის განმტკიცებას, გარდა პროლეტარული მწერლობის ძველი და ახალი თაობის მოწინავე წარმომადგენლებისა. ხელი შეუწყვეს იმ მწერლებმა, რომლებიც ლიტერატურულ ასპარეზზე რევოლუციის წინა პერიოდში გამოვიდნენ, მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში გამარჯვებულ ქართველ საბჭოთა ხალხს ამოუდგნენ მხარში და მასთან ლიტერატურული თანამშრომლობის გზას დაადგნენ“. ამ მწერალთა შორის პირველ რიგში უნდა დავა-

სახელოთ გალაკტიონ ტაბიძე, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში პირველმა უმღერა დიდ ოქტომბერს. 1922 წელს გ. ტაბიძე წერდა:

„ჩვენ ყოველთვის ვყოფილვართ ხალხთან, მაგრამ მომავალში მეტი სითამამით უნდა ვტრიალებდეთ ხალხში, ჩვენ მივცემთ ხალხს ყველაფერ კეთილშობილურს, ახალ ეთიკას, ახალ წინასწარმეტყველურ განათლებას. ჩვენ იქ მოვნახავთ ახალ ადამიანებს, რომელთაც ეზიზღებათ ყოველივე არაესთეტიკური და მახინჯი, სწყურიათ თვითონ გადაიქცნენ ხელოვნების ნაწარმოებად. ჩვენი დაახლოება ხალხთან გვაჩვენებს, როგორი სიხარბით ეწაფება იგი ყოველგვარ მხატვრულ სიტყვას. ხალხის სახელით ჩვენ უნდა უარყოთ კაფეშანტანების პოეზია, იგი დამახასიათებელია საშინლად დაცემის მდგომარეობის ხანის, დეკადანსის. აქ პოეზია გადაქცეულია „სკანდალების“ ხელოვნებად, ისეთი ხალხის გამართლებად, რომელთაც არავითარი მორალური იდეოლოგია არ ახასიათებს. სრულიად უნდა გავათავისუფლოთ აგრეთვე იგი კონსერვატორიზმისაგან, რომლითაც ნაწილობრივ შებოჭილია თანამედროვე შეგნება. ნამდვილი პოეტები იყვნენ ხალხში და იცოდნენ, წინასწარვე გაზომილი ჰქონდათ თავიანთი მიზნები; შედიოდნენ რა ახალ ტაძარში, არ ცდიდნენ მას, რაც დაცდილია; რასაც ამბობდნენ სიტყვით, ასრულებდნენ საქმიანად და ყველაფერი ნათლად ამტკიცებდა ასეთი გამოსვლის თანმიმდევრობას. საუკუნე მომწიფებულია მათთვის, ვინც მიდის ხალხში, სუკუნე გათენდა მათთან ერთად“.

აღიო მირცხულავას პირველი ლექსები მოწმობენ, რომ ჰაბუკი პოეტის ბრძოლა პირველ რიგში ისახავდა მიზანს — დაებრუნებინა რეალიზმისათვის მისი კახონიერი უფლებანი, დაებრუნებინა მისთვის დროებით წართმეული პოზიციები. ოდესღაც, მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეებმა დაიწყეს იმით, რომ ბრძოლა გამოუცხადეს უიდეო, სენტიმენტალურ ლირიკას, სინამდვილეს მოწყვეტილ ხელოვნებას; ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, შემდგომში ვაჟა-ფშაველამ განამტკიცეს პოეზიაში ის მზარდი რეალიზმი, რომელიც ხალხის სულიერი წიაღიდან იყო ამოზრდილი; მთელმა მეცხრამეტე საუკუნემ ისე გაიარა, რომ ამ კლასიკურ რეალიზმს ჩვენში წინ ველარავინ აღუდგა: პოეტი მიჩნეული იყო მებრძოლად, ხალხის ჭირისა და ლხინის მოზიარედ...

ქართული მწერლობის სწორედ ამ გზიდან გადაცდენა სცადეს დეკადენტებმა მეოცე საუკუნის პირველ ორ ათეულ წლებში და ამასვე განაგრძობდნენ 20-იანი წლების დასაწყისშიც; სწორედ

ამაზე მიუთითებს გ. ტაბიძე, როცა ხალხთან დაახლოებაზე ლაპარაკობს, ამავე მისწრაფებითაა გამსჭვალული ალიო მირცხულავას ლექსი „უნაყოფო ფიქრი“ (1921); ეს ერთგვარი მანიფესტია პოეტისა, სადაც იგი ჰგმობს სინამდვილიდან გაქცევას, ჰგმობს მათ, ვინც მიწას სიძულვილით არიდებს თვალს. ამასთან აღიარებს, რომ მიწაზე ახლა მოვიდა ნამდვილი გაზაფხული, რომელსაც არა მწუხარე მოთქმა, არამედ ლაღი სიძღერა და აღტაცების ყიფინა შეჟფერისო.

პოეტს უკვე ნათლად აქვს გარკვეული თავისი გზა, ეს ხალხის გზაა, რევოლუციის გზაა. იმავე ხანებში ალიო მირცხულავა აქვეყნებს ლექსს „ავტოპორტრეტი“ (1923), რომელშიაც წერს:

დღეს ჩემი სიტყვა  
ახალია და უჩვეულო,  
ჩემს სიმღერაში  
არც ბოდვია, აღარც წუხილი, —  
ცეცხლიან ფრთებით  
ინავარდე, სულო რჩეულო,  
ვებრძოლოთ ბნელეთს,  
შენ ელეა ხარ და მე — ქუხილი.

ბერის თქმა მინდა,  
ვატყვი კიდევ, მიუფრინავ ეტლით,  
წინ გამაქანეთ, გამაქანეთ  
ბედის რაშებო, —  
ამ ცხოვრებაში მე რაც მიყვარს,  
მე რასაც ვებრძვი,  
ეს მხოლოდ თქვენ ხართ,  
მომავლის გარიერაებო!

აქ უკვე მეორე მოტივიც გამოჩნდა — რეალიზმის საღ გრძნობასთან ერთად კეთილშობილური წინსწრაფვა მომავლის გარიერა-ეისაკენ. — ეს იყო რომანტიკული მგზნებარება, რომლითაც განთქმულია ალიო მირცხულავას მთელი პოეზია.

მაგრამ არსად ისე მკაფიოდ არ გამოუხატავს ალიო მირცხულავას როლი და ფუნქცია ახალი პოეზიისა, როგორც ლექსში „პოეტიკაპიტანი“ (1926 წ.). ეს იყო მართლაც საპროგრამო ნაწარმოები პოეტისათვის.

ამასთან, ალიო მირცხულავას ლექსებში თავიდანვე მძლავრად ისმოდა საბჭოთა პატრიოტიზმის, სამშობლოს სიყვარულის მგზნებარე ხმა. ლექსში „მიმართვა პოეტებისადმი“ (1923 წ.), იგი წერდა:

თქვენ პოეტებო, თუ წერთ ქართულად,  
 თუ განდათ რეკდეს სიტყვა ქართული,  
 წერეთ ლექსები წელგამართულად,  
 წერეთ ლექსები წელგამართული.  
 ჩვენც სხვებთან ერთად მიეყვებით დროჟამს,  
 ჩვენც ერთი მზისქვეშ მსოფლიოს ვეძებთ,  
 და ხელოვნების საკუთარ დროშას  
 ჩვენც, ჩვენც ავიტანთ მის სიმალღეზე.  
 ჩვენც ბრძოლის დროშა გვათბობს ალასებრ,  
 გვესმის ოქტომბრის მძლავრი გუგუნო,  
 ჩვენც გვაფრთოვანებს და გვახალისებს  
 მხნე გულისძგერა ამ საუკუნის.

ეს არ იყო შიშველი მოწოდება; პოეტმა იმავე დროს სცადა ეჩვენებინა ახალი საქართველო — თავისი განუმეორებელი ნაციონალური კოლორიტით, ეჩვენებინა, როგორ მძაფრად იჭრებოდა ახალი, სოციალისტური არა მარტო ქართულ ყოფაში, არამედ პეიზაჟებშიც.

ამ ჯანსაღ და გულწრფელ პატრიოტიზმთან, როგორც ყველგან და ყოველთვის ჩვენს საუკუნეში, განუყრელად არის დაკავშირებული პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობა, სიყვარული მსოფლიოს ყველა ხალხისადმი, რომელთაც ჩვენს დროში გამოიღვიძეს, ეს მოტივიც თავიდანვე მძაფრად გახმაურდა ალიო მირცხულავას ლექსებში. თავის ლექსში „მგზავრობა საპარაჟში“ (1923 წ.) პოეტი მიესალმება შავი აფრიკისა და შორეული ინდოეთის ხალხებს, მიესალმება და იმ ქვეყნებში რევოლუციის „სამუშის აგუგუნებას“ ნატრობს; ის ოცნებით მოგზაურობს ამ ქვეყნებში, ქარავანს მისდევს ქვიშიანებში ჩაკარგულ ცხელ გზებზე:

ჩნა გიხაროდეს  
 ვრცელ აფრიკის და ინდოეთის,  
 და აქლემებით ცხელ ქვიშაზე გახმაურება,  
 ამ უდაბნოში შავ ტომებთან  
 მოველ პოეტი,  
 რომ წითელ მხედარს  
 ძმა მიწოდონ აქაურებმა.

ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა ლექსი „რიქშა“ (1927 წ.). შესანიშნავად, მძაფრი, პლასტიკური და ხელშესახები სახეებით არის დახატული მასში პორტრეტი დამონებული ჩინელისა, რომლისათვისაც ეს წუთისოფელი მართლაც ბნელი და უსამართლო იყო; ამ ლექსის სტრიქონებიდან ჩვენს წინაშე წარმოსდგება მტვერ-

ში ამოსვრილი, გაოფლიანებული, ეტლში პირუტყევით გაბმული ადამიანი, რომელსაც ქუჩაზე კენებით მიჰყავს ევროპელი ბატონი, ნებიერად რომ ზის ეტლში და სიგარაბ აბოლებს. რიქმას ტიტველ ზურგს მზე სწვავს, ევროპელს კი ხელში ქოლგა უჭირავს, და პოეტი ბოლოს მოუწოდებდა დაჩაგრულ ჩინელ მოძმეს:

თუ ეს ქვეყანა დასაგმობია,  
დასამსობია და სატილო,  
მონურ ცხოვრებას, ძმავო, სჯობია,  
რომ ხელში თოფი დაატრილო,  
შენც წაშოდეჟი, ჩანელო ძმავო,  
მოკიდე ხელი ხმალს და იარაღს,  
ღროა ცრემლები სისხლში გასცვალოს  
ოხრად შობილმა ადამიანმა.

ამ ლექსის დაწერიდან თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ, 1956 წელს ალიო მირცხულავამ იმოგზაურა ჩინეთში და საკუთარი თვალით იხილა, როგორ გადაიგდო ჩინეთმა დასაველეთის იმპერიალიზმის უღელი. პოეტმა დაწერა ვრცელი ნარკვევი „მოგზაურობა ჩინეთში“, რომელშიაც, ამეამად უკვე პროზის ენაზე მოგვითხრო, თუ როგორ განხორციელდა ის ნატერა, რომელსაც საუკუნეებით გულით ატარებდა ჩინელი და რასაც შესტრფოდა ქართველი პოეტიც თავის კაბუჯურ ლექსებში.

ასე სწვდება ქართული ნაციონალური ტრადიციებიდან, ქართული წიალიდან წამოსული პოეტის თვალი მთელ მსოფლიოს, ცდილობს ყური დაუგდოს მსოფლიოს ცხოვრების მაჯისცემას. ეს ფართო ისტორიული მასშტაბი შემთხვევითი არ არის მისთვის — ამიტომ წერს აფრიკის ხალხებზეც, ჩინეთზეც, იმავე ხანებში აქვეყნებს ლექსს „ბერლინის ტუსალ ქალთა სიმღერას“ (1922 წ.); ქალაქები გადასძახიან ქალაქებს ერთი მატერიკიდან მეორეზე, დაჩაგრულნი ძმურად უწვდიან ხელს ერთი-მეორეს, ერთი მზისაკენ ისწრაფვიან, თავისუფლების მზისაკენ, რომლის შუჭი ლენინის წიგნებიდან ამობრწყინდა. ამ ფონზე ხატავს პოეტი ლენინის სახეს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ლექსი „ლენინი ჩვენს საქმეში“ (1927 წ.), აქ ლენინის სახე ელავს და კრთის მსოფლიოს ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის შუქში.

ყოველგან ბრძოლების  
მედგარი ხმებია,  
სისხლა გადაჰკვიც  
ზღვაზე და ხმელეთზე,

ტყეების, წამლების  
კვამლები დგებიან  
რისხვით და მუქარით  
ამართულ ხელებზე,  
ბღაველით მოსულან  
აფრიკის მფარველად  
მებრძოლა ზანგები  
და მიწას ლებავენ,  
ბარიდან ბარამდე  
სკდება ყუმბარებად  
ხალხთა გულისწყრომა  
და ამბოხებანი.

უკვე ამ პირველ პერიოდში პოეტი მრავალფეროვანი, მჩქეფარე და სისხლჭარბი შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს, ფართოა მისი თემატიკაც, მისი ძიებებისა და ინტერესების სფეროც. ის პირველ რიგში მებრძოლია, ახლის მშენებელი, მაგრამ ნამდვილი მებრძოლისათვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის. ამიტომ ის იმავე დროს გატაცებით წერს ლირიკულ ლექსებს, რომლებშიც უმღერის სიყვარულის უნაზეს გრძნობას, აქ უნდა გავიხსენოთ მისი „ლოდინი“ (1925 წ.), სადაც საოცარი სულიერი თრთოლვით არის ნაჩვენები მწუხარება ქალისა, რომელსაც ბედმა არ გაუღიმა. უკვე ამ პირველ პერიოდში პოეტი ამქადავებს მიდრეკილებას ეპიკური ჟანრისაკენ. ამაზე მეტყველებს მისი პირველი პოემა „ურამული“ (1925 წ.); მასში მშვენივრად არის დახატული ტყე ღამით, მეურმის სიმღერა რომ ეფინება ჩაძირულ მიდამოს; კარგადაა გამოკვეთილი ყაჩაღისა და მეურმის სახეებიც.

„აი ადამიანში“ (1928 წ.) პოეტმა გვიჩვენა თავისი ტალანტის კიდევ ერთი ახალი მხარე — მძაფრი სატირის გრძნობა; აქ პოეტმა ამხილა ობივატელი, გამოჰკვეთა დასრულებული სახე ადამიანისა, რომელსაც თავისი პირუტყვეული არსებობის გარდა სხვა მიზანი არ გააჩნია, მაგრამ ისეთ ნიღაბს იფარებს, თითქოს დღედაღამ საერთო და საზოგადო საქმეზე ფიქრობდეს.

ასეთი იყო ძირითადი მოტივები ალიო მირცხულავას პოეზიისა მისი შემოქმედების პირველ პერიოდში.

### ლექსი ომის დროს

უჩვეულო მღელვარება იპყრობს მკითხველს, როცა ხელახლა გადაიკითხავს იმ ლექსებს, ომის ცხარე დღეებში რომ იწერებოდა. მართლაც რა დიდი ძალა მისცა ჩვენმა სამშობლომ, პარტიამ თავის პოეტებს, შეძლებინა მათ ცხადასაორმოცდაერთი წლის ღრუბლე-

ბით მოქმედებულ ცაზე, ამ ღრუბლებს იქით დაენახათ გამარჯვების ნათელი სხივები, დაენახათ ჩვენი სამშობლოს ბრწყინვალე გამარჯვება თვით იმ დღეებშიც კი, როცა ლვოვთან და სტარაია რუსასთან ჩვენი ჯარები უკან იხევდნენ. მაგრამ თუ ჩვენ არ გავითვალისწინებთ ბუნება სოციალისტური რეალიზმისა, ისე ამ მოვლენაში ვერ გავერკვევით. სწორედ ეს რეალიზმი აძლევს მწვერალს წინასწარ განქვერეტის უნარს, აიარალებს მას მოვლენათა განვითარების ანოცნობის ტალანტით; ამიტომ გეჩვენებათ ახლა, რომ თვით მრისხანე ცხრაასორმოცდაერთ წელს, როცა პიტლერელები წინ მოიწევდნენ, როცა ისინი მსოფლიოს აყრუებდნენ გაუთავებელი ღრიანცილით თავიანთ გამარჯვებებზე, როცა ეთერში ყურის მომპკრელად, გამოგნებლად ისმოდა ხმა გერმანული ფანფარებისა. აი უკვე მაშინ ჩვენი პოეტები ხედავდნენ, ისევე როგორც ჩვენი მხედრები, თუ როგორ იღუპებოდა ჯოჯოხეთური პიტლერული სამხედრო მანქანა, უტყუარი პოეტური ინტუიციით, უფრო სწორად — ისტორიის ზეალმავალი პროცესების ზუსტი ცოდნით შეიარაღებულნი არა მარტო წარმოიდგენდნენ, არამედ ხედავდნენ კიდევ შუასაუკუნეობრივი ბნელეთის აღსასრულს და როგორც საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის ყვილა პერიოდში, აქაც მთელი სიმძაფრით გამოჩნდა სიბრძნე საბჭოთა პოეტისა, რომელიც მას შთააგონა პარტიამ.

მაგრამ საბჭოთა პოეტმა ისიც კარგად იცოდა, რომ ეს გამარჯვება თავისთავად არ მოვიდოდა, რომ საჭირო იყო უკიდურესი დამახბვა მთელი ხალხის სულიერი და ფიზიკური ენერჯისა, საჭირო იყო თავგანწირვა იმ მიზნით, რომ გადარჩენილიყო კაცობრიობა; ამიტომ საბჭოთა პოეზია ნანას კი არ ეუბნებოდა ჩვენს ხალხს, ტკბილ სიმღერას კი არ ღულუნებდა, არამედ მძიმე ბრძოლაში ეძახდა, და თვითონაც მას გვერდში ედგა. პოეტის ხმა ისმოდა ყველა ჩვენს ფრონტზე — ყველა არმიაში, ყველა პოლკში; პოეტის ლექსს სანგრებში მიჰქონდა სამშობლოს დანაბარები — არ შედრკეთ, ფეხი არ მოიცივალოთ, არ გასწიროთ ჩვენი სამშობლო.

და ჩვენს საბრძოლო იარაღთა შორის, ჩვენს მძიმე საკორპუსო ჰაუბიკებთან, რეაქტიულ ნაღმმტყორცნელებთან ერთად ჰქუხდა საბჭოთა პოეტის ლექსიც. ესეც შედიოდა იმ შეიარაღებაში, რომლითაც აღტურვილი იყო საბჭოთა ხალხი, საბჭოთა არმია.

პოეტები მაშინ ჯარისკაცები იყვნენ, როგორც მუდამ და ყოველთვის იმ ეპოქებში, როცა სამშობლო განსაცდელში იყო. სამშობლოს ამ ჯარისკაცთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა პოეტ ალიო მირცხულავას.



ჯერ ისევ 1941 წლის მძიმე დღეებში ის წერს ლექსად წერილს „სამამულო ომის გმირებისადმი“, სადაც თავის ახალგაზრდა მკითხველებს, მის ლექსებზე რომ იზრდებოდნენ, მიმართავს ჭეშმარიტად მგზნებარე სიტყვებით:

მე მუდამ ბრძოლის ლექსებით,  
ვლალადებ, განა ვსტირი მე,  
მტრის გულის ასაფეთქებლად,  
ნაღმად დაძქონდა სტვირი მე.

სამშობლო გასაქირშაა, —  
მზად ხართ? — მთელი ხმით ვყვირი მე,  
მთებიდან, დაღმართებიდან —  
მზად ვართ! — შეძახის გმირი მე.

დასცხეთ, დაკართ, ბიკებო,  
არ ვნახო მათა ძირი მე, I.  
სად მეგულება სამშობლო,  
მტრებისთვის გასაწირი მე!

ომის პირველი დღიდან დაწყებული პოეტი ფიქრით მუდამ სამშობლოს ამ გმირებთან არის, თვალს ადევნებს მათს ბრძოლას — თან მიჰყვება პაერში, თუ ის მფრინავია, თან მისდევს ტანკისტებს მათს თამამ და გაბედულ რეიდებში, ასე დაიწერა ალიო მირცხულავას შესანიშნავი ლექსი „ზღვის არწივი“ (1941 წ.), მიძღვნილი კაპიტან ალექსანდრე წურწუმისადმი:

შენ საქართველოს ბუნებამ გზარდა,  
შენით ამაყობს ჩვენი სოფელი,  
შენ, სასახელო მებრძოლის გარდა,  
ჩემი ტოლი ხარ და მეზობელი.

„ნუ შეუდრკები დღეებს ნისლიანსო“, მიმართავდა პოეტი მფრინავს; ეს მართლაც მძიმე, ნისლიანი დღეები იყო, მაშინ გერმანელები ჯერ ისევ წინ მორიწევდნენ, ხოლო ალექსანდრე წურწუმია ბომბავდა გერმანელების ღრმა ზურგს, მისი ყუმბარები აფეთქებდნენ პლოეშტის ნავთის ბაზებს, გზას უჭრიდნენ ჰიტლერულ ავაზაკებს, და ამ დიდ ბრძოლაში პოეტი მფრინავთან ერთად იყო. ამბობენ, რომ პოეტის ლექსი მფრინავს უბით დაჰქონდა თავისი ტრაგიკული აღსასრულის დღეებამდე, დაჰქონდა როგორც წმინდა აღთქმა სამშობლოსი, როგორც ფიცი, რომელსაც არ ეღალატება.

ომის წლებში პოეტი წერს შესანიშნავ ბალადას „ძმები“, სადაც მოგვითხრობს, თუ როგორ კვდება ორი ქართველი შორეული ტიხ-

ვინისათვის. ეს არის მთელი ნოველა ლექსად, ძნელია აუღელვებლად ამ ლექსის წაკითხვა. ტიხვინისათვის ბრძოლაში ორი ქართველი სასიკვდილოდ დასკრეს, ისინი ძმები არიან. ბრძოლის ველიდან ორივე ერთად წაიყვანეს სანიტრებმა, ჰოსპიტალშიც ორივე ერთად მოათავსეს, ორივეს ერთად დასტრიალებს თავს შვი სიკვდილი და ერთიმეორის ბედსა კითხულობენ ძმები. მერე ერთ დღეს მთელ პალატაში სიჩუმე დგას -- სიკვდილმა თავისი გაიტანა, მაგრამ იმ სიკვდილის წინა სიზმრებში, ზმანებაში, სულთმობრძავთა აგონიაში იმდენი გრძნობა, იმდენი სიყვარულია სამშობლოსადმი, რომ თვით სიკვდილია აქ დამარცხებული და წინა პლანზე, მიუხედავად ამ ტრაგიკული ფინალისა, გამოდის სიცოცხლე, რომელიც იზიემებს, დაფუძნებული და ჩადულაბებული ამ ძმების წმინდა სისხლზე.

უფრო საინტერესოა ბალადა „მამა“. აქ არის გადმოცემული ჩვენი ადამიანების სულიერი სიდიადე, მათი თავგანწირვა სამშობლოსადმი; შვილი — საბჭოთა არმიისა, მამა — პარტიზანულ რაზმში. როცა შვილი ფრონტზე მიდიოდა, დედამ ერთი მუქა მიწა ჩაუყარა თავისი ხელით მოქსოვილ ხალათის ჯიბეში და აი, მამა მტრის ეშელონს აფეთქებს. პარტიზანი მამა ხედავს, რომ მისი შვილის ხალათი აცვია ვიღაც ჰიტლერულ ჯარისკაცს. მამა უმალ მიხედება რაშიც არის საქმე: მაშასადამე, მისი ბიჭი ცოცხალი აღარ არის, მისი ხალათი მის მკვლელს აცვია. აქ არის მძაფრი ტრაგიზმი, მწარე სევდა შვილთან გამოთხოვებისა, რომელიც შურისძიებით სავსე გულს მამისას უფრო მეტად აღანთებს და ახალი შეტევითა-თვის აქეზებს.

სამამულო ომის პერიოდში წინა პლანზე წამოწეულ იქნა სახე დედისა, რომელიც სიმბოლიურად განასახიერებდა დედა-სამშობლოს. ეს საერთო ტენდენცია იყო ჩვენი იმდროინდელი პოეზიისა და იგი ნათლად გამოჩნდა ალიო მირცხულავას ლექსებშიც. ამ თემას უძღვნა პოეტმა თავისი ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი „დედა და შვილი“, რომელშიაც არის მშვენიერი პოეტური სახე — ჩვენი დიდი დროშა შედარებულია დედის მანდილთან. ქართულ პოეზიაში ეს მანდილი მუდამ იყო განსახიერება სიწმინდისა და სამშობლოს სიყვარულისა. ამ შემთხვევაშიც პოეტმა ნათლად გამოხატა, რომ საბჭოთა არმიის დროშა განასახიერებს ყოველივე წმინდას, ყოველივე კეთილშობილურს, რაც კი ადამიანს გააჩნია ამქვეყნად.

ამავე თემას მიუძღვნა პოეტმა თავისი ბალადა „დედის ფიქრები“, რომელშიაც მოთხრობილია თავგადასავალი ქართველი მებრძოლისა, მოძმე ხალხთა შვილების მხარდამხარ რომ იბრძოდა და

მათთან ერთად იცავდა საყვარელ სამშობლოს. ამ ლექსში პოეტი ამბობს:

ნუ შეუდრკებით აესულთა ლამეს,  
ჩემო გმირებო, მკლავგაშლლებო,  
როცა სამშობლოს ყეხს დაადგამენ,  
დედასაც გული სტკივა. შეიღებო.  
გწამდეთ სამშობლო, ხატად ქცეული,  
დედის წინაშე თაეს ხრის აკვანიც,  
მაგრამ მონობას არ ხართ ჩვეული,  
მტერს, მოძალადეს რომ სცეთ თაევანი.

მე მაგონდება ერთი ამბავი: ეს ლექსი „დედის ფიქრები“ გაზეთში დაბეჭდილი, ვიღაცამ გამოგზავნა ქ. პოდოლსკის სამხედრო პოსპიტალში. იმ პოსპიტალში ბლომად იყვნენ ქართველები, რომლებიც მოსკოვის დაცვაში იღებდნენ მონაწილეობას. ბევრი მათგანი მსუბუქად იყო დაკრილი და დღეს თუ ხვალ კვლავ ფრონტზე უნდა წასულიყო. და მათ გულმოდგინედ გადასწერეს ეს ლექსი თავიანთ უბის წიგნაკებში და თან წაიღეს ფრონტზე. ეს უკვე მოწმობს, თუ რაოდენ ძლიერი ზეგავლენა ჰქონდა პოეტის სიტყვას, რაოდენ აუცილებელი იყო ის ჩვენი მებრძოლებისათვის, როგორ ამხნევებდა მათ საკაცობრიო კულტურის დასაცავად გამართულ დიდ ბრძოლაში.

ალიო მირცხულავას იმდროინდელი ლექსები — ეს არის პოეტური მატიაწე დიდი სამამულო ომისა და ქართველ ვაჟკაცთა თავგანწირვისა იმ ომში. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი „სევასტოპოლი“ (1942 წ.). აქ შავი ზღვაც დელავს და მრისხანებს, მტერზე გააფთრებით ამხედრებული, ხალხის რისხვასავით ავღრიანი და მოღუშული; ამ პატარა ლექსში არის მთელი ისტორია სევასტოპოლისა, პოეტი მას ქარიშხალს ადარებს, რომლის ტყვედ შეპყრობა შეუძლებელია, ის გმირების აკვანია და ბუდე. ასევე დაუვიწყარი სახეებით გამოხატა პოეტმა ბრძოლა დიადი ქალაქისა — ლენინგრადისა, რომელიც განსაკვიფრებელი სულიერი სიმტკიცით აღუდგა წინ მტრის ურდოებს. პოეტის ლექსები ჩვენს ხსოვნაში აღადგენს ჩვენი ძღვევამოსილი არმიის წინსვლის ეტაპებს—ამაზე მეტყველებენ ლექსები „ორიოლი“, „როსტოვი ჩვენია“. „კიევი“, „სმოლენსკი“ და მრავალი სხვა, სადაც პოეტი მიესალმებოდა გამარჯვებულ საბჭოთა არმიას, ზედიზედ რომ ანთავისუფლებდა ჩვენი სამშობლოს სოფლებსა და ქალაქებს.

ალიო მირცხულავამ თავის პირველსავე ლექსებში ახალ სოციალისტურ შინაარსს, რომელიც ჩვენმა ეპოქამ მოიტანა, მოუძებნა შესაფერი პოეტური ფორმა, აღბეჭდილი განუმეორებელი ნაციონალური კოლორიტითა და მომხიბვლელით. მის შემოქმედებაში ნათლად გამოჩნდა ახალი საქართველო, მისი პეიზაჟებით, მისი ადამიანებით. და რაც ყველაზე უფრო საგულისხმოა, ეს ახალი პოეტმა გვიჩვენა ზრდის, ფორმირების, მუდმივი ზეალმელობის პროცესში. პოეტი მუდამ ცხოვრების შუაგულშია, მუდამ ხალხშია, მისთვის ნაცნობია და არა მარტო ნაცნობი, მშობლიური და ახლობელია ყოველი ახალი მოვლენა საქართველოს ცხოვრებაში. ყველა ეს მოვლენა უშუალოდ ეხმაურება პოეტის სულს და აღძრავს მას სასიმღეროდ. ამიტომაც ესოდენ უშუალო, წრფელი და ლაღია პოეტის სიმღერა მუდამ, რაზედაც არ უნდა წერდეს იგი — განახლებულ თბილისზე, თუ პირველ დამკვრელ ბრიგადაზე, ახალი სოფლის წინსვლაზე თუ ქალ-ვაჟის წრფელ სიყვარულზე. პოეტის შემოქმედების მთელი არსის ამოსაცნობად უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის ლექსს „დამკვრელი ბრიგადები“. იგი დაიწერა პირველი ხუთწლედის დასაწყისში, როცა ის იყო, ყალიბდებოდა პირველი დამკვრელი ბრიგადები და პოეტის მახვილმა სმენამ პირველად იგრძნო და გაიგონა რიტმი ამ ბრიგადების დაუცხრომელი შემოქმედებითი შრომისა; დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ალიო მირცხულავას ეს ლექსი იყო პირველი მერცხალი, რომელმაც ახალი სიტყვა მოიტანა ჩვენს მწერლობაში, დააქანონა თემა თავისუფალი სოციალისტური შრომისა, რომელიც საბჭოთა ადამიანებმა შემოქმედებას გაუთანაბრა. და როგორც ეკონომიკაში პირველ ხუთწლედს დაეფუძნა მთელი ჩვენი მომავალი წინსვლა, მთელი მომდევნო ხუთწლედები, რომელთაც უზრუნველჰყევს საბჭოთა ქვეყნის გამარჯვება დიდ სამამულო ომში, უზრუნველყევს ის, რომ ჩვენი ქვეყანა იქცა მსოფლიოში უძლიერეს სახელმწიფოდ, ასევე პოეზიაშიც ეს პირველი ლექსები იქცნენ სათავედ სოციალისტური პოეზიის აღმავლობისა, მისი იდეურ-მხატვრული დონის ამალღებისა, რათა იგი გათანაბრებოდა ახალი ადამიანის სულიერ სამყაროს მოთხოვნილებებს, შესძლებოდა ეპოქის მხარდამხარ ევლო და მისი აჩქარებული, დაუცხრომელი რიტმი გადმოეცა.

ასე თავიდანვე აქცია ალიო მირცხულავამ თავისუფალი, შემოქმედებითი შრომა პოეზიის მთავარ თემად. ასე დააქანონა მისმა ლექსმა ქართულ პოეზიაში პრინციპი სოციალისტური რეალიზმისა.

ეს იყო, არის და იქნება მთავარი თემა ჩვენი მწერლობისა. და შემთხვევითი როდია, რომ როცა მტრები სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას შეუტევენ ხოლმე, იმას გადასწვდებიან, რომ ჩვენი პოეტები თითქოს და მეტისმეტად გატაცებულნი არიან ინდუსტრიის თემით.

მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ამ ინდუსტრიამ იხსნა მსოფლიოს კულტურა და ცივილიზაცია, როცა მას შუასაუკუნეების ბნელეთმა — ჰიტლერულმა გერმანიამ შეუტია. აბა ერთი წუთით ჩაუფიქრდეთ, რა დღეში იქნებოდა ახლა მსოფლიო, ის ინდუსტრია რომ არ ყოფილიყო, საბჭოთა ხუთწლედებმა რომ გამოსკედეს, ის შეიარაღება რომ არა, საბჭოთა ქვეყანამ თავისი არმია რომ აღქურვა; აბა, არ ამოქმედებულიყო პირველი ბრძმედები კუზნეცკში ცხრაას-ოცდათორმეტ წელს, აბა ხარკოვის სატრაქტოროს არ აეთვასებინა თავისი საპროექტო სიმძლავრე, აბა, ჩელიაბინსკის გიგანტი არ მიჰყოლოდა მათ, აბა, ფაბრიკა „რავენსტოში“, სწორედ პირველი ხუთწლედის დასაწყისში, არ შექმნილიყო პირველი კომკავშირული დამკვრელი ბრიგადა, რომელსაც მოჰყვა აურაცხელი ასეთი ბრიგადები მთელ უზარმაზარ საბჭოთა მიწა-წყალზე — აბა, არ მომხდარიყო ყოველივე ეს, რა დღეში იქნებოდა ახლა მთელი მსოფლიო? ფერფლიდა დარჩებოდა ლამაზი ვარშავისაგან, პარიზისაგან, მთელი ევროპისაგან და ახლა ყველას მონის უღელი გვედგმებოდა ქედზე — ქართველებსაც და პოლონელებსაც, რუმინელებსაც და ბულგარელებსაც, საერთოდ ყველა ერს ვინც კი ამ პლანეტაზე ცხოვრობს; სწორედ იმ ინდუსტრიამ იხსნა მსოფლიო დაღუპვისაგან: ეს ნათლად გამოჩნდა მეორე მსოფლიო ომის დროს.

ოდესღაც პოეტებს წინასწარმეტყველებს ეძახდნენ, მაგრამ დავანებოთ თავი ამ ძველ ტერმინებს, ძველ სახეებს და უბრალო ადამიანური ენით, უბრალო ფაქტებისა და დოკუმენტების ენით აღვნიშნოთ და აღვსუსხოთ, რომ ყოველივე ის, რაც ჩვენ ზემოთ საბჭოთა ინდუსტრიაზე ვთქვით, რაც მის როლზე ვთქვით მეორე მსოფლიო ომში, ამ ომამდე ათი წლით ადრე ნათქვამია პოეტის ლექსში, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ სიტყვა ჩამოვადეთ. ეს ლექსი — ალიო მირცხულავას „დამკვრელი ბრიგადებია“: ამ ლექსში, დასაწყისში ქარხნის საერთო სურათია მოცემული — ისმის მანქანების დგრიალი, თითქოს ეს დაზგებიც, ყალყზე შემდგარან, აჩქარებულან. რომ გაასწრონ ადრინდელ ტემპებს, გამოხატონ მუშათა მანამდე უჩვეულო ენთუზიაზმი, ყველაფერი შრომის მძლე რიტმს მოუცავს, აქ ჩვეულებრივ არ მუშაობენ, აქ დამკვრელები

არიან, აქ იმაზე მეტს აკეთებენ, ვიდრე ადამიანის ძალას მოეთხოვებოდა. და რატომ ხდება ყოველივე ეს, რისთვის, ვისთვის? და აი პროეტის პასუხიც:

მაშ როგორ გინდათ, როგორ დაეცხრობთ,  
კაპიტალიზმით მძვინვარე პროპას?  
დასცხეთ, დაკარით, როგორც არასდროს,  
მტრობას, ომსა და დაუღვერობას!

აი, მანქანაც ბორავს ჩქარ-ჩქარა,  
თითქოს ტემპები დასძვერებია,  
დაზგის გულდაგულ რომ დგას ლაშქარი,  
კომკაეშარული ბრიგადებია.

და ყველაზე მთავარი ის არის, რომ პროეტი თავის თავს მიათვლის მათ რიგებს, ვინც თავისი შრომით ებრძვის მომავალ ომს და მომავალ გამარჯვებას სჰედავს. აქ ნანდვილად ზუსტად და სწორად არის მოძებნილი პროეტის ადგილი, ინისი, ასე ვთქვათ, დაზგა იმ დიდ საამქროში. რომელსაც სოციალისტური ქვეყნის მშენებლობა ეწოდება. აი ეს სტრიქონებიც:

მეც დამკერელი ვარ, დაზგებს ვამზადებ,  
ტემს გრიგალივით ეცხლი მოვტაცე,  
და ვეჯიბრები საწერ დაზგაზე  
ინდუსტრიალურ ლექსის ოსტატებს.  
მეც გავმაში ძაქს კალმით გავღარო  
მთების კლდე-გული და წყაროები,  
ფიქრთა გვირაბი არის მალარო,  
ლექსი — ფოლადის ნაწარმოები.  
ჩვენ კომუნისმის ვაგებთ ნადაგს,  
მიწა დროშების აღს დაუფარავს,  
წიგნი შრომის დროს აგურია და  
ბრძოლის დროს — ტყეით საესე ყუმბარა.  
ასე მანქანა იბრძვის. ტრალებს,  
არის შეჯიბრი წარმოებების.  
ჰქმნიან საბჭოთა ინდუსტრიალიზმს  
ჩენი ლექსებიც და პოემებიც.

ძნელია უკეთესად განსაზღვრო ის ადგილი და მნიშვნელობა, რომელიც ალიო მირცხულავას მიეკუთვნება საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში. ეს არ არის მარტოოდენ ლამაზად თქმული ფრაზები. ეს პროეტის შემოქმედების მთელი შინაარსია, რომელიც იმავე დროს გამოხატავს ახალი საბჭოთა საქართველოს ცხოვრების მთელ მჩქეფარე ვითარებას, მის წინსვლას, აღორძინებას, აყვავებას.

პოეზიაში მთავარი ის არის, თუ რა თვალთ გაჰხედავ სინამდვილეს, რა ასპექტში დაინახავ მას. აქ ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა სურათები წარიტაცებენ თვალს პოეტისას, რომელიც ახალ საქართველოსთან ერთად დაიბადა. ის, რა თქმა უნდა, ახალი საქართველოს მხატვარი იქნება. ამიტომ ლექსში „სამშობლო“ ის ხატავს ნაცნობსა და იმავე დროს ახალ საქართველოს: ეს არ არის უბრალო პეიზაჟი, აქ ბუნების სურათები გადაწნულია ისტორიასთან. სამშობლოს ახალ გეოგრაფიასთან, ხალხის ახალ ყოფასთან, აქ სურათი მოცემულია ისე ორგანიულ მთლიანობაში, როგორც მარტო შეუძლია აღბეჭდოს მადალმა პოეტურმა ფანტაზიამ, მძლავრმა რეალისტურმა ტალანტმა. ამ ლექსში დახატულია ქვეყანა, სადაც არც ერთი ხე უნაყოფო არ არის, სადაც მთიდან მთაზე გზა ისე დაკლავილად გადადის, რომ ელვა გეგონებათ; მთებს, ტყეებს ფარჩის ტანსაცმელი ჩაუცვამთ, დაბლა ბარში კი ფოთლების ლაქვარდებში ბრწყინავენ ატმები და ალუბლები, იქით, თავთუხების ზღვა ღელავს, მეორე მხარეს მთის ფერღობები ცხვრის ღრუბლებით არის დაფარული.

გაფურჩქვნილა ქვეყანა და ამ ყვავილებთან ერთად ყვავილებით გაშლილან დროშები.

ეს ახალი საქართველოა, მისი ახალი სოფელია, სადაც „ვედარ ეტივა ქვევრში, ბელლებში ხორბლეულის და ღვინის მარაგი“, სადაც ეზოებში დგას რძისა და კარაქის სურნელება. და ბოლოს:

ჩემა ქვეყანა, ეგრე ლამაზი,  
 შაეი ზღვის პირად აღმართულია,  
 თავზე გვირგვინად მუდამ მზე ადგას,  
 მისგან ღრუბლებიც დაფანტულია.  
 ხან გაშლილია უგზო-უკვალოდ,  
 ხან ვენახებით დახლართულია,  
 მთაც ლამაზაა, ბარიც ლამაზი,  
 ცა — ფიროსმანის დახატულია.

პოეტი ხანდახან გაიხსენებს ხოლმე ამ მიწიერი სამოთხის წარსულს:

მისი მინდვრები, მთის ხავერდები,  
 ვის არ უთელავს, რა ჯურის ხალხებს,  
 ვის არ ულექვავს მისი გვერდები,  
 შაეი ზღვისა თუ კასპიის ტალღებს.

ეს წუთიერი გახსენებაა ბნელი და ავბედითი ისტორიისა, ისიც

იმითომ, რომ პოეტმა უფრო მკაფიოდ უჩვენოს ნათელი და მზიანი დღევანდელობა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ალიო მირცხულაეა — ახალი საქართველოს პოეტია. ამითომ მისთვის ძვირფასი და მარად დაუფიწყარია ყოველი კუთხე, ყოველი მტკაველი მიწა ამ ქვეყნისა. ვისაც ძველი კოლხიდა არ უნახავს, ვისაც არ უვლია ბარის სამეგრელოში, სადაც წყნარდებიან კავკასიონის მთებიდან წამოსული გადარეული მდინარეები, კოლხეთის ბარში რომ დადუმდებიან ხოლმე, ვისაც ხორგიდან ქარიატას გზებზე არ უვლია, რომ შავ ზღვასთან გასულიყო, ის ალიო მირცხულაეას ბევრ ლექსს ვერ ჩასწვდება. პოეტის ლექსი ისეა დაკავშირებული მიწის ფესვებთან, რომ ის სადაც გინდა გადაირგოს, რომელ ენაზეც გინდა გადაითარგმნოს, სამშობლო მიწის სურნელს მაინც შეინარჩუნებს. ეს სურნელი გვესმის ჩვენ ლექსებიდან „კოლხიდა“ (1938 წ.), „ხორგა“ (1924—1934 წწ.), „მტკერისტანი“ (1925 წ.) და მრავალ სხვა ლექსებში.

რაოდენი გულის თრთოლვით, რაოდენი სიყვარულით დაჰხარის პოეტი დამლოკრებულ ხობისწყალს, ზღვას რომ უახლოვდება და თავისი პირვანდელი მჩქეფარება რომ დაუქარგავს. ასევე ძვირფასია მისთვის ყოველი კუთხე საქართველოსი; აი, მაგალითად ლექსი „გურია“.

1

სამეგრელოს და გურიას შორის,  
არც გალავანი, არც ქონგურია,  
ჩვენი გულისთქმა და ძარღვისცემა  
აქ ხუფსასწყალი, იქ ენგურია.  
აქ მამაკაცი ტბილ სიმღერას ჰგავს,  
აქ ყველა ქალი ხომ ჩონგურია,  
მუდამ ცოცხლობდე, მუდამ ფეთქავდე,  
შენ, საქართველოს გულო, გურია.

ასევე შთაგონებული სტრიქონებით ხატავს ის ქართლს, საგურამოს გაზაფხულს:

ბრწყინავს მიდამო,  
ხეხილები გაპენტილია,  
აყვავდა ქართლის გაზაფხულა,  
ჩვენო ილია!

უკვდავ კიმნს უძღვნის პოეტი კახეთს:

რომ საქართველო მარად იწამო,  
ალაზნის ველსაც უნდა გახედო,  
ვაზის ბაღნარი ფარავს მიდამოს,  
რა ლამაზი ხარ, კოი, კახეთო!



შენი შეტუხა გოგო-ბიჭები,  
სასძლოდ, სასაძოდ განვიზრახეთო,  
სტუმრად გვეძახი, გვეპატიყები,  
ქორწილს შექხარი, პოი კახეთო!

ყოველივე ეს პოეტის სამშობლოა, ეს ის მიწაა, რომელიც მას შთააგონებს, აძლევს მის ლექსს სიცოცხლის ძალას. უჩვეულო მომხიბვლევლობას. აქ გამოჩნდა ახალი ნიშანთვისება საბჭოთა პოეზიისა — ამადლებული საბჭოური პატრიოტიზმი, აქ ალიო მირცხულავამ პირველი კვალი გაიტანა ჩვენს ქართულ პოეზიაში და ამაშია მისი ისტორიული დამსახურებაც.

\* \* \*

პოეტის შემოქმედებაზე ჩვენ სრული და ნათელი წარმოდგენა არ გვექნება, თუ არ გავითვალისწინებთ იმ შესანიშნავ ლექსებს, რომლებიც ალიო მირცხულავამ წლების მანძილზე მიუძღვნა ადამიანის ამამადლებელ გრძნობას — სიყვარულს. თავის თხზულებათა ერთტომეულში პოეტმა ეს ლექსები გამოიჰყო ცალკე ციკლად, სახელწოდებით, „სიმღერა-სიყვარული“.

აქაც პოეტი წარმატებით აგრძელებს ქართული კლასიკური პოეზიის — ნ. ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის ტრადიციას. ეს პირველ რიგში იმით იგრძნობა, რომ პოეტის ლექსში სიყვარული მუდამ წმინდა, ღრმა ადამიანური შინაარსითაა აღსავსე, ჰუმანიზმის კეთილშობილური გრძნობით არის გამთხარა; პოეტი ჰხატავს სიყვარულს, როგორც ულამაზეს გამოსხივებას ადამიანის სულისას, მუდამ კეთილ საქმეს რომ შთააგონებს ადამიანს, გმირობისაკენ მოუხმობს, სამშობლოსათვის ბრძოლაში ამხნევეს, გულს სიცოცხლის, ამა ქვეყნის სიხარულით უვსებს.

ლექსში „შრომა და სიყვარული“ ის ხატავს საქართველოს ულამაზეს პეიზაჟს, დამწიფებულ პურის ყანას განთიადზე, აქვე ჩანს პორტრეტი იმ ყანასავით სავსე ქალიშვილისა, მას თან სატრფო ახლავს. როგორ ლამაზად ჩანან ისინი ამ გადაოქროვილი ყანის ფონზე, ამ შრომაში, ურთიერთის სიყვარულში. ეს ვიწრო სატრფილო მოტივზე აგებული ლექსი კი არა, პიშნია სიცოცხლისადმი, შრომისადმი; და ეს იმიტომ, რომ თვითონ ახალი ადამიანის სიყვარულია ასე ლაღი, ფართო, ყოვლისდამტევი; და რეალისტ პოეტს არც შეუძლია სხვაგვარად დახატოს ის, გამოჰყოს, გამოაცალკევოს მდიდარი და მრავალფეროვანი ცხოვრებიდან. უამისოდ მას ფერი და ხორცი დაეკარგებოდა, სინამდვილესთან მსგავსება დაეკარგებოდა.

სიციოცხლის ეს სიხარული ისმას ლექსშიც „ფერმის ეზოში“, ჭარბი, ლალი ფერებით არის აქ დახატული მთელი გარემო, თითქოს რძის სურნელსა გრძნობთ და მწველავი ქალიშვილების კისკისიც მოგესმით, იმდენად რეალურია აქ ყოველი სახე და ნიუანსი. ამავე ციკლს ეკუთვნის „კომბაინერის სიმღერა“, სადაც ახალგაზრდა ჭაბუკი შეჭხარის თავის გულით საყვარელ ნათელას — გამრჯე ქალს, ჩაის მკრეფავს, ჭილობის ქუდში მზესუმზირას რომ მოჰგავს.

ეს შედარება შემთხვევითი არ არის. პოეტი ამ ლექსებში ადამიანებსაც ისე უმღერის, როგორც ყვავილებს; ლექსში „ვერხვი“ მან გამოხატა საერთოდ პოეტის აიყვარული სამშობლოს ახალი და ნორჩი ყლორტებისადმი; აი ეს ლექსიც:

კლდეზე ვდგავარ თეთრი ვერხვი,  
მხრები ამიტოტებია,  
ვინმე ზრამში თუ გადასცდა, —  
ხელი გამიწოდებია;  
მეხს ვარიდებ მოზარდ ვერხვებს, —  
ტანი ამიშოლტებია,  
ფრთებს ისხამენ მტრედები და  
საბუღარებს შორდებთან;  
ახლაც ვებრძვი ქარს და წვიმას,  
გული აუშფოთებია,  
თუ სიტყვები მცეკაია, განა  
შემოდგომის ფოთლებია?

მცეკაია,  
განა მცილდებთან,  
თრთიან,  
განა ხუნდებთან;  
აღრე აბიბინდებთან,  
უფრო აღრე ბრუნდებთან,  
განა მწუხრას ბინდებია, —  
ეს მტრედების გუნდებია,  
მხრებზე დამაფრინდებთან,  
ტბილად აღულუნდებთან.

ჰე, მამულო,  
შენს თეთრ გუშავს  
განა რული მორევი,  
ფესვი მოდგას შენს მიწაში,  
ირგელავ ქარის მორევი;  
გაჰქრა ლამე,  
ალარც ომი,  
ალარც სისხლის ტბორებია,  
ეს ჭრილობაც,

ეს ღიმილიც  
ტყეის ნაამბორევია.

მეც ვშფოთავდი!  
საგულეში  
ცეცხლის ალი ფრიალებდა,  
წყრიალებდა გულის კარი,  
თუ ცისკარი კრიალებდა, —  
მეც ვშფოთავდი,  
და ფიქრებში  
ტვერი მწარედ შრაალებდა,  
ჩრდილზე ფეხს რომ დამადგამდნენ,  
ტანში გამაქრიალებდა.

შენ გიყავი,  
შენთვის დამქრეს,  
შეწყდა სისხლი და იარა,  
შემიხორცდა ნატყვიარი  
და ტკავილმაც გამიარა.

სწორედ იმიტომ არის ესოდენ ძვირფასი სიცოცხლე და თავი-სუფლება, რომ ისინი ჩვენ ტანჯვითა და ბრძოლით დავიმკვიდრეთ. ეს მოტივი მუდამ ისმის პოეტის შემოქმედებაში, რა თემაზეც არ უნდა წერდეს იგი. და ბუნებრივია, რომ ეს ხმა გაისმის ხოლმე მის ინტიმურ ლირიკაშიც.

აღიო მირცხულავას სატრფიალო ლირიკის შედეგებს წარმოადგენს „საგურამოსკენ“, „თეთრი ქალწული“, „პატარას“, „პირველი ტრფობა“ და მრავალი სხვა.

პოეტისათვის უცხო და უცნობი არ არის ფილოსოფიური ჩაფიქრებაც ადამიანის სიცოცხლეზე, მისი ცხოვრების მიზანზე და აქაც, ამ თემის გადაჭრის დროსაც ის მუდამ ოპტიმისტია, გამსჭვალულია სიცოცხლისმოყვარეობის დაუცხრომელი გრძნობით. ამ მხრივაც იგი ახალი საბჭოთა ლირიკის პრინციპებს ერთგულად და გადაუხვევლად იცავს; ამაზე ნათლად მეტყველებენ მისი ლექსები: „ღამის ფიქრები“, „ჩემი წარსული“, „დრო და მანძილი“, „ნახტომი მზისაკენ“, „წლები“, „გრიგალი“, „ლექსი მარადი“ და განსაკუთრებით მისი „მინიატურები“.

ცხოვრებისეული სიმართლე თითონვე მოითხოვს გამოთქმულ იქნას იგი სადად: უშუალოდ, გულწრფელად. ამან განაპირობა მხატვრული ფორმაც აღიო მირცხულავას ლირიკისა. მისი ენა, სახეები, სიუჟეტი მუდამ სადა და წრფელია, უბრალოა, როგორც ეს ცხოვრებას შეეფერება, ესაა ბრძნული უბრალოება, როგორც გორკი იტყოდა ხოლმე, ურომლისოდაც ნამდვილი ხელოვნება არ არსებობს.

## ირაკლი აბაშიძე

ირ. აბაშიძეს აქვს ერთი პატარა ლექსი, რომელშიც მშვენივრად არის დახატული მიწისა და ცის პეიზაჟი, აღებული მათს მთლიანობაში:

უხმარ ნოხების  
უხუდ გაფენა,  
იქით ფანჯარი,  
აქეთ ოფორტი,  
წუნარ ირლანდიას  
ასწყდა „საბენა“,  
უკან გაფრინდა აეროპორტი.  
ნუ,  
მალალ ღრუბლებს  
ნუც რამ ეწყინოთ,  
ღრუბლები ჩემი მასპინძლებია,  
ამალამ მათთან უნდა მეძინოს,  
როგორც ურმობაში  
დამსიზმრებია.

აქ რეაქტიული თვითმფრინავია აღწერილი, ზღაპრული სისწრაფით რომ ჰფარავს უზარმაზარ მანძილებს. ეს ადამიანის ინტელექტის სულ ახალი წარმატებაა, ახალი სასწაულია და ბუნებრივია, რომ მან ჯერ კიდევ ვერ მოასწრო გამხდარიყო პოეტისა, თუ პროზაიკოსის თემად; ეგეც არ იყოს, აქ მარტო დროზე როდია საქმე! ცნობილია, რომ ტექნიკა, მინდვრის ყვავილებს და საერთოდ ბუნების სილამაზესთან შედარებით, უფრო ძნელად ემორჩილება ლირიკოსი პოეტის შთაგონებას. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ რასაც არ უნდა მოჰკიდოს ხელი კვშმარტმა პოეტმა, მას უმალ აქცევს უნაზეს ლირიკად. აქაც ასეა — მსოფლიოს ვრცელ გზებზე გასული რეაქტიული თვითმფრინავის მგზავრის განცდა უეცრად გახდა რალაც მეტად ახლობელი, „ნახული სიზმრად, თუ ბალღობაში“, პოეტმა უე-

კრად იპოვნა ის კუთხე, ის ასპექტი, საიდანაც ტექნიკის ამ სასწაულ-  
მა ახალი შუქით გამოანათა და წარმოსდგა, როგორც ადამიანის  
ყველაზე სანატრელი წუთის გახსენება, როგორც მთრთოლვარება მი-  
სი სულისა; და რა ადვილად გადაედება მკითხველს ეს მღელვარება,  
გაჰყვება ცხოვრების გზაზე — მის ჰემმარიტ განცდად გადაიქცევა.  
ის, ვისაც უმოგზაურია რეაქტიული თვითმფრინავით, ალბათ ბევრ-  
ჯელ შეუპყრია რაღაც იღუმალ განცდას, როცა ზევიდან გადმოუ-  
ხედავს ღრუბლებისათვის. დაბლა, მიწაზე შეიძლება წვიმს, თოვს,  
შეიძლება საშინელი ქარიშხალი აზანზარებს ქვეყანას, აქ კი მზე  
ბრწყინავს და ანათებს. ჰოდა, აი ასეთ წუთებში იქნებ ბუნდოვნად  
გიგრძენია ის, რაც პოეტმა გვითხრა ამ ლექსით, მაგრამ ვერ გამო-  
ვიხატავს და რაოდენი სიხარულით გავსებს პოეტი, როცა მიგახვე-  
დრებს ამას. თურმე ეს შენი ყრმობის სიზმარია, ბავშვობის ყველაზე  
დაუფიქვარი წუთია, დამარხული და დავიწყებული, მას ზედ წლები  
გადაჰფარებიან, მათ ჩაუვარავთ ის განცდა საღდაც მივიწყების  
წყვდიადში, მაგრამ უეცრად ელვასავით გაჰკრავს გულში სტრიქონი  
პოეტისა და ნათლდება სამყარო, უცებ დაინახავ, რომ ის პროზაუ-  
ლი უფერული და მოსაწყენი კი არ არის, არამედ პოეტურია, რო-  
მანტიკული, ლეგენდური.

ასე წარმტაცი და ლამაზი ხდება ყველაფერი, რასაც ჰემმარიტი  
შემოქმედის თვალი შეხედავს ხოლმე. არა ლიტერატურული პარა-  
ლელისათვის (ის აქ უადგილო იქნეოდა), არამედ იმის შიშით, რომ  
მე შეიძლება ვერ გამოვთქვი ჩემი აზრი ისე, როგორც საჭირო იყო,  
აქ სწორედ ეკზიუბერი მინდა გავიხსენო და მოვიშველიო. მისი „გა-  
ფრენა ღამით“ ასე იწყება: საფოსტო თვითმფრინავი პატაგონიიდან  
ბუენოს-აირესში მიფრინავს, ზეცა წყნარია და მშვიდობიანი, ირ-  
გვლივ მყუდროებაა და ამ სიჩუმეში მფრინავ ფაბიენს ცაში ეჩვე-  
ნება, რომ ის მწყემსია და წყნარად დაეხეტება მინდორზე. ასე  
ზღაზენით, აუჩქარებლად მიმოდინ ამ მინდვრებზე პატაგონიელი  
მწყემსები ერთი ფარიდან მეორე ფარამდე. ფაბიენი მიდიოდა ერთი  
ქალაქიდან მეორემდე, ის მწყემსსავდა ამ ქალაქებს, დასცქეროდა  
მათ ციდან, და ხედავდა, რომ ქალაქები გამოდიოდნენ მდინარეების  
ნაპირებზე წყლის დასალევად და შემდეგ გაიფინებოდნენ მინდვრებ-  
ში ბალახის მოსაძოვად. აი მან გადაუარა ერთ პატარა ქალაქს, ცხო-  
ვრება იქ ალბათ ჰგავს სიყვარულს, და მფრინავი ფიქრობს მეგობრო-  
ბაზე, ქალიშვილებზე, მყუდროებაზე, თეთრ სუფრაგადაფარებულ  
მაგიდაზე, და ყველაფერ იმ თითქოს უბრალოზე, რაც ჰქმნის სიცო-  
ცხლის ნათელ ინტიმს.

ირ. აბაშიძის ლექსები შესანიშნავად ასრულებენ ყველაზე მაღა-



დასავლეთიდან წამოსული ქარის ზუზუნშიც კი თითქოს ესმოდა „ქალთა შეცხადება“. და ტირილი ბავშვებისა, რომელთაც ფალანგისტები ხოცავდნენ. დასავლეთიდან წამოსულ შავი ზღვის ტალღებს, რომლებიც აწყდებოდნენ ყირიმის, აქარისა და აფხაზეთის ნაპირებს — თითქოს ესპანეთის ამბები მოჰქონდათ. მკაფიოდ ისმის ამ ლექსში ზღვის მღელვარების და ბობოქრობის გამოძახილი: აწყდებიან ნაპირებს ტალღები — წამოსულნი შორი ქვეყნებიდან, ღრიალებენ ეს ტალღები — ცრემლით აღსავსენი, თავშესაფარებლად მოაწყდნენ ისინი ხმელეთს, გამოექცნენ უმზეო, უსინათლო სამყაროს.

აი ასე ესმოდა ჯერ ისევ ჰაბუკ პოეტს ენა ბუნებისა, რომელიც მას ხალხთა მღელვარე ცხოვრების გარეშე ვერ წარმოედგინა. აქ უკვე ჩანს სიცოცხლეზე და სილამაზეზე შეყვარებული პოეტი, რომელსაც ხმა აღუმაღლებია სიკვდილის და ომის დასათრგუნად; უკვე იმ პირველ ლექსებში გაისმა წრფელი ლირიკული ხმა ირ. აბაშიძისა; რომელიც უშუალოდ, ბუნებრივად უმღეროდა სიცოცხლეს, მშვიდობას, სილამაზეს, კაცობრიობის დიდ გაზაფხულს. მან ჰაბუკობის წლებიდანვე შეიგრძნო სიახლე საბჭოთა ეპოქისა, როცა ნამდვილად, მართო ბუნებაში კი არა, კაცთა ცხოვრებაში დამკვიდრდა გაზაფხული, როცა „მზეს მზე დაერქვა, ვარდებს — ვარდები, კაცს დაუბრუნდა კაცის სახელი“. პოეტმა კარგად იცის, რომ ეს გაზაფხული კაცობრიობის დიდი ხნის ოცნება იყო, და მხოლოდ ჩვენმა დრომ აქცია იგი სინამდვილედ: „მან მოიტანა ქვეყნად მართალი თავისუფლება და გაზაფხული“, პოეტი ამბობდა:

გაზაფხულია,  
რად არ მიყვარდეს  
მისი გაჩენა, მისი აპრილი,  
მის მობრძანებას, მზეს და მის ვარდებს  
ვეამბორები მე თავდახრილი.

პოეტის ლექსებში თავიდანვე ჩანდა ეს შესანიშნავი, ხალასი, გულის წიალიდან წამოსული გრძნობა ოპტიმიზმისა, სიხარულისა, გამოთქმული ხან დამშვიდებული, დინჯი, ეპიკური ტონით, როგორც ლექსში „გაზაფხული“, ხანაც რომანტიკული მგზნებარებით და პოეტურობით, როგორც ლექსში „თბილისს“. ამ ლექსში მართლაც ჰაბუკური მღელვარება და ენთუზიაზმი ისმის:

შენ ჩემს მაგიერ მტკვარს მრახხენე,  
შორით რომ შენსკენ მოქანება,  
რომ შენი მიწა და სასახლენი  
მას ჩემზე მეტად ვერ ეყვარება.

აპრილს უთხარი (ძველად იტონენ  
 ჩვენში მისგური ნაქრის საბანი):  
 შენს სიყვარულში ვერ გამისწორდეს,  
 ბევრიც მოგართუას იასამანი.  
 დღეს შენს გაზაფხულს სად გავერიდო,  
 ყველა უბანს და გზას ახურია.  
 რა დამდღურავი და რა ფერადი,  
 რა ცეცხლიანი გაზაფხულია!  
 ვერ შევიმაგრებ მე თავს და მორჩა...  
 როს აყვავდება ბაღში შეინდები,  
 ჩამოვიფხატავ ცხვირ-პირზე ქოჩორს,  
 შუა ქალაქში ავეყიინდები.

რა მძაფრად ისმის აქ ყიყინი სიცოცხლისა და სწორედ აქა სცემს  
 მთავარი ძარღვი ირ. აბაშიძის პოეზიისა; ვფურცლავთ მის წიგნს და  
 ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ პოეტი მუდამ მებრძოლთა მოწინავე  
 რიგებში იყო; როცა მშვიდობასა და სიცოცხლეს უმღერის, ის როდი  
 მიმართავს დეკლარაციულ ფრაზას. არა, მის ლექსში ნამდვილად  
 იგრძნობა ცოცხალი გულისცემა, უტიმენის სიტყვით რომ ვთქვათ,  
 იგრძნობა იმ „აღისფერი სისხლის“ მღელვარება, რომელიც დუღს  
 ჩვენს ძარღვებში „დაუზარჯავი ძალების ცეცხლით“. ირ. აბაშიძე  
 მრავალფეროვანი ინტონაციების პოეტი. მისი ლექსი ხან ნაზი და  
 ინტიმური სიმღერაა, როგორც „პირველი თოვლი“ და „ყვავილება  
 ქალაქში“, ხან მძაფრი მოწოდებაა, როგორც „შეიქენ გმირი“ და  
 „ქართველებო, ვკათო მტერი“, ხან გამანადგურებელი მხილებაა,  
 როგორც „შენ კვლავ ცოცხალი ხარ“ და „ღია წერილი ერსკინ  
 კოლდუელს“, ხანაც მშვიდი, აკვარელისებური ფერებით ნახატი პე-  
 იზაჟი, როგორც „ნახე, გახედე“ და „გრემი მკაში“.

• • •

ომის წლებში ირ. აბაშიძე ძალზე ნაყოფიერად მუშაობდა. ისიც  
 აღსანიშნავია, რომ იმ წლებში პოეტი ფრონტზე, უშუალოდ ეცნო-  
 ბოდა საბჭოთა მეთრების ლეგენდარულ ბრძოლას. მის ლექსებს,  
 რომლებიც სამამულო ომის წლებში ქართული ჟურნალ-გაზეთების  
 ფურცლებზე იბეჭდებოდა — ბოლოში წარწერილი ჰქონდა ხან  
 „1942 წელი, მოსკოვის მახლობლად“, ხან „ყირიმი, აკ-მონაი“, ხან  
 „ქერჩი“, ხანაც „ნალჩიკი“; იქ, იმ ადგილებში იბადებოდა პირველი  
 სახეები და პირველი სტრიქონები ამ ლექსებისა. ეს აშკარად იგრ-  
 ძნობა ირ. აბაშიძის ლექსებში, იგრძნობა თუნდაც იმ მართლაც ვაჟ-  
 კაცურ ლექსში, რომელსაც „კაპიტანი ბუხაიძე“ ეწოდება. ამ პატა-  
 რა, ხუთტაეპიან ლექსზე დღემდე იმდენი დაიწერა, რამდენიც ზოგ-



ჯერ უზარმაზარ პოემაზე არ დაწერილა. ბუნებრივად იბადება კითხვა: სად უნდა ვეძებოთ ამ ნაწარმოების ასეთი პოპულარობის მიზეზი?

მაქსიმ გორკი ამბობდა: „უნდა სწეროთ სადად; თითქოს გულწრფელად ესაუბრებით საყვარელ მეგობარს, რომელსაც არაფერი არ გინდათ დაუმალოთ, რომელიც თქვენს ნათქვამში ყველაფერს გაიგებს, ყველაფერს დააფასებს — ნახევარი სიტყვითაც რომ იყოს ის ნათქვამი. სიტყვის სისადავეში ყველაზე დიდი სიბრძნეა. ანდაზები და სიმღერები ყველაზე მოკლეა და სხარტი, მაგრამ მათში იმდენი ჰქუა და გრძნობაა, რომ მთელ წიგნებს ეყოფა“. გორკის ეს სიტყვები, ჩვენი აზრით, კარგად ხსნის ირ. აბაშიძის ფართოდ გახმაურებული ლექსის „კაპიტან ბუხაიძის“ წარმატების მიზეზებს. ამ ლექსში ყოველი სიტყვა მართლაც ისე ბუნებრივია, როგორც სუნთქვა, როგორც გულისცემა. და აქ არის ადამიანის ყველაზე წმინდა გრძნობა — სამშობლოს უკვდავი სიყვარულის გრძნობა. აქაა სიკაბუკის ენთუზიაზმიც, თავგანწირულებაც, აქაა გულის შემძვრელი ტკივილიც — ნახევარი სიტყვით, ნიუანსით, სადღაც სტრიქონებსა და სტრიქონებს შუა ნათქვამი:

მე სიციხეს ხელმორედ  
შევწირავდი მშობელ მხარეს,  
შევწირავდი იმავ მიწას  
დღეს რომ გულზე დამაყარეს.

სულ უბრალო, ჩვეულებრივი სიტყვებია... „მე, ქართველი ბუხაიძე“, „მე საფლავეში არა ვწევარ“ — მაგრამ როგორ შეძრა და აამლელვარა ამ უბრალო სიტყვებმა ქართველი ჰაბუკების გული იმ ქარიშხლიან წლებში! და ეს იმიტომ, რომ აქ ადამიანის ყველაზე მაღალი მისწრაფება იყო გადმოცემული — სამშობლოსათვის თავდადება. და ყველაფერი ეს ნათქვამი იყო მოკლედ, სადად. ყველაზე მაღალ გრძნობას, ნამდვილ ადამიანურ სიხარულსა თუ მწუხარებას არ ეგუება მაღალფარდოვნება, ზეაწეული ტონი, დახლართული ფრაზა. ამ ლექსში გაუბრალოება კი არ არის, სისადავეა. ხელოვნებაში, კერძოდ პოეზიაში ყველაზე ძნელია იპოვნო სიტყვები და დაალაგო ისინი ისე, რომ ცოტათი თქვა ბევრი, რომ „სიტყვებს ევიწროვებოდეთ სტრიქონში, ხოლო აზრებს ფართო გასაქანი ჰქონდეთ“, მხატვრული პოეზიის ამ ძირითად მოთხოვნილებას ირ. აბაშიძის ლექსები კარგად ასრულებენ.

პოეტის ომისდროინდელ ლექსებში გვესმის სახელები სოფლებისა და ქალაქებისა, რომლებიც აღბეჭდილი იყო საბჭოთა საინფორ-

მაციო ბიუროს ცნობებში... ამ ლექსების გადაკითხვა გვარწმუნებს, რომ ომის მძაფრი შთაბეჭდილებანი ღრმად და ძალზე მკვეთრად შექრილან, ირ. აბაშიძის პოეტურ ბიოგრაფიაში. აი პატარა სურათი, რომელიც პოეტს რომელიღაც გადამწვარ სოფელში უნახავს: ხის სახლები თითქოს დელგმითა და ზვავით წაშლილან, მხოლოდ ოდნავ-და ბოლავენ ცივი და დანაცრებული ნაშთები ამ სახლებისა; ტრამალის ნამქერში მტრის თვითმფრინავი გდია, რომელიც მამაც საბჭოთა მფრინავებს დაუნარცხებიათ მიწაზე. და პატარა ბავშვები — გუშინ რომ ყრიაშულით აღხენდნენ სოფლის ქუჩებსა და ჩიხებს — ახლა ფოლადის სეავს შემოპხვევიან და ტირილით უშენენ მას სიცივისაგან გალურჯებულ პატარა მჯიღებს. ყველაფერი ეს ნათქვამია სულ თორმეტ სტრიქონში, მაგრამ შთაბეჭდილება დაუვიწყარია — ეს ტრამალის ნამქერში გახვეული ნასოფლარი, დაღწილ თვითმფრინავი, ატირებული ბავშვები — ომის საოცრად მართალი პეიზაჟია.

პლასტიკური ხატოვნებით და მგზნებარე პათოსითაა აღბეჭდილი „როცა ბრანდენბურგს უახლოვდები“. ნაღიყთან ომის დროს, პოეტს გადამწვარი სოფლის ბოლოს ექვსი მოკლული გერმანელი უნახავს, რომელთაც სამხრეებზე ეწერათ: „ბრანდენბურგელი“. ისინი ყოყობდნენ, ქედმაღლობდნენ იმით, რომ ბრანდენბურგელები იყვნენ, ახლა კი ყრიან მიწაზე; სიკვდილის მომტანთ სამკლავებზე თავისქალები ახატიათ; პოეტი წერს:

ჩვენ იქ ისინი ომში გავიციანთ  
ნაღმთა გრიალში, ტანკთა სრიალში,  
მათ შუბითიძე და ბუხაიძე  
მოქალეს ჩრდილოეთ კავკასიაში.

და იმ დღეებში, როცა საბჭოთა ჯარები ფაშისტური მხეცების ბუნავს მიუახლოვდნენ, პოეტი მოავონებდა საბჭოთა მებრძოლებს:

მრავალ ქალაქის მოსვენ ძირ-ფესვი,  
დაწვეს, დასტოვეს მხოლოდ ლოდები...  
ეს გაიხსენე ახლა, ძვირფასო,  
როცა ბრანდენბურგს უახლოვდები.

საბჭოთა პოეზია, როგორც ყოველთვის, ისე ომის წლებშიც განამტკიცებდა სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულის წმინდა გრძნობას, ნერგავდა და განამტკიცებდა სიძულვილს შემოსეული მტრებისადმი. ფაშისტური ურდოებისადმი, სიკვდილისადმი, მტრისადმი, ბნელეთისადმი სიძულვილი — ფრიად მაღალი და საპატიო

გრძნობაა. მტრისადმი ღრმა სიძულვილს აღვივებდა ირ. აბაშიძე ლექსში „მრისხანე ცხრაასორმოცდარი“. იგი წერდა ქართველი მებრძოლების მისამართით:

მრისხანე ცხრაასორმოცდარი  
შემოგრიალდა წელი ახალი;  
თქვენი ნაღმების მესმის ხმაური,  
ატოტებული ტანკის ჯახანი.  
ასე სჩვევია ჩვენს ჭურვს მოსხლეტა,  
ასე სჩვევია ხმალს მოხმარება,  
შემოსული მტრის ამოყლელა  
არას პირველი კაცთმოყვარება.

უფრო ძლიერადაა გამოთქმული ეს გრძნობა ირ. აბაშიძის „დაპრილის ლექსში“, რომელიც თავისი მტკიცე შეკრული ფაბულით და თხრობის სისადავით ძველებურ ხალხურ ბალადებს მოგვაგონებს.

ხშირად იბეჭდება ლექსები, რომლებიც მკითხველზე ემოციურ ზემოქმედებას ვერ ახდენენ, თუმცა მათში ენაც სუფთაა. რითმიც კარგია, თითქო ყველაფერი რიგზეა, მაგრამ წაიკითხავ და გულს არ ეკარება. რით აიხსნება ეს? იმით, რომ ისინი ზოგადნი არიან, ცხოვრების გამოძახილი არ ისმის მათში, პოეტის ბიოგრაფიის ნაწილს არ წარმოადგენენ. პოეტი იღებს საერთოდ თემას, ვთქვათ ჩაის პლანტაციას და ამბობს იმას, რაც საერთოდ შეიძლება თქვას პლანტაციაზე — თქვას ისე, რომ მას შეიძლება ეს პლანტაცია არც ენახოს. ხოლო უნახავადაც შეიძლება თქვა, რომ ის ვრცელია, ლაჰაზია, რომ ბუჩქები პორიზონტამდე ღურჯად ჩამწკრივებული არიან, შემდეგ, მეორე ლექსში შეიძლება იგივე სახეები გავიმეოროთ ვენახზე, ისიც ასევე ვრცელია, ვაზები ჩამწკრივებული არიან და ა. შ. მაგრამ ეს ლექსები, ერთიც და მეორეც, ცივი იქნება იმიტომ, რომ მათში არ გამოჩნდება ის წუთი, როცა პოეტი მოხიბლა ამ სილამაზემ, ჩვენ ვერ ვიგრძნობთ მას, რადგან ლექსი არაა დაკავშირებული პოეტის ბიოგრაფიასთან, მისი გულის ნაწილი არა დევს მის სტრიქონებში, ცოცხალი სული არ უდგას ნაწარმოებს. კარჩაკეტილ კაბინეტში კარგი ლექსი არ იწერება. ვერავითარი კარგი რითმა, გაკრიალებული ფრაზა ამ დანაკლისს ვერ შეავესებს. ავიღოთ ახლა, მაგალითად, ირ. აბაშიძის „სამი ციხე“. კითხულობ ამ ლექსს და ასე გგონია, რომ შენც იქ იყავი, როცა პოეტი იდგა მურის ძველ ხიდთან, ჩუმიად მთვლემ-

რე ქედების გარემოცვაში და თითქოს შენც გესმოდა ის ყოინი — „დაჰკარ“, „დაუხვდი“ და „არ გაუშვა“, რომელიც მას მოესმოდა ამ ციხეების ხანისან კედლებიდან. როცა კითხულობთ ირ. აბაშიძის ლექსში გომბორის მქროლავ ნიაგზე, ალაზნის ველის მუქ სიმწვანეში რომ შრიალებს და ჩაიკითხავთ სტრიქონებს: „სიო იმგვარი, როგორც მაშინ — ორმოცდაერთში“, — გრძნობთ ცოცხალ შთაბეჭდილებას იმ ლამაზი წუთისას, რომელიც ათი წელი შენახული ყოფილა პოეტის გულში, ორმოცდაერთიდან ორმოცდათერთმეტამდე, შენახული ყოფილა, როგორც ძველი, მივიწყებული ტკბილი სიმღერის ჰანგი, რომელიც რაღაც შემთხვევით ისევ ცოცხლდება და გაიხმაურებს ადამიანის ცნობიერებაში. ამიტომაც, რომ აქ ემოცია ასე ადვილად გადადის ლექსის სტრიქონიდან მკითხველის გულში. ახლა ომგადახდილი ინგილო ლაზარე გაიხსენეთ („ინგილოები“). რატომ ხდება, რომ გეჩვენებათ თითქოს ამ ლაზარეს თქვენც იცნობთ და გესმით მისი დინჯი ქართულიც:

რაც გამოივლია, რაც თავს მომსვლია,  
სიზმრად ნახედნენ მამა-პაპანი?  
ხელისგულივით ვიცი პრუსია,  
ვით ზაქათალა და ბელაქანი.  
ჩემს თვალწინ გატყდა მისი ბრესლაუ —  
ციხე-ქალაქი ქვეყნის ოდენი,  
მე ინსტენბურგის ვარ შემმუსრავე,  
მე გადავცურე მისი ოდერი.

და აქვე, როგორც ფერწერულ ტილოზე, ხედავთ კოცონის ირგვლივ შემომსხდარ, მკერდზე ღილილო შეხსნილ ინგილოებს, ასე დაფიქრებით რომ უსმენენ მეხრეს, რომელმაც „ხელისგულივით იცის პრუსია“. ირგვლივ კი შუალამე ჩამოწოლილა, თივის ბულულზე თავმიდებულ მყეფარებსა სძინავთ, წიფლის კუნძები ბოლავენ, უღრანი ტყის სიბნელეში კი, შორს მგლის ბრიალა თვალი გაივლებს — ნადირმა გაირბინა სადღაც; რაღაც ლაწა-ლუწი ისმის — დაკრილი ტახი სადღაც შორს, თასმანლუსთან, ბერმუხის ძირში ხმელ ფესვებს ჰგლეჯს. რა მართალი, პირდაპირ ენარქული სურათებია, აქ ყველაფერი ცოცხლობს, მოძრაობს „ინგილოები“ და „მონადირის ღამე“ ქართული საბჭოთა ლირიკის შედეგებია. აქ სრულიად ახალი სახეებია.

ირ. აბაშიძის ლირიკა უაღრესად ღრმაშინაარსიანი და ფართოდ დამტევიანია. მას მართლაც სრულყოფილად შეუძლია გადმოსცეს ადამიანის სულის მდიდარი შინაარსი; თეზისი ლირიკის ყოველსმოცულობაზე, რომელიც ირ. აბაშიძემ „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურ-

ცლებზე წამოაყენა და რომლის გამო მას შეეძლებინა რუსი კრიტიკოსი იური სუროვეცივი და ტაჯიკი პოეტი მირზო ტურსუნ-ზადე, ყველაზე უფრო გასაგები მაშინ გახდებოდა, როცა ჩვენ გავითვალისწინებთ მთელი საბჭოთა პოეზიის გამოცდილებას, კერძოდ თვით ირ. აბაშიძის პოეტურ პრაქტიკას. ირ. აბაშიძის მოკამათებებს შეეშინდათ — როგორ, ნუთუ ლირიკამ ასე ვთქვათ, უნდა შთანთქმას პოეზიის სხვა სახეობანი, კერძოდ ეპოსიო. მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ აქ რომელიმე ქანრის უფლებათა ხელყოფაში კი არ არის საქმე, არამედ იმაში, რომ გაფართოებულ და გამდიდრებულ იქნას პალიტრა ლირიკული პოეტისა. აბა ახლა ამ ასპექტში განიხილეთ ირ. აბაშიძის „ინგილოები“. ზემოთ მე ვახსენე ეს ლექსი, აქ კი ხელახლად ვუბრუნდები, რათა აღვნიშნო, რომ აქ ინგილო ლაზარე დახატულია ისე ცოცხლად, ისე სისხლსავსედ, რომ ამაზე მეტი აღარც პოემას და აღარც თუნდაც მოთხრობას არ შეეძლო; თანაც ეპიკურ სახეს აქ ლირიკული მღელვარება გასდევს თან და ეს კიდევ უფრო ამალღებს ამ ნაწარმოების ემოციურ ძალას. ზემოხსენებულ ლექსს გარდა ამავე ციკლს მიეკუთვნება ლექსი „გიო“, რომელშიც გლუხკაცის მთელი ცხოვრებაა გადმოცემული. მე მაგალითისათვის მხოლოდ ამ ორ ლექსს ვიღებ, და მინდა აღვნიშნო — მათი კიდევ ერთი თავისებურება ის არის, რომ აქ ფონიკ, ეპოქაც, რომელშიაც ეს ადამიანები ცხოვრობენ—მეტად შთამბეჭქდაყად არის ასახული.

ირ. აბაშიძის ლექსი ძალზე მელოდიურია. პოეტმა იპოვნა ის სულში ჩამწვდომი მელოდია, მოძებნა სიტყვები იმ სულიერი სიბოზის და ინტიმის გადმოსაცემად, რომელიც თანამედროვე საბჭოთა ადამიანის სულის სიმებს ეხება. „ამღერებულ ლექსს“, ისეთ ნაწარმოებს, რომლის სტრიქონებში შინაგანი მუსიკაა ჩაქსოვილი, საქართველოში შესანიშნავი ტრადიცია აქვს; ამ ტრადიციამ ირ. აბაშიძის სახით შესანიშნავი გამგვრძელებელი პოეზია. ამავე დროს პოეტის ლექსში ეს მელოდია შერწყმულია პლასტიკურ ნაჩატთან. ეს არის ირ. აბაშიძის ლექსის თავისებურებაც და პოეტის წარმატების მიზეზიც. მართლაც ბედნიერებაა პოეტისათვის ასე შეაერთოს „ხედვაც“ და „სმენაც“. ამ ლექსებში კი ეს უთუოდ იგრძნობა და პოეტის შინა-საკენ შეგნებულად ისწრაფვის. ვკითხულობთ მის ლექსებს და ჩვენ ვხედავთ ხან ოქროს ფერებით განათებულ სუფსის ხეობას, ხან წარმტაც იებით აყვავებულ მიწას, ხანაც ლურჯად მოელვარე ჩაბურულ პლანტაციებს, ჩვენ თითქოს ჩვენი თვალთ ვხედავთ სოფლის გზის პირებზე ჩარიგებულ ალვის ჩრდილებს და მგზავრის სამ-

ზერად ღობეზე აცოცებულ ტყის ყვავილებს, ვხედავთ ალაზნის ველს და ბახტრიონთან მობუბუნე კომბაინს.

საბჭოთა პოეზიაში პეიზაჟი არ შეიძლება იყოს განყენებული და ირ. აბაშიძეც სწორედ საბჭოთა-ამიწის სილამაზესა და საბჭოთა ადამიანის შრომის სილამაზეს უმღერის, შრომის, რომელიც ხელახლა ჰქმნის მიწასა და ბუნებას ხალხის ინტერესების შესაბამისად, პოეტმა კარგად იცის, რომ ეს სილამაზე მშვიდობისა და თავისუფლების მაღლია; კარგადაა ეს გამოთქმული ლექსში „მშვიდობა ჯუგაანში“.

მე ვაკვირდები თვით ცის კიდეში  
კავკასიონის მთელეშარ ალმასებს  
და ამ ღუმელში, ამ სიმშვიდეში  
ვხედავ ამ ქვეყნის მთელ სილამაზეს.  
ვხედავ ბუნებას როგორ ანაზებს  
სოფლის მშვიდობა, მწუხრის სოფელი,  
ვხედავ სიმშვიდე და სილამაზე  
როგორ ყოფილან განუყოფელი.  
როგორ ერთპირად და დაწყობილად  
სუნთქავენ ეს ორი ბედნიერება...  
დასტურ, მშვიდობის ნიჭი ყოფილა  
სილამაზე და მშვენიერება.

საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედებითი ამოცანაა ასახოს და აღიღოს საბჭოთა ხალხის შრომითი გმირობა; შრომის პოეზია ფართოდ არ განუვითარებიათ და არც შეეძლოთ განვითარებინათ წარსული დროის მწერლებს და თანამედროვე ბურჟუაზიულ მწერლებს, რადგან შრომა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, უსასტიკესი ექსპლოატაციის პირობებში, წარმოადგენს მხოლოდ მძიმე მოვალეობას და ადამიანის შეჩვენებას. სულ სხვაა ჩვენს ქვეყანაში, სადაც შრომა-განთავისუფლებულია ექსპლოატაციის ხუნდებისაგან და მიმართულია მთელი ხალხის — ქვეყნის ბატონ-პატრონის კეთილდღეობისაკენ, სადაც შრომა წარმოადგენს ღირსების, დიდების, სიმამაცისა და გმირობის საქმეს. ამ თავისუფალმა შრომამ წარმოშვა ახალი ადამიანები — თავისუფალი ადამიანები, რომელთა სულიერი სამყარო უმაგალითოდ მდიდარია.

მშვიდობა და სილამაზე განუყოფელი არიანო, ამბობს პოეტი; მან კარგად იცის, რომ ეს ყველაფერი შრომის მაღლია, ის ჰქმნის და აშენებს ქვეყანას. თავის ერთ ლექსში პოეტი — ჰიმნს უმღერის გუთანს და პურის პატარა მარცვალს უწოდებს „ბუმბერაზს“, „გოლიათს“, „გულმართალსა“ და „უწყინარს“. ლექსების მთელ ციკლში „სიმღერა მკის დროს“ პოეტი უმღერის გუთნისდედების საქართველოს, აქაა სიცოცხლის დიდი პოეზია და ყველაზე მაღალი მოქალა-

ქობრივი ჟღერადობა ირ. აბაშიძის შემოქმედებისა. ხორბლის ერთი პატარა მარცვლი პოტენციურად შეიცავს ოკეანეების თვალგადაუწვდებელ ჯეჯილებს, რომელთაც შეუძლიათ დაჭარბონ მთელი დედამიწა. ეს არის სიცოცხლის ყველაზე დიდი საიდუმლოება, მაუწყებელი მისი საზღაპრო ძლევამოსილებისა. იმ პატარა მარცვალში მშვიდად სძინავთ ყანებს მომავლისას, რომელთაც ძალუძთ მისცენ კაცობრიობას პური მისი არსობისა, აცოცხლონ ის, შეინახონ, კერა არ ჩაუქრონ კაცთა მოდგმას; ამიტომ არის ხალხში მადლმოსილი ის მთესველი, რომელიც ამ მარცვალს მიწაში გადააგდებს და გზას გაუხსნის, რათა გაღვივდეს ის, ფესვი გაიდგას, დაბუჩქდეს და მუხლი ამოიყაროს. იმ მოსაველს შემთხვევით არ უწოდა ბიბლიამ „თესლი კეთილი“ და არც ის არის შემთხვევითი, რომ ოდითგანვე თავიანთ სიმბოლოდ სწორედ მთესველი აქციეს იმ ადამიანებმა, ვისაც მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდა სიცოცხლე გაეწირა კაცობრიობის თავისუფლებისათვის. დიახ, სწორედ აქ დაუწყო ძებნა ადამიანმა სახეს, სიმბოლოს თავის ყველაზე სანუკვარი მისწრაფების გამოსახატავად.

ამ დიდი სიკეთის მადლით არის აღსავსე ირ. აბაშიძის მთელი პოეზია, რომელშიც გამოხატულია ახალი საბჭოთა საქართველოს ადამიანების ყველაზე უგულითადესი მისწრაფებანი და სულიერი ღტოლვანი.

\*\*\*

1959 წელს გამოვიდა ირაკლი აბაშიძის პატარა წიგნი „რუსთაველის ნაკვალევზე“, რომლის სუბერზე მოთავსებული იყო ლადო გუდიაშვილის ნახატი — უსაზღვრო, დაუღვეველი ლურჯი სივრცე ღრუბლების ქულებით და იმ ლურჯ სივრცეში ჩანდა მოჩვენება თუ აჩრდილი რუსთაველისა, „ღრუბლებში ამალღებული, როგორც ოცნება კაცისა“. იმავე სივრცეში მოჩანდა რალაც მითიური ფასკუნჯები, მოფრენილნი ზღაპრიდან თუ სიზმრებიდან და იმ ფრინველებს ცისარტყელასავით გაშლილი ფრთები ჰქონდათ. ასე გაიგო მხატვარმა პოეტის ჩანაფიქრი და გადმოგვცა მთელი წიგნის დედააზრი, დახატა ოცნება პოეტისა, თუკი მისი დახატვა შეიძლება. იშვიათად თუ უნახავს კაცს მხატვრისა და პოეტის ფანტაზიის ესოდენ კეთილისმყოფელი შერწყმა და შედუღება; მხატვრის ნახატს უკვე შევყავდით ტკბილ და სანეტარო ოცნებათა სამყაროში; გადაშლილით წიგნს დღე ჩვენც პოეტთან ერთად, მხატვართან ერთად ვეძებდით რუსთაველის ნაკვალევს, ჩვენც ვმოგზაურობდით, თან მივყავდით პოეტს შორეულ ინდოეთში, მუშაირაზე; მე ინდოეთში არა ვყოფილვარ და ეს მუშა-

ერა — პოეტების შეჯიბრება — არ მინახავს; მახსოვს იგი მხოლოდ ინდური ფილმიდან „ბაიჯუ-ბავრა“. ეს მართლაც განსაცვიფრებელი სანახაობა იყო: ორი პოეტი ეჯიბრებოდა ერთიმეორეს ლექსით, ხმითა და საკრავებით; და იყო მათს სიმღერაში, მათს დაცკრაში ისეთი სიხარული, ისეთი ყიჟინა, ისე ღონივრად, ისეთი ძალით ხარობდა სიმღერა, გეგონებოდა საკრავები ველარ გაუძლებენ და დაიღუფებიან ამდენი სიხარულისაგანაო. ხან რაღაც მოთქმას დაემსგავსებოდა ის, ხან ცრემლი გამოერეოდა მოზეიმე ხმებში, ხანაც ისევე არწივის ყივილივით მხნედ და ვაჟკაცურად დაიფრქვეოდა ჰაერში.

ამ მუშაირას ყიჟინი და ჟრიაშული მოესმის მკითხველს პირველსავე ლექსში „ინდოეთის პოეტებს“, რომლითაც ირ. აბაშიძის წიგნი იხსნება; ეს მაჟორული ხმა ძალზე მონათესავე აღმოჩნდა პოეტისათვის; აი გამოწვევა ინდოეთის პოეტებისა მუშაირაზე:

სანამ ჯანზე ვარ,  
 სანამ კვლავ ვგრძნობ ახალგაზრდობას,  
 უნდა გადმოეკრა  
 ხელმეორედ შაჟი, შირაზი,  
 დელში ხელახლა  
 უნდა შეგხედე მუშაირაზე,  
 თქვენზე ქართულად  
 ვერ ვიჯერე გული ამ გზობას,  
 უნდა ხელახლა  
 შეგაკვიდოთ. სიტყვა მაღალი;  
 ასჯერ ნაწოთობი,  
 ათას ცეცხლში გამაგრებულნი,  
 თქვენი კალკუტით,  
 თქვენი აგრით  
 და ტაჯ-შაჟალით  
 თქვენი გზის ცეცხლით.  
 რეტდასხმული, გაოგნებული.  
 მთვარიან ცის ქვეშ  
 გავიფინოთ მოლზე ნაბადი,  
 მერე თუნდ დაეწყდეთ,  
 თუნდ დაგვადგეს თავზე აისი,  
 გამომიყვანეთ  
 ლექსში თქვენი მურადაბადი,  
 თქვენი შაკმული,  
 სარდარ ჯაფრი, აჰმად ფაისი.

არ შეიძლება არ მოგვნიბლოთ ამ პოეტურმა სიჭაბუკემ და სილაღემ, პოეტური სიტყვის ოსტატების ამ თამამმა გამოძახებამ ასპარეზზე, მთვარიან ცის ქვეშ, მოლზე გაფენილ ნაბადზე — „მერე თუნდ დაეწყდეთ, თუნდ დაგვადგეს თავზე აისიო“; არის რაღაც აღ-



მოსავლური სპეციფიკურობა ამ შეჯიბრებაში, რომელსაც დასავლურ სინატიფესა და ზომიერების გრძობასთან ერთად ესოდენ კარგად ითავსებს ქართული პოეზია, სადაც ყოველივე ეს ახალ ხარისხშია აყვანილი, განუმეორებელი ქართული იერითა და სულითაა გამსჭვალული. ეს ეროვნული კოლორიტი, ნაციონალური თვითმყობადობა ჰქმნიდა მის პათოსს, ეს აძლევდა მას საკუთარ სახეს და, იმავე დროს, ანათესაებდა მსოფლიოს ხალხებთან — დასავლეთთანაც და აღმოსავლეთთანაც. ქართულ კულტურა არასოდეს არ ყოფილა გამოთიშული მსოფლიოს აზრთა მოძრაობისაგან, ქართველ ოსტატს არასოდეს კარჩაკეტილად არ უცხოვრია, მას მუდამ შეუწონია, გაუზიარებია საკაცობრიო აზრის დიდი წარმატებანი, მუდამ დასწაფებია ახალ წყაროებს და თავისივე სხვისთვის გაუზიარებია, მაგრამ ამავე დროს თავისი სახე არ დაუკარგავს. ქართული კულტურის ამ ეროვნულ ხასიათზე და მეზობელ კულტურებთან დამოკიდებულებაზე კარგად წერდა გერონტი ქიქოძე. არა ერთხელ გაგვიწოდებია ხელი ბიზანტიელებისათვის, — აღნიშნავდა იგი, — მაგრამ ბრმად არასოდეს მიგვიბაძავს. მათ მოზაიკა უყვარდათ, რადგან მოთმინების ადამიანები იყვნენ, ჩვენ ფრესკებს ვაძლევდით უპირატესობას, სადაც ემოცია და ფანტაზია უფრო ფართოდ გაშლიდნენ ფრთებს; ჩვენს ფანტაზიას ხშირად სწვევიან აღმოსავლური ხილვანიც, მაგრამ ჩვენ არც აღმოსავლეთის ღვიძლ შვილებად ჩავითვლებითო, გისაგრძობდა გერონტი ქიქოძე. როცა შუა საუკუნეების აზიაში მისტიციზმმა და ასკეტიზმმა უფრო ღრმად გაიდგა ფესვები, ჩვენში რეალიზმი და ჰუმანიზმი გაძლიერდა, რენესანსი დაიწყო, რომელმაც თავის მწვერვალს „ვეფხისტყაოსანში“ მიაღწია. ამ რუსთველური რენესანსის მაღლი და შუქი მოსდევს საუკუნეების მანძილზე ჩვენს კულტურას, ქართულსა და ზოგადსაკაცობრიოს ერთსა და იმავე დროს, და მისი სიდიადეც სწორედ ამაშია; ამიტომ ასე თავისუფლად გრძობს თავს ქართველი პოეტი, სადაც უნდა იყოს ის — აღმოსავლეთში, პოეტების მუშაირაზე თუ დასავლეთში, სიტყვის ოსტატთა ლიტერატურულ საღამოზე. ყველა პოეტი, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში მშვიდობისა და თავისუფლების იდეებისათვის იბრძვის — ჩვენი მოძმეა.

და საესებით ბუნებრივია, რომ ირ. აბაშიძე ერთნაირი გატაცებით შეჰხარის და სამშობლოში ეპატიება როგორც ამერიკის სახელგანთქმულ მომღერალს ჰარი ბელაფონტეს, ისე პაკისტანელ პოეტს ფაიზ აჰმად ფაიზს. პოეტი უმღერის აღმოსავლეთის ხალხთა გამოღვიძებას, მიესალმება მათს ბრძოლას საკაცობრიო პროგრესის გზაზე:

ასი ენა გვაქვს აღმოსაველელებს,  
ჩვენზე მდიდარი ქვეყნად ვინ არის  
ას მღერალ ტალღას ერთად აელეებს,  
ერთი დინება ზვიად მდინარის.  
პანგი პანგს გვიგავს,  
ენა ენას ჰგავს, |  
შიგ ჩვენი აზრი, ჩვენი გულია;  
ასი კი არა,  
ერთი ენა გვაქვს,  
ეს ჩვენი ენა — სიყვარულია.

ეს ჰიმნია ხალხთა ძმობის, მათი თანასწორუფლებიანობის, მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი. ამ დიდ სიყვარულს უმღეროდა პოეტი განგის ნაპირებზე და აქვე ეძებდა რუსთაველის ნაკვალევს.

ირ. აბაშიძის ლექსებში „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „რუსთაველის ხმა ყრუ ტრამალებში“, — არ ვიცი როგორ ვთქვა, — თითქოს წინასწარ ნაგრძნობია ის დიდი სიხარული, რომელიც მთელმა საქართველომ განიცადა, როცა ირაკლი აბაშიძემ, გიორგი წერეთელმა და აკაკი შანიძემ იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან რუსთაველის სურათი ჩამოიტანეს. მე არ ვიცი, რა უნდა იყოს პოეტისათვის უფრო მეტი ბედნიერება, ვიდრე ის, როცა ლექსი, ოცნება, ფანტაზია აიყვანა დადასტურდება, როცა რუსთაველის ნაკვალევზე ოცნებით მოსიარულე კაცი უცებ წააწყდება მის სახეებს.

## ქართველი გუთნისდღა

### კ. ლორთქიფანიძის „ნატვრის თვალის“ გამო

როგორც ივ. ჯავახიშვილი თავის „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ აღნიშნავს, თურმე ძველ ქართულში მიწას „ქვეყანა“ ერქვა და ხენა-თესვას „ქვეყნის შექმნა ანუ მოქმედება“ ეწოდებოდა. ისტორიკოსი აქ დაბადების უძველეს ქართულ თარგმანს იმოწმებდა: „ქვეყნის მოქმედებასა შინა მოილალებოდეს“, „კაცი ქვეყნის მოქმედი ვარ მე... სიჭაბუკით ჩემთაგანო“.

რა საოცრად ზუსტი, ბრძნული და მართალი ყოფილა ძველი ქართული: გუთნისდღისათვის მას ქვეყნის შემოქმედი დაურქმევია, ვინაიდან ის ყოველ გაზაფხულზე ხელახლა აღმოაცენებს ხოლმე სიცოცხლეს, ტიტველ მინდვრებს შრიალა ყანებით მოჭატავს, მზესუმზირას დაღანა ყვავილებით. ბალ-ბოსტნებით დაამშვენებს, ყველა სიკეთით, რაზედაც უნდა აშენდეს მთელი, ცივილიზაცია, სახელმწიფო, კულტურა, ხელოვნება, მთელი ცხოვრება. ჩვენი წინაპრები, ძველი ქართველები მორწმუნე ადამიანები იყვნენ და ვინ იცის, გრძნობდნენ თუ არა ისინი, რომ ღოცა მხვნელ-მთესველს სიცოცხლის შემოქმედს უწოდებდნენ, ამით თვითონ ღმერთს ედავებოდნენ, მის უფლებას კაცს ანიჭებდნენ.

დღეს ბავშვებმაც კი იციან, რომ მსოფლიოს ცივილიზაციის ისტორია დაიწყო იმ წუთიდან, როცა პირველმა მხვნელ-მთესველმა პირველი კვალი გაატარა და მერე მოიქნია მუჭა, რათა ამ დასაბამიდან პირველად ნაძრავ მიწაში თესლი კეთილი გადაეყარა. და დღესაც, თუმცა ის პრიმიტიული კავი დიზებმა შესცვალეს, მაინც ის ნაძრავი მიწა დღედა ყველა სიკეთისა ამქვეყნად — კეთილი, მარადიული, ღონიერი, თავის ბარაქიან ძეძუს უყვედრებლად რომ უწვდის მთელ ქვეყანას დასაბამიდან დღევანდლამდე, რომ აწოვოს, გაზარ-

დოს და დაავაჯაცოს, არწიოს დიდი აკვანი საკაცობრიო ცივილიზაციისა.

კ. ლორთქიფანიძის ახალ რომანში, „ნატერის თვალში“, მარტო იმიტომ კი არა, რომ მას ასეთი ლეგენდის თუ ზღაპრის მსგავსი სათაური აქვს, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ ცხოვრების სიმართლეს გამოხატავს — არის რალაც მიწის ამ პირვანდელი მადლის შეგრძნობიდან. ეს შთაბეჭდილება უნებურად ებადება მკითხველს, ისევე როგორც ალბათ უნებურად იგრძნო ეს მწერალმაც, როცა ამ წიგნის დასაწერად ეცნობოდა შირაქს, მის მიწას, მის ადამიანებს. მან უცებ იგრძნო ეს სურნელი მიწისა, ეს მადლი შრომისა, ათასი ნიშნითა და ნიუანსით გამოხატული გლეხკაცის — ამ დიდი შემოქმედის მთელ ყოფაში, მის ეზოში, მის შრომაში, მის ლხინში, მის სიყვარულში; ამიტომ გრძნობს აქ მკითხველი სუნთქვას მიწისას, როცა დიზელს ათი კვადრი ერთად მიაქვს და ყამირზე ათი შავი ნიადვარი ერთად ბობოქრობს. ის დიზელი ხომ უმაღლესი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვაა, მაგრამ რატომ არის, რომ აქ ბუნებასავეთ ჩვეულებრივია, ისე შესულია ამ ყოფაში, თითქოს ის და მიწა ერთად გაჩენილიყვნენ ამქვეყნად. მე მგონია, ესეც იმიტომ ხდება, რომ მთელი ტექნიკა აქ ადამიანისა და ბუნების მტერი, გამანადგურებელი კი არ არის, როგორც მაგალითად, ფრენკ ნორისის შესანიშნავ რომანში „ურჩხული“, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ შრეტს, ჰფიტავს კაპიტალიზმი მიწას — სიცოცხლის დედას, არამედ უახლოესი მეგობარია.

როცა „ნატერის თვალს“ ვკითხულობდი, მე ვგრძნობდი, თუ როგორ გათქვეფილან, შერწყმულან ერთიმეორეში მიწის პირველყოფილი სუნთქვა და ის ჭკვიანი მანქანები, რომლებიც ადამიანის გონებას შექმნა. ეს თვით რომანის სათაურშივე ჩაიფიქრა მწერალმა, როცა მას „ნატერის თვალი“ უწოდა.

მეტად მშვენიერი დასაწყისი აქვს ამ წიგნს: უცებ ჩნდება ალაზნის ველი, ისე უცებ, თითქოს ნისლი აიყარაო. და აი ვეება, შავი კამეჩი ლაწა-ლუწით მიდის წვრილიანში. ისმის როგორ იმტერევიან მის ფეხებ ქვეშ ნორჩი იფნის ხეები. კამეჩი გაველურებულია და მამა-შვილი — ზაქარია და ლევან ნადიბაიძეები ლამობენ მის დაქერას. ლევანი, ქამანდით ხელში, ფეხდაფეხ მისდევს გაცოფებულ კამეჩს. ისიც შეამჩნევს და გაგიჟებული წამოვა მისკენ. მღევარს ახლა თვითონ უტევს. საცაა გაიტანს, მიწაში ჩასრესს: „მოეცა, ბიჭო, — ეძახის შვილს მოხუცი, — გაგიტანს, მოეცა“. კამეჩს ქედი ოდნავ გვერდზე მოუდრეკია და გავეშებული მოჰქრის, ჩლიქებით მიწასა

ბრდღენის და კორიანტელს აყენებს. აგერ უკვე სამი ნახტომიღა დარჩა. ორი... ერთი...

ელდანაცემმა მამამ თვალეზი დახუჭა. არ უნდა შვილის საზარელი სიკვდილი დაინახოს და ფიქრში ელვისებურად ესღა გაურბენს: „სიზმარი... ჩემი წუხანდელი სიზმარი. ვითომ უმ ხორცსა ვჭამდი“. ეს კი ცუდი ნიშანია, ძლიერ ცუდი. თვალეზი დახუჭა მამამ და არ დაუნახავს, რომ უკანასკნელ წამს ლევანი ელვის უსწრაფესად გვერდზე გადახტა და ქაშანდი მოიქნია. თოკი მაშინვე დაიჭიმა და ქაშანდარი ადგილიდან ისე მოსხლტა, თითქოს გრიგალმა მოიტაცაო, მერე ლევანს თვითონაც აღარ ახსოვდა, იმ წუთში თავი როგორ შეიმაგრა და მიწას არ დაასკდა, ათი-თორმეტი ნაბიჯი მან ასე მოსხლეტილად გაირბინა, შემდეგ ერთბაშად უკან გადაიწია და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, თოკი გამოჰკრა, კიდევ გამოჰკრა და კამეჩს მუზლი შეურყია.

— შენი მკლავის ჰირიმი! — აღმოხდა შვილის ვაჟკაცობის შემხედვარე მოხუცს.

ეს შესავალი სურათი თუმცა ძუნწად, მაგრამ ისეთი მძაფრი ტემპით არის დაწერილი, რომ არა მარტო იმ მოხუცს, არამედ მკითხველსაც სუნთქვა ეკერის და ლამის თვალეზზე ხელი აიფაროს. ასე ჩნდება დასაწყისშივე მიწასავით უდრეკი ეს ორი ვაჟკაცი; ჩვენ პირველი შეხედვისთანავე შეგვიყვარდა ისინი. განა მარტო იმიტომ, რომ ველური პირუტყვი დაიმორჩილეს, მათ მოგვხიბლეს უშუალოებით, სიალალით, ლევანის იმ პირველი დარდით, გედიქის ხევზე ახალგაზრდა ქალიშვილის დანახვაზე რომ ჩაესახება გულში.

მაინც რა მიზანი აქვს ამ პირველ სურათს, რა ჩანაფიქრი? ის, რომ ადამიანის ვაჟკაცობის, გაბედულობის სილამაზე გვაჩვენოს. ახლა აღარ გაგვიკვირდება ლევანის გაბედულება მოსკოვის მისადგომებთან, მაგრამ ეს ღონიერი ვაჟკაცი როგორი ნაზი სულის ადამიანია! გედიქის ხევზე დამორჩილებული კამეჩი მოჰყავს და თავისი პატარა გული კი ვერ დაუმორჩილებია უგრეხელიძის ლამაზი ქალიშვილის შემხედვარეს.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს პროზაში ყანის მკადღემდე არ იყო აწერილი. ჩვენ ვგულისხმობთ მის პლასტიკურ ჩვენებას; აქ კი ის ნაჩვენებია, როგორც ვაჟკაცობა და ხალხიც ხომ ასე მიიჩნევს მას თავის სიმღერებში. ტყუილად კი არ არის, რომ ფოლკლორში უხსოვარ დროიდან, გმირების სახელთან ერთად, შემორჩენილია სახელი აზამბურელისა, რომელიც საოცარი მკელი ყოფილა. ისიც არ არის ტყუილად ნათქვამი — მკელი მხედარზე სამი გაფრენით მეტიაო. ხალხს მუდამ ჰქონდა შრომის ეს რომანტიკა და ის

თვითონ სიცოცხლესავეთ მშვენნიერი იყო. ამ რომანტიკის გადმოტანა შესძლო მწერალმა ძველ შრომაშიც და ახალშიც; არის ამ წიგნში რეტროსპექტიული სურათი ზაქარია ნადიბაიძის და ვანო გაბიდაურის შეჯიბრებისა ყანის მკაში. მე არ ამოვწერ ამ სურათს. თქვენ თვითონ წაიკითხეთ და მერე განსაჯეთ — ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, გახელებული აზარტი განა შეიძლება ჰქონდეს რომელსაც გინდა ხალხურ სანახაობას? როგორი ნამდვილია აქ ყველაფერი, ეს უპრალოების რომანტიკაა, მიწის, გლეხკაცის ძალღონის და შრომის კეთილშობილური სიამაყისა, ამპარტავენობისა. ის ყანაშიც ისეთივეა, როგორიც ბრძოლის ველზე.

სხვათაშორის, აქვე მინდა აღენიშნო, რომ მწერალმა აქ ნამდვილი ამბავი აღწერა. ვანო გაბიდაური, რომელიც მას რომანში ჰყავს დახატული, მე მახსოვს პატარაობის წლებიდან, ჩვენი მეზობელი იყო. მალალი, გოლიათური აღნაგობის მოხუცი იყო, პირდაპირი, დაურიდალი; რომ შეხედავდი, არ შეიძლებოდა რაღაც მოწიწება არ გეგრძნო. მის ახოვანებასა და სიტყვაში იყო რაღაც შირაქის შავი ბარაქიანი მიწიდან. მე რომ მოვესწარი; ვანოს მაშინ ყანის მკა აღარ შეეძლო, მაგრამ უსაქმოდ ვერ გააჩერებდი: დილიდანვე ჩაირკობდა ქმარში წალდს და მიდიოდა ძეძვის საჭრელად დიდდაბალში თუ ნახშირწყალზე. ის ვანო მართლაც ხელახლა გააცოცხლა მწერალმა და მისი სახით გვიჩვენა ქართული გლეხკაცი მთელი თავისი ეროვნული კოლორიტით, გაუტეხელობით, გამბედაობით; მისი სული უდგათ ამ ჰაბუკებს, ტრაქტორებზე რომ სხედან, ცხვარს რომ უვლიან, ომში მოსკოვს რომ იცავენენ, და ნაწარმოებიც იმიტომ გვიზიდავს, რომ მასში ქართული ნაციონალური ხასიათები ესოდენ თვალგულმომტაცად არიან დახატული.

ამ ხასიათებს შორის, როგორც ვთქვით, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევენ ზაქარია ნადიბაიძე და მისი შვილები — ლევანი და გიორგი; ამასთან ისინი მეტად თავისებურნი არიან. აიღეთ თუნდაც ლევანი — წელან ვანო გაბიდაურის შრომის რომანტიკაზე ვლაპარაკობდით. ეს ძველი ამბავი იყო. ახლა გაიხსენეთ პატარა ლევანი. როცა მას ტრაქტორის საქეს მიანდობენ. თქვენ აქ უკვე დღევანდელი შრომის რომანტიკას ხედავთ, ისევე ძველი ქართული რომ გაიხსენოთ. ვხედავთ ქვეყნისა და სიცოცხლის ახალ შემოქმედს, ვისაც დღეს შირაქის მიწა აბარია.

რომანის სიუჟეტის ცენტრში დგას ლევანისა და გოგოლას სიყვარული. მომხიბვლელია ამ ახალგაზრდა ქალის სახე, მისი მთელი სიყვარულის ისტორია. როგორი ნათელი, მზიანი და შუქიანია ის. აი იგი დგას მზის ჩასვლისას გაშლილ მინდორში, შუა ყანაში და

გარინდებული უცქერის ფერების დაუცხრომელ თამაშს. ჯეჯილს ხან ვერცხლისფერი გადაჰკრავს, ხან ლურჯად ჩაგუბდება, მერე ერთბაშად ტალღა ტალღაზე გადაწვება და სარეველა ბალახის წითელ-ყვითელი თვალი გამოაქყვეტს. ყანის ეს ლივლივი გ. ლეონიძესაც აქვს აწერილი („ნიაზე ყანა ქალივით მოსახვევად რომ წამოვა...“); ყანის ამ რხევას ქართულში თავისი სახელი ჰქვია: „მზეკაბანი, მელეურები — ყანა რომ დელავს და ტალღა ტალღას მისდევს, იკეცება ყანა და ფერსა და ფერს იცვლის“. ხალხურ ლექსშიც ასეა ნათქვამი უზუნდარელ ვაჟაკზე: „არცა შენ მოჰკალ, არცა მე, მამულმა მოკლა, ველმაო, მინდორში მინდერის ნიაგმა, მ ზ ე - კ ა ბ ა თ ქ ა ნ ე ბ ა მ ა ო , არ ვიც რამ მოკლა მომკელი, ნარმა თუ გვირილამაო, სათითოე ნარზე ეკიდა, ნამგალი გვირილასაო, გვერდით დამიჯექე, ლამაზო, დამიკარ დილილასაო“. ეს ხალხური ლექსიც და თვითონ ტერმინის განმარტებაც თ. რაზიკაშვილს აქვს ჩაწერილი და იქვე აღნიშნავს — დილილა ძველად რომელიღაც საკრავს ერქვაო.

მთელ ამ სურათში, ამ ჩარჩოში ისე ბუნებრივად ზის გოგოლას პორტრეტი, თითქოს ისიც შირაქის მინდერის ყვავილი იყოს. ეს პორტრეტი სულ უფრო და უფრო იცვება ფერებით, როცა მას კომკავშირის ყრილობის ტრიბუნაზე ვხვდავთ, მერე, როცა მისი გულის დარღვს ვეცნობით, ლევანის წერილი რომ აღარ მოდის ფრონტიდან, როცა სამუშაოდ მიდის მინდორში.

უფრო ძლიერი და კოლორიტულია დედის სახე, ქართველი ქალის სახე, ეს ანუკაა, ზაქარია ნაღბაიძის მეუღლე. ძალზე ბუნებრივია და უშუალოა ის ქვეყნის სიყვარულშიც, შვილების სიყვარულშიც, თავის იმ დარღვსა და ვარამშიც, რაც ომმა მოუტანა ჩვენს ქვეყანას.

ახლა ორიოდ სიტყვა იმის შესახებ, რაც მე არ მომეწონა ამ წიგნში. კარგია სურათი გედიქის ხეზე, კარგია, რომ მამა უცებ შეატყობს — ლევანი არა მღერის და ეტყობა გულზე რაღაც დარდი მოსჭიდებიაო, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ყალბ შტრიხად ჩანს მამის რეპლიკა: „იმ გოგომ ხომ არ მოიკიდა შენი ცოდვაო“. საქმე ის არის, რომ აქ დარღვეულია რაღაც ბუნებრივი დისტანცია მოხუცსა და ახალგაზრდას შორის, მამასა და შვილს შორის, მეტად უცებ ამოიციან ზაქარიამ შვილის გულის იღუმალი თრთოლვა, იმ დროს, როცა ჯერ ბიჭმაც არაფერი იცის.

სასიცოცხლო პათოსი აკლია საფრონტო სურათებს, გარდა იმ სურათებისა, სადაც საველე ჰოსპიტალია აღწერილი.

ახლა ცალკეული დეტალების შესახებ. მესამე თავში „მონამგლე-

ნი“ ავტორი წერს — „გაბიდაური ძუძუმაყვალს წამოედო და ყანაში გაიშხლართაო“. აქ მაცვალი უნდა იყოს, ხოლო ძუძუმაყვალა შირაქის ველზე არ იზრდება, ის უფრო მთის შეფენებაზე გვხვდება, ტყეებში, ნაყოფი ძუძუსავით წაგრძელებული აქვს და გემოთიც ოდნავ მარწყვს მოგვაგონებს; კახეთში, უფრო ხშირად, ალაზნის გაღმა, კავკასიონის კალთების დასაწყისში გვხვდება. ასევე არ ვარგა „მეხრე ბიჭები“, მეხრეები თავისთავად ბიჭები არიან.

ჩვენს წინაშე მხოლოდ რომანის პირველი ნაწილია. ეს კარგი დასაწყისია. მასში უკვე ჩანს ჩვენი დღეები ისევე ნათლად და მკაფიოდ, როგორც ამ საუკუნის ოცდაათიანი წლები გამოჩნდა იმავე ავტორის „კოლხეთის ცისკარში“.

---



## გერონტი ქიქოძე

დაახლოებით ამ თხუთმეტობედ წლის წინათ, იმ ხანებში, როცა გერონტი ქიქოძე წერდა თავის წერილს „ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან“, შემთხვევა მომეცა მასთან ერთად ბაგინეთში გაემგზავრებულიყავ. ჩვენ საკმაოდ ბევრი წავედით — ეს იყო მთელი ექსკურსია. მცხეთამდე არც ვიყავით მისულები, როცა ავტობუსი გაჩერდა, გადმოვედით და ნელ-ნელა შევუდექით ბუჩქნარიან ფერდობს. უცნობი სანახაობის მოლოდინში მივიჩქაროდით ზევით და არცერთ ჩვენთაგანს ყურადღება არ მიუქცევია კრამიტის იმ ნაღებებისათვის, რომლებიც მაყვლისა და ასკილის ბუჩქების ძირში ეყარა. გერონტი კი უცებ დაიხარა, კრამიტის ნატეხი ხელში აიღო და თქვა:

— აი ამ კრამიტებს იხსენებს სტრაბონი, როცა იბერიელთა არქიტექტურულად გაფორმებულ სახლებს აღწერს...

და იმ წუთში იმ ერთმა ფრაზამ და ნატეხმა კრამიტისამ, გერონტის რომ ექირა ხელში, თითქოს გადაგვიყვანა სადღაც შორს, ორი ათასი წლის წინანდელ იბერიაში, როცა აქ ეს გადახრუეული მთა კი არა, იდგა უზარმაზარი აკროპოლი — არმოზიკა სტრაბონისა, არმასტიისი პლინიუსისა და არმასტიზა პტოლომეისა. ჩვენდა შეუმჩნევლად, უკვე თურმე შევდგით ფეხი ისტორიის მიწაზე და გერონტის სიტყვამ თითქოს თვალი აგვიხილა. მერე მწვერვალზე ავედით და იქიდან დაბლა, თითქოს ღრმა უფსკრულში ჩაძირულ მცხეთას გადმოვხედეთ: კიანჭველებივით მოჩანდნენ ავტოები, მოასფალტებულ გზატკეცილზე რომ მიჰქროდნენ, მზესა და ზედაზნის ტაძრის შუა არწივი ბოინობდა. აქ კვლავ ძველ იბერიაზე ჩამოაგდო სიტყვა გერონტი ქიქოძემ: როგორ სჭვრეტდა მისი თვალი ბნელ საუკუნეებს. მისი სიტყვა ისე პლასტიკური იყო, თოთქოს აი ამ წუთში, ამ მთიდან მცხეთის კი არა, ისტორიის გადასახედს გადასცქეროდა

და ხედავდა იმ ქარავნებს, ორი ათასი წლის წინ პართიიდან პონტოს ზღვისაკენ რომ მოდიოდნენ და მცხეთაში ისვენებდნენ, თითქო ცოცხალს ხედავდა იმ ვაჟაკს, არაგვის ხეობაში რომ უხედებოდა სარმატელთა რაზმებს, იგერიებდა და ახლა მცხეთის ნეკროპოლში უნაზესი ქალის გვერდით დამარხული რომ იპოვნეს, ალბათ სატრფო ან ცოლი იყო და „უშისოდ მას საიქიო ალბათ მეტად მოსაწყენი ეჩვენებოდაო“, წერდა გერონტი ქიქოძე თავის ზემოხსენებულ წერილში, რომელიც მაშინ „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე დაიბეჭდა.

ეს არის განსაცვიფრებელი წერილი და თუმცა იგი სულ რაღაც თოთხმეტოდე გვერდს მოიცავს, მაგრამ წიგნთა ვეებერთელა ტომები ისე ცოცხლად ვერ დაგანახვებენ ძველ იბერიას, როგორც გერონტი ქიქოძემ ამ წერილში შესძლო. აქ ადგილი არ არის შევეხოთ ყველა იმ პრობლემას, რომლებსაც ეს წერილი აღძრავს, მაგრამ არ შემიძლია ამ წერილის ბოლო ფრაზა აქ არ ამოვიწერო. აი ისიც:

„მცხეთის და არმაზის სასაფლაოთა საუკეთესო ეპიტაფიას შეიძლება მარკ ავრელიუსის სიტყვები წარმოადგენდეს: „მოვა დრო, როდესაც შენ ყველას დაივიწყებ და ყველანი, თავიანთი მხრივ, შენ დაგივიწყებენ“. შუა საუკუნეებში სამთავროში მონასტერი იყო იქ, სადაც, გადმოცემის თანახმად, პირველად წმინდა ნინო დასახლდა მაყვლის ბუჩქებით დაბურვილ ადგილას... ხოლო უკვე ჩვენს დროში ამავე მონასტრის მახლობლად ბროწეულის ხე აღორძინებულა, თავისი ფესვებით სასაფლაოში ღრმად შეჭრილა, და ისინი ძვირფასი სერდოლიკის ყელსაბამის თვლებში გაუყრია, რომელიც შეიძლება ერთ დროს უმშვენიერესი ქალის გულმკერდს ამკობდა“.

განა ეს მართლაც საოცარი ფრაზა არ არის? ფრაზა კი არა, ეს სახეა, სადაც შეკუმშული და დაკრისტალებულია სიბრძნე თვით ისტორიისა და, მე მგონია, მართო წარმავალობაზე ღალადი კი არ ისმის აქ, არა, სადღაც სიცოცხლის წარუვალობაზე და ოპტიმიზმზეც მეტყველებს იგი; არ ვიცი, იქნებ იმიტომ გვეჩვენება ასე, რომ ის ძვირფასი ყელსაბამი მიწაში აყვავებულ ბროწეულის ხის ფესვს უბოვნი; აქ ღრმად ჩამარხული ქვეტექსტია, იღუმლად აუღერებული ჰიმნია სიცოცხლისა და მერე სად? სასაფლაოზე. გერონტი ქიქოძემ დაინახა ის ყელსაბამი და ერთ სტრიქონში გააცოცხლა ის უმშვენიერესი ქალი, რომელსაც ის მკერდზე ეკეთა, გააცოცხლა ისე როგორც ბაგინეთში ყოფნის დროს იმ კრამიტის ნატეხით იბერიელთა სახლები მართო კი არ გაგვახსენა, დაგვანახვა კიდევ, ის სიხარულიც და ის დარდიც გვაჩვენა, რომელიც იმ კრამიტის დახურულ სახლებში სუფევდა.

აი მუდამ ასეთი შთაბეჭდილება რჩება მკითხველს, როცა გერონტი ქიქოძის წერილებსა კითხულობს — ისტორია ცოცხლდება მისი ხელისა თუ კალმის შეხებისთანავე, ის უკვე თვალდასანახია, რეალური, კონკრეტული. რატომ ხდებოდა ეს? გერონტის მწერლური თვალის თავისებურება ის იყო, რომ მას შეეძლო ნაწილში მთელი დაენახა, ხილულში უხილავი დაენახა, კრამიტის ნატეხში ეგრძნო სუნთქვა და სიბოლო იმ კერისა, რომელიც ჩაქრა ვინ იცის იქნებ პომპეოსის ლეგიონების ქართლში შემოსევის დროს, მას შეეძლო ეგრძნო ქროლვა იმ ქარისა, რომელიც ქროდა იბერიის ქედებზე ათასეული წლების წინ.

მაგრამ გერონტი ქიქოძე მარტო ამ წარსულზე როდი წერდა. ის იყო გულმხურვალე მოტრფიალე საბჭოთა საქართველოს კემშარტად დიდი და მაღალი ცხოვრებისა და ჩვენი იმ ახალი ხელოვნებისა, იმ ახალი ლიტერატურისა, რომელიც ამ ცხოვრებას ეტრფის, გამოხატავს, აშენებს და ალაშაზებს. გერონტი ქიქოძეს არ სწამდა უიდეო, თვითმიზნური ხელოვნება და მან ძლიერ კარგად იცოდა, რომ „არსად და არასოდეს ხელოვნება პოლიტიკის გარეშე არ მდგარა, არც ძველ საქართველოში, რასაკვირველია“. ეს კემშარტება გერონტიმ აი როგორ სახოვნად, როგორი ბრწყინვალე გონებააახვილობით გამოთქვა, როცა თავის ერთ წერილში სიტყვა ჩამოავდო სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარზე:

„მე მგონია ეს მონა კონსტანტინე თუ მონა არსაკიძე ერთი მოუსვენარი კაცი იქნებოდა. მას არ ეწამებოდა ფრანგი პარნასელების პრინციპი „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, ჩაერეოდა იმ პოლიტიკურ ბრძოლებში, რომლებიც სწორედ სვეტიცხოვლის აშენების დროს X—XI საუკუნეებში მეფეებსა და მძლავრ ფეოდალებს შორის სწარმოებდა, შეიძლება ფეოდალური პარტიკულარიზაციის იდეას მიემხრო აბსოლუტიზმის იდეის წინააღმდეგ, აგიტაცია გასწია ქვის მთლელებსა და კალატოზებში, ხბოს ტყავზე დაწერილი პროკლამაცია გააკრა იმ კედელზე, სადაც დღეს თავის შენდობას თხოულობს“, და იქნებ ხელიც აშიტომ მოსჭრესო.

რა ჰქმნის აქ, ამ ფრაზაში ბრწყინვალე ეფექტს? XIX საუკუნის ფრანგი პარნასელების ხსენებან X საუკუნის ქართველი ოსტატის სახელის გვერდით? თუ X საუკუნეში ტაძრის კედელზე გაკრული პროკლამაცია, ისიც, რა თქმა უნდა, დაბეჭდილი კი არა, ხბოს ტყავზე დაწერილი? თითქოს ეს დღევანდელი გენუის ქუჩა იყოს, სადაც იტალიელი ანტიფაშისტები აკრავენ თავიანთ პროკლამაციებს ქრისტიან-დემოკრატიულ ლიდერის ტამბრონის რეაქციული რეჟიმის დასამხობად. ან აგიტაციის გაჩაღება. ქვისმთლელებსა და კალატოზებს

შორის? აი ასე ელვასავით ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე გადაეწვინებინა ერთიმეორეს შორეული საუკუნეები და სახეები.

როგორც არ უნდა იყოს, ერთი ნათელია — გერონტი ქიქოძე ამტკიცებს და ხატავს, აზროვნებს და ხედავს და ისე ნათლად, ისე მარჯვედ გადაიყვანს მკითხველის ფანტაზიას მეოცე საუკუნიდან მეათეში, თითქოს ფარდა ასწია და ყველაფერი ცოცხლად გვიჩვენაო. ეს შეეძლო გერონტი ქიქოძეს იმიტომ, რომ „თავის თავში ბედნიერად აერთებდა კრიტიკოსისა და ბელეტრისტის ნიქს, რაიც თვით სენტბეგს შეშურდებოდა“. განა შესანიშნავი წერილი არ არის მისი „გლეხისა და მეფის ტრაგედია!“ აქ ჩვენს თვალწინ წარმოსდგება ირაკლი მეღას დროინდელი საქართველო, აქ არის ღრმა მეცნიერული ანალიზი მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს სოციალური ვითარებისა; მაგრამ, იმავე დროს, ეს ნაწარმოები ისე იკითხება, თითქოს თქვენ სტენდალის „იტალიურ ქრონიკებს“ თუ მერიმეს „ესპანეთიდან გამოგზავნილ წერილებს“ ან „კარლოს IX-ს დროის ქრონიკებს“ კითხულობდეთ. ახლა გაიხსენეთ გერონტის ეტიუდი „ჩაქუჩიანი მანაკაცი“, „თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის პორტრეტები“, „ნიკო ფიროსმანი“, „ლადო გუდიაშვილი“, „პაოლო იაშვილი“ და რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო — ყოველივე ეს არის ისეთი ზეიმი ქართული ენისა, ახალი ქართული სტილისა, რომელსაც ჩვენცა და ჩვენი შთამომავალნიც მუდამ სიხარულითა და სიამაყით გაიხსენებენ.

გერონტი ქიქოძე იყო უპარესად აქტიური მშენებელი ახალი ქართული საბჭოთა კულტურისა. მისი წერილები „ძველი და ახალი რეალიზმი“, „ჰუმანისტური ლიტერატურისათვის“, „ახალი ქართული მხატვრობა“, „თეატრის პრობლემები“ და მრავალი სხვა სავესეა სიამაყით თანამედროვე ოსტატთა გამარჯვებების გამო. ის კარგად გრძნობდა იმ ენერჯიას, რომელიც დულს და მჩქეფარებს დღევანდელ საქართველოში. ამიტომაც წერდა თავის ერთ წერილში: „შეცდომა იქნებოდა წარმოგვედგინა, თითქოს ლადო გუდიაშვილი თანამედროვე ქართულ პლასტიკურ ხელოვნებაში რაღაც ქეოფსის პირამიდასავით დგას და მის გარშემო მხოლოდ უდაბნოებია. საბჭოთა საქართველოს პლასტიკურ ხელოვნებას ბრწყინვალე მიღწევები აქვს და მრავალი გამოჩენილი ოსტატის დასახელება შეიძლება როგორც ფერწერისა და გრაფიკის, ისე ქანდაკების, ხუროთმოძღვრებისა და კერამიკის დარგში. ლადო გუდიაშვილი მხოლოდ ერთ-ერთი დიდად ორიგინალური და ნაციონალური ოსტატია და მისი შემოქმედება ახალსა და მოულოდნელ განათებას აძლევს საქართველოს სინამდვილეს“.

აი ეს ახალი და მოულოდნელი განათება სინამდვილისა მოსწონდა მას ყველა ძველსა თუ ახალ ოსტატში და თვითონაც გერონტი ქიქოძეს ეს შეეძლო რაღაც საოცარი ძალით.

გერონტი ქიქოძის სათნო და კეთილი გული მუდამ სავსე იყო სიყვარულით და თბილისის ქუჩებში ის შეჰხაროდა არა მარტო გაზაფხულის ფერთა ციმციმს, არამედ ყოველივე ახალს, ჭაბუკურს; ეს იყო მართლაც უკეთილშობილესი ადამიანი და ბრწყინვალე მწერალი; ჩვენმა ხალხმა მისი სახით დაჰკარგა ფართო ჰორიზონტის მოაზროვნე და მოამაგე დიდი ქართული კულტურისა.

## ლევან ასათიანი

ჩვენი დროის იმ მოწინავე მწერალთა შორის, რომლებიც ათეული წლების მანძილზე გამოდიოდნენ როგორც აქტიური და დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწენი — უაღრესად თვალსაჩინო ადგილი ეკირა ლევან ასათიანს. ეს მაღალნიჭიერი მკვლევარი, ისტორიკოსი და კრიტიკოსი როდი კმაყოფილდებოდა საკითხების მარტო იმ წრით, რომელსაც თავის ნაშრომებში აღძრავდა; იგი, იმავე დროს, დაულალავად იღვწოდა, რათა თავის თანამოკალმეებთან ერთად, გულითადად და მზრუნველად მოეველო იმ დიდი მეურნეობისათვის, რომელსაც ქართული მწერლობა ეწოდება.

ლევანს მე ადრეც ვიცნობდი, მაგრამ უფრო ახლოს გავიცანი ომის წინა წლებში, როცა ეჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში ვმუშაობდი. ლევანი რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი იყო. „მნათობს“ მაშინ სათავეში ედგა ჩვენი გამოჩენილი პოეტი ალიო მირცხულავა. იმ წლებში ქართულ ლიტერატურაში ზედიზედ გამოქვეყნდა შესანიშნავი ნაწარმოებები, რომელნიც შემდგომში იქცნენ ჩვენი მკითხველის საყვარელ წიგნებად. და მე მახსოვს, მთელი ამ მუშაობის პროცესში როგორი ფაქიზი სიყვარულით, როგორი მზრუნველობით დასტრიალებდა თავს ლევანი ყოველ ახალსა და კარგ ნაწარმოებს, რა ჟანრისაც არ უნდა ყოფილიყო ის და რომელი თაობის მწერალსაც უნდა დაეწერა. ეს იყო ჩუმი, დაუცხრომელი მუშაობა, რომელიც ერთი შეხედვით არა ჩანს, მასზე თითქოს მიღებულიც არ არის ლაპარაკი, ის თითქოს თავისთავად იგულისხმება, მაგრამ ეს არის დაუცხრომელი და მძიმე ჯაფა სხვის ხელნაწერზე ზრუნვისა, რაც ლევანმა საოცარი გულისხმიერებით და გულთბილობით იცოდა. ის თითქოს დაბადებული იყო რედაქციისათვის, რადგანაც მის ბუნებაში მაღალ ერუდიციასთან და დიდ ინტელექტუალურ კულტურასთან შეთავსებული იყო შესანიშნავი ადამიანური თვისებები — ის ჩუმი სიყვარუ-

ლი, რომელიც შინაგანად ათბობს და სტიმულს აძლევს ლიტერატორის შრომას.

მეტად სახალისო იყო ლევანთან ერთად მუშაობა. მე მახსოვს როგორ მოუხაროდათ მწერლებს „მნათობში“ მოსვლა; იმ ხანებში ჟურნალში იბეჭდებოდა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“. ავტორს რომანი ნაწილ-ნაწილად მოჰქონდა. როცა მწერალმა რომანის ის თავი მოიტანა, სადაც გიორგი მეფის სიკვდილია აწერილი, მახსოვს როგორ ააღელვა ლევანი ამ ეპიზოდმა. ავტორი უკვე წასული იყო რედაქციიდან; ლევანმა რამდენჯერმე გადაიკითხა ეს ეპიზოდი და ისეთი მუხუხარება აღებეჭდა სახეზე, უთქმელად მიხვდებოდათ, თუ როგორ სულის სიღრმემდე განიცადა ეს ტრაგიკული ამბავი. „დახედეთ როგორ წერს, — თქვა მან ბოლოს, — როგორ დაატყვევებს ხოლმე მკითხველს და მერე ხელში ჰყავს“.

არ შემიძლია კიდევ ერთი ამბავი არ გავიხსენო. მაშინ „მნათობის“ რედაქცია მწერალთა სახლის სპარსულ ოთახში იყო მოთავსებული. ერთ დღეს გაიღო ამ ოთახის კარი და მოულოდნელად შემოსასვლელთან ეთიმ გურჯი გამოჩნდა. მე მას სახით მანამდე არ ვიცნობდი, ლევანი კი მაშინვე წამოდგა და მიეგება, მერე მოჰხვია ხელი, როგორც უცხო და საპატიო სტუმარზე იციან და სკამისაკენ წაიყვანა. დაჯდა ეთიმი, ჩუმად ჩაიყო ხელი ჩოხის უბეში, ამოიღო ლექსები და ჩუმადვე გადააწოდა ლევანს. რატომღაც დაბნეულივით იყო ეთიმი, შეცბუნებულივით; ის ხომ არც ისე ხშირი სტუმარი იყო რედაქციებისა; მაგრამ ლევანმა ისე შეჰღიმა, ისე მოეფერა, რომ უცებ გაახსენებინა გული, სახე გაუბრწყინდა ეთიმს. მან უცებ შინაურებში იგრძნო თავი, თითონაც ალაღად გაიღიმა, უფრო თამამად მიიხედ-მოიხედა ოთახში, მერე რატომღაც შეშფოთდა, წამოდგა და ბოდიში მოიხადა. ჩვენ ჯერ გაგვიკვირდა და მერეღა მივხვდით, რომ ის ბოდიშს უხდიდა ვაჟა-ფშაველას პორტრეტს, რომლისთვისაც თურმე თავისდაუნებურად ზურგი შეექცია.

ეთიმ გურჯის ლექსები იმავე თვეში დაიბეჭდა „მნათობის“ ფურცლებზე.

არ შემეძლო არ გამეხსენებია ეს ამბები; მათ ცოცხალივით დამიყენეს ლევანი თვალწინ; როგორც სარედაქციო მუშაობაში, ისე თავისი შემოქმედების სფეროში ეს იყო შესანიშნავი ვაჟკაცი, რომლის ყოველ ნაბიჯს თავისი ქვეყნის სიყვარულით სავსე კეთილი გული წარმართავდა; ამ სიყვარულით არის გამსჭვალული მისი ყოველი ნაწარმოები. იგი ჰფლობდა იმ მიმზიდველ მანერას, იმ ტრადიციას ჩვენმა მეცხრამეტე საუკუნემ რომ შექმნა თავის ყველაზე საუკეთეს-

სო ნიმუშებში, მაგრამ ის ძველი სტილი ლევანის ნაწარმოებებში შეთავსებული იყო თანამედროვე აზროვნების მასშტაბებთან, ახალ ტენდენციებთან, რომელიც ჩვენმა საბჭოთა ლიტერატურამ დაამკვიდრა და განავითარა. ლ. ასათიანის ნაწერების კითხვისას თქვენ მუდამ გრძნობთ იმ სისადავეს, ძალდაუტანელ და ღრმა ანალიზს, იმ ფართო ჰორიზონტს და მგზნებარე პატრიოტულ გულისცემას, რომელიც უხილავად გადაედება ხოლმე მკითხველს, მოჰხიბლავს მას, გაახარებს, ადამიანისა და სამშობლოს სიყვარულს განუქტიციებს.

ლევანი სიტყვის შესანიშნავი ოსტატი იყო; მან იცოდა საოცრად მარჯვედ და ლამაზად მოქნევა ფრაზისა; ძნელია აქ დაწვრილებით ანალიზი მისი სტილისა, მაგრამ საილუსტრაციოდ ორიოდ მაგალითი მაინც მინდა გავიხსენო. აი პირველი სტრიქონები მისი წერილისა ვაჟა-ფშაველაზე:

„1915 წლის ზაფხულში ვაჟა-ფშაველამ სამუდამოდ დაკეცა არწივის ფრთები.

ფშაველებმა მას შემდეგ, ალბათ, არა ერთი „საკარგუმო“ დალიეს თავიანთ ღრეობებზე ვაჟას მოგონების დროს და ფანდურზე იმღერეს მისი გმირული ლექსები და სიმღერები“.

ვაჟა-ფშაველაზე მართლაც მარტო ასე შეიძლება წერა!

ლეო ქიაჩელის რომანების განხილვისას, იხსენებდა რა მის გმირებს — ტარიელ გოლუას, გოჩა სალანდიას და ბათუ ქარლუას, ლევან ასათიანი წერდა:

„ეს სამი გოლიათი მუხა თავისი გიგანტური ტოტების შრიალით თითქოს ამცნობენ სამყაროს დიდი სოციალური ქარტეხილების ხმაურს. მათი ზვიადი აღნაგობა, დაკოჟირილი ფესვები, ფოლადისებური ტოტები თითქოს წარმოგვიდგენენ მრავალ საუკუნეთა ქარიშხლის გამძლე, სულიერად მარად ახოვანი, უკვდავი ქართველი ხალხის ალეგორიულ სახეს. ამ მუხების აშრიალეობა, დაე, ზოგჯერ მოგვიანებული, მაგრამ საბოლოოდ მაინც ამტყდარი; სრულ უნისონში და თანხმობაში იმყოფება იმ ნორჩი თაობის ფოთლების შრიალთან, რომელიც წარმოშობილია ახალი პოლიტიკური და სოციალური ქარტეხილების ამოვარდნის მომენტებში“.

აი როგორ სრულად არის დახასიათებული ერთ ფრაზაში ისტორიული მნიშვნელობა იმ სახეებისა, რომელიც ლეო ქიაჩელმა გამოჰკვეთა.

კვლავ ერთი ფრაზა წერილიდან რეჟისორ ნ. შენგელაიაზე:

„ის მოკვდა იმ ასაკში, როცა იწყება შემოქმედების სიმწიფე, დიდი შუადღე შთავონებისა“.



ნატო ვაჩნაძეზე:

„ზღაპარივით დასრულდა მისი სიცოცხლე. იგი ოცნებასავით გაეხვია ღრუბელში და დაიფერფლა“.

წერილში იაკობ ნიკოლაძეზე ლევანი იხსენებს როდენის სიტყვებს; თურმე როდენმა ოდესღაც ახალგაზრდა იაკობს მწერალ ბარბედ' ორევილის ნიღაბი გადასცა და წინადადება მისცა გაეკეთებინა მისი ბიუსტი, თანაც უთხრა:

„გააკეთე ისე, როგორც ხედავ, მხოლოდ უფრო ხმამაღლა იმღერე“.

მოჰყავს რა ეს განსაცვიფრებელი სიტყვები, ლევანი ამბობს იაკობ ნიკოლაძეზე:

„მუდამ ერთგული ბუნებისა, ის იძლევა ბუნებას ისე, როგორც ხედავს და ამასთანავე მღერის უფრო ხმამაღლა.“

ის ემსახურება ქეშმარიტებას და სილამაზეს“.

დახატე ისე, როგორც ხედავ, მხოლოდ უფრო ხმამაღლა იმღერე — ლევანმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ამაშია საიდუმლოება მწერლობისა; და შეგნება ამ აზრისა ნათლად ატყვია მის წიგნებს.

ჩვენი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ლევან ასათიანის შესანიშნავ წიგნებს — „ძველი საქართველოს პოეტი ქალები“, „ვოლტერიანობა საქართველოში“, „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, „ქართველი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობანი მოძმე ხალხებთან“, „მუშათა რევოლუციური პოეზია 1901—1907 წლების ქართულ ლეგალურ და არალეგალურ ბოლშევიკურ პრესაში“ და მრავალი სხვა. ამ წიგნებში ლევან ასათიანმა აღძრა და გადასჭრა არა ერთი საინტერესო საკითხი ჩვენი წარსულიდან და ამ მხრივ დიდად წასწია წინ ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმე. მან გამოამზეურა მრავალი ახალი ფაქტი. ახლებურად ახსნა არა ერთი მოვლენა და ამის გამო მისი ნაშრომები ახლაც ღაუცხრომელ ინტერესს იწვევენ.

ლევანი ასევე გატაცებით მუშაობდა თანამედროვე ქართული ნაბჭოთა ლიტერატურის პრობლემებზე. მისი წერილები გ. ტაბიძის, ლ. ქიაჩელის, ს. ჩიქოვანის, ირ. აბაშიძის, აკ. ბელიაშვილის და სიტყვის სხვა თანამედროვე ოსტატების შესახებ გამსჭვალულია საბჭოთა ეპოქის მწერლობისადმი მხურვალე სიყვარულით და ავტორის მაღალ გემოვნებაზე მეტყველებენ.

ლევან ასათიანის მხატვრულ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით მინდა გამოვეყო მისი მგზავრის დღიური — „ერწოს კოლმეურნეები“. ამ წერილის წერისას მე ხელახლა გადავიკითხე ეს ნარკვევი და გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ თვალწინ დამიდგა ომის წლების ქართული სოფელი; ცოცხალი ადამიანური ხასიათები აქ გადმოცემულია ისეთი მრავლისნეტყველი დეტალებით, რომელთა შემჩნევა მართლაც მართო სიტყვის ნამდვილ ოსტატს შეეძლო. აქ ნათლად ხედავთ, როგორ სჭედდა ქართველი გლეხკაცი მოსისხლე მტერზე გამარჯვებას. რამდენი მეტყველი სურათია აქ, რა კოლორიტული სახეები: ეს ნაწარმოები სამამულო ომის წლების საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს.

## ნიკოლოზ ტიხონოვი

ნიკოლოზ ტიხონოვს თავის „ლენინგრადადულ მოთხრობებში“ აღწერილი აქვს, თუ როგორ ესტუმრა იგი ომის წლებში, ალყაშემორტყმულ ლენინგრადაში, ვასილიევის კუნძულზე ნიკოლოზ კოროლიოვს, ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკს, აღმოსავლური ლიტერატურის სპეციალისტს, რომელსაც ომმა წყნარი კაბინეტი სანგრებზე გააცვლევინა და ლეიტენანტის მაზარა ჩააცვა. ლენინგრადი საშინელ განსაცდელში იყო, პიტლერის დივიზიები გაცოფებით აწყდებოდნენ მის კედლებს, ქვეყანას მოწყვეტილი ქალაქი შიმშილობდა, სიცივით ითოშებოდა, მაგრამ ქედს არ იხრიდა, მამაცურად უმკლავდებოდა მტრის შემოტევებს, გააფთრებულ საჰაერო და საარტილერიო თავდასხმებს. დაჭრილი იყო თვითონ კოროლიოვიც, თავი ბინტითა ჰქონდა შეხვეული... ციოდა მის ოთახშიც, და მასპინძელი ძველ ჟურნალებსა ჰყრიდა ლუმელში, რათა ჩაი აედუღებინა.

სწორედ იმ დღეს ერმიტაჟის გაყინულ დარბაზში აღნიშნეს ლენინგრადადელებმა ნიზამის იუბილე. და აი ახლა, საღამოთი, სტუმარიცა და მასპინძელიც ისევ დიდ განჯელ პოეტზე საუბრობდნენ.

„— ნიზამი ცხოვრობდა საშინელებათა და სისხლის წვიმების საუკუნეში, — წარმოსთქვა კოროლიოვმა, დაჩუმდა და შემდეგ გამკრთალებული ღიმილით დაუმატა, — ისე, როგორც ჩვენ... მაგრამ მას არასოდეს ეკვი არ შეჰპარვია თავისი ხალხის ძალაში, მის მკაცრ სიმართლეში...

— ისე როგორც ჩვენ, — ვუთხარი მე.

— ნიზამიმ იცოდა, — განაგრძობდა კოროლიოვი, — რომ არა მრისხანე ჯალათს. არამედ კეთილ ადამიანს მიჰყავს წინ ქვეყანა. გაგიგონიათ თქვენ რამე სასანიდთა მეფე ანუ შირვანზე?

მე არაფერი არ შემეძლო მეთქვა ამ ადამიანის შესახებ.

— ჰოდა, აი სწორედ მასზე მოგვითხრობს ნიზამი თავის „საიდუმლოებათა საგანძურში“, — განაგრძობდა კოროლიოვი, — ერ-

თხელ ანუშირვანი, კაცი უწყალო და მოხბარი ქვეყანათა, თურმე ისე გაიტაცა ნადირობამ, რომ ჩამოსცილდა თავის ამაღას. მას მარტო ერთი ვეზირიდა ახლდა თან. მეფე და ვეზირი უეცრად დანგრეულ სოფელს წააწყდნენ... ირგვლივ ყველაფერი გაეპარტახებინათ, ჩანდა მარტო ჩამონგრეული სახლები და კაცის ჭაქანებაც კი არსად იყო. ერთ დანგრეულ კედელზე მეფემ და ვეზირმა ორი ბუ დაინახეს, რაღაცაზე რომ ესაუბრებოდნენ ერთიმეორეს. ბუთა ყვირილმა, ავბედითად რომ ისმოდა ამ ნანგრევებში, შეაკრთო სასანიდთა მეფე. „ეს ბუები რას ამბობენო?“ — ჰკითხა მან ვეზირს. ვეზირს ესმოდა ფრინველთა ენა. მან სთქვა, რომ ერთი ბუ თავის ქალიშვილს ათხოვებს მეორეზე და საფასურად თხოულობს ამ დანგრეულ სოფელს და კიდევ ორ სოფელს ამავე მიდამოებში. მეორე ბუ უპასუხებს, რომ სიამოვნებით მისცემს ამ სოფლებს, რადგანაც ვიდრე ანუშირვანი ცოცხალია, ხალხი მონობასა და სიღატაკეში იქნება და ამ სოფელს ასობით ახლად დანგრეულ სოფლებს დაეუმატებო. ასე გადაუთარგმნა ვეზირმა. ნიზამმა მოგვიტხრო იმ წყვილიაღზე, იმ დანაცრებულ ნანგრევებზე, და მწარედ წამოიძახა: „დაჩუმიდი, ნაზიმი! შეწყვიტე მოთხრობაც... გული სისხლშია განბანილი“.

კოროლიოვი დაჩუმიდა, შემდეგ გაჰხედა ნევას. მას თხელი ნისლი გადაჰფარებოდა. ნისლში ჩანდნენ გემების ანძები და მიწები. მან სთქვა:

— ახალი ანუშირვანი უფრო საშიშია. მას უნდა, რომ ნანგრევებზე აქციოს მთელი რუსეთი, მთელი მსოფლიო. რატომ არა აქვს ჩვენს ხელოვნებას იმდენი ძალა, რომ აღწეროს ეს ურჩხული ისე, როგორც აღწერდა ნიზამი თავისი დროის ურჩხულებს? თქვენ ლაპარაკობდით დღევანდელ ეპოსზე, მაგრამ ის ჯერ არა ჩანს, ეს კი ძალზე სამწუხაროა...

— მაგრამ ის გამოჩნდება, — ვუთხარი მე, — მოვა დრო და პიტლერსაც, მის კაცთმოძულე ხროვასაც მრისხანედ შეაჩვენებენ დიდი პოეტები და მხატვრები... ქვეყანა კვლავ დიდხანს წყევლა-კრულვით მოიგონებს ამ ჯალათს ჯალათთა შორის, ამ ახალ ანუშირვანს... და შემდეგ ისიც დაავიწყდებათ, როგორც ჩვენ დაგვავიწყდა ეს სასანიდთა მეფე.

— მე თქვენ წაგიკითხავთ ლექსს ირანულ ენაზე. ამ ენაზე წერდა ნიზამი! — მითხრა კოროლიოვმა.

— წაიკითხეთ, მაგრამ მე ვერაფერს ვერ გავიგებ... — ვუპასუხე მე.

— მე თქვენ გადაგითარგმნით“...

და აი კოროლიოვი თავის სახელოვან სტუმარს, პოეტ ტიხონოვს

უკითხავს ლექსს, რომელშიაც მას აუწერია ბრძოლა ქალაქ გატჩინასთან.

„ — მე ავწერე ბრძოლა გატჩინასთან, სადაც დამპყრეს... გატჩინა იწვოდა ჩემს თვალწინ, — წარმოსთქვა კოროლიოვმა.

— თქვენ ასე ძლიერ გიყვარდათ ეს ქალაქი? — ვკითხე მე, როცა მისი ლექსი მოვისმინე.

— მე ამ ქალაქში დავიბადე, — მიპასუხა მან, — თქვენ მეტყვიით, რომ არის ქვეყნად უფრო ლამაზი ქალაქებიც. მაგრამ მე თქვენ გიპასუხებთ ნიზამის სიტყვებით. ის ამბობდა, რომ პოეტის ვაჟაცობა — სიყვარულშიაო. ამ სიყვარულს მან მიუძღვნა თავისი უზარმაზარი პოემა, ლამაზი როგორც სიცოცხლე ლეილისა და მეჯნუნისა. სტრიქონები ამ პოემისაო, — ამბობდა ის, — წავლენ ყველა ქვეყანაში, სადაც არიან ადამიანები, ვისაც სიყვარული სწამს. ასე მოვიდნენ ეს სტრიქონები ჩვენს ქვეყანაშიც. როგორი იყო ლეილი? ნუთუ ნამდვილად ის ასე ლამაზი იყო? დიდმა საადიმ შესანიშნავად უპასუხა ამაზე. მან დაწერა: თურმე მეფის ყურამდე მიადღწია ამბავმა, რა გაგიყვებით უყვარდა მეჯნუნს ვილაც ქალიშვილი, სახელად ლეილი. და განიზრახა მეფემ შეეხედა ლეილის სილამაზისათვის; მოუყვანეს ქალიშვილი, შეხედა მას მეფემ და არარაობად მოეჩვენა, მისი პარამხანის უკანასკნელი მხევალი აჯობებდა მას სილამაზით. გაიგო ეს ამბავი მეჯნუნმა და სთქვა: „ო, მეფეო, ლეილის სილამაზეს მხოლოდ მაშინ დაინახავ, როცა მას მეჯნუნის თვალებით შეხედავ“.

და შემდეგ კოროლიოვმა დასძინა:

— მეც ვიბრძოდი ჩემი სიყვარულისათვის... და მე კვლავ ვიძიებ შურს მისთვის.

მან გაიხედა ფანჯარაში, ცაზე დაბლა მიცურავდნენ მძიმე ღრუბლები, ჩანდა უზარმაზარი ისაკის ტაძარი, შავად აღმართულიყვნენ გემების ანძები და მიწები.

მე, ამ ჩაბნელებულ ოთახში გავიგე იმ წამს, რომ ჩვენ ყველანი შეპყრობილნი ვყევართ დიდ სიყვარულს, რომლის დასაცავად არ დავინანებთ არაფერს, თვით სიცოცხლესაც. ეს გაგვახსენა ჩვენ დღეს შორიდან მოსულმა სტუმარმა — მოხუცმა ნიზამიმ. ის მოვიდა ჩვენს ქალაქში, როცა აქ ბრძოლის ქარცეცხლი ენთო, და ჩვენ შეეხვდით მას როგორც მეგობარს, მოკავშირესა და თანამებრძოლს.

და ჩვენ დავლიეთ მისი შესანდობარი, როგორც სვამენ მიცვალებულთათვის აღმოსავლეთში; ჩვენ დავლიეთ ის მცირეოდენი არაყი, რომელიც სადღაც ეშოვნა კოროლიოვს, ჩვენ დავლიეთ ნიზამის სადღეგრძელო, მეჯნუნის უკვდავი თვალების სადღეგრძელო“.

ამ უბრალო ამბავში ისმის არა მარტო სუნთქვა იმ დღეების

ლენინგრადისა, აქ ჩანს თვითონ ტიხონოვიც — პოეტი სიცოცხლისა და სიღამაზისა, ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლებისა, რომელიც მზად არის ამ სიყვარულისათვის საკუთარი სიცოცხლეც გასწიროს. ალყაშემორტყმულ, ჩაბნელებულ ქალაქში, გაყინულ ოთახში ის იხსენებს მეჯუნის სიყვარულით ანთებულ უკვდავ თვალებს და მას თითქოს აღარა სცივა, აკითხველის გულიც გამთბარია იმ დიდი სიყვარულით, რომლითაც უყვარდა მეჯუნს თავისი ლეილი, ნიკოლოზ კოროლიოვს — თავისი პატარა გატჩინა, როგორც ყოველ კაცს უყვარს თავისი სატრფო, თავისი სოფელი და ქალაქი, სადაც ის დაიბადა და სადაც მას მამა-პაპათა საფლავები, იმათი კუბოს ფიცარი ეგულება.

როგორი მართლაც ვაჟკაცური ბიოგრაფია აქვს ტიხონოვს, როგორც პოეტსაც და როგორც მოქალაქესაც. სამოქალაქო ომის მრისხანე წლებში მას წითელარმიელის მახარა აცვია და პეტროგრადის მისადგომებს იცავს, თეთრფინელებთან ომის დროს — ის კარელიის ყელზეა და ჯარისკაცებთან ერთად იზიარებს საფრონტო ცხოვრების ყველა სიძნელესა და განსაცდელს, ხოლო სამამულო ომის დროს ის არ მოშორებია თავის საყვარელ ლენინგრადს და მისი ლექსები, მისი მოთხრობები, — ეს არის უბრწყინვალესი ფურცლები საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და გამარჯვების მატთანისა.

6. ტიხონოვის შესანიშნავ პოეტურ ქმნილებებში ისმის ხმა ჩვენი მშფოთვარე და დაუცხრომელი საუკუნისა, მათში ისტორიის ძლევამოსილი ნაბიჯების ხმა ისმის — ეს ითქმის როგორც მისი აღრიხნული წიგნების — „ორდასა“ და „ბრაგას“ შესახებ, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ „პერეკოპი“, „დეზერტირი“, „ბალადა ლურსმნებზე“, „სიმღერა შვებულებაში წასულ ჯარისკაცზე“, ისე მომდევნო ნაწარმოებებზე, რომლებშიაც პოეტი უმღერის სოციალისტურ სამშობლოს. ვის დაავიწყდება მისი „ლაპარაკობს ომი“, დაწერილი როგორც ინტერმედია სერვანტესის „ნუმანსიასათვის“, მისი „კიროვი ჩვენთან არის“, სადაც როგორც ფერწერულ ტილოზე, ასახულია ომის წლების ლენინგრადი; ვის დაავიწყდება მისი „სიტყვა ოცდარვა გვარდიელზე“ — უკვდავი ჰიმნი პანფილოველთა გმირობისადმი, ვის დაავიწყდება მისი „სადღეგრძელო“, რომელშიაც გამოთქმულია პოეტის უღრმესი სიყვარული სამშობლოსადმი. ამ ლექსში ვკითხულობთ:

ჩვენ მტკიცენი ვართ... არც დავიღლებით,  
და ჩვენთვის ძილიც ჯერ აღრე არას,  
აბა, აავსეთ ისევ კიქები,  
ვსთქვათ სადღეგრძელო სამშობლო მხარის..

დიდება იმათ, ენც უბედობას  
გადაუკეტა აქ გზები მარად,  
დიდება ხალხთა დიდ მეგობრობას,  
ჩვენს გაბრწყინებულ სრფელს და ქალაქს!  
ეს გაუმარჯოს იმ ნორჩ ქალაქებს,  
უღაბნოში რომ აღიმართება,  
მოსკოვის კოშკებს, ძველ ნაამაგვეს,  
თბილისის ახალ კედელთა წყებანს!  
დე, სიხარულმა აანთოს გული,  
იმ სიხარულმა ჩვენ რომ გაბრწყინებს,  
ლენინგრადზეა აწ სიტყვა თქმული,  
დიდება ნების ლამაზ ნაპირებს.

ეს გაუმარჯოს პოლარულ კარავს,  
საბჭოთა ქვეყნის ცასა და მიწას,  
სამხრეთის ზღვების ლელუას და ძალას.  
ღამითაც რომ ჰქუხს. იმ ქალადიდსაც;  
ყველა ქალაქსა და ყველა სოფელს,  
რომ ავაშენეთ ჩვენი ხელებით,  
თურქმენულ ვარდებს, მიწას მათს მშობელს,  
მე დღეს აქედან ველდევგრძელები...

ნიკოლოზ ტიხონოვს სამართლიანად ეძახიან მშვიდობის მსოფ-  
ლიო არმიის დაუცხრომელ ჯარისკაცს. იგი ეკუთვნის კაცობრიობის  
იმ საუკეთესო ადამიანების რიცხვს, რომელნიც მთელ თავიანთ  
სულის სიძლიერეს, მთელ ბუმბერაზულ ენერგიას ახმარენ საქვეყნო  
მშვიდობის განმტკიცების საქმეს. ის, როგორც უბრწყინვალესი პოე-  
ტი, როგორც ჰუმანისტი და მგზნებარე პატრიოტი საბჭოთა სამშობ-  
ლოსი, — მუდამ მხნედ დგას თავის სახელოვან პოსტზე.

მშვიდობისათვის ბრძოლის ფრონტი — ვრცელი და უზარმაზა-  
რია, ის გადის მსოფლიოს ყველა ქალაქსა და სოფელზე... ამიტომაც  
არის, რომ მშვიდობის დაუცხრომელი ჯარისკაცი მუდამ „ლაშქრობა-  
შია“, მას დაუსრულებლად უხდება მოგზაურობა მსოფლიოს ერთი  
მატერიკიდან მეორეზე, მას ვხედავთ ყველგან, ყველა სამშვიდობო  
კონგრესის ტრიბუნაზე, ყველა ქალაქში, სადაც ადამიანები ხმას იმაღ-  
ლებენ ომისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მას ვხედავთ ხან იან-  
ძის ნაპირებზე, ხან მცხუნვარე ინდონეზიაში, ხან ევროპის ახმაურე-  
ბულ ქალაქებში... ყველგან გაისმის მისი მგზნებარე ხმა, ცეცხლოვანი  
მოწოდება, მიმართული ყოველივე იმის დასაცავად, რაც წმიდათა  
წმიდა გააჩნია კაცობრიობას.

ცნობილია, რომ ამქვეყნად სიყვარულის ღალას მარტოოდენ სი-  
ყვარულით იხდიან. ამიტომ უყვარს საქართველოში დიდსა და პატ-  
რას ეს გამოჩენილი რუსი პოეტი. თავის მხრივ ტიხონოვიც რაღაც

უნაზესი გატაცებით არის შეყვარებული ჩვენს ალაზანსა და საგურამოზე, ჩვენს თბილისზე და წინანდალზე, ჩვენს ქალაქებზე და ბათუმზე. ეს სახელები მის ლექსებში წარმოითქმებიან რაღაც გულის თრთოლვით, შინაგანი მღელვარებით. ამიტომ ამბობს ის თავის ლექსში „გომბორი“: „აქ ყველაფერი ჩემთვის ნაცნობია, თითქოს აქ დავიბადეო“. მისთვის ალაზანი მარტო მდინარე კი არ არის. გულის ნაწილია, ჩაუქრობელი სიყვარულია, „ქალარა, როგორც ზღაპარი და მღ.დამ ნორჩი და ახალი, როგორც სიმღერა“. დაუვიწყარია მისი „ცისარტყელა საგურამოში“, „ღამის ზეიმი ალავერდში“. მისი „მონადირე“, მისი „შოფერი“, დაწერილი ძლიერი და წარუშლელი ფერადებით.

მთელი ეს ლექსები განმსჭვალულია ხალხთა მეგობრობის უკუდავი გრძნობით.

ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ნიკოლოზ ტიხონოვს ქართული მწერლობის წინაშე. მან. როგორც მთარგმნელმა, გააცნო რუს მკითხველს ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. ის დაუღალავად, მთელი სიყვარულით ზრუნავს ქართული კულტურის წინსვლისა და აყვავებისათვის. ის არის უახლოესი. განუყრელი მეგობარი ჩვენი პოეტებისა და პროზაიკოსებისა. აი რას ამბობს ნ. ტიხონოვი ქართული საბჭოთა პოეზიის შესახებ:

„ქართული საბჭოთა ლიტერატურა, მთელი საბჭოთა კავშირის ლიტერატურასთან ერთად. ვითარდება ერთი მთლიანი პროცესის, მთლიანი მდინარების სახით. ქართულ მწერლობას, კერძოდ პოეზიას დიდი ძალა აქვს. მე თვითონ პოეტი ვარ და შემძლია გითხრათ, რომ ქართული პოეზია თავის გავლენას ახდენდა რუსულ საბჭოთა პოეზიაზე. შესაძლებელია სხვა ერის პოეზიაზეც. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩვენ ერთიმეორისაგან ვსწავლობთ და ერთი საერთო ცხოვრებით ვცხოვრობთ“.



## ლიბერატორული რემინისცენციები

ხდება ხოლმე, ამა თუ იმ ნაწარმოების კითხვისას, უბრალო შტრიხი, სახე, რომელიმე დეტალი, რომელიმე ფრაზა თუ ნაბიჯი ადამიანისა უცნაურად მოგხვდება, მოგედება გულზე და მერე ისეთი ძალით ჩაიჭრება მეხსიერებაში, რომ დიდხანს გაგყვება, მოგანიჭებს იმ ესთეტიკურ სიხარულსა თუ ტკივილს, რომლითაც ხელოვნება ზრდის, ამაღლებს, ალაშაზებს ადამიანის სულს.

1944 წელს გამოქვეყნდა ალექსეი ტოლსტოის პატარა მოთხრობა „რუსული ხასიათი“. ეს იყო უკანასკნელი მოთხრობა მწერლისა. ალ. ტოლსტოი სიტყვის უბრწყინვალესი ოსტატი იყო და ამ ნაწარმოებშიც მთელი ძალით გამოჩნდა მისი ბუმბერაზული ტალანტი. ეს მთლიანად შესანიშნავი მოთხრობა იყო, მაგრამ მასში მაინც გამოირჩეოდა რამდენიმე შტრიხი, რომლებიც რაღაც უცნაური ძალით ატყვევებდნენ ადამიანის გულს.

მოკლედ, მეტად მოკლედ გავახსენებ მკითხველს მოთხრობის სიუჟეტს: კურსკის ბრძოლების დროს გერმანელებმა ააფეთქეს საბჭოთა კავშირის გმირის ლეიტენანტ ეგორ დრემოვის ტანკი; ეგორი უკვე იწვოდა და უგონოდ იყო, ცეცხლმოკიდებულ ტანკიდან რომ გამოიყვანეს — სახე ისე დანახშირებული ჰქონდა, ალაგ-ალაგ ძვლები უჩანდა. გადარჩა რაღაც სასწაულით, მერე რვა თვეს იწვა ჰოსპიტალში, უკეთებდნენ ერთიმეორეზე პლასტიკურ ოპერაციებს და ასე აღუდგინეს ცხვირიც, ტუჩებიც, ყურებიც, მთელი სახე. ბოლოს, ყველაფერი რომ დამთავრდა, სათნოების დას სარკე სთხოვა, ქალიშვილმა მიაწოდა სარკე, მიბრუნდა და ატირდა ეგორმა მაშინვე დაუბრუნა სარკე.

— უარესიც მომხდარა, — თქვა ეგორმა, — ასეც შეიძლება იცხოვროს კაცმა.

მაგრამ მას შემდეგ სარკეში აღარ ჩაუხედავს.

მანამდე კი ის ლამაზი ვაჟკაცი იყო, კეთილი, სიცოცხლით სავსე.

და აი სახედამწვარი, დამახინჯებული კაცი შევებულებით ბრუნდება თავის სოფელში. თავის ქოხთან რომ მიადწეეს და ფანჯრიდან დედას დაინახავს, ეგორი ველარც გაბედავს გაამხილოს თავისი ვინაობა, სულ ერთია, მაინც შეუძლებელია მისი ცნობა. და აი შედის თავის სახლში, წარუდგება დედას, ეტყვის, რომ იცნობს მის შვილს — ეგორს. რომ ის კარგად არის და მოკითხვას, გითვლითო.

მას ვერ იცნობს ვერც დედა, ვერც მამა. ვერც სატრფო...

მაგრამ რალაც უცნაური, ენით გამოუთქმელი რამ ხდება: ვახშმად რომ დასხდნენ, დედამ უცებ შეხედა როგორ ექირა „უცხო სტუმარს“ კოვზი ხელში და შეკრთა დედა. სახე აუთრთოლდა. ამით გათავდა ყველაფერი.

დაიძინეს... დილით დედამ „სტუმრის“ შინელი გამოიტანა გარეთ გასაწმენდად, უცებ ჩაიხუტა ის შინელი და ატირდა: „ის არის, ის, მისია ეს, ეგორისა“.

მერე უცხოსავით დაემშვიდობა ეგორი მშობლებს, სატრფოს და ისევ ფრონტისაკენ გასწია.

მოთხრობა აქ არ თავდება, მაგრამ მე მინდა ეს ორი შტრიხი გამოვყო — კოვზი სტუმრის ხელში და შინელი, რომელსაც დედა ჩაიხუტებს...

საოცარი ქვეტექსტი აქვს ამ ფრაზას — როცა დედამ შინელი აიღო, მას თითქოს ინსტინქტმა, ალლომ, გუმანმა თუ რალაც იღუმაღმა ძალამ, ენით აუხსნელმა, აგრძნობინა შვილის ტანის სითბო, ძლევამოსილი დედური სიყვარულის შუქმა ელვასავით გაიბრწყინა უეცრად, წამიერად.

მაგრამ ისე საშინელი შესახედავი იყო სტუმარი, ისე არ ჰგავდა იგი მის ეგორს, რომ დედამ ველარც გაბედა და ვერ დაუჯერა იღუმალის დედური ინსტინქტის ძახილს.

ალექსეი ტოლსტოიმ ამ მოთხრობას ნამდვილი ამბავი დაუდო საფუძვლად. მწერალს ეს ამბავი გადასცა „კრასნაია ზეზდას“ რედაქტორის მოადგილემ — პოლკოვნიკმა ა. კარპოვმა. თორემ აბა ისე რა ფანტაზიას უნდა შეეთხზა ასეთი დეტალები!

სარულიად უნებურად გამახსენდა ალ. ტოლსტოის ეს მოთხრობა, როცა ამას წინათ „ლიტერატურნაია გაზეტას“ (№ 144, 1960 წ.) ფურცლებზე წავიკითხე ნაწყვეტი გრ. ბაკლანოვის მოთხრობისა „მკვდრებს აუგი აღარ ეთქმით“. გრ. ბაკლანოვს ასეთი სურათი აქვს აღწერილი: ფრონტზე, ბრძოლის წინ, ერთ სოფელში ღამით ისვენებს მძიმე საარტილერიო დივიზიონი. ოფიცრებს თავი მოუყრიათ სახლში, სადაც ცხოვრობს უკრაინელი ქალი რვა წლის ბიჭუნათი. ბავშვის

მამაც ომშია, სადღაც შორეულ ფრონტზე იბრძვის სამშობლოს თავისუფლებისათვის. ქალსა და ბავშვს ეტყობა დიდი განსაცდელი გამოუვლიათ და ყოველივე ამას ბავშვის ნორჩ სულზე მძიმე დაღი დაუმჩნევია. ოფიცრები ეფერებიან ბავშვს, სათამაშოს უკეთებენ, საქმელს სთავაზობენ და აი უცებ დედა ეუბნება ოფიცრებს:

„როგორც კი თქვენ აბაოთი წახვედით, მან თქვენს ძინლებს დაუწყო სუნვა. პატარაა ჯერ, მამა კარგად არ ახსოვს, მაგრამ მშობლიური სუსი კი დაიხსომა, — როცა მამამ, ფრონტზე წასვლის წინ, გასოსათსოვრად სახლიი შეძოიოსია“...

ქალის ამ სიტყვებმა დივიზიონის კომისრის, ვასიჩის გულში მეტად დიდი მღელვარება გამოიწვია. მწერალი განაგრძობს:

„ვასიჩს უცებ მოედო გულზე მახამდე უცნობი სინაზის ტალღა, ისეთი ძლიერი, რომ თვალეი თითქოს ეწვოდა. და მას აუთროლოდა ხელი, რომელშიც დანა ეჭირა. მაგრამ ის მოერია თავის თავს: ბიჭუნა მას ხელეიში უტქეროდა“.

მე არ მიხდა ამას დაუქაბო აშკარა მიბაძვა, ან რემინისცენცია თუ გამოძახილი ალ. ტოლსტოის მოთხრობის იმ ცალკე დეტალებისა, რომლებიც ზემოთ ამოწერე. ეგებ გრ. ბაკლანოვმა სრულიად დამოუკიდებლად შექქმნა ეს სურათი, ეგებ თვითონ ნახა სისამდვილეში მსგავსი რამ, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, განა მკითხველთათვის ნათელი არ ირის, თუ რაოდენ ძლიერი იყო ეს სურათი ტოლსტოის მოთხრობაში და რაოდენ არადამაჯერებელია აქ, გრ. ბაკლანოვის მოთხრობაში იქ დედამ შეილის შინელი რომ აიღო ხელში, ინსტინქტით იგრძნო რაღაც, აქ კი ბავშვი თვალით ხედავს უცხო კაცებს და მაინც სუნავს მათს შინლებს. არა ერთის, არამედ ყველას მიხელს! ალ. ტოლსტოის მოთხრობაში ეს ქვეტექსტი იყო, იქ იგრძნობოდა და იგულისხმებოდა, რომ დედამ შეიცნო სუნი, მაგრამ ეს ნათქვამი არ იყო, არც იყო საჭირო თქმა და სწორედ ამ ქვეტექსტში იყო მწერლის ოსტატობა: მკითხველს ეძლეოდა მიხვედრის ისეთივე შესაძლებლობა, როგორც აქვს მწერალს, როგორც აქვს დედას.. აქ კი, ბაკლანოვის მოთხრობაში ეს ქვეტექსტი გახსნილი, გაუღვარებული და გაუბრალოებულია: ბავშვი დამდგარა და რიგრიგობით სუნავს შინლებს! და ამიტომ ყოველივე ეს სავსებით არადამაჯერებელია.

ავიღოთ ახლა მეორე სურათი გრ. ბაკლანოვის მოთხრობის იმავე ნაწყვეტიდან. დივიზიონში განგაშია გამოცხადებული, ყველა სწრაფად უნდა წამოდგეს და ბრძოლისათვის განემზადოს. ამ ფაცი-ფუცში დივიზიის მეთაურს წარუდგება მეორე ბატარეის უფროსი და მოახსენებს, რომ ტრაქტორის მობორონი დაშლილია სარემონტოდ,

ბატარეას მეტი ტრაქტორი აღარ აქვს და, მაშასადამე, ქვეშევს ველა-  
რაფერს მოუბამენ. ასეთი უთაური და უხეირო მეთაურის დანახვაზე  
მაიორი უშაკოვი აღენტება:

— „ღამიხედეთ არტილერისტს! — უშაკოვმა ბრაზიანად გაი-  
ღიმა, — ცხვირსახოცი შიაწოდეთ, ცრემლები მოიწმინდოს... ინტე-  
ლიგენცია!“

ესეც გაუგებარი და უადგილოა სამამულო ომის წლებისათვის  
და სრულიად მართალია კომისარი ვასიჩი, როცა მაიორს სიტყვას  
შეუბრუნებს და ეტყვის — ინტელიგენცია აქ არაფერ შუაშია, თვი-  
თონ შენც, როგორც არტილერიის ოფიცერი, ინტელიგენტი ხარო!  
ამაზე უშაკოვი კვლავ პროტესტს აცხადებს. ჩვენ ხემოთ ვთქვით,  
რომ ეს გაუგებარია სამამულო ომის წლებისათვის, მაგრამ ასეთი  
დამოკიდებულება გასაგები იყო სამოქალაქო ომის დროს, იმ წლებ-  
ში, როცა ალ. ფადეევის მეხიკი და კ. ფედინის ახდრეი სტაოკოვი  
ცხოვრობდნენ; სწორედ მაშინდელ კლასობრივ ვითარებაში, ისტო-  
რიულ ძალთა იმ განლაგებაში ამას ჰქონდა აზრი — ინტელიგენ-  
ციის ერთი ნაწილი ბურჟუაზიის მხარეზე იყო, მეორე ნაწილი  
დაბნეული იყო და ნებისყოფა წართმეული, ჯანაალი ნაწილი კი  
ხალხთა იყო, რომელიც დიდი ლენინის ძეთაურობით იწყებდა ახა-  
ლი ქვეყნის აგებას. 1919 წელს ფადეევის მეშახტე-პარტიზანს მო-  
როზკას შეეძლო ზიზლით შეეხედნა მეჩიკისათვის, მაგრამ 1943  
წელს საბჭოთა ოფიცერი-ინტელიგენტისათვის არ შეიძლება სიტყვა  
ინტელიგენცია სალანძღავი სიტყვა იყოს! განა შეიძლება დავივიწ-  
ყოთ რა მკიდროდ შემტყიცებულნი იბრძოდნენ სამამულო ომის  
ფრონტზე საბჭოთა მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და საბ-  
ჭოთა ინტელიგენცია საყვარელი სამშობლოს დასაცავად!

აქაც უღალატა მწერალმა სინამდვილეს და ეს კი სწორედ ლიტე-  
რატურული რემინისცენციების ბრალია.

კიდევ ერთი შენიშვნა, (ბევრი ხომ არ არის ეს შენიშვნები მოთხ-  
რობის ნაწყვეტისათვის, რომელიც სულ ორ საგაზეთო სარდაფს მოი-  
ცავს!); მაგრამ სჯობია ჯერ სათანადო ადგილი მოვიყვანოთ მოთხ-  
რობიდან.

მოთხრობის დასაწყისში აღწერილია ოთახი, სადაც დივიზიონის  
მეთაური მაიორი უშაკოვი, კაპიტანი ვასიჩი და შტაბის უფროსი იშ-  
ჩენკო სხედან. აქვეა სამხედრო ექიმი ქალი, რომელიც თავის პოლკს  
ჩამორჩენია. მაიორი მოინდომებს ქალს თავი მოაწონოს, მასპინძლის  
თვალთ-გადახედავს მაგიდას და დაიძახებს:

— „ბაგრატიონს!

კარებში გამოჩნდა ორდინარეცი ბაგრატიონ ბაგრაძე, მას შეში-

ნებული თვალები ჰქონდა. მისი ხალათი გაქონილი იყო ჯიბეებთან და მუცელზე, სახელოები გადაწეული ჰქონდა, ღონიერი ბალნიანი ხელები ჩამოეშვა, თითებიც და ხელისგულიც ქონისაგან უბრწყინავდა. ბაგრატიონს ცხერის ქონისა და ხახვის სუნი ასდიოდა.

— Одын — две минуты, товарищ майор! — წაშობახა მან, თან ძლიერად ამოძრავებდა ულვაშებს და თვალებს აქყეტდა.

ექიმმა ქალმა მოაბრუნა თავი და ინტერესით შესცქეროდა ორდინარეცს, რომელსაც ბაგრატიონს ეძახდნენ. მან იცოდა, რომ, მთელი ეს სამხადისი და ფუტფუსი — მის გამო იყო გამოწვეული; ამიტომ აღზნებული იყო, ლოყები ეწვოდა.

წინ წამოდგა უკრაინელი ქალი, მასპინძელი, გრძელი წინსაფრით, ის მანამდე ორდინარეცის ზურგს იყო ამოფარებული.

— ეგ ხორცს კი არ სწვავს... დადო ნალვერდალზე და ხორცი სულ ნახშირით გაშავდა.

ბაგრაძე სწრაფად მობრუნდა ქალისაკენ:

— Зачем глупый слова говоришь? — ყვიროდა ის და მუქარით იქნევდა ხელებს ქალის სახის წინ, დაქყეტილი თვალები ბრაზით ანთებოდა, — Нэт умный голова — малчи!

ქალი ილიმებოდა, აქაო და რა უნდა გააწყო ამ უცნაურ ადამიანთანო.

უშაკოვმა სასწრაფოდ განსაჯა მათი საქმე:

— ერთი ფეხი აქ, მეორე — იქ, — უბრძანა მან ორდინარეცს და გამარჯვებულივით მოიხედა. ვასიჩი მიხვდა ვისთვის იყო გამართული ეს წარმოდგენა, მაგრამ არ შეიმჩნია. ისინი დიდი ხანი იყო ერთად იბრძოდნენ და ვასიჩი კარგად იცნობდა უშაკოვს. უშაკოვმა ეს ორდინარეცი აიყვანა მხოლოდ იმიტომ, რომ მას ბაგრატიონი ერქვა. აბა სხვას ვის ეყოლებოდა ისეთი ორდინარეცი, რომელსაც ასეთი სახელი ერქმეოდა. და ბაგრატიონიც, რომელსაც ყველაზე მეტად ეშინოდა ბატარეაში არ დამაბრუნონო, ძალ-ღონეს არ ზოგავდა და მაიორს ერთგულად ემსახურებოდა“.

ეს სურათი თავიდან ბოლომდე ყალბი და არადამაჯერებელია: ჯერ ერთი ამ მაიორს დამიხედეთ — ის ორდინარეცს ირჩევს არა იმის მიხედვით გამოადგება თუ არა ის ბრძოლაში (მისი ორდინარეცი ხომ ლაჩარია — მას ყველაზე მეტად მწყობრში დაბრუნებისა ეშინია და მეორეც — ეს ხომ ცხოველია და არა ადამიანი), არამედ თავის გასართობად, თითქოს მაიორი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში კი არ იყოს წამოსული სამშობლოს დასაცავად, არამედ თავშესაქცევად და გასართობად — რათა ლამაზ ქალს თავი მოაწონოს — შემომხედე, უბრალო ვინმე არ გეგონო — ორდინარეცად თვითონ

ბაგრატიონი მყავსო; არა, ასე არ იქცეოდნენ საქვეყნოდ სახელგანთქმული, მამაცი და ჭკვიანი საბჭოთა ოფიცრები. იმათ კარგად იცოდნენ რას ნიშნავდა ორდინარეცი ბრძოლის დროს. უშაკოვის საქციელი კი საბჭოთა ოფიცრისას კი არა, უფრო ბრეტერის საქციელსა ჰგავს. ეს ავტორის ფანტაზიაა, კარიკატურაა და არა რეალური ადამიანი, არა ნამდვილი საბჭოთა ოფიცერი. ასევე უშნო და უხეირო კარიკატურაა თვითონ ბაგრატიონ ბაგრაძე. მისი ჟარგონული მეტყველება კოლორიტისათვის კი არ არის მოტანილი, არამედ დაცინვის მიზნით... ესეც გაცვეთილი ხერხია, უაღრესად ნაცნობი, მაგრამ ნაცნობი არა საბჭოთა მწერლების წიგნებიდან, არამედ არაჩვენი დროისა და არაჩვენი იდეოლოგიის თვალაზრისით დაწერილი წიგნებიდან. ეს ერთი. მეორეც — რა საჭირო იყო ესოდენ სახელგანთქმული სარდლის, შენგრაბენისა და ბოროდინოს ლეგენდარული გმირის—ბაგრატიონის ასეთი გაბიაბრუება? საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში, როცა ჩვენ ჩვენი წინაპრები გავიხსენეთ, საბჭოთა არმიის მებრძოლებსა და ოფიცრებს შორის ბაგრატიონის სახელი ისევე საყვარელი და პოპულარული იყო, როგორც სახელები სუვოროვისა, კუტუზოვისა და აღმირალი უშაკოვისა. რატომ არ იციან ეს მაიორმა უშაკოვმა და მწერალმა ბაკლანოვმა? დიახ. მართლაც რომ საწუხ არს ესე, ერთი ძველი მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

მარად ცოცხალი სულხან-საბა	5
დავით გურამიშვილი	11
მოკალმასე ბერი იოანე	122
გრიგოლ ორბელიანი	136
განახლების მებაირახტრე	152
ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა	167
აკაკი წერეთელი და საქართველო	178
გიორგი წერეთელი	174
ვაჟა-ფშაველა	219
ლექსი და სიყვარული	240
ლიტერატურული პარალელები	248
გიორგი ლეონიძე	260
სიმონ ჩიქოვანი	311
ალიო მირცხულავა	329
ირაკლი აბაშიძე	351
ქართველი გუთნისდედა	366
გერონტი ქიქოძე	372
ლევან ასათიანი	377
ნიკოლოზ ტიხონოვი	382
ლიტერატურული რემინისცენციები	388

რედაქტორი ნ. ინსარიძე  
ტექრედაქტორი ბ. სიხარულიძე  
კორექტორი ნ. გოგსაძე

ბელმოწერილია დასაბეჭდად 13/XI-61 წ. ქა  
ღალღის ზომა 60 X 90<sup>1</sup>/<sub>16</sub>. ნაბეჭდი თაბახი 24,75,  
სააღრ.-საგ. თაბახი 21,75, სააეტორო  
თაბახი 20,9.

უე 00509. ტირაჟი 10.000 შექვ. № 705.

ფასი 1 მან.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
შთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეკდეთი სიტყვიზ.  
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата  
Министерства культуры Грузинской ССР.  
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.